აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**Akaki Tsereteli State University**

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
**Faculty of Business, Law and Social Sciences**

ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი
**Department of Business Administration**

I სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია
**Students' International Scientific-Practical Conference**

# ბიზნესის განვითარების ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი პრობლემების რეგიონული ასპექტები

*ს ტ უ დ ე ნ ტ უ რ ი  ხ ე დ ვ ა*

# Regional Aspects of Economic, Social and Legal Problems of Business Development

*Students' Perspectives*

## შრომების კრებული

## PROCCEDINGS

## № 1

18-19 მაისი May 2018

ქუთაისი
**Kutaisi**

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი მადლობას უხდის პარტნიორ ორგანიზაცია – შპს „კურორტ საირმეს“ მხარდაჭერისათვის.
Conference organizing committee is grateful to partner organization – Ltd "Sairme Resort" for the support.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**Akaki Tsereteli State University**

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
**Faculty of Business, Law and Social Sciences**

ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი
**Department of Business Administration**

I სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

**I Students' International Scientific-Practical Conference**

# ბიზნესის განვითარების ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი პრობლემების რეგიონული ასპექტები

*სტუდენტური ხედვა*

# Regional Aspects of Economic, Social and Legal Problems of Business Development

*Students' Perspectives*

## შრომების კრებული

## Proccedings

## № 1

18-19 მაისი May 2018

ქუთაისი
**Kutaisi**

# სამეცნიერო კომიტეტი

1. **შონია ნანა** – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
2. **ბაკურაძე აკაკი** – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის დეკანი;
3. **შანიძე გოდერძი** – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
4. **ლომინაშვილი შოთა** – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ეკონომიკის დეპარტამენტი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
5. **სოლოღაშვილი დალი** – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი;
6. **ჯულაყიძე ემზარი** – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი;
7. **შენგელია მამუკა** – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სამართლის დეპარტამენტი, სამართალმცოდნეობის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, სამართლის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
8. **გოგბერაშვილი თამაზი** – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
9. **გუგეშაშვილი თინათინი** – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, მიმართულების ხელმძღვანელი;
10. **მაღლაკელიძე დეზდემონა** – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, მიმართულების ხელმძღვანელი;
11. **შალამბერიძე მანანა** – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, მიმართულების ხელმძღვანელი.

## Scientific committee:

1. **Shonia Nana –** Akaki Tsereteli State University, Faculty of Business, Law and Social Sciences, Department of Business Administration, Doctor of Economics, Professor, Head of the Quality Assurance Service at the Faculty;
2. **Bakuradze Akaki –** Akaki Tsereteli State University, Faculty of Business, Law and Social Sciences, Department of Business Administration, Doctor of Econoics, Associate Professor, Dean of Faculty;
3. **Shanidze Goderdzi** – Akaki Tsereteli State University, Faculty of Business, Law and Social Sciences, Department of Business Administration, Doctor of Economics, Associate Professor, Head of Department;
4. **Lominashvili Shota –** Akaki Tsereteli State University, Faculty of Business, Law and Social Sciences, Department of Business Administration, Doctor of Economics, Associate Professor, Head of Department;
5. **Sologhashvili Dali –** Akaki Tsereteli State University, Faculty of Business, Law and Social Sciences, Department of Business Administration, Doctor of Economics, Professor;
6. **Julakidze Emzari –** Akaki Tsereteli State University, Faculty of Business, Law and Social Sciences, Department of Business Administration, Doctor of Economics, Professor;
7. **Shengelia Mamuka –** Akaki Tsereteli State University, Faculty of Business, Law and Social Sciences, Department of Law, Doctor of Law, Professor, Head of Department;
8. **Gogberashvili Tamazi –** Akaki Tsereteli State University, Faculty of Business, Law and Social Sciences, Department of Social Sciences, Doctor of Social Sciences, Associate Professor, Head of Department;
9. **Gugeshashvili Tinatini –** Akaki Tsereteli State University, Faculty of Business, Law and Social Sciences, Department of Business Administration, Doctor of Economics, Associate Professor, Head of Direction;
10. **Maghlakelidze Dezdemona –** Akaki Tsereteli State University, Faculty of Business, Law and Social Sciences, Department of Business Administration, Doctor of Economics, Associate Professor, Head of Direction;
11. **Shalamberidze Manana –** Akaki Tsereteli State University, Faculty of Business, Law and Social Sciences, Department of Business Administration, Doctor of Economics, Associate Professor, Head of Direction.

## საორგანიზაციო კომიტეტი:

1. **ახვლედიანი მაია** – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, დეპარტამენტის სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი, კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე;
2. **ლომინაშვილი-ფრუიძე მედეა** – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
3. **შალამბერიძე ხათუნა** – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი;
4. **ნიქაბაძე სოფიკო** – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი;
5. **ქარქაშაძე ნარგიზა** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი;
6. **ბენიძე ნანა** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.

## Organizing committee:

1. **Akhvlediani Maia** – Akaki Tsereteli State University, Faculty of Business, Law and Social Sciences, Department of Business Administration, Doctor of Economics, Associate Professor, Head of Student Scientific Circle, Head of Conference Organizing Committee;
2. **Lominashvili-Pruidze Medea –** Akaki Tsereteli State University, Faculty of Business, Law and Social Sciences, Department of Business Administration, Doctor of Economics, Associate Professor, Vice Dean of Faculty;
3. **Shalamberidze Khatuna** – Akaki Tsereteli State University, Faculty of Business, Law and Social Sciences, Department of Business Administration, Doctor of Economics, Associate Professor;
4. **Nikabadze Sopiko –** Akaki Tsereteli State University, Faculty of Business, Law and Social Sciences, Department of Business Administration, Doctor of Economics;
5. **Karkashadze Nargiza –** Akaki Tsereteli State University, Faculty of Business, Law and Social Sciences, Department of Business Administration, Doctor of Economics, Associate Professor;
6. **Benidze Nana –** Akaki Tsereteli State University, Faculty of Business, Law and Social Sciences, Department of Business Administration, Doctor of Economics, Associate Professor.

შინაარსი / Content

**ბიზნესგარემოს განვითარების რეგიონული თავისებურებები**
**Regional Features of Development of Business Environment** 11

არჩევანის თავისუფლება
*აბაზაძე ქრისტინე, წიქარიშვილი მარიამი*
**Freedom of choice**
*Abazadze Kristine, Tsikarashvili Mariami* 11

სასტუმრო ბიზნესი საქართველოში და მისი როლი ეკონომიკის განვითარებაში
*აბულაძე.თორნიკე*
**Hotel business in Georgia and its role in the economic development**
*Abuladze Tornike* 15

საბროკერო საქმიანობის თავისებურებებანი საქართველოში
*ადეიშვილი ბაჩუკი*
**Peculiarities of Brokerage Activities in Georgia**
Adeishvili Bachuki 22

აღრიცხვისა-ანგარიშგების თავისებურებები და სრულყოფის საკითხები მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში
*ზაქარაშვილი ანა*
**Peculiarities of accounting-reporting and perfection issues in micro finance organizations**
*Zakarashvili Ana* 28

დახარჯული მასალების თვითღირებულების გაანგარიშებს მეთოდების შესახებ
*იმედაძე ნესტანი*
**Methods about cost of spent materials**
*Imedadze Nestani* 34

მთიანი რეგიონის რეკრეაციული რესურსების პოტენციალი
*კვერენჩხილაძე მაია*
**Recreational resources of the mountainous region**
*Kverenchkhiladze Maia* 38

იმერეთის რეგიონის განვითარების პერსპექტივები ბუნებრივი სამკურნალო წყლების მომხმარებელთა მოზიდვის მიზნით (კურორტ ზეკარის მაგალითზე)
*კვინიკაძე ლევანი, ტყეშელაშვილი ქეთევანი*
**Perspectives of Imereti Region Development for Attracting Natural Drinking Water Consumers (by the Example of Resort Zekari)**
*Kvinikadze Levani, Tkeshelashvili Ketevani* 43

სახელმწიფო ჩარევა უმაღლეს განათლებაში
*კიკაჩეიშვილი თორნიკე, გოგიშვილი ლერი*
**The interference of a state in high education**
*Kikacheishvili Tornike, Gogishvili Leri* 48

ელექტრონული ვაჭრობა და მისი განვითარების გზები საქართველოში
*კინწურაშვილი მარიამი, შენგელია შორენა*
**Electronic trade and ways of its development in Georgia**
*Kintsurashvili Mariami, Shengelia Shorena* 54

არასაბანკო სექტორი , როგორც ბანკთაშორისი კონკურენციის უნებლიე მონაწილე
*ლეჟავა ეკა*
**Non-Banking Sector as Invisibility Participant in Interbank Competition**
*Lezhava Eka* 59

მწვანე მარკეტინგი: გლობალური ტრენდი და ლოკალური პერსპექტივა
*მუშკუდიანი თამარი, წულაძე ბადრი* 65

**Green Marketing: Global Trend and Local Perspective**
*Mushkudiani Tamari, Tsuladze Badri*

კურორტი საირმე – ტერიტორიის ბრენდი
*ნემსიწვერიძე ინა, სალდაძე დავითი*
**Resort „Sairme" – territory brand**
*Nemsitsveridze Ina, Saldadze Daviti* 71

საქართველოში წარმოებული კარტოფილის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა ადგილობრივ ბაზარზე
*სააკიანი ჯემმა*
**Produced potatoes competitiveness on local Georgian Market**
*Saakiani Jemma* 75

საფონდო ბირჟა და მისი საქმიანობის თავისებურებანი საქართველოში
*სახელაშვილი ნათია*
**Stock exchange and its peculiarities in Georgia**
*Sakhelashvili Natia* 80

მეფუტკრეობა, როგორც ბიზნესი და მისი როლი რეგიონის სოციალურ–ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში
*უდესიანი ვანო*
**Beekeeping as a business and its role in solving the socio-economic problems of the region**
*Udesiani Vano* 85

შიდა კონტროლის სისტემის სარგებელი საჯარო დაწესებულებებში
*უდესიანი თათია*
**The benefits of internal control system in public sector**
*Udesiani Tatia* 89

სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ანალიზი
*უდესიანი ხატია*
**Analysis of socio-economic problems related to food safety**
*Udesiani Khatia* 96

კრეატიული ქალაქი: შემოქმედებითი ინდუსტრია და ქალაქის განვითარება
*ფურცელაძე თეონა, საყვარელიძე ბექა*
**Creative city: creative industry and city development**
*Purtseladze Teona, Sakvarelidze Beka* 102

მენეჯმენტის გავლენა სამშენებლო კომპანიათა ფინანსურ შედეგებზე
*ხელაძე ლელა*
**Impact of management on financial results of construction companies**
*Kheladze Lela* 106

ქუთაისში არსებული მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის კვლევის ანალიზი
*ჯვარშეიშვილი ლინდა*
**Research of activities small and medium-sized business in Kutaisi**
*Jvarsheishvili Linda* 112

## რეგიონული განვითარების სოციალ-ეკონომიკური პრობლემები Social-economic Problems of Regional Development 123

შიდა ქართლის რეგიონის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები
*ბესიაშვილი რუიზანი*
**Perspective of economic development of Shida Kartli region** 123
*Besiashvili Ruizani*

ელექტრონული არჩევების საერთაშორისო გამოცდილება და მისი პერსპექტივები საქართველოში
*ბეჭვაია მირანდა*
**International experience of e-voting and its perspectives in Georgia** 127
*Betchvaia Miranda*

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიმართულებები და მოდელები
*ბობოხიძე მარიტა*
**Main Trends and Models of State Regulation of Economics** 132
*Bobokhidze Marita*

**Quality of medical service and its support** 135
*Chakvetadze Mariami*

უმუშევრობა: სოციალურ -ეკონომიკური პრობლემა
*გელაშვილი ლევანი*
**Unemployment: Socio-Economic Problem** 141
*Gelashvili Levani*

**Development of external trade relations between Georgia and Russia** 147
*Dzeranov Alan*

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ
*გელიტაშვილი გოგა*
**On Budgetary Powers of Local Self-Government Bodies** 150
*Gelitashvili Goga*

დასაქმების პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი საქართველოში
*ვარშანიძე ნესტან, ვარშანიძე თამარ*
**Some Aspects of Employment Policy in Georgia** 156
*Varshanidze Nestani, Varshanidze Tamari*

მოსახლეობის შრომითი მიგრაცია, როგორც გლობალური პრობლემა
*კოპალაძე ანა*
**Labor Migration as a Global Issue** 163
*Kopaladze Ana*

კონკურენციის პოლიტიკის პრობლემები რეგიონში და მისი სრულყოფის საკითხები
*მეგრელიშვილი ანი*
**Competition policy problems in the region and the issues of perfection** 173
*Megrelishvili Ani*

ევროკავშირი და კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში
*ნემსიწვერიძე მარიამი*
**EU and conflicts in the South Caucasus** 180
*Nemsitsveridze Mariami*

სახელმწიფო როლის მოდიფიკაცია ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში
*ოყრეშიძე თამარი*
**Modification of state role in terms of Economic Globalization** 186
*Okreshidze Tamari*

**Socio-economic aspects of tourism development in Georgia** 192

*Porokhnya Ekaterina, Sergeeva Ekaterina*

გადასახადის გავლენა წონასწორულ ფასზე და ადამიანთა რაციონალურობა
*პატარიძე გიორგი, აფხაძე გიორგი* — 197
**Tax effect on equilibrium prices and rationality of people**
*Pataridze Giorgi, Apkhadze Giorgi*

დაეშის რეკრუტირების სტრატეგიები საქართველოში
*საღინაძე თამარი, კოხოძე ნუნუ* — 205
**The recriutment strategies of Daesh in Georgia**
*Saghinadze Tamari, Kokhodze Nunu*

საქართველოს აგრარული სექტორი და მისი განვითარების ძირითადი პრიორიტეტები
*სულამანიძე ეკა, ენდელაძე ანა* — 210
**Georgia's agricultural sector and its development Main Priorities**
*Sulamanidze Eka, Endeladze Ana*

მსოფლიო და ადგილობრივი რელიგიების ადაპტაცია და გავლენა საქართველოს სოციო-პოლიტიკურ სივრცეზე
*ქარცივაძე მარიამი, ლომთაძე მონიკა* — 216
**Adaptation of world and local religion in Georgian social-political space**
*Kartsivadze Mariami, Lomtadze Monika*

ტერორიზმი-საფრთხე კავკასიის რეგიონული სტაბილურობისთვის
*ღამბაშიძე მერი* — 222
**Terrorism-danger for stable condition of Caucasus**
*Ghambashidze Meri*

ჩრდილოვანი ეკონომიკა მუხრუჭი, თუ ეკონომიკის განვითარების ლოკომოტივი
*ჩიქოვანი მიხეილი* — 230
**Informal economy brake or economic development locomotive**
*Chikovani Mikheil*

ელექტრონული მთავრობის განვითარების ტენდენციები საქართველოში
*ცუცქირიძე ამანდა, ბოჭორიშვილი თეა* — 234
**E-governance Development Tendencies in Georgia**
*Tsutskiridze Amanda, Botchorishvili Tea*

სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები
*ხიბლაშვილი გვანცა* — 240
**Social-economic situation of Samtskhe-Javakheti region and perspective for its development**
*Khiblashvili Gvantsa*

დასაქმების როლი მომხმარებელთა მსყიდველობითუნარიანობის გაზრდაში
*ჯოხაძე მირიანი* — 245
**Employment Role in Boosting Capacity**
*Jokhadze Miriani*

## სამართალგანვითარების რეგიონული ასპექტები
## Regional Aspects of Law Development — 254

**The role and the essence of Secured Transactions and it’s similarities with Pledge Law** — 254
*Gharibyan Davit*

**The cybercrimes and actual issues in the regional context** — 259
*Smbatyan Nare*

# ბიზნესგარემოს განვითარების რეგიონული თავისებურებები

# Regional Features of Development of Business Environment

## არჩევანის თავისუფლება

***აბაზაძე ქრისტინე*** *– ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

***წიქარიშვილი მარიამი*** *– ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი* ***ვალიშვილი თეა*** *– ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

## Freedom of choice

***Abazadze Kristine*** *– Bachelor's Student, Economics, III year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

***Tsikarashvili Mariami*** *– Bachelor's Student, Economics, III year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

*Supervisor* ***Valishvili Tea*** *– Associate Professor, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

### Abstract

One of the most important issues in economic sociology is the correlation between economic beliefs, attitudes, and economic behavior, which implies the following: how human action is associated with its cognitive structures such as performances, values, attitudes, etc. Analysis of the above factors is based on the combination of personal, social and demographic variables. In the study of economic behavior and related issues, the following variables are given: the perspective of time, the delayed gratification, the need for achievement, the control locus and the perception of the fair world. Based on the correlation of these variables, there are two papers: the variables in the individual or the high or low indicators. Sociologists and social psychologists have begun to study the economic behavior of the late 20th century using the Behavioral Economics approach based on empirical studies. Studies do not take place in connection with the above mentioned topics, so our interest towards this issue and results is high. Following a review of the theoretical material related to economic behavior, the article will cover the results and analysis of the empirical research conducted by us, which will enable us to see what kind of interaction exists between economic behavior and the above mentioned variables in Georgian society.

**Keywords:** Behavioral economics, Preferences, Market, Need for achievement, Delayed gratification.

### აბსტრაქტი

ეკონომიკურ სოციოლოგიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ეკონომიკურ რწმენებს, დამოკიდებულებებსა და ეკონომიკურ ქცევას შორის კორელაცია, რაც გულისხმობს შემდეგს - თუ როგორ არის დაკავშირებული ადამიანის ეკონომიკური მოქმედება მის კოგნიტურ სტრუქტურებთან, როგორებიცაა: წარმოდგენები, ღირებულებები, დამოკიდებულებები და ა.შ. ზემოთ აღნიშნული ფაქტორების ანალიზი ემყარება პიროვნული, სოციალური და დემოგრაფიული ცვლადების ერთობლიობას. ეკონომიკური ქცევისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისას მნიშვნელობას ანიჭებენ შემდეგ ცვლადებს: დროის პერსპექტივა, დაკმაყოფილების გადადების უნარი, მიღწევის მოთხოვნილება, კონტროლის ლოკუსი და სამართლიანი სამყაროს აღქმა. მოცემული ცვლადების კორელაციის საფუძველზე იკვეთება ორი პატერნი: ინდივიდში ცვლადების ან მაღალი ან დაბალი მაჩვენებლების თანხვედრა. სოციოლოგებმა და სოციალური ფსიქოლოგიის წარმომადგენლებმა მე-20 საუკუნის ბოლო პერიოდიდან დაიწყეს ეკონომიკური ქცევის შესწავლა ემპირიული კვლევების საფუძველზე ქცევითი ეკონომიკის მიდგომის გამოყენებით. აღმიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით არ ტარდება კვლევები საქართველოში, ამიტომ ჩვენი

დაინტერესება ამ საკითხისა და შედეგებისადმი მაღალია. ეკონომიკურ ქცევასთან დაკავშირებული თეორიული მასალის მიმოხილვის შემდეგ სტატიაში წარმოდგენილი იქნება ჩვენს მიერ ჩატარებული ემპირიული კვლევის შედეგები და ანალიზი, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავინახოთ თუ რა სახის ურთიერთმიმართება არსებობს ეკონომიკურ ქცევასა და ზემოთ აღნიშნულ ცვლადებს შორის ქართულ საზოგადოებაში.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური ქცევა, პრეფერენციები, ბაზარი, მიღწევის მოთხოვნილება, დაკმაყოფილების გადადების ხარისხი.

ეკონომიკური ქცევა, ეკონომიკური სოციოლოგიის ინტერესის საგანს ყოველთვის წარმოადგენდა. ეკონომიკური სამყაროს სოციალურ-კონსტრუირებასთან დაკავშირებულ ემპირიულ კვლევაზე აგებულ მიდგომას ქცევით ეკონომიკას (Behavioral Economics) უწოდებენ. ქცევითი ეკონომიკა, ეკონომიკურ ქცევას განიხილავს ეკონომიკურ ღირებულებებთან, რწმენებთან და დამოკიდებულებებთან კავშირში. ეკონომიკური ქცევა რაციონალური არჩევანის, იგივე არჩევანის თეორიას ეფუძნება, რომელიც თავის საწყის (პირვანდელ) ფორმაში „გაცვლის თეორიის" სახელწოდებით არსებობდა. გაცვლის თეორია ემყარება ბიჰევიორისტული სოციოლოგიიდან ნასესხებ მარტივ პრინციპებს: ადამიანები მიდრეკილნი არიან მოიქცნენ ისე, რაც მათ წარმატებას მოუტანს და დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებებს. აღნიშნული თეორია საზოგადოებას წარმოადგენს, როგორც ადამიანთა გაცვლითი ქმედებების ასპარეზს იმისათვის,რომ ინდივიდებმა უზრუნველყონ მათი სარგებლობის მაქსიმიზაცია და დანაკარგების მინიმიზაცია. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი ყურადღება ექცევა რაციონალურ პროცედურებს, რომელთა მიხედვითაც ადამიანები იღებენ განსაზღვრულად მოქმედების გადაწყვეტილებას. როგორც მკვლევარები მიუთითებენ, დებულება რომ „არ არსებობს ისეთი რამ, რასაც საზოგადოება ჰქვია" – რაციონალური არჩევანის თეორიისათვის წარმოადგენს მტკიცე, შეიძლება ითქვას, დოგმატურ, საწყის წერტილს. ამ თეორიის მთავარი მახასიათებელი ისაა, რომ იგი ცდილობს ააგოს განსხვავებული მოდელები იმისა, თუ რას აკეთებს ინდივიდი, როდესაც კერძო სიტუაციაში რაციონალურად მოქმედებს. მაგალითად, ადამიანს, რომელიც ყიდულობს მანქანას, სურს იყოს კარგად ინფორმირებული იმ მანქანაზე,რომლის შეძენაც სურს, რადგან მისი არჩევანი გადამწყვეტია - მას მხოლოდ ერთი არჩევანის საშუალება აქვს. თუ გადაწყვეტილება გონივრულადაა მიღებული, მყიდველი იღებს სარგებელს; თუ პირიქით, დაზარალდება. ასევეა არჩევნების შემთხვევაშიც - ამომრჩევლის მიერ მიცემულ თითოეულ ხმას, ერთი შეხედვით, დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა ამომრჩეველთა უმეტესობა დროის კარგვად მიიჩნევს ამ პროცესში მონაწილეობას - ან არ მონაწილეობს, ან თუ მონაწილეობს იშვიათად ახსოვს გარკვეული პერიოდის შემდეგ გამარჯვებულის ვინაობა. (მაგალითად, ამერიკელი საზოგადოების გამოკითხვამ აჩვენა, რომ საარჩევნო ხმის უფლების მქონე მოსახლეობის ნახევარზე ნაკლებს შეუძლია დაასახელოს, ვინ არის საკუთარი კონგრესის წარმომადგენელი.) ყოველ ინდვიდს (მეტ-ნაკლებად) აქვს უპირატესობათა სკალა: მან იცის, რამდენია მისი შემოსავალი, რა ქონება და სამსახურის ტიპია მისთვის ხელმისაწვდომი და ა.შ. ინდივიდუალური უპირატესობებიდან გამომდინარე, ინდივიდი ირჩევს, რა მოუტანს მას ყველაზე მეტ კმაყოფილებას და სარგებლობას და გააჩნია რწმუნება ანუ ინფორმირებულია იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს მისი კერძო სიტუაცია. მაშასადამე, რაციონალური არჩევანის თეორიას აქვს მკაფიოდ გამოხატული უტილიტარული განზომილება. ამ თეორიას სხვანაირად რაციონალური არჩევანის პარადიგმას უწოდებენ. ეს პარადიგმა ამტკიცებს, რომ აქტორები, პირველ რიგში, საკუთარი კეთილდღეობით უნდა დაკავდნენ. ამდენად, უპირატესობები, რომლებსაც ისინი ფლობენ, ეგოისტური ხასიათისაა. აქტორები ისწრაფიან,

„გაზომონ“ და გააკონტროლონ მათ ხელთ არსებული რესურსები, რათა ისინი მათივე კეთილდღეობის წყაროდ აქციონ. ეს კი, როგორც ითქვა, სხვა არაფერია, თუ არა უტილიტარიზმის ტრადიციების გაგრძელება.

რაციონალური არჩევანის თეორიის თანახმად, ინდივიდთა სურვილები და შეხედულებები მათი მოქმედების მიზეზი და საფუძველია. როგორც ამ თეორიიის მომხრეები ამტკიცებენ, იგი ამავე დროს ნორმატიული თეორიაა და მიუთითებს მოცემული მიზნების მიღწევის ყველაზე უფრო ეფექტურ გზებზე მოცემულ სიტუაციაში. მაგალითად, რაციონალური არჩევანი გვკარნახობს, რომ ოჯახში შრომის განაწილების პრინციპი წარმოადგენს ეფექტურ მექანიზმს იმისათვის, რომ მოხდეს სარგებლიანობის მაქსიმიზაცია. ეს პრინციპი მომხრეა ოჯახური საქმიანობების განაწილების. თუ ვთქვათ, მამაკაცებს შეუძლიათ გამოიმუშაონ ხელფასი ოჯახის გარეთ, საბაზრო სიტუაციაში, მათთვის რაციონალურს წარმოადგენს ენერგიის დიდი ნაწილი მიუძღვნან სამსახურს, ვიდრე ოჯახს.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რაციონალური არჩევანის თეორიის არსს, რამდენადმე ხატოვნად, ასეც გამოხატავენ: რაციონალური არჩევანის თეორია - „ყველაფერი შეფასებულია“.

მომხრეებთან ერთად, რაციონალური არჩევანის თეორიას ჰყავს მოწინააღმდეგეებიც. რომლებიც ეყრდნობიან იმას, რომ ჩვენი, ადამიანების, ქცევის 70%-ზე მეტი განპირობებულია არა ცნობიერი, არამედ ქვეცნობიერი სტრუქტურებიდან და გადაწყვეტილების მომენტში ჩვენი ემოციური მდგომარეობიდან გამომდინარე. სწორედ ამის გამოა, რომ ვცდილობთ ვიყოთ რაციონალურები, მაგრამ სინამდვილეში არარაციონალურ გადაწყვეტილებებს ვიღებთ. ეს კი განპირობებულია ჩვენი იმპულსური ქმედებებითა და იმ „ადამიანური ფაქტორით“, რომ უბრალოდ შეუძლებელია თითოეული ქმედების წინასწარი გათვლა.

საინტერესოა, როგორ გარდაიქმნება იმპულსები ქცევად. განვიხილოთ დაგროვებითი პენსიის მაგალითი. ქვეყნებში, სადაც დაგროვებითი პენსიაა, პროგრამაში ჩართულ ადამიანთა კმაყოფილების ხარისხი ბევრად ჩამორჩება იმ ადამიანების კმაყოფილების ხარისხს, რომელთა ქვეყნებში აღნიშნული პროგრამა ნებაყოფლობითია. (ავსტრალია, ნიდერლანდები, შვედეთი...). ეს იმიტომ, რომ როდესაც ადამიანს აქვს არჩევანის თავისუფლება, კმაყოფილების ხარისხიც უფრო მეტია და უფრო რაციონალურადაც მოქმედებს. თუმცა, თუკი პოლიტიკოსებს დავუჯერებთ, ჩვენი ქმედებების სწორად განხორციელებაზე ისინი უფრო გონივრულად ფიქრობენ, ვიდრე ჩვენ. შედეგად, იღებენ სხვადასხვა კანონსა თუ რეგულაციას, რომლითაც ცდილობენ ჩვენი ქმედებების ერთგვარ „მართვას“ (სიგარეტსა და ალკოჰოლზე გაზრდილი ფასი ამის ერთ-ერთი დასტურია). რა ხდება სინამდვილეში? არსებობს კი იმის თეორიული შანსი მაინც, რომ სხვა ადამიანს (თუნდაც მაღალი თანამდებობის პირს) შეუძლია უკეთ განსაზღვროს რა უკეთესია ჩვენთვის, ვიდრე თავად ჩვენ განვსაზღვრავთ ამას საკუთარი თავისათვის?

როგორც ამ თეორიის მომხრე მეცნიერები აღნიშნავენ, ადამიანები, რომლებიც იღებენ სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებებს, ისევე მოქმედებენ საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით, როგორც სხვა ნებისმიერი ადამიანი. ყველაფრის მიუხედავად, ისინი „ჰომოეკონომიკუსები“ – პირადი სარგებლის მაძიებელნი არიან და სულაც არ იქცევიან „ანგელოზებად“, როცა სახელმწიფო სამსახურში იწყებენ მუშაობას.

საზოგადოებრივი არჩევანის თეორია არ ამტკიცებს იმას, რომ ყველა გადაწყვეტილება, რაც სახელმწიფოს (მთავრობის) მიერ მიიღება აუცილებლად ვინმეს პირადი ინტერესის დაკმაყოფილებას წარმოადგენს, მაგრამ ჩვენ არ უნდა ვთვლიდეთ, რომ ადამიანების ქცევა, საქონლისა და მომსახურების ბაზარზე, გასხვავებულია იმათი ქცევისგან, ვინც სახელმწიფო გადაწყ-

ვეტილებებზე ახდენს გავლენას. გონივრული იქნება ვივარაუდოთ, რომ პირადი ინტერესი ახდენს ადამიანთა ამა თუ იმ ქცევის მოტივირებას.

განვიხილოთ სამთავრობო უწყებების მიერ ადამიანთა ქცევის კოორდინაციის ორი ხერხი, ორი მეთოდი:

1) **სტიქიურად წესრიგის დამყარება**, რომლის დროსაც საზოგადოება მთლიანად, მისი ცალკეული წევრები (იურიდიული და ფიზიკური პირები) შეუხამებენ რა ერთიმეორეს თავიანთ მოქმედებას მათ გარშემო ჩამოყალიბებულ ინფორმაციასა და სტიმულირებაზე დამყარებულ პირობებს, აკეთებენ თავისუფალ არჩევანს. ამის ტიპიური, მაგრამ მარტივი მაგალითია ავტოტრანსპორტის მოძრაობა ავტომაგისტრალზე, რიგში მდგომი ადამიანების მოქმედება მაღაზიაში და სხვა. საყოველთაოდ აღიარებული მაგალითია ბაზარი, რომლის მეშვეობითაც ყოველი ადამიანი აკეთებს თავის საკუთარ არჩევანს, თავისი საკუთარი მიზნების განხორციელების დროს. ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი ა. სმითი ჯერ კიდევ 1776 წელს თავის წიგნში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ მიუთითებდა, რომ კონკურენციულ ურთიერთობაში მყოფი ადამიანები მოქმედებენ მხოლოდ თავისი საკუთარი სარგებლობისათვის და ამავე დროს წარიმართებიან „უხილავი ხელით“ და ამით ხელს უწყობენ საზოგადოების ინტერესებს; რომ სრულყოფილი კონკურენცია წარმოადგენს სიკეთეს მთლიანად ეკონომიკისათვის, ვინაიდან მას მივყევართ რესურსების ეფექტიან განაწილებასთან, ანუ ისეთ განაწილებასთან რომლის დროსაც რესურსები არაეფექტურად, არარაციონალურად არ იხარჯება.

2) **იერარქიულად წესრიგის დამყარება**, რომლის დროსაც ცალკეული ინდივიდის მოქმედება დაქვემდებარებულია ხელისუფლების, სახელმწიფოს (მისი ყველა დონით) ინსტრუქციებზე, კანონებზე, კანონქვემდებარე აქტებზე, ნორმატივებზე და სხვა ამგვარ მარეგლამენტირებელ დოკუმენტებზე.

ეკონომიკური არჩევანის კოორდინაციის განხილული ორი გზიდან, ორი ხერხიდან, პირველი დამახასიათებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის, მეორე - ტოტალური, მბრძანებლურ - ადმინისტრაციული სისტემისათვის. გასულ საუკუნეებში საქართველო იყო ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლი, რამაც სერიოზული რეგრესი მოუტანა ქვეყანას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია შევთანხმდეთ, რომ ტოტალიტარიზმი დაუშვებელია და ჩვენმა ქვეყანამ გეზი დემოკრატიისაკენ უნდა აიღოს. თუმცა, როცა საქმე გვაქვს დემოკრატიასთან, გარკვეულ წინააღმდეგობებს აქაც ვაწყდებით. რადგან დემოკრატია გულისხმობს ხალხის, საზოგადოების ხელთ არსებულ ძალაუფლებას და თვით ტერმინი ძალაუფლება უკვე ნიშნავს მმართველთა და მართულ სუბიექტთა არსებობას; წინააღმდეგობას მათ შორის, ვინც ბრძანებებს, განკარგულებებს გამოსცემს, გეგმავს და აკონტროლებს და მათ შორის, ვინც ამ ბრძანებებს, განკარგულებებს ასრულებს, ვისაც უგეგმავენ და აკონტროლებენ. ამ შინაგანი წინააღმდეგობიდან გამომდინარე, ეკონომიკური დემოკრატია გარკვეულად შეზღუდულია. ამასთან, შეზღუდულობის ხარისხი შეიძლება მაღალი იყოს ან დაბალი და მერყეობდეს ნულიდან ათ ერთეულამდე. არ შეიძლება ადამიანებს აბსოლუტური თავისუფლება წაართვა და მხოლოდ დამჯერე, შემსრულებელ ავტომატად აქციო(ამ შემთხვევაში საქმე გვექნება პოპულისტურ, ტოტალიტალურ მმართველობასთან). მეორე მხრივ კი, არ არსებობს საზოგადოებრივი მოწყობის არც ერთი ისეთი მოდელი, რომლის დროსაც შეზღუდვები მთლიანად იყოს მოხსნილი, რომ შეზღუდულობის მაჩვენებელი ნულის ტოლი იყოს (ეს გამოიწვევს საზოგადოებრივ დაპირისპირებებს პირადი, ეგოისტური ქმედებებიდან გამომდინარე და ადამიანები დაივიწყებენ, რომ პირადი თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც სხვა ინდივიდის თავისუფლება იწყება). ერთი რამ კი უნდა

ითქვას, რომ რაც მეტია შეზღუდვები, მით ნაკლებია თავისუფლება და პირიქით. აღნიშნულიდან გამომდინერე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეკონომიკური დემოკრატიის ერთიანი მოდელი არ შეიძლება რომ არსებობდეს და არც უარსებია ისტორიაში. ამიტომაც უსაფუძვლოა ზოგიერთი ავტორის მტკიცება,რომ რომელიმე დემოკრატიული ქვეყნის (თუნდაც აშშ-ს) დემოკრატიული პრინციპებით შევძლებთ იდეალური დემოკრატიული მოდელის შემუშავებას, რადგან ის „ოქროს შუალედი", რომელიც უნდა მიიღწეს პირად თავისუფლებასა და რეგულაციებს შორის დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა ისტორიული ტრადიციები, ეროვნული და ეთნიკური შემადგენლობა, ფსიქოლოგია, ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებები, გაბატონებული რელიგია და სხვა.

ამრიგად, იმის მიუხედავად, რომ ქვეცნობიერს დიდი გავლენა აქვს ჩვენს ქმედებებზე, ადამიანური ბუნება, ეგოიზმი, სრულყოფილებისაკენ სწრაფვა უფლებას არ გვაძლევს ვიყოთ არარაციონალურები და გვიბიძგებს განუწყვეტლივ მივისწრაფვოდეთ მინიმალური რესურსების გამოყენებით მაქსიმალური შედეგების მიღწევისაკენ. სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებმა კი, თავის მხრივ, უნდა ეცადონ, საკუთარი ინტერესები საზოგადოებრივ ინტერესებს დაუქვემდებარონ, მმართველობის ტიპსა და მოქალაქის პირად თავისუფლებას შორის იდეალური „ოქროს შუალედი" მოძებნონ და ინდივიდის ეკონომიკურ თავისუფლებას სახელმწიფო რეგულირებასთან ჰარმონიულად თანაარსებობის საშუალება მისცენ, რადგან ჩვენი ღრმა რწმენით, საზოგადოება, რომელიც თავისუფლებაზე წინ რეგულაციებს აყენებს, ვერც სამართლებრივ გარემოს მიიღებს და ვერც დემოკრატიულ სახელმწიფოს. ხოლო საზოგადოება, რომელსაც თავისუფლების დეფინიცია სწორად ესმის, ერთსაც მიიღებს და მეორესაც მაქსიმალური რაოდენობით.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. Adam Smith "The theory of moral sentiments";
2. Gaurav Bhut "Consumer Behaviour";
3. Dan Ariely "Predictably Irrational: The Hidden Forces That Shape Our Decisions";
4. "Consumer Behavior and Marketing Strategy";
5. How Marketers Manipulate Us: Psychological Manipulation in Advertising.

# სასტუმრო ბიზნესი საქართველოში და მისი როლი ეკონომიკის განვითარებაში.

*აბულაძე.თორნიკე – ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი **გველესიანი ელისო** – ასოცირებული პროფესორი, ტურიზმისა და ლანდშაფტური არქიტექტურის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

# Hotel business in Georgia and its role in the economic development

***Abuladze Tornike** – Bachelor's Student, Tourism, III year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

*Supervisor **Gvelesiani Eliso** – Associate Professor, Department of Tourism and Landscape, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

**Abstract**

One of the integral components of tourist business is hotel business that nowadays is rapidly developing in Georgia. Along with the growth of foreign investors, the number of foreign tourists and governmental delegates visited Georgia, increases rapidly. According to the above mentioned requirements for guest accommodations are increasing in the term of number as well as the quality of service. The observation has shown that during visiting the country the 71% of tourists prefer hotel accommodation, 12% - the specialized houses, 9% - camps, 8% - the private apartments, in addition at about 34% of tourists enjoy staying at the high class hotels, 45% - at the middle class hotels and 21% - advantage to econom class hotels. The family-type hotels are also important in the separate regions of Georgia, such type of hotels are mainly applied by the tourists, who travel individually that will be explained by the relative low prices.

Research goal: Study hotel management as an most important part of tourism management; Classification of tourist accommodation facilities and hotel rooms; Evaluation of modern tends and management of hotel industry development.

Hotel business, as a service field, takes a particular place in the world economic development and in this regard Georgia is no exception. The development of hotel business in Georgia should support the economic growth, increase population currency income, and reduce unemployment. Nowadays the half of people, employed in tourism sphere, work in hotels.

Commonly known that the foreign tourist spends 40% on transportation and food, 30% - on the hotel, 8% - for travel inside the country, other costs are – 22%, such expenses has the positive effect on the country.

Hotel business is one of the main sources for the inflow the foreign currency cash (in most cases US Dollar and Euro) in the country.

The family type hotels are one of the essential conditions for tourism development. In Georgia this field is in rather difficult situation.

Practically, there are only high class hotels in Georgia that are not available for the middle

Practically, there are only high class hotels in Georgia that are not available for the middle class. According to these business holders, the demand on high class hotels are high in the world, though in Georgia due to unfavorable factors this area is not developed. Based on the data of GeoStat, the number of tourists has raised in Georgia, accordingly such type of infrastructural support is important.

Hotel business shows the current problems in regions and requires the state to establish the seasonal tax. The hotels located in the regions of Georgia and are employed only 2-3 months has to pay property and profit taxes during 12 months, according to the tourist season.

Utility taxes are problem as well. Opening guest houses and hotels in the seasonal places are absolutely non rentable. Georgian seasonal regions become not so fascinating for investors, according to regulations, Georgia is one of the bad places for starting hotel business, in addition to the tax system, it is quite difficult to register the purchased food in regions, and administrative procedures are quite difficult as well that prevents business.

A survey of means of accommodation in Kutaisi showed that the revival of tourist demand has led to the development of non-traditional hotel business and accommodation. We will speak about this topic during the report, at the conference.

The majority of tourists in Kutaisi are middle class representatives. The service tariffs of the city hotels offered to them are high, if, for example, 4 star hotel in Antalya costs $25-$70, in Kutaisi the price varies from $50 to $150, that’s why many visitors look for accommodation independently, most of them advantage to guest houses and hostels. That’s why there is need not only in Kutaisi but in whole Georgia for more guest houses.

The mass construction itself is an indicator of economic development of the country. There are important factors in Kutaisi hotel management that need to be studied. Besides for the successful operation of the hotels, it is necessary to synchronize various services.

In regard of hotel business development and attracting investments, problems have been identified that prevents the further perspectives of tourism industry in Kutaisi. Noteworthy among them are: the high prices, unregulated internal infrastructure, the lack of accommodation facilities for the middle class, unqualified employed managers in this field, irregular standard of hotel classification.

To settle the aforementioned problems the timely and effective steps must be done,

In order not to hinder the interest of tourists and the hotel business to be more developed in Georgia.

**Keywords:** Camping, GestHouse, Hostel, tendency, Classification, Synchronized.

## აბსტრაქტი

ტურისტული ბიზნესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია სასტუმრო ბიზნესი, რომელიც დღეს საქართველოში სწრაფი ტემპით ვითარდება. უცხოელი ინვესტორების ზრდასთან ერთად, შესაბამისად სწრაფი ტემპით იზრდება საქართველოში ჩამოსული უცხოელი ტურისტებისა და სამთავრობო დელეგაციების რაოდენობა. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე იზრდება მოთხოვნები სტუმართა განთავსების საშუალებებზე, როგორც რაოდენობის ასევე მომსახურების ხარისხის თვალსაზრისით. დაკვირვების შედეგად ვლინდება რომ მოგზაურობის დროს ტურისტების 71% ამჯობინებს სასტუმროში განთავსებას, 12% სპეციალიზებულ სახლებში, 9% კემპინგებში, 8% კი კერძო ბინებში. ამასთან, მაღალი კლასის სასტუმროებით სარგებლობს დაახლოებით 34%, საშუალო კლასით 45% და 21% უპირატესობას ეკონომკლასის სასტუმროებს ანიჭებს. ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს ცალკეულ რეგიონებში საოჯახო ტიპის სასტუმროების არსებობა, ასეთ სასტუმროებს ძირითადად ისეთი ტურისტები მიმართავენ, რომლებიც ინდივიდუალურად მოგზაურობენ, რაც აიხსნება შედარებით დაბალი ფასებით.

**კვლევის მიზანია:**

სასტუმროს მენეჯმენტის, როგორც ტურიზმის მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი ნაწილის შესწავლა; ტურისტთა განთავსების საშუალებებისა და სასტუმროს ნომრების კლასიფიკაცია; სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების თანამედროვე ტენდენციებისა და მენეჯმენტის შესწავლა.


სასტუმრო ბიზნესს, როგორც მომსახურების სფეროს, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში და საქართველო ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. საქართველოში სასტუმრო ბიზნესის განვითარებამ ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკის ზრდას, მოსახლეობის სავალუტო შემოსავლების მატებას, უმუშევრობის დონის შემცირებას. დღეს ტურიზმში დასაქმებულ ადამიანთა ნახევარი მუშაობს სასტუმრო მეურნეობაში. ჩვეულებრივ ითვლება, რომ უცხოელი ტურისტი სატრანსპორტო ხარჯებზე და კვებაზე ხარჯავს-40%, სასტუმროზე-30%, ქვეყნის შიგნით მოგზაურობაზე-8%, სხვა ხარჯები-22%. ასეთ დანახარჯებს ქვეყნისათვის მოაქვს დადებითი ეფექტი. სასტუმრო ბიზნესი ქვეყანაში უცხოური.

ვალუტის (ხშირ შემთხვევაში დოლარი-ევრო) შემოდინების ერთ-ერთი მთავარი წყაროა. აქედან გამომდინარე ახალი სასტუმროების მასობრივი მშენებლობა თავისთავად ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელია.

საოჯახო ტიპის სასტუმროები ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. საქართველოში ეს სფერო საკმაოდ მძიმე ვითარებაშია. პრაქტიკულად, ჩვენთან მხლოდ მაღალი კლასის სასტუმროებია, რომლებიც საშუალო ფენისათვის ხელმისაწვდომი არ არის. ამ ბიზნესის მფლობელების თქმით, მსოფლიოში საშუალო კლასის სასტუმროებზე მოთხოვნა მაღალია. თუმცა, ჩვენთან ეს სფერო არახელსაყრელი ფაქტორების მიზეზით ვერ ვითარდება. საქსტატის მონაცემებით, ქვეყანაში ტურისტების რაოდენობა გაიზარდა. შესაბამისად მსგავსი ტიპის ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა აუცილებელია.

სასტუმრო ბიზნესი რეგიონებში არსებულ პრობლემებზე საუბრობს და სახელმწიფოს სეზონური გადასახადის დაწესებას სთხოვს. საქმე ის არის რომ სასტუმროებს, რომლებიც საქართველოს რეგიონებში მდებარეობს და ტურისტული სეზონიდან გამომდინარე მუშაობა 2-3 თვე აქვთ სახელმწიფოსთვის ქონებისა და მოგების გადასახადის გადახდა 12 თვის მანძილზე უწევთ. პრობლემაა კომუნალური გადასახადებიც. აბსოლუტურად არარენტაბელურია სეზონურ ადგილებში გესტჰაუსებისა და სასტუმროების გახსნა. ინვესტორისთვის საქართველოს სეზონური რეგიონები არამომხიბლავი ხდება. რეგულაციების მიხედვით საქართველო ერთ-ერთი ცუდი ადგილია სასტუმრო ბიზნესის დასაწყებად. საგადასახადო სისტემის გარდა საკმაოდ რთულია რეგიონებში შეძენილი საკვების გაფორმება, საკმაოდ რთული ადმინისტრაციული პროცედურებია, რომელიც ბიზნესს ხელს უშლის.

ჩვენ ქ.ქუთაისში განთავსების საშუალებების სახეობათა კვლევამ გვიჩვენა, რომ ტურისტული მოთხოვნის გამოცოცხლებამ სასტუმრო ბიზნესისა და განთავსების არატრადიციული საშუალებების განვითარება გამოიწვია. ქუთაისში ჩამოსული ტურისტების უმრავლესობა საშუალო კლასის წარმომადგენელია. მაღალია ქალაქის სასტუმროების მიერ მათდამი შეთავაზებული სერვისების ტარიფები. თუ მაგა-

ლითად, ანტალიაში 4 ვარსკვლავიანი სასტუმრო ღირს 25 დან 70 აშშ დოლარამდე, ქუთაისში ფასი 50-დან 150 დოლარამდე მერყეობს. ამიტომ ბევრი ვიზიტორი დამოუკიდებლად ეძებს განთავსების საშუალებებს, მათი უმრავლესობა.

უპირატესობას საოჯახო სასტუმროებსა და ჰოსტელებს ანიჭებს. სწორედ ამიტომ აუცილებელია არა მარტო ქუთაისში არამედ მთელ საქართველოში მეტი საოჯახო სასტუმროს არსებობა.

ქ. ქუთაისის სასტუმროთა მენეჯმენტში არსებობს მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც საჭიროებს შესწავლას. ასევე სასტუმროების წარმატებული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია სხვადასხვა მომსახურების სინქრონულად მართვა. სასტუმრო ბიზნესის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის ფონზე იკვეთება პრობლემები, რომლებიც აფერხებს ტურიზმის ინდუსტრიის შემდგომ პერსპექტივებს ქალაქ ქუთაისში. მათ შორის აღსანიშნავია: მაღალი ფასები, მოუწესრიგებელი შიდა ინფრასტრუქტურა, საშუალო ფენისათვის განკუთვნილი განთავსების საშუალებების ნაკლებობა, ამ სფეროში დასაქმებულ მენეჯერთა არაკვალიფიციურობა, სასტუმროების კლასიფიკაციის მოუწესრიგებელი სტანდარტი.

აღნიშნული პრობლემების მოგვარებისათვის აუცილებელია დროული და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რათა არ შეფერხდეს ის ინტერესი რაც არსებობს ტურისტების მხრიდან და სასტუმრო ბიზნესიც უკეთ განვითარდეს საქართველოში.

**საკვანძო სიტყვები:** კემპინგი, გესტჰაუსი, ჰოსტელი, ტენდენცია, კლასიფიკაცია, სინქრონი.

ტურიზმის ინდუსტრია რთული, მრავალმხრივი წარმონაქმნია და შედგება მრავალი კომპონენტისაგან, მათ შორის უმთავრესია განთავსების საშუალებები. სასტუმროების მართვა საკმაოდ რთული პროცესია, ამიტომ წარმატებული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია სხვადასხვა მომსახურების სინქრონულად მართვა. სასტუმრო ბიზნესს, როგორც მომსახურების სფეროს, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში და საქართველო ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. საქართველოში სასტუმრო ბიზნესის განვითარებამ ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკის ზრდას, მოსახლეობის სავალუტო შემოსავლების მატებას, უმუშევრობის დონის შემცირებას. აღსანიშნავია, რომ დღეს ტურიზმში დასაქმებულ ადამიანთა ნახევარი მუშაობს სასტუმრო მეურნეობაში. სასტუმრო ბიზნესი ქვეყანაში უცხოური ვალუტის (ხშირ შემთხვევაში დოლარი-ევრო) შემოდინების ერთ-ერთი მთავარი წყაროა. აქედან გამომდინარე ახალი სასტუმროების მასობრივი მშენებლობა თავისთავად ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელია. მნიშვნელოვანია სასტუმრო ბიზნესის განვითარება ეროვნული ეკონომიკის ნიველირების თვალსაზრისით. სასტუმრო ბიზნესის წვლილი საგადამხდელო ბალანსში გამოიხატება მოცემულ ქვეყანაში უცხოელი ტურისტების მიერ გაწეულ ხარჯებს შორის სხვაობაში.

სასტუმრო ბიზნესს სპეციალიზაციის სამი მიმართულება აქვს: ორიენტაცია შეძლებულ, საშუალო და მცირე შემოსავლიან ტურისტზე. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოში ძირითადად ჩამოდიან საშუალო და მცირე შემოსავლიანი ტურისტები, აუცილებელია ჩვენი ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში საოჯახო ტიპის სასტუმროების არსებობა, ასეთი სასტუმროებს ძირითადად ისეთი ტურისტები მიმართავენ, რომლებიც ინდივიდუალურად მოგზაურობენ, რაც აიხსნება შედარებით დაბალი ფასებით. როგორც საერთოდ ბიზნესის, ასევე სასტუმრო ბიზნესის ძირითადი მიზანია მოგების მიღება, მაგრამ აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს რეგიონის (ადგილობრივი მოსახლეობის) ინტერესები, რადგან ამის გარეშე შეიძლება სასტუმრო ბიზნესი საერთოდ ვერ განვითარდეს მოცემულ რეგიონში, რაც გამოიწვევს რეგიონისათვის დიდ ეკონომიკურ დანაკლისს.

კიდევ ერთხელ მინდა გავუსვა ხაზი იმას, რომ საოჯახო ტიპის სასტუმროების მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში ტურიზმისა და ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. საქართველოში ეს სფერო საკმაოდ მძიმე ვითარებაშია.

პრაქტიკულად, ჩვენთან მხოლოდ მაღალი კლასის სასტუმროებია, რომლებიც საშუალო ფენისათვის ხელმისაწვდომი არ არის. ამ ბიზნესის მფლობელების თქმით მსოფლიოში საშუალო კლასის სასტუმროებზე მოთხოვნა მაღალია. თუმცა ჩვენთან ეს სფერო არახელსაყრელი პირობების გამო ვერ ვითარდება.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის, რომ ეკონომიკა და ტურიზმი მჭიდროდ ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან. ეკონომიკა ზემოქმედებს ტურიზმზე, ხოლო ტურიზმი ქვეყნის მთლიან ეკონომიკაზე.

სასტუმრო - განთავსების კოლექტიური საშუალებაა, რომელიც განსაზღვრული რაოდენობის ნომრებისაგან შედგება და მის საქმიანობას წარმოადგენს ჩამოსულთა მოკლე ვადით (365 დღემდე) განთავსება გარკვეული ღირებულების გადახდით. იგი წარმოადგენს ერთიანი ხელმძღვანელობით ფუნქციონირებად კომპლექსს, რომელიც დაყოფილია კლასებად და კატეგორიებად დაჯგუფებული ნომრების, მოწყობილობებისა და მომსახურების მიხედვით.

70-იან წლებში განვითარდა სასტუმროების მსხვილი საერთაშორისო და ეროვნული გაერთიანებები ე.წ. სასტუმროთა ქსელი, რომელთა მუშაობა ორიენტირებული იყო განსაკუთრებული კატეგორიის კლიენტურაზე, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს ტურისტები შეადგენდნენ. დღეს საერთაშორისო სასტუმროების ასოციაციის მონაცემებით სასტუმროების ოფიციალური კლასიფიკაცია მიღებულია მსოფლიოს მხოლოდ 64 ქვეყანაში. ამიტომ სასტუმროების კლასიფიკაციის ერთიანი სისტემის შემუშავება ტურისტული ინდუსტრიის ერთ-ერთ ყველაზე რთულ პრობლემად რჩება. აღნიშნული პრობლემა ტურიზმის სპეციალისტთა ყურადღების ცენტრშია მოქცეული, რომლებიც იღწვიან მის გადასაჭრელად. სხვაობა სასტუმროების კლასებს შორის, მომსახურების ნომენკლატურით, დონითა და ფასებით აისახება. კატეგორიებს ასახავენ სიმბოლოთი - ვარსკვლავი. ვარსკვლავთა რაოდენობა იზრდება სასტუმროს აღჭურვილობისა და ხარისხის დონის მატებასთან ერთად.

ქ. ქუთაისში განთავსების საშუალებების სახეობათა კვლევამ აჩვენა, რომ ტურისტული მოთხოვნის გამოცოცხლებამ სასტუმრო ბიზნესისა და განთავსების არატრადიციული საშუალებების განვითარება გამოიწვია. ჩვენს მიერ შესწავლილი განთავსების საშუალებების სახეობებია: სასტუმრო აპარტამენტები - პატარა ან საშუალო ზომის სასტუმრო ნომრები, ბინების ტიპის. განკუთვნილია დროებით საცხოვრებლად, უმეტესად სასტუმროში თვითმომსახურების ფორმა გამოიყენება. ეკონომ კლასის სასტუმრო - საშუალო ან პატარა ზომის სასტუმრო, მომსახურების შეზღუდული რაოდენობით და სწრაფი მომსახურებით. მოტელი - კერძო სასტუმროს ტიპი „ღამოსთევა და საუზმე“, ასეთი სასტუმრო გამოირჩევა ოჯახური პირობებით და მომსახურებით.

სტატისტიკის დეპარტამენტის 2017 წლის მონაცემების მიხედვით თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და მათ შემოგარენში ძალიან მცირეა ტურისტების განთავსების საშუალებები ე.წ. ჰოსტელები. Hostel - ეს არის საოჯახო ტიპის სასტუმრო, რომელიც წარმოადგენს მოკლე ვადით საცხოვრებელს მოგზაურთათვის. როგორც წესი ეს არის საძინებელი დამატებითი კომფორტის გარეშე. ამასთან ჩვეულებრივ ითვლება, რომ ტურისტი სატრანსპორტო ხარჯებზე და კვებაზე ხარჯავს-40%, სასტუმროზე-30%, ქვეყნის შიგნით მოგზაურობაზე-8%, სხვა ხარჯები-22%. ასეთ დანახარჯებს ქვეყნისთვის მოაქვს დადებითი ეკონომიკური ეფექტი. ქუთაისში ჩამოსული ტურისტების უმრავლესობა საშუალო კლასის წარმომადგენელია, მაღალია ქალაქის სას-

ტუმროების მიერ მათდამი შეთავაზებული სერვისების ტარიფები. თუ მაგალითად ანტალიაში 4 ვარსკვლავიანი სასტუმრო ღირს 25 დან 70 აშშ დოლარამდე, ქუთაისში ფასი 50 დან 150 დოლარამდე მერყეობს, ამიტომ ბევრი ვიზიტორი დამოუკიდებლად ეძებს განთავსების საშუალებებს. მათი უმრავლესობა უპირატესობას საოჯახო სასტუმროებს ე. წ. ჰოსტელებს ანიჭებს. საქსტატის მონაცემებით, ქვეყანაში ტურისტების რაოდენობა გაიზარდა, შესაბამისად მსგავსი ტიპის ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა აუცილებელია.

მაგალითად, დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში შეიმჩნევა სასტუმროებით (ეკონომიკურ კატეგორიაზე) მომსახურების მოთხოვნის ზრდის ტენდენცია, რომელიც საშუალო შემოსავლიანი ტურისტების ინტერესებს ასახავს. როგორც წესი ესაა სამვარსკვლავიანი და ნაწილობრივ ოთხვარსკვლავიანი სასტუმროები. ხოლო რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, დღეისათვის კომფორტაბელური სასტუმროების უმრავლესობა თავმოყრილია დედაქალაქში. ამჟამად თბილისში არსებობს ხუთი მაღალი კლასის სასტუმრო, ესენია: ქორთიარდ მარიოტი, თბილისი მარიოტი შერატონ მეტეხი პალასი, რედისონ ბლუ ივერია. ასევე 2010 წლიდან მოქმედებს მომსახურების მაღალი დონით გამორჩეული ოთხ ვარსკვლავიანი სასტუმრო ჰოლიდეი ინი, რომლებიც საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ბევრ სასტუმროში ოთახების ტარიფები განისაზღვრება წელიწადის დროის შესაბამისად. ქუთაისში დაახლოებით ოცამდე სასტუმრო არსებობს, ესენია: VIP კომპლექსი, „ბაგრატი-1003“, სასტუმრო „იმპერია“, სასტუმრო „აიეტის სასახლე“, სასტუმრო „NNN“, სასტუმრო „არგო“, სასტუმრო „გორა“, საერთაშორისო ბრენდის სასტუმრო „ბესტ ვესტერნ ქუთაისი“, სასტუმრო „ჰარმონია“ და ა.შ. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში სასტუმრო ბიზნესის განვითარების ნათელი მაგალითია აჭარის რეგიონის შავი ზღვის სანაპირო. რეგიონში მოქმედებს ან გახსნის პროცესშია პრაქტიკულად ყველა მსოფლიო ბრენდის სასტუმრო. უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წელს აჭარის რეგიონმა უმასპინძლა საქართველოში ჩამოსული ტურისტების 85%-ს.

თუმცა სასტუმროების 100%-ით დატვირთვა ნიშნავს, რომ მთელი წლის განმავლობაში სასტუმროს ყველა ადგილი მთლიანად დაკავებულია, რაც პრაქტიკულად არ ხორციელდება. უკეთეს შემთხვევაში სასტუმროს წლიური დატვირთვა 65-70%-ს შეადგენს, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს საოჯახო ტიპის სასტუმროების აუცილებლობაზე, რათა ეს პროცენტული მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდოს.

სასტუმრო ბიზნესის ერთ-ერთ პრობლემას ვარსკვლავების მინიჭების სისტემა წარმოადგენს. ქართული სასტუმროები ზოგ შემთხვევაში ვარსკვლავების სისტემას საკმაოდ უდიერად ეპყრობიან და ვარსკვლავებს დამოუკიდებლად ანიჭებენ სასტუმროს. სამწუხაროდ, ქართული სასტუმროებისა და სხვა ინდუსტრიის მენეჯერების დიდ ნაწილს ხშირად მცდარი წარმოდგენა აქვთ ხარისხის შესახებ. მომსახურების ხარისხი, ასევე მისი მრავალფეროვნება მომხმარებელთა მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს და ფასის ადეკვატური იყოს. არსებობენ სასტუმროები, რომლებიც მხოლოდ ელიტარული იმიჯიდან გამომდინარე ადებენ მაღალ ფასებს, სახელის გარდა რაიმე ადეკვატური უპირატესობის გარეშე. ამგვარი მიდგომა გრძელვადიან პერიოდში გამოიწვევს ასეთი სასტუმროების გაქრობას. მიღწეული წარმატების შესანარჩუნებლად მხოლოდ პრეფერენციების სწორად განსაზღვრა და ნდობის მოპოვება საკმარისი არ არის. მოპოვებულ ნდობას შენარჩუნება სჭირდება, რაც მხოლოდ ეფექტიანი მენეჯმენტით მიიღწევა. ასევე აუცილებელია მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება სასტუმროს ექსპლოატაციაში გაშვებამდე.

სასტუმრო ბიზნესის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის ფონზე იკვეთება პრობლემები, რომლებიც აფერხებს ტურიზმის ინდუსტრიის შემდგომ პერსპექტივებს ქალაქ

ქუთაისში. მათ შორის აღსანიშნავია: მაღალი ფასები, მოუწესრიგებელი შიდა ინფრასტრუქტურა, საშუალო ფენისათვის განკუთვნილი განთავსების საშუალებების ნაკლებობა, ამ სფეროში დასაქმებულ მენეჯერთა არაკვალიფიციურობა, სასტუმროების კლასიფიკაციის მოუწესრიგებელი სტანდარტი. იმისათვის, რომ სასტუმროების თანამშრომელთა კვალიფიკაცია ამაღლდეს საჭიროა სემინარებისა და ტრენინგების ჩატარება, მათი ჩართულობა პიარღონისძიებებში. ხოლო სასტუმროების სტანდარტით, გარკვეული კატეგორიის მინიჭებისათვის აუცილებელია განისაზღვროს მინიმალური მოთხოვნები: მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა, მომსახურების ნომენკლატურა, მომსახურების დონე, მოსახერხებელი მისასვლელი გზები, კეთილმოწყობილი ტერიტორია და ა.შ.

ასევე, სასტუმრო ბიზნესი რეგიონებში არსებულ პრობლემებზე საუბრობს და სახელმწიფოს სეზონური გადასახადის დაწესებას სთხოვს. სასტუმროები, რომლებიც საქართველოს რეგიონებში მდებარეობს და ტურისტული სეზონიდან გამომდინარე მუშაობა 2-3 თვე აქვთ სახელმწიფოსთვის ქონებისა და მოგების გადასახადის გადახდა 12 თვის მანძილზე უწევთ. პრობლემაა კომუნალური გადასახადებიც. აბსოლუტურად არარენტაბელურია სეზონურ ადგილებში გესტჰაუსებისა და სასტუმროების გახსნა. ამრიგად ინვესტორისათვის საქართველოს სეზონური რეგიონები არამომხიბლავი ხდება. რეგულაციების მიხედვით საქართველო ერთერთი ცუდი ადგილია სასტუმრო ბიზნესის დასაწყებად. საგადასახადო სისტემის გარდა საკმაოდ რთულია რეგიონებში შეძენილი საკვების გაფორმება, საკმაოდ რთული ადმინისტრაციული პროცედურებია, რომლებიც ბიზნესს ხელს უშლის.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ სასტუმრო ბიზნესის განსავითარებლად გადადგმული ქმედითი ნაბიჯები სახელმწიფოს მხრიდან - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ დაიწყო ფიზიკური და იურიდიული პირების განცხადებების მიღება აჭარის რეგიონში, „ქობულეთის თავისუფალი ტურისტული ზონის“ განვითარების მიზნით, სასტუმროს მშენებლობასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ მშენებლობისათვის განსაზღვრული იქნება მიწის სიმბოლური ფასი. ინვესტორები პროექტის სამშენებლო დოკუმენტაციას უფასოდ მიიღებენ, ამასთან ერთად ტერიტორიაზე მოყვანილი იქნება კომუნიკაციები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოგვარებისათვის აუცილებელია სხვადასხვა დროული და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რათა არ შეფერხდეს ის ინტერესი რაც არსებობს ტურისტების მხრიდან და სასტუმრო ბიზნესიც უკეთ განვითარდეს საქართველოში.

## ბიბლიოგრაფია:


1. ლუხუტაშვილი ნ. ტურიზმის მენეჯმენტი. ქუთაისი 2009;
2. შუბლაძე ვ. „საქართველო და ტურიზმი“, 2009;
3. შუბლაძე ვ. „ტურიზმის როლი და მნიშვნელობა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში“ ჟურნალი „ფინანსები“, 2004;
4. ხაჭაპურიძე ა. ხარატიშვილი ლ. ოჯახური სასტუმროების მფლობელთათვის „ტურისტთა კვების თავისებურებანი“, „ელკანა“, 2008;
5. ოქროცვარიძე ა. ოქროცვარიძე ლ. „ტურიზმი - ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტი“;
6. ოქროცვარიძე ა. „ტურიზმის მენეჯმენტი“. სალექციო კურსის მასალები, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის, ბიზნესისა და მართვის სტუდენტებისათვის. 2010;
7. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, 2015 წლის საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი;

8. www.ipress.ge
9. www.radiotavisupleba.ge

# საბროკერო საქმიანობის თავისებურებებანი საქართველოში

***ადეიშვილი ბაჩუკი*** *– ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი, აკაკი წერეღლის სახემწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი* ***შალამბერიძე ხათუნა*** *– ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი საქართველო*

# Peculiarities of Brokerage Activities in Georgia

***Adeishvili Bachuki*** *– Bachelor's Student, Business Administration, III year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

*Supervisor* ***Shalamberidze Khatuna*** *– Associate Professor, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

## Abstract

Broker is a mediator between the buyer and the seller, credit and commercial, currency and insurance operations during the contract. Broker usually specialized in defined goods and services operate with customer orders and their expense. They also receive remuneration. Broker in Georgia (physical person) the employer carries on behalf of the securities company related to securities Deals or/and services related to it. Brokerage companies are a group of enormous investment and financial companies, which offers customers online trading and investment services in many countries around the world. Also broker provides trading services. The main goal of brokerage companies is transparency, good faith and professionalism. Broker has a team of professionals with experience. Development of brokerage companies is important for improving economic effect in Georgia

**Keywords:** Broker, buyer, seller.

## აბსტრაქტი

ბროკერი არის შუამავალი მყიდველსა და გამყიდველს შორის საკრედიტო და კომერციული, სავალუტო და სადაზღვევო ოპერაციების დროს ხელშეკრულების (კონტრაქტის) დადებისას. ბროკერი, როგორც წესი, სპეციალიზებულია განსაზღვრული სახის საქონელსა და მომსახურებაზე, მოქმედებს კლიენტთა დავალებით და მათ ხარჯზე, მათგან იღებს ანაზღაურებასაც. საქართველოში ბროკერი (ფიზიკური პირი) დამქირავებელი საბროკერო კომპანიის სახელით ახორციელებს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ გარიგებებს ან/და ეწევა მასთან დაკავშირებულ მომსახურებას.

საბროკერო კომპანიები წარმოადგენენ უზარმაზარ საინვესტიციო და ფინანსური კომპანიების ჯგუფს, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ონლაინ ვაჭრობას და საინვესტიციო მომსახურებას .

საბროკერო კომპანიების მთავარი მიზანია გამჭირვალობა, კეთილსინდისიერება და პროფესიონალიზმი. ბროკერს თანამშრომლად აჰყავს დიდი გამოცდილების მქონე პროფესიონალური გუნდი

საქბროკერო კომპანიების განვითარება საქართველოში მნიშვნელოვანია ეკონომიკიური ეფექტის ამაღლებისთვის

**საკვანძო სიტყვები**: ბროკერი, შუამავალი, მყიდველი, გამყიდველი.

წარმოქმნის მომენტიდან ბირჟა წარმოადგენდა შუამავალ ბაზარს, ანუ ბაზარს, რომელზეც გარიგების დადების უფლება აქვს მხოლოდ განსაზღვრული წრის წარმომადგენლებს – სხვადასხვა სპეციალიზაციის ბროკერებს.

***ბროკერი არის*** - შუამავალი მყიდველსა და გამყიდველს შორის საკრედიტო და კომერციული, სავალუტო და სადაზღვევო ოპერაციების დროს ხელშეკრულების (კონტრაქტის) დადებისას. ბროკერი, როგორც წესი, სპეციალიზებულია განსაზღვრული სახის საქონელსა და მომსახურებაზე, მოქმედებს კლიენტთა დავალებით და მათ ხარჯზე, მათგან იღებს ანაზღაურებასაც. საქართველოში ბროკერი (ფიზიკური პირი) დამქირავებელი საბროკერო კომპანიის სახელით ახორციელებს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ გარიგებებს ან/და ეწევა მასთან დაკავშირებულ მომსახურებას.

საფონდო ბაზარზე ოპერაციების განხორციელება ხდება ბროკერების შუამავლობით, ასე რომ პირველ რიგში საჭიროა შესაფერისი ბროკერის შერჩევა.

ამ ეტაპზე საქართველოში 8 საბროკერო კომპანიაა:

1. შპს „თიბისი კაპიტალი"
2. სს გალტ ენდ თაგარტი
3. შპს ქართუ ბროკერი
4. სს კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი
5. შპს აბზი ასეტ მენეჯმენტი
6. სს ჰერითიჯ სიქიურითიზ
7. შპს კაუკასუს ფაინენშიალ სერვისი
8. შპს ფიდელის ველს მენეჯმენტი.

იმისათვის, რომ უკეთესი წარმოდგენა გვქონდეს საბროკერო კომპანიებზე უპრიანი იქნება დავახასიათოთ რამოდენიმე მათგანი. კერძოდ:

**საბროკერო კომპანია „გალტ & თაგარტი“** საქართველოს ბანკის ჰოლდინგური კომპანიის 100% მფლობელობაში არსებული შვილობილია, რომელმაც თავი დაიმკვიდრა, როგორც წამყვანმა კომპანიამ საქართველოში ინვესტიციების მართვის სფეროში. მისი საქმიანობა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: საინვესტიციო ბანკინგს, აქტივებისა და დაგროვილი ქონების მართვას, კვლევებსა და საბროკერო მომსახურებას.

სს “გალტ ენდ თაგარტი, რომელმაც საქართველოში საუკეთესო რეგიონალური საბროკერო კომპანიის წოდება მიიღო. ,,ეს არის მართლაც პრესტიჟული ჯილდო, რომელიც წარმოადგენს “გალტ ენდ თაგარტის” აღიარებას, როგორც წამყვანი საბროკერო კომპანიისა რეგიონში. “გალტ ენდ თაგარტი” მომხმარებელს სთავაზობს საერთაშორისო ბაზრებზე ვაჭრობის შესაძლებლობას, ონლაინ სავაჭრო პლატფორმის საშუალებით” – www.trader.ge.

ამასთან, კლიენტს სთავაზობს საბროკერო და სადილერო მომსახურებას არა მხოლოდ წამყვან საერთაშორისო, არამედ ძნელად შეღწევად განვითარებად ბაზრებზეც.

„საქართველოში, სასესხო კაპიტალის ბაზარის განვითარებაში გალტ & თაგარტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ქართულ კომპანიებს, რომელთაც ძლიერი კორპორაციული მმართველობა აქვს, გალტ & თაგარტი აქტიური მხარდაჭერით, შესაძლებლობას აძლევს მოახდინონ დაფინანსების სტრუქტურის დივერსიფიკაცია, კორპორატიული ობლიგაციებით ფულის მოზიდვის საშუალებით. მხოლოდ 2017 წელს გალტ & თაგარტი 7 გარიგებაში წარმოადგენდა ობლიგაციების განთავსების აგენტს და ლიდ-მენეჯერს. ამ განთვსებების მეშვეობით მათ შეძლეს, რომ კლიენტებისთვის წარმატებით მოეზიდათ 311 მილიონი ლარი და 30 მილიონი აშშ დოლარი. ბოლოდროინდელი აქტივობის და მოვლენათა განვითარების შედეგად, სასესხო კაპიტალის ქართული ბაზარი კიდევ უფრო მიმზიდველი ხდება წამყვანი კორპორაციებისათვის და საერთაშორისო ინვესტორებისთვის, ამიტომაც, გალტ & თაგარტი სავარაუდოდ, მომავალშიც შეინარჩუნებს ლიდერის პოზიციას რეგიონში“.

**შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერი“** რეგისტრირებულია 2001 წლის 26 ივნისს და არის 1999 წლის 24 ივნისს რეგისტრირებული შპს „საბროკერო კომპანია რჩება“-ს სამართალმემკვიდრე.

**კომპანიის ძირითადი ფუნქციებია:**

- კონსულტაციები ინვესტორისა და ემიტენტისათვის;
- ემიტენტის ფასიანი ქაღალდების არაგარანტირებულ საფუძველზე განთავსების მომზადება-განხორციელება;
- კლიენტის დავალებით ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა;
- კლიენტის საინვესტიციო პორტფელისა და ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებისათვის გამოყოფილი სახსრების მართვა;
- კლიენტის საინვესტიციო სახსრების ან/და ფასიანი ქაღალდების შენახვა-აღრიცხვა, აგრეთვე, ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელის მომსახურება.

საბროკერო კომპანიას ფასიანი ქაღალდებით განხორციელებული აქვს მრავალი ოპერაცია როგორც ადგილობრივ, ასევე, უცხოეთის ბაზრებზე. მათ შორის, განსაკუთრებით წარმატებული იყო ოპერაციები რუსეთის ბაზარზე 2005 წელს, ხოლო საქართველოს ბაზარზე – 2007 წელს.

მაგრამ საბროკერო ფირმები აქტიურად მოქმედებენ ახალი კლიენტების მოსაზიდად, რისთვისაც აკეთებენ სარეკლამო განცხადებას. უფრო ხშირად გამოიყენება ნაბეჭდი განცხადებები პრესაში, რომლებიც მიმართულია საქმიანი ადამიანებისაკენ.

როდესაც კლიენტები მიმართავენ საბროკერო ფირმას, მათ აქვს შემდეგი უპირატესობები:

- მნიშვნელოვნად ზრდიან სავაჭრო ოპერაციების მოცულობებს საკუთარი დანახარჯების
- ზრდის გარეშე ამ მიზნებისათვის;
- შეუძლიათ გამოიყენონ მაღალკვალიფიციური სავაჭრო პერსონალი;
- შეუძლიათ ოპერაციებზე გაწეული ხარჯების დაბალანსება, რადგანაც შუამდგომლობაზე გაწეული ხარჯები უშუალოდ დაკავშირებულია კლიენტების ოპერაციების მოცულობაზე.

**შპს აბზი ასეტ მენეჯმენტი**

კომპანია „აბზი ასეტ მენეჯმენტი“ (აბზი) შეიქმნა 2009 წლის სექტემბერში, მენეჯმენტის მიერ შპს „გალტ ენდთაგგარტ ასეტ მენეჯმენტი“–ს „საქართველოს ბანკი“-დან გამოსყიდვის შედეგად.

აბზის პრიორიტეტი არის მეგობრობის ფონდის და კლიენტების ინდივიდუალური ანგარიშების მართვა.

აბზის ფულადი სახსრების გამოცდილება მოიცავს ხუთ წლიან პერიოდს რომლის დროსაც ის წარმატებით მართავდა საქართველოში უმსხვილეს ალდაგი ბისიაის საპენსიო ფონდს.

აბზის ასევე აქვს ენერგო და სოფლის მეურნეობის სექტორებში საინვესტიციო კომპანიების მართვის მრავალწლიანი გამოცდილება.

**სს კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი**

„კაუკასუს კაპიტალი“ არის ერთ-ერთი მოწინავე საბროკერეო კომპანია საქართველოში, რომელიც ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოქმედებს 2006 წლიდან (რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ) ჩვენი მიზანია ხელი შეუწყოთ ინვესტორებს საინვესტიციო ამოცანების რეალიზებაში და ხელმისაწვდომი გავხადოთ მათვის საფინასო ბაზარის შესაძლებლობანი. შეგვაქვს რა ჩვენი წვლილი აქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების

საქმეში, ჩვენ ასევე მუდმივად ვაფართოვებთ მოქმედების არეალს საზღვრების გარეთაც, რაც შესაძლებლობას გვაძლევს კლიენტებს შევთავაზოთ უცხოური მაღალკვალიფიციური სავაჭრო ინსტრუმენტები.

## HDFOREX – №1 ბროკერი საქართველოში!

კომპანია HDFOREX-ი უკვე 3 წელზე მეტია, რაც ქართულ და საერთაშორისო ბაზარზე მოღვაწეობს. მან ქართულ ბაზარზე ლიდერობა გამოჩენიდან ძალიან მალე მოიპოვა და დღემდე დარგის სათავეში დგას. აღსანიშნავია, რომ ამ კომპანიას ერტი ფილიალი გახსნილი აქვს ქუთაისში და სულ ეხლახანს მათმა ჩვენს უნივერსიტეტთან თანამშრომლობის მემორანდუმიც გააფორმეს.

კომპანიის სტრატეგიული პარტნიორია ერთ-ერთი უმსხვილესი ბრიტანული ტექნოლოგიური კომპანია LMAX-ი, რომლის მეშვეობით HDFOREX-ი იყენებს სავაჭრო ტექნოლოგია LMAX Professional-ს. ეს ტექნოლოგია ტრეიდერებს გამჭვირვალე და მაღალი დონის სავაჭრო გარემოს სთავაზობს. იგი ლიკვიდურობას აწვდის უმაღლესი რეიტინგის (AAA) მქონე ბანკების და კერძო საერთაშორისო ფონდებიდან. მაგალითისთვის როგორიცაა Bank of America, BNP PARIBAZ, COMMERZBANK, CITI, JP Morgan და სხვა.

HDFOREX-ის მომხმარებლებს საშუალება აქვთ ივაჭრონ MT4 პლატფორმაზე, რომელიც LMAX-თან თანამშრომლობით იღებს შემდეგ უპირატესობებს:

- შეკვეთის შესრულების მაღალი ხარისხი – სისწრაფე და ეფექტიანობა; გამონაკლისის გარეშე ფასის და დროის პერიოდის სიზუსტე;
- ლიკვიდურობის მაღალი დონე – გარანტირებულად გამჭვირვალე ფასთა მომწოდებელი, თითოეული გარიგებისათვის ფიქსირდება გარიგების რეალური თვითღირებულება და ინსტრუმენტის რეალური ფასი;
- მომხმარებლის აბსოლუტური ანონიმურობა;
- სისწრაფე – ყველა გარიგების შესაბამისობა და განხორციელება ხდება საშუალოდ 4 მილიწამი სიჩქარით.

მომხმარებლებს ეძლევათ შესაძლებლობა, აწარმოონ უშუალოდ საბაზრო ვაჭრობა სხვადასხვა საბაზრო ხარვეზების გარეშე. ვაჭრობის მიმართ ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად ამცირებს ე.წ. არასაბაზრო რისკებს, რომელიც დამახასიათებელია კლასიკური სადილინგო ცენტრებისთვის.

ამ კომპანიის უპირატესობა გახლავთ ის, რომ კომპანიის შემოსავლები პირდაპირაა დამოკიდებული ტრეიდერების შემოსავლებთან. მათი ბიზნესმოდელი მოწყობილია ისე, რომ კომპანიის მოგება იზრდება სავაჭრო მოცულობის ზრდის და მომხმარებლების მიერ ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციების რაოდენობის პარალელურად. შესაბამისად, კომპანიის ინტერესებში შედის ტრეიდერთა წარმატებული ვაჭრობა და მათთვის მუდმივად კომფორტული გარემოს შექმნა.

ბროკერის არჩევისას უნდა შეფასდეს მისი ფინანსური საიმედოობა. ამისათვის არსებობს სხვადასხვა სააგენტოების რეიტინგები. რა თქმა უნდა უფრო სასურველია ისეთ ბროკერთან საქმის დაჭერა, რომლებიც ამ რეიტინგების პირველი პოზიციები უკავიათ, რაც თავის მხრივ მათი საიმედოობის მაღალ ხარისხზე მიუთითებს. პირველ ეტაპზე უნდა შეადგინოთ საიმედო ბროკერების სია და შემდეგ თქვენთვის სასურველი კრიტერიუმების თვალსაზრისით უნდა გაიფილტროს იგი.

აგრეთვე, მნიშვნელოვანი ფაქტორია საბროკერო კომპანიის ფიზიკური მისამართი. იმ შემთხვევაში თუ ტრეიდერი დიდი მოცულობის კონტრაქტებით/გარიგებებით ვაჭრობს, საჭიროა, რომ იგი (ან მისი თანაშემწე, ბუღალტერი და ა.შ.) თვეში ან კვარტალში ერთხელ (გააჩნია სავაჭრო სპეციფიკაციას) გამოცხადდეს საბროკერო კომპანიის ოფისში.

ბროკერთან ურთიერთობის ყველაზე პოპულარული ფორმა არის მასთან ინტერნეტით კომუნიკაცია. ტრეიდერი შეკვეთებს იძლევა ნებისმიერი ადგილიდან მხოლოდ საკუთარი კომპიუტერის გამოყენებით. სხვა ტექნიკური საშუალებები ამისათვის საჭირო არ არის. ინტერნეტ ტრეიდინგულ მომსახურებას გვთავაზობს პრაქტიკულად ყველა ბროკერი. ასევე არსებობს ტელეფონით სავაჭრო შეკვეთების მიღების სისტემაც. ამ შემთხვევაში გამოიყენება კოდური სიტყვა, რომელსაც მასთან ურთიერთობის დაწყების შემდეგ გაძლევთ თავად ბროკერი. ცნობისათვის - ასეთი ტრეიდინგის დროს, სავაჭრო ოპერაციების საიმედოობისათვის, ყველა სატელეფონო საუბარი იწერება.

ფიუჩერსულ ვაჭრობაში დაკავებული შუამავლების უშუალო ამოცანას წარმოადგენს კლიენტებისათვის სხვადასხვა სახის მომსახურების გაწევა, რაც შემდეგში მდგომარეობს;

- საბირჟო ოპერაციების ბრძანებების მიღება, გადაცემა და შესრულება;
- დეპოზიტისა და მარჟის გაცემა საანგარიშწორებო პალატაში;
- ანგარიშებისა და ანგარიშგების წარმოება;
- ინფორმაცია ბაზრის მდგომარეობის შესახებ;
- კონსულტაცია კლიენტებისათვის.

მიზეზებიც არსებობს, რის გამოც სავალალო მდგომარეობაშია საბროკერო კომპანიებისა და თვით საქართველოს საფონდო ბირჟის ფუნქციონირების საკითხიც.

ფიუჩერსული საკომისიო ვაჭრები ფიზიკურ პირებს შემდეგი სახის მომსახურებას უწევენ:

- კლიენტების სახსრების უსაფრთხო შენახვა;
- ინფორმირება ბაზრის მიმდინარე მდგომარეობის შესახებ;
- ბრძანებების მიღება და ინფორმირება საკომისიოს შესახებ;
- ანგარიშის შედგენა სავაჭრო საქმიანობაზე /შემოსავალი, ხარჯები და მოგება;
- ბაზრის ანალიზის შესახებ ანგარიშის გამოქვეყნება.

გაწეული ხარჯები უშუალოდ დაკავშირებულია კლიენტების ოპერაციების მოცულობაზე.

**მაგალითად, საბროკერო კომპანია MFX Broker Georgia -ს** ინფორმაციით, საქართველოს ბაზარზე საშუალოდ 2000-5000 დოლარის ფარგლებში ვაჭრობენ. კომპანიის ხელმძღვანელის, (მარგო ჟიზნევსკაიას) განმარტებით, ყოფილა შემთხვევები როდესაც კლიენტს 0,5 მლნ ლარითაც უვაჭრია, თუმცა საშუალო თანხა, რითაც საქართველოში ვაჭრობენ 2000 -5000 დოლარია. ჟიზნევსკაიას განმარტებით, ქართულ ბაზარზე ყველაზე მეტად ევრო/დოლარზე ვაჭრობენ, ხოლო მის შემდგომ კი ქართველ მომხმარებლებს ოქროთი ვაჭრობა მოსწონთ.

„მათ შორის სხვაობა კი ისაა, რომ ოქროს მოძრაობები არის ძალიან დიდი - თუ დოლარი ან ევრო შეიძლება გაიზარდოს 20 პუნქტით, ოქრო შესაძლოა გაიზარდოს 500 პუნქტით", - განმარტავს ჟიზნევსკაია.

აღსანიშნავია, რომ MFX Broker Georgia საქართველოში გაფართოებას გეგმავს და რამდენიმე დღეში ოფისს **ქუთაისში** გახსნის. ქუთაისის შემდეგ კომპანიის ოფისი უკვე ბათუმში გაიხსნება.

ხელმძღვანელების განმარტებით, კომპანია საქართველოში Forex -ის პროდუქციის განვითარებაზე 9 თვეა რაც ზრუნავს და ამ ხნის განმავლობაში განმავლობაში კი მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციის მოცულობამ 150000 დოლარი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ Forex -ის ბაზარი საქართველოში ჯერ-ჯერობით მხოლოდ ვითარდება, ზოგ შემთხვევაში MFX Broker Georgia პირველია, იგივე ბონუსების პროგრამით, რომელიც არცერთ კონკურენტს არ აქვს. იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი ახალ მომხმარებელს მოიყვანს, მას ბონუსები ერიცხება.

კომპანია პერიოდულად მართავს ტრენინგებს, ამ დრომდე კი 2700 კაცზე მეტი ჰყავთ დატრენინგებული. შეგახსენებთ, რომ ქართულ ბაზარზე, სავალუტო ბაზრის მსოფლიოში ცნობილი ბროკერი - კომპანია Master Forex-ი 2013 წლის მეორე ნახევარში შემოვიდა. საქართველოში Master Forex-ის ოფიციალური წარმომადგენელი კომპანია MFX Group Georgia-ა, რომელიც თავის მხრივ ემსახურება როგორც ინდივიდუალურ, ასევე კორპორატიულ კლიენტებს. MFX Group-ის ოფისი თბილისში „პიქსელის" შენობაშია განთავსებული, რომელიც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფასო კონსულტაციებს უწევს.

კომპანია უკვე 30 ქვეყანაშია წარმოდგენილი, მათ შორის დსთ-ს ქვეყნებში. კომპანიის ინფორმაციით, ისინი ბიზნესის გაფართოებას და ახალ ბაზრებზე შესვლას გეგმავენ და სწორედ ამ მიზნით კომპანიამ საკუთარი წარმომადგენლობა საქართველოშიც დააფუძნა. აღსანიშნავია, რომ კომპანიას გააჩნია საბაზრო ეკონომიკასთან მუშაობის გამოცდილება, ბიზნეს-გეგმები დასაწყისისთვის, კრეატიული მიდგომა სწავლისთვის. კომპანიის საქმიანობის მიმართულებები არის: საინვესტიციო საქმიანობა, ფინანსური კონსულტაციები, სამშენებლო ბიზნესი, სპონსორობა და ქველმოქმედება.

საბირჟო სფერო, რომლის საშუალებითაც ვაჭრობა სხვადასხვა პროდუქტით, მათ შორის ვალუტითაც ხდება, ადგილობრივ ბაზარზე საკმაოდ აქტუალურია და ათასობით მომხმარებელი ჰყავს. ამის მიუხედავად, საბროკერო კომპანიების მიმართ ყოველწლიურად საზოგადოებაში იზრდება უკმაყოფილება. მათი უმეტესი ნაწილი მიიჩნევს, რომ მსგავსი კომპანიები თაღლითობის ალტერნატიული საშუალებით მომხმარებლებს ატყუებენ.

სანტერესოა, მოქმედებს თუ არა რაიმე სახის რეგულაცია ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის მიმართულებით და მათ შორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით?

აღნიშნულ მიმართულებას საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ და ეროვნული ბანკის ორგანული კანონი არეგულირებს. განსაზღვრულია საბროკერო კომპანიების შექმნის წესი. მაგალითად, საბროკერო კომპანიის დაფუძნება ნებისმიერ იურიდიულ პირს შეუძლია. ამის უფლება აქვთ - ბანკებსაც. კანონმდებლობაში ასევე ცალკეა გამოყოფილი მომხმარებელთან ურთიერთობის ნაწილიც.

იმისათვის, რომ მომხმარებელმა ენდოს საბროკერო კომპანიას, იგი ვალდებულია თავისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია კლიენტს სრულად გააცნოს. როგორია კაპიტალი, მოგება, საინვესტიცო პორტფელი, აქტივები დ ა.შ.

მომხმარებელი ინფორმირებული უნდა იყოს იმ რისკებზეც, რომელსაც ვაჭრობის პროცესში შეიძლება ადგილი ჰქონდეს. იმ შემთხვევაში თუ კომპანია არღვევს მოქმედ კანონმდებლობას და მას მომხმარებელი უჩივის, ეს უკვე სამართლებრივი დავაა. ბრალეულობის დამტკიცების შემთხვევაში კომპანიას შესაძლოა, დაეკისროს ჯარიმა ან საერთოდაც ლიცენზია ჩამოერთვას.

კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებები მხოლოდ 2017 წლის 23 დეკემბერს შევიდა. მანამდე. მაგალითად, საბროკერო კომპანიებს ფორექსის ინსტრუმენტით ვაჭრობის და შე-

საბამისი პლატფორმის ორგანიზების უფლება არ ჰქონდათ. ეს კი ნიშნავს იმას, რომ წლების განმავლობაში ოპერაციებს არალიცენზირებული და არარეგულირებული კომპანიები ახდენდნენ. რაც შეეხება ლიცენზირებულ საბროკერო კომპანიებს, 23 დეკემბრამდე, მათ არ ჰქონდათ უფლება მომხარებლისთვის ფორექსით მომსახურება გაეწიათ. დადებითი მოვლენაა ის, რომ ეს სფეროც შესაბამისი რეგულაციის ქვეშ მოექცა.

ამრიგად, საბროკერო კომპანიები წარმოადგენს უზარმაზარ საინვესტიციო და ფინანსური კომპანიების ჯგუფს, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ონლაინ ვაჭრობასა და საინვეტიციო მომსახურეობას ასევე ბროკერი უზრუნველყოფს სავაჭრო მომსახურებასაც.

საბროკერო კომპანიების ბაზარზე დამკვიდრებისა და მომხმარებლის ბაზის უზრუნველყოფის მთავარი კრიტერეიუმებია: გამჭვირვალობა, კეთილსინდისიერება და პროფესიონალიზმი. საბროკერო კომპანიების განვითარება მნიშვნელოვანია საქართველოში ეკონომიკური ეფექტის ამაღლებისთვის.

# აღრიცხვისა-ანგარიშგების თავისებურებები და სრულყოფის საკითხები მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში

***ზაქარაშვილი ანა*** – *ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის II კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი* ***სოლოღაშვილი დალი*** – *ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

# Peculiarities of accounting-reporting and perfection issues in micro finance organizations

***Zakarashvili Ana*** *– Master's Student, Business Administration, II year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

*Supervisor* ***Sologhashvili Dali*** *– Doctor in Economics, Professor, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

**Abstract**

**Introduction and research purpose:** Micro finance organizations are types of finance intermediaries, which are one of the alternatives of the commercial banks. Micro finance organizations as the private sector subjects have an important role in developing the country's economy. Their reliable and effective functioning contributes to the stability of the economy. The peculiarity of the micro finance organization is the large share of the attracted funds. Therefore, it is very important to ensure their correct legal regulation and to develop relevant recommendations on micro finance sector activities. The purpose of the research is to study and analyze the laws and regulations governing micro finance organizations operating in Georgia and subordinate normative acts, the main trends and characteristics of the tax regulation as well as the accounting and audit of their activities. All of the above mentioned have an essential influence on the financial condition and the results of the micro finance organizations. The research has to answer the questions like: Will it be a great mistake to move the regulations of non-bank sector to the National Bank? Isn't it a negative tendency for developing financial sector? What will be changed in the accounting issues? How and what should be changed in regulation and legislative terms as micro finance organizations guaranteed for one thing, their own activity and for another thing the profit of the whole society. How can the effectiveness of micro finance organizations' activity be increased with the change of account-reporting policy? What role should the National Bank and other controlling bodies have in these issues? What should be the main directions of the development? What can the micro finance organizations do

themselves due to accounting-reports as well as financial transparency? The answers to the questions will give a clear picture about the future of the micro finance organizations' activity and their role in the country's developing process that is very essential for the developing countries.

**The methodological basis** of the research is the scientific as well as economic research methods in general. Namely: functional analysis and synthesis, comparison, assessment, logical approaches, economic, assessment method of normative risk, the method of collecting evidence, results and implications: Micro finance organizations are quite a growing sector, therefore, making accounting and financial reports, as well as audit on a high level is of great importance. Accounting process is characterized by a number of peculiarities in similar organizations that affect the methodology and the policy of the accounting. The order of the National Bank of Georgia № 49 is about „approving the accounting report plan of the micro finance organization and the instruction of its usage", where the accounting plan and the instruction of its usage are attached. It is also necessary to conduct accounting according to internationally recognized regulatory norms and standards.

**Conclusion:** In December of 2017 in total 75 micro finance organizations were operating in Georgia. The micro finance sector is developing and promising lots of innovations to the customers as well as to Georgian and foreign investors. It is important to share the world experience. It also should be taken into consideration that the fact that more or less access to finances, credit discipline and financial education is a small part of the contribution to the development of Georgia's economy that is taken by micro finance sector. And their success is connected with its right management, and the management itself means the perfection of the accounting-reporting. The system of accurate accounts is the result of mutual effort of the micro finance organizations as well as the effort of the state. Correct organization will provide the control and transparency that will finally contribute to raising people's reliability.

**Keywords:** micro finance activity, legal regulation, accounting, analysis, reports of micro finance organizations.

## აბსტრაქტი

**შესავალი და კვლევის მიზანი:** მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ფინანსური შუამავლების სახეობაა, რომლებიც კომერციული ბანკების ერთ-ერთ ალტერნატივას წარმოადგენენ. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, როგორც კერძო სექტორის სუბიექტებს, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, მათი საიმედო და ეფექტური ფუნქციონირება ხელს უწყობს ეკონომიკის სტაბილურობას. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების დამახასიათებელი თავისებურებაა მოზიდული სახსრების დიდი ხვედრითი წილი, გამომდინარე აქედან ძალზედ მნიშვნელოვანია მათი სწორი სამართლებრივი რეგულირება და შესაბამისი რეკომემდაციების შემუშავება მიკროსაფინანსო სექტორის საქმიანობასთან დაკავშირებით. კვლევის მიზანია შესწავლილი და გაანალიზებული იქნას დღეისათვის საქართველოში მოქმედი „მისო" ორგანიზაციბის საქმიანობის მარეგულირებელი კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, მათი საქმიანობის სფერო, საგადასახადო რეგულირების აგრეთვე საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის ძირითადი ტენდენციები და თავისებურებები. ყოველივე ზემოთ აღნიშნული არსებით ზეგავლენას ახდენს „მისო"-ების ფინანსურ მდგომარეობაზე და ფინანსურ შედეგებზე. კვლევამ პასუხი უნდა გასცეს ისეთ კითხვებს როგორიცაა: იქნება თუ არა დიდი შეცდომა ეროვნული ბანკის ხელში არასაბანკო სექტორის რეგულირების გადასვლა? არის თუ არა ეს საფინანასო სექტორისთვის განვითარების ცუდი ტენდენცია? რა შეიცვლება აღრიცხვა ანგარიშგების საკითხში? როგორ და რა უნდა შეიცვალოს რეგულირების და საკანონმდებლო კუთხით რათა "მისო"-ების საქმიანობა ერთის მხრივ უზრუნველყოფდეს თავად, მათი ხოლო მეორეს მხრივ მთლიანად საზოგადოების სარგებლიანობას? როგორ შეიძლება მისოების საქმიანობის ეფექტურობის ზრდა აღრიცხვა-ანგარიშგბის პოლიტიკის ცვლილებით? რა როლი უნდა დაეკისროს აღნიშნულ საკითხში ეროვნულ ბანკს და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებს? რა უნდა იყოს განვითარების მთავარი მიმართულებები? რა შეიძლება გააკეთონ "მისო"-ებმა თავად აღრიცხვა-ანგარიშგების ასევე ფინანსური გამჭირვალეობის კუთხით? მოცემულ კითხვებზე პასუხი შექმნის ნათელ წარმოდგენას „მისო"-ების მომავალზე და მათ როლზე ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საკითხში, რაც ძალზე მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისათვის.

**კვლევის მეთოდოლოგია:** კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლს წარმოადგენს, როგორც ზოგადად სამეცნიერო, ასევე ეკონომიკური კვლევის მეთოდები. კერძოდ: ფუნქციონალური ანალიზისა და სინ-

თეზის, შედარების, შეფასების, ლოგიკური მიდგომების, ეკონომიკური, ნორმატიული, რისკის შეფასების მეთოდი, მტკიცებულებების მოგროვების მეთოდი.

**შედეგები და იმპლიკაციები:** მიკროსაფინანსო ორგანიზაციები საკმაოდ მზარდი სექტორია, აქედან გამომდინარე, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების, აგრეთვე აუდიტის მაღალ დონეზე ჩატარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ბუღალტრული აღრიცხვა მსგავს ორგანიზაციებში რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რაც გავლენას ახდენს ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგიასა და პოლიტიკაზე. ეროვნული ბანკის ბრძანება #49, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმისა და ანგარიშთა გეგმის გამოყენების ინსტრუქციას დამტკიცების შესახებ" , სადაც თანდართულია ანგარიშთა გეგმა და ანგარიშთა გეგმის გამოყენების ინსტრუქცია.ასევე აუცილებელია ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება საერთაშორისოდ აღიარებული მარეგულირებელი ნორმებისა და სტანდარტების მიხედვით.

**დასკვნა:** 2017 წლის დეკემბერში ქვეყანაში სულ 75 მისო ოპერირებდა.მიკროსაფინანსო სექტორი განაგრძობს განვითარებას და მრავალ ინოვაციას ჰპირდება, როგორც მომხმარებელს, ასევე ქართველ თუ უცხოელ ინვესტორებს. მნიშვნელოვანია მსოფლიო გამოცდილების გაზიარება. ასევე გასათვალიწინებელია ის ფაქტი რომ მეტნაკლებად წვდომა ფინანსებზე, საკრედიტო დისციპლინა და ფინანსური განათლება არის იმ წვლილის მცირე ნაწილი, რომელიც მიკროსაფინანსო სექტორს საქართველოს ეკონომიკის განვითარებში შეაქვს. მათი წარმატება კი, მის სწორ მენეჯმენტს უკავშირდება. თავის მხრივ, მენეჯმენტი კი აღიცხვა–ანგარიშგების სრულყოფასაც გულისხმობს. აღრიცხვა-ანგარიშგების გამართული სისტემა წარმოეგდგენს ორმხრივი ძალისხმევის შედეგს როგორც „მისო"-ების ისე სახელმწიფოსი.მისი სწორი ორგანიზება უზრუნველყოფს კონტროლსა და გამჭირვალეობას, რაც საბოლოო ჯამში საზოგადოების ნდობის ამაღლებაში შეიტანს წვლილს.

**საკვანძო სიტყვები**: მიკროსაფინანსო საქმიანობა, სამართლებრივი რეგულირება, აღრიცხვა, ანალიზი,"მისო" ანგარიშგება.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც მისი განცხადების საფუძველზე რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნული  ბანკის მიერ და ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობით**.**

თავდაპირველად, მიკროფინანსები გაჩნდა იქ, სადაც ძალზე სუსტი იყო ტრადიციული საბანკო მოდელი, 2005 წელს გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა მიკროფინანსები სიღარიბის დაძლევის "კრიტიკულ იარაღად" გამოაცხადა და დღეს მიკროფინანსებით უკვე განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის ავტორებიც ინტერესდებიან. მიკროფინანსებს შესწევთ იმ "ნაპრალების" ამოვსების უნარი, რომლებიც ეკონომიკაში ფინანსებზე წვდომის კუთხით არსებობს. მიკროფინანსები ფინანსური შუამავლობის სახეობაა, რომელიც კომერციული ბანკების ალტერნატივას წარმოადგენს. მისი დამახასიათებელი ნიშნებია: სესხის მცირე ზომა, დაკრედიტება უზრუნველყოფის გარეშე და დაბალი შემოსავლების მქონე მეწარმეები, რომლებსაც საკრედიტო ისტორიისა და სესხის უზრუნველსაყოფად საჭირო აქტივების უქონლობის გამო არა აქვთ წვდომა საბანკო მომსახურებაზე. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ბანკებთან შედარებით მცირე, მოცულობის სესხებს გასცემენ და სწორედ აქედან მომდინარეობს მათი სახელწოდებაც „მიკრო". დღეისათვის განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებიდან დაახლოებით 160 მილიონი ადამიანი იყენებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სერვისს.

მიკროფინანსების ადრეული მოდელები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში თითქმის 40 წლის წინ გაჩნდა და მათ ბანგლადეშელი ეკონომიკის პროფესორის, ნობელის პრემიის ლაუ-

რეატის, მუჰამედ იანუსის სახელს უკავშირებენ. მან პირველმა სცადა სოლიდარული პასუხისმგებლობით ჯგუფური სესხის გაცემა, რაშიც საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. აღნიშნულ მოდელში საკრედიტო რისკი შემცირებული იყო მსესხებელთა ჯგუფის წევრების მიერ სოლიდარულად გაზიარებული პასუხისმგებლობით. თუ ერთი მსესხებელი ვალს ვერ აბრუნებდა, მის ნაცვლად სესხს ისტუმრებდნენ ჯგუფის დანარჩენი წევრები.

სოლიდარულმა პასუხისმგებლობამ ჩაანაცვლა სესხის აქტივებით უზრუნველყოფა, რომლის უქონლობა ან არასაკმარისობა წარმოადგენდა ბარიერს საბანკო სესხის მიღებისას. თუმცა ყველაზე განვითარებული მიკროსაფინანსო ინდუსტრია არსებობს ლათინურ ამერიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, სადაც ადრიანად მოხდა დარგის კომერციალიზაცია. თავდაპირველად ფინანსური მომსახურების ამ ინოვაციური ფორმით საერთაშორისო განვითარების სააგენტოები და მათი დონორები დაინტერესდნენ, რომლებმაც მასში სიღარიბის დაძლევის იაფი გზა დაინახეს. ეიფორია მალევე დასრულდა, როცა აღმოჩნდა, რომ მიკროფინანსები სიღარიბის დაძლევის "პანაცეას" არ წარმოადგენდა და შემოსავლების გარკვეულ ზღვარს ქვემოთ მათ უარყოფითი გავლენის მოხდენა შეეძლო მსესხებლის ფინანსურ მდგომარეობაზე. აღმოჩნდა, რომ "კაპიტალზე წვდომა", რაც თითქოსდა მდიდარს განასხვავებდა ღარიბისგან, არ იყო საკმარისი სიღარიბის დასაძლევად.

ფინანსებზე წვდომამ გასაგები მიზეზების გამო ვერ გამოიწვია მსესხებლების სრულყოფილი ინტეგრაცია ეკონომიკურ პროცესებში. უფრო მეტიც, ეკონომიკური განვითარებისთვის განკუთვნილი ფულადი ნაკადები წარიმართა სამომხმარებლო საჭიროებების დასაფინანსებლად. გადაჭარბებულ მოლოდინებს იმედგაცრუება მოჰყვა და მიკროფინანსების ოპონენტები მიკროფინანსების მახეზე ალაპარაკდნენ. თუმცა მიკროსაფინანსო ინდუსტრია შეიცვალა – უფრო თვითკრიტიკული, ფრთხილი და პასუხისმგებლიანი გახდა. ფინანსური შუამავლობის ვერც ერთი ფორმა, მათ შორის მიკროფინანსები, ცალკე აღებული, ვერ განაპირობებს ეკონომიკურ განვითარებას, მაგრამ მას შეუძლია ეკონომიკური ცხოვრების არასტაბილურობისაგან მომხმარებლის დაცვა და ეკონომიკურ საქმიანობაში მისი ეფექტური ინტეგრირება. საინტერესოა ამ მხრივ თუ რა მდგომარეობაა საქართველოში და ძირითადად რა წარმოადგენს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის სფეროს.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სექტორი ქართულ საფინანსო ბაზარზე 2006 წლიდან გამოჩნდა და ის განვითარების საკმაოდ სწრაფი ტემპით ხასიათდება. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონი 2007 წელს შეიქმნა, რის შემდეგ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგისტრაცია და "მსუბუქი" რეგულირება საქართველოს ეროვნულ ბანკს დაევალა. მანამდე კი 2003 წელს სამოქალაქო კოდექსში გაჩნდა "სპეციალიზებული მიკროსაფინანსო ფონდის" ცნება. ის წარმოადგენდა გარდამავალ ფორმას დონორების მიერ დაფინანსებულ სუბსიდირებულ მიკროსაფინანსო პროგრამებსა და კომერციულ მიკროსაფინანსო ინდუსტრიას შორის.

მაშასადამე, საქართველოში თავდაპირველად  დარეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციები დონორების მიერ მხარდაჭერილი პროექტებიდან იღებენ სათავეს. საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემებით, 2017 წლის დეკემბერში ქვეყანაში სულ 75 მისო ოპერირებდა. 2015 წლის მეოთხე კვარტლის მდგომარეობით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში დასაქმებულია 4901 ადამიანი, რაც 20%-ით აღემატება 2014 წლის მაჩვენებელს. ბოლო 5 წლის განმავლობაში, მიკროსაფინანსო ორგანიაზაციებში დასაქმებულთა რაოდენობა წელიწადში საშუალოდ 21%-ით იზრდებოდა. 2016 წელს 5289 ხოლო  2017 წლის 3 კვარტლის მონაცემებით 4571 შეადგინა. წინა წლის ანალოგიურ პერიოდში მათი რაოდენობა 81 ერთე-

ული იყო. 2017 წლის მაისში კი საქართველოში 88 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფუნქციონირებდა. საწესდებო კაპიტალი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს 2019 წლიდან 1 მილიონ ლარამდე გაზრდა მოეთხოვებათ

რაც შეეხება ფინანსურ შედეგებს: 2015 წლის მეოთხე კვარტალის მდგომარეობით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების ჯამური მოცულობა 1.6 მლრდ ლარს შეადგენს, რაც 46%-ით აღემატება 2014 წლის მაჩვენებელს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი ბაზარზე არის სასესხო პორტფელის მოცულობა. 2016 წელს აღწევს 2 ლარამდე, თუმცა 2017 ში ისევ 1.6 ლარია. 2017 წლის 3 კვარტლის აქტივის ჯამურად გაცემულია დახლოებით 1.6 მლრდ სესხი და სესხთა რაოდენობა შედგენს დახლოებით 1 009 000. ამავე კვარტლის მონაცემებით გაცემული სესხები პრიორიტეტულად ნაწილდება შემდგენაირად: პირველ ადგილს სამომხრებლო სეხბი იკავებს, რომელიც გაცემული თანხის 60% წარმოადგენს, 23% ვაჭრობისა და მომსახურების სფეროსთვისაა განკუთვნილი. ხოლო 9% სოფლის მეურნეობის სფეროსთვის, რომელიც სოფლის მეირონეობაზე 2016 წლის 4 კვარტლისათვის არსებულ მონაცემს 2-ჯერ ჩამოუვარდება.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ შემდეგი საქმიანობა:

ა) იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის მიკროსესხების, მათ შორის, სამომხმარებლო, სალომბარდო, იპოთეკური, არაუზრუნველყოფილი, ჯგუფური და სხვა სესხების (კრედიტების) გაცემა; ამ მიზნით საკრედიტო საგადახდო ბარათის გამოშვება; (6.03.2013 N 263)

ბ) ინვესტირება სახელმწიფო და საჯარო ფასიან ქაღალდებში;

გ) ფულადი გზავნილების განხორციელება;

დ) სადაზღვევო აგენტის ფუნქციის შესრულება;

ე) მიკროდაკრედიტებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების გაწევა;

ვ) სესხების (კრედიტების) მიღება რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან;

ზ) იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალის წილების ფლობა, რომელთა ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალის 15%-ს;

თ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფინანსური მომსახურებები და ოპერაციები: მიკროლიზინგი, ფაქტორინგი, ვალუტის გადაცვლა, თამასუქების, ობლიგაციების გამოშვება, რეალიზაცია, გამოსყიდვა და ამ ფინანსურ მომსახურებებთან და ოპერაციებთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები.

ბუღალტრული აღრიცხვა მსგავს ორგანიზაციებში რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რაც გავლენას ახდენს ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგიასა და პოლიტიკაზე. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში ბუღალტრულ აღრიცხვა წარმოებს ეროვნული ბანკის ბრძანება N49 „მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმისა და ანგარიშთა გეგმის გამოყენების ინსტრუქციას დამტკიცების შესახებ" შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებულმა თითოეულმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება უნდა უზრუნველყოს ამ ანგარიშთა გეგმისა და ანგარიშთა გეგმის გამოყენების ინსტრუქციის შესაბამისდ. ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა შემუშავებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და საერთაშორისო აღრიცხვის ძირითადი პრინციპების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

იგი საშუალებას იძლევა განხორციელდეს საბანკო ოპერაციების დეტალური, სრული აღრიცხვა რათა მომხმარებელმა დროულად მიიღოს რეალური ინფორმაცია.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია:

ა) აწარმოოს გამჭვირვალე ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგება და დაიცვას საჯაროობის პრინციპი;

ბ) შეიმუშაოს და განახორციელოს შიდა კონტროლის სისტემა და პროცედურები;

გ) ყოველწლიურად მოიწვიოს გარე აუდიტორი აუდიტორული შემოწმების ჩასატარებლად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

დ) აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ე) წარუდგინოს ფინანსური ანგარიშგება საქართველოს ეროვნულ ბანკს. ანგარიშგების ფორმა და წარდგენის ვადა განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტით;

ვ) იყოს პასუხისმგებელი ანგარიშგების უტყუარობაზე, ასევე ინფორმაციის და ანგარიშგების სრულად წარდგენაზე;

ზ) ყოველწლიურად გამოაქვეყნოს ბეჭდვით ორგანოში სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშგება და გარე აუდიტორული დასკვნა. თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ამ მუხლით გათვალისწინებულ ფინანსურ ანგარიშგებას ზედიზედ ორჯერ არ წარუდგენს საქართველოს ეროვნულ ბანკს მის მიერვე დადგენილი ფორმითა და პერიოდულობით, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, გააუქმოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაცია.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება ,,მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარსადგენი ფინანსური ანგარიშგების ფორმის, წარდგენის ვადისა და ბუღალტრული აღრიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე'' (2018 წლის 7 თებერვლიდან) მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ავალდებულებს:

- ✓ ყოველთვიურად უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საქართველოს ეროვნულ ბანკში, როგორც უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა;
- ✓ ყოველკვარტალურად საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ბალანსი, მოგება/ზარალის უწყისი და ინფორმაცია მფლობელებისა და ადმინისტრატორების შესახებ ყოველი კვარტალის დასრულებიდან არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა;
- ✓ ყოველკვარტალურად უზრუნველყოს საქართველოს ეროვნული ბანკისათვის მოზიდული სახსრებისა და გაცემული სესხების შესახებ ინფორმაციის, ყოველი კვარტალის დასრულებიდან არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა;

ყოველწლიურად მოიწვიოს გარე აუდიტორი აუდიტორული შემოწმების ჩასატარებლად და ყოველი კალენდარული წლის დასრულებიდან მომდევნო წლის 15 ივნისამდე საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს გასული წლის წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ დამტკიცებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" (IFRS) მიხედვით და რომლის აუდიტიც განხორციელდა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის საერთაშორისო აღრიცხვისა და მარწმუნებელი სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების" (ISA) შესაბამისად.

მიკროსაფინანსო სექტორი განაგრძობს განვითარებას და მრავალ ინოვაციას ჰპირდება როგორც მომხმარებელს, ასევე ქართველ თუ უცხოელ ინვესტორებს. მნიშვნელოვანია, რომ დარგის ლიდერები აცნობიერებენ პასუხისმგებლიანი დაკრედიტების მნიშვნელობას და უფრთხილდებიან როგორც სექტორის, ასევე საკუთარ პროფესიულ რეპუტაციას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. დ. სოლოღაშვილი, ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება ფინანსურ ინსტიტუტებში. ლექციების კურსი. გვ. 324. 2017 წ.
2. საქართველოს კანონი ,,მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“. 2006 წლის 18 ივლისი/ კონსოლიდირებული 23.11.2017 წ.
3. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №278 ,,მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის ფინანსური ანგარიშგების ფორმატის და მისი საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ“. 2006 წლის 9 ოქტომბერი . ქ. თბილისი

# დახარჯული მასალების თვითღირებულების გაანგარიშებს მეთოდების შესახებ

***იმედაძე ნესტანი*** *– ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი* ***ვაშაკიძე ნათელა*** *– ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

# Methods about cost of spent materials

***Imedadze Nestani*** *– Bachelor’s Student, Business Administration, II year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

*Supervisor* ***Vashakidze Natela*** *– Doctor in Economics, Associate Professor, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

**Abstract**

In terms of market economy conditions, the change in price is so that one and the same material value can be purchased at a different price. However, it is much easier to define the cost of the acquired commodity-material value rather than the cost. Methods of cost of spent materials are:

1. Appraisal method according to individually expended expenses (identification prices);
2. Fifo Method;
3. Method of medium weighted value.

The first method is used to calculate the special purpose goods and services as well as the self-identification of the commodity-material values that are not interchangeable and their self-identity should be determined individually according to the expenses incurred. Fifth method is based on the following adaptations: In the first place, the material remains in the end, and a third method cost estimates are based on the use of the average weighted arithmetic formula.

It is often impossible to determine exactly which materials have been spent and what remains to be in stock at the end of the settlement period, so it is necessary to describe the sequence of their expiry, and to calculate the cost of the spent materials to calculate the existing methods for the calculation of which is aimed at the above three metallic Determining the margins and shortcomings.

In addition, the main essence of the topic is that by all three methods, we come to the conclusion that gives us more reliable data, why they should use them in practice and that's not what their existence faces.

Together with this research we will find the necessity of determining the cost of the spent materials and based on specific examples and tables we will analyze the necessity of calculation of the cost of the spent materials reviewed in the topic.

**Keywords:** Fifo, weighted average, individually spent expenses, net selling.

## აბსტრაქტი

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხშირია ფასების ცვლილება ისე რომ ერთი და იგივე მატერიალური ფასეულობა შეიძლება შეძენილი იყოს სხვადასხვა ფასით.მიუხედავად ამისა, გაცილებით მარტივია შეძენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თვითღირებულების განსაზღვრა,ვიდრე დახარჯული ფასეულობების. დახარჯული მასალების თვითღირებულების მეთოდებია:

1. ინდივიდუალურად გაწეული დანახარჯების (იდენტიფიცირებული ფასების) მიხედვით შეფასების მეთოდი;

2. "ფიფო" მეთოდი;

3. საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

პირველი მეთოდი გამოიყენება სპეციალური დანიშნულების საქონლისა და მომსახურეობის, ასევე იმ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღიებულების გასაანგარიშებლად, რომლებიც არ არიან ურთიერთშემცვლელნი და მათი თვითღიებულება უნდა განისაზღვროს ინდივიდუალურად გაწეული დანახარჯების მიხედვით.ფიფო მეთოდს საფუძვლად უდევს შემდეგი დაშვება: მარაგები, რომლებიც პიველად იქნა შეძენილი,პირველ რიგში იხარჯება ე.ი ნაშთად რჩება ბოლოს შემოსული მასალები, ხოლო მესამე მეთოდით თვითღირებულების შეფასება ემყარება საშუალო შეწონილი არითმეტიკულის ფორმულის გამოყენებას.

ხშირად შეუძლებელია განისაზღვროს კონკრეტულად რომელი მასალები იქნა დახარჯული და რომელი დარჩა ნაშთად მარაგის სახით საანგარიშწორებო პერიოდის ბოლოს, ამიტომ აუცილებელია აღიწეროს მათი გასვლის თანმიმდევრობა,ხოლო დახარჯული მასალების თვითღირებულების გამოსათვლელად ჩატარდეს მის გასაანგარიშებლად არსებული მეთოდების კვლევა, რომლის მიზანია ზემოთ მოცემული სამი მეტოდის უპირატესობებისა და ნაკლოვანებების დადგენა.

გარდა ამისა თემის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ სამივე მეთოდის დახასიათების წყალობით მივიდეთ იმ დასკვნამდე,რომელი გვაძლევს შედარებით უტყუარ მონაცემებს,რატომაა მათი გამოყენება აუცილებელი პრაქტიკაში და რომ არა მათი არსებობა რა პრობლემების წინაშე აღმოვჩნდებოდით.

ყველაფერთან ერთად ამ კვლევის წყალობით ჩავწვდებით დახარჯული მასალების თვითღირებულების განსაზღვრის საჭიროებას და კონკრეტულ მაგალითებსა და ცხრილებზე დაყრდნობით გავაკეთებთ ანალიზს თემაში განხილული დახარჯული მასალების თვითღირებულების გაანგარიშების მეთოდების აუცილებლობის შესახებ.

**საკვანძო სიტყვები:** „ფიფო", საშუალო შეწონილი, ინდივიდუალურად გაწეული დანახარჯები, ნეტო სარეალიზაციო.

იმისათვის რომ საწარმო იყოს მომგებიანი აუცილებელია გამოშვებული პროდუქციის ფაქტიური თვითღირებულება იყოს სწორად განსაზღვრული,მის გამოსათლელად კი საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ მასალების ხარჯვაზე და იმაზე თუ როგორ უნდა შევიდეს ხარჯებში დახარჯული მასალების თვითღირებულება.

ბუღალტრულ აღრიცხვაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასების ანუ მისი თვითღირებულების განსაზღვრას.თვითღირებულება მოიცავს მათი შეძენისა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე ამ ფასეულობის სათანადო მდგომარეობაში მოყვანისა და დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების დანახარჯებს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხშირია ფასების ცვლილება ერთი და იგივე მატერია-ლური ფასეულობა შეიძლება შეძენილ იყოს სხვადასხვა ფასით სწორედ ამიტომ გაცილებით რთულია დახარჯული მასალების თვითღირებულების განსაზღვრა,ვიდრე შეძენილის.

ხშირად შეუძლებელია განისაზღვროს კონკრეტულად რომელი ფასეულობები იქნა და-ხარჯული (რეალიზებული) და რომელი დარჩა ნაშთად მარაგის სახით საანგარიშსწორებო პერიოდის ბოლოს, ამიტომ აუცილებელია განისაზღვროს მათი გასვლის თანმიმდევრობა.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თვითღირებულების გაანგარიშება სხვადასხვა მეთოდით შეიძლება განხორციელდეს,მაგრამ ყველა შემთხვევაში მან უნდა მოგვცეს უტყუარი ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მარაგად დარჩენილ და რეალიზებულ ფასეუ-ლობათა შორის ხარჯების განაწილების შესახებ.

ბასს-ის შესაბამისად გამოიყენება დახარჯული მასალების თვითღირებულების გასაანგა-რიშებლად შემდეგი მეთოდები:

I. ინდივიდუალურად გაწეული დანახარჯების (ინდენტიფიცირებული ფასების) მიხედვით შეფასების მეთოდი
II. "ფიფო" მეთოდი
III. საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი
IV. "ლიფო" მეთოდი

იმისათვის, რომ ჩავწვდეთ მათ პირატესობებსა და ნაკლოვანებებს საჭიროა თითოეული განვიხილოთ ცალ-ცალკე:

ინდენტიფიცირებული ფასების,ანუ მარაგის ფაქტიური ღირებულების განსაზღვრის მეთოდი გამოიყენება სპეციალური დანიშნულების საქონლისა და მომსახურეობის,აგრეთვე იმ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების გასაანგარიშებლად,რომლებიც არ არიან ურთიერთშემცვლელნი. მათი თვითღირებულება უნდა განისაზღვროს ინდივიდუა-ლურად გაწეული დანახარჯების მიხედვით.ეს მეთოდი მისაღებია ძვირადღირებული და ინდივუადუალურად განსხვავებული პროდუქციის ერთეულის შესაფასებლად, როგორც შეძენის, ისე გაყიდვის დროს. ასეთია მაგალითად, საიუველირო ნაწარმი, ანტიკვარული ნაკე-თობები, ავტომანქანები და სხვა. ამ მეთოდის გამოყენების დროს აუცილებელია ინდივიდუა-ლური ბარათების წარმოება, რაც საშუალებას იძლევა ნებისმიერ მომენტში განისაზღვროს მოცემული მარაგის ღირებულება,ასევე რეალიზებული და ნაშთად დარჩენილი ფასეულობის თვითღირებულება.

ფიფო მეთოდს საფუძვლად უდევს შემდეგი დაშვება: მარაგები,რომლებიც პირველად იქნა შეძენილი, პირველ რიგში იხარჯება,რაც იმას ნიშნავს რომ ნაშთად რჩება ბოლოს შემო-სული ფასეულობები.ამიტომ ნაშთად დარჩენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა ფას-დება ბოლო შესყიდვის ან წარმოების თვითღირებულებით.ფიფო მეთოდი გამოიყენება დაბა-ლი ინფლაციის პირობებში.იგი იძლევა მაღალი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას, რად-გან პირველად შეძენილ ფასეულობებს აქვს უფრო დაბალი ფასები,რის გამოც რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება დაბალია,ხოლო ამონაგები მაღალი.

**<u>მაგალითი:</u> დავუშვათ მაისის თვეში საწარმოში ადგილი ჰქონდა შემდეგ ოპერაციებს:**

| თარიღი | ერთეულის ფასი(ლარი) | რაოდენობა(ცალი) | |
|---|---|---|---|
| | | შემოსავალი | გასავალი |
| ნაშთი | 3.00 | 700 | |
| 2 მაისი | 3.10 | 800 | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 მაისი | | | 900 |
| 7 მაისი | 3.40 | 1000 | |
| 8 მაისი | | | 1100 |
| 12 მაისი | 3.50 | 400 | |
| 16 მაისი | | | 800 |

„ფიფო“ მეთოდით დახარჯული მასალების თვითღირებულების შეფასება:

| თარიღი | რაოდენობა | გაანგარიშება | თვითღირებულება |
|---|---|---|---|
| 4 მაისი | 900 | 700 x 3.00= 2100<br>200 x 3.10= 620 | 2720 |
| 8 მაისი | 1100 | 600 x 3.10=1860<br>500 x 3.40=1700 | 3560 |
| 16 მაისი | 800 | 500 x 3.40=1700<br>300 x 3.50=1050 | 2750 |
| ნაშთი | 100 | 100 x 3.50=350 | 350 |

ამრიგად, ამ კონკრეტული მაგალითიდან გამომდინარე “ფიფო“ მეთოდით დახარჯული მასალების თვითღირებულებამ თვის განმრავლობაში შეადგინა 9030 ლარი, ხოლო მასალების ნაშთის ღირებულებამ 350 ლარი.

საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შეფასება ემყარება საშუალო შეწონილი არითმეტიკულის ფორმულის გამოყენებას. მისი გამოთვლის მიზნით პერიოდის დასაწყისში არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მთლიან თვითღირებულებას ემატება პერიოდის განმავლობაში შემოსული ფასეულობების მთლიანი თვითღირებულება და იყოფა პერიოდის დასაწყისში არსებული მარაგისა და შემოსული ფასეულობების რაოდენობრივ ჯამზე,მისი გაანგარიშება შესაძლებელია პერიოდულად ან ყოველი ახლად მიღებული პარტიისათვის,მოცემული საწარმოს დამახასიათებელი კონკრეტული ვითარების შესაბამისად.

| თარიღი | რაოდენობა (ცალი) | | | ღირებულება | საშუალო ფასი(ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| | შემოსავალი | გასავალი | ნაშთი | | |
| ნაშთი | | | 700 | 2100 | 3.0 |
| 2 მაისი | 800 | | | 2480 | 3.10 |
| ნაშთი | | | 1500 | 4580 | 3.05333 |
| 4 მაისი | | 900 | | 2748 | 3.05333 |
| ნაშთი | | | 600 | 1832 | 3.05333 |
| 7 მაისი | 1000 | | | 3400 | 3.40 |
| ნაშთი | | | 1600 | 5230 | 3.26875 |
| 8 მაისი | | 1100 | | 3596 | 3.26875 |
| ნაშთი | | | 500 | 1634 | 3.26875 |
| 12 მაისი | 400 | | | 1400 | 3.50 |
| ნაშთი | | | 900 | 3034 | 3.37111 |
| 16 მაისი | | 800 | | 2697 | 3.37111 |
| ნაშთი | | | 100 | 337 | 3.37111 |

ამრიგად, საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით დახარჯული მასალების თვით-ღირებულებამ თვის განმავლობაში შეადგინა 9041 ლარი, ხოლო მასალების ნაშთის ღირებუ-ლებამ 337 ლარი.

ლიფო მეთოდის გამოყენებისას პირველად იხარჯება ის,რაც შევიძინეთ ბოლოს. ის მიჩ-ნეულია ალტერნატიულ ვარიანტად, იმის გამო, რომ თვის ბოლოს არსებული მარაგების ღირე-ბულება არ შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას,რადგან ნაშთები აისახება პირველად შეძენილი მარაგებით.

აღნიშნული მეთოდებიდან სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ზუსტი შეფასება ხდება იდენტიფიკაციის მეთოდის გამოყენებით, მაგრამ მისი გამოყენება პრაქტიკულად მიზან-შეწონილია მარაგების მცირე ასორტიმენტის შემთხვევაში. საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს გააჩნია ის უპირატესობა, რომ მისი განსაზღვრისას გაითვალისწინება ყველა ფასი, რომელიც კი მონაწილეობდა საანგარიშგებო პერიოდის სასაქონლო-მატერიალური ფასეულო-ბების შეძენის პროცესში.

საბოლოოდ, ამ ყველაფერზე დაყრდნობით,ბუღალტრულ აღრიცხვაში ოთხივე მეთოდს დიდი მნიშვნელობა ენიჭება და არასდროს ხდება ისე,რომ მუდმივად ერთი რომელიმე მეთო-დი სარგებლობდეს უპირატესობით, მათი გამოყენება იმის მიხედვით ხდება თუ მოცემულ სი-ტუაციაში რომელი მათგანის გამოყენებაა უმჯობესი, რომელი გვაძლევს უტყუარ ინფორმა-ციასა და გვეხმარება გავაკეთოთ ანალიზი დახარჯული მასალების შესახებ.

აღსანიშნავია ისიც, რომ საწარმოს კოდექსი არ უკრძალავს რომელიმე მეთოდის გამოყენებას.საწარმო თავად ირჩევს რომელი მეთოდი გამოიყენოს, მაგრამ როცა ის გააკეთებს არჩევანს არ შეუძლია მისი სისტემატიური ცვლილება.

## მთიანი რეგიონის რეკრეაციული რესურსების პოტენციალი

*კვერენჩხილაძე მაია – ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი **მოსიაშვილი ვალერი**– ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, ბიზნესის მართვის ფაკულტეტი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო*

## Recreational resources of the mountainous region

***Kverenchkhiladze Maia** – Bachelor's Student, Tourism, IV year, Georgian National University, Tbilisi, Georgia*

*Supervisor **Mosiashvili Valeri** – Doctor in Economics, Professor, Faculty of Business Administration, Georgian National University, Tbilisi, Georgia*

**Abstract**

In this article is described, Georgian mountainous regions most special part Svaneti. Unfortunately in Svaneti economic development is hampered, because of it's unfavorable physical and geographical locational factors. Economic development of Svaneti highly depends on development of tourism in this part of Georgia; herewith this region has all natural factors in order to be Georgia's leader tourist city and accomplice development of international tourism in Georgia.

Author's researches main object is to introduce Svanetis touristic potential, study and estimate them, which means these issues:

1. Consideration about Svaneti's natural unique landscapes and possibilities of touristic development.

2. Display Svaneti's mineral sources and perspectives of health-resort thrift.

3. Historical-ethnographic peculiarities of this region and development of cultural tourism.

4. Having ideal conditions for developing Alpinism.

According to the authors' opinion, developing communication skills is very important. Having no communication skills made many problems in Svaneti, it also hampered development of tourism. Development of designated tourism directions (Eco Tourism, resort, cultural alpinism) will accomplice local population to employ and developing service fields.

**Keywords:** Tourism, national park, mineral springs, protected landscape.

**აბსტრაქტი**

მთიან რეგიონებში, სადაც დაცულია ტრადიციულ ველურ აბორიგენული მეურნეობები, წარმოადგენენ დიდ ეკოლოგიურ-კულტურულ ფასეულობებს. ტურიზმი კი ხელს უწყობს გარემოს მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულების ჩამოყალიებას; თუ ერთის მხრივ იგი ქმნის ადგილობრივი მოსახლეობისათვის სოციალურ ეკონომიკურ სარგებელს, მეორეს მხრივ აღიარებს და პატივს ცემს ადგილობრივ ღირებულებებს საქართველოს მთიან რაიონებს შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია სვანეთს, რომელიც თავისი არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის გამო, განსაკუთრებულ სიძნელეებს განიცდის მეურნეობის განვითარების მხრივ, ამიტომ ამ კუთხის ეკონომიური წინსვლა დიდად არის დამოკიდებული ტურიზმის განვითარებაზე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სვანეთს აქვს რეალური შესაძლებლობა, გადაიქცეს საქართველოს ერთ-ერთ წამყვან ტურისტულ რაიონად, ამის საფუძველს წარმოადგენს სვანეთში არსებული ბუნებრივი გარემო და მდიდარი ბალნეოლოგიური რესურსები.

წინამდებარე კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს სვანეთში არსებული ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა, შესწავლა დ შეფასება, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს

1. სვანეთის ბუნებრივი ლანდშაფტების უნიკალური სილამაზის განხილვა და ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივები

2. სვანეთში არსებული მინერალური წყაროების გამოვლენა და მის საფუძვლზე საკურორტო მეურნეობის განვითარება

3. საკვლევი რეგიონის ისტორიულ-ეთნოგრაფიული თავისებურებანი და ალპინიზმის განვითარების იდეალური პირობების არსებობა.

ტურიზმის განვითარებას საქართველოში, კერძოდ სვანეთში, ხელს უწყობს ამ დარგის მსოფლიო კონიუქტურა, რადგანაც მთელ მსოფლიოში სწრაფი ტემპით იზრდება ტურისტ-მოგზაურთა რაოდენობა, მაგრამ როგორც კურორტების შექმნის, ისე ტურიზმის განვითარების აუცილებელი პირობაა სათანადო მატერიალური ბაზის შექმნა, რაც გულისხმობს ფართო მშენებლობის განხორციელებას. პერსპექტიულ პერიოდში ფართოდ უნდა გაიშალოს სანტორიუმებისა და დასასვენებელი სახლების, სასტუმროების, პანსიონატების და ინდივიდუალურ კოტეჯების, კემპინგების, ალპინისტური ბანაკების, საბაგირო-საჰაერო გზებისა და სხვა საკურორტო-ტურისტული ობიექტთა მშენებლობა. გარდა ამისა დიდი ყურადღება უნდა მიექცეს დამხმარე საწარმოთა შექმნას, სავაჭრო ქსელის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სარემონტო სახელოსნოებისა და გასართობ დაწესებულებათა მშენებლობას, ცხადია, რომ ასეთი მშენებლობის ჩატარება მოიცავს საკმაოდ დიდ კაპიტალურ დაბანდებას, წლების მანძილზე უნდა იქნეს გაწეული, მაგრამ ისიც ცნობილია,რომ საკურორტო-ტურისტული მშენებლობისთვის გაწეული ხარჯები ძალიან მოკლე ვადაში შეიძლება ანაზღაურებულ იქნეს. ნათელია, რომ თუ რა დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ტურიზმის განვითარებას, განსაკუთრებით მთიან მხარეებში, გარდა ფულადი შემოსავლებისა, ტურიზმი შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების მძლავრი ფაქტორია.

**საკვანძო სიტყვები:** ტურიზმი, ეროვნული-პარკი, მინერალური წყაროები, დაცული ლანდშაფტი.

მთიან რეგიონებში,სადაც დაცულია ტრადიციულ ველურ აბორიგენული მეურნეობები, წარმოადგენენ დიდ ეკოლოგიურ-კულტურულ ფასეულობებს. ტურიზმი კი ხელს უწყობს გა-

რემოს მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას; თუ ერთის მხრივ იგი ქმნის ადგილობრივი მოსახლეობისათვის სოციალურ ეკონომიკურ სარგებელს, მეორეს მხრივ აღიარებს და პატივს სცემს ადგილობრივ ღირებულებებს. საქართველოს მთიან რაიონებს შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია სვანეთს, რომელიც თავისი არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის გამო, განსაკუთრებულ სიძნელეებს განიცდის მეურნეობის განვითარების მხრივ, ამიტომ ამ კუთხის ეკონომიური წინსვლა დიდად არის დამოკიდებული ტურიზმის განვითარებაზე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სვანეთს აქვს რეალური შესაძლებლობა, გადაიქცეს საქართველოს ერთ-ერთ წამყვან ტურისტულ რაიონად, ამის საფუძველს წარმოადგენს სვანეთში არსებული ბუნებრივი გარემო და მდიდარი ბალნეოლოგიური რესურსები.

*კვლევის ძირითადი საკითხები.* წინამდებარე კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს სვანეთში არსებული ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა,შესწავლა და შეფასება, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: 1. სვანეთის ბუნებრივი ლანდშაფტების უნიკალური სილამაზის განხილვა და ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივები; 2.სვანეთში არსებული მინერალური წყაროების გამოვლენა და მის საფუძვლზე საკუროროტო მეურნეობის განვითარება; 3. საკვლევი რეგიონის ისტორიულ-ეთნოგრაფიული თავისებურებანი და ალპინიზმის განვითარების იდეალური პირობების არსებობა.

სვანეთი ტიპურ მაღალმთიან რაიონს წარმოადგენს და თავისი ბუნებრივი მონაცემებით კავკასიის ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა,იგი მდებარეობს ენგურისა და ცხენისწყლის ხეობებში. სვანეთის ქედი მას ორ ნაწილად - ზემო და ქვემო სვანეთად ჰყოფს. ზემო სვანეთი მდებარეობს ენგურის ხეობაში. სვანეთის სოფლები იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის მფარველობაშია შესული, საკვლევი რეგიონის უმთავრესი მწვერვალები (შხარა (5068 მ.), ჯანღა (5060 მ.), გესტოლა (4860 მ.), თეთნულდი (4860 მ.), წურუნგალა (4220 მ.), აილამა (4550მ.), მაზერი (4010მ.), ჩათინი (4370მ.), და ორთავა უშბას კლდოვანი მასივი (4700მ.) საინტერესოა მთამსვლელებისათვის. სვანეთის ქედის სამხრეთით მდებარეობს ციცაბო კალთებიანი ენგურის ხეობა, მისი ფერდობები სოჭისა და ფიჭვის ტყეებით არის დაფარული. მესტიის ადმინისტრაციული რაიონის ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 600-5200მ. სიმაღლის ფარგლებში მდებარეობს ზემო სვანეთის ეროვნული პარკი და დაცული ლანდშაფტი.

ზემო სვანეთის დაცულ ლანდშაფტში წარმოდგენელია დარბაზული ეკლესიების უდიდესი ნაწილი. აქ შემონახულია უმდიდრესი არქეოლოგიური მასალა, რომელიც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ამსახველია. ზემოთ ჩამოთვლილი ღირსშესანიშნაობები ჭეშმარიტად არ ტოვებს გულგრილს მოგზაურებს და ეკოტურისტებს. დაცულ ლანდშაფტში შედის ჩვიბიანის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, რომელიც მდებარეობს უშგულის მთებში.

მართლაც, რომ ღირსშესანიშნავ ადგილად შეიძლება ჩაითვალოს ულამაზესი სოფელი უშგული. ეს არის მთელს ევროპულ რეგიონში ყველაზე მაღალი დასახლება, ანუ მზესთან ყველაზე ახლოს 2200 მეტრის სიმაღლეზე დასახლებული ადგილი. ალბათ სვანური ხალხური მზის საგალობელი „ლილეო“ სწორედ აქედან შეიქმნა უშგულში.რაც შეეხება ქვემოსვანეთს - აქ ჩასულ ტურისტს შეუძლია იხილოს ისტორიული ძეგლები: ტვიბის მთავარანგელოზის ეკლესია, ჯახუნდრის წმინდა გიორგის ეკლესია,დადიანის ციხე დარბაზის ციხეკომპლექსი ლენტეხში, ე.წ. ლექსურის სვანური კოშკები და უამრავი არქიტექტორული სიძველეები, რომლებმაც გაუძლეს ჟამთასიავეს.

ყოველწლიური სტატისტიკური მაჩვენებლები გვიჩვენებს, რომ სვანეთზე მოთხოვნა და ინტერესი ყოველ სეზონზე იზრდება ეკოტურისტებისათვის. მალე ის მსოფლიო ტურიზმში საქართველოს ერთ-ერთი საინტერესო სავიზიტო ბარათი გახდება.

სვანეთის უნიკალური არქიტექტურული და ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა, ტრადიციული დღესასწაულები,მეტად მრავალფეროვანი მცენარეული საფარი ალპური და წიწვოვანი ტყეები გადააქცევს მას ერთ-ერთ პოპულარულ რეგიონად ეკოტურისტებისათვის. რაც შეეხება ზემო სვანეთის უნიკალურ ეროვნულ პარკს, იგი წარმოადგენს მაღალი ეკოლოგიური ღირებულებისა და ეკოტურიზმის განვითარების პოტენციალის მქონე ტერიტორიას. ეროვნული პარკის რთული რელიეფისა და მიკროკლიმატური პირობების გამო მრავალფეროვანია მცენარეული სამყაროც. რეგიონის ფლორის თავისებურებებზე მიუთითებს მრავალი ენდემური, რელიქტური და იშვიათი სახეობის არსებობა. სვანეთის ფლორაში 212 სახეობა კავკასიის ენდემია, 52 სახეობა საქართველოს ენდემი, ხოლო 9 სახეობა-საკუთრივ სვანეთის ენდემია. ზემო სვანეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ველური ფაუნა საკმაოდ მრავალფეროვანია, ძუძუმწოვრებიდან გავრცელებულია: მაჩვი, მგელი, მელა, ტყისკატა, კვერნა, შველი, კავკასიური ზიგა, რადესზიგა, კავკასიური თხუნელა.

„წითელნუსხაში" შეტანილი სახეობებიდან გავრცელებულია არჩვი, აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვი, დასავლეთ კავკასიური ჯიხვი, მურა დათვი და სხვა.ფრინველებიდან ზემო სვანეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე,უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია „წითელნუსხაში" შეტანილი შემდეგი სახეობები: ბატკანძერი, სვავი, ორბი, მთის არწივი, კავკასიური როჭო გვხვდება აგრეთვე, რეპტილიების და ამფიბიების სახეობებიც. ამფიბიებიდან აღსანიშნავია მწვანე გომბეშო, ვასაკა, დაჯვარულა. თევზებიდან მდინარეებში გვხვდება კალმახი.

სვანეთი მინერალური წყაროებით ერთ-ერთი ყველაზე უფრო მდიდარი კუთხეა საქართველოში. ამ მხრივ გამოირჩევა მესტიის რაიონი, სადაც უკვე შესწავლილია რამდენიმე ათეული მინერალური წყაროს გამოსავალი. ამ უკანასკნელთა შორის უკეთესი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა გააჩნიათ სოფ.მესტიის მიდამოებში განლაგებულ წყაროებს. სოფლიდან 2 კილომეტრის მოშორებით მდ. მესტია-ჭალის მარცხენა ჭალისზედა ტერასზე, ჰიდროკარბონატულ-კალციუმიანი მინერალური წყლების ორი გამოსავალია. მიუხედავად მცირე დებიტისა, ისინი გამოყენებულნი არიან სამკურნალოდ. კიდევ ერთი გამოსავალი აღინიშნება მდ.მულხრის მარცხენა ნაპირას. გარდა ამისა მცირედ მინერალიზირებული და სუსტად გაზიარებული რკინიანი ჰიდროკარბონატულ-კალციუმიანი წყარო არის მესტიის სამხრეთ-აღმოსავლეთითაც. საერთოდ მდ. მულხრას ხეობა ჰიდრომინელარული რესურსების მხრივ ერთ-ერთი ყველაზედ უფრო პერსპექტიული კუთხეა სვანეთში. გარდა ზემო აღნიშნულისა, ცნობილია ორი მინერალური წყარო მუჟალში, რამდენიმე მულეხში, და სოფ. ლენჟერის ტერიტორიაზე. მრავალრიცხოვანი მინერალური წყაროები გვხვდება ენგურის ხეობაშიც. მაგალითად, სოფ. ხალდედან 5 კმ-ის მანძილზე არის სუსტად მინერალიზებული, ქროლიდურ-ჰიდროკარბონატული, კალციუმიან-ნატრიუმიანი წყალი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა რევმატიული დაავადების სამკურნალოდ იყენებს. საკურორტო მშენებლობის გარკვეული პერსპექტივები გააჩნია მდ. დოლრას აუზს, სადაც გამოკვლეულია ნახშირმჟავა მინერალური წყაროების ათზე მეტი გამოსავალი. მათ შორის უფრო ცნობილია მნიშნელოვანი დებიტის მქონე შიხრას ორი წყარო-ფოდროკარბონატული ნატრიუმიან-კალციუმიანი და მაღალსოდიანი. ნაკრას ხეობაში შესწავლილია ზემო სვანეთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მაღალდებიტიანი მინერალური წყარო.ადგილობრივი მოსახლეობა მას აბაზანებისთვის იყენებს.მესტიის რაიონში ცნობილია, აგრეთვე, ცხუმარის, ეწერის, ფარისჭალის, ლახამულის და სხვა წყაროები.

ქვემო სვანეთის ჰიდრომინერალური რესურსებიდან ფართოდ არის გამოყენებული ხოფერის წყარო,ლენტეხიდან სამხრეთით 11 კმ-ის დაშორებით. მინერალური წყლების გამოვლინებები არის აგრეთვე ხელედულას ხეობაში, მდ. ყორულდაშის სათავეებში.

ადგილობრივი მოსახლეობის საკურორტო მკურნალობაში დაკმაყოფილების მიზნით სასურველია საკურორტო პუნქტების განვითარება და კეთილმოწყობა.

სვანეთი საინტერესოა ტურისტისათვის ისტორიულ-ეთნოგრაფიული თავისებურებებით. სოფლებში დღემდე შემორჩენილია ორიგინალური არქიტექტურის მქონე საგვარეულო საბრძოლო კოშკები, კარგად შერწყმული ბუნების საერთო ფონთან, ეროვნული პარკის მიმდებარე ტერიტორიებში მრავალი საინტერესო არქიტექტურული ძეგლია, ძირითადად ეკლესიების სახით, რომლებშიც შუასაუკუნეების საინტერესო მხატვრობაა შემორჩენილი. არქეოლოგიური გათხრებისას გამოვლენილია მნიშვნელოვანი ძეგლები.

ორთოგრაფიულად, ზემოსვანეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორია მოქცეულია კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ ფერდობსა და სვანეთის ქედის ჩრდილო ფერდობებს შორის. იგი დანაწევრებული რელიეფით გამოირჩევა. ზემო სვანეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორია მთის შედარებით რბილი, უქარო ,ზომიერად ნესტიანი კლიმატით ხასიათდება. აქ ზამთარი უხვ თოვლიანია, რაც ასე ძალიან იზიდავს სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარულებს. სვანეთის გადარჩენას და მიგრაციის შეჩერებას ხელს შეუწყობს ტურიზმის სხვადასხვა მიმართულების განვითარება და დასვენების ისეთი ფორმები, როგორიცაა თხილამურებით სრიალი,ლაშქრობები, მთასვლელობა, განსხვავებული და ეგზოტიკური-ველური ბუნებით ტკბობა, ცხენებით და ველოსიპედებით სეირნობა. ეკოტურისტების ეს კატეგორია ექსტრემის და ეგზოტიკის მოყვარულები არიან და კომფორტს არ ეძებენ.ეკოტურისტებს, რომლებიც სტუმრობენ ასეთ ველურ ხელუხლებელ რეგიონებს მზად უნდა იყვნენ კომფორტთან დაკავშირებული სტანდარტების დასავიწყებლად,ერთის მხრივ ეს ეკოტურიზმის მიმზიდველ მხარედაც შეიძლება მივიჩნიოდ.

სვანეთის,როგორც ტურიზმისა და საკურორტო მეურნეობის მნიშვნელოვან ობიექტს ზრდის ამ მხარის ჯანმრთელი ჰავა და დიდი რაოდენობის მინერალური წყაროები, რომელთა გამოყენების შედეგად შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა პროფილის ბალნეოლოგიურ-კლიმატური კურორტები. ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელობა აქვს სვანეთის დასახლებულ ადგილთა არქიტექტურასა და ისტორიულ არქეოლოგიურ ძეგლებს. აღნიშნული მონაცემების რაციონალური გამოყენების შედეგად, სვანეთის რაიონები შეიძლება გადაიქცეს ტურიზმ-ალპინიზმისა და კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტების შესანიშნავ მხარედ, და სწორედ ეს არაწარმოებრივი დარგები განსაზღვრავენ მათი ტერიტორიული სპეციალიზაციის მთავარ მიმართულებას.

**დასკვნა.** ტურიზმის განვითარებას საქართველოში, კერძოდ სვანეთში, ხელს უწყობს ამ დარგის მსოფლიო კონიუქტურა, რადგანაც მთელ მსოფლიოში სწრაფი ტემპით იზრდება ტურისტ-მოგზაურთა რაოდენობა, მაგრამ როგორც კურორტების შექმნის, ისე ტურიზმის განვითარების აუცილებელი პირობაა სათანადო მატერიალური ბაზის შექმნა, რაც გულისხმობს ფართო მშენებლობის განხორციელებას. პერსპექტიულ პერიოდში ფართოდ უნდა გაიშალოს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების, სასტუმროების, პანსიონატების და ინდივიდუალურ კოტეჯების, კემპინგების, ალპინისტური ბანაკების, საბაგირო-საჰაერო გზებისა და სხვა საკურორტო-ტურისტულ ობიექტთა მშენებლობა. გარდა ამისა დიდი ყურადღება უნდა მიექცეს დამხმარე საწარმოთა შექმნას, სავაჭრო ქსელის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სარემონტო სახელოსნოებისა და გასართობ დაწესებულებათა მშენებლობას, ცხადია, რომ ასეთი

მშენებლობის ჩატარება მოიცავს საკმაოდ დიდ კაპიტალურ დაბანდებას, წლების მანძილზე უნდა იქნეს გაწეული, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ საკურორტო-ტურისტული მშენებლობისთვის გაწეული ხარჯები ძალიან მოკლე ვადაში შეიძლება ანაზღაურებულ იქნეს. ნათელია, რომ თუ რა დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ტურიზმის განვითარებას, განსაკუთრებით მთიან მხარეებში, გარდა ფულადი შემოსავლებისა, ტურიზმი შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების მძლავრი ფაქტორია.

### ბიბლიოგრაფია


1. ალფენიძე მ., საქართველოს გეოგრაფია ისტორიული-გეოგრაფიული რეგიონები თბ.2001;
2. მარუაშვილი ლ., საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია თბ.1989;
3. ბარკალაია ზ., ნეიძე ვ., ეროვნული პარკები და ტურიზმი თბ.1999;
4. კობახიძე ე., საქართველოს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება თბ.1999;
5. მაღალმთიანი რაიონების ეკონომიურ-გეოგრაფიული ნარკვევი ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი თბ.1980.


## იმერეთის რეგიონის განვითარების პერსპექტივები ბუნებრივი სამკურნალო წყლების მომხმარებელთა მოზიდვის მიზნით (კურორტ „ზეკარის“ მაგალითზე)


***კვინიკაძე ლევანი*** *– მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

***ტყეშელაშვილი ქეთევანი*** *– მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი* ***უკლება შურა*** *– მოწვეული სპეციალისტი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*


## Perspectives of Imereti Region Development for Attracting Natural Drinking Water Consumers (by the Example of Resort Zekari)


***Kvinikadze Levani*** *– Bachelor’s Student, Matematics, III year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

***Tkeshelashvili Ketevani*** *– Bachelor’s Student, Matematics, III year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

*Supervisor* ***Ukleba Shura*** *– Invited Specialist, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*


### Abstract


Georgia has many opportunities to attract tourists. One of the unique possibilities is the commercialization of the medicinal waters, its transforming, packaging and delivery. My purpose is to develop baths of resort Zekari and create modern infrastructure, service and a powerful customer segment. The actuality of the problem: Imereti region with its natural resources (such as the unique water of resort Zekari) creates the possibility to create a business environment that will attract investors to invest capital in a profitable and prospective business. Goal and Objectives: Attract the target consumer, offer high quality services and satisfy their wishes better than competitors. I conducted researches to attract consumers, so I developed the plan of research, which meant collecting information on the natural waters of resort Zekari, the possibility of curing in case of its use. I’ve questioned those people who were suffering from the following diseases, have processed these data and compared with the competitive healing waters (external treatment); it is clear that the properties of the natural healing waters of Zekari differ from the rest of the healthcare resorts. The basis for this is the list of water bodies belonging to the medical category. Order №310 of the Ministry of Health, Labour and Social Affairs of Georgia. The healing properties of Zekar baths:

1. Hypertonic disease.
2. Rheumatoid Polyarthritis. Some etiology infectious polyarthritis.
3. Osteoarthritis.
4. Osteochondrosis spondylosis and spondyloarthritis anglicized spondyloarthritis.
5. Fracture fires.
6. Myositis, fibrositis, parasynovitis, epicondylitis, acrocontracture, Dupuytren's contracture, A duplicator contracts in various etiology, chronic phase.
7. Diseases of the peripheral nervous system.
8. Diseases of peripheral vegetative nervous system. Functional and other diseases of the nervous system.
9. Salpingitis and oophoritis in chronic stages that occur with hyperpolmenorrhea.
10. Symptoms of menopause.

The work will present the results of international studies on the share of the disease in the world.

After all I have been able to promote the natural water of resort Zekari for people who live in Georgia and outside of it. The project of Kutaisi-Abastumani road construction has been elaborated by the Government of Georgia. This route will go through resort Zekari. All infrastructure will be arranged, will be opened food stores, special markets of Georgian wine, pavilions of Georgian souvenirs and others. This will facilitate the employment of the local population and especially the young people. The resort will be attractive for citizens of Armenia, Azerbaijan, Russia, Turkey and other countries to travel comfortably to the resort and get all high quality services related to health problems. As for the resort itself, its natural bathrooms will be arranged similar to modern European resorts and will be accessible for all categories of consumers.

**Keywords**: Zekari, the target consumer, developed, healing properties,

## აბსტრაქტი

იმერეთის რეგიონის განვითარების პერსპექტივები ბუნებრივი სამკურნალო წყლების მომხმარებელთა მოზიდვის მიზნით(კურორტ ზეკარის მაგალითზე) საქართველოს მრავალი შესაძლებლობა აქვს იმისა, რომ მოიზიდოს ტურისტები.ერთ-ერთი ასეთი უნიკალური შესაძლებლობა არის სამკურნალო წყლების კომერციალიზაცია ანუ მისი გარდაქმნა, შეფუთვა და მიწოდება მომხმარებლისთვის. ჩემს მიზანს წარმოადგენს განვავითარო კურორტ ზეკარის აბანოები და შევძინო მას თანამედროვე ინფრასტრუქტურა, მომსახურება და მძლავრი მომხმარებელთა სეგმენტი. პრობლემის აქტუალურობა: იმერეთის რეგიონი თავისი ბუნებრივი რესურსებით (მაგალითად, კურორტ ზეკარის უნიკალური წყალი) ქმნის იმის შესაძლებლობას შევქმნათ ისეთი ბიზნეს გარემო,რომელიც მოიზიდავს ინვესტორებს დააბანდონ კაპიტალი მომგებიან და პერსპექტიულ ბიზნესში. მიზანი და ამოცანები: მოიზიდოს მიზნობრივი მომხმარებელი, შესთავაზოს მაღალი ხარისხის მომსახურება და დააკმაყოფილოს მათი სურვილები. კონკურენტებზე უკეთესად. ჩავატარე კვლევები მომხმარებელთა მოზიდვის მიზნით,რის გამოც შევიმუშავე კვლევის გეგმა, რაც გულისხმობდა ინფორმაციის შეგროვებას კურორტ ზეკარის ბუნებრივ წყლებზე, მისი გამოყენების შემთხვევაში განკურნების შესაძლებლობას. გამოვიკითხე ის ადამიანები, ვინც დაავადებული იყვნენ ქვემოთ ჩამოთვლილი დაავადებებით,დავამუშავევ აღნიშნული მონაცემები და შევადარე კონკურენტ სამკურნალო წყლებს (გარეგანი მკურნალობის); სადაც ცალსახად დადგინდა,რომ ზეკარის ბუნებრივი სამკურნალო წყლების თვისებები განსხვავდება დანარჩენი სამკურნალო კურორტებისგან.მოცემულის საფუძველს წარმოადგენს სამკურნალო კატეგორიას მიკუთვნებული წყლის ობიექტების ნუსხისა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №310. ზეკარის აბანოების სამკურნალო თვისებები:

1. ჰიპერტონული დაავადება;
2. რევმატოიდული პოლიართრიტი გარკვეული ეტიოლოგიის ინფექციური პოლიართრიტი;
3. ოსტეოართრიტი;
4. ოსტეოართროზი;
5. ხერხემლის ოსტეოქონდროზი, სპონდილოზი და სპონდილოართროზი ანკილოზირებული სპონდილოართროზი;
6. ძვლის მოტეხილობები;

7. მიოზიტი, ფიბროზიტი, პერიართრიტი, ეპიკონდილიტი, სახსრების კონტრაქტურა და დიუპიუტრენის კონტრაქტურა სხვადასხვა ეტიოლოგიის, ქრონიკულ ფაზაში;

8.პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებები;

9. პერიფერიული ვეგეტაციური ნერვული სისტემის დაავადებები ნერვული სისტემის ფუნქციური და სხვა დაავადებები;

10. სალპინგიტი და ოოფორიტი ქრონიკულ სტადიაში, რომელიც მიმდინარეობს ჰიპერპოლიმენორეით;

11. მენოპაუზის სიმპტომები ნაშრომში წარმოდგენილ იქნება საერთაშორისო კვლევების შედეგების მიხედვით.

ყოველივე ამის შემდეგ მოვახდინე კურორტ ზეკარის ბუნებრივი წყლის პოპულარიზაცია, როგორც შიდა მასშტაბის, ისე საზღვარგართის მცხოვრებთათვის.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით შემუშავებულია ქუთაისი-აბასთუმნის გზის მშენებლობის პროექტი. აღნიშნული გზა გაივლის კურორტ ზეკარზე. მოწესრიგდება ყველა ინფრასტრუქტურა, გაიხსნება კვების ობიექტები, ქართული ღვინის სპეციალური მარკეტები,ქართული სუვენირების პავილიონები და სხვა. აღნიშნული ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის და განსაკუთრებით ახალგაზრდების დასაქმებას.კურორტს გახდის მიმზიდველს სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის, თურქეთისა და სხვა ქვეყნის მოქალაქეებისთვის იმგზავრონ კომფორტულად კურორტამდე და ერთ სივრცეში მიიღონ ჯანმრთელობის პრობლემასთან დაკავშირებული ყველა მაღალ ხარისხოვანი მომსახურება. რაც შეეხება თვით კურორტსა და მისი ბუნებრივი აბაზანების მოწყობა მოხდება თანამედროვე ევროპული კურორტების ანალოგიურად და მისაწვდომი იქნება ყველა კატეგორიის მომხმარებლისათვის

**საკვანძო სიტყვები:** ზეკარი, მომხმარებელი, განვითარება, ჯანმრთელობა.

ბიზნესგარემო წარმოადგენს სოციალურ, ტექნოლოგიურ და პოლიტიკურ გარემოს, რომელიც ზეგავლენას ახდენს ორგანიზააციის გადაწყვეტილებებზე, სტრატეგიებზე, პროცესებსა და საბოლოო ჯამში განსაზღვრავს ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს.

ქვეყანაში წარმატებული ბიზნესგარემოს ფორმირებისათვის გრძელი გზაა გასავლელი, რაც ხდება სტაბილური საკანონმდებლო რეგულირების,ბიზნეს ოპერირების ძლიერი კულტურისა და ტრადიციების არსებობის ხარჯზე.იმისთვის, რომ ქვეყანამ, როგორც ერთმა მთლიანობამ, მიაღწიოს წარმატებას, განვითარდეს და შექმნას უკეთესი ეკონომიკური ვითარება, აუცილებელია ის განვითარდეს თითოეული რეგიონის მიხედვით.

საქართველოს რეგიონების მიხედვით გააჩნია განვითარების პერსპექტივების სხვადასხვა შესაძლებლობები. ის ფაქტი, რომ საქართველოში 2000-ზე მეტი ბენებრივი წყარო გვაქვს, რომელიც ამოედინება დედამიწის გულიდან, გვაძლევს შესაძლებლობას შევქმნათ მძლავრი ეკონომიკური გარემო,დავასაქმოთ ახალგაზრდობა,განვავითაროთ ინფრასტრუქტურა და მოვიზიდოთ მეტი სახსრები,რაც პირდაპირ თუ ირიბ ასახვას ჰპოვებს სახელმწიფო ბიუჯეტზე.

საქართველო ჯერ კიდევ ძვ.წ. IV საუკუნეში იყო ცნობილი სამკურნალო წყლებით, ალექსანდრე მაკედონელი აბანავებდა თავის მხედრებს და კურნავდა მათ. ამას გვიდასტურებს ახალციხის მაზრაში შენახული ხელნაწერები.

იმერეთის რეგიონის განვითარება დიდ წვლილს შეიტანს ქვეყნის განვითარებაში.ის გამოირჩეოდა მისი მდებარეობით, წარმოადგენდა ტრანზიტულ რეგიონს და აქტიური ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ რეგიონებთან.დღესდღეობით ის კვლავ რჩება მოცემულ პოზიციაზე, მის ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობას კიდევ უფრო ხელსაყრელს ხდის უახლოესი მომავლისთვის დაგეგმილი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქუთაისი-აბასთუმნის მიმარ-

თულებით საავტომობილო გზის გაყვანას,რომელიც გაივლის ზეკარის უღელტეხილზე და დაუკავშირდება სამხრეთ საქართველოს,შემდეგ თურქეთს,სომხეთსა და აზერბაიჯანს.

როგორც ზემოთ ვახსენე საქართველოში 2000-ზე მეტი სამკურნალო წყალია,ერთ-ერთ პერსპექტიულ და უნიკალური თვისების მქონე კურორტს წარმოადგენს „ზეკარი", რომელიც მდებარეობს ზეკარის უღელტეხილზე მდინარე ქერშავეთის ხეობაში ზღვის დონიდან 650 მ. წყლის დებიტი 400 000 ლიტრი დღ.ღ. მოცემულმა ჩემი ყურადღება მიიქცია წლების წინ, როდესაც მასზე აღფრთოვანებით საუბრობდნენ ადამიანები თუ რაოდენ დადებითი თვისება გააჩნია მას, თუმცა მისი ინფრასტრუქტურა: შენობა-ნაგებობები, კოტეჯები, სასადილო რეკონსტრუქციას საჭიროებს. მთავარ პრობლემას, რასაც აქ ჩვენ ვხვდებით არის ინფრასტრუქტურისა და მომსახურების არარსებობა.ის,რომ ის წარმოადგენს უნიკალურ ბანეოლოგიურ კურორტს ამის საფუძველს არა მარტო შემოგარენი სოფლების მცხოვრებნი გვიდასტურებენ(გამოიკითხა 35 ადამიანი და 28-ს პირადი გამოცდილება ჰქონდა მოცემულთან და რეკომენდაციას უწევდნენ მოცემულს), არამედ ამის საფუძველს ასევე გვაძლევს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №310/ნ (2002 წლის 5 ნოემბერი, თბილისი).

ჩემს მიზანს წარმოადგენს წარმოვაჩინო მოცემული კურორტის ღირსებები, შევისწავლო მიზნობრივი მომხმარებელი,გავაკეთო ანალიზი მომხმარებელთა სეგმენტაციის შესახებ, მოვიზიდო ინვესტორები,რომლებიც დააბანდებენ კაპიტალს მომგებიან და პერსპექტიულ ბიზნესში, შექმნიან მაღალი ხარისხის ინფრასტრუქტურასა და მომსახურებას, რაც თავისთავად გამოიწვევს რეგიონის განვითარებას.სახელწოდება ბალნეოთერაპია მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „balneum". როდესაც ჭეშმარიტებას ვეძებთ ის იქ უნდა ვეძებოთ, სადაც წარმოიშვა. თუ სუფთა წყალი გინდა მდინარის შესართავებთან კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ სათავეებთან. ძნელია ვთქვათ პირვლად ვინ მიაგნო ბუნებრივი წყლების სამკურნალო თვისებებს, თუმცა ფაქტობრივი მტკიცებულებები მოცემული წყლების შესახებ ეკუთვნის ეგვიპტელებსა და ბაბილონელებს. დღეს-დღეობით შემორჩენილია თიხისა და პაპირუსის ფირფიტებზე წყლების უნიკალური თვისებების შესახებ მონათხრობები. შემთხვევით არ იყო, რომ რომაელები სხეულის მოვლის ოსტატები იყვნენ.მაღალი საზოგადოების ქალბატობენს უყვარდათ "ნერვების" წყლით მკურნალობა.

დღევანდელ მსოფლიოში დიდ ყურადღებას იქცევს ჯანმრთელობა.გარემოს დაბინძურებამ, არაჯანსაღმა კვებამ,არაჯანსაღი ცხოვრების წესმა გამოიწვია ის,რომ დღეს მოსახლეობის დიდი ნაწილი უჩივის ჯანმრთელობას.კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოს (IARC) მონაცემებით მსოფლიოში ყოველწლიურად 14 000 000 -ზე მეტი ახალი შემთხვევა ფიქსირდება. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით დედამიწის მოსახლეობის 1 000 000 000 ადამიანს ნერვული სიტემის დისფუნქცია აღენიშნება. მოსახლეობის 15%-ს უშვილობა აწუხებს,ხოლო 2%-ს გულსისძარღვთა დაავადებები და ა.შ.

ისმის კითხვა:როგორ რეაგირებს მსოფლიო მოცემულზე?

მოსახლეობის დიდი ნაწილი დაავადებებს მედიკამენტებით ან ქირურგიული ჩარევით მკურნალობს, ნაწილი კი უპირატესობას ბენებრივ მეთოდებს ანჭებს,როგორიცაა მაგალითად ბუნებრივი წყლის აბანოები. ამ უკანასკნელის მისაღწევად ისინი მოგზაურობენ ქვეყნებში, რომლებიც ამის შესაძლებლობას იძლევა.

მოგზაურობის მთავარი მოტივიდან გამომდინარე მოთხოვნა შესაძლოა გაიყოს პირდაპირ და არაპირდაპირ მოთხოვნად.

პირდაპირი მოთხოვნა: იგი ეხება ტურისტებს, რომლებისთვისაც ველნეს და სამკურნალო პროდეცურების ჩატარება მოგზაურობის მთავარი მოტივატორია.

არაპირდაპირი მოთხოვნა: იგი ეხება ტურისტებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ველნეს და სამკურნალო პროცედურები მათი მოგზაურობის მხოლოდ შემადგენელი ნაწილია, ხოლო მოგზაურობის მოტივატორი სულ სხვა რამ შეიძლება იყოს.

მიზნობრივი მომხმარებელი იქნება მოსახლეობა თურქეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. ისინი სამხრეთ კავკასიიდან გამოუყვებიან გზას შემოვლენ საქართველოში, შემდეგ აბასთუმნის გავლით შეძლებენ დანისნულების ადგილის კურორტ „ზეკარის" მონახულებას. აქ მათ დახვდებათ მაღალი დონის მომსახურება, ბუნებრივი წყლის აბანოები, თანამედროვე ხარისხის აუზები, სამკურნალო სექტორები, საძინებლები, მიზნობრივი მომხმარებელი შეძლებს იმკურნალოს მისთვის შესაფერის და კომფორტულ გარფემოში საერთო აუზებში თუ სეგმენტირებული ოთახები, ასევე აქ განთავსდება ტრენაჟორები, ჯაკუზები, მასაჟის ოთახები, პავილიონები ხედით, ღია ტიპის რესტორანი, სადაც მომხმარებელი შეძლებს მზის ამოსვლას შეხვდეს საუზმით და საღამო გაატაროს სუფთა ჰაერზე, აქ განთავსდება საინფორმაციო და ტექნიკური მომსახურების კუთხე(მომსახურე პერსონალი მომხმარებლებს მოემსახურება მათ მშობლიურ ენაზე), სადაც დამსვენებელი შეძლებს წინასწარ დაჯავშნოს სამგზავრო ბილეთები ან პირიქით ჩაეწერონ მოცემულ კურორტზე.მოეწყობა ბავშვთა გასართობი ცენტრი,რომელიც ახალგაზრდა მშობლებს შეთავაზებს ბავშვის მოვლას. აქ იქნება „იმერული კუთხე", რომელიც მომხმარებელს შეთავაზებს საფირმო ნაკეთობებს, ქართულ თაფლსა და ღვინოს. მოცემულ მომხმარებელს ღვინისა და თაფლის შეძენას შეძლებენ ასევე ზეკარი-ქუთაისის გზაზე, როგორც ვიცით ბაღდათი ცნობილიო ღვინით ასევე მოცემული კურორტის განვითარება ხელს შეუწყობს ბაღდათი ზესტაფონის გზაზე არსებული ქართული ღვინის მარნების პოპულარიზაციას, აქ დაახლოებით, უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, გაიხსნა 5-მდე მარანი ასევე ტურისტები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ბუნებაში ცხოვრებით ჩვენ შევთავაზებთ ადგილობრივ ოჯახებში ადგილებს, ეს პირდაპირ გავლენას მოახდენს მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საკმაოდ ცნობილი საკვლევი ინსტიტუტის დასკვნაში წერია, რომ მოცემული რესურსების და გეოგრაფიული მდებარეობის მქონე ქვეყანაში ბევრად უკეთესი მდგომარეოობა უნდა იყოს „ქართველი კაცი არ უნდა იყოს ღარიბი"(ინფორმაციის მომწოდებელი:უკლება შურა).

საქართველოში ბევრი კურორტია, რომელიც ცნობილია მსოფლიოში (იგილისხმება სამკურნალო წყლები) ეს კურორტები მოცემულს „ზეკარს" კონკურენციას უწევს ინფრასტრუქტურით და მისი ცნობადობით,თუმცა თავად „ზეკარის" სახელი ცნობილია ევროპის მრავალ ქვეყანაში ახალი სასმელი წყლის „ზეკარის" ხარჯზე, ხოლო რაც შეეხება სამკურნალო თვისებებს ქვემოთ მოცემული დაგარწმუნებთ,რომ ის არანაკლები თვისებით გამოირჩევა როგორც „წყალტუბო". ზეკარი მკურნალობს 14 გავრცელებულ დაავადებას, ხოლო წყალტუბო 8 დაავადებას მათ შორის არის საერთო თვისებებიც, ამასთან „ზეკარი" მდებარეობს სუფთა მთის გარემოში,რაც სამკურნალო თვისებებს კიდევ უფრო აძლიერებს.

ასევე მოცემულს კონკურენციას უწევს ევროპისა და აზიის კურორტები: ჩიეხოჩინეკ და ნალეჩუვ (პოლონეთი), კრაკოვი (პოლონეთი) მისი თერმული წყლები, კეიჯეგისი (თურქეთი) მსუბუქი რადიოაქტიური წყალი.

კურორტ „ზეკარის" ღირსებები საკმაოდ მაღალია. ის რაც მას კონკურენტუუნაროს ქმნის არის ინფრასტრუქტურისა და მომსახურების არარსებობა და არაცნობადობა.მოცემულის განვითარება კიდევ ერთ შესაძლებლობას მისცემს საქართველოს საკუთარი თავი ღირსეულად წარუდგინოს მსოფლიოს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა(ბიზნეს გარემო საქართველოში)
2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N310/ნ, 2002 წლის 5 ნოემბერი,ქ.თბილისი.სახელმწიფო კოდი 470.230.000.11.119.005.557 გვ:8;18;19;20.
3. იმერეთში (საქართველო)ტურიზმის განვითარების მარკეტიკგული სტრატეგია დანართი 7 სექტორის ანალიზი ბარსელონა/თბილისი 2012 წლის აგვისტო. გვ:34;35.
4. ფილიპ კოტლერი, გარი არმსტრონგი, მარკეტინგის საფუძვლები. ნაწილი 1
5. 5.http://samkurnalocklebi.blogspot.com
6. 6.http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2E-4----4---0-1l--11-en-10---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=ekonomik&cl=CL1.4&d=HASH7e1c1bc56211acf8491906.4.2.

# სახელმწიფო ჩარევა უმაღლეს განათლებაში

***კიკაჩეიშვილი თორნიკე*** *– ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

***გოგიშვილი ლერი*** *– ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი* ***ჭიჭინაძე ბორისი*** *–მოწვეული სპეციალისტი, ეკონომიკის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

# The interference of a state in high education

***Kikacheishvili Tornike*** *– Bachelor's Student, Economics, II year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

***Gogishvili Leri*** *– Bachelor's Student, Economics, II year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

*Supervisor* ***Tchitchidze Borisi*** *–Invited Specialist, Department of Economics, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

### Abstract

A state often interferes in economic affairs for good purposes, but overall it has bad results. We would like to show you how much state's interference worsens high schools, how unfairly is distributed the money that belongs to all layers of society in taxes and how the poor layer is oppressed. In Georgia representatives of all layers of society equally pay taxes, but the poor layer of society doesn't get a good education, moreover they don't get an education at all. We discuss the payment system, on average how much money is taken from our salaries by the state, how is state universities funded, on average how many grants are given annually and mainly who gets it. In addition to this, we also discuss the necessity of tuition free courses' existence and at last, we will introduce our solution to this problem.

**Keywords**: The interference of a state, taxes, grants.

### აბსტრაქტი

სახელმწიფო ხშირად ერევე ეკონომიკურ საქმიანობაში კარგი მიზნებით, მაგრამ საბოლოო ჯამში ცუდ შედეგებს დებს. ჩვენ გვინდა დაგანახოთ რამდენად აუარესებს სახელმწიფო ჩარევა დღევანდელ უმაღლეს სასწავლებლებს, თუ როგორ უსამართლოდ ნაწილდება საზოგადოების ყველა ფენის თანხა, გადასახადების სახით, უმაღლეს განათლების სასწავლებლებში და როგორ იჩაგრება ღარიბი ფენა. საქართველოში ნებისმიერი ფენის წარმომადგენელი თანაბარ პროცენტულად იხდის გადასახადს, მაგრამ ღარიბი მოსახლეობა არა ხარსხიან განათლებას, არამედ საერთოდ ვერ იღებს მას. ჩვენ განვიხილავთ საგადასახადო სისტემას, საშუალოდ თუ რამდენი ლარი მიაქვს სახელმწიფოს ჩვენი გამომუშავებული თანხიდან, როგორ ფინანსდება სახელმწიფო უნივერსიტეტები, რამდენი გრანტი გაიცემა საშუალოდ ყო-

ველ წელს და ძირითადად ვინ იღებს მას. ასევე შევეხებით უფასო ფაკულტეტების საჭიროებას და ბოლოს გაგაცნობთ გამოსავლის პოვნის ჩვენეულ ვერსიას.

**საკვანძო სიტყვები**: სოციალიზმი, კაპიტალიზმი, სახელმწიფო ჩარევა, გადასახადები, გრანტი.

*"სახელმწიფო ჩარევა გვაჩვევს ძარცვის პრაქტიკას,*
*რომელზეც პასუხისმგებლობაც ეკისრება ყველას, ანუ არავის.*
*შესაბამისად, სხვისი სიმდიდრის მოხმარება არავისში იწვევს სინდისის ქეჯნას"*
***ფრედერიკ ბასტია***

ეკონომიკა და საზოგადოებრივი ცხოვრება პოლიტიკის ამოსავალი წერტილია. ეკონომიკური მეცნიერების ჩამოყალიბებიდანვე საზოგადოება ორ ნაწილად გაიყო, როგორც სოციალიზმისა და კაპიტალიზმის მიმდევრები. ეს დავა, რა თქმა უნდა, პოლიტიკურ სპექტრსაც მოიცავს, თუ რომელ ეკონომიკურ სისტემებს მიენიჭოს უპირატესობა. მემარცხენეობა, როგორც წესი, სოციალიზმს ემხრობოდა; მემარჯვენეობა - კაპიტალიზმის მხარდაჭერით გამოირჩეოდა მუდამ. დაპირისპირებულ სისტემათა ამგვარი ძირეული შეუთავსებლობა კიდევ უფრო ამძაფრებდა განხეთქილებას. მკითხველისთვის ნათელი რომ გახდეს ეს იდოლოგიები, გავმიჯნოთ ერთმანეთისგან ისინი, თავიანთი ნიშან თვისებებით.

სოციალიზმის პირობებში სახელმწიფო სრულად აკონტროლებს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს და აგეგმარებს მას. მათი მიზანია სისტემამ აწარმოოს მოხმარებისათვის ისეთი პროდუქტი, რაც ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ისახავს მიზნად. საწარმოო საშუალებები, უმეტეს წილად, საზოგადო ან "საერთო" საკუთრებაა. შრომა კოლექტიური ქმედების გამოხატულებაა და საყოველთაო კეთილდღეობას ისახავს მიზნად. იდეოლოგიის მთავარი მიზანია საზოგადოების ერთ კლასად გათანაბრება, რაც დაგვეთანხმებით ალბათ, რომ ადმიანების დეგრადაციის გამომწვევი მიზეზია.

განსხვავებით სოციალიზმისგან, კაპიტალიზმისში არსებობს ზოგადი საქონელწარმოება და ეს საქონელი ნაწარმისა თუ მომსახურების სახით გაცვლისთვისაა გამიზნული, ანუ მას საბაზრო ღირებულებები გააჩნია. საწარმოო ქონება ძირითდად კერძო მფლობელობაშია. ეკონომიკური ცხოვრება საბაზრო პრინციპების თანახმადაა მოწყობილი და მოთხოვნა-მიწოდების კანონებს ემორჩილება. მატერიალური დაინტერესება და მეტი მოგების მიღების სურვილი მეწარმეობისა და დაუღალავი შრომის სერიოზული მოტივაციაა.

კაპიტალიზმის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, ყოველთვის კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა სახელმწიფოს ჩარევის საზღვრები ეკონომიკაში. ისტორიაში უამრავი ფაქტია, რომელიც ორივე არგუმენტს საფუძვლიანად გაამყარებს, თუმცა ამის ჩამოთვლას არ დავიწყებთ და გადავიდეთ ქართულ ეკონომიკაში, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ფეხზე წამოდგომა და იმ მარწუხებიდან გათავისუფლება უჭირს, რომელიც ბიუროკრატიული, ზედმეტი, ჩარევებითაა გამოწვეული. ამის ნათელი მაგალითია მაღალი გადასახადები, შემდეგ ამ ფულით დაფინანსებული ინსტიტუტები და მაინც დაბალი ხარისხი ყველა სფეროში, განსაკუთრებით კი განათლებაში, რომელიც უმთავრესი პრობლემაა და წარმატების შემაფერხებელი ფაქტორია ჩვენი ქვეყნისთვის.

საზოგადოების უმრავლესობა ალბათ ფიქრობს, რომ გადასახადები მხოლოდ კომუნალური გადასახადებისგან შედგება და ასევე გადამხდელები იყვნენ ბიზნესმენები, საჯარო მოხელეები, დამქირავებლები, დაქირავებულები და ა.შ.

სამწუხაროდ, გადასახადს ვიხდით თითოეული ჩვენთაგანი, როდესაც რაიმე პროდუქტს ვყიდულობთ, მაგალითად, პურს, კარტოფილს, ხორცს, ჩვენ ავტომატურად ვიხდით გადასახადს.

ძალიან საინტერესოა რამდენია ეს გადასახადი ?

ყოველი 3 ლარი, რომელიც გამოვიმუშავეთ, აქედან 1 ლარი მიაქვს სახელმწიფოს, თქვენთვის რამდენადაც წარმოუდგენელლი არ უნდა იყოს ამ გადასახადს იხდის ღარიბებიც, უმუშევრებიც, პენსიონერებიც.

ამის გამოთვლა მარტივად შეგვიძლია, თუ რამდენ პროცენტს შეადგენს მშპ-დან ბიუჯეტის შემოსულობები. მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ბოლო 7 წლის მონაცემები.




www.mof.ge

ზოგადად გადასახადები უფრო მეტად აყენებს ზიანს ღარიბი ოჯახის შემოსავალზე, ვიდრე სხვა ფენის წარმომადგენელზე. ამ არგუმენტის გასამყარებლად მოვიყვანოთ უბრალო მაგალითი. როდესაც ღარიბი ოჯახის შემოსავალი შეადგენს, მაგალითად, 100 ლარს ხოლო შეძლებული ოჯახის კი მაგალითად 1 000 ლარს, ღარიბი ოჯახისთვის გადასახადებში გადახდილი 30 ლარი უფრო ზიანის მომტანია მისთვის, ვიდრე 300 ლარი შეძლებული ოჯახისთვის, მიუხედავად იმისა, რომ პროცენტულად ორივე ფენა თანაბრად იხდის და რიცხვები ათჯერ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ღარიბი ოჯახისთის ის 30 ლარი უფრო დამაზარალებელია ვიდრე შეძლებულისთვის 300 ლარი. აქედან გამომდინარე სახელმწიფო განათლების სამინისტრო აფინანსებს მოსახლეობისგან თანაბარ პროცენტულად აღებული თანხისგან, ხოლო საინტერესოა თანაბრად უბრუნდებათ მათ სარგებელი სახელმწიფოს ამ სისტემით ?

მოგეხსენებათ 2005 წლიდან საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით მისაღები გამოცდების ძველი ფორმა, ახლით შეიცვალა. ერთიანი ეროვნული გამოცდების ოფიციალურ საიტზე ნახავთ, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდები ითვალისწინებს:

- სტანდარტიზირებულ შერჩევას;
- უნარებისა და ცოდნის კომპლექსურ შეფასებას;
- სახელმწიფო გრანტის გაცემას საუკეთესო სტუდენტებზე;
- ფართო არჩევნის შესაძლებლობას.

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ უნარებისა ცოდნის კომპლექსურ შეფასებასა და სახელმწიფო გრანტების გაცემას საუკეთესო სტუდენტებზე, ამის შემდეგ კი თავად გადაწყვიტეთ რამდენად ფართო არჩევნის შესაძლებლობა ეცემა ღარიბ მოსახლეობას.

იმაზე ყველა შევთანხმდებით, რომ ამ რეფორმამ დაანგრია საბჭოური სისტემა, რომელიც კორუპციაზე იყო აწყობილი, მაგრამ ეს არის ის რაც ჩანს. ახლა შევხედოთ მეორე მხრიდან, იმას რაც არ ჩანს.

ზემოთ ხსენებულ უნარებისა და ცოდნის კომპლექსური შეფასებისთვის აბიტურიენტები იძულებულნი არიან მოემზადონ კერძო რეპეტიტორებთან და შეისწავლონ საგამოცდო საკითხები, ასევე დაეუფლონ საგამოცდო სისტემის სპეციფიკურ ტექნიკას, რადგან სკოლის განათლება საკმარისი არ არის. ქალაქ ქუთაისის რეალობაში დღეს აბიტურიენტს ერთიანი ეროვნული გომეცდებისთვის მოსამზადებლად მიახლოებით სჭირდება 3500-4500 ლარი. საქართველოში საშუალო და მის ქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის ეს თანხა ძალიან დიდია. საინტერესოა შემდეგი მონაცემები, რაც კარგად შეგიქმნით წარმოდგენას დღევანდელ სასკოლო განათლებაზე:

1. დაფინანსება ერთ მოსწავლეზე - საქართველო $425, ევროპის საშუალო -$9,312, ესტონეთი $6,518
2. სკოლის მასწავლებლის ხელფასი, საშუალოდ - საქართველო $192, ევროპის საშუალო - $3,133, ესტონეთი - $1041
3. წაკითხულის გააზრების მაჩვენებელი (15 წლის ასაკის მოზარდებს შორის) - ჩამოვრჩებით ინდონეზიას, რუსეთს, ვენესუელას.
4. მათემატიკური უნარების და საბუნებისმეტყველო საგნების მაჩვენებელი - ჩამოვრჩებით ყაზახეთს, ურუგვაის, ალბანეთს.
5. პედაგოგების (დაწყებითი კლასების) 39.2% ფიქრობს, რომ ინგლისური ენა საფრთხეს უქმნის ქართულ ენას.
6. პედაგოგების 52.9% ფიქრობს, ეთანხმება, რომ საქართველოში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, რომელმაც არ იცის ქართული, უნდა ჩამოერთვას მოქალაქეობა.
7. პედაგოგების 74.9% ფიქრობს, რომ განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანები საფრთხეს უქმნიან საზოგადოებას.
8. პედაგოგების 83.8% ფიქრობს, რომ არატრადიციული რელიგია (სექტები) საფრთხეს უქმნის ქართულ სახელმწიფოებრიობას.
9. პედაგოგების 46.6% ღიზიანდება, როდესაც ადამიანები მისთვის გაუგებარ ენაზე საუბრობენ.

თუ აბიტურიენტს სურს ქუთაისში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბაროს, მას 4 წლის განმავლობაში მოუწევს 9000 ლარის გადახდა. თუ ის გადაწყვეტს ქალაქიდან გავიდეს, დაემატება საცხოვრებელი ქირის გადასახადი, კვება და სხვა ხარჯები. ღარიბი ოჯახის წევრს, რომელიც თუნდაც ქუთაისში ცხოვრობდეს და სწავლა საკუთარ ქალაქში სურდეს (სხვა გზაც არ აქვს) ფიზიკურად ვერ შეძლებს თუ განსაკუთრებული ნიჭით არ არის. ხოლო რეგიონში მცხოვრებლებს კიდევ უფრო ურთულდებათ საქმე.

ყურადღება მისაქცევია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. ღარიბი ოჯახის ბავშვები სკოლას ხშირად ვერ ამთავრებენ უსახსრობის გამო ან ვერ აბარებენ უნივერსიტეტში ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, რაც აბიტურიენტის შენახვას უკავშირდება. ეს ადამიანები გადასახადებით უფინანსებენ სწავლას ასევე იმ სტუნტებს, რომლებმაც კერძო უნივერსიტეტებში ჩააბარეს გრანტით, სადაც სწავლის ფასი მიახლოებით 3500-5500 ლარის ფარგლებშია. ეს არიან ის სტუ-

დენტები, რომლებსაც თავისუფლად შეუძლიათ 5500 ლარის გადახდა, ხოლო მათ 2250 ლარით დაფინანსებაში წვლილს იღებენ ღარიბი ოჯახებიც, რომლებიც საკუთარი სწავლა ვერ დააფინანსეს, დამეთანხმებით რომ ნამდვილი პარადოქსია.

ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მომზადება, რომელიც საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით საშუალო ფენის ოჯახებისთვის ძალიან რთული და ღარიბებისთვის კი შეუძლებელია, არის წინაპირობა გრანტის მოსაპოვებლად. აქედან გამომდინარე ვიღებთ ისეთ შედეგს სადაც შეძლებული ან მდიდარი ოჯახის სტუდენტები გადასახადების ხარჯზე უფასოდ იღებენ განათლებას.

ღარიბებისთვის და საშუალო ფენის აბიტურიენტებისთვის უმაღლეს სასწავლებელში უფასოდ მოხვედრის ალტერნატივა გაჩნდა მაშინ, როცა სახელმწიფომ სრულად დააფინანსა შემდეგი ფაკულტეტები:

ა) აგრარული მეცნიერებანი;

ბ) განათლება;

გ) ინჟინერია;

დ) მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი;

ე) სოციალური მეცნიერებები;

ვ) ჰუმანიტარული მეცნიერებანი;

ზ) მიმართულებათაშორისო დარგები ან სპეციალობები.

ფაკულტეტების უმრავლესობა დღევანდელ შრომით ბაზარზე ნაკლებად მოთხოვნადი, ნაკლებად პერსპექტიული და დაბალ ანაზღაურებადია. აღსანიშნავია ისიც, რომ მსგავს ფაკულტეტებზე აბიტურიენტები ჯარის თავიდან არიდების მიზნით ან უბრალოდ დიპლომისთვის აბარებენ, რომლებსაც დაბალი აკადემიური მოსწრება აქვთ სტუდენტობის პერიოდში. აქაც იბადება ლოგიკური კითხვა, მაშინ რა მიზნით სჭირდება სახელწიფოს მილიონობით თანხა ყოველწლიურად თუ ხარისხიანი შედეგი ვერ მიიღო? საინტერესოა ბოლო 5 წლის მონაცემები თუ როგორ განისაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის გამოყოფილი პროგრამული დაფინანსების წლიური მოცულობები შემდეგი ოდენობებით:

| წელი | 2013-2014 | | 2014-2015 | | 2015-2016 | | 2016-2017 | | 2017-2018 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტი | | | | | | | | | | |
| თსუ | 1225 | 2,756 | 1225 | 2,756 | 1225 | 2,756 | 1225 | 2,756 | 1225 | 2,756 |
| სტუ | 1250 | 2,812 | 1850 | 4,162 | 1900 | 4,275 | 1900 | 4,275 | 1900 | 4,275 |
| ილიაუნი | 350 | 787 | 315 | 708 | 310 | 697 | 310 | 697 | 310 | 697 |
| აწსუ | 695 | 1,563 | 895 | 2,013 | 970 | 2,182 | 970 | 2,182 | 970 | 2,182 |
| ბსუ | 175 | 393 | 380 | 855 | 460 | 1,035 | 460 | 1,035 | 460 | 1,035 |
| სსუ | 75 | 168 | 135 | 303 | 200 | 450 | 200 | 450 | 200 | 450 |
| თელავის ს.უ. | 25 | 56 | 212 | 477 | 228 | 513 | 230 | 513 | 230 | 513 |
| სჯსუ | - | | - | | 360 | 810 | 360 | 810 | 360 | 810 |
| სულ | 3795 | 8,538 | 5012 | 11,277 | 5653 | 12,719 | 5655 | 12,723 | 5655 | 12,723 |

უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა

სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ ფაკულტეტების ხარჯი (მლნ)

(https://matsne.gov.ge/ka/document/view/3777964)

ზემოთ ხსენებული ფართო არჩევანის თაავისუფლება ღარიბებისთვის სრულად ნადგურდება სახელმწიფო ჩარევის შემდეგ, ეს არის რაც არ ჩანს.

საბოლოო სურათი რომ წარმოვიდგინოთ, სახელმწიფო თავად ადგენს ბაზარზე ფასს და ეწინააღმდეგება საბაზრო პრინციპებს, რომელიც მოთხოვნა მიწოდებაზეა დამოკიდებული. ბოლო სამი წლის განმავლობაში ბიუჯეტიდან სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისებისთვის გამოიყო

2015 წელს- 80 647 900 ლარი;

2016 წელს - 94 328 600 ლარი;

2017 წელს - 63 728 200 ლარი.

რეალურად კი ამ თანხებს ინაწილებენ შეძლებული და მდიდარი ოჯახის სტუდენტები, ხოლო წვლილი შეტანილი აქვს ყველა ფენის წარომადგენელს თანაბარპროცენტულად.

ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მთავრობა არამარტო დაფინანსებით უზრუნველყოფს სახელმწიფო უნივერსიტეტებს, არამედ აქტივებითაც. კერძო უნივერსიტეტმა შენობა-ნაგებობიშთვის თანხა უნდა დახარჯოს, განსხვავებით სახელმწიფო უნივერსიტეტისგან, რაც კიდევ ერთ უსამართლობაზე უსვამს ხაზს.

მაშინ სად არის გამოსავალი?

ჩვენი აზრით სახელმწიფოს მიერ სტუდენტების წახალისებისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები უსამართლოდ ნაწილდება და სასურველია საერთოდ საგრძნობლად შემცირდეს მსგავსი დაფინანსებები და მივცეთ ბააზარს თავისუფლება, რომელიც აბიტურიენტებისთვისა და უნივერსიტეტებისათვის მისახებ თანხას დაადგენს.

თავისუფალი კონკურენციის პირობებში ფასი ყოველთვის რეალურია, 2250 ლარის სანცვლად იქნება ბაზრისთვის მისაღები თანხა, რომელსაც ღარიბი ოჯახი სულ მცირე კრედიტის აღების საშუალებით შეძლებს გადახდას. თავისუფალი კონკურენციისას ბევრი უნივერსიტეტი გაჩნდება ბაზარზე, შეიძლება იფიქროთ ქვეყანაში უმაღლეს დამთავრებული, ე. წ. „დიპლომიანი" ახალგაზრდების რიცხვი გაიზრდება და ეს რა საჭიროა. დრო იცვლება, მაშასადამე ადამიანების, ფირმების, კორპორაციების და ა.შ. მოხოვნილებებიც იცვლება. დღეს დიპლომი არ არის გადამწყვეტი ფაქტორი ცოდნის განსაზღვრისათვის, გარდა საჯარო სამსახურებში, რაც სრული მარაზმია. ცოდნა უნდა განისაზღვრებოდეს არა დიპლომით არამედ რეალური ცოდნით, როგორ შეიძლება ქუთისში, ბათუმსა და თბილისში სწავლის ფასი თანაბარი იყოს, ასევე ფაკულტეტები, რომლებსაც განსხვავებულ სწავლების სპეციფიკა სჭირდება, მაშასადამე ანაზღაურებაც განსხვავებული უნდა იყოს, ვერავინ შეგვედავება, რომ ეს უნივერსიტეტები თანაბარი ხარისხის განათლებას რომ ვერ გვაძევენ.

ჩვენი ვფიქრობთ, რომ სახელმწიფო ნაკლებად უნდა ჩაერიოს ეკონომიკაში, განათლება კი მომსახურეობის სფეროა. უნივერსიტეტმა თავად უნდა დაადგინოს მისი რეალური ფასი, რამდენი სტუდენტის მიღების შესაძლებლობა აქვს, შესაბამისად განსაზღვროს კონკრეტული ფაკულტეტებზე სწავლის ღირებულება. უნივერსიტეტში დარჩებიან ნამდვილად კომპეტენტური ლექტორები, რომლებიც კოკურენციის პირობებში კიდევ უფრო აიმაღლებენ ცოდნას და სტუდენტებს ხარისხიან განათლებას გაუზიარებს. თანაბარი ხელფასი, შესაძლებლობების განსხვავებულობის მიუხედავათ, თვითგანვითარებას აფერხებს. სახელმწიფო რეფორმამ შეიძლება ერთი შეხედვით გაანადგურა კორუპციაზე დამყარებული სისტემა, მაგრამ დღევანდელი რეალობა სულ სხვაა, რომელიც თანაბარ პირობებში ამყოფებს უნივერსიტეტებს, გათანაბრება კი, როგორც თემის დასაწყისში აღვნიშნეთ სოციალიზმის მიზანია, რაც დეგრადაციის წინაპირობაა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ენდრიუ ჰეივუდი - ეკონომიკური სისტემები,
2. კლოდ ფრედერიკ ბასტია - ის, რაც, ჩანს და ის, რაც არ ჩანს.

# ელექტრონული ვაჭრობა და მისი განვითარების გზები საქართველოში

***კინწურაშვილი მარიამი*** *– ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

***შენგელია შორენა*** *– ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი* ***ბეშკენაძე ზვიადი*** *– ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

# Electronic trade and ways of its development in Georgia

***Kintsurashvili Mariami*** *– Bachelor's Student, Economics, II year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

***Shengelia Shorena*** *– Bachelor's Student, Economics, II year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

*Supervisor Beshkenadze Zviadi – Associate Professor, Department of Economics, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

## Abstract

Electronic business is discussed as an entrepreneurial activity in the given topic. It is explained how to create an informational product and their direct selling through virtual shops in internet networks. The currency, securities, commodities and precious metals markets are also considered, which also belong to the electronic business. The main directions and problems of online trade in Georgia are characterized. Finally, there is talk of necessity of development of electronic trading in Georgia, as electronic trade is a unique opportunity to participate in international trade.

**Keywords**: Electronic market, commerce, virtual shops, electronic advertising, communication technologies.

## აბსტრაქტი

მოცემულ თემაში განხილულია ელექტრონული ბიზნესი,როგორც სამეწარმეო საქმიანობა. ახსნილია, თუ როგორ ხდება საინფორმაციო პროდუქტის შექმნა და მათი პირდაპირი გაყიდვა ინტერნეტის ქსელებში ვირტუალური მაღაზიების საშუალებით. ასევე განხილულია ვალუტის, ფასიანი ქაღალდების, სასაქონლო და ძვირფასი ლითონების ბაზრები, რომლებიც ასევე ელექტრონულ ბიზნესს განეკუთვნება. დახასიათებულია საქართველოში ონლაინ ვაჭრობის ძირითადი მიმართულებები და პრობლემები. ბოლოს კი საუბარია საქართველოში ელექტრონული ვაჭრობის განვითარების აუცილებლობაზე, რადგან ელექტრონული ვჭრობა საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობის უნიკალური შესაძლებლობაა.

**საკვანძო სიტყვები**: ელექტრონული ბაზარი, კომერცია, ვირტუალური მაღაზიები, ელექტრონული რეკლამა, საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

ინტერნეტის გლობალური ქსელის საინფორმაციო ინფრასტრუქტურის განვითარებამ გამოიწვია ცვლილებები ბიზნესის მართვაში და ელ.ბაზრის გაჩენა.ცნობილია,რომ ელ. ბიზნესი სამეწარმეო საქმიანობაა,რომელშიც მოგების მიღების მიზნით გამოიყენება საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობები.

ელექტრონულ ვაჭრობას არც თუ დიდი ხნის წარსული,მაგრამ სამაგიეროდ განვითარების დიდი პოტენციალი და მომავალი გააჩნია.დღეისათვის, უკვე თამამად შეიძლება ითქვას,

რომ მსოფლიო ახალი გლობალური ცვლილებების აქტიურ ფაზაშია შესული. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ საზოგადოება განვითარების პოსტინდუსტრიული ეპოქიდან ინფორმაციულ ეპოქაში გადავიდა.ინფორმაცია საზოგადოების სულ უფრო მნიშვნელოვანი რესურსი ხდება. იგი 21-ე საუკუნის ყველაზე შემოსავლიანი პროდუქტია. ჩვენ ძალიან გაგვიმართლა, რომ ვცხოვრობთ თანამედროვე სამყაროში, სადაც ტექნიკურმა რევოლუციებმა, ელექტრონული კომერციის ეპოქამ შეცვალა ბიზნესის მართვის მეთოდები, ყიდვა-გაყიდვის გზები, მოგვცა საშუალება უფრო გავიმარტივოთ ცხოვრება, დავხარჯოთ ნაკლები დრო და მოვაგვაროთ საქმეები სახლიდან გაუსვლელად.

თანამედროვე საზოგადოების ინფორმატიზაციამ ისეთ დონეს მიაღწია,რომ უკვე ძნელიც კია წარმოვიდგინოთ ადამიანის საქმიანობის რომელიმე სფერო, სადაც სხვადასხვა ინტენსივობით საინფორმაციო ტექნოლოგიები არ გამოიყენებოდეს. ბუნებრივია, გამონაკლის არც სამეწარმეო საქმიანობა წარმოადგენს.

ელექტრონული კომერცია არის საშუალება, რომელსაც დამატებითი სარგებელი მოაქვს მომხმარებლისათვის, კერძოდ:

- დროის დაზოგვის შესაძლებლობა;
- შეძენილი პროდუქტის ადგილზე მიტანა;
- ტრანზაქციის განხორციელებისას ბარათის ონლაინ ავტორიზაცია;

ელექტრონული კომერციის უპირატესობები:

- მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან ანგარიშსწორება VISA და MasterCard ბარათებით;
- გარანტირებული,დაცული და სწრაფი ანგარიშსწორება;
- უსაფრთხოების მაღალი ხარისხი;

ელექტრონული კომერცია საშუალებას გაძლევთ:

- გაყიდოთ მომსახურება და პროდუქცია ინტერნეტის საშუალებით;
- გაზარდოთ გაყიდვების მოცულობა საქართველოს რეგიონებში;
- გააფართოვოთ გაყიდვების არეალი მსოფლიოს მასშტაბით;
- შამციროთ მაღაზიის ქსელის გაფართოებასთან დაკავშირებული ხარჯები;
- მეტად ხელმისაწვდომი გახადოთ თქვენი მომსახურება და პროდუქტი მომხმარებლისთვის.

ელექტრონული კომერცია კომპანიებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მინიმალური დანახარჯებით შესაძლებელია მომხმარებლისათვის მაქსიმალურად კომფორტული მომსახურების შეთავაზება შემდეგ სფეროებში:

- სასტუმროების,ავიაბილეთების დაჯავშნა/შეძენა;
- საინფორმაციო სერვისები;
- ინტერნეტ მაღაზიები;
- განათლება;
- ჰოსტინგი,ვებმომსახურება;
- აუქციონები;
- კომუნალური მომსახურება;
- სარეკლამო სერვისები;
- კურიერის მომსახურება;
- სახელმწიფო ორგანიზაციების სერვისები და სხვ.

ელექტრონული კომერციის ძირითადად განსხვავებული ტიპებია:

**ბიზნესი ბიზნესზე (B2B):**

ეს არის ელექტრონული კომერციის ტიპი, რომელიც ბიზნეს კომპანიებს შორის ურთიერთობებითა და საქმიანობებით გამოისახება. ელექტრონული კომერციის დაახლოებით 80 % ამ ტიპისაა .

**ბიზნესი მომხმარებლებისათვის (B2C):**

ელექტრონული კომერცია ანუ სავაჭრო ურთიერთობები ბიზნესსა და მომხმარებლებს შორის, მოიცავს კლიენტებზე ინფორმაციის შეგროვებას; ფიზიკური საქონლით ვაჭრობას (უფრო ზუსტად, მატერიალური ღირებულებით, როგორიცაა წიგნი და სხვა მოხმარებადი საქონელი) ან საინფორმაციო საქონელი (ელექტრონული ან ციფრული მატერიალების შემცველი საქონელი, როგორიცაა: Software, e-books) და ასევე საინფორმაციო საქონელისთვის მიღებულ პროდუქტებს ელექტრონული ქსელის მეშვეობით. ეს არის სიდიდით მეორე და უმარტივესი კომერციის ფორმა ელექტრონულ კომერციაში.

**ბიზნესი მთავრობაზე (B2G):**

ზოგადად აღნიშნავს კომერციის ფორმას კომპანიასა და საჯარო სექტორს შორის. ეს მოიცავს ინტერნეტის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვებს, სალიცენზიო პროცედურებს და სხვა მთავრობასთან დაკავშირებულ პროცედურებს. ამ ტიპის ელექტრონულ კომერციას ორი მახასიათებელი აქვს: პირველი, საჯარო სექტორი თავის თავზე იღებს პილოტის/წამყვანის როლს ელექტრონული კომერციის დაფუძნებაში; მეორე, მიიჩნევა, რომ სახელმწიფო სექტორს გააჩნია უდიდესი საჭიროება ელექტრონული შესყიდვების სისტემის უფრო ეფექტურობის მისაღწევად. ვებ გვერდებზე დაფუძნებული სავაჭრო პოლიტიკა ზრდის ამ პროცესების უზრუნველყოფის გამჭირვალობას (და დარღვევების რისკს მკვეთრად ამცირებს). დღესდღეობით, თავის მხრივ ამ ტიპის კომერციის წილი ელექტრონული კომერციის მთელ სექტორში ძალზედ მცირე და უმნიშვნელოა, ამრიგად, სახელმწიფოს ელექტრონული შესყიდვების სისტემა კვლავ განუვითარებელი რჩება.

**მომხმარებელი მომხმარებელზე (C2C):**

სავაჭრო ურთიერთობები კერძო ინდივიდებს ანუ მომხმარებლებს შორის. ამ ტიპის ელექტრონული კომერცია ხასიათდება ელექტრონული ბაზრებისა და ონლაინ აუქციონების რაოდენობის ზრდით, განსაკუთრებით ინდუსტრიის ვერტიკალურ არეალში, სადაც ბიზნესებსა და ფირმებს შეუძლიათ ფასის შეთავაზება თავისი სურვილის შესაბამისად მრავალ მომწოდებელს შორის. ამას შესაძლოა გააჩნია უდიდესი პოტენციალი ახალი ბაზრების განვითარებისა.

C2C ტიპის ონლაინ პლატფორმა საქართველოში : www.Gamoiwere.ge

**მობილური კომერცია (m-commerce):**

მობილური კომერცია (m-commerce) არის საქონლისა და მომსახურების ყიდვა/გაყიდვა უკაბელო (wireless) ტექნოლოგიების მეშვეობით.[5] მაგალითად პორტატული მოწყობილობები, როგორიცაა ფიჭური ტელეფონები, პერსონალური ციფრული დამხმარეები (PDAs). იაპონია მიჩნეულია კომერციის ამ სექტორის ლიდერ ქვეყანად. შინაარსის მიწოდება უკაბელო მოწყობილობებით უფრო სწრაფი, უსაფრთხო და მაშტაბური ხდება. ბევრს სწამთ, რომ მობილური კომერცია გადააჭარბებს კაბელით დამყარებულ ელექტრონულ კომერციას, როგორც ციფრული სავაჭრო ოპერაციების არჩევის მეთოდი. ეს რწმენა შესაძლოა სამართლიანი იყოს

საქართველოში პირველი ელექტრონული მაღაზიების პროტოტიპები 2001 წელს გამოჩნდა, თუმცა მაშის ეს მხოლოდ ქვეყანაში ელექტრონული ბიზნესის განვითარების მცდელო-

ბა იყო და მათი უმეტესობა ყიდვა-გაყიდვის შესახებ განცხადებების განთავსებით შემოიფარგლებოდა. დღესდღეობით საქართველოში არსებობს დაახლოებით 300-მდე ელექტრონული მაღაზია. სამწუხაროდ მომხმარებლის აქტიურობა შეინიშნება მხოლოდ 140-მდე მაღაზიაში, რომლებიც თავის საქმიანობაში მრავალ სხვადასხვა სახის პრობლემებს აწყდებიან. დანარჩენ ქართულ ელექტრონულ მაღაზიებში მომხმარებელი პრაქტიკულად არ შედის, ან შედის კვირაში ერთხელ.

საქართველოში ელექტრონული მაღაზიების განვითარების პრობლემები შეგვიძლია ორ დიდ ჯგუფად წარმოვადგინოთ: 1. ქვეყანაში საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების პრობლემები. 2. არსებული ელექტრონული მაღაზიების ფუნქციონირების პრობლემები.

პირველი ჯუფის პრობლემებიდან შესაძლებელია გამოვყოთ შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

საქართველოში ინტერნეტ მომხმარებლების რაოდენობის სიმცირე. საქართველოში მოსახლეობის მხოლოდ 45% არის ინტერნეტ მომხმარებელი. ამასთანავე მომხმარებლების უმეტესობა ქსელში გართობის და არა რაიმე პროდუქციის ან მომსახურების შეძენის მიზნით შედის. ამერიკული კომპანია Alexa მონაცემებით ქართველი მომხმარებლების ყველაზე მოთხოვნადი ვებ-საიტია სოციალური ქსელი Facebook, ხოლო კომპანია Amazon 11-ე ადგილზეა მოთხოვნად ვებ-საიტებს შორის.

მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარი. აუცილებელია საქართველოს მოსახლეობის შემოსავლების ზრდა და საშუალო კლასის ფორმირება. საწარმოების, ორგანიზაციების და საოჯახო მეურნეობების კომპიუტერიზაციის და ინტერნეტიზაციის დაბალი დონე. ინტერნეტის გავრცელების თვალსაზრისით, თვალშისაცემი შეუსაბამობაა საქართველოს დიდ ქალაქებსა და სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას შორის. სოფლად მცხოვრებთა მხოლოდ 7% ყოველდღიურად იყენებს ინტერნეტს. 6% კი ინტერნეტში სულ მცირე კვირაში ერთხელ შედის, როცა თბილისში მოსახლეობის 46% ყოველდღიურად იყენებს ინტერნეტს. რეგიონებში ინტერნეტის გავრცელების დაბალ მაჩვენებელს ინტერნეტ პროვაიდერებზე გაძნელებული წვდომა, მომსახურების ფასი და კავშირის სიჩქარე განაპირობებს.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის არასაკმარისი განვითარება. განსაკუთრებული სიმწვავით ეს პრობლემა დგას საქართველოს რეგიონებში. საქართველოში ინტერნეტ კავშირების მხოლოდ 10,1% არის ფართოზოლოვანი წვდომით და მათი სიჩქარე 4მბ/წმ-ს აღემატება. მაღალსიჩქარიანი ოპტიკურბოჭკოვანი ინტერნეტი ძირითადად თბილისის მოსახლეობას აქვს. საქართველოს მოსახლეობაში კომპიუტერული უნარ-ჩვევების დაბალი დონე კომუნიკაციისთვის ინტერნეტის გამოყენება და ინფორმაციის მიღება კომპიუტერის მოხმარების გარკვეული საფუძვლების ცოდნას მოითხოვს, საქართველოში ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდის მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორი სწორედ კომპიუტერის გამოყენების უნარების არ ქონაა. 18 წელზე მეტი ასაკის საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს (57%-ს), საერთოდ არ აქვს კომპიუტერის გამოყენებისთვის საჭირო ბაზისური ცოდნა. ელექტრონული ბიზნესის საკანონმდებლო ბაზის არარსებობა საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ 2008 წლის 14 მარტს მიიღო კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“. თუმცა ჯერჯერობით არ არის მიღებული სხვა ისეთი მნიშვნელოვანი ხასიათის სამართლებრივი დოკუმენტები, როგორიცაა: კანონი „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“, კანონი „ელექტრონული გარიგებების შესახებ“, რომლებიც უშუალოდ ქმნიან იმ სამართლებრივ გარემოს, სადაც წარმატებით და შეუფერხებლად უნდა განვითარდეს ელექტრონული ვაჭრობა.

ელექტრონული ბიზნესის სფეროში სპეციალისტების და ექსპერტების სიმცირე. ელექტრონული ბიზნესი, როგორც სპეციალისტების მომზადების დამოუკიდებელი მიმართულება წარმოადგენს ინტერდისციპლინურ მიმართულებას, რომელიც წარმოიქმნა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების შედეგად და ასახავს ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროს ელექტრონულ გარემოში გადაყვანის არსებულ მდგრად ტენდენციას. ამ დარგის სპეციალისტებს აუცილებლად უნდა გააჩნდეთ ღრმა ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, როგორც საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ასევე ბიზნესის სფეროში. საქართველოში ელექტრონული ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელია, რომ ქვეყნის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში დაინერგოს ელექტრონული ბიზნესის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები. დღესდღეობით სამაგისტრო პროგრამა „ელექტრონული ბიზნესი“ დანერგილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში (2013 წ.) და სამაგისტრო პროგრამა „ელექტრონული ბიზნესის ინფორმაციული ტექნოლოგიები“ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (2015 წ.)

მეორე ჯგუფის პრობლემები შეგვიძლია დავყოთ 3 ფაქტორად:

ინფორმაციული ფაქტორები,მომსახურების ფაქტორები,ტექნიკური ფაქტორები სუბიექტური ფაქტორებიდან, რომლებიც ხელს უშლიან ელექტრონული მაღაზიების განვითარებას საქართველოში აღსანიშნავია ქართველი ინტერნეტ მომხმარებლების დაბალი ნდობა და ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა შეიძინონ პროდუქცია ინტერნეტის მეშვეობით.

ჩვენი აზრით, ქართული ელექტრონული მაღაზიების განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ექსკლუზიური და უნიკალური პროდუქციის შეთავაზება მსოფლიო ონლაინ მომხმარებლებისათვის. ასევე ძალზე პერსპექტიულია საქართველოში მობილური კომერციის განვითარება. დღესდღეობით მსოფლიოში ერთ-ერთი უფრო მნიშვნელოვანი ტენდენცია არის შეძენის განხორციელება მობილური მოწყობილობებიდან. მათი მფლობელებისათვის იქმნება სხვადასხვა დანართები Android-ის და iOS-ის ბაზებზე, რომლებიც ხელმისაწვდომია პლანშეტებიდან და სმარტფონებიდან ელექტრონულ მაღაზიებში. ქსელიდან აშშ-ში მათი საშუალებით ხორციელდება 20% შენაძენი. საქართველოში მყიდველები ასევე მზად არიან ისარგებლონ ასეთივე მომსახურებით, მაგრამ ქართული ინტერნეტ მაღაზიას უმეტესობას არ გააჩნია მობილური კლიენტების სისტემები.

ელექტრონული ბიზნესის წილი საქართველოს ეკონომიკაში უმნიშვნელოა, შეიძლება ითქვას რომ საქართველოში ელექტრონული ბიზნესი ჯერ კიდევ განვითარების საწყის სტადიაშია. სამწუხაროდ მის განვითარებას სათანადო ყურადღება არ ეთმობა არც სამთავრობო სტრუქტურების და არც ბიზნეს სექტორის მხრიდან. პრაქტიკულად ქართულ სინამდვილეში არ არსებობს ცნობილი ელექტრონული ბიზნესის განხორციელებული პროექტები აღსანიშნავია, რომ ელექტრონული მაღაზიების განვითარება საქართველოში ვლინდება თავისი პრობლემატურობის ნიშნების მიხედვით, როცა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, კერძოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში და ევროკავშირში ის ვლინდება გამოცდილების დაგროვების და მიღწევების ანალიზის კონტექსტში. საქართველოში აუცილებელია ელექტრონული მაღაზიების პოპულარიზაცია, უკვე არსებული ინტერნეტ მაღაზიების სტრატეგიის შეცვლა და ქართველი ონლაინ მომხმარებლების ნდობის მოპოვება. საჭიროა ელექტრონული მაღაზიების ინტენსიური განვითარება და მსოფლიო ტენდენციების და წამყვანი გამოცდილების სწრაფი გაზიარება და დანერგვა საქართველოს სინამდვილეში. ძალზე მნიშვნელოვანია საზღვარგარეთული ინვესტიციების მოზიდვა ქართულ ელექტრონული მაღაზიების პროექტებში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. www.wikipedia.org
2. www.inso.ge
3. www.lari.ge
4. www.cartubank.ge

# არასაბანკო სექტორი , როგორც ბანკთაშორისი კონკურენციის უხილავი მონაწილე

***ლეჟავა ეკა*** *– ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის I კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი* ***შონია ქეთო*** *– მოწვეული სპეციალისტი, ეკონომიკის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

# Non-Banking Sector as Invisibility Participant in Interbank Competition

***Lezhava Eka*** *– PhD Student, Economics, I year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

*Supervisor* ***Shonia Keto*** *– Invited Specialist, Department of Economics, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

**Abstract**

Any economic growth at the macro level will be considered if the micro level requires a (but not enough) condition of competition and competitive environment.

When we talk about and review the situation in the Georgian banking sector, especially in the competitive environment, its quality assessment is essential and right to see this issue in the multifaceted prism. It is desirable to consider not only the banking sector, as a simplified model of the National Bank of Georgia, the main state regulator of the banking sector and the competing banking structures presented on the market, but the country's entire credit market, its monopoly Take part in all the subjects. I mean so called Horizontal Competition, which includes the interrelations of interactive bank structures of Georgia and the second one. Vertical competition, which includes banking structures, involves the interaction and relationship of other loan players and alternative loan-credit instruments. Naturally, here is meant microfinance organizations, credit unions, online loans, pension and life insurance funds and stock market.

Nowadays, rapid growth of the non-banking financial sector in Georgia is an important topic. Microfinance organizations, as part of the private sector, make more or less significant contribution to the development of the country's economy, constitute a significant part of the financial infrastructure and market economy, creating a competitive environment for the banking sector. Therefore, it is necessary to improve the supportive factors for their reliable and efficient functioning, including: developing and improving the relevant system for control of non-bank financial sectors; Implementing certain restrictions for non-regulatory non-bank financial sector; Maximally adapt to the interests of financial legislation users; In order to normalize the market economy, microfinance organizations are cheap, fast, secure, reliable and effective.

**Keywords:** bank, competition, non-banking sector, microfinance organization.

**აბსტრაქტი**

ნებისმიერი ეკონომიკური ზრდა, მაკროდონეზე იქნება იგი განხილული, თუ მიკროდონეზე, აუცილებელ (თუმცა, არასაკმარის) პირობად გულისხმობს კონკურენციისა და კონკურენტული გარემოს არსებობას.

როცა ვსაუბრობთ და მიმოვიხილავთ საქართველოს საბანკო სექტორში არსებულ მდგომარეობას, განსაკუთრებით კონკურენტულ გარემოსა და მისი ხარისხის შეფასებას მისი ეფექტიანობის კუთხით, საჭირო და მართებულია ეს საკითხი მრავალწახნაგოვან პრიზმაში დავინახოთ. სრულფასოვანი დასკვნე-ბისა და მეტ-ნაკლებად ზუსტი “დიაგნოზის” დასასმელად, სასურველია, განვიხილოთ არა მხოლოდ უშუალოდ საბანკო სექტორი, როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის ანუ საბანკო სფეროს მთავარი სა-

ხელმწიფო რეგულატორისა და ბაზარზე წარმოდგენილი კონკურენტი საბანკო სტრუქტურების ურთიერთობის ერთგვარი გამარტივებული მოდელი, არამედ ქვეყნის მთლიანი საკრედიტო ბაზარი, მისი მონაწილე ყველა სუბიექტის ჩათვლით. მხედველობაში მაქვს ე.წ. ჰორიზონტალური კონკურენცია, რომელიც მოიცავს საქართველოს მოქმედი საბანკო სტრუქტურების ერთმანეთთან ურთიერთობის ასპექტებს და მეორე, ე.წ. ვერტიკალური კონკურენცია, რომელიც საბანკო სტრუქტურების გარდა მოიცავს სასესხო კაპიტალის ბაზრის სხვა მოთამაშეებისა და ალტერნატიული სასესხო-საკრედიტო ინსტრუმენტების ურთიერთმიმართებისა და ურთიერთობის საკითხებს. აქ, ბუნებრივია, იგულისხმება მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები, ონლაინ სესხები, საპენსიო და სიცოცხლის დაზღვევის ფონდები და საფონდო ბაზარი.

დღესდღეობით საქართველოში, არასაბანკო ფინანსური სექტორის სწრაფი ზრდა აქტუალურ თემას წარმოადგენს.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, როგორც კერძო სექტორის შემადგენელ სუბიექტებს, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, ისინი წარმოადგენენ ფინანსური ინფრასტრუქტურისა და საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს, ქმნიან კონკურენტულ გარემოს საბანკო სექტორთან მიმართებაში. შესაბამისად, საჭიროა დაიხვეწოს მათი საიმედო და ეფექტური ფუნქციონირებისათვის ხელშემწყობი ფაქტორები, რაც მოიცავს: არასაბანკო ფინანსური სექტორის კონტროლისათვის შესაბამისი სისტემის შემუშავებასა და სრულყოფას; არარეგულირებადი არასაბანკო ფინანსური სექტორისათვის გარკვეული შეზღუდვების დაწესებას; ფინანსური კანონმდებლობის მომხმარებლების ინტერესებზე მაქსიმალურად მორგებას; საბაზრო ეკონომიკის ნორმალურად ფუქციონირებისათვის საჭიროა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები იყვნენ იაფი, სწრაფი, უსაფრთხო, საიმედო და ეფექტური.

**საკვანძო სიტყვები**: კონკურენცია, არასაბანკო სექტორი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია

ნებისმიერი ეკონომიკური ზრდა, მაკროდონეზე იქნება იგი განხილული, თუ მიკროდონეზე, აუცილებელ (თუმცა, არასაკმარის) პირობად გულისხმობს კონკურენციისა და კონკურენტული გარემოს არსებობას.

როცა ვსაუბრობთ და მიმოვიხილავთ საქართველოს საბანკო სექტორში არსებულ მდგომარეობას, განსაკუთრებით კონკურენტულ გარემოსა და მისი ხარისხის შეფასებას მისი ეფექტიანობის კუთხით, საჭირო და მართებულია ეს საკითხი მრავალწახნაგოვან პრიზმაში დავინახოთ. სრულფასოვანი დასკვნებისა და მეტ-ნაკლებად ზუსტი “დიაგნოზის” დასასმელად, სასურველია, განვიხილოთ არა მხოლოდ უშუალოდ საბანკო სექტორი, როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის ანუ საბანკო სფეროს მთავარი სახელმწიფო რეგულატორისა და ბაზარზე წარმოდგენილი კონკურენტი საბანკო სტრუქტურების ურთიერთობის ერთგვარი გამარტივებული მოდელი, არამედ ქვეყნის მთლიანი საკრედიტო ბაზარი, მისი მონაწილე ყველა სუბიექტის ჩათვლით. მხედველობაში მაქვს ე.წ. ჰორიზონტალური კონკურენცია, რომელიც მოიცავს საქართველოს მოქმედი საბანკო სტრუქტურების ერთმანეთთან ურთიერთობის ასპექტებს და მეორე, ე.წ. ვერტიკალური კონკურენცია, რომელიც საბანკო სტრუქტურების გარდა მოიცავს სასესხო კაპიტალის ბაზრის სხვა მოთამაშეებისა და ალტერნატიული სასესხო-საკრედიტო ინსტრუმენტების ურთიერთმიმართებისა და ურთიერთობის საკითხებს. აქ, ბუნებრივია, იგულისხმება მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები, ონლაინ სესხები, საპენსიო და სიცოცხლის დაზღვევის ფონდები და საფონდო ბაზარი.

ბანკთაშორისი საკრედიტო კაპიტალის ბაზარი საკმაოდ განვითარებულია და კონკურენციის მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი ხარისხი აქვს. რაც შეეხება ქვეყნის მთლიან სასესხო-საინვესტიციო კაპიტალის ბაზარს, აქ მდგომარეობა კარდინალურად განსხვავებულია -

საბანკო სტრუქტურები დომინანტურ საბაზრო ძალაუფლებას ფლობენ. პრაქტიკულად შექმნილია ხელოვნური ბარიერები ბაზრის ალტერნატიული ინსტრუმენტების სრულფასოვანი განვითარებისათვის.

თუმცა, **დღესდღეობით საქართველოში, არასაბანკო ფინანსური სექტორის სწრაფი ზრდა აქტუალურ თემას წარმოადგენს.**

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული უპრეცედენტოდ მაღალი წლიური სარგებელი, რომელიც ხშირად 30%-ს აჭარბებს, კომერციული ბანკების სტანდარტებისგან რადიკალურად განსხვავდება. სპეციალისტები ასეთ ხელგაშლილობას ეჭვის თვალით უცქერიან.

მიკროსაფინანსოების საქმიანობა იმდენად თვითნებურია, რომ ბოლო წლებია რაც სესხის გაცემის ონლაინ რეჟიმზე გადავიდნენ რეგულირების კონტექსტიდან საერთოდ ამოვარდნილია. თუმცა, ეს ფაქტორი მომხმარებელს სრულიად არ უშლის ხელს, რომ სხვადასხვა ორგანიზაციის "მიმზიდველი შეთავაზებით" ისარგებლოს. მათ შესაძლებლობა აქვთ, მიიღონ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან იპოთეკური სესხიც, რისი გაცემის უფლება, წესით, არ უნდა ჰქონდეთ.

საქართველოს კანონმდებლობით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის კონტროლი ეროვნული ბანკის პრეროგატივაა. ქვეყნის მთავარი ბანკის ინფორმაციით, სულ 73 მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა რეგისტრირებული და მათი საქმიანობა რეგულარულად მოწმდება.

კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რაოდენობა ყოველი წლის აპრილის თვის მონაცემებით

ცხრილი N 1.1

| წელი | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 |
|---|---|---|---|---|---|---|
| კომერციული ბანკები | 18 | 22 | 20 | 19 | 19 | 19 |
| მიკროსაფინანსოები | 8 | 19 | 30 | 39 | 54 | 61 |
| ვალუტის გადამცვლელი პუნქტები | 696 | 737 | 1124 | 1431 | 1489 | 1203 |

| წელი | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|---|---|---|
| კომერციული ბანკები | 20 | 21 | 20 | 19 | 17 | 16 |
| მიკროსაფინანსოები | 63 | 69 | 71 | 71 | 88 | 73 |
| ვალუტის გადამცვლელი პუნქტები | 1015 | 1107 | 1104 | 1174 | 1190 | 1104 |

**წყარო :** https://www.nbg.gov.ge/index.php?m=109

როგორც წარმოდგენილი ცხრილის მონაცემებით ვხედავთ, დღესდღეობით, სირთულეების მიუხედავად მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ინარჩუნებენ სტაბილურობას და ისინი გვევლინებიან ბანკთაშორისი კონკურენციის "უნებლიე" მონაწილეებად. 2007 წლიდან დღემდე მათი რაოდენობა იზრდება ძალიან სწრაფად, კომერციული ბანკების რაოდენობის ზრდის არაპროპორციულად.

საქართველოში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი რეგულირების წყაროა კანონი "მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ", რომელიც მომზადდა ეროვნული ბანკის ინიციატივით და 2006 წლის 18 ივლისს იქნა მიღებული.

ზედამხედველობის კუთხით მიკროსაფინანსო სექტორი შედის არასაბანკო ფინანსური სექტორის ნაწილში. საქართველოს არასაბანკო ფინანსური სექტორი შეადგენს მთლიანი ფინანსური სექტორის კონსოლიდირებული აქტივების მხოლოდ 5.96 პროცენტს და აქედან მიკროსაფინანსო ორგანიზაცები მოიცავს 1.8 პროცენტს. განვითარებულ ქვეყნებში არასაბანკო სექტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც ფინანსური სექტორის, ისევე მთლიანი ეკონომიკის

განვითარებაში, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოზე, ქვეყანაში კომერციული ბანკების დომინირების გამო. შედარებისთვის, ევროზონაში არასაბანკო სექტორი მთლიანი ფინანსური სექტორის აქტივების 43 პროცენტს შეადგენს, სლოვენიაში 30 პროცენტს, ხოლო მეზობელ თურქეთში 11.5 პროცენტს.

მიკროსაფინანო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლში გათვალისწინებულია ორგანიზაციის დაფუძნებისათვის სავალდებულო წინაპირობა, კერძოდ „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალში ფულადი შესატანი არ უნდა იყოს 250 000 (ორას ორმოცდაათი ათას) ლარზე ნაკლები. ამ თანხის ზემოთ წესდებით დადგენილი საწესდებო კაპიტალის სრული ოდენობის ფულადი ან/და არაფულადი ფორმით შევსება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“ საქართველოში „მიკროსაფინანო ორგანიზაციების შესახებ“ კანონის მიღებამდე 10−მდე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არსებობდა, მათი პორთფელის საერთო მმოცულობა 42 000 000 ლარს შეადგენდა, ხოლო მსესხებელთა საერთო რაოდენობა 38 000 იყო.

ნებისმიერ შემთხვევაში, თუ დარღვევები გამოვლინდება, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, გააფრთხილოს იგი, დააკისროს ფულადი ჯარიმა ან მიიღოს გადაწყვეტილება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ სებ-ის მიერ დადგენილი წესით.

საბანკო სფეროს ექსპერტებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კონტროლი არასაკმარისად მიაჩნიათ. მათი თქმით, მომსახურების ამ სფეროში მომხმარებლის ინტერესები აბსოლუტურად იგნორირებულია, რასაც ექსპერტები კანონმდებლობის ხარვეზად მიიჩნევენ.

აღსანიშნავია, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში სუსტად რეგულირდება. ისინი არ წარმოადგენენ ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტს, ანუ კომერციული ბანკებისგან განსხვავებით, ეკონომიკაში ამინდს ვერ ქმნიან.

მიუღებელია საპროცენტო განაკვეთები, რაც მიკროსაფინანსოებს აქვთ. არსებობს სპეციალური კანონმდებლობა, რომელიც მათ სავახშო პროცენტებით სესხის გაცემას უკრძალავს. ზოგიერთ ქვეყანაში, განვითარებადშიც კი, მოქმედებს არა მხოლოდ რეგულირებადი ნორმები, არამედ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები გასცემენ იპოთეკურ სესხებსაც, ეს კი მათი კომპენტენცია არ არის. წესით, ისინი დამწყებ ბიზნესს უნდა ეხმარებოდნენ. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად მიმაჩნია, სესხის მაქსიმალური ზღვარი (50 000 ლარი) დავიდეს 15-20 ათასამდე, რის შემდეგაც ეს ორგანიზაციები მათზე დაკისრებულ ფუნქციებს შეასრულებენ", - აცხადებს ელიავა. მისი განცხადებით, ეროვნული ბანკისა და შესაბამისი ორგანიზაციების მხრიდან უნდა გამკაცრდეს კონტროლი, რასაც სახელმწიფოს განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება.

საქართველოში მომხმარებელი საერთოდ დაუცველია. ისინი აბსოლუტურად მინდობილი არიან ბიზნესზე. სახელმწიფო სწორედ იმისთვის არსებობს, რომ დაიცვას მოსახლეობის ინტერესები, მათ შორის, საფინანსო მომსახურების სფეროში. მართალია, მომხმარებელთა უფლებების შესახებ კანონი არსებობს, მაგრამ მას აუცილებლად გამკაცრება სჭირდება.

საფინანსო ორგანიზაციებს არ აქვთ უფლება, დეპოზიტები მოიზიდონ მოსახლეობისგან. ამიტომ რესურსებს იღებენ კერძო ინვესტორისგან, რომელიც შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი. ხშირად კომერციული ბანკებისგანაც იღებენ თანხებს და თავიანთი საქმიანობისთვის იყენებენ.

აბსოლუტურად არ კონტროლდება ონლაინ განვადებები, რაც კანონმდებლობის დიდი ნაკლია. მეტი კონტროლია გასაწევი როგორც ეროვნული ბანკის, ასევე შესაბამისი სტრუქტურების მხრიდანაც.

განსხვავებული მოსაზრება აქვს საბანკო სფეროს ექსპერტთა ერთ ნაწილს, რომელთა შეფასებითაც, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მომხმარებლები აბსოლუტურად დაცული არიან და საფრთხე მათ არც მომავალში ემუქრებათ. მათი აზრით, სერიოზულ ზედამხედველობას უწევს ეროვნული ბანკი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, ისევე როგორც მთლიანად საბანკო სექტორს და არ არის შემთხვევები, როცა მათი საქმიანობის გამო მოქალაქეები დაზარალებულიყვნენ. ნებისმიერ რისკზე რეაგირებას ის ადეკვატურად მოახდენს.

ჩვენი აზრით, კი საჭიროა, რომ ეროვნულმა ბანკმა უფრო აქტიურად შეიმუშაოს საკანონმდებლო ინიციატივები, რომელიც ხელს შეუწყობს არასაბანკო სექტორის მისი მარეგულირებელი ნორმის დახვეწას და მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

პირველი მიკროსაფინანო ორგანიზაცია “ქართული კრედიტი” კი დარეგისტრირდა 2006 წლის 4 ოქტომბერს. მიკროსაფინანო ორგანიზაციების საქმიანობას ამჟამად ოფიციალურად ახორციელებს 73 ორგანიზაცია, (საქართველოს ეროვნული ბანკის 2018 წლის მარტის თვის მონაცემების მიხედვით) რომლებიც დაფუძნებული არიან 1996−2018 წლებში უცხოური დონორი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით. თითოეული მათგანი აქტიურად მუშაობს საქართველოს საფინანსო ბაზარზე და თავისი წვლილი შეაქვს ღარიბი და მცირე შემოსავლების მქონე მოქალაქეების თვითდასაქმებაში მათთვის ინდივიდუალური და ჯგუფური სესხების მიცემით.[1]

ვინაიდან, მიკროსაფინანო ორგანიზაციების კლიენტები არიან ღარიბი და დაბალი შემოსავლების მქონე პირები და სოციალური მდგომარეობა მათ არ აძლევს შესაძლებლობას, იყვნენ სათანადოდ ინფორმირებულნი, ამიტომ კანონი მათი ინტერესებიდან გამომდინარე, ითვალისწინებს სესხის გაცემის პირობებს და მსესხებლის და გამსესხებლის უფლება-მოვალეებებს. კერძოდ, მე-9 მუხლი ითვალისწინებს შემდეგ პირობებს: “მიკროსესხის გაცემის თაობაზე მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და მსესხებელს შორის იდება წერილობითი საკრედიტო ხელშეკრულება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, სესხი შეიძლება იყოს ჯგუფური ან ინდივიდუალური, უზრუნველყოფილი ან საბლანკო. მიკროსესხის გაცემის წესებს და პირობებს ადგენს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, საპროცენტო განაკვეთის ოდენობას, საკომისიო გასამრჯელოს და მომსახურების გადასახდელს ადგენს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას შეუძლია განახორციელოს კონტროლი მსესხებლის მიერ კრედიტის გამოყენების მიზნობრიობაზეც, ხოლო მსესხებელი ვალდებულია მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უზრუნველყოს ასეთი კონტროლის განხორციელების შესაძლებლობით. თუ მსესხებელი არ შეასრულებს კრედიტის მიზნობრივად გამოყენების ვალდებულებას, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას უფლება აქვს უარი თქვას კრედიტის გაცემის თაობაზე ხელშეკრულების შესრულებაზე გაუცემელი კრედიტის ნაწილში და მოითხოვოს კრედიტის გაცემული ნაწილის ვადამდე დაფარვა”.

საქართველოში კი საპროცენტო განაკვეთის ოდენობას, საკომისიო გასამრჯელოს და მომსახურების გადასახდელს ადგენს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი ითვალისწინებს მიკროსაფინანსო ორგა-

[1] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=109

ნიზაციის მიერ გაცემული მიკროკრედიტის მაქსიმალური ჯამურ ოდენობასაც, რაც ერთ მსეს-ხებელზე არ უნდა აღემატებოდეს 50000 (ორმოცდაათი ათას) ლარს.

საქართველში არსებული მიკროსაფინანსო რგანიზაციებიდან აღსანიშნავია, **სს მისო „კრისტალი“,** რომელიც წარმოადგენს დინამიურად მზარდ, ადგილობრივ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, რომელიც თავისი საქმიანობით ხელს უწყობს მიკრო და მცირე ბიზნეს სექტო-რის განვითარებას ქვეყანაში.

კრისტალი მომხმარებელს სთავაზობს მრავალფეროვან და მაღალხარისხიან ფინანსურ მომსახურებას, მათ შორის: მიკრო, საშუალო და აგრო სესხებს დამწყები და მოქმედი ბიზნე-სისათვის; სარემონტო და სამომხმარებლო სესხებს; ვალუტის გაცვლის ოპერაციებს; გზავნი-ლებს; კომუნალური გადახდის მომსახურებას და ა.შ.

კრისტალი, რომლის სათაო ოფისიც მდებარეობს ქუთაისში (დასავლეთ საქართველო), ძირითადად ორიენტირებულია რეგიონებსა და მოშორებულ ადგილებში მოღვაწე მიკრო მე-წარმეებისა და ფერმერების განვითარებაზე. 2017 წლის მდგომარეობით, კომპანიის სესხის პორთფელის თითქმის 29% კონცენტრირებულია სასოფლო რეგიონებში.

**„კრისტალის“** მიერ 1998 წელს 10,000 აშშ დოლარის სასესხო კაპიტალით დაწყებული საქმიანობა 2017 წლისათვის ემსახურება 60,000-ზე მეტ მომხმარებელს, წარმატებით მართავს 150 მილიონი ლარის ოდენობის საკრედიტო პორთფელს; კომპანია ოპერირებს 50 ოფისის მეშვეობით საქართველოს 8 რეგიონში.[2]

**კრისტალის ძირითადი სტატისტიკურ მონაცემებს, რომელიც მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საიტზე არის განთავსებული 2015 წლამდე - ცხრილი N 1.2.**

| პარამეტრები | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 |
|---|---|---|---|---|---|---|
| სესხის პორტფელი ($) | 8 084 772 | 13011674 | 16411654 | 25820617 | 39098077 | 45128183.54 |
| მთლიანი აქტივები ($) | 9172050 | 15507284 | 20455408 | 28503715 | 45197925 | 50601319 |
| სესხის საშუალო მოცულობა ( $ ) | 1 461 | 1 457 | 1 300 | 1 223 | 1 035 | 1086 |
| სასოფლო კლიენტურა | 42% | 45% | 47% | 50% | 52% | 50% |
| PAR > 30 | 0.34% | 0.23% | 0.52% | 0.48% | 0.95% | 1.31% |
| ჩამოწერილი სესხები | 1.8% | 0.34% | 0.56% | 0.55% | 0.60% | 1.53% |
| ოპერაციული სტაბილურობა (OSS) | 134% | 137% | 138% | 124% | 125% | 125% |
| უკუგება აქტივებზე (ROA) | 8.10% | 7.65% | 7.94% | 5.00% | 5.20% | 5.55% |
| აქტიური სესხები # | 7 511 | 12 317 | 17 101 | 27 094 | 47 829 | 47 234 |
| თანამშრომელთა # | 100 | 124 | 162 | 249 | 336 | 494 |
| ოფისების # | 15 | 16 | 16 | 22 | 27 | 31 |

წყარო : http://crystal.ge/ka/148/about-us

ასე რომ, კრისტალი წარმოადგენს ერთ-ერთ წამყვან მიკროსაფინანსო ორგანიზაციას საქართველოს ბაზარზე. წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებისა და ბოლო დროინდელი მონაცემებით შთამბეჭდავი ზრდა ცალსახად მეტყველებს კრისტალის კონკურენტუნარიანო-ბაზე, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში.კომპანიის პორთფელის ხარისხის მაჩვენებ-ლები ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოსა და კავკასიის მთლიან რეგიონში.

იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობის 60 პროცენტზე მეტი თვითდასაქმებულია და არ შეუძლია წარმოადგინოს შემოსავლის დამადასტურებელი ცნობა, მათთვის სესხის აღე-ბის ერთადერთი გამოსავალი არასაბანკო ინსტიტუტია.

2 http://crystal.ge/

არასაბანკო ფინანსურ სექტორს ძირითადად მაღალი რისკის მქონე მომხმარებლები მიმართავენ; ისინი ვისაც გადახდისუუნარობის და მაღალი რისკის გამო, კომერციული ბანკები სხვადასხვა სახის პროდუქტებით მომსახურებაზე უარს ეუბნებიან. შესაბამისად, ასეთი ტიპის მომხმარებლები იგივე სახის მომსახურებას, თუმცა უფრო მაღალ ფასად არასაბანკო ფინანსური სექტორიდან იღებენ. აქედან ნათელია, რომ თუ მომხმარებელი გადახდისუუნარო და მაღალ რისკიანია, არასაბანკო სექტორის მიერ დაკისრებულ უფრო მძიმე ვალდებულებებს კიდე უფრო ნაკლებად შეასრულებს. ამიტომაც ამ სექტორის მიერ გაცემული სესხები პროცენტულად უფრო მეტად პრობლემდება, ვიდრე კომერციული ბანკების; რაც ფინანსურად ისედაც გაჭირვებული მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო მეტად აუარესებს.

გასათვალისწინებელი წინადადებები და რეკომენდაციები:

1. არასაბანკო ფინანსური სექტორის (განსაკუთრებით არარეგულირებადი სფეროს) კონტროლისათვის შესაბამისი სისტემის შემუშავება და სრულყოფა;

2. არარეგულირებადი არასაბანკო ფინანსური სექტორისათვის გარკვეული შეზღუდვების დაწესება (მაგ. ლომბარდებში ასაკობრივი შეზღუდვების დაწესება);

3. ფინანსური კანონმდებლობის მომხმარებლების შესაძლებლობებზე მაქსიმალურად მორგება;

4. საზოგადოებაში (როგორც მსესხებლის ასევე კრედიტორების) ფინანსური განათლების დონის ამაღლება ;

5. ქვეყანაში ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება .

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, როგორც კერძო სექტორის შემადგენელ სუბიექტებს, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, ისინი წარმოადგენენ ფინანსური ინფრასტრუქტურისა და საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს, ქმნიან კონკურენტულ გარემოს საბანკო სექტორთან მიმართებაში. შესაბამისად, საჭიროა დაიხვეწოს მათი საიმედო და ეფექტური ფუნქციონირებისათვის ხელშემწყობი ფაქტორები, რაც მოიცავს: არასაბანკო ფინანსური სექტორის კონტროლისათვის შესაბამისი სისტემის შემუშავებასა და სრულყოფას; არარეგულირებადი არასაბანკო ფინანსური სექტორისათვის გარკვეული შეზღუდვების დაწესებას; ფინანსური კანონმდებლობის მომხმარებლების ინტერესებზე მაქსიმალურად მორგებას; საბაზრო ეკონომიკის ნორმალურად ფუქციონირებისათვის საჭიროა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები იყვნენ იაფი, სწრაფი, უსაფრთხო, საიმედო და ეფექტური.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. კოვზანაძე ი. კონტრიძე გ. თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. თბ., 2014 წელი;
2. მოსიაშვილი ვ. ლომიძე ფ. ქოქოსაძე ფ. საბანკო საქმე . თბ., 2009 წელი;
3. ხაჭაპურიძე დ. საბანკო კონკურენციის თავისებურებანი საქართველოში. თბ., 2016 წელი;
4. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=109
5. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=109
6. http://crystal.ge/
7. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=403


# მწვანე მარკეტინგი: გლობალური ტრენდი და ლოკალური პერსპექტივა


***მუშკუდიანი თამარი*** *– ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

***წულაძე ბადრი*** – *ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი* ***ახვლედიანი მაია*** – *ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქრთველო*

# Green Marketing: Global Trend and Local Perspective

***Mushkudiani Tamari*** *– Bachelor’s Student, III year, Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

***Tsuladze Badri*** *– Bachelor’s Student, III year, Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

*Supervisor* ***Akhvlediani Maia*** *– Doctor in Economics, Associate Professor, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

## Abstract

In recent times, the global market for eco-friendly food is booming and is becoming a popular alternative the consumption of harmful and environmentally unsafe products. The environmental food crises of the last decade, the growth of mistrust to conventional products and public concerns about the dangers of genetically modified ingredients contained in food products are the main reasons for this.

The work aims to explain why companies are struggling to improve the ecological situation by creating a product that is prepared from ecologically pure and secure materials. The paper notes that "green" marketing is not a waste of money; it is a way to build trusted relationships with consumers, boost brand awareness, and increase loyalty to consumers. The "green" marketing problem cannot leave humanity indifferent after the world has learned about global warming and heat effects. The users are beginning to understand how fragile the world in which they live, how sick and tired are the nature they are mercilessly exploited and when they threaten They are likely to refuse They are producing and buying products that are harmful to the natural environment.

**Keywords:** Eco-friendly products, eco products, “green” products, marketing, sustainability.

## აბსტრაქტი

ბოლო დროს ეკომეგობრული სურსათის გლობალური ბაზარი სწრაფად ვითარდება და ხდება მავნე და ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციის მოხმარების პოპულარული ალტერნატივა. ბოლო ათწლეულის გარემოსდაცვითი საკვების კრიზისი, ჩვეულებრივი პროდუქტების უნდობლობისა და საზოგადოებრივი შეშფოთების ზრდა სურსათის პროდუქტებში არსებული გენერირებული მოდიფიცირებული საფრთხის შესახებ.ნაშრომი მიზნად ისახავს, ახსნას თუ რატომ იბრძვიან კომპანიები ეკოლოგიური სიტუაციის გასაუმჯობესებლად, ისეთი საქონლის შექმნით, რომელიც ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო მასალებისაგან მზადდება. ნაშრომში აღნიშნულია, რომ “მწვანე“ მარკეტინგი არ არის უაზრო ფულის ხარჯი პირიქით, ის არის სანდო ურთიერთობების დამყარების საშუალებაა მომხმარებლებთან, ხელს უწყობს ბრენდის ცნობადობის ამაღლებას, ზრდის მისადმი მომხმარებელთა ლოიალობას. “მწვანე" მარკეტინგის პრობლემა ვერ ტოვებს კაცობრიობას გულგრილს მას შემდეგ, რაც მსოფლიომ შეიტყო გლობალური დათბობისა და სითბური ეფექტის შესახებ. მომხმარებლები იწყებენ გააცნობიერებას, რამდენად მყიფეა სამყარო, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, როგორ ავადმყოფი და დამღლელია ბუნება, რომელსაც ისინი უმოწყალოდ უწევენ ექსპლოატაციას და როცა ისინი საფრთხეს აცნობიერებენ, სავარაუდოდ, უარს ამბობენ იმ პროდუქცის წარმოებასა და შეძენაზე რაც ბუნებრივი გარემოსთვის საზიანოა.

**საკვანძო სიტყვები**: ეკო მეგობრული პროდუქტები, ეკო პროდუქტები, "მწვანე" პროდუქტები, მარკეტინგი, მდგრადობა.

თანამედროვე მსოფლიო საზოგადოება კარგად აცნობიერებს, რამდენად მყიფეა სამყარო, რომელშიც ვცხოვრობთ, რამდენად “დაავადებული“ და დამღლელია ბუნება, რომელსაც ის

უმოწყალოდ უწევს ექსპლოატაციას, რამდენად სახიფათოა გლობალური დათბობის პროცესი და ა.შ. ასეთ პირობებში "მწვანე" მარკეტინგი მოუწოდებს მწარმოებლებსა და მოვაჭრეებს პრო-დუქტები და მომსახურება ჯანმრთელობისთვის ნაკლებად საზიანო და ეკოლოგიური გა-ხადონ, უარი თქვან მომხმარებლისა და ბუნებრივი გარემოსათვის ზიანის მომტანი პრო-დუქტებისა წარმოებასა და მიწოდებაზე.

"მწვანე მარკეტინგი" ანუ "გარემოსდაცვითი მარკეტინგი" მარკეტინგის შედარებით ახა-ლი კონცეფციაა. ამ კონცეფციის არსის გასარკვევად სხვადსხვა დროს სხვადასხვა ავტორთა მიერ გამოყენებული იქნა დიდი რაოდენობით სინონიმები: "მწვანე მარკეტინგი", "ეკო-მარკე-ტინგი", "მდგრადი მარკეტინგი", "გარემოსდაცვითი მარკეტინგი". თუმცა, ყველა მათგანი, ეკო-ლოგიურად სუფთა საქონლითა და მომსახურებით, საზოგადოების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პროცესს მოიაზრებს [ 1 ].

გარემოსდაცვითი მარკეტინგული კონცეფცია პირველად გამოყენებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების მარკეტინგის ასოციაციის (AMA) მიერ 1975 წელს [2 ]. უფრო ადრე 1970 წელს აშშ-ის სენატორმა გ. ნელსონმა დედამიწის დღის შემოღების იდეა წამოაყენა, რომლის თანამედროვე ანალოგს "დედამიწის საათი" წარმოადგენს. 1973 წელს ნავთობის კრიზისი გახდა ნაყოფიერი ნიადაგი იმისა, რომ აშშ-ს უარი ეთქვა მრავალლიტრაჟიან ავტომობილების წარმოებაზე. 1979 წელს ფილმმა "ჩინური სინდრომი" საბოლოოდ გამოიწვია ადამიანთა გონებაში დიდი საფრთხე თანამედროვე ატომური ელექტროსადგურებისა. ამ მომენტიდან "ეკო" ტენდენციამ ახალი იმპულსი შეიძინა. 80-იან წლებში "ეკო" მოძრაობის ცნობილი "ეკო"-ელჩები იყვნენ ლეონარდო დიკაპრიო და კამერონ დიასი [3 ] . მათ სათავე დაუდეს "ეკო" ცხოვრების თანამედროვე ტრენდს. დღეს ყველანი ვცხოვრობთ "ეკო"-მოძრაობის კულმინაციაში. ყოველდღიურად ერთი სტიქიური უბედურება მეორეთი იცვლება იქნება ეს ნავთობის ჩაღვრა მექსიკის ყურეში ქარიშხალი "ირმა" და ა.შ.

მსოფლიო საზოგადოების შეშფოთებას და შესაბამის სახელმწიფო გადაწყვეტილებებს ეკოლოგიისა და ბუნების მართვის სფეროში შედეგად მოჰყვა ეკოლოგიურად სუფთა საქონ-ლისა და მომსახურების ბაზარის მნიშვნელოვანი ზრდა. 2017 წლის მონაცემებით "ეკო" ბაზრის მოცულობამ მსოფლიო მასშტაბით 230 მილიარდი აშშ. დოლარი შეადგინა. აქედან 76 მი-ლიარდი - მდგრადი ეკონომიკის წილად მოდის, 27 მილიარდი აშშ. დოლარი - ჯანსაღი ცხოვ-რების წესს ეკუთვნის, 30 მილიარდი აშ.შ. დოლარი - ალტერნატიულ მედიცინას, 10 მი-ლიარდი ა.შ.შ. დოლარი - პიროვნული ზრდას, 81 მილიარდი ა.შშ. დოლარი ეკო-ცხოვრების წესს. შეიძლება ვთქვათ, რომ დღესდღეობით ეს არის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ბაზარი მსოფლიოში. ყველაზე დიდი მოთხოვნა "ეკო" პროდუქტებზე ფიქსირდება აშშ-ში. მომ-ხმარებელთა 82%, ევროპის ქვეყნები - 60%, იაპონია - 48%[ 4].

საკონსულტაციო კომპანიების (Landor Associates, Boston Consulting Group, Deloitte / SMA) მიერ გამოქვეყნებული კვლევის შედეგების მიხედვით ძირითადი გლობალური ტენდენ-ციები ასეთია [5]:

- ევროპელ მომხმარებელთა 66% და იაპონელ მომხმარებელთა 80% -ზე მეტი შეშფოთებუ-ლია კლიმატის ცვლილების გამო (ავსტრალია – წყლის მარაგი და ბრაზილია და ინდოეთი – ტყეების გაჩეხვა)
- მომხმარებელთა 73% მიიჩნევს, რომ ბიზნესი უნდა იყოს ეკოლოგიურად პასუხისმგებელი და ხელს უწყობდეს "მწვანე" საქონლისა წარმოებას.
- არსებობს მომხმარებელთა ძლიერი ვალდებულება "მწვანე" კომპანიებისგან, "მწვანე" საქონლის შესაძენად,

- მომხმარებელთა 60% -ზე მეტი მზადაა "მწვანე" საქონელზე გაზარდოს ხარჯები და მომხმარებელთა 33% -ზე მეტი მზადაა "მწვანე" საქონლზე გადაიხადოს 5-10% -ით მეტი.

"როდესაც ბოლო ხე მოიჭრება, ბოლო მდინარე მოიწამლება და ბოლო თევზს დაიჭერენ, მაშინ დაინახავთ, რომ ფული არ იჭმევა“ [6] - კანადელი კინორეჟისორის ეს ცნობილი გამოთქმა კარგად ეხმიანება იმ პრობლემას, რომელსაც მსოფლიო ბაზარზე “ეკო“ პროდუქტების დეფიციტი ჰქვია. არაჯანსაღი პროდუქტების წარმოების არაჯანსაღი გზები - სწორედ ეს პროცესი აყენებს გარემოს ამდენ ზიანს. ბაზარზე “ეკო“ პროდუქტების აღმოჩენა კი საკმაოდ რთული საქმეა ორი მიზეზის გამო. მათი წილი საერთო პროდუქტების რაოდენობაში საკმაოდ მცირეა. მეორე მხრივ კი, მსოფლიო მასშტაბით “ეკო“ პროდუქტებზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად მზარდია.

ქართველი მომხმარებლის დამოკიდებულების გასარკვევად ეკოლოგიური პრობლემებისა და “ეკო“ პროდუქტების მიმართ წერეთლის სახელმწიფრო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მე-2 და მე-3 კურსის სტუდენთთა მიერ ჩატარდა მარკეტინგული კვლევა. კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ რაოდენობრივი კვლევის ჩატარება ანკეტური გამოკითხვის მეთოდის გამოყენებით. რესპონდენტები შეირჩნენ სტატისტიკურ მეთოდებზე დაყრდნობით როგორც საალბათო, ისე არასაალბათო შერჩევის პრინციპით. სულ გამოიკითხა 134 რესპოდენტი. გამოკითხვა წარმოებდა ქალაქ ქუთაისის მასშტაბით.

კითხვაზე: “რა მიგაჩნიათ გარემომცველი გარემოს მთავარ ეკოლოგიურ პრობლემად?“ კლიმატის ცვლილება ფიქრობს მომხმარებელთა - 59%, ჰაერის დაბინძურება - 23%, წყლის დაბინძურება - 14%, ტყეების გაჩეხვა - 5% (იხ. დიაგრამა 1).

**დიაგრამა 1. გარემოს მთავარი ეკოლოგიური პრობლემები**




წყარო:ანკეტური გამოკითხვა

კითხვაზე: “ხართ თუ არა მწვანე ეკონომიკის მხარდამჭერნი?“ გამოკითხულ მომხმარებელთა 67% მხარს უჭერს “მწვანე“ ეკონომიკის განვითარებას, აქტიური მხარდამჭერია - 12%, პასიური მხარდამჭერი - 10%.

კითხავზე: “რა ფაქტორები გიშლით ხელს “ეკო“ პროდუქტების შეძენაში?“ “ მომხმარებელთა - 10% თვლის, რომ არ აქვს ინფორმაცია “ეკო“ პროდუქტებისა და




წყარო:ანკეტური გამოკითხვა

მომსახურების შესახებ, "ეკო" პროდუქტები ბაზარზე მცირე რაოდენობითაა მიაჩნია გამოკითხულ მომხმარებელთა - 43%, მწარმოებლები "ეკოს" ხმარობენ მხოლოდ მომხმარებელთა მოსაზიდად პასუხობს რესპონდენტთა 27% . "ეკო პროდუქტების ფასი მაღალია მიაჩნია რესპონდენტთა - 20%-ს (იხ. დიაგრამა 2).

კითხვაზე შეიძენდით თუ არა" ეკო" პროდუქტებს "მწვანე" პროდუქტების ბაზრის გაფართოების შემთხვევაში მომხმარებელთა პასუხები ასეთია სურვილი მაქვს მაგრამ ვერ შევიძენდი "მაღალი ფასის" გამო პასუხობს რესპონდენტთა - 72%, აუცილებად შევიძენდი პასუხობს მომხმარებელთა - 22%, არ შევიძენდი სხვა პროდუქტების შესყიდვების დაკარგული სარგებელის გამო 6 %.

კვლევებმა აჩვენა, რომ რომ ნებისმიერი "ეკო" პროდუქტი მოითხოვს მომხმარებელთა ინფორმირებას, ვინაიდან მყიდველებმა ხშირად არ იციან ამ პროდუქტების შესახებ. თუ სოციალური რეკლამა ყურადღებას ამახვილებს მსოფლიო პრობლემებზე და ზოგჯერ უფრო მწვავეა, მაშინ "მწვანე" მარკეტინგმა უნდა შექმნას სასიამოვნო, ოპტიმისტური "მწვანე" რეკლამა, "მწვანე" მოხმარების მიმზიდველი, მოდური ტრენდის დასამკვიდრებლად.

როგორ გამოვიცნოთ "ეკო" პროდუქტი? რათქმა უნდა "ეკო"- ეტიკეტებით. დასავლეთის ქვეყნებში გარემოსდაცვითი მარკირება არის პროდუქციის პოპულარიზაციის ერთ-ერთი მთავარი იარაღი, ექსპერტთა აზრით "ეკო" -მარკირების არსებობა ზრდის პროდუქტის ღირებულებას სულ ცოტა 30% - ით. მაგრამ ეს არის სიმბოლო, რომ კომპანია იღებს პასუხისმგებლობას "ეკო" პროდუქტებზე და მომხმარებელი თავს დაიცავს "Greenwashing" -ის მცდელობისაგან. " Greenwashing" ეს არის არის მცდელობა დაფარო გარემოსადმი უარყოფითი ქმედებები, "გაამწვანო" შენი იმიჯი რეკლამის, სლოგანებისა და ვიზუალური ეფექტების გამოყენებით, დახარჯო მილიონები იმაში, რომ საკუთარი პროდუქციის "სიმწვანეში" დაარწმუნო მომხმარებელი [7].

"Greenwashing" ისტორია 1960-იანი წლებიდან იწყება, როდესაც საფუძველი თანამედროვე გარემოსდაცვით მოძრაობებს ჩაეყარა. მსოფლიო მასშტაბით ატომური ელექტროსადგურების საწინააღმდეგო პროტესტებისა და მწვანე ცხოვრების წესის პოპულარიზაციის პარალელურად, მრავალმა დიდმა კორპორაციამ საკუთარი პოლიტიკის "გამწვანება" დაიწყო, რასაც მაშინ "მედისონ ავენიუს" მარკეტინგის სამსახურის უფროსმა, ჯერი მენდერმა "ეკო-პორნოგრაფია" უწოდა. გახშირდა რეკლამები, სადაც ატომური ელექტროსადგურები ნაჩვენები იყო,

როგორც საიმედო, სუფთა და უსაფრთხო (დღეს ატომური ელექტროსადგურები განიხილება გლობალური დათბობისმიზეზად). მხოლოდ, 1969 წელს, აშშ-ში 300 მილიონი დოლარი დაიხარჯა რეკლამებზე – რვაჯერ მეტი, ვიდრე გარემოს დაბინძურების შესახებ კვლევების დაფინანსებაში. მენდერმა გამოიანგარიშა, რომ საერთო ჯამში, ნავთობის, ქიმიურ და საავტომობილო კორპორაციებს, სამრეწველო ასოციაციებთან ერთად დახარჯული ჰქონდათ 1 მილიარდი "ეკო-პორნოგრაფიაზე" და ამ პროცესში ანადგურებდნენ "ეკოლოგიის" როგორც ცნების მნიშვნელობას [8 ].

1980-იან წლებში, ბჰოპალის, ექსონ ვალდესის და ჩერნობილის კატასტროფების შემდეგ გარემოსდაცვითი მოძრაობები უფრო მეტად გაძლიერდნენ და ამის საპასუხოდ, "გრინვოშინგის" პრაქტიკაც მეტად დაიხვეწა და გახშირდა. მეტი ადამიანი გახდა გარემოსადმი სენსიტიური, გაიზარდა მოთხოვნა მწვანე პროდუქციაზე. დიდ ბიზნესებს მომხმარებლები რომ არ დაეკარგათ, მათ კარგად "შეფუთეს'' და ''გაამწვანეს'' პროდუქცია. აშშ-ში სავაჭრო ქსელების პროდუქტების მეოთხედი, ამ დროს რეკლამირდებოდა, როგორც ''გადამუშავებადი, ''ბიოდეგრადირებადი'', ''ოზონისადმი მეგობრული'', ან ''კომპოსტირებადი''. მრავალმა კორპორაციამ, რომელიც მსოფლიოს დამაბინძურებლებთა შორის პირველ ადგილზე იყვნენ მილიონები დახარჯეს რეკლამებზე, რომელთა მთავარი მახასიათებელი მწვანე თემატიკა გახდა[9]:

"გრინვოშინგის" ფორმები სხვადასხვაგვარია და მრავალნაირად ვლინდება. მთავარია ვიცოდეთ როგორ ამოვიცნოთ ასეთი შემთხვევა კომპანიების მარკეტინგული გათვლების პირობებში[10 ].

1. შეფარული კომპრომისი – ყველაზე გავრცელებული ფორმა, შემთხვევების 57% სწორედ აქ მოდის. ვლინდება, როდესაც კომპანია აქცენტს აკეთებს პროდუქტის გარემოსადმი დადებით ფაქტორებზე და ყურადღების მიღმა რჩება უფრო მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც გარემოსადი ზიანის მომტანია. მაგალითად, კომპანიები, როგორებიცაა "ფორდი" და "ტოიოტა" დიდ რეკლამას უკეთებენ ჰიბრიდულ მანქანებს, რომელთაც გაცილებით ცოტა საწვავი სჭირდებათ. თუმცა, ყურადღების მიღმა ტოვებენ იმ ფაქტს, რომ მანქანის ბატარეები ტყვიის, ნიკელის ან ლითიუმისგან კეთდება და შეიცავს საშიშ ტოქსინებს.

2. დამამტკიცებელი საბუთების არარსებობა – (შემთხვევების 26%) როდესაც კომპანია აცხადებს "მწვანე" პროდუქტების შესახებ, თუმცა ემპირიული დამტკიცება შეუძლებელია, ან არ ხდება მესამე მალის მიერ.

3. ბუნდოვანი მტკიცებები: (11%) როდესაც კომპანიები აკეთებენ ისეთ განცხადებებს, რომლებიც არის გაურკვეველი ან იმდენად ზოგადი, რომ მომხმარებლებისთვის გაუგებარი რჩება.

4. არარელევანტური მტკიცებულებები: (4%) ასეთი ტიპის "გრინვოშინგი" ხდება, როდესაც კომპანიების განცხადებები კარგად ჟღერს, მაგრამ მოკლებულია ყოველგვარ საღ აზრს. მაგალითად, ერთ-ერთ რეკლამაში ნაჩვენებია, რომ პროდუქტი არ შეიცავს ოზონის ხვრელის გამომფიტავ ქიმიურ ნარევს – chlorofluorocarbons (CFCs), მაგრამ ეს ნივთიერება წლების განმავლობაში აკრძალულია და შესაბამისად ასეთი განცხადება აბსოლუტურად აზრს მოკლებულია.

5. ორიდან ერთი ბოროტება: (1%) მაგალითად რეკლამები, სადაც საუბარია ორგანულ სიგარეტებზე, ან "ეკო"-მეგობრულ პესტიციდებზე, როგორც გარემოს დაცვის უკეთეს არჩევანზე. თუმცა, ზოგადად ჩვეულებრივ სიგარეტის მოხმარების შემცირება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათი "მწვანე" ვერსიის შეთავაზება.

6. აშკარა სიცრუე – (1%-ზე ნაკლები შემთხვევები) როდესაც კომპანიები პირდაპირ ტყუიან საკუთარ პროდუქციაზე, ან ანიჭებენ ცრუ "მწვანე" სერტიფიკატებს.

დღესდღეობით, სულ უფრო და უფრო რთული ხდება ზემოთ აღნიშნული კომპანიებისა და გარემოზე გულწრფელად მზრუნველი კომპანიების ერთმანეთისაგან განსხვავება. როდესაც კომპანიების "გრინვოშინგი" შეუმჩნეველი რჩება, მომხმარებლები ხელს უწყობენ გარემოსადმი უარყოფითი გავლენის მქონე საქონლის წარმოებას, რაც ნამდვილად არაეთიკური დამოკიდებულებაა იმ მომხმარებლებისადმი, რომელთაც მაღალი ეკოლოგიური ცნობიერება აქვთ.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ შეზღუდული ბუნებრივი რესურსები, გაზრდილი მოხმარება და გარემოს დაბინძურება მთელს მსოფლიოში მწვანე იდეების დანერგვის ძირითადი კატალიზატორებია. ეკოლოგიური საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ბაზარი ყველაზე სწრაფად მზარდი ბაზრია და არ არსებობს იმის საფუძველი, რომ ეს ტენდენცია საქართველოში სწრაფად შემოაღწევს. მიგვაჩნია, რომ საქართველოში "მწვანე" მარკეტინგის განვითარებას ხელს შეუწყობს შემდეგი ფაქტორები:

- მომხმარებელი ხდება უფრო მეტად ინფორმირებულნი და მომთხოვნი;
- "მწვანე" რეკლამა ყურადღებას ამახვილებს ახალ ღირებულებებზე, ხელს უწყობს მათ დამკვიდრებას და ახდენს მოქალაქეთა ეკოლოგიური მოთხოვნის მოტივაციას;
- მომხმარებლები ეძებენ ახალ საქონელსა და მომსახურებას, როგორც წესი, სულ უფრო მეტად მოიხმარენ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებს.

ჩვენის აზრით თუ ქართველ მომხმარებელთა მოთხოვნა უფრო "მწვანე" გახდება, მარკეტინგის სპეციალისტები ამას გაითვალისწინებენ და თავის მხრივ "გამწვანდებიან".

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. Hoekstra, A.Y., Chapagain, A.K., Aldaya, M.M. and Mekonnen, M.M. Water footprint manual: State of the art 2009. Water Footprint Network, Enschede, the Netherlands, 2009.
2. Carlsson-Kanyama, A., Faist, M. Energyuseinthefoodsector: Adatasurvey.StockholmUniversity; Stockholm, Sweden,
3. Henion K., Kinnear T. Ecological Marketing. American Marketing Association, 1976.
4. Cullen S., Stembridge B. Convenience vs. conscience. Food packaging in the 21st century.The Role of Intellectual Property in the Food Packaging Industry.ThomsonReuters, 2011.
5. Chapagain A.K., HoekstraA.Y.Water Footprints of Nations. UNESCO-IHE, Delft, the Netherlands, 2017.
6. Olliver-Nigro H. Green Marketing: What's All the Fuss? //inspiredeconomist.com/2016/06/29/green-marketing-whats-all-the-fuss (10.06.2016)
7. Franz P. Green retail sales set to double in Europe by 2015. 31 мая 2015 г. //www.digitaljournal.com/article/292735 (10.06.2015)
8. Carlsson-Kanyama, A., Faist, M. Energyuseinthefoodsector: Adatasurvey.StockholmUniversity; Stockholm, Sweden, 2000
9. It's Not Easy Being Green: Green Marketing. 8–13 января 2011
10. OttmanJ. The New Rules of Green Marketing: Strategies, Tools, and Inspiration for Sustainable Branding. San Francisco: Berrett-Koehler Publishers, 2011.


# კურორტი საირმე – ტერიტორიის ბრენდი

***ნემსიწვერიძე ინა*** *– ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

***სალდაძე დავითი*** *– ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო II კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი **ახვლედიანი მაია** –ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

# Resort Sairme territory brand

***Nemsitsveridze Ina** – Bachelor's Student, Economics, I year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

***Saldadze Daviti** – Bachelor's Student, Economics, I year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

*Supervisor **Akhvlediani Maia** –Doctor in Economics, Associate Professor, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

## Abstract

In modern conditions territorial units, regions municipalities, settlements are subjected to competitive relations with different factors, according to capital (investment and budget resources), labor resources, tourists and etc. In the context of globalization, on the one hand, territorial marketing plays the most important role in differentiation of economic specialization. The territorial brand is one of the main competences in terms of territories investment attraction and lifestyle. For this reason, marketing as a process of territorial brand formation, development and supporting process represents the integral part of modern territorial strategic planning.

**Keywords**: Brand, territorial marketing, investment attractiveness, specialized, strategy.

## აბსტრაქტი

თანამედროვე პირობებში ტერიტორიული ერთეულები - რეგიონები, მუნიციპალიტეტები, დასახლებები - ექვემდებარებიან კონკურენტუნარიან ურთიერთობებს წარმოების სხვადასხვა ფაქტორების - კაპიტალის (საინვესტიციო და საბიუჯეტო რესურსების), შრომითი რესურსების, ტურისტებისა და ა.შ მიხედვით. გლობალიზაციის კონტექსტში, ერთის მხრივ, მიმდინარეობს ტერიტორიების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, მეორე მხრივ - ეკონომიკური სპეციალიზაციის დიფერენცირება, რაშიც განსაკუთრებულ როლს თამაშობს ტერიტორიული მარკეტინგი. ტერიტორიის ბრენდი, ტერიტორიის საინვესტიციო მიმზიდველობისა და ცხოვრების მიმზიდველობის ამაღლების თვალსაზრისით ერთ-ერთ ძირითად კომპონენტად ითვლება. ამის გამო, მარკეტინგი როგორც ტერიტორიის ბრენდის ჩამოყალიბების, განვითარებისა და მხარდაჭერის პროცესი, თანამედროვე ტერიტორიული სტრატეგიული დაგეგმვის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

**საკვანძო სიტყვები:** ბრენდი, ტერიტორიული მარკეტინგი, საინვესტიციო მიმზიდველობა, სპეციალიზაცია, სტრატეგია.

თანამედროვე პირობებში ტერიტორიული ერთეულები - რეგიონები, ქალაქები, მუნიციპალიტეტები, დასახლებები - ექვემდებარებიან კონკურენტუნარიან ურთიერთობებს წარმოების სხვადასხვა ფაქტორების მიხედვით. გლობალიზაციის კონტექსტში, ერთის მხრივ, მიმდინარეობს ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეულების კონკურენტუნარიანობის ამაღლების პროცესი, მეორე მხრივ - ეკონომიკური სპეციალიზაციის დიფერენციაციის პროცესები, რაშიც განსაკუთრებულ როლს ტერიტორიული მარკეტინგი თამაშობს[1]. ტერიტორიის მარკეტინგის მიზანია: კონკრეტულ ადგილებთან მიმართებაში მომხმარებელთა დამოკიდებულების და ქცევის შექმნა, შენარჩუნება ან შეცვლა. იგი ქმნის ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობისათვის, ტერიტორიის მდგრადი განვითარების წინაპირობებს. ტერიტორიის მარკეტინგის კონცეფცია წარმატებით ხორციელდება ქვეყნის, რეგიონის, ქალაქის, სოფლის, თემისა და ნებისმიერი დასახლებული ტერიტორიული ერთეულის დონეზე, მიუხედავად ტერიტორიის სიდიდისა[2].

წარმატებული ტერიტორიული მარკეტინგის თანმდევი პროცესებია: **ტერიტორიის პრესტიჟულობის ამაღლება, არსებული რესურსების (ბუნებრივი, მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური, შრომითი, საორგანიზაციო სოციალური და სხვა) წარმოჩენა, ცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობისათვის ადგილის მიმზიდველობის ზრდა. იგი აყალიბებს ბაზას ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი ხედვის კონცეფციის შექმნისა და განვითარებისათვის [3]. ტერიტორიის მარკეტინგის ობიექტია კონკრეტული ადგილი (ტერიტორია), სადაც ყველა საქმიანობა, ადგილის ინტერესებიდან გამომდინარე, ერთიანი მარკეტინგული სტრატეგიის ქვეშაა შემოთავაზებული. მიზნობრივი სეგმენტები ამ ურთიერთობებში არიან ტერიტორიის მოსახლეობა, ბიზნესმენები, ტურისტები, ინვესტორები, ადგილობრივი მართვის ორგანოები, საქონლისა და მომსახურების გამყიდველები[4]**.

ტერიტორიის ცნობადობისა და მიმზიდველობის შექმნაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ ტერიტორიის ბრენდები. ბრენდები თავის მხრივ აზრის, იდეის მატარებელები არიან, რომლებსაც კითხვაზე “რატომ ჩვენი ბრენდი“ ამომწურავი პასუხი გააჩნიათ. ტერიტორიის ბრენდის შექმნა, მიზნობრივი აუდიტორიის თვალში ტერიტორიის იმიჯის ფორმირებას ემსახურება და ამავდროულად სხვა ადგილებისაგან იდენტიფიცირება ხდება[5].

მომხმარებელთა აზრით, ტერიტორია მხოლოდ მაშინ ყალიბდება წარმატებულ ბრენდად, როცა იგი წარმოდგენილია შესაბამისი მარკეტინგული ინსტრუმენტებით: ვიზუალური სიმბოლო, სახელწოდება, საფირმო ფერი, სლოგანი, რომელიც ამავდროულად ვერბალური ინფორმაციის მატარებელია და აძლიერებს მომხმარებლებში კონკრეტული პროდუქტების, სერვისების და საქმიანობების აღქმას[6].

“საირმე“ ბრენდის სახელწოდებაა. ის ასოცირდება ლამაზ ლეგენდასთან, არსებული ლეგენდა ხელს უწყობს შთამბეჭდავი სარეკლამო მასალების შექმნას და მიზნობრივ სეგმენტებზე საქონლის პოზიციონირებას. ხალხში გავრცელებული თქმულებით, საირმის წყალი დაჭრილ ირმის კვალს ადევნებულმა ძმებმა აღმოაჩინეს. წყარო ჟანგით გადაწითლებულ ქვებზე მოედინებოდა, მის ირგვლივ კი ყველაფერი მარილს გადაეთეთრებინა. ირმის ჯოგები მარილს და წყალს მორიგეობით ეტანებოდნენ. ამიტომაც იქაურობას საირმე უწოდეს. ადგილს ყურადღება მწყემსებმაც მიაქციეს და კიდევ ერთი უჩვეულო რამ აღმოაჩინეს — ირმების წყაროდან დაახლოებით 3 კმ-ის მოშორებით, ერთ ადგილზე ბალახი მუდამ მწვანე რჩებოდა. თოვლი არ ჩერდებოდა, მიწა კი წვიმის მოსვლიდან რამდენიმე წუთში გამშრალი იყო. "ჯადოსნური" ველის საიდუმლოს ფარდა 20-იან წლებში აეხადა, როცა გეოლოგებმა მიწის სიღრმეში ცხელი მინერალური წყალი აღმოაჩინეს[6].

კურორტ საირმის მიმზიდველობის შეფასების საფუძველია მსგავსი პროფილის კურორტებთან ანალოგიების პრინციპი და გაცვლითი ღირებულების მქონე საქონლისა და მომსახურების გადაცემის პრინციპი.1930-იან წლებში საირმეს კურორტის სტატუსი ოფიციალურად მიენიჭა. აშენდა პირველი სანატორიუმები, დაიწყო ინფრასტრუქტურის გამართვა. 40-იან წლებში დასრულდა საავტომობილო გზის მშენებლობაც, რომლითაც კურორტი ქალაქ ბაღდათს (მაშინდელ მაიკოვსკის) დაუკავშირდა. სამკურნალო ფაქტორია "ნარზანის" ტიპის ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატული კალციუმ-ნატრიუმიანი (წყარო №1 და №3) და "ბორჯომის" ტიპის ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატული ნატრიუმიანი (ბურღილი №4 და №5) მინერალური წყალი "საირმე". კურორტ საირმეში არის სანატორიუმი, დასასვენებელი და საკურორტო პოლიკლინიკა. ამჟამად კურორტზე 390 დამსვენებელზე გათვლილი სასტუმრო ფუნქციონირებს, რაც საირმის ტურისტული პოტენციალის ნახევარს შეადგენს. გარდა ამისა, განხორციელდა საირმის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია. კურორტზე ასევე ფუნქციონირებს სპა–ცენტრი,

რომელიც უახლესი გერმანული აპარატურით არის აღჭურვილი და დამსვენებლებს ყველა ტიპის გამაჯანსაღებელ პროცედურებს სთავაზობს.

ტერიტორიაზე ყოველთვის არსებობენ რესურსები რომლებიც აძლიერებენ კონკრეტულ ბრენდს. საქმე ეხება ბიზნესს რომელიც ყველაზე მეტად "გაყიდვადია", ასეთი ბიზნესი, უპირველეს ყოვლისა, ტურისტული ბიზნესია, აგრეთვე ეკონომიკური საქმიანობის დამხმარე და თანმხლები სახეობები[5].

აღსანიშნავია ისიც, რომ თუ ტერიტორიაზე მოინიშნება არსებულ ბრენდთან "მიბმული" ბრენდები და ისინი აფიქსირებენ უმაღლეს ხარისხს, ხდებიან გამოხატვის კონკრეტული ღირებულებების გამომხატველნი, რაც უფრო აძლიერებს ადგილის როგორც ბრენდის დადებითი აღქმას მომხმარებლებში და ეს დამოკიდებულება ვრცელდება ფართო სპექტრის მონათესავე პროდუქტებზე. შედეგად, ფორმირდება ბრენდის შემავსებელი პროდუქტების ფართო სპექტრი, ყალიბდება ერთმანეთზე არადამოკიდებული, ერთმანეთთან არადაკავშირებული საერთო ბიზნეს-ინტერესები. ყალიბდება ბრენდების საერთო კაპიტალი რომელშიც დიდი წილი თავად ადგილის ბრენდს ეკუთვნის. აქ განიხილება ტერიტორიაზე არსებული ბრენდირებული სერვისები და პროდუქტები.

ნებისმიერი ტერიტორიული ერთეული დაკავშირებულია სხვა ტერიტორიებთან ლოჯისტიკური და ინფრასტრუქტურული ოპერაციებით. ადგილის ბრენდი რაც უფრო დიდ ფართობს მოიზიდავს და გადასცემს ხარისხიან პროდუქტსა და მომსახურებას მით უფრო უფრო მიმზიდველი ხდება აიგი ინვესტიციებისა და სამეურნეო საქმიანობისათვის.

მსოფლიოში არსებული უძლიერესი ბრენდები ყურადღებას ახდენენ მომხმარებელთა არა მხოლოდ რაციონალურ არამედ მათ ემოციურ თვისებებზე [6]. ბრენდინგის პროცესსი ყურადღება ეთმობა სიურპრიზებს ამის დასტურია საირმის მიერ მიმდინარე წელს ჩატარებული ქორეოგრაფიული ბრენდის ერისიონის კონცერტი, რომელიც აყალიბებს მომხმარებლებში გარკვეულ ფასეულობებს. კურორტმა საირმემ ყველაფერი უნდა გააკეთოს რომ ეს კავშირი არ დაირღვეს.

ჩვენს მიერ კურორტის ბრენდად ჩამოყალიბებისათვის შემუშავებული იქნა შემდეგი დასკვნები და წინადადწებები:

1. ტერიტორიულმა ერთეულებმა მკაფიოდ უნდა განახორციელონ თავიანთი საბაზო ფასეულობების ფორმულირება და განავითარონ ბრენდები.
2. მენეჯერები ბრენდინგის სფეროსი ასრულებენ სხვადასხვა სახის ტაქტიკურ სამუშაოებს ხოლო მთლიანობაში ბრენდის წარმატება დამოკიდებულია იმაზე თუ ბრენდინგის პროცესი რამდენად კარგადაა აღქმული და მიღებული კომპანიის ყველა თანამშრომლის მიერ.
3. ბრენდის განვითარების გეგმა უნდა იყოს ყოველმხრივი, რომელიც უნდა მოიცავდეს მომხმარებელთან კონტაქტის ყველა შესაძლო შემთხვევას (ცნობები, სიახლეები, სემინარები, სატელეფონო ზარები ელ.ფოსტა, პიადი შეხვედრები და ა.შ.)
4. მიმდინარე საქმიანობის სერვისებისა და ახალი საქონლის დამუშავების განმსაზღვრელ ფაქტორად უნდა იქცეს ფასეულობათა სამარკო წინადადებები.
5. ბრენდინგის ეფექტიანობის შეფასების მაჩვენებლად გამოიყენება არა მხოლოდ ზემოაღნიშნული კრიტერიუმები, არამედ ახალი მიდგომები მათ შორის თუ როგორია მომხმარებლის მიერ ბრენდის ფასეულობების აღქმა, მისი დაკმაყოფილების ხარისხი, საქონლისა და მომსახურების შეძენაზე მყიდველის დროისა და სახსრების დანახარჯები, მომხმარებელთა შენარჩუნება და სხვა.

6. არასტანდარტული სარეკლამო კამპანია და ინსტრუმენტები ტერიტორიის ბრენდის ცნობადობის ამაღლების მიზნით საერთო ეკონომიკურ სივრცეში.
7. რეგიონის ტურიზმისა და კურორტების განვითარების ახალი მიმართულებები.
   საკურორტო ტერიტორიების კონკურენტუნარიანობის ანალიზი;
   მომხმარებელთა თვალსაზრისით კურორტების შეფასება;
8. სოციალური ქსელების როლის ზრდა ტურიზმისა და კურორტების განვითარებაში.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ბრენდის წარმატება შეუძლებელია მანამ სანამ ყველა თანამშრომელი არ გაითავისებს მას და არ იცხოვრებს საკუთარი ბრენდის ცხოვრებით. ამისათვის კომპანიები ხშირად მიმართავენ ე.წ. საშინაო ბრენდინგს, რათა კომპანიის ყველა თანამშრომელმა გააცნობიეროს და შეასრულოს თავის სავაჭრო მარკის შეპირებები. ამავდროულად, ტერიტორიული მარკეტინგისა და ბრენდინგის აქტი, როგორც კონკურენციის ძლიერი ინსტრუმენტი, ასახული უნდა იქნეს ტერიტორიული ერთეულების დაგეგმვის სტრატეგიულ დოკუმენტებში და წარმოადგენდეს სახელმწიფო ტერიტორიული პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად სფეროს.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. Филип Котлер, Кристер Асплунд, Ирвинг Рейн, Дональд Хайдер. «Маркетинг мест» Издательство: Стокгольмская школа экономики в Санкт-Петербурге 2005.
2. Панкрухин А. Маркетинг территорий. — СПб.: Питер, 2006.
3. Рожков И., Кисмерешкин В. Бренды и имиджи. Страна, регион, город, отрасль, предприятие, товары,услуги. — М.: РИП-холдинг, 2006.
4. Флорида Р. Креативный класс. Люди, которые меняют будущее / Пер. с англ. — М.: Классика-XXI век, 2005.
5. Bradley, A., T. Hall, M. Harrison. “Selling Cities — Promoting New Images for Meeting Tourism,”Cities 19, no. 1. 2002
6. Тоффлер Э. Шок будущего / Пер. с англ. — М.: ООО «Издательство АСТ», 2004.


## საქართველოში წარმოებული კარტოფილის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა ადგილობრივ ბაზარზე


***საკიანი ჯემმა*** *– ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი* ***ბერიკაშვილი ლია*** *– ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო*


## Produced potatoes competitiveness on local Georgian Market


***Saakiani Jemma*** *– Bachelor’s Student, Bussiness Administration, IV year, Georgian Technical Univerisity, Tbilisi, Georgia*

*Supervisor* ***Berikashvili Lia*** *– Doctor in Economics, Associate Professor, Department of Business Administration, Georgian Technical Univerisity, Tbilisi, Georgia*


### Abstract


The main goal of state Georgian strategy is regional development, which envisages providing a favorable socio-economic environment, raising competitiveness of regions, decreasing inequality of regions. Regional Business Environment development has one increasing sphere such as the culture of potato. Georgians have opportunities of large productions and large amounts of export. Potato is an important

culture of multilateral used and valuables. It's distinguished by universal used, technical and for food purposes.

Potatoes producing leading regions in Georgia are Samtsxe-Javakheti and Qvemo- Qartli. According to the Geostat, The demand of potato partially satisfied by local producing, but during 2010-2017 years potato is imported form Turkish and Armenia. The main problem of the regional business environment consists when countries can produce some products, but meantime this product imported from other countries. According to the Chairman of the Regional Business Center, one of the hindering factors of the potato production in Georgia is precisely the fact that the cost of expenses is increasing. But it should be noted that that Ministry of Agriculture is interested in this field.

On March 19, 2018, joint decision of the National Food Agency of Georgia and International Consulting Group of Agricultural Research (CGIAR) of Potato International Center the import of potatoes from Turkey to Georgia on 1 June 2018 was prohibited. The purpose of prohibiting imports is to avoid freely spreading potato cancer.

Maximum using Agricultural potential is vital for the economy. Development of Agrarian Policy and promotion resources is essential. Since January 2017, the company "Freco" functions on the Georgian market, which produced potato fries, which is made from local Akhaltsikhe potato, which is ecologically pure, without any additives. The company has great marketing strategy and sold almost all of its products and waits for new harvest, before it works for diversification of production.

**Keywords**: Agricultural, development, regional, competitiveness, potato, import.

## აბსტრაქტი

საქართველოს რეგიონული განვითარება სახელმწიფო სტრატეგიის ძირითადი მიზანია, რაც ითვალისწინებს უზრუნველყოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემო, რაც მიიღწევა რეგიონების დაბალანსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით და მათ შორის არსებული სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებით. რეგიონული ბიზნესგარემოს განვითარების ერთ–ერთი მზარდი პოტენციალი ჩვენს ქვეყანას გააჩნია მეკარტოფილეობის კულტურის მიმართ, რისი დიდი მოცულობის წარმოების და ექსპორტზე გატანის შესაძლებლობა გვაქვს. კარტოფილი მრავალმხრივი გამოყენებითა და თავისი ძვირფასი კვებითი ღირებულებით მნიშვნელოვან კულტურადაა აღიარებული მსოფლიოში. საქართველოში კარტოფილის მწარმოებელი წამყვანი რეგიონები სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლია. საქსტატის მონაცემებით, ქვეყნის ბაზარზე კარტოფილის მოთხოვნას ნაწილობრივ აკმაყოფილებს ადგილობრივი. კარტოფილის მასშტაბური წარმოების ერთ–ერთი შემაფერხებელი ფაქტორი ზუსტად ისა, რომ ფერმერებს საკმაოდ ძვირი უჯდებათ მისი წარმოება, მაგრამ აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო დაინტერესებულია ამ დარგით. 2017 წლის იანვრიდან ქართულ ბაზარზე ფუნქციონირებს კომპანია „ფრეკო“ რომლის მიერ წარმოებული პროდუქცია კარტოფილი ფრი, რაც მზადდება ადგილობრივი ახალციხის კარტოფილით, რომელიც არის ეკოლოგიურად სუფთა, ყოველგვარი დანამატის გარეშე. სწორი მარკეტინგული სტრატეგიის წყალობით, კომპანიამ გამოშვებული პროდუქცია თითქმის მთლიანად გაყიდა და ახალ მოსავალს ელოდება, მანამდე კი წარმოების დივერსიფიცირებაზე მუშაობს.

**საკვანძო სიტყვები:** კარტოფილი, ბიუჯეტი, კონკურენტუნარიანობა, აგრარული.

საქართველო ოდითგანვე აგრარულ ქვეყანად მიიჩნევა, მთლიანი ტერიტორიის დაახლოებით 43,4% (ანუ 3 მილიონ ჰექტარზე მეტი) ითვლება სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწებად. ქვეყანაში ეკოლოგიური და კლიმატური ზონების დიდი ნაირსახეობაა, რაც სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურების უმეტესობის მოყვანის შესაძლებლობას იძლევა. ერთ-ერთი კულტურა სწორედ კარტოფილია, რისი დიდი მოცულობის წარმოების და ექსპორტზე გატანის შესაძლებლობა გააჩნია საქართველოს.

კარტოფილი ძაღლყურძენასებრთა ოჯახის, ორლებნიანი, ტუბერიანი მცენარეა. 200–მდე ველური და კულტურული სახეობაა. მრავალმხრივი გამოყენებითა და თავისი ძვირფასი კვებითი ღირებულებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურადა აღიარებული მსოფლიოში. გამოირჩევა უნივერსალური მოხმარებით, გამოიყენება საწარმოო, ტექნიკური და საკვები მიზნებისათვის. მოხმარების მიხედვით პურის შემდეგ მეორეა. პრაქტიკაში ხშირად გვხდება თეთრი, წითელი და ლურჯ-ტუბერებიანი ჯიშები. ამათგან ყველაზე ფართოდ თეთრფერიანი ჯიშებია გავრცელებული. კარტოფილის სამშობლო სამხრეთ და ცენტრალური ამერიკა მიიჩნევა. საქართველოს მოსახლეობამ მისი მოყვანა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყეს. საქართველოში კარტოფილს თესავენ უმთავრესად ახალქალაქის, ახალციხის, წალკის, დმანისის, თეთრი წყაროს, ხულოს, შუახევის რაიონებში. მოყავთ მაღალმთიან რეგიონებში სადაც ნათესები ზღვის დონიდან 2200-2300მ-მდე აღწევს: ნინოწმინდა, სვანეთი, მთიანეთი. საქართველოში კარტოფილის საშუალო მოსავლიანობა 20-25ტ./ჰა შეადგენს. საქართველოს ბარის ზონაში კარტოფილს თესავენ ზაფხულშიც, თავთავიანი პურეულის აღების შემდეგ და მეორე მოსავალს იღებენ. ამ ზონაში (ზღვის დონიდან 500 მ-მდე) საადრეო მოსავლის მისაღებად კარტოფილი შეიძლება დაითესოს შემოდგომაზეც — ნოემბერში. საქართველოში კარტოფილის ფართოდ გავრცელებული ჯიშებია: მარფონა, პიკასო, მარაბელი, აგრია და სხვა.

2017 წელს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით საქართველოში კარტოფილის წარმოების მოცულობა რეგიონების მიხედვით გამოიყურება შემდეგნაირად.

დათესილი კარტოფილის ფართობი და წარმოება რეგიონების მიხედვით:

| წელი | 2014 | | 2015 | | 2016 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ერთეული | ათასი ჰა | ათასი ტონა | ათასი ჰა | ათასი ტონა | ათასი ჰა | ათასი ტონა |
| **საქართველო** | **18,2** | **215,3** | **22,4** | **186,5** | **20,2** | **249,0** |
| აჭარა | 1,3 | 16,5 | 1,4 | 11,5 | 1,0 | 14,2 |
| კახეთი | ..... | ..... | .... | ..... | 0,8 | 4,5 |
| მცხეთა–მთიანეთი | ..... | ..... | .... | ..... | 0,9 | 3,2 |
| სამცხე–ჯავახეთი | 7,4 | 99,7 | 10,3 | 101,2 | 10,8 | 160,5 |
| ქვემო ქართლი | 5,7 | 70,6 | 5,8 | 49,8 | 4,2 | 44,1 |
| შიდა ქართლი | .... | ..... | ..... | ..... | 2,1 | 16,0 |
| დანარჩენი რეგიონები | 3,8 | 28,5 | 4,8 | 24,0 | 0,8 | 6,5 |

წყარო: საქსტატი

სოფლის მეურნეობის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და მიზნობრივი გამოყენება ქვეყნის ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ამ დარგის განვითარებისთვის კონკურენტუნარიანი წარმოებისკენ მიმართული აგრარული პოლიტიკის შემუშავება და ფუნანსური რესურსის მოზიდვის ხელშეწყობაა აუცილებელი.

საქართველოს სასაქონლო პოზიციების მიხედვით ექსპორტის და იმპორტის მოცულობა აშშ დოლარებში 2010-2017 წლების პერიოდში:




წყარო: საქსტატი

ცხრილიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ როგორც იმპორტი ასევე ექსპორტი არარუტინულად იზრდება და მცირდება, რაც ძირითადად განპირობებულია ადგილობრივი წარმოების ზრდასთან, ან ქვეყანაში მოსავლიანობის შემცირეის გამო. საქართველოში კარტოფილის ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: თურქეთი (35%), სომხეთი (30%), გერმანია, ჰოლანდია. ამასთან გერმანიიდან და ჰოლანდიიდან სათესლე კარტოფილი შემოდის, ხოლო დანარჩენ ქვეყნებიდან მოხმარებისთვის განკუთვნილი პროდუქტი. რაც შეეხება ექსპორტს საქართველოდან კარტოფილი აზერბაიჯანში, თურქეთში, სომხეთსა და ყაზახეთში გადის.

რეგიონული განვითარება ის პროცესია, რომელიც ხელს უწყობს ეფექტური და ქმედითი ინსტიტუტების დანერგვას, მოითხოვს ახლო თანამშრომლობას ნებისმიერ დონზე არსებულ სახელმწიფოს, ბიზნეს ორგანიზაციებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის. რეგიონული პოლიტიკა ცდილობს რეგიონებს მისცეს საშუალება არამხოლოდ იმპორტით დაკავდნენ, არამედ ექსპორტიც აწარმოონ. დღეს კარტოფილი ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა, რომელსაც მოსახლეობის კვების რაციონში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. როგორც აღვნიშნეთ კარტოფილის მწარმოებელი წამყვანი რეგიონები სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლია. საქსტატის მონაცემებით, ქვეყნის ბაზარზე კარტოფილის მოთხოვნას ნაწილობრივ აკმაყოფილებს ადგილობრივი წარმოება, 2010–2017 წლის მონაცემებით ყოველთვის უკმარისობის გამო იმპორტის სახით შემოდის თურქული ან სომხური კარტოფილი.

საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს ალბათ აინტერესებს ის კითხვა, თუ რატომ არ ვაწარმოებთ ზუსტად იმ რაოდენობის კარტოფილს რამდენიც საჭიროა და რამდენიც დააკმაყოფილებს ჩვენს მთლიან მოთხოვნას, რატომ შემოგვაქვს ის პროდუქტი რისი წარმოებაც მარტივად შეგვიძლია. ამ კითხვაზე პასუხის გასაგებად მივმართეთ ახალქალაქის ბიზნეს ცენტრის თავმჯდომარის. მის განმარტებით საქართველოში კარტოფილის მასშტაბური წარმოების ერთ–ერთი შემაფერხებელი ფაქტორი ისა რომ ფერმერებს საკმაოდ ძვირი უჯდებათ. ერთი ჰექტარის დამუშავებაზე 2500-3000 ლარი იხარჯება. ამ თანხაში შედის ტექნიკის, შხამ-ქიმიკატების, სარწყავი წყლისა და მუშების ხარჯი. ამ ყველაფერს სათესლე მასალის ფასიც ემატება: ”თესლი 50 თეთრიდან 2.50 ლარამდე ღირს. ერთ ჰექტარზე 3.5-დან 4 ტონამდე თესლია საჭირო. 50-თეთრიანი კარტოფილი დაბალი ხარისხისაა და დაბალი მოსავლიანობა აქვს, 2.50-ლარიანი კი დიდ მოსავალიანია. მინიმალური მოსავლიანობა ჰექტარზე 10-12 ტონაა, საშუალო - 27-32, მაქსიმალური კი 40-42”. ხარჯები ცუდი მოსავლის შემთხვევაშიც დაიფარება, ხოლო მოგება ძალიან ცოტა რჩება პირველ წელს, ხოლო შემდეგ წლებში როდესაც ფერმერს შენახული ექნება კარტოფილის თესლი, მოგების მოცულობა ნელ-ნელა მატულობს. ასევე დაამატა, რომ ხშირ შემთხვევაში მოსავლიანობაზე ცუდად მოქმედებს ამინდის ფაქტორი.

ამავედროულად, მეკარტოფილეობის ბიზნეს გარემოს განვითარების რეგიონული შესაძლებლობები აშკარად გაგვაჩნია. 2017 წლის იანვრიდან ქართულ ბაზარზე ფუნქციონირებს კომპანია „ფრეკო“ რომლის მიერ წარმოებული პროდუქციაა კარტოფილი ფრი, რაც მზადდება ადგილობრივი ახალციხის კარტოფილით, რომელიც არის ეკოლოგიურად სუფთა, ყოველგვარი დანამატის გარეშე. კომპანიამ 1400 კვადრატული მეტრი ფართობის მიწა სახელმწიფოსგან სიმბოლურ თანხად, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში მიიღო. ქარხანაში ჯამში 400 ათასი ლარის ინვესტიცია განხორციელდა. „ფრეკო" თავისი პროდუქციით თბილისსა და ბაკურიანში 60-მდე კვების ობიექტს ამარაგებს, საცალო გაყიდვებისთვის კი „აგროჰაბში" ერთი სავაჭრო წერტილი აქვს. საწარმოში კარტოფილი შოკ-მაცივარში მინუს 40 გრადუსზე იყინება, რის შემდეგად 1 და 2,5 კგ-იან შეფუთვებში დაფასოვდება. პროდუქციის სარეალიზაციო ფასი ბითუმად შეძენის შემთხვევაში კილოგრამზე 2 ლარსა და 90 თეთრს შეადგენს, ხოლო საცალო ფასი 4 ლარითა და 50 თეთრით განისაზღვრა. სწორი მარკეტინგული სტრატეგიის წყალობით, კომპანიამ წელს გამოშვებული პროდუქცია თითქმის მთლიანად გაყიდა და ახალ მოსავალს ელოდება, მანამდე კი წარმოების დივერსიფიცირებაზე მუშაობს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების და წარმოებული პროდუქციის უვნებლობის უზრუნველყოფის საკითხი, რაც საქართველოს მთავრობის კერძოდ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ძირითადი ვალდებულებაა. 2017 წლიდან კარტოფილის საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენლობა საქართველოში ფუნქციონირებს. კარტოფილის საერთაშორისო ცენტრი წარმოადგენს სასოფლო–სამეურნეო კვლევების საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფის (CGIAR) წევრ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც 1971 წელს დაარსდა. კარტოფილის საერთაშორისო ცენტრის მისიაა ითანამშრომლოს პარტნიორებთან სასურსათო უსაფრთხოების მისაღწევად, შეჭირვებული მოსახლეობის დასახმარებლად და გენდერული თანასწორობის დასაცავად, სასოფლო-სამეურნეო კვლევებისა და ინოვაციების განვითარებისა და დანერგვის გზით.

კარტოფილის კულტურა საკმაოდ სენსიტიურია, ყოველთვის მოითხოვს კონტროლს, კარტოფილი ძლიერად ავადდება ფიტოპათოგენებით, რაც მნიშვნელოვანი დონით განპირობებულია მისი ბიოლოგიით. ყველაზე სერიოზულ ავადმყოფობად ითვლება კარტოფილის კიბო, რომლის გამომწვევია სოკო Synchytrium endobioticum Pers, Chytridiomycetes რიგიდან და ითვლება განსაკუთრებით საშიშ საკარანტინო მავნე ორგანიზმად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. 2017 წლის ბოლო კვარტალში თურქეთიდან იმპორტირებული კარტოფილის 18 პარტიაში სურსათის ეროვნულმა სააგენტომ აღმოაჩინა კიბო, ლაბორატორიული კვლევით ასევე დადასტურდა ოქროსფერი ნემატოდას და მურა სიდამპლის არსებობა.

2018 წლის 19 მარტს საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტოს და კარტოფილის საერთაშორისო ცენტრის სასოფლო–სამეურნეო კვლევების საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფის (CGIAR) ერთობლივი გადაწყვეტილებით თურქეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე კარტოფილის შემოტანა 2018 წლის 1 ივნისამდე აიკრძალა. იმპორტის აკრძალვის მიზანი ტერიტორიაზე კარტოფილის კიბოს თავისუფლად გავრცელების თავიდან აცილებაა. ეს არის დროებითი ფიტოსანიტარიული ზომა, რომელიც კარტოფილის თესვის სეზონის დასრულებამდე იმოქმედებს, რათა თურქული კარტოფილი არ იყოს გამოყენებული სათესად. მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები იმაზეა მიზანმიმართული, რომ ვიყოთ დაცულნი დაავადებული კარტოფილისგან, რაც ამჟამად გავრცელებულია თურქეთში.

დროებითი ღონისძიების ამოქმედებას ფიტოსანიტარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის მე-17 მუხლი ადასტურებს – "უსაფრთხოების უზრუნ-

ველყოფის გადაუდებელი ღონისძიებების გატარების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის იმპორტი ან/და ტრანზიტი შეიძლება დროებით აიკრძალოს ან მათი პირობები შეიცვალოს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით".

ამრიგად, ჩვენს მიერ დამუშავებული და ზემოთაღწერილი მოსაზრებების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

- საქართველოს ბიზნესგარემოს განვითარების რეგიონული შესაძლებლობები გააჩნია კარტოფილის კულტურის საწარმოებლად – შესაბამისი მიწა, კლიმატი და სამუშაო ძალა.
- სოფლის მეურნეობაში ეს დარგი ერთ-ერთი მზარდი და განვითარებადია, რაზეც მეტყველებს იმპორტის მოცულობის შემცირება და ახალ გახსნილი კომპანია „ფრეკო"-ს წარმატება, რაც ითვალისწინებს იმპორტული პროდუქციის ჩანაცვლებას ადგილობრივით. ამ სექტორში ძირითადი პრობლემად შეიძლება იქნეს მიჩნეული მატერიალური ფაქტორი, რაც იმაზე მეტყველებს რომ ადგილობრივი კარტოფილის მოყვანა ფერმერების მიერ ძვირი უჯდებათ და შემდგომ არ ხორციელდება შესაბამის ფასში რეალიზაცია.
- ამავედროულად აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო დაინტერესებულია ამ სექტორით, ახალი რეგულაციები ახლახანს მარტში დააწესეს თურქული კარტოფილის მიმართ, რას ხელს შეუწყობს გრძელვადიან პერსპექტივაში ამ სეგმენტის განვითარებას, მუშაობის ხარისხის ამაღლებას, მოდერნიზაციას და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. კოპალიანი, ნ. (2009). საქართველოს აგრარული ეკონომიკის ეფექტურობის ძირითადი პარამეტრები და მისი ოპტიმიზაციის საკითხები. თბილისი: სტუ.
2. მაჭარაშვილი, შ. (2017). ახალი აგრარული საქართველო. თბილისი: აგრარული სექტორის კომპანიების ასოციაცია.
3. ქარქაშაძე, ნ. (1998). აგრარული მეცნიერების პრობლემები. თბილისი: საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი.

# საფონდო ბირჟა და მისი საქმიანობის თავისებურებანი საქართველოში

***სახელაშვილი ნათია*** *– ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი* ***შალამბერიძე ხათუნა*** *– ასოცირებულ-პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

# Stock exchange and its peculiarities in Georgia

***Sakhelashvili Natia*** *– Bachelor's Student, Business Administration, III year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

*Supervisor* ***Shalamberidze Khatuna*** *– Associate Professor, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

**Abstract**

The present working paper will discuss the benefits that will be brought by the development of the Georgian stock market and by the changes of its current peculiarities.

At present Georgian stock exchange is in a very difficult situation, which greatly impedes economic progress and development of the country, therefore, it is necessary to be activated based from its significance and to develop a model which will enable it to function and bring the country a significant

economic benefit. In case if the condition of the stock market is improved, it would be good both for the state as well as for the population welfare.

The stock exchange, as the Institute of Public Trade, promotes investments in public placement of securities and by organizing their circulation.

**Keywords:** stock exchange, Institute of Public Trade, investment, securities.

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში საუბარი იქნება თუ რა სარგებლობას მოუტანს საქართველოს საფონდო ბირჟის განვითარება და იმ თავისებურების შეცვლა, რომელიც მას ახლა ახასიათებს.

საქართველოს საფონდო ბირჟა დღეის მდგომარეობით მეტად რთულ მდგომარეობაშია, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას და განვითარებას, ამიტომ მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე აუცილებელია ამოქმედდეს და შემუშავდეს მოდელი, რომელიც მას მისცემს საშუალებას იფუნქციონიროს და ქვეყანას მოუტანოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი. იმ შემთხვევაში თუ გაუმჯობესდება საფონდო ბირჟის მდგომარეობა ეს კარგი იქნება, როგორც სახელმწიფოსთვის ასევე მოსახლეობის კეთილდღეობისათის.

საფონდო ბირჟა, როგორც საჯარო ვაჭრობის ინსტიტუტი, ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას ფასიანი ქაღალდების საჯარო განთავსებისა და მათი მიმოქცევის ორგანიზების გზით.

**საკვანძო სიტყვები:** საფონდო ბირჟა, საჯარო ვაჭრობის ინსტიტუტი, ინვესტიციები, ფასიანი ქაღალდები.

**საფონდო ბირჟა** არის ორგანიზებული ბაზარი, რომელიც მისი წევრი ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით უზრუნველყოფს სავაჭრო სისტემაში დაშვებულ (ლისტინგი) ფასიან ქაღალდებზე ვაჭრობისა და დადებული გარიგებების შესრულების ორგანიზებას დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად, ავრცელებს დადებულ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციას.

საფონდო ბირჟა, როგორც საჯარო ვაჭრობის ინსტიტუტი, ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას ფასიანი ქაღალდების საჯარო განთავსებისა და მათი მიმოქცევის ორგანიზების გზით. ფასიანი ქაღალდების ბაზარი ერთგვარი პულსის მზომია, სადაც პირველ რიგში აისახება ქვეყანაში მიმდინარე ნებისმიერი ცვლილება და რყევა. საფონდო ბირჟა წარმოადგენს დანაზოგების მობილიზების და მათი მომგებიან საინვესტიციო პროექტებში დაბანდების მთავარ წყაროს. აქ გარიგების სწრაფად დადება-შესრულება და თავისუფალი კონკურენცია გარანტირებულია. სავაჭრო დარბაზში შეკვეთებს ყიდვა-გაყიდვაზე ასრულებენ ბროკერები, რომლებიც დამკვეთთათვის ერთდროულად შუამავლებიც არიან და კონსულტანტებიც. ბროკერი რომელიმე საბროკერო კომპანიის წარმომადგენელია, ხოლო საბროკერო კომპანია არის მოცემული ბირჟის წევრი. განვითარებული საფონდო ბირჟა უზრუნველყოფს ეკონომიკისა და შიდა ინვესტიციებს ზრდას, ამიტომ მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის განვითარებაში.

პირდაპირი ინვესტირების გარდა, არსებობს ბიზნესის და მთლიანად ეკონომიკის დაფინანსების ორი ალტერნატიული გზა – საბანკო სესხი და ფასიანი ქაღალდების ბაზარი. პირველი მექანიზმი გულისხმობს ინვესტორების თანხის შესვლას დეპოზიტის სახით ბანკებში და შემდეგ ბანკების მიერ ამ თანხების გაცემას კრედიტის სახით. ფასიანი ქაღალდების ბაზრის შემთხვევაში კი ფულადი სახსრები უშუალოდ მიედინება ინვესტორებისაგან ეკონომიკაში, კომპანიების ან სხვა სუბიექტების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების სანაცვლოდ.

საქართველოს საფონდო ბირჟა დაფუძნებულია საფონდო ბირჟის საერთო კრების მიერ 1999 წლის 5 იანვარს, ხოლო 2000 წლის 14 იანვარს ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახელმწიფო მარეგულირებელმა ორგანომ განახორციელა საქართველოს საფონდო ბირჟის ლიცენზირება და

იმავდროულად მიანიჭა მას საქართველოში პირველი თვითრეგულირებადი ორგანიზაციის სტატუსი. 2000 წლის 15 სექტემბრიდან არის ევრაზიის საფონდო ბირჟების ფედერაციის (FEAS) წევრი. როდესაც აშშ მთავრობის დახმარებით ამ დარგის საუკეთესო ამერიკელი ექსპერტები 1998–2000 წლებში საქართველოს ფასიანი ქარალდების ბაზრის სფეროს საფუძვლებს აყალიბებდნენ, მკაფიოდ იყო წარმოდგენილი, რომ კომუნისტური რეჟიმიდან ახლადგამოსულ ქვეყანაში, ეკონომიკის დაფინანსების, კონკურენტი მექანიზმები დამოუკიდებლად უნდა ვითარდებოდეს, აქედან გამომდინარე საქართველოს საფონდო ბირჟაზე თავდაპირველად ფასიანი ქაღალდების ინდუსტრია გამიჯნული იყო მისი ბუნებრივი კონკურენტის - საბანკო სფეროსგან, რათა ფასიანი ქაღალდების ბაზრის ახლადჩამოყალიბებულ მექანიზმს მისცემოდა დამოუკიდებლად განვითარების რეალური შესაძლებლობა. ეს გამიჯვნა გამოიხატა რიგ ასპექტებში: ბანკებს არ შეეძლოთ ბაზარზე უშუალოდ მონაწილეობა (მხოლოდ შვილობილი საბროკერო კომპანიების მეშვეობით); საფონდო ბირჟის არცერთ მესაკუთრეს არ შეეძლო ჰქონოდა ბირჟის 10%-ზე მეტი წილი, ხოლო ბანკებს ერთად არ შეეძლოთ ჰქონოდათ ბირჟის 50%-ზე მეტი, ამ ყოველივეს კონტროლს ახორციელებდა - საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია - რომელიც იყო კოლეგიალური მართვის ორგანო და გარდა ზედამხედველობისა, მოწოდებული იყო ხელი შეეწყო ამ ინდუსტრიის განვითარებისთვის. ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოს საფონდო ბირჟას გააჩნდა ერთი დამახასიათებელი, კერძოდ, ბირჟის წევრები ამავე დროს მისი აქციონერები იყვნენ. (ჩიკვაიძე,2007)

საქართველოს საფონდო ბირჟის ელექტრონული სავაჭრო სისტემა ბროკერებს ათასობით სხვადასხვა აქციით ვაჭრობის შესაძლებლობას აძლევს სამუშაო ადგილებიდან, რომლებიც განლაგებულია როგორც საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო დარბაზში, ასევე საბროკერო კომპანიათა ოფისებში - დისტანციური წვდომის ტერმინალების დახმარებით.

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარი დღეისათვის მხოლოდ ჩანასახის სახით არსებობს, ამის გამო მის არსებობაში ეჭვიც შეიძლება შეგვეპაროს, თუმცა გასაკვირი არაფერია, რადგან ეკონომიკური რეფორმებისადმი ფორმალური მიდგომის პირობებში საქართველოში განუვითარებელია ეკონომიკური საქმიანობისათვის ესოდენ საჭირო და რთული სფერო, როგორიცაა ფასიანი ქაღალდების ინდუსტრია.

საფონდო ბირჟაზე განსაკუთრებული აქტივობა შეინიშნებოდა 2004 წლიდან. ქვემოთ მოცემულია საქართველოს საფონდო ბირჟაზე 2004 წლისა და 2017 წლის მონაცემები.

ცხრილი №1

| წელი | გარიგებათა რაოდენობა | ჯამური მოცულობა (ცალი აქცია) | ჯამური ღირებულება |
|---|---|---|---|
| 2004 | 1093 | 29 987 267 | 46414395 |
| 2017 | 191 | 7 301 967 | 312 150 |

წყარო: www.gse.ge

ნათლად იკვეთება, რომ 2004 წლის ეკონომიკას 2017 წლის ეკონომიკა აღემატება, თუმცა საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობაში ეს ფაქტი საპირისპიროდ აისახა რიგი ფაქტორების ზემოქმედების ზეგავლენით. ამჟამად, არსებული ინფლაცია და ეკონომიკური არასტაბილურობა, რა თქმა უნდა, ცუდად აისახება საქართველოს საფონდო ბირჟის მდგომარეობაზე, რადგან კომპანიებს არასტაბილური გარემო უბიძგებს თავიანთი აქციები არ დაუშვან საქართველოს საფონდო ბირჟაზე და გაყიდონ მის გარეთ.

2018 წლის 1 მაისის მდგომარეობით სსბ-ის სავაჭრო სისტემაში დაშვებულია 74 კომპანიის ფასიანი ქაღალდი, რომელთა საერთო საბაზრო კაპიტალიზაციამ შეადგინა 1.179 მილიარ-

დი აშშ დოლარი, ხოლო საშუალო დღიურმა ბრუნვამ 2018 წლის აპრილის თვეში - 13 857 ლარი.

თუ დავაკვირდებით საქართველოს საფონდო ბირჟას მისი არსებობიდან დღემდე შევამჩნევთ რამდენიმე თავისებურებას, კერძოდ, 2007 წლამდე შეინიშნება გარიგებების რაოდენობის ზრდის ტენდენცია, გარიგების მონაწილეთა მრავალფეროვნება. 2000–2007 წლებში ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში თანდათან იკრებდა ძალას, თუმცა 2008 წლიდან ეს მაჩვენებელი საგრძნობლად იკლებს, ამაზე გავლენა იქონია საქართველოს იმჟამინდელმა პოლიტიკურმა თუ ეკონომიკურმა მდგომარეობამ და ფაქტიურად ამ მოვლენებმა მასზე დამღუპველად იმოქმედა. გამოცოცხლება შეინიშნება აგრეთვე 2010 წელს, მაგრამ მას შემდეგ საქართველოს საფონდო ბირჟის მდგომარეობა უკან მიდის, რასაც ეს მაჩვენებლებიც მოწმობს.

ცხრილი №2

| წელი | გარიგებათა რაოდენობა | ჯამური მოცულობა | ჯამური ღირებულება |
|---|---|---|---|
| 2000 | 601 | 4 354 640 | 5 892 325 |
| 2001 | 1591 | 10 862 784 | 13 077 244 |
| 2002 | 1347 | 11 454 842 | 8 411 353 |
| 2003 | 913 | 7 903 806 | 1 735 289 |
| 2004 | 1093 | 29 987 276 | 46 414 359 |
| 2005 | 1358 | 32 385 702 | 62 362 180 |
| 2006 | 5538 | 17 161 373 | 61 722 271 |
| 2007 | 6908 | 14 619 830 | 38 374 074 |
| 2008 | 2321 | 12 480 863 | 10 584 246 |
| 2009 | 1304 | 12 667 601 | 3 112 575 |
| 2010 | 2372 | 41 641 272 | 5 117 754 |
| 2011 | 860 | 12 077 996 | 2 503 704 |
| 2012 | 339 | 9 950 399 | 8 847 355 |
| 2013 | 283 | 27 170 709 | 530 493 |
| 2014 | 131 | 12 122 547 | 881 233 |
| 2015 | 114 | 6 157 241 | 793 615 |
| 2016 | 89 | 3 605 753 | 483 075 |
| 2017 | 191 | 7 301 967 | 312 150 |

წყარო: www.gse.ge

საქართველოს საფონდო ბირჟის არსატაბილურობა დღის წესრიგში აყენებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა საშუალო ფასის ცვალებადობა რა გავლენას ახდენს მაკროეკონომიკურ არასტაბილურობაზე? რადგან საფონდო ბირჟაზე ჩამოყალიბებული საშუალო ფასები მკაცრი მეთვალყურეობის ობიექტია. ხოლო დასმულ შეკითხვაზე პასუხის მიღება შესაძლებელია საფონდო ბირჟასა და ეროვნულ მეურნეობას შორის არსებული კავშირის საფუძველზე. საქართველოს მსგავს ქვეყნებში კი, სადაც კაპიტალზე ხელმისაწვდომობა შედარებით შეზღუდულია, გამართულად ფუნქციონირებადი და განვითარებული კაპიტალის ბაზრის არარსებობა კიდევ უფრო აფერხებს კაპიტალის ფორმირებისა და ეკონომიკური აქტივობის პროცესს. მიუხედავად იმისა, რომ ხალხს არ აქვს დიდი დანაზოგების გაკეთების საშუალება, კაპიტალის ბაზრის განვითარების დაბალი დონის პირობებში მათ არც დაზოგვის სტიმული აქვთ, ან ვინც ზოგავს, სახსრებს უძრავ ქონებაში, ძვირფას ლითონებში და სხვა შედარებით დაბალპროდუქტიულ არხებში აბანდებს.

მართალია ჩვენ არ შეგვიძლია ვისაუბროთ მის დადებით თავისებურებებზე, თუმცა შგვიძლია განვიხილოთ რა შდეგების მომტანი იქნება თუ საქართველოს საფონდო ბირჟა ისე განვითარდება, როგორც მსოფლიოში ცნობილი საფონდო ბირჟები.

საფონდო ბირჟის განვითარება მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ ქვეყნის არამედ რეგიონის მასშტაბით, რადგან იგი საშუალებას მოგვცემს ჩავერთოთ მსოფლიო ეკონომიკის საერთაშორისო ქსელში, რაც მოგვიტანს გარიგებათა სიმრავლეს და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებას. მოხდება ინვესტორთა სულ უფრო მზარდი ნაწილის დაინტერესება, რადგან ბირჟა ერთგვარად გვევლინება ინვესტორების სუბიექტური სურვილების ინდიკატორად. დროთა განმავლობაში ბირჟა თავად გვიკარნახებს პროგნოზული განვითარების გზებს ასევე მისი განვითარება მოგვცემს საშუალებას ჩვერთოთ საერთაშორისო საბირჟო და საკლირინგო–საანგარიშო სისტემაში.

გარდა იმისა, რომ ბირჟის განვითარება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საწინდარია ის დაასაქმებს ასობით ადამიანს, მისცემს საწარმოებს სტიმულს აწარმოონ პროდუქცია უფრო ეფექტურად და სტანდარტებთან შესაბამისობაში, რათა მოხვდნენ საფონდო ბირჟაზე.

საფონდო ბირჟა რომ ასეთი სახით განვითრდეს და დიდ წარმატებას მიაღწიოს აუცილებელია მისი მომცველი მრავალი მექანიზმი სწორად და გამართულად ფუნქციონირებდეს, თუ ერთი მათგანი მაინც დაირღვა ის ვეღარ ახერხებს სწორად და მიზანმიმართულად ფუნქციონირებას.

**მის განვითარებაზე შესაძლოა მოქმედებდეს:**

- კანონმდებლობა;
- რეგულატორი;
- საბირჟო–საკლირინგო ინფრასტრუქტურა;
- საინვესტიციო ბანკები/საბროკერო კომპანიები;
- ბაზრის ინფრასტრუქტურის და მონაწილეების ინსტიტუციური მდგრადობა;
- სამთავრობო ფასიანი ქაღალდები;
- საპრივატიზაციო პოლიტიკა;
- ინსტიტუციური ინვესტორები;
- მსხვილი საინვესტიციო ფონდები;
- საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების პოლიტიკა და საქმიანობა;
- საგადასახადო პოლიტიკა;
- მაკროეკონომიკური მდგრადობა;
- ნდობა საფინანსო ინსტიტუტებისადმი;
- სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და პროფესიონალიზმი;
- საზოგადოების არაინფორმირებულობა.(ლოლაძე,2015)

აქედან გამომდინარე, როგორც უკვე აღვნიშნეთ საფონდო ბირჟა ძლიერი ეკონომიკის საწინდარია ეკონომიკის განვითარება კი უშვალოდ აისახება ქვეყნის ყველა რეგინოზე. მისცემს მათ გამოცეცხლების საშუალებას, გაჩნდება მოთხოვნა სამუაო ძალაზე, რაც ადგილობრივ მოსახლეობას საშუალებას მისცემს დასაქმდნენ უშალოდ თავითან რეგიონებში, ჩვენთვის ცნობილია, რომ საფონდო ბირჟა უზრუნველყოფს ადგილობრივი ინვესტიციების ზრდას, როდესაც მოთხოვნა გაიზრდება ადგილობრივ წარმოებაზე მოსახლეობა დამოუკიდებლადაც იზრუნებს შექმნას და ჩამოაყალიბოს საწარმოები იფიქრებენ თვითგანვითარებაზე, რასაც საბოლოოდ მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდასთან მიგვიყვანს. რეგიონები ერთმანეთთან შევლენ ჯან-

საღ კონკურენციაში,რაც მათ ეკონომიკურ განვითარებას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს. ეკომომიკურად ძლიერი რეგიონების არსებობა კი საბოლოოდ ქვეყნის ეკონომიკის მაღალეფექტურობასა და ზრდასთან მიგვიყვანს. ყველა ეს მოვლენა და ფაქტორი მჭიდრო კავშირში იმყოფება ერთმანეთთან, ამიტომ უნდა ვიზრუნოთ თითოეული მათგანის განვითარებაზე მიუხედავად იმისა, რომ საფონდო ბირჟის საქმიანობა ქართველ ეკონომიკურ აგენტთა ტრადიცულ საქმიანობას ნამდვილად არ წარმოადგენს აუცილებელია მისი ამოქმედება, რადგან საბაზრო ეკონომიკის განვითარება საფონდო ბირჟის განვითრების გარეშე წარმოუდგენელია, ვინაიდან იგი გლობალური ეკონომიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლოლაძე გ., 2015 წ., ,,ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში – პრობლემები, გამოწვევები და პერსპექტივები''. გამოქვეყნდა პროექტის ბლოგზე ,,საქართველო 2020'' https://idfi.ge/ge/securities-market-georgia(01.05.2018)
2. ჩიკვაიძე დ., (2007). „ფასიანი ქაღალდების ბაზრის დღევანდელი დღე საქართველოში" (02.05.2018)
3. ბახტაძე ლ., ,,ფასიანი ქაღალდების ბაზარი" 2012წ.
4. შონია ნ., გუგეშაშვილი თ., „საბირო საქმე" 1.2 ნაწილი 2009 წ.
5. http://www.gse.ge/ (25.04.2018)
6. www.mof.ge
7. www.statistics.ge
8. www.nbg.ge

## მეფუტკრეობა, როგორც ბიზნესი და მისი როლი რეგიონის სოციალურ–ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში

***უდესიანი ვანო*** *– აგრონომიის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი* ***სტეფანიშვილი ვენერა*** *– ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, მეფუტკრეობის დეპარტამენტი, საქართველოს საპატრიარქოს მეფუტკრეობის საზოგადოებრივი კოლეჯი, თბილისი, საქართველო*

## Beekeeping as a business and its role in solving the socio-economic problems of the region

***Udesiani Vano*** *– Bachelor's Student, Agronomy, III year, Georgian Technical University, Tbilisi, Georgia*

*Supervisor* ***Stepanashvili Venera*** *– Doctor in Biology, Associate Professor, Department of Beekeeping, Georgian Patriarchate Beekeeping Community College, Tbilisi, Georgia*

### Abstract

**Introduction and Goal:** Beekeeping is one of the most promising sectors of agriculture in Georgia. Since ancient times Georgian people followed beekeeping. They used it for both family and industrial purposes. Bee-like products such as honey and wax satisfied not only the domestic requirements, but also in other countries as well as the best market goods.

Beekeeping as a business is becoming more and more popular every year. The development of beekeeping has a great economic importance for the country and for the revival of local production. Despite the fact that a lot of people are talking about beekeeping today and have great hopes for the development of this field, strengthening this sector is only spontaneously and initiated by individuals.

Honey made from the Georgian bee is one of the best in the world and the development of this sector is of great importance to the country. Beekeeping is a viable option for the development of local production, as the demand for this product is never decreasing. Besides the fact that it is a food product, it is used as a healing treatment and other areas. In the search of filling the local budget, legalization of the beekeeping sector and the cold development can do a great job.

If we look at the strategic plan of 2014-2021 in the region of Imereti, there is nothing to say about the existence of beekeeping. There is nothing to say about its development at all.

Imereti region is central part of Georgia, the richness and geographical location of the region's economy and the development of the region significantly contribute to its rich natural resources. This requires maximum and purposeful use.

**Research Methodology:** During the research process was used functional analysis and synthesis, comparison, systemic and logical approaches, surveying, evaluation, economic-statistical and other.

**Results and Use:** The article deals with the problems of bee-keeping as businesses in the region. In particular, the emphasis is on the region of Imereti.

This issue was selected from its actuality and importance, because this area is in the developing region and needs to find ways to solve a number of problems.

In the present work, we present the existing problems as a result of the curve and define the ways of their solution.

**Conclusion:** Beekeeping can play an important role in solving socioeconomic problems in the region. The specifics of this field allow us to conclude that It will be especially useful for employment, problem solving, especially women's employment, Because bee care does not belong to the category of physical activity. However, it is necessary to introduce modern technologies in beekeeping, Which increases the productivity of labor and eases the labor process.

Beekeeping, as well as other commercial activities, requires a serious approach.

**Keywords:** Beekeeping, business, employment, economic development of the region

## აბსტრაქტი

**შესავალი და მიზანი:** საქართველოში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ დარგს მეფუტკრეობა წარმოადგენს. უხსოვარი დროიდან ქართველი ხალხი მისდევდა მეფუტკრეობას, იყენებდა მას როგორც საოჯახო, ისე სამრეწველო მიზნებისთვის. ფუტკრის ისეთი პროდუქტები, როგორიცაა: თაფლი და ცვილი, აკმაყოფილებდა არა მარტო ქვეყნის შიდა მოთხოვნებს, არამედ გაჰქონდათ სხვა ქვეყნებშიც, როგორც საუკეთესო საბაზრო საქონელი.

მეფუტკრეობა, როგორც ბიზნესი, ყოველ წელს უფრო და უფრო პოპულარული ხდება. მეფუტკრეობის განვითარებას უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის და ადგილობრივი წარმოების აღორძინებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მეფუტკრეობაზე დღეს ძალიან ბევრს საუბრობენ და ამ სფეროს განვითრებაზეც დიდ იმედებს ამყარებენ, ქვეყანაში ამ დარგის გაძლიერება მხოლოდ სპონტალურად და ერთეული პიროვნებების ინიციატივით ხდება.

ქართული ფუტკრისგან დამზადებული თაფლი ერთ–ერთი საუკეთესოა მთელ მსოფლიოში და ამ დარგის განვითარებას უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის. ადგილობრივი წარმოების განვითარებისათვის მეფუტკრეობა იდიალური ვარიანტია, რადგან ამ პროდუქტზე მოთხოვნილება არასდროს კლებულობს. იგი, გარდა იმისა, რომ საკვები პროდუქტია, უებარი სამკურნალო საშუალებაა და სხვა დარგებშიც გამოიყენება. ადგილობრივი ბიუჯეტის შევსების გზების ძიებაში მეფუტკრეობის დარგის ლეგალიზაციას და ცივილურ განვითარებას დიდი საქმის გაკეთება შეუძლია.

თუ გადავხედავთ იმერეთის რეგიონის განითრების 2014–2021 წლების სტრატეგიულ გეგმას, რეგიონში მეფუტკრეობის განვითარებაზე კი არა, საერთოდ მის არსებობაზეც არაფერია ნათქვამი.

იმერეთის რეგიონი საქართველოს ცენტრალური ნაწილია, მისი ეკონომიკის განვითარების დონესა და შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად განაპირობებს მისი მდიდარი ბუნებრივი რესურსები და გეოგრაფიული მდებარეობა. რაც მაქსიმალურად და მიზანმიმართულად გამოყენებას საჭიროებს.

**კვლევის მეთოდები:** კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა ფუნქციონალური ანალიზისა და სინთეზის, შედარების, სისტემური და ლოგიგური მიდგომების, გამოკითხვის, შეფასების, ეკონომიკურ-სტატისტიკური და სხვა მეთოდები.

**შედეგები და გამოყენება:** სტატია ეხება მეფუტკრეობის, როგორც ბიზნესის წარმოების პრობლემებს რეგიონში. კერძოდ აქცენტი გაკეთებულია იმერეთის რეგიონზე.

მოცემული საკითხი შერჩეულ იქნა მისი აქტუალობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, რადგან აღნიშნული სფერო არის განვითარებადი რეგიონში და საჭიროებს რიგი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას.

წარმოდგენლ ნაშრომში კველვის შედეგად წარმოვაჩინეთ არსებული პრობლემები და დავსახეთ მათი მოგვარების გზები.

**დასკვნა:** მეფუტკრეობას უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება შეუძლია რეგიონში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის საქმეშიც. ამ დარგის სპეციფიკა საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ იგი განსაკუთრებით წაადგება დასაქმების, პრობლემის გადაწყვეტას, განსაკუთრებით კი ქალთა დასაქმებას, რადგან ფუტკრის მოვლა არ მიეკუთვნება ფიზიკურად მძიმე საქმიანობათა კატეგორიას. თუმცა აუცილებელია, მეფუტკრეობაში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, რაც მეტად ზრდის შრომის ნაყოფიერებას და ამსუბუქებს შრომის პროცესს.

მეფუტკრეობა, ისევე როგორც სხვა კომერციული საქმიანობა, სერიოზულ მიდგომას მოითხოვს.

**საკვანძო სიტყვები:** მეფუტკრეობა, ბიზნესი, დასაქმება, რეგიონის ეკონომიკური განვითარება.

საქართველოში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ დარგს მეფუტკრეობა წარმოადგენს. უხსოვარი დროიდან ქართველი ხალხი მისდევდა მეფუთკრეობას, იყენებდა მას როგორც საოჯახო, ისე სამრეწველო მიზნებისთვის. ფუტკრის ისეთი პროდუქტები, როგორიცაა: თაფლი და ცვილი, აკმაყოფილებდა არა მარტო ქვეყნის შიდა მოთხოვნებს, ისინი გაჰქონდათ სხვა ქვეყნებშიც, როგორც საუკეთესო საბაზრო საქონელი.

თითქმის ყველა რაიონში შეიძლება ფუტკრის მოშენება და გარდა პირდაპირი პროდუქციისა, რაც თავის მხრივ რამდენიმე სახისაა, ამ მწერის მუშაობას უნიკალური ირიბი ეფექტიც გააჩნია, კერძოდ ის მონაწილეობს მცენარეთა და მათ შორის სასოფლო-სამეურნო კულტურათა დამტვერვის პროცესში, რითიც 30%-მდე ზრდის მათ მოსავლიანობას. ეს მეტად შთამბეჭდავი მაჩვენებელია და ხშირ შემთხვევაში ფუტკარი ამ კუთხით უფრო დიდ სარგებელს აძლევს ადამიანს, ვიდრე თაფლისა და სხვა პროდუქციის წარმოებით. ევროპაში ფუტკრის ეს თვისებაც კომერციალიზებულია და მაგალითად, გერმანიაში ერთ სკაზე მეფუტკრე, იმის მიხედვით, თუ რომელ კულტურას დაამტვრიანებს მისი ფაუტკარი, 20-50 ევროს იღებს.

გარდა ამისა, ეს საოცარი მწერი ექვსი დასახელების პროდუქტს იძლევა; ესენია - თაფლი, სანთელი, სადედე რძე, ყვავილის მტვერი, დინდგელი ანუ პროპოლისი და ფუტკრის შხამი. სეზონზე ფუტკრის ერთი ოჯახი კარგი მოვლის პირობებში დაახლოებით 20-25 კგ. თაფლს იძლევა, თუმცა თითოეულ სკაში ეს პროდუქტი გაცილებით მეტი მზადდება, მაგრამ დანარჩენი თაფლი თავად ფუტკრებს სჭირდებათ გამოსაკვებად. ხშირად ისეც ხდება, რომ მეფუტკრე მეტ თაფლს იღებს სკიდან, ხოლო ფუტკრის საჭმელად კი მას შაქრითა და სხვა ნივთიერებით ჩაანაცვლებს, მაგრამ ამ შემთხვევაში ვერ მივიღებთ ჭეშმარიტ ეკოლოგიურ პროდუქტს. მიუხედავად იმისა, რომ თაფლის უნიკალურ თვისებებზე არავინ დავობს, მისი ხარისხი და შესაბამისად ფასებიც ძალიან განსხვავდება. მაგალითად, აშშ-ში, რომელიც თაფლის ყველაზე დიდი მომხმარებელია მსოფლიოში, საკმაო რაოდენობით პროდუქციასაც აწარმოებენ. მაგრამ აქ გავრცელებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების, მაგალითად - სოიოს, იონჯას, ბამბის, წიწიბურას, სამყურას და ა.შ. თაფლი, თუმცა ამ პროდუქტის საბითუმო ღირებულება არ არის

მაღალი და ის დაახლოებით 4-5 დოლარია 1 კგ-ზე. სამაგიეროდ კარგად ფასობს ე.წ. „ტყის თაფლი". მაგალითად, გერმანიაში მისი საშუალო ფასია 8 ევრო 1 კგ-ზე, ხოლო კონკრეტული ბოტანიკური წარმოშობის თაფლის ფასი კი ორჯერ მეტია და კილოგრამზე 16 ევრომდე ადის.

საქართველოს მეფუტკრეებისთვის მეტად სასარგებლოა ევროკავშირში დამკვიდრებული ის პრაქტიკაც, რომლის მიხედვითაც თაფლის კონკრეტული გეოგრაფიული ან მცენარეული წარმოშობა მასზე პრემიალურ ფასნამატს განაპირობებს, რადგან ეს ადასტურებს მის ფარმაკოლოგიურ ან ორგანოლეპტიკურ თვისებებს. ბოტანიკური წარმოშობის მიხედვით ევროკავშირში დაცულია 16 კატეგორიის თაფლი, ხოლო ტერიტორიული ნიშნით კიდევ სამი კატეგორიის. ურიგო არ იქნება თუ ბიზნესმენები და სახელმწიფო ორგანოები იზრუნებენ, რომ მსგავსი რამ საქართველოს კონკრეტული რეგიონების მიხედვითაც განხორციელდეს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში დიდი როლი თავად მეფუტკრეებსაც ეკისრებათ. მათ უნდა გააცნობიერონ, რომ პროდუქტის შემოწმება, შეფუთვა, მარკეტინგი უმნიშვნელოვანესი საქმეა. ამის გარეშე იკარგება ის უდიდესი პოტენციალი რასაც ჩვენი მადლიანი ბუნება იძლევა და ცალსახად, უმაღლესი ხარისხის თაფლი შეიძლება დაბალ კატეგორიაში აღმოჩნდეს ჩინურ და ინდურ პროდუქტთან ერთად, რისი ფასიც 1 კგ-ზე 3-4 აშშ დოლარს შეადგენს. საქართველოში რამდენიმე სახის თაფლი იწარმოება, რომელთაგან ზოგიერთს ნამდვილად აქვს შანსი, ევროკავშირის ბაზარზე პრემიუმ კლასის პროდუქციას მიაკუთვნონ, ესენია:

- ყველაზე საუკეთესო თვისებების ალპური თაფლი, რომელიც ღია ყავისფერი შეფერილობის, საშუალო სიტკბოსი და ძლიერი სასიამოვნო არომატისაა, რაც დამახასიათებელია ალპური ზონის ყვავილებისთვის. წარმოებულია ეკოლოგიურად სუფთა, ათეულობით სამკურნალო მცენარეებიდან და შეუცვლელია ნერვული სისტემის მოსაწესრიგებლად. შეიცავს მრავალ სასარგებლო მიკროელემენტებს. მდიდარია 36 მინერალებით და ხასიათდება მაღალი ანტიბაქტერიული თვისებებით;
- აკაციის თაფლი, ისიც უმაღლესი ხარისხის თაფლთა კატეგორიას მიეკუთვნება. ის ახლად გამოხდილი გამჭირვალეა ძალზე ნაზი არომატით, კრისტალდება ნელა. დაკრისტალებისას ღებულობს თეთრ ფერს. შეიცავს 40,35% ფრუქტოზას, 35,98% გლუკოზას, pH-4,0. ახასიათებს მკვეთრად გამოკვეთილი მიკრობსაწინააღმდეგო მოქმედება. გამოიყენება როგორც ორგანიზმის საერთო გამაძლიერებელი საშუალება, უძილობის, კუჭ-ნაწლავის, ნაღვლისა და თირკმლების დაავადებათა სამკურნალოდ;
- ცაცხვის თაფლიც, უმაღლესი ხარისხისაა. სარგებლობს დიდი პოპულარობით მოსახლეობაში. აქვს ღია-ყვითელი ფერი, სასიამოვნ არომატი და მძაფრი სპეციფიკური გემო. კრისტალდება სწრაფად. შეიცავს 39,27% ფრუქტოზას, 36,05% გლუკოზას, pH-3,7. გამოირჩევა მკვეთრად გამოკვეთილი სასარგებლო და სამკურნალო თვისებებით. ახასიათებს ანტიბაქტერიული მოქმედება. გამოიყენება დამწვრობის დროს, ანგინის, სურდოს, ლარინგიტის, ბრონქიტის, ბრონქიონალურიასთმის, თირკმლების, ნაღვლისა და გინეკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ;
- მინდვრის ყვავილების თაფლი, მიეკუთვნება უმაღლესი ხარისხის თაფლს. აქვს ღია ყვითელი ან მუქი ყვითელი ფერი, სასიამოვნო არომატი და კარგი ტკბილი გემო. კრისტალდება სწრაფად. ახასიათებს მკვეთრად გამოკვეთილი მიკრობსაწინააღმდეგო მოქმედება. გამოიყენება სასუნთქი გზების დაავადებების სამკურნალოდ, აწყნარებს ნერვულ სისტემას. რეკომენდირებულია თავის ტკივილის, უძილობის, გულისა და კუჭის დაავადებების დროს; წაბლის თაფლი მუქი ფერით, მძაფრი სუნითა და მომწარო გემოთი გამოირჩევა. კრისტალდება ნელა. pH-3,0. ახასიათებს მკვეთრად გამოკვეთილი მიკრობსაწინააღმდეგო მოქმედება.

რეკომენდირებულია კუჭ-ნაწლავის, თირკმლებისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს;

- ხეხილის თაფლი, ახლად გამოწურულ თაფლს აქვს გამჭირვალე ფერი მოყვითალო - მოწითალო ელფერით. დაკრისტალების შემდეგ ღებულობს ღია ყვითელ ფერს. აქვს სასიამოვნო არომატი და ტკბილი გემო. შეიცავს 45% ფრუქტოზას და 31,67% გლუკოზას. ახასიათებს მიკრობსაწინააღმდეგო მოქმედება.

მეტად მისასალმებელია ის ფაქტი, რომ 2014 წლის ბოლოსთვის სოფლის მეურნეობის სამინისტროში ამოქმედდა ლაბორატორია, რომელიც თაფლის შემოწმებას ევროკავშირის სტანდარტების მიხედვით ახდენს. თაფლი ყველაზე რთულად საანალიზო პროდუქტად ითვლება და თუ საქართველოში ეს მოხერხდა, მაშინ ყველა სხვა პროდუქტის ანალიზი და სერთიფიცირებაც შესაძლებელი გახდება. ამ ლაბორატორიამ უკვე გაიარა საერთაშორისო შემოწმება და მას ISO 17025 სერთიფიკატი მიენიჭა. 37 თაფლი მართალია, ფუტკრის ყველაზე ცნობილი პროდუქტია, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ არა ერთადერთი.

ფუტკრის რძე რთული ბიოლოგიური პროდუქტია. ის შეიცავს ცოცხალი ორგანიზმის მშენებლობისთვის საჭირო ყველა ძირითად ნივთიერებას: ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს ვიტამინებს, მინერალურ მარილებს, ჰორმონებს, ფერმენტებს, 22 ამინომჟავას, რის გამოც უძვირფასეს სამკურნალო-პროფილაქტიკურ საშუალებად ითვლება. ჩვეულებრივ პირობებში ერთი სკიდან შესაძლებელია რამდენიმე გრამი ფუტკრის რძის წარმოება, მაგრამ იაპონიაში სელექციური ფუტკრის ჯიშის მეშვეობით 20-30 გრ.-ს მიღებას ახერხებენ. ევროპის ბაზარზე 10 გრ. ფუტკრის რძე 8-25 ევრო ღირს.

ფუტკრის ოჯახზე აქტიური სეზონის განმავლობაში შეიძლება დამზადდეს 2-3 კგ ყვავილის მტვერი, რაც სათაფლე პროდუქტიულობას არ ამცირებს. ის უამრავ ვიტამინს და მიკროელემენტს შეიცავს და მრავალი დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება. მაგალითად, მის შემადგენლობაში შედის ერთ-ერთ ელემენტი, რომელიც სისხლ-წარმოქმნის ბრწყინვალე სტიმულატორია. ევროკავშირში მისი ფასი 15-80 ევრომდე მერყეობს 1 კგ-ზე.

დინდგელი ანუ პროპოლისი ბუნებრივი ანტიბიოტიკია, იყენებენ იმუნიტეტის ასამაღლებლადაც, სურნელოვანი, ბალზამური არომატის მქონე, ძალიან მდგრადი ნივთიერებაა. მისი საწარმოო მასშტაბით შეგროვებას დიდი ხნის ისტორია არ აქვს. საქართველოს პირობებში ფუტკრის ერთ ოჯახზე წარმოებული დინდგელის ოდენობა 50-150 გ-ს შეადგენს. თუმცა უკანასკნელ პერიოდში შეიქმნა მოწყობილობები, რამაც თვალსაჩინოდ გაზარდა დამზადებული დინდგელის რაოდენობა. პროპოლისის ფასი ევროკავშირის ბაზარზე 10-15 ევრომდე მერყეობს 10 გრამზე.

ფუტკრის პროდუქტებიდან ყველაზე ძვირია ფუტკრის შხამი, რომელიც მრავალი სამედიცინო პრეპარატის დასამზადებლად გამოიყენება. ფუტკრის შხამის მცირე დოზები ადამიანის ორგანიზმში აძლიერებს ნივთიერებათა ცვლის პროცესებს, აღადგენს და აძლიერებს სისხლის მიმოქცევას, აფართოებს სისხლძარღვებს, სისხლში ადაბლებს ქოლესტერინს, აყუჩებს ტკივილს, ზრდის საერთო ტონუსს და შრომისუნარიანობას, აუმჯობესებს ძვლის ტვინის მუშაობას. საქართველოში ერთი ფუტკრის ოჯახიდან 2-3 გრ. შხამი იწარმოება თუმცა ამ მაჩვენებლის 10 გრამამდე აყვანაც შესაძლებელია. 1 გრ. ფუტკრის შხამის ფასმა, მისი ხარისხისა და სისუფთავის გათვალისწინებით, შეიძლება 1000 ევროს მიაღწიოს.

მეფუტკრეობას უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება შეუძლია საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის საქმეში. ამ დარგის სპეციფიკა საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ იგი განსაკუთრებით წაადგება ქალთა დასაქმების პრობლემის

გადაწყვეტას, რადგან ფუტკრის მოვლა არ მიეკუთვნება ფიზიკურად მძიმე საქმიანობათა კატეგორიას. თუმცა აუცილებელია, მეფუტკრეობაში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, რაც მეტად ზრდის შრომის ნაყოფიერებას და ამსუბუქებს შრომის პროცესს. მაგალითად, USAID-ის მიერ დაფინანსებული ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ინიციატივა NEO-ს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა მეფუტკრეობის მხარდაჭერა. ამ პროექტის ხელშეწყობით მეფუტკრეებს გრანტის სახით სკები გადაეცემათ.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ. იმნაიშვილი. მეფუტკრეობა როგორც ბიზნესი.
2. ლ. ფუტკარაძე. მეფუტკრეობა, სოფლის მეურნეობის დარგი.
3. http://agrokavkaz.ge/category/dargebi/mefutkreoba
4. https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/meputkreoba/goog_325371883

## შიდა კონტროლის სისტემის სარგებელი საჯარო დაწესებულებებში

***უდესიანი თათია*** *– ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის III კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი* ***სოლოღაშვილი დალი*** *– ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

## The benefits of internal control system in public sector

***Udesiani Tatia*** *– PhD Student, Business Administration, III year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

*Supervisor* ***Sologhashvili Dali*** *– Doctor in Economics, Professor, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

### Abstract

The internal control system is an important leverage for the development of the country. It is possible to ensure targeted and rational spending of the country's budgetary resources, efficiency of processes and activities, economical use of human and time resources through out the internal control system. An effective system of internal control creates a leverage through which the risks in the institution are minimized. e will discuss public finance management reform in Georgia. Its purpose is to ensure effective financial stability and public financing in accordance with government priorities.

The methodological basis of the research is represented by both general scientific and economic research methods. In particular,the methods of functional analysis and synthesis, abstraction, comparison, assessment, systemic and logical approach, economic, normative, economic-mathematical, economic-statistical and other methods.

Aiming at a deep studying of the issue of the research, there also selected and used quantitative research method. In particular, the quantitative research developed an electronic questionnaire, which was sent to the public sector internal and external auditors. It was first time in Georgia, when this kind of approach was used for researching problematic issues in internal audit of public sector. Due to this research, problems were identified and convenient recommendations were developed.

The outcomes of the research are of high importance for our country. The activities of public institutions are directly associated with society, and each step takensuccessfully is aimed at developing the country. To manage and minimize the risks existing in public institutions, internal financial control is a main tool. That is why a study and elimination of problems and deficiencies associated with internal control will functionally strengthen this system that will be positive to the efficient functioning of public institutions. The outcomes of the carrying out research, as well as recommendations developed on its basis will help public institutions in improving the internal financial control system, and subsequently in risk management.

**Keywords:** control, audit, risk, assessment, analysis.

## აბსტრაქტი

საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, რომლისთვისაც უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს ფინანსური რესურსების ეკონომიური, მიზნობრივი, პროდუქტული, ეფექტიანი დაგეგმვა და ხარჯვა. შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა, მსოფლიოში დიდი ხანია აპრობირებულია, თუმცა ჩვენს ქვეყანაში მისი შექმნა / დანერგვა მხოლოდ რამდენიმე წელიწადს ითვლის. გამომდინარე იქედან, რომ შიდა კონტროლის გამართული სისტემის არსებობა, ერთგვარი ინდიკატორია დაწესებულების ეფექტიანად ფუნქციონირების შესაფასებლად და მით უფრო რომ აღნიშნული სფერო განვითარებადია ჩვენს ქვეყანაში, მნიშვნელოვანად მივიჩნიეთ განგვეხილა მასთან დაკავშირებული საკითხები, გვემსჯელა არსებულ პრობლემებზე და დაგვესახა მათი მოგვარების გზები.

შიდა კონტროლი, ეს არის ორგანიზაციის შიდა პროცესი, რომელშიც ჩართულია ხელმძღვანელობა და პერსონალი. მისი მიზანია გადაჭრას და მართოს რისკები და გამოწვევები, ამისათვის დანერგოს შიდა კონტროლის სისტემა და უზრუნველყოს ორგანიზაციის მანდატის შესაბამისად დასახული მიზნების მიღწევა. თავის მხრივ, შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა სახელმწიფო სექტორში უზრუნველყოფს დამოუკიდებელ, ობიექტურ, საჯარო, გამჭვირვალე და პროფესიულ სახელმწიფო შიდა ფინანსურ კონტროლს და მათ შორის, შიდა აუდიტის სისტემის ჩამოყალიბებას. იგი წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური მართვისა და ფინანსური კონტროლის პრინციპების გამჭვირვალობასა და დამოუკიდებლობას სახელმწიფოს ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად.

საქართველოს საჯარო დაწესებულებების შიდა კონტროლის სისტემასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები პირაპირ აისახება ქვეყნის განვითარების დონეზე, რადგან შიდა კონტროლის მექანიზმების დანერგვით, პრობლემური საკითხების ეფექტური და რაციონალური გადაჭრის გზების ძიებით შიდა კონტროლის სისტემა ქმნის სარგებელს, რომელიც ქვეყნის განვითარებისათვის მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს.

საჯარო დაწესებულებებში, შიდა კონტროლის სისტემასთან დაკავშირებული პრობლემების სრულყოფილად შესწავლის მიზნით, ჩავატარეთ კვლევა, რომლის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს წარმოადგენდა, როგორც ზოგადად სამეცნიერო, ასევე ეკონომიკური კვლევის მეთოდები. კერძოდ: ფუნქციონალური ანალიზისა და სინთეზის, აბსტრაქციის, შედარების, შეფასების, სისტემური და ლოგიკური მიდგომების, ეკონომიკური, ნორმატიული, ეკონომიკურ–მათემატიკური, ეკონომიკურ–სტატისტიკური და სხვა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ არსებული პრაქტიკისა და სიღრმისეული ანალიზისთვის გამოვიყენეთ ჩაღრმავებული ინტერვიუები საჯარო დაწესებულებების შიდა აუდიტის სამსახურების / დეპარტამენტების უფროსებთან. აღნიშნულმა საშუალება მოგვცა რეალურად შეგვეფასებინა, დღესდღეობით, ქვეყნის საჯარო სექტორში არსებული მდგომარეობა. კვლევის პროცესში ასევე გამოვიყენეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები, უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის INTOSAI-ის სტანდარტები, საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე შემუშავებული მეთოდოლოგიები, სახელმძღვანელოები და ინსტრუქციები, საქართველოში არსებული საკანონმდებლო, სხვადასხვა არასამთავრობო თუ სახელმწიფო ორგანოების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები და სხვ.

კვლევის შედეგები მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის. საჯარო დაწესებულების საქმიანობა პირდაპირ უკავშირდება საზოგადოებას და შესაბამისად, თითოეული წარმატებული და ინოვაციური ნაბიჯი ქვეყნის განვითარებისკენ არის მიმართული. საჯარო დაწესებულებებში არსებული რისკების სამართავად და მისი მინიმიზაციისათვის კი შიდა ფინანსური კონტროლი უმთავრესი ბერკეტია. სწორედ ამიტომ, შიდა კონტროლთან დაკავშირებული პრობლემებისა და ხარვეზების შესწავლა და მისი აღმოფხვრა, ფუნქციურად გააძლიერებს აღნიშნულ სისტემას, რაც დადებითად აისახება საჯარო დაწესებულებების ფუნქციონირების ეფექტურობაზე. ჩატარებული კვლევითი სამუშაოების შედეგები და მის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები, დაეხმარება საჯარო დაწესებულებს შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის გაუმჯობესებაში და შესაბამისად რისკების მართვაში.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, პროექტის განხორციელებით მიღებული მნიშვნელოვანი შედეგები საინტერესო და გამოყენებადი იქნება ჰარმონიზაციის ცენტრისთვის, რომელიც პასუხისმგებელია ფინანსური მართვისა და კონტროლის და შიდა აუდიტის მეთოდოლოგიისა და სამუშაო სტანდარტების შემუშავებაზე, კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მომზადებაზე, შესაბამისი ტრენინგების მოწყობასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ნაშრომში მიღებული შედეგები და მომზადებული დასკვნები/რეკომენდაციები პრაქტიკული მნიშვნელობის იქნება ასევე საჯარო დაწესებულებების მენეჯმენტისათვის. სისტემაში არსებული პრობლემური საკითხების გადაჭრისათვის შემუშავებული რეკომენდაციები პრაქტიკაში რეალიზაციის მიზნით ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისათვის.

**საკვანძო სიტყვები**: კონტროლი, აუდიტი, რისკი, შეფასება, ანალიზი.

შიდა კონტროლის სისტემა ეს არის დაწესებულების მენეჯერული, ფინანსური და სხვა სახის კონტროლის მექანიზმების სისტემა, რომელიც მოიცავს ორგანიზაციულ სტრუქტურას, მეთოდებს, პროცედურებს, აგრეთვე შიდა აუდიტის ფუნქციას, რომელიც ყალიბდება, რათა დაეხმაროს დაწესებულებას, მიაღწიოს თავის მიზნებს და კანონიერად, გამჭვირვალედ, ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად წარმართოს თავისი საქმიანობა.

იმისათვის, რომ შეგვეფასებინა საქართველოს მასშტაბით შიდა კონტროლის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები, პირველ ეტაპზე მოვახდინეთ რამდენიმე მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების ანალიზი, რადგან შიდა აუდიტი წარმოადგენს შიდა კონტროლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს და მისი განვითარება და ეფექტიანი ფუნქციონირება ძალიან მნიშვნელოვანია საბიუჯეტო დაწესებულებებისათვის.

ანალიზის დროს გამოვლენილი საკითხებიდან, მნიშვნელოვანი იყო ის, რომ რიგ შემთხვევაში დებულებაში გვხვდება ისეთი ჩანაწერი, როგორიცაა მაგალითად: „დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელებისას სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია ჩაატაროს შიდა აუდიტი / ინსპექტირება მერის წარმომადგენლების, მერიის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების, მოსამსახურეთა მიერ სამსახურეობრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებასთან დაკავშირებით მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვის, დისციპლინარული გადაცდომისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ფაქტებზე“[3]. გარდა ამისა, ერთ-ერთ მერიაში შექმნილი იყო მონიტორინგის, შიდა კონტროლის და ინსპექტირების განყოფილება[4] და შესაბამისად, უფლება-მოვალეობები გაიწერა ერთიანად მაშინ, როდესაც შიდა აუდიტი და ინსპექტირება ფუნქციურად სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან და შიდა აუდიტის, როგორც შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის უმნიშვნელოვანესი რგოლის, ეფექტიანი ფუნქციონირება უმნიშვნელოვანესი საკითხია დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევისათვის.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშებში[5] ასახულია ინფორმაცია იმ ხარვეზებზე, რომელიც გამოვლინდა მათ მიერ ჩატარებული აუდიტების ფარგლებში. ამ შემთხვევაში ყუ-

[3] ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 ივლისის N11 დადგენილება „ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“, მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი;

[4] მაგ.: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბერის N13 დადგენილება „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია - მონიტორინგის, შიდა კონტროლის და ინსპექტირების განყოფილება;

[5] „მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯვასა და შესრულებასთან დაკავშირებით 2014-2015 წლებში განხორციელებული აუდიტების შესახებ“;

რადღებას გავამახვილებთ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში გამოვლენილი ხარვეზებზე (2011-2015წწ.), რომლებიც არსებული მონაცემებით ეხება შემდეგ საკითხებს:

- საბიუჯეტო თანხები გადარიცხულია სრულყოფილი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე;
- დაუსაბუთებლად გაზრდილია სამუშაოთა მოცულობები და ერთეულის ღირებულებები. ანაზღაურებულია შეუსრულებელი სამუშაოები;
- სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოყენებულია სუსტი კონტროლის მექანიზმები;
- სამუშაოს შესრულების ვადებში ცვლილებები შეტანილია სათანადო დასაბუთების გარეშე, რის გამოც არ არის გამოყენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები;
- ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებელია.

ჩვენი შეფასებით, ზემოაღნიშნული ხარვეზები პირდაპირ მიუთითებს შიდა ფინანსური კონტროლის სისუსტეზე ორგანიზაციებში. პირველ ეტაპზე, თუკი საკითხს განვიხილავთ შიდა აუდიტის ფუნქციონირების კუთხით და დავეყრდნობით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებას, რომ აღნიშნული ხარვეზები შიდა აუდიტორულ ანგარიშებში არ გვხვდება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორგანიზაციაში შიდა აუდიტის ფუნქციონირება არაეფექტიანია, რადგან იგი ვერ აღწევს მის მიერ დასახულ მიზნებსა და ამოცანებს. კერძოდ:

1. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საკითხები, მით უფრო მაშინ, როდესაც ორგანიზაციაში არ არსებობს ეფექტური და ადეკვატური კონტროლის სისტემები, მაღალი რისკის მატარებელია. თუკი, შიდა აუდიტი მოახდენდა რისკის ანალიზს, მაშინ, სახელმწიფო შესყიდვების პროცესი უნდა შეფასებულიყო ერთ-ერთ მაღალი რისკის მქონე პროცესად, რადგან იგი თავის მხრივ დაკავშირებულია ისეთ რისკებთან, როგორიცაა, საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი, არარაციონალური და არაეკონომიური ხარჯვა, კონკურენციის შეზღუდვა, სამართლებრივი დავის შესაძლებლობა და სხვ.
2. თუკი განვიხილავთ იმ შემთხვევას, რომ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული პროცესები მოხვდა აუდიტორული შემოწმების ფარგლებში, მაშინ საკითხი სხვაგვარად დგას - ზემოაღნიშნული ხარვეზების გათვალისწინებით, შიდა აუდიტორული შემოწმება ჩატარდა ადეკვატური რისკის ანალიზის გარეშე. მნიშვნელოვანია ის, თუ რატომ ვაძლევთ ასეთ შეფასებას აღნიშნულ საკითხს. მიზეზები შემდეგია:

➢ აუდიტის ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების პროცესის შესწავლა მოიცავს შესყიდვების დაგეგმვიდან - ანგარიშსწორებამდე ყველა საკითხს. იგი საკმაოდ ვრცელი პროცესია და სერიოზული რისკების შემცველი ქვეპროცესებით ხასიათდება. როგორიცაა მაგალითად:

- შესყიდვების დაგეგმვის წესების / პროცედურების არ არსებობა, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია არაეფექტურ დაგეგმვასთან, მონეტარული ზღვრების დარღვევის რისკებთან და სხვ;
- ბაზრის კვლევის არაეფექტური სისტემა, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია ფინანსური რესურსის არაეკონომიურ და არარაციონალურ ხარჯვის რისკთან და სხვ;

- ხელშეკრულების შესრულების არაეფექტური კონტროლის სისტემა, რაც დაკავშირებულია ფინანსური რესურსის არარაციონალურ და არამიზნობრივი ხარჯვის რისკთან და სხვ.

აუდიტის განხორციელებისას ხდება თითოეული ეტაპის გავლა შესაბამისი მტკიცებულებების შესწავლა-ანალიზით. იმ შემთხვევაში თუკი, მოხდებოდა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული პროცესის შესწავლა, გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში განხორციელებული ანგარიშსწორების საკითხების გავლა შესაბამისი საფუძვლებით, აუცილებლად უნდა მომხდარიყო, აღნიშნული საკითხების აუდიტორულ ანგარიშში ასახვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

➢ რაც შეეხება დაუსაბუთებლად გაზრდილ სამუშაოთა მოცულობებს და ერთეულის ღირებულებებს, აღნიშნული პრობლემაც აღმოჩენითია მას შემდეგ, რაც მოხდება თითოეული ხელშეკრულების ცვლილებების საფუძვლების შესწავლა-ანალიზი. თუმცა, გარდა იმ მნიშვნელოვანი პრობლემისა, რასაც საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი და არარაციონალური ხარჯვა ჰქვია, არსებობს შიდა კონტროლთან დაკავშირებული პრობლემა, რომელიც ასევე შიდა აუდიტორული შემოწმებისას უნდა შესწავლილიყო. არსებული საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს და იმ მიზეზების ძიებას, თუ რამ განაპირობა არსებული ხარვეზი. შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა არ არის მხოლოდ შიდა აუდიტი, ამ სისტემაში ძირითადი როლი მენეჯერულ რგოლს აკისრია, შესაბამისად, არსებული პრობლემის ანალიზი შესაძლებელს გახდიდა ნათლად წარმოჩენილიყო ის ხარვეზები, რაც შიდა ფინანსური კონტროლის სისუსტესთან ან არ არსებობასთან იქნებოდა დაკავშირებული. კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც შიდა აუდიტორული შემოწმების დროს უნდა შეფასებულიყო არის კორუფციისა და თაღლითობის რისკები, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმ საკითხსაც, რომ „ანაზღაურებულია შეუსრულებელი სამუშაოები“.

➢ სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოყენებულ სუსტი კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ხარვეზების იდენტიფიცირება შესაძლებელია მას შემდეგ, რაც შიდა აუდიტორთა მიერ მოხდება თითოეული სახელმწიფო შესყიდვის დაგეგმვის საფუძვლების და განხორციელების ეტაპების შესწავლა / ანალიზი. მნიშნელოვანია ისიც, რომ პროცესების ადეკვატურად შეფასების მიზნით, შიდა აუდიტორები იყენებენ სხვადასხვა მეთოდებს, ინტერვიუ / გამოკითხვა, დაკვირვება და სხვ. აღნიშნული მეთოდები საშუალებას იძლევა სწორად შეფასდეს არსებული პრობლემა და მისი გამომწვევი მიზეზები.

➢ რაც შეეხება სამუშაოს შესრულების ვადებში ცვლილებების შეტანა სათანადო დასაბუთების გარეშე, მიუთითებს ორგანიზაციაში არსებულ რისკებზე, მით უფრო, რომ არ არის გამოყენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი რისკებისა, გასათავლისწინებელია ისიც, რომ შესწავლა / ანალიზი უნდა გაკეთდეს კორუფციისა და თაღლითობის კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულის დადასტურება საკმაოდ რთულ საკითხს წარმოადგენს, ორგანიზაციის მენეჯმენტი უნდა იყოს ინფორმირებული მსგავსი რისკების შესახებ, რათა დროულად მოხდეს კონტროლის მექანიზმების დანერგვით / გაუმჯობესებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და რისკების მინიმუმამდე შემცირება.

➢ კიდევ ერთი გაურკვეველი საკითხი, რომელიც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, ეს არის ჩანაწერი: „ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებელია“. აღნიშნული უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რადგან ხდება საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი განკარგვა. გარდა მტკიცებულებებისა, რომელიც ხელშეკრულებების

შესრულების დამადასტურებლად შესაძლოა იქნეს მიღებული, მნიშვნელოვანია აუდიტორთა მიერ მოხდეს ფაქტობრივად მიღებული საქონლის / მომსახურების შემოწმება. აღნიშნული შესაძლებელს გახდის შეფასდეს მიღებული შედეგების რეალური მდგომარეობა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შესყიდვების მართვის პროცესის არსებული დარღვევების შეფასებამ ჯამში შეადგინა 134 332.7 ათასი ლარი (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1

შესყიდვების მართვის პროცესში არსებული დარღვევები (ათასი ლარი)




**წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2016 წლის საქმიანობის ანგარიში**

საინტერესო სურათს მივიღებთ, თუკი შევხედავთ 2016 წლის ანგარიშში მოცემულ ინფორმაციას მუნიციპალიტეტებში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარების მიმართულებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული 16 აუდიტის ფარგლებში გამოვლინდა, რომ სახელმწიფო შესყიდვების პროცესში გამოვლენილი დარღვევების თანხობრივმა მაჩვენებელმა შეადგინა 28,727,500 ლარი, კერძოდ, 72% მოდის შესყიდვების მართვაში არსებული ხარვეზების შედეგად საბიუჯეტო რესურსების არამიზნობრივ განკარგვაზე, 20% - შესყიდვების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების შედეგად რესურსების არაეფექტიან განკარგვაზე, ხოლო 8% საბიუჯეტო რესურსების არამიზნობრივ განკარგვაზე (იხ დიაგრამა 2).

დიაგრამა 2

სახელმწიფო შესყიდვების პროცესში გამოვლენილი დარღვევების პროცენტული განაწილება




**წყარო: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2016 წლის საქმიანობის ანგარიში**

ყოველივე ზემოაღნიშნული შესაძლოა განვიხილოთ იმ სარგებლად, რომლის მოტანაც შეუძლია ეფექტიან შიდა კონტროლის სისტემის არსებობას. ხარვეზების მინიმუმამდე შემცირება

განაპირობებს იმ რისკების შემცირებას, როგორიცაა საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი, არარაციონალური და არაეკონომიური ხარჯვა, კონკურენციის შეზღუდვა, კორუფცია, რესურსების არასწორი განკარგვა და სხვ. არსებული მდოგმარეობის გაუმჯობესებისთვის კი მიზანშეწონილია დროული. თანმიმდევრული და ეფექტური ქმედითი ნაბიჯების გადადგმა თითოეული საჯარო დაწესებულების მიერ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს კანონი „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
2. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 მარტის N512 განკარგულება „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“;
3. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის N1015 განკარგულება „შიდა აუდიტის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“;
4. საქართველოს მთავრობის მიერ 2017 წლის 21 მარტს დამტკიცებული N133 დადგენილება „ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
5. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის „მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯვასა და შესრულებასთან დაკავშირებით 2014-2015 წლებში განხორციელებული აუდიტების შესახებ“;
6. „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2016 წლის საქმიანობის ანგარიში“;
7. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
8. სახელმწიფო აუდიტის შესაბამისობის, ფინანსური და ეფექტიანობის აუდიტების ანგარიშები;
9. საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020, 2015 წელი;
10. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბერის N644 ბრძანება „სახელმწიფო სექტორში რისკის მართვის სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე“;
11. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა საქართველოში, 2017;
12. The Committee of Sponsoring organizations of the Tread way Commission, COSO IC – Internal COntrol – Integrated Framework 2013;
13. The Committee of Sponsoring organizations of the Tread way Commission, COSO ERM – Enterprise Risk Management, 2004;
14. The International Organization of Supreme Audit Institutions (INTOSAI), GOV 9100-Guidelines for Internal COntrol Standarts for the Public Sector, 2004;
15. http://procurement.gov.ge/;
16. https://sao.ge/.

# სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ანალიზი

***უდესიანი ხატია*** *– ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის II კურსის სტუდენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი* ***ხარაიშვილი ეთერი*** *– პროფესორი, მიკროეკონომიკის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო*

# Analysis of socio-economic problems related to food safety

***Udesiani Khatia*** *– Master's Student, Economics, II year, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia*

*Supervisor* ***Kharaishvili Eteri*** *– Professor, Department of Microeconomics, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia*

## Abstract

Food security is the essential and most important precondition for sustainable development of the economy. Food security is a part of the country's economic security, and therefore, this issue is not only an area or concern for a particular sector or market, but a state prerogative that strictly regulates international standards.

The topic's actuality is due to the importance and quality of the problems that are present in the reality of the region in terms of food security. The goal of the research is to identify sustainable development opportunities for economics based on analyzing socioeconomic problems related to food security, as well as identifying the priorities and trends that will facilitate self-sustainability of the country's food. Consequently, food security is an important precondition for sustainable development of the region's economy.

Food safety regulation is the basis of the economic and political security of the country, so the state needs to take care of this issue for a politically and economically independent country. The main criterion of food safety is to provide safe food products for the population, and on the other hand self-sustainability index, which means that the country's food needs are satisfied with the utilization of maximum resources of local resources.

Theoretical and methodological basis of research is the basic provisions of contemporary economic theory, government orders and concepts, legislative and normative acts, reports of the ministries and strategic documents, international organization studies, Georgian and foreign literature, Scientific papers, publications, publications, etc.

The utilization and utilization of agricultural potential of Georgia is of vital importance for the country's economy. That's why the first guarantee of positive results is clearly defined, developing agrarian policy towards competitive production and promoting financial resources in this sector of economy. It is especially important to solve the issue of food safety and food safety.

Based on the principles of sustainable development, the strategic vision of agriculture should provide for the creation of an environment that will contribute to the growth of competitiveness in the agricultural sector, stable growth of high quality products, and most importantly, food safety and food safety.

Food is one of the main factors in wealth and well-being of people. Sustainable food provision generates economic wealth that people use in health care, education, infrastructural development and environmental issues.

In order to ensure sustainable development and progress of Georgia, it is necessary to conform to Georgian legislation and regulations in compliance with international standards, in terms of food safety. Overcoming the problem of food safety is a huge step forward in Georgia's development and its positive effects will be much larger than creating a safe environment for Georgian people.

The achievement of food safety in Georgia is possible in economic growth. Under economic growth, it is necessary to pay attention to the country's involvement in international trade relations. In addition, international regulations that harm the safety and security of food should be one of the priority objectives of the country's food policy.

Active involvement of the public is essential for achieving food safety. The state, the private and non-governmental sector must cooperate in an effort to improve the situation, as food safety is of a state of importance. It ensures the involvement of the country in international relations, which is one of the main preconditions for economic security and sustainable development of the country.

**Keywords:** Food, Safety, Economic development, Social problems.

## აბსტრაქტი

სასურსათო უსაფრთხოება წარმოადგენს ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელ და უმნიშვნელოვანეს წინაპირობას. სასურსათო უსაფრთხოება ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ნაწილია, აქედან გამომდინარე, ეს საკითხი არა მხოლოდ რომელიმე დარგის ან ბაზრის განსახილველი და საზრუნავია, არამედ სახელმწიფოს პრეროგატივაა, რომელსაც მკაცრად არეგულირებს საერთაშორისო სტანდარტები.

თემის აქტუალურობა განპირობებულია იმ პრობლემების მნიშვნელობითა და ხარისხით რაც დღესდღეობით არსებობს რეგიონის რეალობაში, სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით. კვლევის მიზანია სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ანა-

ლიზის საფუძველზე ეკონომიკის მდგრადი განვითარების შესაძლებლობების განსაზღვრა, ასევე იმ პრიორიტეტებისა და მიმართულებების გამოვლენა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის სურსათით თვით-უზრუნველყოფის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, სასურსათო უსაფრთხოება მნიშვნელოვანი წინაპირობაა რეგიონის ეკონომიკის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის თვალსაზრისით.

სასურსათო უსაფრთხოების რეგულირება არის ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრ-თხოების საფუძველი, ამდენად სახელმწიფოს მიერ ამ საკითხზე ზრუნვა აუცილებელია პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი ქვეყნისათვის. სასურსათო უსაფრთხოების მთავარი კრიტერიუმი მოსახლეობისათვის უსაფრთხო საკვები პროდუქტით უზრუნველყოფაა, ხოლო მეორე მხრივ სურსათით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელია, რომელიც გულისხმობს ქვეყნის მოსახლეობის სურსათით მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენე-ბის ხარჯზე.

კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს სასურსათო უსაფრთხოების საკითხებზე თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ძირითადი დებულებები, მთავრობის განკარგულე-ბები და კონცეფციები, საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, საქართველოს სამინისტროების ანგარი-შები და სტრატეგიული დოკუმენტები, საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევები, ქართული და უცხოური ლიტერატურა, მათ შორის სამეცნიერო ნაშრომები, პუბლიკაციები, გამოცემები და ა.შ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და მიზნობრივი გამოყენება ქვეყნის ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ, დადებითი შე-დეგის მიღწევის უპირველესი გარანტიაა მკაფიოდ განსაზღვრული, კონკურენტუნარიანი წარმოებისკენ მიმართული აგრარული პოლიტიკის შემუშავება და ეკონომიკის ამ სექტორში ფინანსური რესურსების მოზიდვის ხელშეწყობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის საკითხის მოგვარება.

სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული ხედვა, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, უნდა ითვალისწინებდეს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს აგროსასურსა-თო სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბი-ლურ ზრდას და რაც მთავარია, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და სურსათის უვნებლო-ბას.

სურსათით უზრუნველყოფა ადამიანების სიმდიდრისა და კეთილდღეობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. მდგრადი სასურსათო უზრუნველყოფა ქმნის ეკონომიკურ სიმდიდრეს, რომელსაც ადამიანები იყენებენ ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, ინფრასტრუქტურული განვითარებისა და გარემოს დაცვის საკითხებში.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს საქართველოს მდგრადი განვითარება და პროგრესი, აუცილებელია, საქართველოს კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისობია საერთაშორისო სტანდარტებთან, სურსათის უვნებლობის თვალსაზრისით. სურსათის უვნებლობის პრობლემის დაძლევა უზარმაზარი წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოს განვითრების საკითხში და მისი დადებითი ეფექტები ბევრად მასშტაბური იქნება, ვიდრე ქართველი ადამიანებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.

სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა საქართველოში ეკონომიკური ზრდის პირობებშია შესაძლე-ბელი. ეკონომიკური ზრდის პირობებში აუცილებელია ყურადღება დაეთმოს ქვეყნის ჩართულობას საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში. ამასთანავე, საერთაშორისო რეგულაციები, რომლებიც სასურ-სათო უვნებლობისა და უსაფრთხოების ჰარმონიზაციას შეეხება ქვეყნის სასურსათო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს.

საზოგადოების აქტიური ჩართულობა სასურსათო უსაფრთხოების მიღწევაში აუცილებელია. სახელმწიფომ, კერძო და არასამთავრობო სექტორმა კოორდინირებულად უნდა ითანამშრომლონ მდგომა-რეობის გაუმჯობესების მცდელობით, რადგან სასურსათო უსაფრთხოება თავისი არსით სახელმწიფოებ-რივ მნიშვნელობას იძენს. მისი უზრუნველყოფა ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობებში ჩართულობას უზრუნველყოფს, რაც ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

**საკვანძო სიტყვები**: სურსათი, უსაფრთხოება, ეკონომიკური განვითარება, სოციალური პრობლემები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და მიზნობრივი გამოყენება ქვეყნის ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ, დადებითი შედეგის მიღწევის უპირველესი გარანტიაა მკაფიოდ განსაზღვრული, კონკურენტუნარიანი წარმოებისკენ მიმართული აგრარული პოლიტიკის შემუშავება და ეკონომიკის ამ სექტორში ფინანსური რესურსების მოზიდვის ხელშეწყობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის საკითხის მოგვარება.

ეკონომიკის ტრანსფორმაციის მიუხედავად, ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ მწვავედ დგას სიღარიბის, მათ შორის, მოსახელობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემა. აქედან გამომდინარე, უახლოესი წლების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის განვითარების იმგვარი მოდელის შემუშავება, რომელიც მოსახლეობას ხელმისაწვდომი და ხარისხიანი სურსათით დააკმაყოფილებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული ხედვა, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, უნდა ითვალისწინებდეს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას და რაც მთავარია, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და სურსათის უვნებლობას.

სასურსათო უსაფრთხოების რეგულირება არის ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების საფუძველი, ამდენად სახელმწიფოს მიერ ამ საკითხზე ზრუნვა აუცილებელია პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი ქვეყნისათვის. სასურსათო უსაფრთხოების მთავარი კრიტერიუმი მოსახლეობისათვის უსაფრთხო საკვები პროდუქტით უზრუნველყოფაა, ხოლო მეორე მხრივ სურსათით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელია, რომელიც გულისხმობს ქვეყნის მოსახლეობის სურსათით მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენების ხარჯზე.

სასურსათო უსაფრთხოება წარმოადგენს ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელ და უმნიშვნელოვანეს წინაპირობას. სასურსათო უსაფრთხოება ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ნაწილია, აქედან გამომდინარე, ეს საკითხი არა მხოლოდ რომელიმე დარგის ან ბაზრის განსახილველი და საზრუნავია, არამედ სახელმწიფოს პრეროგატივაა, რომელსაც მკაცრად არეგულირებს საერთაშორისო სტანდარტები. სახელმწიფო კი მუდმივად უნდა ზრუნავდეს და ავითარებდეს სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს, წარმოებისა და რეალიზაციის ყველა ეტაპზე. ქვეყნის ეკონომიკა და მისი შესაბამისი ინსტიტუტები უნდა იყოს უნარიანი უზრუნველყოს ქვეყანაში ეკოლოგიურად სუფთა, უვნებელი სურსათის სტაბილური საკმარისობა და ხელმისაწვდომობა, იმპორტისაგან დამოუკიდებლობისა და თვითუზრუნველყოფის გარკვეულ დონეზე.

ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის ერთ-ერთი საბაზისო ფაქტორი სასურსათო უსაფრთხოებაა, რომელიც გულისხმობს ისეთი პირობების შექმნას, როდესაც ყოველ ადამიანს, აქტიური და ჯანმრთელი ცხოვრებისათვის საჭირო სასურსათო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ნებისმიერ დროს ფიზიკურად და ეკონომიკურად საკმარისი რაოდენობის უვნებელ და სრულფასოვან სურსათზე მიუწვდება ხელი. ეროვნულ დონეზე სასურსათო უსა-

ფრთხოების ძირითადი ასპექტებია - რაოდენობრივი უზრუნველყოფა და ხელმისაწვდომობა, ამ შემთხვევაში რაოდენობრივი უზრუნველყოფა გულისხმობს სახელმწიფოს მუდმივ მზადყოფნას, შეინარჩუნოს საკუთარი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მინიმალური დონე. ეკონომიკის მდგრადი განვითარება პირდაპირპროპორციულადაა დაკავშირებული სურსათით ქვეყნის თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლებასთან, სასურსათო ბაზრის სტაბილურობის შენარჩუნებასთან, საექსპორტო და საიმპორტო ბაზრების დივერსიფიკაციასთან; ასევე სახელმწიფოს მზადყოფნასთან საგანგებო ან კრიზისული სიტუაციების დროს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან.

სურსათის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების თვალსაზრისით. სასურსათო უზრუნველყოფა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. ამ დარგის განვითარება კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი განვითრებადი ქვეყნებისთვისაა, როგორიც საქართველოა. საქართველოში აგროსასურსათო პროდუქტების იმპორტი 3.5-ჯერ და მეტად აღემატება ექსპორტს. დადებითი სავაჭრო სალდოს შექმნით მნიშვნელოვნად გაიზრდება მშპ. გამოვლენილია, რომ მშპ-შისოფლის მეურნეობის დარგის ეკონომიკური ზრდა გაცილებით მეტად ამცირებს სიღარიბეს, ვიდრე სხვა დარგის ზრდა .

ეკონომიკის მდგრადი განვითრებისათვის აუცილებელია, რომ სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი მოიცავდეს სრული კვებითი ჯაჭვის, პირველადი წარმოებიდან საბოლოო მომხმარებლამდე, ე.წ. „ფერმიდან-სუფრამდე“ კონტროლს და ვრცელდებოდეს წარმოების, მათ შორის პირველადი წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე. იგი უნდა ითვალისწინებდეს სურსათის არა მხოლოდ შესაძლო მყისიერ, ხანმოკლე ან გრძელვადიან გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე, არამედ მის ეფექტს მომდევნო თაობებზე. წინა წლებში არსებულმა არასრულყოფილმა საკანონმდებლო ბაზამ, ადამიანური და ტექნიკური რესურსების ნაკლებობამ, სახელმწიფო კონტროლის არასაკმარისმა საბიუჯეტო პროგრამულმა დაფინანსებამ განაპირობა სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის არაეფექტიანობა. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ასევე, მომხმარებელთა ინტერესების დაცვა და რისკების შეფასება შემდეგი მექანიზმებით: გეგმური და არაგეგმური ინსპექტირება, ზედამხედველობა, მონიტორინგი, ნიმუშის აღება, დოკუმენტური შემოწმება. აღნიშნულიდან გამომდინარე სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრში ჩამოყალიბდა რისკის შეფასების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს დამოუკიდებელ, მეცნიერულად დასაბუთებულ მონაცემებზე დაფუძნებულ რისკის შეფასებას, რომელიც რეკომენდაციებს აწვდის მაკონტროლებელ და რისკის მართვაზე პასუხისმგებელ სტრუქტურებს.

ეკონომიკის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით სასურსათო უსაფრთხოების კონტექსტში, 2015-2020 წლებში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, გაიზრდება სურსათის ლაბორატორიული კვლევის შესაძლებლობები, დაინერგება კვლევის საერთაშორისო მეთოდები, ყოველწლიურად საფრთხეების ადეკვატურად მოხდება ასაღები ნიმუშების რაოდენობის, სურსათის სახეობებისა და საკვლევი პარამეტრების შერჩევა, რაც უზრუნველყოფს სამომხმარებლო ბაზრის დაცვას და პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობას; დაიხვეწა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში რისკის ანალიზში მონაწილე ინსტიტუციებს შორის (სურსათის ეროვნული სააგენტო, შემოსავლების სამსახური, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახური) ურთიერთთანამშრომლობისა და მონაცემთა მიმოცვლის მექანიზმები; სსიპ სურ-

სათის ეროვნულ სააგენტოში ჩამოყალიბდება უწყვეტი ტრენინგებისა და სწავლებების სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს უფლებამოსილი პირების ცოდნისა და კომპეტენციის ამაღლებას.

ვინაიდან შეუძლებელია ეკონომიკის მდგრადი განვითრება სურსათის უვნებლობის გარეშე, ამიტომ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან დიდი ყურადღება დაეთმოს როგორც სასურსათო უსაფრთხოების ანალიზისა და მონიტორინგის ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე ეკონომიკური განვითარების ღონისძიებებს, ინსტიტუციური მოწყობის სრულყოფას, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ეფექტიან ფუნქციონირებას, ფერმერთა გადამზადებას საბაზრო ურთიერთობების მოთხოვნების შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინტეგრირებულ განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, სტატისტიკური აღრიცხვიანობის გაუმჯობესებასა და საბაზრო საინფორმაციო სისტემის შექმნას.

საქართველოში სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრისათვის, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ეკონომიკის მდგრად განვითარებასთან, აუცილებელია სისტემური მიდგომა, რომელიც გულისხმობს ყველა ანგარიშვალდებული ორგანოს ერთობლივ, სინქრონულ ღონისძიებებს.

- აუცილებელია საბოლოოდ გადაიჭრას გარე ვაჭრობის პრობლემა, ადმინისტრაციული ზომების გამკაცრების გზით, რომელიც გაამარტივებს კონტროლსა და მონიტორინგს;
- მნიშვნელოვანია სურსათის უვნებლობის კუთხით მეწარმეთა და მომხმარებელთა განათლების პრობლემის გადაჭრა ტრენინგებითა და სხვა საშუალებებით. ამ შემთხვევაშიც უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და იმ სტანდარტებით მოქმედება, რომელიც გამოცდილია არაერთ წარმატებულ ევროპულ ქვეყანაში. განათლების დონის ზრდა სასურსათო უსაფრთხოებისა და ზოგადად, აგრარულ სფეროში პირდაპირპროპორციულად აისახება როგორც მწარმოებლურბასა და ხარისხზე, ასევე სასურსათო უვნებლობასა და ეკონომიკურ მდგრადობაზე;
- შიდა აუდიტმა უნდა უზრუნველყოს სურსათის უვნებლობის რეგულირების სფეროში ჩართული საჯარო უწყებების ეფექტიანობის შეფასება. შიდა აუდიტის როლის ზრდა გაზრდის ანგარიშვალდებული ორგანიზაციების მუშაობის ხარისხსა და პასუხისმგებლობას;
- აუცილებელია სურსათით გამოწვეული დაავადებების მონიტორინგი და პრევენციული ღონისძიებების შემუშავება. ასევე, მწარმოებელთა და მომხმარებელთა ინფორმირებულობა აუცილებელი ფაქტორია დაავადებების თავიდან აცილებისათვის, და/ან მასთან ბრძოლისათვის;
- გადასაჭრელია ლაბორატორიებთან დაკავშირებული საკითხები. ლაბორატორიები კი, უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს;
- მნიშვნელოვანია ელექტრონული მონაცემთა ბაზების არსებობა, სადაც თავმოყრილი იქნება ძირითადი ინფორმაციები სურსათის უვნებლობის საკითხთან დაკავშირებით;
- კორუფციასთან დაკავშირებული რისკების განეიტრალება. კორუფცია ყველა სფეროში უდიდეს უარყოფით გავლენას ახდენს, მითუმეტეს მაშინ, როდესაც საკითხი სასურსათო უსაფრთხოებას ეხება. კორუფციის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური კი განვითარებად ქვეყნებშია. კორუფციის თავიდან აცილებისათვის საჭიროა მკაცრი კონტროლი;
- კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და საზოგადოებასთან ურთიერთობის გაღრმავება.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს საქართველოს მდგრადი განვითარება და პროგრესი, აუცილებელია, საქართველოს კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისობია საერთაშორისო სტანდარტებთან, სურსათის უვნებლობის თვალსაზრისით. სურსათის უვნებლობის პრობლემის დაძლევა უზარმაზარი წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოს განვითარების საკითხში და მისი დადებითი ეფექტები ზევრად მასშტაბური იქნება, ვიდრე ქართველი ადამიანებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.

სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა საქართველოში ეკონომიკური ზრდის პირობებშია შესაძლებელი. ეკონომიკური ზრდის პირობებში აუცილებელია ყურადღება დაეთმოს ქვეყნის ჩართულობას საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში. ამასთანავე, საერთაშორისო რეგულაციები, რომლებიც სასურსათო უვნებლობისა და უსაფრთხოების ჰარმონიზაციას შეეხება ქვეყნის სასურსათო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს.

საზოგადოების აქტიური ჩართულობა სასურსათო უსაფრთხოების მიღწევაში აუცილებელია. სახელმწიფომ, კერძო და არასამთავრობო სექტორმა კოორდინირებულად უნდა ითანამშრომლონ მდგომარეობის გაუმჯობესების მცდელობით, რადგან სასურსათო უსაფრთხოება თავისი არსით სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იძენს. მისი უზრუნველყოფა კი ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობებში ჩართულობას უზრუნველყოფს, რაც ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო რეგულირება: საქართველოს ხელისუფლების მიერ 2015 წელს გაწეული საქმიანობის შეფასება, ევროპის ფონდი, 2016;
2. საქართველოს კანონი სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ, 2005 ;
3. საქართველოსკანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვი კოდექსი“, მუხლი 76, პ. 4.;
4. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ., გვ. 34;
5. Draft EA Report of the Pre-evaluation of LEPL National Body of Accreditation – Accreditation Center GAC, 22.2.2016;
6. ISO/IEC 17011, Conformity Assessment – General Requirements for Accreditation Bodies Accrediting Conformity Assessment Bodies;
7. Kharaishvili E., Challenges for sustainable food security in Georgia, XV EAAE Congress in Parma: Towards Sustainable Agri-Food Systems: Balancing between Markets and Society, 2017;

## კრეატიული ქალაქი: შემოქმედებითი ინდუსტრია და ქალაქის განვითარება

***ფურცელაძე თეონა*** *– ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

***საყვარელიძე ბექა*** *– ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი* ***ახვლედიანი მაია*** *– ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

## Creative city: creative industry and city development

***Purtseladze Teona*** *– Bachelor's Student, Business Administration, II year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

***Sakvarelidze Beka*** *– Bachelor's Student, Business Administration, II year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

*Supervisor **Akhvlediani Maia** – Associate Professor, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

**Abstract**

The article is dedicated to analyze the instrument of formation creative industry as a creative city and innovative environment. The object of research is the concept of "creative city", which was founded in the 70s of the last century by the British cult philosopher Charles Lander, also the modern market of the creative industry, which is actively developing in many countries of the world. The work is aimed to analyze the theory and practice of the "creative city" and "creative industry" phenomenon. There were used methods of collecting and analyzing information, results of primary marketing research from scientific articles, publications and periodic editions in the process of working on the paper. As a result of the research the characteristic features of creative industry development was detected in the region of Georgia and abroad. The authors concluded that multilateral support from the state is essential for successful development of creative industry. For example: development of creative industry maps, forming statistics, creation of a special structure of creative industry work, etc.

**Keywords**: innovation, creative economy, creative city, creative class

**აბსტრაქტი**

სტატია ეძღვნება შემოქმედებითი ინდუსტრიის როგორც კრეატიული ქალაქის და ინოვაციური გარემოს შექმნის ინსტრუმენტის ანალიზს. კვლევის ობიექტია შემოთავაზებული "შემოქმედებითი ქალაქის" კონცეფცია, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა გასული საუკუნის 70-იან წლებში ბრიტანელი კულტუროლოგის ჩარლზ ლანდრის მიერ, ასევე შემოქმედებითი ინდუსტრიის თანამედროვე ბაზარი, რომელიც აქტიურად ვითარდება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ნაშრომი მიზნად ისახავს "კრეატიული ქალაქისა" და "შემოქმედებითი ინდუსტრიის" ფენომენის თეორიისა და პრაქტიკის გაანალიზებას. ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოყენებული იქნა სამეცნიერო სტატიებიდან, პუბლიკაციებიდან, პერიოდული გამოცემებიდან ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის მეთოდები და პირველადი მარკეტინგული კვლევის შედეგები. კვლევის შედეგად გამოვლენილი იქნა ის თავისებურებები რაც დამახასიათებელია საზღვარგარეთ და საქართველოში შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარებისათვის. ავტორები დასკვნის სახით წერენ, რომ შემოქმედებითი ინდუსტრიის წარმატებული განვითარებისთვის აუცილებელია სახელმწიფოსაგან მრავალმხრივი მხარდაჭერა. მაგალითად, როგორიცაა შემოქმედებითი ინდუსტრიის რუკების შექმნა, სტატისტიკის ფორმირება, შემოქმედებითი ინდუსტრიის მუშაობის სპეციალური სტრუქტურის ჩამოყალიბება და მრავალი სხვა.

**საკვანძო სიტყვები**: ინოვაცია, კრეატიული ქალაქი, შემოქმედებიტი ინდუსტრია, ქალაქის განვითარება

“კულტურული ინდუსტრიის“ ცნება პირველად შემოღებული იქნა დიდ ბრიტანეთში, ლონდონის საბჭოს მიერ (Great London Council). ამ ცნების ქვეშ მოიაზრებოდა პირველ რიგში კულტურული შემოქმედების ის სახეობები, რომლებიც არ საჭიროებდნენ დაფინანსებას, იყვნენ კომერციულები და ხელს უწყობდნენ მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას. შემდეგ ყველა სახის კულტურული ღონისძიებები (როგორც კომერციული და არაკომერციული), რომლებიც მიზნად ისახავდნენ კულტურული პროდუქტის წარმოებას და მომსახურების გაწევას. შესაბამისად ეს ყველაფერი დაკავშირებული იყო პროდუქტების მასობრივ მოხმარებასთან.

დროთა განმავლობაში, კულტურისადმი დამოკიდებულება და მიდგომები შეიცვა. გასული საუკუნის 80-იან წლებში “კულტურულ ინდუსტრიის“ ცნების ნაცვლად დამკვიდრდა “შემოქმედებითი ინდუსტრიის“ ცნება. მას საფუძვლად დაედო ტექნოლოგიური წარმოების განვითარება. 1998 წელს კი ბრიტანეთის მთავრობის სპორტისა და კულტურის დეპარტამენტმა “კრეატიული ინდუსტრიის“- ტერმინი შემოიღო და ის გულისხმობდა ადამიანთა მოღვაწეობას, რომელსაც საფუძვლად უდევს ინდივიდუალური შემოქმედება, უნარი და ნიჭი.

ამ ინდუსტრიის განვითარების ფონზე სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებმა დაიწყეს შეფასება იმისა, თუ რა წვლილი მიუძღვის მას ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ კეთილდღეობაში. კულტურის ეკონომიკის კლასიკოსების ნაშრომებიდან ჩვენ ვგებულობთ რომ კულტურულ სიმდიდრეს ხშირად არ აქვს ფულადი განზომილება, მაგრამ წარმოადგენენ საზოგადოებისთვის არამატერიალურ, ფასდაუდებელ ღირებულებებს.

დღეისათვის "კრეატიული ქალაქის" ფენომენის შესწავლის სფეროში გამოჩენილ მოღვაწედ ითვლება ჩარლზ ლენდრი ავტორი წიგნებისა "ცხოვრების ხარისხი და ურბანული გარემო", "ქალაქების აღორძინება კულტურის გზით", " კრეატიული ქალაქი" და ა.შ. მისი ხელმძღვანელობით იქნა განხორციელებული ქალაქების პროექტები მთელი მსოფლიოს მასშტაბით. "კრეტიული" ან "შემოქმედებითი" ქალაქის კონცეფცია მან ჩამოაყალიბა დაკვირვების შედეგად: კერძოდ, ის აღნიშნავს, რომ ქალაქების გარკვეულმა ნაწილმა შეძლო ისტორიულ ცვლილებებთან ადაპტაცია, ხოლო ზოგიერთმა ქალაქმა ამ ცვლილებებიდან მიიღო მოგება. ამ კონცეფციის თანახმად კულტურული რესურსები წარმოადგენს ნედლეულს რომელიც ანაცვლებს ნავთობს და ფოლადს, რომლის შედეგადაც ყალიბდება ქალაქის საბაზისო ღირებულებები. კულტურული რესურსების მეშვეობით, შესაძლებელია ხელსაყრელი ინვესტიციების მოზიდვა და ტურიზმის განვითარება, ქალაქის იმიჯის ჩამოყალიბება. კრეატიული ქალაქის მთავარი ამოცანაა-ინოვაციური გარემოს შექმნა, ვინაიდან კრეატიულობა - ინოვაციის წინაპირობაა. ამგვარი გარემოს მთავარ ინსტრუმენტს კი ქალაქების განვითარების ბრიტანელ სპეციალისტს ლენდრს შემოქმედებითი ინდუსტრია მიაჩნია. ჩარლზ ლენდრის მიხედვით ინოვაცია - ეს არის ახალი იდეის პრაქტიკაში განხორციელება, რომელიც მიიღება შემოქმედებითი კლასის კრეატიულია აზროვნებით. ავტორი, "კრეატიულ კლასს" განმარტავს, არა როგორც " შემოქმედებით ადამიანებს" და გარკვეული "ბოჰემური" პროფესიების წარმომადგენლებს, არამედ როგორც სრულიად განსხვავებული პროფესიების ჯგუფებს, რომლებიც თავისუფლად და კრეატიულად მოაზროვნე ადამიანებისაგან შედგებიან. "კრეატიული ხალხი მოღვაწეობს მათი კომპეტენციის ზონის საზღვრებთან და არა მის ცენტრში".

კრეატიული ქალაქის კონცეფციამ შეაჩერა ბრიტანეთის ეკონომიკური და სოციალური არასტაბილურობა 80 - იან წლებში. ბრიტანეთის მთავრობამ აქცენტი შემოქმედებით დ კულტურულ რესურსებზე გააკეთა, რის შედეგადაც დღეს ბრიტანეთი აწვდის მსოფლიო ბაზარს არა ფოლადსა და ტექსტილს, არამედ "შემოქმედებით" და "ინტელექტუალურ" პროდუქტებს: წიგნები, ფილმები, მულტიმედიური პროდუქტები.

შემოქმედებითი მრეწველობის განვითარებაზე უფლებამოსილება ენიჭება რეგიონულ და ადგილობრივ დონეებს. ამ ამოცანების წარმატებით შესრულებამ გამოიწვია ურბანული სივრცის ტრანსფორმაცია და "შემოქმედებითი ქალაქის" კონცეფციის ჩამოყალიბება. უბანი რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ითვლებოდა ღარიბ უბნად მიტოვებული ფაბრიკა-ქარხნებით, მაღალი დონის სოციალური არასტაბილურობით, დღეს გვევლინება განვითარებული და გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურის მქონე უბნებად. სლაიდები ქალაქის განვითარების

ქვეყნის განვითარების პროგრამამ სახელწოდებით "Creative Britain" რომელიც შეიმუშავა ბრიტანეთის მთავრობამ შედეგი გამოიღო და დააყენა წამყვან პოზიციაზე ამ ინდუსტრიაში.

გერმანია-ეკონომიკისა და ტექნოლოგიების სამინისტრო,(Federal Ministry of Economics and Technology) გერმანიის ფედერალური მთავრობის ინიციატივით, ყოველწლიურ ანგარიშს აქვეყნებს კულტურული და შემოქმედებითი მრეწველობის საქმიანობაზე. გარდა ამისა, «Creative Industries in Berlin. Development and Potential» კრეატიული ინდუსტრია ბერლინში. გერმანიის მერიამ 2008 წელს, გამოაქვეყნა ანგარიში რომლის თანახმად თანახმად, ქალაქის

ტერიტორიაზე ეკონომიკის ამ სექტორში ფუნქციონირებს 6775 საწარმო. მოყვანილი მაჩვენებელი ნათლად წარმოაჩენს გერმანისს ხელისუფლების დამოკიდებულებას შემოქმედებითი ინდუსტრიის მიმართ. შემოქმედებითი ინდუსტრია გერმანიაში - წარმოადგენს ეკონომიკის სრულუფლებიან სექტორს, რომელიც განვითარების მაჩვენებლით უსწრებს ინდუსტრიის ტრადიციულ სფეროებს.

ჩინეთში, შემოქმედებითი ინდუსტრიის მიზანს წარმოადგენს არა სამუშაო ადგილების რაოდენობის გაზრდა, არამედ ინოვაციების შექმნა. ძირითადი აქცენტი კეთდება პროგრამულ უზრუნველყოფაზე, მულტიმედია და 3D ტექნოლოგიებზე, რეკლამაზე და სხვა ინტელექტუალურ პროდუქტებზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შანხაის უნივერსიტეტში მოღვაწეობს "კრეატიული ეკონომიკის" წიგნის ავტორი, ჯონ ხოკინგსი, რომელმაც ჩინური ბაზარი აქტიურ განვითარებად შემოქმედებითი ინდუსტრიის ბაზრად განიხილა.

ცნებები "შემოქმედებითი იდუსტრია" და "კრეატიული ქალაქი" საქართველოსთვის სხვა ქვეყნებათან შედარებით ახალია. მაგრამ მათი ფენომენი, როგორც ანტიკრიზისული ეფექტური საშუალება არ შეიძლებოდა დარჩეს ეკონომისტების, მეცნიერებისა და კულტუროლოგების ყურადღების გარეშე.

კულტურის ეკონომიკის ყველაზე დიდი სირთულეა იმის ცოდნა, თუ რა უნდა მიეკუთვნოს კულტურულ პროდუქტებს. იუნესკო კულტურულ პროდუქტს განსაზღვრავს როგორც "სხვადასხვა სახის სამომხმარებლო საქონელს, რომელიც გამოხატავს იდეებს, სიმბოლოებსა თუ ცხოვრების სტილს. მათ ასევე მიეკუთვნება წიგნები, ჟურნალები, მულტიმედიური პროდუქტები და პროგრამული უზრუნველყოფა, ჩანაწერები, ფილმები, ვიდეო და აუდიო-ვიზუალური პროდუქტები"

კულტურული საჭიროებების მორფოლოგიიდან გამომდინარე და საზღვარგარეთელ მკვლევართა რეკომენდაციების საფუძველზე დღეისათვის ფორმულირებულია კულტურის შემდეგი **12 აგრეგირებული პროდუქტი:**

1. პროფესიული ხელოვნება და მისი სახეობები;
2. ფოლკლორი და ტრადიციული ხელოვნება;
3. დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნება (ხალხური ხელოვნება და ხელოსნობა)
4. კულტურის ნიმუშები (მატერიალური და არამატერიალური ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა);
5. საქონელი, ციფრული საქონელი, მხატვრული ნაწარმოებები
6. სახელმწიფო (მუნიციპალური) მომსახურება:
7. მომსახურების სახელმწიფო სტანდარტი;
8. კულტურული ბრენდი;
9. მოდის (ესთეტიური მიმართულებები, ელიტური სტილი)
10. კულტურული ლანდშაფტი (ბუნებრივი ლანდშაფტების სინთეზი, არქიტექტურა, ყოველდღიური ცხოვრების სივრცე)
11. სპეციალური ღონისძიებები: სიმბოლურად ორგანიზებული აქცია;
12. ყოველდღიური ცხოვრების კულტურა: დღესასწაულები,

საქართველოში ასეთი ტიპის შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარება კლასიკური ევროპული სცენარით ვერ განხორციელდება. საქართველო არის სახელმწიფო, რომელსაც არ გააჩნია მრეწველობის განვითარების დიდი პოტენციალი. შემოქმედებითი ინდუსტრიის ძირითადი ამოცანა კი არის " კრეატიული ქალაქის" ინოვაციური გარემოს შექმნა. ასეთი სახის

სივრცეები არა თუ ხელს უშლის ინდუსტრიის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებას, არამედ ბევრად ზრდის მათი განვითარების ტემპებს.

ჩვენს მიერ ქალაქ ქუთაისში ჩატარდა მარკეტინგული კვლევა ანკეტური გამოკითხვის მეთოდით. სულ გამოკითხული იქნა 94 რესპონდენტი. კვლევის მიზანს წარმოადგენდა გამოვლენა იმ კულტურული პროდუქტების რომლებიც სარგებლობენ მაღალი მოთხოვნით და კულტურული პროდუქტების მომხმარებაში ხელისშემშლელი მიზეზები.

კითხვაზე რომელ პროდუქტებს ანიჭებთ უპირატესობა რესპონდენტებმა ასეთნაირად უპასუხეს: რესპოდენტა 27% უპირატესობას ტრადიციულ დღესასწაულებს ანიჭებს, ქალაქის დღესასწაულებს -17% დასასვენებელ ბაღებსა და სკვერებს 15% - ისტორიულ ღირშესანიშნაობებს -10% ყველაზე დაბალი მოთხოვნით სარგებლობს მუზეუმები -3%

დიაგრამა. 1. რომელ კულტურულ პროდუქტს ანიჭებთ უპირატესობას (%)




წყარო: ანკეტური გამოკითხვა

რა გიშლით ხელს კულტურული პროდუქტების მოხმარებაში რესპონდენტთა პასუხები ასეთნაირად გადანაწილდა: ინფორმაციის ნაკლებობა 31%, მოწოდებული პროდუქტის დაბალი ხარისხი 22%, მაღალი ფასი 37%, სერვისების დაბალი ხარისხი - 10%.

დიაგრამა 2. პროდუქტების მოხმარებაში ხელისშემშლელი მიზეზები




წყარო: ანკეტური გამიკითხვა

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად გვესახება შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- საჭიროა ამაღლდეს კულტურული ღონისძიებების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების ხარისხი სხვადასხვა სარეკლამო საშუალებების გამოყენებით;

- იმ კულტურულ პროდუქტებისათვის, რომლებიც სარგებლობენ დაბალი მოთხოვნით მიზანშეწონილად გვესახება გაყიდვების სტიმულირების ღონისძიებების შემუშავება.
- საჭიროა კულტურული პროდუქტების მიწოდების გაფართოება ქალაქის გარეუბნებში.

თანამედროვე მსოფლიო, "სურვილების ეკონომიკის" სამყაროა, სადაც ბაზარი არის გაჯერებული. საუბარი არ არის საქონლისა და მომსახურების დეფიციტზე, არსებობს "სურვილების დეფიციტი", რომელიც გამოწვეულია ხალხის დაღლილობით საქონლისა და მომსახურების მასიურობით". ჩვენის აზრით კულტურა და შემოქმედება ერთადერთი საშუალებაა რომლის მეშვეობითაც გადაილახება ძირითადი დეფიციტი"სურვილის დეფიციტი". კულტურის სექტორის გავლენის შეფასება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობაზე და ბაზრის მოცულობის განსაზღვრა. რთულია მაგრამ ფასდაუდებელია საზოგადოების განვითარებისთვის.

# მენეჯმენტის გავლენა სამშენებლო კომპანიათა ფინანსურ შედეგებზე

*__ხელაძე ლელა__ – ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის II კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი __სოლოღაშვილი დალი__ – პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

# Impact of management on financial results of construction companies

***Kheladze Lela*** *– Doctoral Student, Business Administration, II year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

*Supervisor* ***Sologhashvili Dali*** *– Professor, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

**Abstract**

Analyzing the financial position of this enterprise is the best way to evaluate the operation of the enterprise properly and the financial results of the enterprise. As a result of the analysis of the actual situation, future stability of the enterprise or vice versa, the expected threats or risk can be predicted.

Due to the fact that the activities of construction companies are linked to attracting investments, it is necessary to ensure the proper financial management of these companies. Management, accounting-reporting and auditing are one of the necessary conditions for the functioning of each construction company in accordance with the legislation. Nowadays, there are a number of shortcomings in the financial management of construction companies in Georgia, which leads to changes in the financial position of these organizations, and negative results in some cases. Consequently, looking for improvement of the financial condition of these companies leads us to the need for improving financial management and administration.

The basis for analyzing the financial position is the financial statements in which financial information related to the company's activities are collected. The study and analysis of the financial position is the essential indicator of the financial stability assessment of the organization. The introduction of the financial situation analysis culture in business and not only in the field of construction is the basis of transparency, which is one of the fundamental and modern concepts of business development. That is why the issue is relevant in modern terms and financial management as the firm's functioning system is of particular importance.

In order to identify the directions of improving the financial position of construction organizations, correct analysis and assessment, as well as determination of the correct priority is necessary. The impact of the financial management on the financial position of the construction companies confirms its importance in the analysing process. That is why, first of all, we will discuss the strategic directions of financial management of some of the construction companies and detailed information on financial statements. We analyze basic accounting policies as well as preparation and submission of financial statements according to

the IFRS. On the basis of comparative analysis of this information we will highlight the main directions that practically guarantee companies' financial stability and functioning. In the process of analyzing, the directions will be highlighted that are ineffective and require improvement. One of the main directions is the imbalance of regional construction projects. Individual territorial units are characterized by a construction boom that leads to sharp fluctuations in market prices, hindering the process of decentralization and negatively impacting the country's regional development.

Thus, the goal of the research is to develop the directions of improvement of the financial position of the construction and development companies and to establish relevant conclusions and recommendation proposals based on the practical analysis of financial state of these companies.

**Keywords:** construction, management, financial statement, construction companies.

## აბსტრაქტი

საწარმოს გამართულად ფუნქციონირებისა და საქმიანობის ფინანსური შედეგების ობიექტურად შეფასების საუკეთესო საშუალებაა ამ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი. ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზის შედეგად შესაძლებელია გაკეთდეს პროგნოზი საწარმოს შემდგომი სტაბილურობის ან პირიქით, მოსალოდნელი საფრთხეებისა თუ რისკის შესახებ.

გამომდინარე იქედან, რომ სამშენებლო კომპანიების საქმიანობა დაკავშირებულია ინვესტიციების მოზიდვასთან, აუცილებელია ამ კომპანიების სწორი ფინანსური მენეჯმენტის უზრუნველყოფა. მენეჯმენტის, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და აუდიტის წარმოება კანონმდებლობის შესაბამისად არის ყოველი სამშენებლო კომპანიის გამართული ფუნქციონირების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა. დღესდღეობით საქართველოში სამშენებლო კომპანიების ფინანსური მენეჯმენტის კუთხით გვაქვს რიგი ხარვეზები, რაც იწვევს ამ ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის ცვალებადობას, რიგ შემთხვევებში კი უარყოფით შედეგებს. აქედან გამომდინარე, სამშენებლო კომპანიების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სრულყოფის მიმართულებების ძიებას ამ კომპანიების ფინანსური მენეჯმენტისა და ადმინისტრირების გაუმჯობესების აუცილებლობამდე მივყავართ.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის უმთავრეს საფუძველს წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც თავმოყრილია კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია. ფინანსური მდგომარეობის შესწავლა-ანალიზი ორგანიზაციის ფინანსური სტაბილურობის შეფასების აუცილებელ ინდიკატორს წარმოადგენს. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის კულტურის დანერგვა ზოგადად ბიზნესში და არა მხოლოდ მშენებლობის სფეროში ინფორმაციის გამჭვირვალობის საფუძველია, რაც თავის მხრივ, ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი ფუნდამენტური და თანამედროვე კონცეფციაა. სწორედ ამიტომ, აღნიშნული საკითხი აქტუალურია თანამედროვე პირობებში და ფინანსური მენეჯმენტი, როგორც კომპანიის ფუნქციონირების საყრდენი სისტემა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

სამშენებლო ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სრულყოფის მიმართულებების გამოსავლენად აუცილებელია სწორი ანალიზი და შეფასება, აგრეთვე პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა. ფინანსური მენეჯმენტის დიდი გავლენა სამშენებლო კომპანიების ფინანსურ მდგომარეობაზე ადასტურებს მის მნიშვნელობას ანალიზის პროცესში. სწორედ ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, განვიხილავთ რამდენიმე სამშენებლო კომპანიის ფინანსური მენეჯმენტის სტრატეგიულ მიმართულებებსა და ფინანსური ანგარიშგების დეტალურ მონაცემებს. ვაანალიზებთ ძირითად სააღრიცხვო პოლიტიკას, აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენას ფასს-ის მიხედვით. აღნიშნული ინფორმაციის შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვავლენთ იმ ძირითად მიმართულებებს, რომლებიც პრაქტიკულად უზრუნველყოფს კომპანიების ფინანსურ სტაბილურობასა და გამართულად ფუნქციონირებას. აგრეთვე ანალიზის პროცესში გამოიკვეთება მიმართულებებიც, რომლებიც არაეფექტიანია და საჭიროებს გაუმჯობესებას. ერთ-ერთი ასეთი ძირითადი მიმართულებაა რეგიონული სამშენებლო პროექტების დისბალანსი. ცალკეული ტერიტორიული ერთეულები ხასიათდებიან სამშენებლო ბუმით, რაც საბაზრო ფასების მკვეთრ ცვალებადობას იწვევს, აფერხებს დეცენტრალიზაციის პროცესს და უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის რეგიონალურ განვითარებაზე.

ამრიგად, კვლევის მიზანს წარმოადგენს სამშენებლო და დეველოპერული კომპანიების ფინანსური მდგომარეობის სრულყოფის მიმართულებების შემუშავება და ამ კომპანიების ფინანსური მდგო-

მარეობის პრაქტიკული ანალიზის საფუძველზე შესაბამისი დასკვნებისა და სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებების ჩამოყალიბება.

**საკვანძო სიტყვები:** მშენებლობა, მენეჯმენტი, ფინანსური ანგარიშგება, სამშენებლო კომპანიები

ფინანსური მენეჯმენტი, ეს არის კომპანიის აქტივებისა და პასივების მართვა, ბიზნეს-გეგმის შედგენა, ანგარიშების ფინანსური ანალიზი, ფირმის ფასების პოლიტიკის დამუშავება და ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის სხვა ასპექტები. ფინანსური მართვის თითოეულ მიმართულებას მთელი რიგი სპეციფიკური თავისებურებები გააჩნია დარგების, მათ შორის სამშენებლო სფეროს მიხედვით. ფინანსური მენეჯმენტის მიზანია, ხელი შეუწყოს და მიაღწიოს კომპანიის მფლობელთა კეთილდღეობის ამაღლებას ან კაპიტალის გაზრდას, რომელიც ჩადებული აქვთ მფლობელებს. მესაკუთრეთა კეთილდღეობის ამაღლება, ჩვეულებრივ, კომპანიის მოგების ამაღლებასთან ასოცირდება. მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის, კერძოდ, სააქციო საზოგადოებაში ფინანსური მენეჯმენტის აღნიშნული მიზნის მიღწევას უზრუნველყოფს აქციის ღირებულების კურსის აწევა. ამასთან, აქციის ღირებულების კურსის ზრდა და კომპანიის მოგების ამაღლება შეიძლება ერთიმეორეს ეწინააღმდეგებოდეს, განსაკუთრებით კი მოკლევადიან მონაკვეთში მაგალითად, კომპანია, რომელიც ინვესტირებას ახდენს წარმოებაში, შეიძლება განიცდიდეს დიდ ზარალს მიმდინარე მონაკვეთში, მაგრამ შემდგომში მიიღებს მაღალ მოგებას, რომელიც უზრუნველყოფს მისი აქციების ღირებულების ზრდას; პირიქით, მოგების მისაღებად კომპანიას შეუძლია თავი აარიდოს ინვესტიციებს ძირითადი ფონდების განახლებაში, რაც შემდგომ წლებში აუცილებლად მოახდენს გავლენას მის კონკურენტუნარიანობაზე და ფინანსურ ბაზარზე მის მდგომარეობაზე. აღნიშნული მოვლენების ანალიზი და რეგულირება ფინანსური მენეჯმენტის ფუნქციაა.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობა - ეს არის კომპანიის შესაძლებლობა, დააფინანსოს თავისი საქმიანობა. ფინანსური მდგომარეობა გულისხმობს იმ ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფას, რომელიც აუცილებელია საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისთვის, ფინანსების მიზანმიმართულად დაბანდებისა და ეფექტურად გამოყენებისთვის, სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ფინანსური ურთიერთობისთვის, ხელფასების გაცემისა და ფინანსური სტაბილურობისათვის. კომპანიის მდგრადი ფინანსური მდგომარეობა, დადებით გავლენას ახდენს მის გამართულად ფუნქციონირებაზე, ამიტომ ფინანსური საქმიანობა, როგორც სამეურნეო საქმიანობის შემადგენელი ნაწილი, მიმართულია ფულადი რესურსების გეგმაზომიერი მიღებისა და ხარჯვის უზრუნველყოფის, საანგარიშგებო დისციპლინის შესრულების, კერძო და ნასესხები კაპიტალის რაციონალური პროპორციის დაცვისა და მისი ეფექტური გამოყენებისკენ.

ფინანსური ანალიზი არის იმ პრობლემათა გამოვლენის მექანიზმი, რომლებიც ზედაპირულად არ ჩანს. ანალიზის პროცესში გამოყენებული უნდა იქნას ნორმატიული და გეგმური ინფორმაცია, ინფორმაცია წარმოების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, ჩატარებული კვლევებისა და ანალიზის შედეგები, საჭიროების შემთხვევაში დარგის ექსპერტთა დასკვნები. მარტივად რომ ითქვას, კომპანიას საშუალება აქვს, გაარკვიოს, ფინანსური პოლიტიკის წარმართვისთვის შერჩეული მეთოდები რამდენად გამართლებულია და შეუძლია, თუ არა, აუცილებლობის შემთხვევაში, მოახდინოს ამ მეთოდების კორექტირება.

ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის კვლევის ჩასატარებლად საჭიროა შემდეგი მიმართულებების ანალიზი:

- ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის განსაზღვრა, კომპანიის ფინანსური საქმიანობის ხარვეზების მიგნება და აღმოფხვრა, სათანადო რეზერვების გამოვლენა საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი გადახდისუნარიანობის გასაუმჯობესებლად, ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების მონიტორინგი – საწარმოს სტრატეგიულ მიზნებთან შედეგების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;
- ფინანსურ მდგომარეობაში არსებული ცვლილებების გამოვლენა – გასულ პერიოდებთან შესადარებლად;
- ფინანსური მდგომარეობის ცვლილებების გამომწვევი ძირითადი ფაქტორების გამოვლენა;
- ძირითადი ფინანსური ტენდენციების პროგნოზირება, ფინანსური სტრატეგიისა და ბიზნეს- გეგმის მაჩვენებლების ახსნა.

ეს ყოველივე იმიტომ კეთდება, რომ გაირკვეს კომპანიის ძლიერი და სუსტი მხარეები, შეირჩეს საიმედო გზა კომპანიის ოპტიმალური განვითარებისთვის. საამისოდ საჭირო ინფორმაციების წყაროს კი სწორედ ბუღალტრული აღრიცხვა წარმოადგენს. მარტივად რომ ვთქვათ, კომპანია ბუღალტრული აღრიცხვისა და მისი ანალიზის საშუალებით არკვევს, რამდენად სწორად აქვს შერჩეული მეთოდები ფინანსური პოლიტიკის წარმართვისთვის. ამასთან, საშუალება ეძლევა, კორექტირება შეიტანოს ამ მეთოდებში, თუ ეს აუცილებელია.

ფინანსური მენეჯმენტის ნაწილია სამშენებლო კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა. ფინანსური დეპარტამენტის მიერ პერიოდულად ხორციელდება პოლიტიკისა და ძირითადი მიმართულებების გადასინჯვა, იმის დასადგენად, ხომ არ აქვს კომპანიაში არაეფექტიან მართვას ადგილი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თანამედროვე მოთხოვნებთან კომპანიის საქმიანობის შესაბამისობას, კომპანიის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზს და უნდა გამოიკვეთოს ის საკითხები, რომლებიც მენეჯმენტის კუთხით სრულყოფას საჭიროებს.

ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რომელსაც ადგილი შეიძლება ჰქონდეს კომპანიაში ფინანსური მენეჯმენტის ხარისხის შემცირების გამო, არის დარგში ფინანსების მოზიდვისა და განკარგვის არასწორი მექანიზმი - მომხმარებელთა მიერ წინასწარ ჩარიცხული თანხების არამიზნობრივი გამოყენება. ამ მოვლენის შედეგად დეველოპერული კომპანიების გაკოტრების გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზია საწარმოში ფინანსური მენეჯმენტის სისტემის მოუწესრიგებლობასა და ფინანსური ანგარიშგების ანალიზის პრაქტიკისა და გამოცდილების ფაქტობრივად არარსებობა. ამ თვალსაზრისით ყველაზე მასშტაბური პრობლემა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს რეალობაში, ეს იყო „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ საქმე, რომელიც დაიწყო 2010 წლიდან და 2017 წელს კომპანიის დამფუძნებელთა დაპატიმრებით დასრულდა. კომპანიამ, რომელიც წლების მანძილზე  გამართულად და წარმატებულად ფუნქციონირებდა, ვერ შეძლო ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. დიდი ოდენობით მოზიდული სახსრები არამიზნობრივად იქნა განკარგული, რის შედეგადაც დაზარალებული იპოთეკარების პროტესტმა მასშტაბური სახე მიიღო. აღნიშნულმა საკითხმა ფინანსური დავის სახე მიიღო და დაპატიმრებულ იქნა „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დამფუძნებლები. კომპანიის შეუსრულებელ ვალდებულებებზე კი თავდაპირველად კომპანია „დექსუსმა“ აიღო პასუხისმგებლობა, თუმცა უშედეგოდ. შემდეგ კი კომპანიის აქტივები და ვალდებულებები შპს „ემ კვადრატმა“ გადაიბარა. უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლოა ამგვარი ფართომასშტაბიანი კონფლიქტისას, როცა პრობლემას წარმოადგენს ფინანსური პრობლემები და თაღლითობა, ადგილი აქვს ჯაჭვურ დისბალანსს კომპანიის საქმიანობაში. ძირითადად პრობლემა წარმოიქმნება არასწორი დაგეგმვითა და ფინანსური მენეჯმენტით.

დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოში სამშენებლო და დეველოპერულ ბიზნესში საწარმოთა მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მომხმარებლამდე მიწოდების პრაქტიკა არ არსებობს იმ მოტივით, რომ აღნიშნული ინფორმაცია კონფიდენციალურია. საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვის შედეგად ირკვევა, რომ დღეს მოქმედი არცერთი კანონი არ ავალდებულებს მეწარმე სუბიექტს (გარდა სააქციო საზოგადოებისა და კონკრეტული რეგულირების ფარგლებში მოქცეული იურიდიული პირებისა), მოამზადოს და წარადგინოს ფინანსური ანგარიშგება. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები კი, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის ეროვნულ სტანდარტებად არის აღიარებული, სარეკომენდაციო ხასიათის მატარებელია და არა სავალდებულოა. ჩვენი შეხედულებით, ფინანსური ანგარიშგების მომზადების, წარდგენის და ანალიზის კულტურის დანერგვა ზოგადად ბიზნესში და არა მხოლოდ მშენებლობის სფეროში მრავალმხრივი სარგებლის მომტანი და ამავდროულად ბიზნესის ჭეშმარიტი განვითარების ერთ-ერთი ფუნდამენტალური საფუძველი იქნება.

ჩვენთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის ანალიზის დაფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში არსებობს რამდენიმე უმსხვილესი სამშენებლო კომპანია, რომლებიც აშენებენ საცხოვრებელ და კომერციულ ობიექტებს. კონკურენცია მათ შორის მაღალია, ამიტომ ფინანსურ სტაბილურობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთ-ერთი წამყვანი სამშენებლო კომპანია სს “მ$^2$ უძრავი ქონება” ნორმალური ფინანსური მდგომარეობის მქონე საწარმოა. მისი ქონებრივი მდგომარეობა დაარსებიდან (2006 წლიდან) დღემდე გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდება, რაც ძირითადად მიმდინარე აქტივების ზრდით არის განპირობებული. დაფინანსების წყაროების ანალიზით ირკვევა, რომ აქტივების დაფინანსების ძირითად წყაროს (92%) საკუთარი კაპიტალი წარმოადგენს. საქმიანი აქტივობის მაჩვენებელთა შედეგები საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობიდან გამომდინარე თავისებური და განსხვავებულია, თუმცა ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც კომპანიის გამართულად ფუნქციონირებაზე მიუთითებს. კომპანიას არ გააჩნია ვადაგადაცილებული პროექტები და შეუსრულებელი ვალდებულებები. m$^2$ უძრავი ქონების აქციონერები სხვადასხვა დროს იყვნენ წამყვანი დასავლური ფონდები, რომლებსაც ჯამში 10 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია აქვთ განხორციელებული m$^2$ უძრავ ქონებაში[6].




**წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური**

[6] www.m2.ge

ჩვენი ქვეყნის რეგიონალური განვითარების მნიშვნელობიდან გამომდინარე განსაკუთრებული პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს არა იმ ტერიტორიულ ერთეულებს, სადაც ამჟამად სამშენებლო ბუმია, არამედ იმ ტერიტორიებს, რომლებიც სტიმულირებას და წახალისებას საჭიროებენ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით დღესდღეობით, ამ მიმართულებით, ყველაზე მაღალი მოთხოვნით ხასიათდება საქართველოს დედაქალაქი, აქ სახელმწიფოს მხრიდან აღარ არის ხელშემწყობი ფაქტორების ხელოვნურად შექმნის საჭიროება. სწორად გატარებული სახელმწიფო პოლიტიკა (განათლების მაღალი დონე, საგადასახადო შეღავათები, სახელმწიფო ინსტიტუტების დეცენტრალიზება, ადგილობრივ მცხოვრებთათვის წამახალისებელი რეგიონალური პოლიტიკა, რეგიონალურ დონეზე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა და ა.შ.) ხელს შეუწყობს არა მხოლოდ აღნიშნული ცალკეული ერთეულებისათვის სამშენებლო ბიზნესის სწრაფად განვითარებას, არამედ აგრეთვე რეგიონალურ დონეზე მშენებლობის წახალისებას. საბოლოო ჯამში კი აღნიშნულმა ღონისძიებებმა უნდა მიგვიყვანოს დეცენტრალიზაციამდე, რის შედეგადაც სამშენებლო სექტორის მონაწილე მხარეები, მოთხოვნის და მიწოდების მხარეები დაინტერესდებიან რეგიონალური აღმშენებლობით, უპირატესობა მიენიჭება სარეკრეაციო ტერიტორიებს, რეგიონალურ ტურიზმსა და მასთან დაკავშირებულ ბიზნეს სფეროებს. აგრეთვე ეს იქნება ადგილობრივ დონეზე დასაქმების ხელშემწყობი და შიდა მიგრაციის შემაფერხებელი ფაქტორი, რაც გააუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონეს სოციალურ ჭრილში. სახელმწიფოს მხრიდან წამახალისებელი ხელშემწყობი ღონისძებების განხორციელებით შესაძლებელი იქნება აღნიშნული რეგიონული დისბალანსის აღმოფხვრა, რაც დეცენტრალიზაციისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ნ. კვატაშიძე. კორპორაციული ანგარიშგება. გვ 336. 2018 წ.
2. ლ. ქოქიაური. ფინანსური მენეჯმენტი. გვ 299. 2011 წ.
3. ვ. შენგელია. საწარმოთა საფინანსო ანალიზი. გვ. 206. 2012 წ.
4. ნ. ლომიძე. ფინანსური ანგარიშგების ანალიზის სრულყოფის მიმართულებები ბინათმშენებელ დეველოპერულ კომპანიებში. დისერტაცია. 2015 წ.
5. www.nplg.gov.ge
6. www.bia.ge
7. www.m2.ge
8. www.geostat.ge

# ქუთაისში არსებული მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის კვლევის ანალიზი

***ჯვარშეიშვილი ლინდა*** *– ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

***შარიქაძე მამუკა*** *– ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

***ოსაძე თორნიკე*** *– ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი **ლომინაშვილი-ფრუიძე მედეა** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

# Research of activities small and medium-sized business in Kutaisi

***Jvarsheishvili Linda*** *– Bachelor's Student, Economics, IV year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

***Sharikadze Mamuka*** *– Bachelor's Student, Economics, IV year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

***Osadze Tornike*** *– Bachelor's Student, Economics, IV year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

*Supervisor **Lominashvili-Pruidze Medea** – Doctor in Economics, Associate Professor, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

**Abstract**

Nowadays, Georga is still in transitional economy phase, thus it is quite interesting to study ongoing processes in small and mid-size business enterprises.

Well developed countries follow up with business economy analyse methods and techniques in order to assess progress, define short and long term goals, to evaluate the situation for right decision making and to control ongoing processes in business sector.

For country economy right functioning and sustainable development, small and mid-size enterprises play a significant role. Enlargements in this sector has positive impact on building and growing middle class society, also ensures high level of employment and thus this is one of the key indicator in inflation of country GDP (Gross Domestic Product) rate.

In the conducted studies following research techniques has been used:

- questionnaire
- analysis and synthesis
- selective survey

Within research scope 100 individuals has been interviewed in Kutaisi area. Participants were selected based on random sampling principles. Studies have shown that entrepreneurs' absolute majority is working in the service sector, also called as tertiary sector. But besides, there were listed following working areas: Building trade and construction, retail or wholesale services, transportation, fabrication, health care and others.

The aim of the research is to study how likely is that business entrepreneurs follow up business economy analysis while executing their work. It is interesting to know if their decisions are based on their knowledge in economics or they are affected by some other factorial that also needs to be considered.

The focus is drawn on following issues:

1. Major hindrance factors to business growth.

2. The role of banks in maintains business development. Especially: what was primary financial recourse while starting the business, was it private or funded.

3. There is shown individuals level of education and their attitude towards role of schooling in business development. It is worthy to be mentioned, absolute majority of interviewed individuals claim that education is essential for business management. Some percentage of interviewed respondents assume that the level of education they have is not sufficient for proper business management, however they decline to be retrained and to upgrade their knowledge and qualifications.

4. If entrepreneurs are having well developed business plan to create true service and after that to monitor results.

After all, it should be mentioned that the world is dynamically changing and sometimes our skills and knowledge cannot answer the challenges that we face during ongoing economic processes.

The study finds and highlights the most actual problems for business entities, but at the same time it reveals possible solutions for some of these existed issues.

**Keywords**: business, business activities, business education, banks.

## აბსტრაქტი

ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი ფუნქციონირებისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ განვითარედეს მცირე ბიზნესი, რამაც უნდა შექმნას საშუალო ფენა, უზრუნველყოს მოსახლეობის დასაქმების მაღალი დონე და შესაბამისად დაიკავოს მაღალი ხვედრითი წილი ქვეყნის მშპ- ში. საკითხის აქტუალორობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე გადაწყდა ზემოთ აღნიშნული კვლევის ფარგლებში ამ თების უკეთ შესწავლა.

განვითარებულ ქვეყნებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეკონომიკური ანალიზის მეთოდების გამოყენებას ეკონომიკურ საქმინობაში, როგორც მიმდინარე საქმიანობის შეფასებაში ისე მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებასა და მოკლე და გრძელვადიანი პერსპექტივების განსაზღვრის პროცესში.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა კვლევის შემდეგი მეთოდები: ანკეტური გამოკითხვა, ანალიზი და სინთეზი, შერჩევითი გამოკითხვა.

კვლევის ფარგლებში ქუთაისის მასშტაბით გამოკითხვა 100 ბიზნეს სუბიექტი. შერჩევა მოხდა შემთხვევითობის პრინციპის საფუძველზე. გამოკითვაში მონაწილეობა არ მიუღიათ დიდი ზომის ქსელურ ობიექტებს. როგორც კვლევებმა აჩვენა მათი აბსოლიტური უმრავლესობა მომსახურების სფეროთა დაკავებული. ასაევე გვაქვს შემდეგი სფეროები: მშნებლობა, ვაჭრობა საცალო/საბითუმო, ტრანსპორტი, მრეწველობა, ჯანდაცვა და სხვა მომსახურებები.

ნაშრომის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენდა გამოგვეკვლია თუ რამდენად იყენებენ ეკონომიკური სუბიექტები თავიანთი საქმინობის წარმართვისას ეკონომიკური ანალიზის მეთოდებს და რას ემყარება საერთოდ მათ მიერ ეკონომიკური საქმინობის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები ეკონომიკურ განათლებას და ეკონომიკურ დისციპლინებში დანერგილ მეთოდებს თუ სხვა რამეს.

კვლევის ფრაგლებში ყურადღება გამახვილებულ იქნა შემდეგ საკითხებზე:

1. გამოვლინდა ის ფაქტორები, რომლებსაც ისინი თვლიან ხელისშემშლელად თავიანთი საქმინობის პროცესში;

2. ბანკების როლი მათ საქმინობაში. კერძოდ, რა სახსრებით წამოიწყეს საქმინობა: საკუთარი თუ მოზიდული;

3. კვლევაში ნაჩვენებია მათი განათლების დონე (საფეხური) და მათი დამოკიდებულება განათლების როლისადმი თავიანთ საქმინობაში. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა რომ მათი აბსოლიტური უმრავლესობა თვლის რომ აუცილებელია ბიზნესის წარმართვისასთვის განათლება. და გამოკითხულთან ნაწილი მიიჩნევას რომ მათი განათლების დონე არა საკმარისი ისინი უარს აცხადებენ რაიმე საშუალებით აიმაღლონ თავინთი კვალიფიკაცია და გადამზადნენ;

4. ახდნენ თუ არა საქმინობის წინასწარ და გეგმვას და შედეგბის რეგულარულ შეფასება- ანალიზს და რა სიხშირით.

უნდა აღინიშნოს რომ მსოფლიო იმდენად დინამურად ვითარდება რომ ხშირად ცოდნა, გამოცდილება და უნარ-ჩვევები ვერ პასუხბონ იმ გამოწვევბს რასაც საბაზრო ეკონომიკა უყენებს ბიზნეს სუბიექტებს ეკონომიკური საქმინობის პროცესში. კვლევაში მოცემულია ის პრობლემები რომლებიც აქტუალურად დგას ბიზნეს სუბიექტების წინაშე. ასევე ნაჩვენებია მათი გადაჭრის სავარაუდო გზები.

**საკვანძო სიტყვები:** ბიზნესი რეგიონში, ბიზნეს განათლება, ეკონომიკური სუბიექტების აქტივობები, დარგები.

## შესავალი

დღესდღეობით განვითარებულ ქვეყნებში განუხრელად იზრდება ეკონომიკური ანალიზის მეთოდების გამოყენების როლი ნებისმიერ ეკონომიკურ საქმიანობაში და მას წამყვანი როლი ენიჭება არა მხოლოდ ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობისა და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების შეფასებაში, არამედ იგი ასევე ღირებულია ორგანიზაციის შემდგომი განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერსპექტივების განსაზღვრის პროცესში.

ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, რომ უპირველეს ყოვლისა განვითარდეს მცირე და საშუალო ბიზნეს მეწარმეობა, რამაც უნდა შექმნას საშუალო ფენა, უზრუნველყოს მოსახლეობის დასაქმების მაღალი დონე ამ სფეროში და შესაბამისად დაიკავოს მაღალი წილი ქვეყნის მშპ-ში. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით ქვეყნის ეკონომიკას შეუძლია ზრდა.

დღეისათვის ჩვენი ქვეყანა კვლავ იმყოფება გარდამავალი ეკონომიკის პირობებში და საინტერესოა რა მდგომარეობაა მცირე და საშუალო ბიზნესში, რამდენად იყენებენ ამ სფეროში მყოფი მეწარმეები თავიანთ ბიზნეს საქმიანობაში ეკონომიკური ანალიზის მეთოდებს. ისიც საინტერესოა თუ რამდენად შეესაბამება მათი განათლება, ბიზნესის გამართულად წარმოებისა და განვითარებისათვის საჭირო დონეს და პასუხობს თუ არა თანამედროვე მოთხოვნებს. როგორ ახდენენ ფასწარმოქმნას თავიანთ პროდუქციაზე და როგორია სახელმწიფოსადმი მათი დამოკიდებულება.

სწორედ ზემოაღნიშნული პრობლემების არსებობამ განაპირობა ჩვენი დაინტერესება აღნიშნული საკითხით და გადაგვაწყვეტინა ამ თემის უკეთ შესწავლა. მიგვაჩნია რომ აღნიშნული საკითხი საჭიროებს ანალიზს და შესწავლას. ამ პროცესში გამოვიყენეთ კვლევის შემდეგი მეთოდები: ანკეტური გამოკითხვა, ანალიზი და სინთეზი, შერჩევითი გამოკითხვა.

წინამდებარე ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს გამოვიკვლიოთ თუ რამდენად იყენებენ ეკონომიკური სუბიექტები თავიანთი საქმიანობის წარმართვისას ეკონომიკური ანალიზის მეთოდებს.

თემის კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მცირე და საშუალო ბიზნესი. კვლევის საგანს წარმოადგენს ეკონომიკური სუბიექტების მიერ ეკონომიკური ანალიზის მეთოდების გამოყენება თავიანთ ბიზნეს საქმიანობაში.

## ეკონომიკური ანალიზის არსი და მნიშვნელობა

ეკონომიკური ანალიზი წარმოადგენს პროცედურების, მეთოდების, წესების კომპლექსს, რომელთა საშუალებითაც ხდება ორგანიზაციის მიმდინარე მდგომარეობის შეფასება, არსებითი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების და მახასიათებლების გამოვლენა, ასევე ორგანიზაციის ფინანსური, საწარმოო და საბაზრო საქმიანობის შემდგომი განვითარების პროგნოზირება.

ზოგადად, ეკონომიკური ანალიზი ორიენტირებულია დროული, სრულყოფილი და დასაბუთებული ინფორმაცია წარუდგინოს გადაწყვეტილების მიმღებ პირს მიღებულ შედეგებზე, რომელიც ამ ინფორმაციას საჭიროებს შეფასებების, დიაგნოსტიკისა და პროგნოზირების შედეგებისათვის.

ანალიზის ჩატარების პროცედურა ნიშნავს, პრობლემა დაიყოს შემადგენელ ნაწილებად და სპეციალური საშუალებების გამოყენებით ამოვხსნათ ცალკეული ამოცანები, მათი შეერთებით კი მივიღოთ პრობლემის ზოგადი ამოხსნა.

ანალიზის ობიექტს წარმოადგენს ეკონომიკური ერთეული და იქ მიმდინარე ეკონომიკური პროცესები და მოვლენები. შინაარსი, საგანი და მიზნობრივი ორიენტაცია, ასევე არსებული პირობები, რომელშიც მიმდინარეობს ეკონომიკური საქმიანობა და პროცესების მართვა, ახდენს მისი ამოცანების ფორმირებასაც. ეკონომიკური ანალიზი არამარტო შემადგენელია მართვის ყოველი ფუნქციის, არამედ თვითონ არის მმართველობითი საქმიანობის სახეობა, რომელიც წინ უსწრებს მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებას, საქმიანობის სხვადასხვა დონეზე. ასეთი აქტიური როლი განსაზღვრავს ანალიზის საპასუხისმგებლო ამოცანების ერთობლიობას, მათ შორის მნიშვნელოვანია ისეთი ამოცანები რომლებიც დაკავშირებულია არსებულ

რთულ ეკონომიკურ სიტუაციებთან და შესაბამისი პრობლემების გადაწყვეტაში ეკონომიკური ანალიზის განსაკუთრებულ როლთან.

**ანკეტირების შედეგები და მისი ანალიზი**

ჩვენ საანკეტო გამოკითხვის მეთოდით გამოვიკითხეთ მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტები ქუთაისის მასშტაბი, რომელთა რიცხვი შეადგენს 70 ერთეულს. მათი უმეტესობა დაკავებულია მომსახურების სფეროთი კერძოდ კი ვაჭრობით.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში უფრო მნიშვენელოვან როლს თამაშობენ საბითუმო სავაჭრო კომპანიები, საკონსულტაციო-საშუამავლო ფირმები, სავაჭრო სახლები, რომლებიც ქმნიან დამაკავშირებელი კომერციული რგოლების საფუძველს განსაკუთრებთ მცირე და საშუალო მწარმოებლებისათვის.




და ვთვლით რომ საქართველოშიც საჭიროა ასეთი მიზანმიმართული სახელმწიფო დახმარება ისეთი სავაჭრო ფირმების ფორმირებისათვის, რომელებიც აიღებენ თავიანთ თავზე სასაქონლო წარმოების მოძებნას და მობილიზაციას, როგორც სამომხმარებლო ბაზრისათვის ასევე წამოების ნედლეულით. მნიშვნელოვანი როლი უნდა მიენიჭოს აგრეთვე მწარმოეებელთა პირდაპირი სავაჭრო კავშირების ორგანიზაციას, რაც ახდენს მნიშვნელოვან გავლენას დანახარჯების მინიმიზაციაზე და ამიტომ ასეთი ურთიერთობები მეტად გარცელებულია განვითარებულ ქვეყნებში.




მაშინ, როდესაც განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესს დიდი წილი უჭირავს და ქვეყნის დოვლათის უმეტესი ნაწილი სწორედ ამ სფეროში იქმნება. ბიზნესი სახელმწიფოს განიხილავს როგორც პარტნიორს და ფუნქციონირებისთვის ხელისშემწყობს საქართველოში სხვაგვარი მდგომარეობა გვაქვს. გამოკითხულთა უმეტესობა კითხვაზე თუ როგორ აფასებენ სახელმწიფოს მხარდაჭერას ბიზნეს საქმიანობაში, აფასებენ საშუალოზე დაბალი მაჩვენებლით. მხოლოდ მცირე ნაწილმა შეაფასა საშუალოზე მაღალი მაჩვენებლით 4 ან 5 ბალით.

გამოკითხვის მიხედვით გამოიკვეთა რომ ასევე ბიზნესის განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორად მოიაზრება კანონმდებლობის არასტაბილურობა 16%, და ქვეყანაში არსებული არასტაბილური ვითარება 51,5%. 23,5% დაუცველობის განცდას. და 3,5 % კორუფციას.




საქართველოში ვითარებას ართულებს ისიც რომ მცირე და საშუალო ბიზნესების ხელში თავმოყრილი კაპიტალი ხშირად არასაკმარისია, რის გამოც მათ უხდებათ სახსრების მოზიდვა სხვადასხვა გზებით იქნება ეს ინვესტორის მოძიება თუ საბანკო კრედიტის აღება. ზოგადად კაპიტალი სტრუქტურის შესაბამისად შეიძლება გამოვყოთ საფინანსო სისტემის ორი ძირითადი ტიპი „ბაზარზე ორიენტირებული და ბანკებზე ორიენტირებული. საქართველოში ამჟამად აღებულია გეზი ბანკებზე ორიენტირებულ საფინანსო სისტემაზე.




ჯერ ერთი მოსახლეობის ხელში არაა კონცენტრირებული საკმაო რაოდებონით საფინანსო სახსრები, რომ დააბანდონ და უზრუნველყონ წარმოების მოთხოვნები ინვესტიციებში, რაც შეაფერხებს თანამედროვე ტექნოლოგიების იმპორტს და წარმოების სათანადო კონკურენტუნარიანობის მიღწევას. ამ პროცესში საჭიროა საბანკო კაპიტალის დახმარება. მეორე დაბანდებათა ფართო დივერსიფიკაცია გამოიწვევს სირთულეებს სტრუქტურულ განვითარებაში. ზოგიერთ დარგში მოხდება საქონლის ჭარბი წარმოება. ამიტომ საჭიროა განხორციელდეს რეგულარული დაკვირვება სტრუქტურულ ცვლილებებზე და მათი რეგულისრება სახელმწიფო ორგანოების მიერ, რაც უფრო ადვილია ბანკებზე ორიენტირებულ საფინანსო სისტემაში. მიზანშეწონილია რომ შემოღებულ იქნებ ბაზრებზე ორიენტირებული საფიანანსო სისტემა ამისათვის უპირველეს ყოვლისა სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს კომერციული ბანკების განვითარებას დაადგინოს საინვესტიციო საქმიანობის წარმოების წესები რაც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაინაირად ხდება. მაგალითად გერმანიში არსებობს რამდენიმე მსხვილი უნივერსალური კომერციული ბანკი და მხოლოდ მათ აქვთ საინვესტიციო ოპერაციების წარმოების უფლება.

მიზანშეწონილი იქნებოდა საქართველოში რამდენიმე მსხვილი უნივერსალური ბანკის დაარსება, რომლებიც განახორციელებენ როგორც საინვესტიციო ისე კომერციულ საქმიანობას. ამით მიღწეული იქნებოდა კომერციული ბანკების საქმიანობს ორიენტაციის შეცვლა უმეტესად არაწარმოებრივი კომერციული ოპერაციების დაფინანსებიდან, მწარმოებლური სფეროს დაფინასებაზე.

შეიძლება ითქვას რომ, მცირე და საშუალო ბიზნესში არსებული დღევანდელი ვითარება მნიშვნელოვან წილად განპირობებულია იმ ადამიანთა ეკონომიკური განათლების დონით, რომლებიც წარმართავენ ბიზნესსაქმანობას.

ბიზნესის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს ის ფაქტიც, რომ ბიზნესსუბიექტები არ ახდენ ფუნქციათა დელეგირებას და ყველა ფუნქცია თავად ითავსებენ, მიუხედავად აქვთ თუ არა ამის შესაბამისი კვალიფიკაცია.




მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა აბსოლიტური უმრავლესობა თვლის, რომ ბიზნესისი ეფექტიანი მართვისთვის აუცილებელია სპეციალური ბიზნეს განათლება, მათ არ აქვთ შესაბამისი განათლება და არც თვლიან საჭიროდ.

პასუხი შეკითხვაზე სჭირდებათ თუ არა გადამზადება და გაიხდიდნენ თუ არა ფულს შესაბამის კურსებში ასე გამოიყურება.




მხოლოდ 16,4% ფიქრობს, რომ სჭირდება და ფულსაც გადაიხდიდა. 16,4 % აფიქსირებს, რომ სჭირდება თუმცა თანხის გადახდის მზაობას არ გამოხატავს. 46,3% სავსებით კმაყოფილია თავისი განთლების დონით და თვლიან, რომ მათი ცოდნა აბსოლუტურად საკმარისია მათი საქმიანობისთვის და 20,9% უბრალოდ უარს ამბობს გადამზადებაზე და ეს იმ პირობებში როცა მსოფლიო ასე სწრაფად იცვლება და ვითარდება და ადგილი აქვს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს.




ასევე ეკონომიკური ანალიზის როლზე, რომ უფრო დაწვრილებთ ვისაუბროთ საჭიროა მისი განხილვა სხვადასხვა ასპექტში კერძოდ ბიზნეს საქმინობის დაგეგმვისა და ანალიზის ეტაპზე. ანკეტირების შედგები ცხადყოფს რომ ბიზნეს სუბიექტბეს აბსოლიტური უმრავლესობა ახდენს საქმიანობის დაგეგმვას და შედეგების შეფასება ანალიზს „ბრმად“. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის, რომ როგორც უკვე აღვნიშნეთ ეკონომიკურ სუბიექტებში ბიზნესის კუთხით განათლებაზე არც ისე იმედისმომცემია. ასეთი მიდგომა ბიზნესის განვითარებას აფერხებს ამიტომ მიზანშეწონლად მიგვაჩნია რომ ამგვარი მიდგომა შესაცვლელია და მათი ცნობიერების დონე ასამაღლებელია.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მიერ გამოკითხული ბიზნეს სუბიექტების აბსოლიტური უმრავლესობა აფიქსირებს, რომ ახდენენ საქმინობის როგორც წინასწარ დაგეგმვას ასევე შედეგების შეფასება-ანალიზს, საქმინობის შედეგების შეფასება ანალიზში ფიქსირდება, რომ ისინი ამ პროცესს არც ისე დიდი ინტენსივობით ახორციელებენ.









საბაზრო ეკონომიკის პირობებში გარდაუვალია ფასწარმოქმნის რეფორმა. საბითუმო და საცალო ფასები უნდა იყვენენ თავისუფალი, მოძრავი, მოქნილი , რეგულირებადი მოთხოვნისა და მიწოდებს თანაფარდობით. რაც აუცილებელია ღირებულების კანონის ნორმალური მოქმედებისთვის მაგრამა აუცილებელია მათთვის სახლემწიფო ორგანოების ზედამხეველობა, რომელბმაც უნდა გაუწიონ კონტროლი და ნეგატიური ტენდენციების გაჩენის შემთხვევაში შეიტანოს კორექტივები. ნებისმიერი საბაზრო ეკონომიკაში არსებობს ფასების ჯგუფები, რომელთა რეგულირებას ახდენს სახელმწიფო, მათი წილი ჩევუელებრივ არ არემატება 10 %-ს. მაგრამ პირველ ხანებში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში თავისუფალი ფასწარმოქმნის მექანიზმს უნდა ქონდეს უფრო ქმედითი ბერკეტები, რომელიბის სახელმწიფოს შესაძლებლობას მისცემენ, რომ მოახდინონ ფასების დონის რეგულირება მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვენელოვან საქონელზე. სხვანაირად შეიძლება გარდაუვლად მოხდება ფასების დონის უკონტროო ზერდა. მაშასადამე საბაზრო ეკონომიკაზე გადასვის პიროებში საკრედიტო სისტემის გაჯანსაღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.




მაშინ, როდესაც ჩვენს მიერ გამოკითხულთა 35,0% აფიქსირებს, რომ მათ არ გააჩნიათ თვითღირებულების ჩამოყალიბების რაიმე წესი და ისინი ამას სრულიად ქაოსურად ახორციელებენ.

**ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები**

3 ათეული წელიც არ არის გასული რაც საქართველო გეგმიანი ეკონომიკიდან გადავიდა საბაზრო ეკონომიკაზე. რაც არც ისე დიდი დროა იმისათვის, რომ ადამინებმა კარგად გაითავისონ ის მოთხოვნები, რასაც ეს სისტემა უყენებს ადამიანებს. ხშირად ჩვენი ცონა, გამოცდილება და უნარ-ჩვევები ვერ პასუხობენ თანამედროვე გამოწვევებს. პრობლემას წარმოადგენს არასაკმარისი და არასათანადო ეკონომიკური განათლების არსებობა. რაც ასევე დასტურდება ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ მაგალითებში. ეკონომიკური სუბიექტები ხშირად ვერ აცნობიერებენ ეკონომიკური ანალიზის როლსა და მნიშვნელობას მათი საქმნობის წარმატებასა და მდგრად განვითარებაში. მითუმეტეს იმ პირობებში, როცა ასეთი არასტაბილური ეკონომიკურ-პოლიტიკური გარემო არსებობს ქვეყანაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ ეკონომიკური ანლიზის მეთოდების გამოყენებას მცირე და საშუალო ბიზნესის წარმართვისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. რასაც ასევე ადასტურებს ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი მაგალითი. პრობლემად მიგვაჩნია მათი დამოკიდებულებაც ამ საკითხისადმი, ის, რომ მათი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი გულგრილია. ამიტომ მიზანშწონილად ვთვლით, რომ მოხდეს ბიზნეს სუბიექტების ცნობიერების ამაღლება ამ კუთხით და შემუშავებულ იქნება სპეციალური სახელმწიფო პროგრამები, რომელბიც უზრუნველყოფს მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მიცემას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ზ. ჯორბენაძე, მ. ლომინაშვილი-ფრუიძე - ეკონომიკური ანალიზი
2. ფ. ბურდული - სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი

# რეგიონული განვითარების სოციალ-ეკონომიკური პრობლემები

# Social-economic Problems of Regional Development

## შიდა ქართლის რეგიონის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები

***ბესიაშვილი რუიზანი*** *– ბიზნესტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი* ***მოსიაშვილი ვალერი*** *– ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო*

## Perspective of economic development of Shida Kartli region

***Besiashvili Ruizani*** *– Bachelor's Student, Business Technologies, IV year, Georgian Technical University, Tbilisi, Georgia*

*Supervisor* ***Mosiashvili Valeri*** *– Doctor in Economics, Associate Professor, Department of Banking and Finanes Technologies, Georgian Technical University, Tbilisi, Georgia*

**Abstract**

The work deals with the traditional approach of the development of Shida Kartli, integrative processes, important reforms in other fields that have great impact on the development of the region. The social situation of the region is described in detail. The focus is on employment, social security, education and health care sectors. Analyzed the condition and evaluated new challenges. The economic development of the region is considered a problem that is currently in place before Shida Kartli is given the importance of giving priority to social priorities in economic policy. Therefore, to increase the effectiveness of the measures taken by the government, it is impossible to ensure the real level of living of the population. The work describes how the main driving force of the economy works: natural resources, investments, industry and other industries, construction, tourism and crafts, trade, service sector, business, agriculture, and how they affect the development of the region as a whole. The regional infrastructure for regional development is no less important. Infrastructure is always positive for the economy. Current conditions of waste management, waste management, water supply and sewerage systems, and waste management are discussed. Analyzing the region's development prospects, goals, tasks and expected results. Therefore, changes in the institutional structure resulting from social-economic development of Shida Kartli are allocated. There are also problems that will solve the problems that will facilitate further development of Shida Kartli

**Keywords:** Integrative processes, investment, Industry.

**აბსტრაქტი**

ნაშრომში გადმოცემულია შიდა ქართლის რეიონული განვითარების ტრადიციული მიდგომები, ინტეგრაციული პროცესები, სხვა და სხვა დარგში გატარებული მნიშვნელოვანი რეფორმები, რომლებმაც დიდი ზეგავლენა მოახდინეს რეგიონის განვითარებაზე. დეტალურად არის აღწერილი რეგიონის სოციალური მდგომარეობა. ყურადღება გამახვილებულია: დასაქმების, სოციალური უზრუნველყოფის, განათლებისა და ჯანდაცვის სექტორებზე. გაანალიზებულია არებული მდგომარეობა და შეფასებულია ახალი გამოწვევები. განხილულია რეგიონის ეკონომიკური განვითარებს პრობლემა, რომელიც ამჟამად შიდა ქართლის წინაშე არსებობს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურ პოლიტიკაში სოციალური პრიორიტეტებისთვის უპიპრატესობის მინიჭებას. ამიტომ მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობის ამაღლებისთვის აუცლებელია ისინი უზრუნველყოფდნენ მოსახლეობის ცხოვრების დონის რეალურ ამაღლებას. ნაშრომში აღწერილია თუ, როგორ მუშაობს ეკონომიკის მამოძრავებელი მთავარი ძალები: ბუნებრივი რესურსები, ინვესტიციები, მრეწველობის სხვა და სხვა დარგები, მშენებლობა, ტურიზმი და ხალხური რეწვა, ვაჭრობა, მომსახურების სფერო, ბიზნესი, სოფლის მეურნეობა და როგორ გავლენას ახდენს თითოეული მათგანი მთლიანად რეგიონის განვითარებაზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია რეგიონული განვითარებისთვის რეგიონის ინფრასტრუქტურა. ინფრასტრუქტუ-

რის აღმავლობა ყოველთვის დადებითად მოქმედებს ეკონომიკაზე. განხილულია გზების, საცხოვრისე-ბის, ელექტრომომარაგების წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემის, ნარჩენების მართვის ამჟა-მინდელი მდგომარეობა. გაანალიზებულია რეგიონის განვითარების პროპრიტეტები, მიზნები, ამოცანე-ბი და მოსალოდნელი შედეგი. ამრიგად, გამოყოფილია შიდა ქართლის სოციალურ-ეკონომიკური განვი-თარების შედეგად ინსტიტუციურ სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებები. ასევე დაფიქსირე-ბულია პრობლემები, რომლელთა გადაჭრაც ხელს შეუწყობს შიდა ქართლის შემდგომ განვითარებას.

**საკვანძო სიტყვები**: ინტეგრაციული პროცესები, ინვესტიცია, მრეწველობა.

შიდა ქართლის რეგიონი აღმოსავლეთ საქართველოში, დიდი და მცირე კავკასიონების მთათაშორისი ბარის შუა ნაწილში მდებარეობს. რეგიონს ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა აქვს. კერძოდ, დედაქალაქთან სიახლოვე.რეგიონში მოსახლეობა ძირითადად თვითდასაქმებულია. თვითდასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა დასაქმებულია სოფლად, საკუთარ ფერმერულ (გლეხურ) მეურნეობაში. მაგალითდ, აქვს მიწის ნაკვეთი ან ჰყავს პირუტყვი, რომლიდანაც მიღებულ პროდუქციას იყენებს როგორც საკუთარი მოხმარებისთვის, ასევე გასაყიდად.




სურათი 1.1. ხილის წარმოება რეგიონში

შიდა ქართლის რეგიონის მნიშვნელობა საქართველოს მასშტაბით განსაკუთრებით გამორჩეულია მეხილეობის თვალსაზრისით. ხილის უმეტესი სახეების წარმოების მიხედვით, შიდა ქართლის რეგიონი პირველ ადგილზეა ქვეყანაში. რეგიონი ყოველთვის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ვაშლისა და ყურძნის წარომებით. მაგ., ყურძნის წაროებით რეგიონი მე-4 ადგილზეა. თუმცა როგორც მოცემულ დიაგრამაზე (სურათი 1.1) ვხედავთ მაღალი მაჩვენებელი აქვს ვაშლის წარმოებას. ასევე ეს რეგიონი გამოირჩევა სხვა სახის ხილის წარმოებით როგორიცაა: მსხალი, ატამი, ქლიავი და ღოღნოშო, რომლის მაჩენებლებსაც შემდეგ მოცემულ ცხრილში გაეცნობით (სურათი 1.2)

შიდა ქართლის რაიონი, როგორც ვხედავთ მოცემულ ცხრილში ახდენს ზემოთ აღნიშნული ხილის სახეების წარმოებას განსაკუთრებით კი დიდი რაოდენობით: ატამსა და ქლიავს.

ამ რეგიონში ასევე პრიორიტეტულია მარცვლეული კულტურების – ხორბლისა და ქერის წარმოება. კაკლის წარმოებით მე-2 ადგილზეა. ასევე მე-2 ადგილი უკავია ბოსტნეულის ნათესი ფართობის მიხედვით, ხოლო ლობიოს ნათესი ფართობის მიხედვით პირველ ადგილს იკავებს. ტრადიციულად, შიდა ქართლის რეგიონი ბოსტნეულის ერთ-ერთი მსხვილი მწარმოებელია ქვემო ქართლისა და კახეთის შემდეგ. აქ იწარმოება შემდეგი ბოსტნეული კულტურები:

კარტოფილი, ჭარხალი, კომბოსტო, სტაფილო, ხახვი, ნიორი, სატაცური, წიწაკა, ბადრიჯანი და ა.შ. შესანიშნავი აგროკლიმატური პირობები და ნაყოფიერი ნიადაგი, აგრეთვე სხვა რეგიონებთან შედარებით სარწყავი მიწების დიდი ფართობი განაპირობებს სოფლის მეურნეობის ამ სფეროს დიდ პოტენციალს. სასათბურე მეურნეობების სიმცირე და დაბალი რენტაბელობა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს ზამთრის პერიოდში შიდა ბაზრის მომარაგებას ბოსტნეულით და სწორედ ამ პერიოდში ხორციელდება იმპორტი.




სურათი 1.2. შიდა ქართლის რეგიონის ხილის წარმოება (მსხალი, ატამი, ქლიავი და ღოღნოშო)

აღსანიშნავია რეგიონისთვის დამახასიათებელი შემდეგი პრობლემები: მოსახლეობას უჭირს ზემოთ ჩამოთვლილი ხილის, ბოსტნეულისა და მარცვლეულის მოყვანა, რადგან რეგიონში საგრძნობლად არის სარწყავი წყლის პრობლემები. ბოლო პერიოდში ასევე გავრცელდა სტიქიური მოვლენები როგორიცაა: გვალვა, სეტყვა.

განსხვავებული სურათია მეცხოველეობის კუთხით. რადგან რეგიონი ამ დარგის თითქმის არცერთ კატეგორიაში არ იკავებს წამყვან ადგილს, მეცხოველეობის დარგში შესაძლებელია შიდა ქართლში არსებული ზრდის პოტენციალის გამოყენება. მათ შორის, რეგიონის მთა-გორიან ნაწილში, რომლის ნიადაგები არ გამოიყენება სახნავ-სათესი დანიშნულებით. ამ არეალში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების შემთხვევაში, შესაძლოა წახალისდეს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმერული მეურნეობების მოწყობა.

აგროწარმოების გამოცოცხლება რეგიონში შემდეგ ინოვაციური მიდგომებისა და ახალი მეთოდების დანერგვასთანაა დაკავშირებული:

1) "წვეთოვანი სარწყავი" სისტემების მონტაჟი;

2) თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო "ტექნიკის" შემოტანა რეგიონში;

3) "სასაწყობე მაცივრების" რეაბილიტაცია და მშენებლობა;

4) ხეხილის თანამედროვე "სანერგე მეურნეობების" მოწყობა-გაძლიერება და გაფართოება;

5) ხეხილის "სადემონსტრაციო ნაკვეთების", საძირეთა და ხეხილის ჯიშთა უვირუსო სადედეების გაშენების ხელშეწყობა;

6) ფერმერთა "კვალიფიკაციის ამაღლების" მოკლევადიანი კურსების (ტრეინინგ-ცენტრის) შექმნა, სათანადო წიგნების, ბროშურების, გაზეთების გამოცემა და სხვა სახის ინფორმაციით დახმარება;

7) "სეტყვის საწინააღმდეგო ბადეების" გამოყენება-თანადაფინანსებით ანდა გრძელვადიანი კრედიტების/განვადების სქემის გამოყენებით.

ინფრასტრუქტურის აღმავლობა ყოველთვის დადებითად მოქმედებს ეკონომიკაზე-რეგიონის ტერიტორიაზე არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ბოლო პერიოდში დიდი ინტენსივობით ხორციელდება, თუმცა რეგიონის მუნიციპალიტეტებში შიდა გზების გარკვეული ნაწილი კვლავ მოუწესრიგებელია. რეგიონის ტერიტორიაზე გადის საერთაშორისო მაგისტრალი (თბილისი-სენაკი-ლესელიძე), რომელიც სრულად ასფალტირებულია.

შიდა ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტებში მგზავრთა გადაყვანას როგორც მუნიციპალიტეტის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, ახორციელებენ კერძო სატრანსპორტო კომპანიები. რეგიონის მუნიციპალიტეტების შიგნით, ძირითადად, მოძრაობენ სამარშრუტო ტაქსები. იმის გამო, რომ რეგიონში ტრანსპორტირების საკითხი არ რეგულირდება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ, შესაბამისად, კონკრეტულ მარშრუტებზე ფასების ოდენობა ძირითადად ბაზრის მიერ განისაზღვრება. ასევე რეგიონში წარმოდგენილია საქართველოში არსებული თითქმის ყველა ელექტრონული საკომუნიკაციო კავშირის კომპანია. განსაკუთრებით კი გამოირჩევა: „მაგთიკომი“, „ჯეოსელი“ და „ბილაინის“ მობილური კავშირი.

რეგიონისთვის დამახასიათებელია ნარჩენების მართვის პრობლემა:

1. არ არსებობს ნარჩენების მართვის გეგმები რეგიონულად მუნიციპალურ დონეზე;

2. ყველა დასახლებულ პუნქტში არის რამდენიმე უკანონო ნაგავსაყრელი. ძირითადად ხევებში და მდინარის ნაპირებთან;

3. არ არსებობს დაბინძურებისათვის დაჯარიმების აღსრულების ეფექტური მექანიზმი;

4. მოსახლეობა არ ფარავს დასუფთავების მოსაკრებელს.

შიდა ქართლის რეგიონს, კერძოდ კი გორის მუნიციპლიტეტის ტერიტორიას ტურიზმის განვითარებისთვის უზარმაზარი შესაძლებლობები გააჩნია. მოხერხებული გეოგრაფიული მდგომარეობა, შესანიშნავი დასასვენებელი ადგილები, ბუნება, მთის ცივი, ანკარა წყაროები, დიდი და პატარა მდინარეები, ბუნებრივი და ხელოვნური ტბები. აქ არსებული ისტორიული და ბუნების ძეგლები ყოველთვის იპყრობდა მნახველთა ყურადღებას. შიდა ქართლის რეგიონი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარია ისტორიული ძეგლებით. უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს, განსაკუთრებით კი გორის მუნიციპალიტეტში, აქტიურად იკიდებს ფეხს ე.წ ღვინის ტურები. ამ მხრივ გამორჩეულია სოფელი ატენი, სადაც მოსახლეობას საკუთარ საცხოვრებელ სახლთან ღვინის ტრადციული მარნები აქვს მოწყობილი და ტურისტებსაც აქტიურად მასპინძლობენ ადგილობრივები. ვფიქრობ გორსა და მის ღირსშესანიშაობებს უფრო მეტი დაინტერესებული ტურისტი ეყოლება თუ შეიქმნება შიდა ტურისტული სააგენტოები, მოხდება პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, უზრუნველყოფილ იქნება ეკო- და აგროტურიზმის, კულტურულ-შემეცნებითი და აქტიურ-ექსტრიმ ტურიზმისა და კურორტების განვითარება.

შიდა ქართლის რეგიონის ძირითად პრობლემას წარმოადგეს ოკუპირებული ტერიტორიები. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, რუსმა მესაზღვრეებმა ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით ადგილობრივების დაკავება დაიწყეს. მოსახლების გარკვეული ნაწილის სახლ-კარი, ბაღი დარჩენილია რუსეთის მიერ მითვისებულ ტერიტორიაზე, ეს უარყოფით ზეგავლენას ახდენს რეგიონის განვითარებაზე, შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობა შებოჭილია და ვერაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საარსებო წყარო მოიპოვონ. ხშირად უხდებათ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადასვლა ზამთარში შეშის მისატანად, მაგრამ ბევრი ასეთი მცდელობა მათი გატაცებებით დასრულებულა. "რაც წლები გადის მით უფრო ხშირად ხდება ადამიანების გატაცებები და ისინი უფრო მეტად დაუცველები არიან."

### გამოყენებული ლიტერატურა


1. გვასალია. (1997). *შიდა ქართლი.*თბილისი: "მერიდიანი".
2. მუმლაძე. (2013). *საქართველოს რეგიონების მდგრადი განვითარების სოციალურ-ეკოლოგიურ-ეკონომკური ასპექტები. დისერტაცია.*თბილისი: სტუ.
3. შუბლაძე. (2006). *ტურიზმის დაჩქარებული განვითარება.* თბილისი: "ინოვაცია".


# ელექტრონული არჩევების საერთაშორისო გამოცდილება და მისი პერსპექტივები საქართველოში


***ბეჭვაია მირანდა** – საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი **კოსტავა თინათინი** – მოწვეული სპეციალისტი, დოქტორანტი, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*


# International experience of e-voting and its perspectives in Georgia


***Betchvaia Miranda** – Bachelor's Student, Public Administration, III year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.*

*Supervisor **Kostava Tinatini** – Invited Specialist, PhD Student, Department of Social Sciences, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.*



### Abstract

Technology development has a great impact on public life. Communication has become simpler and more effective. Globalization has contributed to the introduction of innovations. The innovations covered almost all areas of communication, including the forms of relations between the government and society. This process has had a positive impact on the growth of public engagement. Successful integration of technologies in the functioning of the governance has created real possibilities for the revolutionary novelty such as e-elections. Electoral elections are successfully used in a number of countries and in each of them it has a specific nature.(Estonia, USA, UK, Switzerland).

It is noteworthy that electronic elections have a direct connection to the growth of population's participation and the quality of political culture. With its help, participation of most passive group of people in elections – young generation, becomes significantly higher.

The paper will review the types of electoral elections, the sphere of influence, the advantages and disadvantages, aspects that are a prerequisite for its successful implementation and imply: Political will, willingness of the population, quality of internationalization and readiness of electronic services.

It is important to consider the preconditions and perspectives of implementation electoral elections in Georgia.


**Keywords:** e-voting, elections, innovation, technology, governance, society.


### აბსტრაქტი

ტექნოლოგიების განვითარებამ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე დიდი გავლენა იქონია. კომუნიკაცია უფრო მარტივი და ეფექტური გახდა. გლობალიზაციამ ხელი შეუწყო ინოვაციების დანერგვის პროცესს, სიახლეებმა მოიცვა ურთიერთობის თითქმის ყველა სფერო,მათ შორის ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის ფორმები.აღნიშნულმა პროცესმა დადებითი გავლენა იქონია საზოგადოების ჩართულობის ხარისხის ზრდაზე. სახელმწიფოს ფუნქციონირებაში ტექნოლოგიების წარმატებით ინტეგრაციამ გააჩინა რეალური შესაძლებლობები დანერგილიყო ისეთი რევოლუციური სიახლე, როგორიცაა ელექტრონული არჩევნები.ელექტრონული არჩევნები წარმატებით გამოიყენება მსოფლიოს რიგ სახელმწიფოებში და თითოეული მათგანში სპეციფიკური ხასიათის მატარებელია( ესტონეთი,აშშ,შვეიცარია და სხვა).

აღსანიშნავია,რომ ელექტრონულ არჩევნებს პირდაპირი კავშირი აქვს მოსახლეობის ჩართულობისა და პოლიტიკური კულტურის ხარისხის ზრდაზე.მისი დახმარებით არჩევნებში ყველაზე პასიურად ჩართული ჯგუფის - ახალგაზრდების მონაწილეობაც საგრძნობლად მზარდია.

ნაშრომში განხილული იქნება ელექტრონული არჩევნების სახეები, გავლენის სფერო, დადებითი და უარყოფითი მხარეები,ასპექტები,რომლებიც წინაპირობაა მისი წარმატებით დანერგვისა და გულისხმობს: პოლიტიკურ ნებას,მოსახლეობის მზაობას,ინტერნაციონალიზაციის მაჩვენებელსა და ელექტრონული სერვისების გამართულობას.

მნიშვნელოვნად მიგვანია,განვიხილოთ ელექტრონული არჩევნების წინაპირობები და დანერგვის პერსპერქტივები საქართველოში.

**საკვანძო სიტყვები:** არჩევნები, ინოვაცია,ტექნოლოგიები,მთავრობა,საზოგადოება.

## შესავალი

ტექნოლოგიების განვითარებამ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე დიდი გავლენა იქონია. კომუნიკაცია უფრო მარტივი და ეფექტური გახდა. გლობალიზაციამ ხელი შეუწყო ინოვაციების დანერგვის პროცესს, სიახლეებმა მოიცვა ურთიერთობის თითქმის ყველა სფერო, მათ შორის ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის ფორმები. აღნიშნულმა პროცესმა დადებითი გავლენა იქონია საზოგადოების ჩართულობის ხარისხის ზრდაზე. სახელმწიფოს ფუნქციონირებაში ტექნოლოგიების წარმატებით ინტეგრაციამ გააჩინა რეალური შესაძლებლობები დანერგილიყო ისეთი რევოლუციური სიახლე, როგორიცაა ელექტრონული არჩევნები. ელექტრონული არჩევნები წარმატებით გამოიყენება მსოფლიოს რიგ სახელმწიფოებში და თითოეული მათგანში სპეციფიკური ხასიათის მატარებელია (ესტონეთი, აშშ, შვეიცარია და სხვა).

აღსანიშნავია, რომ ელექტრონულ არჩევნებს პირდაპირი კავშირი აქვს მოსახლეობის ჩართულობისა და პოლიტიკური კულტურის ხარისხის ზრდაზე. მისი დახმარებით არჩევნებში ყველაზე პასიურად ჩართული ჯგუფის - ახალგაზრდების მონაწილეობაც საგრძნობლად მზარდია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ბოლო წლების განმავლობაში ბევრი რეფორმა განახორციელა ტექნოლოგიურ სფეროში და მისი ჩართულობის ხარისხი მმართველობის პროცესში საგრძნობლად გაიზარდა, არ გვაძლევს მყარ საფუძველს იმისა, რომ დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში ელექტრონული არჩევნები დაინერგოს.

ნაშრომში განხილული იქნება ელექტრონული არჩევნების სახეები, გავლენის სფერო, მისი პერსპექტივები საქართველოში, დადებითი და უარყოფითი მხარეები, ასპექტები, რომლებიც წინაპირობაა მისი წარმატებით დანერგვისა და გულისხმობს: პოლიტიკურ ნებას, მოსახლეობის მზაობას, ინტერნაციონალიზაციის მაჩვენებელსა და ელექტრონული სერვისების გამართულობას.

## ელექტრონული არჩევნების არსი

ელექტრონული არჩევნები ტრადიციული არჩევნებისგან განსხვავებით, მოქალაქეებს აძლევს საშუალებას, საარჩევნო უბანზე მიუსვლელად დააფიქსირონ საკუთარი აზრი. დისტანციური ელექტრონული არჩევნები განიხილება ამომრჩეველთა რაოდენობის ზრდის საშუალებად, განსაკუთრებით კი ყველაზე პასიური ნაწილის - ახალგაზრდების. ტექნოლოგიებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ შესამჩნევად გაზარდონ მოქალაქეების პოლიტიკური ჩართულობა, როცა მისი გავრცელების ხარისხი მაღალია. ასევე, მას შესწევს მნიშვნელოვანი უნარი,

გაზარდოს იმ ადამიანთა ჩართულობა, რომლებიც გარკვეული ბარიერების გამო ვერ ახერხებდნენ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. აღნიშნული გარემოება დადებითად აისახება სხვა მოქალაქეების განწყობასა და მოტივაციაზე, მიიღონ მონაწილეობა ე-არჩევნებში და გაიზარდოს მათი ნდობის ხარისხი, რაც ბუნებრივია, აჩქარებს დემოკრატიული პროცესების განვითარებას ქვეყანაში. სწორად დაგეგმილი, გაკონტროლებული, განხორციელებული და გამჭვირვალე ე-არჩევნები დადებითად აისახება ქვეყანაში მმართველობის გაუმჯობესებაზე და ზრდის მოქალაქეების ნდობის ხარისხს სახელმწიფო ინსტიტუციებისადმი.

აღნიშნული დადებითი შედეგები შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნეს მიღწეული, როცა ქვეყნის მასშტაბით ტექნოლოგიების გამოყენება მასიური ხასიათის მატარებელი გახდება. თუ ტექნოლოგიების გამოყენების ხარისხი შედარებით დაბალია, მაშინ ე-არჩევნების შესახებ არსებული მოლოდინი არ ემთხვევა რეალობას და პირიქით, მან შეიძლება შექმნას დამატებითი ბარიერები მოსახლეობისთვის, რაც ცალსახად უარყოფით მხარედ აღიქმება.

ე-არჩევნების სისტემა ამ ეტაპისთვის მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაშია დანერგილი, თითოეულ ქვეყანაში მას რიგი თავისებურებები ახასიათებს, ამიტომაც კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს.

ტექნოლოგიების შესახებ არსებული ზოგადი ინფორმაციის თანახმად, მისი ყველაზე ხშირი მომხმარებლები არიან ახალგაზრდები ან ადამიანები, რომელთა ყოველდღიური საქმიანობა ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე წარმოუდგენელია, რაც მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ე-არჩევნებს ყველაზე მარტივად სწორედ ზემოაღნიშნული ადამიანები ეგუებიან. საინტერესოა, რამდენად შესაძლებელია ადამიანთა ამ მცირე, ინოვატორული ჯგუფიდან ე-არჩევნებისადმი დამოკიდებულება გავრცელდეს ადამიანთა სხვა ჯგუფებში, რომლებიც ტექნოლოგიებთან არც თუ ისე მეგობრობენ. თუ დიფუზიის პროცესი არ არის ინტენსიური და ერთი სოციალური ჯგუფის ჩართლობა ვერ განაპირობებს მეორე სოციალური ჯგუფის ჩართლუბას, მაშინ კონკრეტული სისტემა ვერ მიიღებს მასიურ ხასიათს, ვერ განიცდის პროგრესს.

როდესაც ვსაუბრობთ პოლიტიკური მონაწილეობის ზრდასა და ტექნოლოგიების დიფუზიაზე, მიზანშეწონილია განვიხილოთ „როჯერის თეორია“, რომელიც საკმაოდ ბევრ, განსხვავებულ სფეროში გამოიყენება და საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ მოსახლეობის განწყობის ცვლილება დროის ცვლილებასთან ერთად.

„როჯერის თეორია“ ტექნოლოგიების გავრცელებას აღიქვამს როგორც ნაბიჯების ერთობლიობას ინოვაციური გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეს პროცესი მოიცავს ტექნოლოგიების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, ადამიანთა დარწმუნებას მათ ეფექტურობაში და გადაწყვეტილების მიღებას თუ სად, როდის და როგორ გამოიყენონ იგი. ასევე, შედეგების გაანალიზებას, გამართლდა თუ არა მომხმარებლის მოლოდინები. აღნიშნული თეორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს ახსნას მომხმარებლის თავისებურებები ადაპტაციის პროცესის განსხვავებულ ეტაპებზე. ე-არჩევნების პირველი მომხმარებელი არის ადამიანთა მცირე ჯგუფი, რომელიც ინფორმირებულია, შეუძლია ინოვაციური რისკების გაღება, გააჩნია მყარი იდეოლოგიური შეხედულება, ღიაა სიახლეებისთვის, ახალი გამოცდილების მიღებისთვის. ადამიანთა აღნიშნულ ჯგუფს მოჰყვება შედარებით დიდი ჯგუფი, რომელიც განსხვავებული თვისებებით ხასიათდება, თითქმის იგივეა შემდეგი ჯგუფიც, ბოლოს კი ადაპტაციის პროცესში ერთვებიან „ტექნოლოგიური ზაზუნები“. „როჯერის თეორია’’ შეისწავლის და განიხილავს პროცესს მანამ, სანამ ადამიანთა ყველა ჯგუფის წარმომადგენელი არ გახდება

ე-არჩევნების მომხმარებელი. როგორც უკვე აღინიშნა, ადაპტაციის პროცესში შესაძლოა გამოიკვეთოს ადამიანთა ოთხი ჯგუფი:

- ადრეული შემგუებლები;
- ადრეული უმრავლესობა;
- გვიანი უმრავლესობა;
- ზაზუნები.

აღნიშნული თეორია ასევე ითვალისწინებს ადაპტაციის პროცესის შენელებას / შეწყვეტას იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება არ არის მზად სიახლეებისთვის ან არ გააჩნია სწორად მიწოდებული საჭირო ინფორმაცია.

### ე-ესტონეთი

ესტონეთი საჯარო სექტორში იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს და მიზნად ისახავს საჯარო სექტორის განვითარებასა და გამჭვირვალეობის ხარისხის ზრდას. ესტონეთის მოქალაქეებისთვის ხელმისაწდომია რიგი ონლაინ სერვისები, მათ შორის: ციფრული იდენტიფიკაცია, ციფრული ხელმოწერა და რა თქმა უნდა ინტერნეტ არჩევნები. პრაქტიკული გამოცილება გვიჩვენებს, რომ აღნიშნული სერვისები ამარტივებს საქმეთწარმოებას როგორც მოქალაქეებისთვის, ასევე საჯარო ინსტიტუციებისთვის. აღსანიშნავია დახარჯული თანხისა და დროის სიმცირე. მაგალითად; ხმის მიცემა ინტერნეტის საშუალებით დაახლოებით 90 წამს საჭიროებს.

რიგი ონლაინ სერვისები, რომლებსაც ესტონეთის მთავრობა სთავაზობს მოქალაქეებსა და მოსახლეობას ნდობითა და კეთლგანწყოვით სარგებლობს. ციფრული ხელმოწერა, რომელიც თანამედროვე დემოკრატიის საფუძველია, სავალდებულოა ესტონეთის ყველა მოქალაქისთვის. 2014 წელს ციფრული ხემოწერა გამოყენებულ იქნა ოთხმოც მილიონჯერ, რაც საკმაოდ დიდი მაჩვენებელია 1,3 მილიონიანი სახელმწიფოსთვის. ელექტრნულ სერვისებს ესტონეთის მოქალაქეები აღიქვამენ არა როგორც ერთ-ერთ არჩევანს, არამედ სტრატეგიულ და შეუცვლელ ნაწილს მათ მიერ ყოველდღიურად განხორციელებული ოპერაციებისა.

2005 წელს ესტონეთი გახდა პირველი სახელმწიფო,სადაც მოქალაქეებს არჩევნებზე ხმის მიცემა შეძლეს ინტერნეტის საშუალებით. აღნიშნული წარმატებული მსოფლიო პრემიერა აერთიანებს ყველა დონის არჩევნებს. 2016 წლის მონაცემებით კი ესტონეთში ინტერნეტ არჩევნების გამოყენებით 8 არჩევნები ჩატარდა.

წლიდან-წლამდე იზრდება ე-არჩევნებისადმი ნდობის ხარისხი და შესაბამისად მონაწილეთა რიცხვი. პირველ ჯერზე აღნიშნული სერვისით მოსახლეობის მხოლოდ ორმა პროცენტმა ისარგებლა, რაც სტატისტიკურად ყოველ ორმოცდამეათე ადამიანს უდრის, 2014 წლისთვის კი ყოველი მესამე ამომრჩეველი თავის აზრს სწორედ ინტერნეტ არჩევნების გამოყენებით აფიქსირებს.

საინტერესოა, თუ როგორ მუშაობს ინტერნეტ არჩევნები და ასევე, მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხები. ონლაინ რეჟიმში ხმის მიცემა ესტონეთის ეროვნული საარჩევნო კომისიის ვერ-გვერდზე ხელმისაწვდომია 1 კვირის განმავლობაში. იმისათვის, რომ მოქალაქემ საკუთარი აზრი დააფიქსიროს, თავისი ციფრული ID უნდა მოათავსოს „ჭკვიან მკითხველში“, რომელიც შეერთებულია კომპიუტერთან, შემდეგ გადმოწეროს აპლიკაცია, რომელიც სპეციალურად აღნიშნული პროცედურისთვის არის შექმნილი. როცა სისტემა მოახდენს ამომრჩევლის იდენტიფიკაციას, იგი ამოწმებს არის თუ არა კონკრეტული პირი ნებადართული მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, თუ უფლებამოსილია, მაშინ სისტემა ამომრჩეველს სთავაზობს კანდიდატთა სიას, სადაც ამომრჩეველი აფიქსირებს საკუთარ აზრს, რის შემდეგაც დაფიქსირებული არჩევანი იგზავნება საერთო ბაზაში.

ამომრჩეველს ასევე გააჩნია ხმის მიცემის სხვა ალტერნატივა, რომელიც ითვალისწინებს ხმის მიცემის ტრადიციულ მეთოდს. აღნიშნულ პროცესს ორი კონვერტის პრინციპს უწოდებენ და იგი შემდეგნაირად გამოიიყენება. შიდა კონვერტი მოიცავს ამომრჩევლის მიერ დაფიქ-სირებულ არჩევანს, ხოლო გარე კონვერტი საიდენტიფიკაციო ინფორმაციას. კონვერტის გარე მხარე გამოიყენება იმის დასადგენად, ნებადართულია თუ არა მოქალაქე არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა, შემდეგ კონვერტების განცალკევება ხდება და შიდა კონვერტში დაფიქსირე-ბული ხმა მონაცემთა საერთო ბაზას უერთდება. თუ კარგად დავაკვირდებით, ინტერნეტ არჩევნები და ტრადიციული არჩევნები ერთი პრინციპით მუშაობენ.

იმისათვის, რომ გამჭვირვალეობის, ნდობის ხარისხი გაიზარდოს და მოქალაქეებმა მი-ნიჭებული უფლება არაკეთილსინდისიერად არ გამოიყენონ, მათ 1 კვირის განმავლობაში, დროის ნებისმიერ მონაკვეთში შეუძლიათ შეცვალონ დაფიქსირებული ხმა, ან გააუქმონ ე-არჩევნებში დაფიქსირებული არჩევნები საარჩევნო უბანზე. აღნიშნული გარემოება, თითქმის კარგავს ხმის მყიდველების მიერ გაწეულ ძალისხმევას იმდენად, რამდენადაც ისინი ვე-რასდროს დარწმუნდებიან, შეცვალა თუ არა კანდიდატმა დაფიქსირებული ხმა. შეგვიძლია განვიხილოთ სოციალური პასუხისმგებლობა ამ ჭრილში და იგი პირდაპირ დავაკავშიროთ მოსახლეობის მზაობის ხარისხთან, რადგანაც კეთილსინდისიერი მოქალაქე, რომელსაც გაცნო-ბიერებული აქვს თავისი პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე, ნაკლებად თუ ჩაიდენს ანტი-სახელმწიფოებრივ ქმედებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებითია როგორც სახელმწიფოს მზაობა ზევიდან, ასევე მოსახლეობის მზაობა ქვევიდან, სხვა შემთხვევაში აღნიშნული ინოვა-ციური ნაბიჯი კრახს განიცდის.

### ელექტრონული არჩევნები და საქართველო

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში აქტიურად მიმდიანარეობს ქმედითი ნაბი-ჯების გადადგმა ელექტრონული მთავრობის დანერგვისა და განვითარებისთვის. ყურადღების მიღმა არც ელექტრონული არჩევნები დარჩენილა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ხმის მიცემა ჯერ კიდევ ტრადიციულად, საარჩევნო უბნებზე ხდება, მიმდინარეობს საუბარი მის ელექტრონიზაციაზე, აღსანიშნავია ონლაინ ბაზის არსებობა, რომლის საშუალებითაც კან-დიდატებს შეუძლიათ შეამოწმონ თუ რომელ საარჩევნო უბანზე უნდა მისცენ ხმა. საქართვე-ლოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის განცხადებაში ვკითხულობთ, რომ „საქართველო, იმ შეფასების შედეგად, რომელიც ჩვენ შარშან ჩავატარეთ იუსტიციის სამინისტროს „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ეგიდით, ტექნოლოგიურადაც და კიბერუსაფრთხოების კუთხითაც სრუ-ლად მზად არის, რათა ელექტრონული არჩევნები ჩატარდეს. ეს რომ მოხდეს, საჭიროა კანონ-მდებელთა მხარდაჭერა, საკანონმდებლო ცვლილებები. ასევე, მნიშვნელოვანია მოსახლეობის მხარდაჭერა ამგვარი მოდელისადმი და ნდობა ამგვარი ტიპის არჩევნებისადმი. თუ ეს გადაწყვეტილება იქნება პარლამენტის მიერ მიღებული, აღმასრულებელი ხელისუფლება ტექ-ნიკურად და ტექნოლოგიურად საქართველოში ელექტრონული არჩევნების ჩასატარებლად, მისი კიბერშეტევებისგან დასაცავად არის 100%-ით მზად“ (ipress.ge, 2016)

აღნიშნული განცხადების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ე-არჩევ-ნების დასანერგად იდგმება რიგი ნაბიჯები, თუმცა შესაბამისი ინსტიტუციების მიერ გადადგ-მული ნაბიჯები არ არის მხოლოდ საკმარისი, უმნიშვნელოვანესია საზოგადოების მზაობა, რადგან სხვა შემთხვევაში ინიციატივა ვერ განხორციელდება და კრახს განიცდის. რიგი მიზე-ზების გამო, როგორიცაა ინტერნეტისა და ტექნოლოგიების გავრცების დაბალი ხარისხი და სხვა ფაქტორები საქართველოში საკმაოდ რთული წარმოსადგენია ელექტრონული არჩევნების

დანერგვა თუმცა, იმედს ვიტოვებთ, რომ საზოგადოება გააცნობიერებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და კეთილსინდისიერად გამოიყენებს უფლებას, მონაწილეობა მიიღოს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში.

**დასკვნა**

თანამედროვე სამყარო წარმოუდგენელია ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე. ტექნოლოგიების შექმნის ერთ-ერთი მთავარი მოტივი სწორედ ადამიანის ცხოვრების გამარტივებაა. თითქმის ყველა სფეროში წარმატებით ინტეგრირდა ტექნოლოგიური მიღწევები, გამონაკლისი არც სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობის სფეროა. გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანს ყველაზე მეტად საკუთარი აზრის ცივილურად დასაფიქსირებლად არჩევნების გამოყენება შეუძლია, ტექნოლოგიებმა ეს სფეროც მოიცვა, არჩევნებში მონაწილეობა მოქალაქეების ვალია, რომელსაც რიგი ფაქტორების გამო ყველა ნებადართული პირი ვერ ახერხებს. თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში კი მოქალაქეების შეხედულებების გათვალისწინება უმნიშვნელოვანესია. სწორედ ამიტომ, ოცდამეერთე საუკუნეში ადამიანის ყველაზე დიდ მეგობარ-ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებით შესაძლებელია არჩევნებში მონაწილეობის მიღება. პროცესი უფრო მარტივი, სანდო და გამჭვირვალე ხდება.

სამწუხაროდ, ყველა სახელმწიფო განვითარების ერთ ეტაპზე არ იმყოფება, რიგმა სახელმწიფოებმა მოახერხეს განვითარების უფრო მაღალი ნიშნულისთვის მიეღწიათ. ამ ქვეყნების რიგს მიეკუთვნება ესტონეთი, რომელმაც მიუხედავად მოსახლეობის მცირე რაოდენობისა, შექმა ციფრული სახელმწიფო და დაიმსახურა ინოვატორი სახელმწიფოს სახელწოდება. ესტონეთში დანერგილი ელექტრონული არჩევნების სისტემა ათწლეულზე მეტია წარმატებით ფუნქციონირებს და მაგალითს წარმოადგენს რიგი სახელმწიფოებისთვის.

საქართველოში ხდება რა საარჩევნო სისტემის დახვეწა, არსებობს თეორიული შანსები, დაინერგოს ელექტრონული არჩევნები, გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობის ხარისხი და მმართველობა უფრო ეფექტური გახდეს. თუმცა, სანამ ეს რევოლუციური ნაბიჯი გადაიდგმება, სახელმწიფო უნდა დარწმუნდეს, რომ როგორც მოსახლეობა, ასევე მთავრობა მზადაა ე-არჩევნებისთვის როგორც მენტალურად, ასევე ტექნოლოგიურად.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ელექტრონული არჩევნები ესტონეთში: https://e-estonia.com/solutions/e-governance/
2. ელექტრონული მთავრობის შესავალი : http://www.ega.ee/publication/introduction-to-e-government/
3. რა არის ელექტრონული არჩევნები: https://www.ambebi.ge/article/146649-ra-aris-elektronuli-archevnebi-romlistvisac-sakartvelo-ukve-mzad-aris-aucilebeli-inpormacia-amomrchevlebistvis/
4. ელექტრონული არჩევნები: უცხოური გამოცდილება file:///C:/Users/admin/Downloads/5-22-1-PB.pdf

# ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიმართულებები და მოდელები

***ბობოხიძე მარიტა*** *– ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი* ***გურესაშვილი ლამარა*** *– მოწვეული სპეციალისტი, ეკონომიკის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

# Main Trends and Models of State Regulation of Economics

***Bobokhidze Marita** – Bachelor's Student, Economics, II year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

*Supervisor **Gureseshvili Lamara** – Invited Specialist, Department of Economics, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

## Abstract

In the conference theme is considered the evolution of the concept of state regulation of economics: views of mercantilists and Adam Smith, Keynesian model. It concerns the economic functions of the State and the tasks it faces. The financial regulation of economy is given in two main directions: state revenue and state spending policy.

The main direction of state regulation of economy is discussed. There are also other directions of economic regulation. Separately, the antimonopoly regulation of what is meant by it and how it is implemented. The following is a brief formulation of the goal of state regulation of economy. The last part considers the three types of models of state regulation of the economy: Swedish, American and Japanese - what is the characteristic of each and what they are doing oriented. The final part deals with the necessity of state regulation of the economy-why the "invisible hand" of the market needs to be seen by the "visible hand" of the state.

**Keywords:** Monetary conception, antimonopoly regulation, "invisible hand", "visible hand".

## აბსტრაქტი

წარმოდგენილ საკონფერენციო თემაში "ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიმართულებები და მოდელები" განხილულია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კონცეფციის ევოლუცია: მერკანტილისტებისა და ადამ სმიტის შეხედელებები, კეინზური მოდელი. საუბარია სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებსა და მის წინაშე მდგარ ამოცანებზე. მოცემულია ეკონომიკის საფინანსო რეგულირება ორი ძირითადი მიმართულებით: სახელმწიფო შემოსავლებისა და სახელმწიფო ხარჯების პოლიტიკა.

განხილულია, უშუალოდ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ძირითად მიმართულები. ასევე, მოცემულია ეკონომიკის რეგულირების სხვა მიმართულებები. ცალკეა გამოყოფილი ანტიმონოპოლიური რეგულირება, თუ რა იგულისხმება მასში და როგორ ხორციელდება ის. შემდეგ, მოცემულია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მიზნის მოკლე ფორმულირება. ბოლო ნაწილში განხილულია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სამი ტიპის მოდელები: შვედური, ამერიკული და იაპონური - რა არის ნიშანდობლივი თითოეული მათგანისათვის და რაზე აკეთებს ორიენტირს. დასკვნით ნაწილში საუბარია, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობაზე - რატომ არის საჭირო ბაზრის "უჩინარ ხელს" სახელმწიფოს "ხილული ხელი" შეეშველოს.

**საკვანძო სიტყვები:** მონეტარისტული კონცეფცია, ანტიმონოპოლიური რეგულირება, "უჩინარ ხელი" ,"ხილული ხელი".

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობაზე საუბარი საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების საწყისი პერიოდიდანვე იწყება. მერკანტილისტები მიზანშეწონილად მიიჩნევდნენ ქვეყნის ეკონომიკის განვითრებაში სახელმწიფო ჩარევასა და ხელის შეწყობას. საბაზრო ურთიერთობათა განვითრების კვალობაზე, მოღონიერებულ მეწარმეთა კლასს ხელს აღარ აძლევდა სახელმწიფოს მხრივ თავისუფლების შემზღუდავ ღონისძიებათა განხორციელება. შესაბამისად, მათმა წამომადგენლებმა, ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეების ქადაგება დაიწყეს. მათი კრედო ასეთი იყო: საბაზრო ეკონომიკას ბაზრის „უხილავი ხელის" მეშვეობით სავსებით შესწევს თვითრეგულირების უნარი; სრული თავისუფლების პირობებში, ის მოახერხებს ინიციატივისა და მოგებისადმი უსაზღვრო სწრაფვის გამოვლენას.

საბაზრო ეკონომიკური სისტემის ყოვლისმომცველმა 1929-1933 წწ. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა და დიდმა დეპრესიამ მკაცრი გამოცდა მოუწყო ამ კონცეფციას. ამ მოვლენებმა განაპირობა „კეინსიანური რევოლუციის" ეპოქის დაწყება, რომლის არსი მდგომარეობდა ბაზრის „უხილავი ხელის" სახელმწიფო „ხილული ხელით" შევსებაში. კეინსელების აზრით, განვითარებულმა საბაზრო სისტემამ დაკარგა თვითრეგულირების უნარი-თავისუფალი კონკურენცია შეცვლა მონოპოლების ბატონობამ, რაც გამორიცხავს თავისუფალ ფასწარმოქმნასა და თავისუფალ მეწარმეობას.

XX ს-ის 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან ფართოდ გამოიკვეთა საბაზრო ეკონომიკის კეინსიანური მოდელის ნეგატიური მხარეები, კერძოდ, ეკონომიკაში სახელმწიფოს ზედმეტად ჩარევა. ამის შემდეგ, გამოინახა ეკონომიკური მექანიზმი - მონეტარისტული კონცეფცია, რომელიც ოპტიმალურად ახამებდა ბაზრისა და სახელმწიფოს ფუნქციონირებას.

სამივე - ნეოკლასიკური, კეინსიანური, მონეტარული თეორია, შინაგანი წინააღმდეგობებისა და ზოგიერთი ურთიერთგამომრიცხავი პოზიციის მიუხედავად, ისახავს ერთსა და იმავე კეთილშობილურ მიზანს - საბაზრო ეკონომიკის სოციალური პოტენციალის სრულ რეალიზაციას. თითოეული ეს კონცეფცია სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ზომითა და მასშტაბით გამოიყენებოდა, გამომდინარე მათი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებითა და პოლიტიკით. XX ს-ის მეორე ნახევარში გამოიკვეთა სახელმწიფოს საქმიანობის მასშტაბების გაფართოებისა და მისი ეკონომიკური როლის გაძლიერების ტენდენცია. თუმცა, ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევისათვის უმნიშვნელოვანესია კონკურენტული საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება. ანუ, ყველასათვის სამოქმედო პრინციპი უნდა იყოს: კონკურენცია ყველგან სადაც შესაძლებელია და სახელმწიფო მარეგულირებელი ზემოქმედება ყველგან, სადაც აუცილებელია.

სახელმწიფოს წინაშე დღეს მრავალი ამოცანა დგას. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ - სრული დასაქმება; ფასების სტაბილურობა; ეროვნული ვალუტის სიმტკიცე; საგარეო-ეკონომიკური წონასწორობა და სხვა. ამ ამოცანების შესასრულებლად საჭიროა ზედმიწევნით შესრულდეს სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები, რომლებიც იმდენად მრავალფეროვანია, რომ მათი ამომწურავი ჩამოთვლაც კი შეუძლებელია. სახელმწიფოს ძირითადი ეკონომიკური ფუნქციებია:

1. სამართლებრივი ბაზის შექმნა;
2. კონკურენტული გარემოს შექმნა;
3. შემოსავლების გადანაწილების სამართლიანი მექანიზმის შექმნა;
4. საწარმოო რესურსების გადანაწილება.
5. სტაბილურობის უზრუნველოფა და ეკონომიკური ზრდის წახალისება.

სამართლებრივი ბაზა – სახელმწიფოს ეკისრება სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლების (კანონებისა და ნორმატიული აქტების) შემუშავება, ეკონომიკის სუბიექტთა „თამაშის წესების" დადგენა. სასელმწიფოს პრეროგატივაა: საკუთრების უფლების განსაზღვრა, მყიდველებს შორის ურთიერთობათა რეგულირება, ყოველგვარი ფალსიფიკაციისა და მოტყუების წინააღმდეგ ბრძოლა, ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს უზრუნველყოფა და ა. შ.

კონკრეტული გარემოს შექმნა - კონკურენცია ეს ის „უხილავი ხელია", რომელიც არეგულირებს საბაზრო ეკონომიკას და ხელს უწობს ეკონომიკურ პროგრესს. კონკურენცია წარმოშობს თავის ანტიპოდს - მონოპოლიას, რომელსაც მისი მოკვლაც შეუძლია, თუ სახელმწიფომ არ დაიცვა იგი. კონკურენციის დაცვის მეთოდია ანტიმონოპოლური, ანტიტრესტული კანონმდებლობა. პირველი ანტიტრესტული კანონები დამუშავებულ იქნა აშშ-ში. ტრესტების განვით-

რებით აღშფოთებული ფერმერების, წვრილი მეწარმეების, მომხმარებლებისა და პროფკავშირების საპასუხოდ, პოლიტიკურმა ხელისუფლებამ 1890 წელს მიიღო შერმანის ანტიტრესტული კანონი. 1914 წელს შერმანის კანონის დაზუსტების მიზნით მიღებული იქნა კლეიტონის კანონი. კლეიტონის კანონი ცდილობდა კანონგარეშედ გამოეცხადებინა ყველა ის საშუალება, რომელიც ხელს შეუწყობდა მონოპოლიების განვითრებას. მისგან განხვავებით, შერმანის კანონი უფრო მეტად მიმართული იყო არსებული მონოპოლიების დასჯისაკენ.

შემოსავლების გადანაწილების სამართლიანი მექანიზმის შექმნა - საბაზრო სისტემას ძალზე დიდი შემოსავლები მოაქვს მისთვის, ვისი შრომაც დიდად ანაზღაურდება ბუნებრივი მიწის, საფუძვლიანი განათლებისა და ოსტატობის გამო. მაგრამ, საზოგადოების სხვა წევრები სხვადასხვა მაჩვენებლებიდან გამომდინარე (განათლება, კვალიფიკაცა, ფიზიკური მონაცემები...) ძალიან ცოტას გამოიმუშავებენ ან უმუშევართა მსგავსად სულ არ გააჩნიათ შემოსავლები საბაზრო სისტემის ფარგლებში. ინდივიდუალურ საოჯახო მეურნეობებს შორის შემოსავლების გადანაწილების (გამოთანაბრების) საკითხის გადაწყვეტას თავის თავზე იღებს სახელმწიფო, რაც ვლინდება რიგ პოლიტიკურ ღონისძიებებსა და პროგრამებში. როგორიცაა, ტრანსფერტული გადასახადები- მოსახლეობისათვის და კერძო მეწარმეთათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფულადი ანაზღაურება, რომელიც გაჭირვებული მოქალაქეების სასარგებლოდ ბიუჯეტის მეშვეობით, საშუალებების გადანაწილების წესის განხორციელებაა. მათი დახმარებით უზუნველყოფენ გაჭირვებულებს, ინვალიდებს და კმაყოფაზე მყოფთ, უმუშევრებს კი - უმუშევრობის დახმარებით, ფინანსურ დახმარებას უწევენ ავადმყოფ პენსიონერებსა და ხანდაზმულებს. ყველა ეს პროგრამა მთავრობის შემოსავლებს გადასცემს იმ საოჯახო მეურნეობებს, რომლებიც წინააღმდეგ შემთხვევაში მიიღებდნენ უმნიშვნელო შემოსავალს, ან საერთოდ არ ექნებოდათ იგი. ასევე, მთავრობა ცვლის შემოსავლების გადანაწილებას საბაზრო ჩარევის, ანუ ფასების მოდიფიკაციის გზით. შემოსავლების გადანაწილების გზით სახელმწიფო ნაწილობრივ მაინც ასწორებს იმ უსამართლობებს, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის მექანიზმშია ჩამარხული.

საწარმოო რესურსების გადანაწილება - კონკურენტული საბაზრო სისტემა უზუნველყოფს რესურსების ეფექტიან განაწილება, ანუ რესურსების ოპტიმალური მოცულობა ნაწილდება ყოველი საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე. ეს დასკვნა ემყარება ფარულ დაშვებას, რომ არსებობს გადადენა ანუ თანამდევი ეფექტები, რომელიც დაკავშირებულია მოხმარებასთან. გადადენი ხარჯები მაშინ წარმოიშობა, როცა საქონლის წარმოება ან მოხმარება წარმოშობს რომელიმე მესამე მხარის არაკომპესირებად დანახარჯებს. გადადენის ყველაზე აშკარა დანახარჯები დაკავშირებულია გარემოს დაბინძურებასთან. მთავრობას რესურსების არაპროპორციული განაწილების პრობლემის დარეგულირებისთვის, მაკორექტირებელ ღონისძიებათა ორი ტიპს იყენებს: საკანონმდებლო ღონისძიებები და განსაკუთრებული გადასახადები. გადადენა შეიძლება ხელსაყრელი აღმოჩნდეს მესამე მხარისათვის ან მთელი საზოგადოებისათვის. მაგალითად, ტუპერკულოზის ადრეული დიაგნოზი და ინფექციურ დაავადებათა თავიდან აცილება; ასევე, გადადენის სარგებლობის ერთ-ერთი კლასიკური მაგალითია განათლება. გადადენის სარგებლიანობის არსებობასთან დაკავშირებული, რესურსების არაპროპორციული განაწილების პრობლემის გადასაწყვეტად გამოიყენება სამი საშუალება: 1) მოთხოვნის გადიდება; 2) მიწოდების გადიდება; 3) სახელმწიფო მწარმოებლის როლში.

სტაბილურობის უზუნვეყოფა და ეკონომიკური ზრდის წახალისება - სახელმწიოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა უზრუნველყოს ეკონომიკის სტაბილიზაცია, ე.ი. ხელი შეუწოს საბაზრო ეკონომიკის ნორმალურ ფუნქციონირებას. ამ ფუნქციის შესასრულებლად, სახელმწიფო იყენებს გადასახადებს, კრედიტის სარგებლის განაკვეთებს, მიმოქცევაში არსებულ ფულის მა-

სას. ეკონომიკაზე ზემოქმედების ინსტრუმენტებია: ფისკალური პოლიტიკა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა.

სახელმწიფო ეკონომიკის რეგილირებისას იყენებს საფინანსო რესურს, რომელიც ურთიერთდაკავშირებული ორი მიმართულებით ხორციელდება, ესენია: 1. სახელმწიფო შემოსავლებისა და 2. სახელმწიფო ხარჯების პოლიტიკა.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიმართულებებია:

1. "საზოგადოებრივი საქონლის" შექმნის უზრუნველყოფა;
2. ანტიმონოპოლიური რეგულირება:
3. სოციალური პროგრამების განხორციელება.

საბაზრო ეკონომიკა ვერ უზრუნველყოფს ე. წ. საზოგადოებრივი დოვლათის წარმოებას ანუ ისეთი საერთო-სამეურნეო ფუნქციების შესრულებას, რომლებიც მთელი საზოგადოებისათვის არის საჭირო. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კონკურენცია თვითონვე წარმოშობს მონოპოლიას, რომელიც მასვე ზღუდავს. ამასთან, სპეციალიზაციითა და გაცვლით წარმოიშობა უნაყოფო ხარჯი.

ანტიმონოპოლიური რეგულირება ხორციელდება რამდენიმე ფორმით, რომელთაგან უმთავრესია, მონოპოლიური ფასების შეზღუდვა და თვით ბაზრის მონოპოლიზაციის აკრძალვა. ზოგჯერ, სახელმწიფო კი არ ზღუდავს, არამედ თვითონ იღებს მონოპოლიას ერთ დარგში, სადაც ეკონომიკურად უფრო მიზანშეწონილია მთელი წარმოების თავმოყრა ერთი სუბიექტის ხელში. ასეთი ბუნებრივი მონოპოლიის მიზანი არის არა მოგების მაქსიმიზაცია, არამედ მონოპოლიურად დაბალი ფასების პოლიტიკის განხორციელება.

სოციალური პროგრამების განხორციელება მჭიდროდაა დაკავშირებული ეკონომიკის ეფექტიან განხორციელებასთან. ადამიანისეულ ფაქტორზე გაწეული ხარჯი (ინვესტიცია) მაღალი საზოგადოებრივი ეფექტიანობით გამოირჩევა. ამ მიმართულებით სოციალურ პროგრამებს საბაზრო ეკონომიკის თითქმის ყველა ქვეყანა მასშტაბურად ახორციელებს, არსებითია: უმუშევართა დახმარება, შრომისუუნაროთა სოციალური უზრუნველყოფა, მომუშავეთა სოციალური დაცვა, ხელფასის სახელმწიფო რეგულირება, საბინაო პროგრამების დაფინანსება და ა.შ.

საბაზრო სისტემა წარმოშობს ღრმა სოციალურ უთანასწორობასა და სოციალურ უსამართლობას. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მიზნის ფორმულირებიდან - სტაბილურობა, ეფექტიანობა, სამართლიანობა- ერთ-ერთი სწორედ უსამართლობის აღკვეთისკენაა მიმართული. სახელმწიფო უნდა ქმნიდეს ეკონომიკის სტაბილურობის იმ პირობებს, რომლებსაც თვითონ ვერ ქმნის საბაზრო ეკონომიკა. იგი ზრუნავს მაკროეკონომიკური წონასწორობის დაცვაზე, ზღუდავს მონოპოლიათა საქმიანობას და აღკვეთს მის უარყოფით შედეგებს, რომლებიც ამცირებენ წარმოების ეფექტიანობასა და ანელებენ ეკონომიკურ ზრდას. ასევე, უზრუნველყოფს რესურსების გადანაწილებას, როგორც ეფექტიანობის ამაღლების, ისე სოციალური სამართლიანობოს განხორციელების მიზნით.

სახელმწიფო რეგულირების მიზნებსა და ამოცანებს განსხვავებულად გამოკვეთს თითოეული ქვეყანა. ამ მხრივ, განარჩევენ სამი ტიპის მოდელს: შვედურს, ამერიკულსა და იაპონურს. შვედური მოდელი ორიენტირს იღებს შემოსავლის გადანაწილებაზე, მოსახლეობის დაცვასა და თითოეული ადამიანისათვის განვითარების თანაბარი პირობების შექმნაზე. იაპონური მოდელისათვის ნიშანდობლივია ფირმებისა და მათ მუშაკთა ინტერესესების ორგანული ერთიანობა, სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლი მათი ნორმალური მუშაობის პირობების შექმნაში. არანაკლებ მნიშვნელოვანია დაგეგმვა - ეკონომიკის განვითარების ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა. რაც შეეხება ამერიკულ მოდელს, იგი ორიენტაციას იღებს ინდივი-

დუალისტური სწრაფვების მაქსიმალური გამოვლენისათვის საჭირო პირობების შექმნაზე, მოსახლეობის მეწარმული და სხვა აქტიური ფენების გამდიდრებისა და იმავდროულად კონკურენციის დაცვაზე და ა.შ. ეს მოდელიც ემყარება მძლავრ სახელმწიფო მანქანას და ყველა დასახელებული მიზანმიმართულებით და ფორმით ეკონომიკის რეგულირებას.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა წარმოდგება საბაზრო ეკონომიკის ნაკლოვანებებიდან. საბაზრო ეკონომიკა ეს არის - სუბიექტთა საქმიანობის კოორდინაციის საბაზრო წესი, რომელსაც არ გააჩნია ცენტრალური მაკოორდინირებელი ორგანო. ბაზრის უჩინარ ხელს, არჩევანის ფართო შესაძლებლობებზე, თავისუფალ ფასებსა და კონკურენციაზე დაყრდნობით შესწევს ძალა საზოგადოების სამსახურში ჩააყენოს კერძო ინტერესები. თუმცა, ამ მექანიზმს არ შეუძლია გადაწყვიტოს საზოგადოების მრავალი ეკონომიკური საკითხი, ამიტომ საჭიროა ბაზრის ”უჩინარ ხელს” შეეშველოს სახელმწიფოს ”ხილული ხელი”, ეკონომიკა სახელმწიფომ დაარეგულიროს. მაგრამ, მაინც რა დოზით უნდა ჩაერიოს სახელმწიფო ეკონომიკურ პროცესებში? ბუნებრივია, რომ ეკონომიკის, როგორც გადამეტებული რეგულირება, ისე თვითდინებაზე მიშვება, არის წამგებიანი. პირველ შემთხვევაში ხდება ეკონომიკის განვითარების "შემუხრუჭება“ და მარეგულირებელ ორგანოებში კორუფციის ზრდა და მეორე შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ სრული განუკითხაობა და მომხმარებლების და ინვესტორების უფლებების ხისტი დარღვევა. ყველაზე ეფექტიანია ამ ორ მიდგომას შორის „ოქროს შუალედი“-ს გამოყენებაა.

ჩემი აზრით, ვინაიდან სახელმწიფოები განსხვავდებიან ერთმანეთისგან რიგი მაჩვენებლების მიხედვით, ასევე განსავებული იქნება ის მიმართულებები და მოდელები რომლებსაც ისინი ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებისთვის გამოიყენებენ. ამიტომ, საჭიროა თითოეული სახელმწიფოსთვის გამოინახოს ისეთი ”ოქროს შუალედი”, რომელიც ინდივიდუალური და მისი ეკონომიკისთვის შესაფერისი იქნება.


**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ლამარა გურესაშვილი - მაკროეკონომიკის საკითხები, ქუთაისი 2004;
2. შოთა ლომინაშვილი - ეკონომიკის პრინციპები, თავი №7;
3. ინტერნეტ-რესურსი.


# Quality of medical service and its support


***Chakvetadze Mariami –*** *Bachelor's Student, Economics, II year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

*Supervisor:* ***Kepuladze Giorgi – Invited Specialist,*** *Department of Economics, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*



**Abstract**

**Introduction:** The quality of medical services is seen as one of the most important outcomes of the state's social policy at all its levels. For improving the quality of medical services the most important is to define a methodological approach to quality assessment.

The health economics is a sum of economic knowledge about the forms and methods of activities in the field of medicine its organization, management and development. The medical service can't be seen, heard, touched until it is consumed. Any information about this, even coming from the attending physician, will always have a probabilistic nature.

Quality of medical service is a set of characteristics of medical care reflecting its ability to satisfy the needs of patients in accordance with health standards. Availability of medical care is a real opportunity for

the population to obtain the necessary medical assistance regardless of their social status, level of well-being and residence.

**Aim of the study:** The aim of the article is to develop the common perceptions about medical service and the factors of its quality with purpose to define the ways of its support.

**Object of the study:** Medical service and the factors defining its quality.

**Methods:** The given study is based on the general scientific methods like: abstract method, analyses and synthesis methods, classification method.

**Results and conclusion:** Program of changing healthcare might involve more fundamental reorientation of the whole health system. This could include changes in how the health system is financed in the system of remuneration of service providers, in the ownership of health-care delivery organizations and in models of care.

**Key words:** Health care, medical service, medical service support, health quality

The quality of medical service system is based on the principles of patient orientation, transparency, efficiency and cost containment.

In most countries, a National Health Policy establishes the way health care services can be accessed and finances these types of medical services provided to the population. The financing system represents the instrument for the implementation of this policy and the resources in order to include the collection of the resources for medical paid leaves, their allocation, and payment of production factors.

The current stage of the concept of health system financing involves the collection of funds for the payment of health services, regional allocation of these funds to other service providers or health and medical staff remuneration. Among the sources that might supplement health spending, in line with the real needs of the population, are the increased number of insured persons in the mandatory health insurance system by eliminating exemptions from contribution payments, greater involvement of local communities in the financing of healthcare services covered by the payment health insurance and the increased funding from the state budget. Also, preventive services should also represent an important step of reform, to lower the costs in the healthcare sector, focusing on prevention as the key to success of any health care system. The system must focus on prevention and treatment of illnesses at their starting stage because this strategy requires less financial resources.

Health care quality is measured by the level of value provided as determined by some measurement. It is an assessment of whether something is good enough and whether it is suitable for its purpose. The health care's goal is to provide high quality's medical resources to all who need them, to cure illnesses when possible, to extend life expectancy, and etc.

In the developed countries, health and social services are beset by problems of fragmentation and insufficient interagency. Whatever the exact structure of local and national services are, health and social care tend to work with people with complex, cross-cutting needs, typically requiring a more coherent and ‘joined-up’ response from a range of agencies. As a result of this, there is a national and international emphasis on partnership [1].

Many People have good access to health care that enables them to benefit fully from the Nation's health care system. Others face barriers that make it difficult to obtain basic health care services.

Poor access to health care comes at both a personal and societal cost. For example, if people do not receive vaccinations, they may become ill and spread disease to others. This increases the burden of disease for society overall in addition to the burden borne individually. Access to health care means having "the timely use of personal health services to achieve the best health outcomes". Attaining good access to care requires three discrete steps:

- Gaining entry into the health care system.
საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მიხედვით, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს გააჩნიათ შესაბამისი ფუნქციები და უფლებამოსილებები, რომელთა განხორციელების ძირითადი ბერკეტი არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი. იგი ასახავს ადგილობრივი სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებს. მისი მეშვეობით ხდება როგორც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო პრიორიტეტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილება, ასევე ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის გადაცემული უფლებამოსილებების აღსრულება. ადგილობრივი ბიუჯეტი ყოველთვის უნდა გამომდინარეობდეს უშუალოდ საზოგადოებრივი ინტერესებიდან.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი დამოუკიდებელია როგორც სხვა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის, ისე საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისგან. ადგილობრივი ბიუჯეტის დამოუკიდებლობას განაპირობებს მისი საკუთარი შემოსულობები, რომელთა გამოყენების მიმართულებებს დამოუკიდებლად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში საანგარიშო პერიოდში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა ბიუჯეტის შემოსულობებს წარმოადგენს. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" თანახმად, ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსულობები შედგება საკუთარი და არასაკუთარი შემოსულობებისგან. საკუთარი შემოსულობებია: ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები; გათანაბრებითი ტრანსფერი; საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა არასაგადასახადო შემოსულობები. არასაკუთარი შემოსულობებია: სპეციალური, მიზნობრივი და კაპიტალური ტრანსფერები; საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა არასაგადასახადო შემოსულობები.

ბიუჯეტის შემოსულობები კლასიფიკაციის შესაბამისად მოიცავს: შემოსავლებს (ადგილობრივი გადასახადი - ქონების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადის ცალკეული სახეები, გრანტები, მ.შ. ტრანსფერები, სხვა შემოსავლები, მ.შ. ადგილობრივი მოსაკრებლები, ჯარიმები, სანქციები, საურავები და სხვა), არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულ შემოსავლებს, ვალდებულებების ზრდის შედეგად მიღებულ შემოსავლებს.

ადგილობრივი ხელისუფლების საკუთარი შემოსავლები აუმჯობესებენ რესურსების განაწილებას და მათ მართვას, რადგან ადგილობრივ მთავრობაზე ყოველთვის იქნება ამომრჩევლის ზეწოლა, რომ მის მიერ გადახდილი გადასახადები ეფექტურად იყოს გამოყენებული. ასევე ადგილობრივი გადასახადები ხელს უწყობს დემოკრატული ანგარიშვალდებულების განვითარებას და ადგილობრივი მთავრობებისთვის ზრდაზე ორიენტირებული ეკონომიკის ფორმირების სტიმულს წარმოადგენს.

ბევრ ქვეყანაში საკმაოდ გავრცელებულია გადასახადების გაზიარების პრაქტიკა. ადგილობრივ და ცენტრალურ მთავრობას შორის ზიარი გადასახადების შეთანხმება გამორიცხავს ადგილობრივი მთავრობის მიერ საგადასახადო ბაზის ან განაკვეთის კონტროლს, თუმცა ადგილობრივ მთავრობებს აქვთ გაზიარების ოდენობის დადგენაზე მოლაპარაკების უფლებამოსილება.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" გათვალისწინებული საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისათვის დასაფინანსებელი პროგრამების და ხარჯების მიმართულებებს და მათ ოდენობებს, ხოლო დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებისას განსხვავებულია ხარჯების მიზნობრიობის წესი.

გადასახდელების ეკონომიკური კლასიფიკაცია მოიცავს შემდეგ ჯგუფებს: ხარჯებს (შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, სუბსიდიები, პროცენტი, გრანტები, სოციალური უზრუნველყოფა, სხვა ხარჯები), არაფინანსური და ფინანსური აქტივების მატებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ადრე აღებული ვალდებულებების შემცირებისათვის გაწეულ ხარჯებს. ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ფორმირებისას იქმნება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი და საგანგებო ხარჯების, აგრეთვე სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის ღონისძიებების დასაფინანსებლად სარეზერვო ფონდი, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ბიუჯეტის ხარჯების 2%-ს.

საქართველოს ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის მისწრაფება პირდაპირ განსაზღვრავს, რომ უზრუნველყოფილ იქნას თვითმმართველობების ფისკალური ავტონომია. რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სისტემის ევროპული რეგიონული განვითარების პოლიტიკის პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანაა, რაც რეგიონების განვითარების პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას შეუწყობს ხელს.

ფისკალური დეცენტრალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ეკონომიკური არგუმენტი დეცენტრალიზებული ფისკალური მოწყობის უფრო მაღალი ეფექტურობა წარმოადგენს, რადგან ადგილობრივი მთავრობა შედარებით ახლოსაა ტერიტორიის მოსახლეობასთან. შესაბამისად, ადგილობრივი საზოგადოებრივი მომსახურების დაგეგმვა და მიწოდება უფრო ზუსტად და მიზანმიმართულად ხორციელდება.

ადგილზე ფისკალური პოლიტიკის განხორციელებას გააჩნია შეზღუდვები: საგადასახადო ბაზა არ უნდა იყოს მობილური, წინააღმდეგ შემთხვევაში იზრდება მისი მიგრაციის ალბათობა. არამობილური ბაზა ასევე წარმოადგენს იმის წინაპირობას, რომ მუნიციპალიტეტები არ ჩაებმებიან განაკვეთის შემცირების არაჯანსაღ კონკურენციაში; საგადასახადო ბაზა უნდა იყოს წარმოდგენილი ყველა თვითმმართველობაში; ადგილობრივი გადასახადი უნდა იყოს დასაბუთებული და გამჭვირვალე, გადასახადის გადამხდელებს გათვითცნობიერებული უნდა ჰქონდეთ მათი საგადასახადო ვალდებულება; გადასახადის გადამხდელსა და ადგილობრივი სერვისების მიმღებს შორის უნდა არსებობდეს პირდაპირი კავშირი; ადგილობრივი გადასახადის საშუალებით შესაძლებელი უნდა იყოს მნიშვნელოვანი რესურსების მობილიზაცია; შემოსავალი უნდა იყოს სტაბილური და სასურველია, შემოსავლების ოდენობა არ იყოს დამოკიდებული ეკონომიკურ რყევებზე; ადგილობრივი გადასახადი უნდა იყოს იოლად ადმინისტრირებადი. არსებობს დასაბუთებული მოსაზრება, რომ გადასახადის ადმინისტრირება უკეთ შეუძლია ცენტრალურ ხელისუფლებას, თუმცა, თუ თავისი ხასიათით გადასახადი ადგილობრივია, ეფექტიანობის თვალსაზრისით, ადმინისტრირება შეიძლება იკისროს ცენტრალურმა ხელისუფლებამ, პოლიტიკა კი განსაზღვროს ადგილობრივმა ხელისუფლებამ და შემოსავლები მოექცეს ადგილობრივ ბიუჯეტში. გადასახადების დეცენტრალიზაციის ხარისხის მიხედვით, ყველაზე დეცენტრალიზებული გადასახადია ქონების გადასახადი, შემდეგ საშემოსავლო გადასახადი, გადასახადი საქონელსა და მომსახურებაზე (დღგ) და ბოლოს მოგების გადასახადი. შესაბამისად, ადგილობრივი მთავრობებისთვის ყველაზე ადვილად ადმინისტრირებადი და გავრცელებულია გადასახადი აქტივებზე. მაგალითად, ადგილობრივი შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით ქონების გადასახადს გააჩნია პოტენციალი, რომლის გამოყენებაც აუცილებელია, რადგან ამ შემთხვევაში წყარო ადვილად დასადგენია, ექვემდებარება აუცილებელ რეგისტრირებას და თითქმის შეუძლებელია ადგილმდებარეობის შეცვლა. ხოლო, მოგების გადასახადი, რომელიც უფრო მობილურია, მთლიანად ცენტრალური მთავრობის კომპეტენციას უნდა წარმოადგენდეს.

გადასახადების ადგილობრივ ბიუჯეტებში წარმართვის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი თვითმმართველობის წახალისებაა ინვესტიციების მოზიდვისა და დასაქმების ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ვინაიდან თუ თვითმმართველობებს არ მიეცემათ შეღავათების დაწესების, ინიციატივის გამოჩენის, განაკვეთების ცვლილების უფლება, აღნიშნული შედეგს არ გამოიღებს. ამასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხად მიგვაჩნია ის, რომ შემოსავლების ზრდა და მისაღები ტრანსფერის ოდენობა ერთმანეთთან უკუპროპორციულ დამოკიდებულებაში არ იყოს. ასევე ტრანსფერის გაანგარიშებისას უმნიშვნელოვანესი პრინციპს უნდა წარმოადგენდეს ადგილობრივი საგადასახადო ბაზის პოტენციალის და მისი გამოყენების შეფასე-

ბა. თუ დაცული არ იქნება აღნიშნული პირობები, თვითმმართველობებს არ ექნებათ მოტივაცია ამოიღონ ადგილობრივი გადასახადები/მოსაკრებლები და ხელი შეუწყონ ეკონომიკურ ზრდას.

ქვეყნების უმრავლესობაში თვითმმართველობის ყველაზე დაბალი დონეც კი აღჭურვილია როგორც შემოსავლების მიმღების, ისე ხარჯვის უფლებამოსილებით. თუმცა, ექსპერტების აზრით, შემოსავლების გადანაწილება ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის ცენტრალური მთავრობის გადასაწყვეტია. ვთვლით, რომ ადგილობრივმა მთავრობებმა შემოსავლების კომპენსირება თვითონ არ უნდა მოახდინონ, ვინაიდან შესაძლოა ეს უარყოფითად აისახოს ადგილობრივ ხელისუფლებაზე. ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ როგორც წესები, ასევე პირობები ყველა რეგიონისთვის იყოს საერთო და მათ ადგენდეს ცენტრალური ხელისუფლება. ამ უკანასკნელს ბევრად მეტი რესურსი გააჩნია იმისათვის, რათა დაგეგმოს და განახორციელოს შესაბამისი რეფორმები.

საბიუჯეტო ურთიერთობათა ყველაზე ეფექტიანი მოდელის შერჩევისთვის, საჭიროა მკაფიოდ გადანაწილდეს ხარჯვის ფუნქციები ხელისუფლების ყველა დონეს შორის, ჩამოყალიბდეს დაფინანსების შესაბამისი წყაროები, შეიქმნას ფინანსურად სუსტი რეგიონებისთვის შესაბამისი დახმარების სისტემა.

აღნიშნული ამოცანების გადასაწყვეტად, ტერიტორიული ერთეულების სახელისუფლებო ორგანოების უფლებამოსილებები უნდა შეიცვალოს, მ.შ. უნდა მოხდეს დელეგირებული უფლებამოსილებების ჩამოყალიბება საკუთარ უფლებამოსილებებად. ამასთან, სუბიექტებს უნდა გააჩნდეთ მხოლოდ ის უფლებამოსილებები, რომლებსაც ამ დონის ხელისუფლება ყველაზე ეფექტიანად განახორციელებს. მიზანშეწონილია, ტერიტორიულ ერთეულებს მიეცეთ უფლება ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადიდან კანონით დადგენილ ფარგლებში დააწესონ დასახლებებისა და რაიონების ბიუჯეტებში ანარიცხების განსხვავებული ნორმატივები.

აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი ბიუჯეტის პარამეტრების ხარისხი დამოკიდებულია არა მხოლოდ შემოსავლის ინდიკატორებზე, არამედ ხარჯების მხარეზეც. ამავე დროს, არაეფექტიანი ხარჯების წილი კვლავ მაღალი რჩება. არსებული რესურსების გამოყენება უნდა ხდებოდეს წილობრივი დაფინანსების სახით ყველაზე მაღალი ეფექტის მქონე ეკონომიკურად მნიშვნელოვანი პროგრამების განხორციელებისას, ხოლო დასაფინანსებელი პროექტების შერჩევისას, მიზანშეწონილია, აუცილებელ პირობას ინოვაციური შემადგენლის არსებობა წარმოადგენდეს. ადგილობრივი ბიუჯეტის ფისკალური დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტების საკუთარი რესურსების დაბალანსებულობის შეფასება.

ზემდგომ ორგანოებზე ადგილობრივი ხელისუფლების მაღალი დამოკიდებულება, და, შედეგად, ადგილობრივი ხელისუფლების შეზღუდული შესაძლებლობები როგორც ფინანსური რესურსების განკარგვაში, ისე აქტუალური პრობლემების გადაჭრაში მოითხოვს გადაწყვეტილების მიღების პროცესში სისტემურ მიდგომას, კიდევ უფრო დეტალურ შესწავლას და მეცნიერულ კვლევას.

შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ამ პრობლემების მოსაგვარებლად ძალზედ მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხების გადაჭრა:

- ადგილობრივი გადასახადების ჩამონათვალის გაფართოება და ადგილობრივი ბიუჯეტისათვის დამატებითი შემოსავლის წყაროების მიმაგრება;
- სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური რესურსების ზედმეტი ცენტრალიზაციის აღმოფხვრა;

- ბიუჯეტშორისი ტრანსფერების გაცემისას გამჭვირვალობის, პროგნოზირებადობის და დასაბუთებულობის უზრუნველყოფა;

- მუნიციპალური სამსახურების ფორმირება პროფესიონალი და კომპეტენტური თანამშრომლებით, ზრუნვა მათ მუდმივ განვითარებაზე.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი". საქართველოს პარლამენტი. ქუთაისი, 2014 წლის 5 თებერვალი.
2. საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი". საქართველოს პარლამენტი. თბილისი, 2009 წლის 18 დეკემბერი.
3. საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი". საქართველოს პარლამენტი. თბილისი, 2010 წლის 17 სექტემბერი.
4. ვანიშვილი მ., ფარულავა დ. ფინანსების საფუძვლები. თბ., „საზოგადოება ცოდნა", 2015. 667 გვ.
5. სვირავა გ., ჭანია მ. საქართველის რეგიონების ბიუჯეტებისა და საბიუჯეტო ფედერალიზმის ფორმირების ძირითადი პრინციპები. კულტურათაშორისი კომუნიკაციები, N8. 2009. გვ. 64-65.
6. ხანთაძე გ., ცაავა გ. საჯარო ფინანსები. სახელმძღვანელო. თბ., „დანი", 2014. 430 გვ.
7. Дорджиева О. Б. Проблемы финансовой независимости местных бюджетов в современных условиях. Журнал «Финансы и кредит», №9 (537), 2013. с. 29-33.
8. Мосиашвили В., Челидзе М. Тенденции развития бюджетного федерализма и планирования в Грузии. Национальные экономики в условиях глобальных и локальных трансформаций: сборник научных трудов международной научно-практической конференции / под ред. Г.Б. Клейнера, Э.В. Соболева, В.В. Сорокожердьева. – Москва: Научно-исследовательский институт истории, экономики и права, 2015. с. 236-243.
9. https://mof.ge/biujetis_analitikuri_monacemebi, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 17.04.2018.
10. https://budgetmonitor.ge/ka/municipality, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 19.04.2018.

## დასაქმების პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი საქართველოში

***ვარშანიძე ნესტან*** – *ეკონომიკის საბაკალავრო-პროგრამის II კურსის სტუდენტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო.*

***ვარშანიძე თამარ*** – *ეკონომიკის საბაკალავრო-პროგრამის II კურსის სტუდენტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო.*

*ხელმძღვანელი* ***ცეცხლაძე მურმან*** *– ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დეპარტამენტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო*

## Some Aspects of Employment Policy in Georgia

***Varshanidze Nestani*** *– Bachelor's Student, Economics, II year, Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia*

***Varshanidze Tamari*** *– Bachelor's Student, Economics, II year, Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia*

*Supervisor* ***Tsetskhladze Murmani*** *–Associate Professor, Department of Economics, Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia*

### Abstract

The paper deals with the past and future of the Georgian economy and business development labor market structure. The future perspectives and development opportunities are discussed, given by economic forecasting. The text starts with the past experience of Georgia and comes with the time line up to the most recent decisions that are saturated with critical reviews. Which will be followed in the most interesting directions for Georgia, as well as analysis of the share of demand for work force according to economic

activity. It should be noted that a number of studies indicate a high degree of collateral between the field of education (vocational training, technological knowledge) and demographic status, which once again reinforces the relevance of the existing community and the work. The work focuses on the positions of employers and employers, their influence, economic incentives. It is considered in Georgia in a special neighborhood that can play a role in the current and future employment policies.

The aim of this work is to explore and clearly show the future prospects and challenges that are actually in Georgia today. It is worth taking into consideration that the method of collecting, comparing, and SWOT analysis of statistical data is used in writing this work together with a targeted inquiry that makes the structure and results of the work interesting. In addition, it should be considered that the end of the work is analyzed potential threats, priorities and opportunities that help us to develop our vision of future sustainable development and to see the real results. Various international indicators have been used to analyze the results. The work is confirmed by statistical data and experts from other countries. Explanation of the causal links of real facts and results, problematic topics, that allows new goals to be used with old experience.

In the final analysis, the provision stipulates that Georgia is gradually stepping forward to the real possibility of realization of its individual, individual method and approach of labor relations, but still difficult and hard work to be carried out at the official and documentary level Public opinion Bierebis ascension hand, which determines the success of the set target.

**Keywords:** Labor market, employer positions, incentives, employment policies

## აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ქართული ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების შრომის ბაზრის სტრუქტურის მიხედვით, მისი წარსული და ახლო მომავალი. განხილულია სამომავლო პერსპექტივებისა და განვითარების შესაძლებლობები, მოცემულია ეკონომიკური პროგნოზირება. ტექსტი იწყება საქართველოს წარსული გამოცდილებით და მოყვება დროის ხაზს ბოლოდროს მიღებულ გადაწყვეტილებებამდე, რომლებიც კრიტიკული მიმოხილვითაა გაჯერებული. რასაც მოყვება ამ ყველაფრის განხილვა საქართველოსათვის განსაკუთრებით საინტერესო მიმართულებებში, როგორებიცა სამუშაო ძალის მოთხოვნის ხვედრითი წილის ანალიზი ეკონომიკური აქტივობის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ არაერთი კვლევა მიუთითებს მოცემულ სხვადასხვა მიმართულებებს, განათლების სფეროს (პროფესიული სწავლების, ტექნოლოგიური ცოდნის) და დემოგრაფიულ მდგომარეობას შორის არსებულ კორელაციის მაღალ მაჩვენებელზე, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს არსებული თემისა და ნაშრომის აქტუალურობაში. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია დამსაქმებელთა და დასაქმებულთა პოზიციებზე, მათ გავლენაზე, ეკონომიკურ სტიმულებზე. განხილულია საქართველო განსაკუთრებულ სამეზობლო ჭრილში, რომელსაც შეუძლია განსაკუთრებული როლი ითამაშოს არსებულ და სამომავლო დასაქმების პოლიტიკაზე.

ამ ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს და მკაფიოდ გვაჩვენოს სამომავლო პესპექტივები და გამოწვევები, რომელიც რეალურად დგას დღევანდელ საქართველოში. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ამ ნაშრომის წერისას გამოყენებულია სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვება-დაჯგუფების, შედარებისა და SWOT ანალიზის მეთოდები, მიზნობრივ გამოკითხვასთან ერთად, რაც საინტერესოს ხდის ნაშრომის სტრუქტურასა და შედეგებს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის, რომ ნაშრომის დასასრულს გაანალიზებულია პოტენციური საფრთხეები, პრიორიტეტები და შესაძლებლობები, რაც გვეხმარება მომავალი მდგრადი განვითარების ჩვენეული ხედვის ჩამოყალიბებასა და რეალური შედეგების დანახვაში. შედეგების ანალიზისას გამოყენებულია სხვადასხვა საერთაშორისო მაჩვენებლები. ნაშრომი განმტკიცებულია სტატისტიკური მონაცემებითა და სხვა ქვეყნის ექსპერტების შეფასებებით. გამოყენებულია რეალური ფაქტებისა და შედეგების მიზეზშედეგობრივი კავშირების ახსნა, პრობლემური თემატიკის დასმა, რაც საშუალებას იძლევა ძველი გამოცდილებით დავისახოთ ახალი მიზნები.

საბოლოო ჯამში, დასკვნის სახით აღნიშნულია დებულება, რომლის თანახმად შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველო თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს შრომითი ურთიერთობების საკუთარი, ინდივიდუალური მეთოდისა და მიდგომის რეალიზაციის რეალური შესაძლებლობისაკენ, თუმცა წინ ჯერ კიდევ რთული და შრომატევადი სამუშაოებია ჩასატარებელი, როგორც ოფიციალურ, დოკუმენტარულ დონეზე, ისე საზოგადოებრივი ცნობიერების ამღლების მხრივ, რაც განსაზღვრავს დასახული მიზნის წარმატებას.

**საკვანძო სიტყვები:** შრომის ბაზარი, დამსაქმებელთა პოზიციები, სტიმულები, დასაქმების პოლიტიკა.

შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმება და უმუშევრობის შემცირება საქართველოში ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის საკვანძო პრობლემაა. დასაქმების დაბალი დონე განაპირობებს საოჯახო მეურნეობების შემოსავლების დაბალ დონეს და მრავალ ნეგატიურ სოციალურ და ეკონომიკურ შედეგს უკავშირდება.

დღეისათვის უმუშევრობა ქვეყნის მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვება და ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დანაკარგს იწვევს.

ქვეყანაში უმუშევრობის ოფიციალური დონე ბოლო წლებში კლების ტენდენციით ხასიათდება. სადღეისოდ, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოს შრომისუნარიანი მოსახლეობის 11,8% (2016 წ.) უმუშევარია, ეს მაჩვენებელი რეალურ სურათს ვერ ასახავს რადგან ე.წ დასაქმებულთაგან მხოლოდ ადამიანთა ნაწილი ეწევა დაქირავებულ შრომას, ხოლო უმეტესობა განეკუთვნება ე.წ. თვითდასაქმებულ მოსახლეობას. გარდა ამისა, აღსანიშნავია, უმუშევრობის აღრიცხვის მეთოდოლოგიური ხარვეზები (შემოსავლების აღიარების ფორმალობა, მიწის ნაკვეთის ფლობის მიმართულება, შემთხვევითი გამოკითხვის მთლიან ერთობლიობაზე გავრცელება), რომელიც რეალურად ვერ ასახავს იმ მდგომარეობას, რის წინაშეც ვდგავართ. მეორე მხრივ კი, მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე იქნებოდა, ქვეყანაში არაფორმალური (არარეგისტრირებული) ეკონომიკა რომ არ არსებობდეს. ცხადია, არ იგულისხმება კრიმინალური ფორმები. გავრცელებულია არაფორმალური ეკონომიკის საქმიანობა, რომელიც თავისი მიზნებით არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, მაგრამ გამოყენებული საშუალებებით ხშირად სცდება კანონის ფარგლებს (მაგ. გადასახადების თავიდან აცილების სხვადასხვა გზები – შემოსავლების დაფარვა, გაუფორმებლად თანამშრომლის დაქირავება და სხვ). არ არსებობს სტატისტიკა იმისა, თუ რამდენი ადამიანი არის დასაქმებული არაფორმალურ სექტორში, მაგრამ ყველა ჩვენგანი ვიცნობთ ტაქსისტს, რეპეტიტორს, მცირე მეწარმეს, რომელიც გამოშვებული პროდუქციისა თუ მომსახურების ნაწილის საშემოსავლო გადასახადს არ იხდის. შეუძლებელია ამ გზით მიღებული შემოსავლების თუნდაც მიახლოებითი სიზუსტით დათვლა, მაგრამ არაფორმალური დასაქმება ხშირად ერთადერთი საარსებო საშუალებაა ადამიანებისათვის.

საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა და შესაბამისად დასაქმების სფეროში შექმნილი პრობლემები მნიშვნელოვანწილად განპირობებულია სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არა მარტო რაოდენობრივი, არამედ სტრუქტურული (პროფესიების მიხედვით) და ხარისხობრივი (კვალიფიკაციის მიხედვით) დისბალანსით. ადგილობრივ სამუშაო ძალას არ გააჩნია შრომის ბაზრის მიერ მოთხოვნილი უნარები. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს საერთაშორისო კონკურენციის ინდექსის ანგარიშიც, რომლის მიხედვითაც, საქართველოში ბიზნესის კეთების რიგით მე-2 წინაღობა არასაკმარისად მომზადებული სამუშაო ძალაა. ევროკავშირის ბევრი ქვეყნისაგან განსხვავებით, სადაც უმუშევრობა ნაკლებად განათლებულ მუშაკებშია კონცენტრირებული, საქართველოში უმუშევართა 50 პროცენტს საშუალო სკოლა აქვს დასრულებული, ხოლო 40 პროცენტს უმაღლესი განათლება აქვს.

გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგის მიხედვით საქართველოს შრომის ბაზრის ეფექტიანობის 10 კომპონენტიდან საუკეთესო პოზიციები აქვს, მუშახელის შემცირების ხარჯების, უარესი პოზიციები ტალანტების მოზიდვისა და შენარჩუნების მიხედვით და 137

ქვეყანას შორის 53-ე პოზიციაზეა. დღეს ბაზარზე ბევრი STEM (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ტექნოლოგიები, ინჟინერია და მათემატიკა) პროფესია ითვლება დეფიციტურად, თუმცა ამის მიუხედავად, რთულია ვიპოვოთ STEM სწავლების მიმართ დამსაქმებლებისა და სტუნდენტების აღქმებს შორის შესაბამისობა. მიუხედავად იმისა რომ სახელმწიფოს მიერ ფინანსდება შრომის ბაზარზე მოთხოვნადი საუნივერსიტეტო პროგრამები, მასზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა მცირეა, რაც საშუალო, საბაზისო განათლების სისტემაში რეფორმების აუცილებლობაზე მიგვითითებს.

ქართულ ბაზარზე ერთგვარ პარადოქსს აქვს ადგილი. ერთი მხრივ, არსებობს მაღალი მოთხოვნა კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე, მეორე მხრივ, არსებობს ჭარბი სამუშაო ძალა და მთავარი პრობლემა სწორედ არასათანადო კვალიფიკაციაა. პროფესიული სწავლება, რომელიც სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ და მიზანმიმართული სწავლების მეთოდით ახდენს კადრების მომზადებას ნაკლები პოპულარობით სარგებლობს. ეს პროფესიები არ მიიჩნევა მოდურად/პრესტიჟულად, აქედან გამომდინარე მოსახლეობის ნაწილს ურჩევნია ისევ ძველ სფეროში დაბალი კვალიფიკაციით განაგრძოს სამუშაოს ძებნა, ვიდრე ამ მოთხოვნად პროფესიას დაეუფლოს და მობილურობის პრინციპით, ახალი მიმართულებით შეძლოს უფრო მარტივად დასაქმება.

საგულისხმოა, რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს პრაქტიკულად ხელახლა სჭირდება გადამზადება, სასწავლო პროგრამებში ნაკლებია პრაქტიკაზე ორიენტირებული სასწავლო კურსები.

ასევე პარადოქსულია, რომ იზრდება უცხო ქვეყნის მოსახლეობის დასაქმების წილი, რის მიზეზადაც სახელდება სამუშაო ადგილების თავად უცხოელების მიერ შექმნა, როდესაც შემოსულ ინვესტორს ადგილზე არ ხვდება კვალიფიციური კადრი უხდება სამუშაო ძალის იმპორტიც. ეს ტენდენცია განსაკუთრებით აღინიშნება ისეთ სფეროებში, როგორებიცაა მშენებლობა, ტექნოლოგიური ინჟინერია, მაღალი რანგის მენეჯერები, მთავარი აღმასრულებელი პირები, სასტუმროს შეფ-მზარეულები და სხვ.

ეს ყოველივე კიდევ ერთხელ მიუთითებს პროფესიული განათლების და მისი პოპულარიზაციის მნიშვნელობაზე საზოგადოებაში.

ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა მუშახელის გადინება ქვეყნიდან. როცა ადამიანს არ აქვს არანაირი შემოსავალი, ის იძულებული ხდება საზღვარგარეთ წავიდეს, იმუშაოს ან სოციალური დახმარება მიიღოს. მიგრაციული პროცესები მძიმე გავლენას ახდენს დემოგრაფიულ პროცესებზე. გარდა ამისა, ეს პოტენციური სამუშაო ძალის (მიგრანტთა უმეტესობა აქტიურ სამუშაო ძალას მიეკუთვნება) დაკარგვაა, რომელსაც რეალურად შეეძლო ქვეყანაში წარმოების, მშპ-სა და საერთო კეთილდღეობის ზრდა. ამის სანაცვლოდ, საქართველო სჯერდება გზავნილებით ცხოვრებას და მომხმარებლურ ეკონომიკად ყალიბდება, რაც სამომავლოდ არ მოგვცემს დადებით შედეგებს.

როგორც ვხედავთ, საქართველოს შრომის ბაზრის გამართული ფუნქციონირება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ეს ფაქტორები განსხვავებული ხასიათისაა (დემოგრაფიული, ეკონომიკური, სოციალური, საკანონმდებლო, ორგანიზაციული, ინსტიტუციონალური). შრომითი ურთიერთობის სისტემა შრომის ბაზარზე ყალიბდება სამი ძირითადი კომპონენტისგან: დაქირავებული მუშაკები (და მათი კავშირები); დამქირავებლები (და მათი გაერთიანებები); სახელმწიფო (მისი ორგანოები).

მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში დასაქმების პოლიტიკის მოქმედება ეფუძნება შრომის ბაზრის აქტიურ და პასიურ რეგულირებას. საქართველოს შემთხვევაში, შრომის ბაზ-

რის რეგულირება, უმეტესწილად ხდება აქტიური სახელმწიფო დასაქმების პოლიტიკის გატარებით, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მიერ ინიცირებულ დასაქმების პროგრამებსა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის ბიზნესის სტიმულირებაში. ასეთ ღონისძიებებად შეიძლება ჩაითვალოს: სამუშაო ადგილების შექმნა, პროფესიული გადამზადება. მოსახლეობის დასაქმებისათვის დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება, ძირითადად, ხდება სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებით. ამდენად, საქართველოში დასაქმების პროგრამები, ძირითადად, ხორციელდება ცენტრალური ხელისუფლების მიერ. ასევე საინტერესოა, რა როლს ასრულებს დამსაქმებელის ქცევა უმუშევრობის დაძლევის მიმართულებით. სტიმულები, რომელიც დამსაქმებლის მხრიდან პოტენციური დასაქმებულისკენ მიემართება ხშირად აფრთხობს მას და უბიძგებს სამუშაო ძალის მიღმა გადგეს, დაკვალიფიცირდეს, როგორც იმედდაკარგული მუშახელი, ან, როგორც აღვნიშნეთ უცხოეთში ეძებოს საარსებო წყარო.

ამ მიმართულებით, ჩვენ ჩავატარეთ მიზნობრივი კვლევა. კვლევის მეთოდად ავირჩიეთ პირისპირი, ინდივიდუალური ინტერვიუს მეთოდი, რომელმაც დამატებითი კითხვების დასმის საშუალება მოგვცა.

კვლევის ამოცანა იყო შემდეგი ძირითადი საკითხების შესწავლა: სამუშაო ძალაზე პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევებისადმი დამსაქმებელთა მოთხოვნის შესწავლა; სამუშაო ძალის მოზიდვასთან დაკავშირებული სირთულეებისა და დასაქმებულის მოვალეობების მის კვალიფიკაციასთან შესაბამისობის გამოვლენა. გამოვიკითხეთ დაახლოებით 40 ადამიანი. კვლევის ობიექტები შევარჩიეთ ძირითადად 2 მიმართულებით - შედარებით მაღალი რანგის, ე.წ მენეჯერები და შედარებით დაბალი რანგის ე.წ კონსულტანტები.

აღმოჩნდა, რომ გამოკითხული კონსულტანტების 80%-მდე უკმაყოფილოა თავისი სამსახურით. ადამიანების ნაწილი მიზეზად ასახელებს დაბალ ანაზღაურებას, სამუშაო გრაფიკსა და მაღალ პასუხისმგებლობას შორის შეუსაბამობას. მაგალითად, კონსულტანტები მუშაობენ 40 საათზე მეტს, გადამეტებული სამუშაო საათები, ზეგანაკვეთური საათებია რომელსაც დამსაქმებელი არ ანაზღაურებს არც თანხობრივად და არც დასვენებით, რაც კანონდარღვევაა. კონსულტანტებს აბარიათ საკმაოდ მაღალი თანხის პროდუქცია და მათზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ. ასევე, თუ აღმოჩნდება დანაკლისი ნაშთში, ხოლო მიზეზი დაუდგენელია, კონსულტანტს ექვითება დანაკლისის ღირებულება ხელფასიდან, რომელიც ისედაც საკმაოდ დაბალი - 250-300 ლარია. საყურადღებოა, რომ დამსაქმებლები არ ითვალისწინებენ დროის ცვლილებას და ეკონომიკურ გარემოს. ანუ, როცა ცხოვრება ძვირდება, მოთხოვნილება იზრდება, ხელფასი ისევ იმ რაოდენობის რჩება, მაშინ როცა დასაქმებულს ეს თანხა არ ჰყოფნით ტრანსპორტსა და კვებაშიც კი. ბევრ ობიექტზე კონსულტანტს უწევს იყოს მოლარე, რაც ასევე საპასუხისმგებლო საქმეა და ამისდა მიუხედავად, ანაზღაურება რჩება იგივე, რაც კონსულტანტის პოზიციაზეა. დასაქმებულების აბსოლუტური უმრავლესობა არ იცნობს შრომის კოდექს, მინიმალურ დონეზეც კი. უჭირთ თავიანთი უფლებებისა და დამსაქმებლის ვალდებულებების ჩამოყალიბება, არ ეცნობიან ხელშეკრულებას დეტალურად. ეს ფაქტი დამსაქმებელს აძლევს საშუალებას ფლობდეს საბაზრო ძალაუფლებას. კომპანიები ნაკლებად ზრუნავენ დასაქმებულთა უფლებებზე და ცდილობენ მაქსიმალურად ნაკლები დანახარჯით შეინარჩნუნონ სამუშაო ძალა. ეს აისახება დასაქმებულთა ანაზღაურებაზე, მათ შრომით უფლებებზე, შრომით უსაფრთხოებაზე და სხვ. ეს კი ბუნებრივად იწვევს მუშახელის დეფიციტს, რომლებიც მიუხედავად მაღალი კვალიფიკაციისა უარს ამბობენ შეთავაზებულ პირობებზე. მათი ნაწილი გამოსავალს უცხო ქვეყნებში დასაქმებაში პოულობს, სადაც არსებულ პოზიციაზე თითქმის იგივე პირობებია, განსხვავება მხოლოდ ანაზღაურებაშია.

რაც შეეხება მენეჯერის პოზიციას, ავირჩიეთ ის ლოკაცია, სადაც ჩავატარეთ კვლევა კონსულტანტებზე. ჩვენი მიზანი იყო გაგვეგო დამსაქმებლის პოზიცია და გაგვეკეთებინა შედარებითი ანალიზი. თავდაპირველად დავინტერესდით იმით თუ რა ხერხს მიმართავენ მენეჯერები პერსონალის აყვანის დროს. გამოკითხვით მივიღეთ ინფორმაცია, რომ პირველ რიგში განიხილება კანდიდატები რომლებსაც სთავაზობენ ან თავიანთი ნაცნობები, ან კიდევ, არსებულ ობიექტში დასაქმებული პერსონალი. აღნიშნავენ, რომ ეს მარტივი პროცედურაა და ნაკლებ დანახარჯს მოითხოვს, თან ნდობის ფაქტორზე ამახვილებენ ყურადღებას. გარდა ამისა, იყენებენ აგრეთვე, ვაკანსიის გამოცხადების საფუძველზე პერსონალის შერჩევის წესსაც, რაც გაცილებით რთული პროცესია, ამას ემატება ონლაინ სივრცეში განთავსებული განცხადებები.

ექსპერიმენტის სახით მენეჯერს წარვუდგინეთ თავი, როგორც სამუშაოს მაძიებლებმა. გვინდოდა გაგვეგო რა კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი რომ კონსულტანტის პოზიციაზე დასაქმდეს, რას სთავაზობს სანაცვლოდ დამსაქმებელი (მენეჯერი) და როგორ მიმდინარეობს გასაუბრების პროცესი. აღმოჩნდა რომ, დამსაქმებელთა უმრავლესობა სასურველად მიიჩნევს უცხო ენის ცოდნას, რაც პრიორიტეტად ჩაგეთვლება. ინტერესდებიან ხარ თუ არა დაოჯახებული. ეს მიუთითებს იმაზე რომ მათთვის მნიშვნელოვანია თქვენი თავისუფალი დრო, რასაც შემდგომში მათ საკეთილდღეოდ იყენებენ. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ გამოცდილება აქ არსებით როლს არ თამაშობს, რადგანაც უცხო ენების მსგავსად აქაც აღნიშნავენ, სასურველია, ან პრიორიტეტად ჩაითვლება. გაცნობს ინფორმაციას შენს მოვალეობასა და პასუხისმგებლობაზე, სამუშაო გრაფიკზე (გევალება სამუშაო საათებში ფეხზე დგომა, პროდუქციის დალაგება/კონტროლი, პროდუქციაზე პასუხისმგებლობა, გევალება შეცვალო მოლარე და ა.შ). ასევე ყურადღებას ამახვილებენ რამდენად შეგიძლიათ სტრესულ სიტუაციაში მუშაობა. ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია რას ნიშნავდა სტრესულ სიტუაციაში მუშაობა, რამაც დამსაქმებლებში ცოტათი გაკვირვება გამოიწვია. როგორც აგვიხსნეს, გულისხმობდნენ მხოლოდ იმას, რომ შეუძლია თუ არა კონსულტანსტს იყოს საქმეზე ორიენტირებული, მაშინ როცა აქვს პირადი პრობლემა. გაგვიჩნდა შეკითხვა სამუშაო გრაფიკთან დაკავშირებით, ზეგანაკვეთური მუშაობის ანაზღაურების შესახებ და ა.შ. გამოკითხულ დამსაქმებელთა თითქმის 100% უარყოფს დასაქმებულის უფლებების დარღვევას, ამბობენ, რომ ზეგანაკვეთური მუშაობა არ არის კანონდარღვევა და აღნიშნავენ, რომ ეს ყველაფერი გათვალისწინებულია შრომითი ხელშეკრულებით.

და ბოლოს, კვლევამ აჩვენა - მიუხედავად იმისა, რომ მენეჯერები დასაქმების პროცესში ფიქრობენ მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური მოგების მიღებას დასაქმებულთა შრომის ხარჯზე, აღიარებენ რომ ვერ ღებულობენ სასურველ შედეგს. ეს აიხსნება შემდეგით: თავიანთი დასაქმების პირობების გამო ხშირად ხდება პერსონალის დენადობა. ითხოვენ პერსონალისაგან მომსახურების მაღალ დონეს (რაც მომხმარებლის რაოდენობას განსაზღვრავს) რასაც ვერ იღებენ პერსონალის შერჩევის არასწორი პოლიტიკის გამო. მიუხედავად იმისა, რომ საჭიროა მაღალკვალიფიციური პერსონალი, ასაქმებენ დაბალკვალიფიციურს, რადგანაც თავადაც იციან, რომ თავიანთი პირობებით სათანადო კანდიდატს ვერ დააინტერესებენ. გარდა ამისა, დავინტერესდით ხდებოდა თუ არა არსებული პერსონალის გადამზადება, რაზედაც გვიპასუხეს, რომ არ ყოფნით ფინანური რესურსები საამისოდ. ხოლო კითხვაზე თუ რა კატეგორიის თანამშრომელთა მოძიება უჭირთ, რესპოდენტები ასახელებდნენ საშუალო განათლების კვალიფიციურ კადრებს. არაკვალიფიციური მენეჯერული მიდგომა მომუშავეს უკარგავს სტიმულს საკუთარი ძალები ბოლომდე დახარჯოს, რადგანაც არ უფასდება, პერსონალის პროდუქტიულობა იკლებს, რაც მომსახურებაზე აისახება და ეს თავის მხრივ ფირმის შემოსავალზეც ახდენს გავ-

ლენას. შედეგი ცალსახაა, ეს პროცესი პირდაპირპროპორციულად აისახება ეკონომიკურ აქტივობაზე.

შრომის ბაზარზე არსებული პრობლემების შესწავლისა და ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები:

- საჭიროა ამაღლდეს როგორც დასაქმებულთა და დამსაქმებელთა, ასევე უმუშევართა ინფორმირებულება მათი შრომითი და სოციალური უფლებების საკითხებში, საჭიროა მოხდეს შრომის კანონმდებლობის სრულყოფა, არსებული ნორმების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება, შრომის პირობების ინპექტირება;
- დასაქმებულთა აღრიცხვის არსებული მეთოდოლოგია არასრულად ასახავს დასაქმებულთა რეალურ რაოდენობრივ მაჩვენებლებს, საჭიროა მისი მოდიფიცირება;
- საქართველოში შრომის ბაზრის ძირითადი პრობლემაა არა შრომაზე მცირე მოთხოვნა და სამუშაო ძალის მიწოდების ნაკლებობა, არამედ სტრუქტურული შეუთავსებლობა, კადრების დაბალკვალიფიციურობა, მათი პროდუქტიულობის დაბალი დონე;
- მოსაწესრიგებელია შრომის ანაზღაურების სისტემა, რაც აისახება დასაქმებულთა სტიმულებზე;
- საქართველოს დემოგრაფიული მაჩვენებლები და მიგრაციული პროცესები ნეგატიურ გავლენას ახდენს დასაქმების პოლიტიკაზე, მიგრანტებისათვის უნდა შემუშავდეს გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი ღირსეული ცხოვრების ხელშემწყობი პირობები;
- საჭირო პერსონალის მოძიება-მოზიდვისას დამსაქმებელთა დიდი ნაწილი ეყრდნობა პირად კონტაქტებსა და რეკომენდაციებს, ნაკლებად თანამშრომლობენ დასაქმების სააგენტოსთან, უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, უნდა გაძლიერდეს დასაქმების ხელშემწყობი სამსახურის მუშაობა, ამაღლდეს მისი ცნობადობა, უნდა შეფასდეს არსებული დასაქმების პოლიტიკის პროგრამების ეფექტიანობა, დაწესდეს მონიტორინგი მათ შესრულებაზე;
- კადრების მომზადების სისტემა ნაკლებად არის ორიენტირებული შრომის ბაზარზე, არ არსებობს პროფესიული სწავლების პროგრამების შედეგების ეფექტურობის შეფასების სისტემა, უმაღლესი განათლება ეფუძნება ასიმეტრიულ მოთხოვნას, რომელიც რამდენიმე დომინირებული პროფესიით შემოიფარგლება, უნდა შემუშავდეს სისტემური მიდგომა, ერთობლივი პოლიტიკა დამსაქმებლებსა და განათლების სისტემას შორის, რაც მიმართული იქნება დისბალანსის აღმოფხვრისაკენ;
- დამსაქმებელთა ძალიან მცირე ნაწილი არის ორიენტირებული თავად დაეხმაროს საკუთარ საწარმოში დასაქმებულ პერსონალს კვალიფიკაციის ამაღლებაში, უნდა დაინერგოს მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის პრინციპი.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ალექსანდრა აროშვილი. (სექტემბერი, 2016). ანტისოციალური პოლიტიკა საქართველოში: განათლება და შრომის ბაზარი (ნაწილი II) ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC). მოძიებულია აპრილი, 2018. https://emc.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-

%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98-Edited.pdf

2. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. (დეკემბერი, 2017). საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი. მოძიებულია აპრილი, 2018. http://migration.commission.ge/files/migraciis_profili_2017_a4_new.pdf
3. საქართველოს მთავრობა. (აპრილი, 2016). შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება. მოძიებულია აპრილი, 2018. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3245367
4. საქართველოს პარლამენტი. (დეკემბერი, 2010). საქართველოს ორგანული კანონი - საქართველოს შრომის კოდექსი. მოძიებულია აპრილი, 2018. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567
5. სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (მაისი, 2017). დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში 2016 (წლიური). მოძიებულია აპრილი, 2018. http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/labour/dasaqmeba-umushevroba%202016_GEO.pdf
6. Klaus Schwab, World Economic Forum. (სექტემბერი, 2017). Insight Report The Global Competitiveness Report 2017–2018. მოძიებულია აპრილი, 2018. http://www3.weforum.org/docs/GCR2017-2018/05FullReport/TheGlobalCompetitivenessReport2017%E2%80%932018.pdf

## მოსახლეობის შრომითი მიგრაცია, როგორც გლობალური პრობლემა

***კოპალაძე ანა*** *– ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის I კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი* ***ვირსალაძე ნაირა*** *– ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

## Labor Migration as a Global Issue

***Kopaladze Ana*** *– Master's Student, Economics, I year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

*Supervisor* ***Virsaladze Naira*** *– Doctor in Economics, Associate Professor, Department of Economics, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

### Abstract

**Introduction and aim:** Labor migration is a migration of population from one country to another for working purposes, which last longer than one year. As labor migration is related to crossing borders, it is considered to be international phenomenon. Migration is a subject of various conventions, agreements and international regulations. The process of labor migration is linked to the various factors, such as social-economic condition of the respective country, efficiency of the employment policy and creation of work places, demographical aspects, measures against human trafficking and etc.

Major reason of labor migration is social-economic issues. Labor migration is an urgent topic for donor as well as host countries. Donor and host countries consider the increasing number of migration as an inseparable part of national development and employment strategy. Donor countries gain benefits from migration, as it alleviates the unemployment pressure; improves the situation with the help of monetary transfers; supports knowledge transfer and formation of business-links. In the receiving countries, where there is a lack of labor force, the condition gets better and the mobility becomes effective.

Migration is not only demographical, but also serious social, economic and political problem and creates various issues in a wide range of the countries in the world. The indicated circumstances attracted my interest to carry out the analysis of the causes and results of labor migration on the basis of official

statistical information. In addition, I would also like to speak about global problems as the outcomes of labor migration.

**Research methodology:** The article is based on dialectic, statistical analysis and other methods.

**Results and implications:** The research indicated that the labor migration is a serious global problem, which is represented in Georgia as well. Labor migration causes a wide range of problems in donor as well as in host countries. As a result of the labor migration, the population of working age leaves the country and moves to another country, which violates sex-age structure of the respective country, the share of aged part of population increases and etc. as a result of labor migration, criminal and terrorism, human trafficking increases in the host countries, there are cases of racism and ethnic tension, transmission of the diseases, decrease of the number of working places for local population and etc.

**Keywords:** Labor migration, donor country, host country, migration of working-age population.

## აბსტრაქტი

**შესავალი და მიზანი:** შრომითი რესურსების მიგრაციაში იგულისხმება შრომისუნარიანი მოსახლეობის გადაადგილება ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში ხანგრძლივი პერიოდით (როგორც წესი, ერთ წელზე მეტი ხნით). რამდენადაც შრომითი მიგრაცია დაკავშირებულია საზღვრის კვეთისა და გადაადგილების საკითხებთან, ის საერთაშორისო ფენომენია. მიგრაცია მრავალი კონვენციისა და შეთანხმების მიზეზი და საერთაშორისო რეგულირების საგანია. შრომითი მიგრაციისა და დასაქმების მიზნით გადაადგილების პროცესი დაკავშირებულია ისეთ ფაქტორებთან, როგორებიცაა: ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური ვითარება, სამუშაო ადგილების შექმნისა და დასაქმების პოლიტიკის ეფექტურობა, დემოგრაფიული ასპექტები, ტრეფიკინგთან ბრძოლის საკითხები და სხვა.

შრომითი მიგრაციების მთავარი მიზეზი სოციალურ–ეკონომიკური პრობლემებია. შრომითი მიგრაცია, როგორც გამგზავნი, ისე მიმღები ქვეყნებისთვის აქტუალურია. წარმგზავნი და მიმღები ქვეყნები შრომითი მიგრაციის მზარდ რიცხვს განიხილავენ, როგორც ეროვნული განვითარებისა და დასაქმების სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს. წარმგზავნი ქვეყნები შრომითი მიგრაციისაგან იღებენ სარგებელს, რადგან იგი ამსუბუქებს უმუშევრობის წნეხს; ფულადი გზავნილების საშუალებით აუმჯობესებს ვითარებას; ხელს უწყობს ცოდნის გადაცემას და ბიზნეს-ქსელების ჩამოყალიბებას. მიგრანტთა მიმღებ ქვეყნებში, სადაც სამუშაო ძალის დეფიციტია, სათანადოდ ორგანიზებული შრომითი მიგრაციის დროს მსუბუქდება მდგომარეობა და უფრო ეფექტური ხდება მობილობა.

მიგრაცია არამხოლოდ დემოგრაფიული, არამედ სერიოზული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლამაც არის და არაერთ სირთულეს ქმნის მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში. აღნიშნულმა გარემოებებმა გამოიწვია ჩემი ინტერესი ოფიციალურ სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით მომეხდინა შრომითი მიგრაციის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების ანალიზი. ასევე მესაუბრა გლობალურ პრობლემებზე,როგორც შრომითი მიგრაციის შედეგებზე.

**კვლევის მეთოდოლოგია:** სტატიაში გამოყენებულია დიალექტიკური, სტატისტიკური დაკვირვების, ანალიზის და სხვა მეთოდები.

**შედეგები და იმპლიკაციები:** კვლევამ აჩვენა, რომ შრომითი მიგრაციის პრობლემები, როგორც გლობალურად, ისე საქართველოს მასშტაბით მწვავედ დგას. შრომითი მიგრაცია მთელ რიგ პრობლემებს იწვევს, როგორც მიმღებ, ისე გამცემ ქვეყნებში. შრომითი მიგრაციის შედეგად გამცემი ქვეყნებიდან ძირითადად სამუშაო ასაკის მოსახლეობა გაედინება, ირღვევა ამ ქვეყნის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, იმატებს ასაკოვანი მოსახლეობის ხვედრითი წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში და ა. შ. შრომითი მიგრაციის შედეგად მიმღებ ქვეყნებში იზრდება კრიმინალი და ტერორიზმი, ტრეფიკინგი, გვხვდება რასიზმი და სხვა ეთნიკური დაძაბულობები, ვრცელდება დაავადებები, მცირდება სამუშაო ადგილები ადგილობრივი მოსახლეობისთვის და ა. შ.

**საკვანძო სიტყვები:** შრომითი მიგრაცია,მიმღები ქვეყანა, გამცემი ქვეყანა, შრომისუნარიანი მოსახლეობის გადაადგილება.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია მსოფლიო თანამეგობრობისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახდა. საერთაშორისო მიგრაცია არის მოსახლეობის მასობრივი გადაადგილება სახელმწიფოებს შორის, რომელიც საგრძნობლად ცვლის განსახლების საერთო სურათსა და ცალკეული ქვეყნების მოსახლეობის დემოგრაფიულ, სოციალურ და რასობრივ-ეთნიკურ სტრუქტურას.

საერთაშორისო მიგრაცია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მიგრაციის გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური, რელიგიური, სოციალურ-კულტურული, ბუნებრივ-ეკოლოგიური და სხვა.

**1951 წელს დაარსდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია** (*International Organization for Migration* - **IOM**) — სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაცია, რათა მეორე მსოფლიო ომის შედეგად გადაადგილებულ ხალხს დახმარებოდა. ამჟამად, ეს ორგანიზაცია მთელი მსოფლიოს მასშტაბით ხელს უწყობს ჰუმანურ და მოწესრიგებულ მიგრაციას მთავრობებისა და მიგრანტთათვის სტრატეგიული და პროგრამული საჭიროებების უზრუნველყოფით. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მისია 1993 წელს დაფუძნდა. მისი მიზანია დახმარება გაუწიოს საქართველოს მთავრობას მიგრაციის მართვის ერთიანი და სრულყოფილი სისტემის ჩამოყალიბებაში.

**მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ქვეყნები**



იისფერი: წევრი ქვეყნები

ლურჯი: დამკვირვებელი ქვეყნები

ამჟამად,საერთაშორისო მიგრანტთა რაოდენობა, გაეროს მონაცემებით, 214 მილიონს უტოლდება. თუ ზრდის ტემპი გაგრძელდა, 2050 წლისთვის მათმა რიცხვმა შესაძლოა 405 მილიონს მიაღწიოს. ეს მაჩვენებელი ყველაზე უკეთ წარმოაჩენს პრობლემის გლობალურ ხასიათსა და მასშტაბს.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (შსო) და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (მსო) შრომით მიგრაციას განსაზღვრავს, როგორც «მოსახლეობის გადაადგილებას მშობლიური ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში დასაქმების მიზნით».

შრომითი მიგრაციისა და მიგრანტის სწორად განსაზღვრას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მიერ მიგრაციული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და პროცესების მართვისათვის საჭირო ბერკეტების შესამუშავებლად.

შრომითი მიგრაცია წარმოდგენილია შრომისუნარიანი ასაკის ადამიანებით, რომლებიც ტოვებენ სამშობლოს და გარკვეული ვადით უფრო მაღალი ანაზღაურების საძებრად მიემართებიან სხვა ქვეყნებში.შრომითი რესურსების საერთაშორისო მიგრაციაში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ძირითადი კატეგორიები:

- ✓ **საერთაშორისო შრომითი მიგრანტები;**
- ✓ **შრომითი რესურსების იმპორტიორი ;**
- ✓ **შრომითი რესურსების ექსპორტიორი ქვეყნები.**

**საერთაშორისო შრომითი მიგრანტი** - ესაა, პირი, რომელიც ქვეყნიდან გადის უცხოეთში ძირითადად უფრო მეტი ანაზღაურების მიღების, ან სხვა მიზნით, იქნება ეს ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების სურვილი, თუ რელიგიური შეხედულებების გამო;

**შრომითი რესურსების იმპორტიორი ქვეყანა** - ესაა ის ქვეყანა, რომელიც მუდმივად ღებულობს შრომით მიგრანტებს სხვადასხვა ქვეყნებიდან;

**შრომითი რესურსების ექსპორტიორი ქვეყანა** ის ქვეყანა, საიდანაც შრომითი ასაკის პირები სისტემატურად გადიან უცხო ქვეყნებში, ძირითადად მაღალანაზღაურებადი სამუშაოს საძებნელად.

შრომით მიგრაცია, როგორც ადამიანთა დინამიურ, მოქნილ და ყველაზე დიდ მიგრაციული ნაკადი, სტიმულირდება მძიმე ეკონომიკური სიტუაციით. მოსახლეობის გადასახლებისაგან განსხვავებით, შრომითი მიგრაცია არ ნიშნავს საცხოვრებელი ადგილის სამუდამოდ შეცვლას, ყოველ შემთხვევაში, თავდაპირველ პერიოდში. იგი უკავშირდება შრომის ანაზღაურებას და გამომუშავებული თანხით განსაზღვრული პერიოდის ბოლოს უკან დაბრუნებას.

დროებითმა შრომითმა მიგრაციამ შეიძლება მიიღოს სტაციონარული ხასიათი და გადაიქცეს მუდმივ ემიგრაციად, რომელსაც შრომითი მიგრაციისთვის დამახასიათებელი მთავარი ნიშანი-მიგრანტის შრომითი საქმიანობის ანაზღაურება საზღვარგარეთ და უცხოელი დამქირავებლისგან მიღებული შემოსავლის გადაგზავნა სამშობლოში-დაკარგული აქვს.

საერთაშორისო შრომით მიგრაცია შეიძლება იყოს ხანგრძლივვადიანი, დროებითი, ნებაყოფლობითი, ლეგალური, არალეგალური, უკანონო, სეზონური, ქანქარისებური, საზღვრისპირა, კომერციული, ეპიზოდური, სასწავლო.

შრომითი რესურსების საერთაშორისო მიგრაციის მასშტაბების ზრდაზე, უდიდეს გავლენას ახდენს მსოფლიოში წარმოების ინტერნაციონალიზაციის, გლობალიზაციის და ქვეყანათა შორის ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესები. ეს წარმოშობს შრომითი რესურსების საერთაშორისო მიგრაციის პროცესის სისტემატიზაციისა და რეგულირების აუცილებლობას. სწორედ ამ მიზნით შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ იქნა შრომითი რესურსების საერთაშორისო მიგრაციის სახეების კლასიფიკაცია, რომელიც ხუთ ძირითად ტიპს მოიცავს, ესენია:

1. **კონტრაქტით მომუშავენი,** სადაც ნათლად არის მითითებული თუ რა ვადით აქვს მუშას მიმღებ ქვეყანაში დარჩენის უფლება;
2. **პროფესიონალები,** რომლებიც გამოირჩევიან მომზადების მაღალი დონით, შესაბამისი განათლებითა და მუშაობის პრაქტიკული გამოცდილებით. ამავე ჯგუფსმიეკუთვნება პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები;
3. **არალეგალური მიგრანტები,** რომელთა რიგებში შედიან ის უცხოელები, რომლებიც ქვეყანაში იმყოფებიან ტურისტული ვიზებით, მაგრამ ეწევიან შრომით საქმიანობას;
4. **მიგრანტები,** რომლებიც იცვლიან მუდმივ საცხოვრებელ ადგილს. მიგრანტთა ეს ჯგუფი უპირველეს ყოვლისა ორიენტირებულია მრეწველურად განვითარებული ქვეყნებისკენ;

5. **ლტოლვილები -** პირები, რომლებიც იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილები იმის გამო, რომ მათ სიცოცხლეს, ან საქმიანობას საშიშროება ემუქრებოდა.

შრომით მიგრაციას განასხვავებენ ეკონომიკური მიგრაციისგან. ეკონომიკური მიგრაცია შეიძლება იყოს მუდმივიც, რაც დაკავშირებულია იმიგრანტ-ინვესტორებთან და ტრანსნაციონალურ კორპორაციების შექმნასთან. ხშირად შრომითი მიგრაცია ახსნილია, როგორც მიგრანტთა რაციონალური არჩევანი, როდესაც იციან გადაადგილების დანახარჯები და მისგან მიღებული შესაძლო მოგება. იგი შრომის ანაზღაურების ყველაზე ხელმისაწვდომ საშუალებად განიხილება, მათ შორის მათთვისაც, ვინც ვერ იპოვა თავისი ადგილი ეროვნულ შრომის ბაზარზე ან, საერთოდ, იგნორირებული იქნა მის მიერ.

დონორ ქვეყანაში ემიგრაცია ხელს უწყობს უმუშევრობის დონის შემცირებას და ამცირებს სოციალურ დაძაბულობას, თუმცა ამ შემთხვევასაც აქვს მეორე მხარე-ემიგრაციაში დონორი ქვეყნის მოსახლეობის მცირე ნაწილი მონაწილეობს და უმუშევრობის პრობლემას ამით ვერ გადაწყვეტს, ამასთან, მუშახელის ნაკლებობამ შეიძლება ხელფასების ინფლაცია გამოიწვიოს (იშვიათი შემთხვევაა; აღინიშნა ზოგიერთ აფრიკულ ქვეყანაში). გარკვეულ სექტორში შეიძლება შემცირდეს უმუშევრობა (მაგალითად, ემიგრანტთა პროფესიის მქონეთ უკვე უადვილდებათ სამუშაოს მოძებნა), მაგრამ ზოგიერთი სფერო ისევ ისე შევსებულია. დამქირავებლები უპირატესობას იმას ანიჭებენ, ვინც უკვე მუშაობს, რადგან თავიდან აიცილონ ახალი მუშახელის მომზადება. მათ ურჩევნიათ, კაპიტალი უფრო მეტად ტექნოლოგიებში დააბანდონ და წარმოება ამ გზით განავითარონ.

დონორი ქვეყნებისათვის მეტად სავალალოა ინტელექტუალური სამუშაო ძალის გადინება - დღეს მსოფლიოს შრომის ბაზრის უდიდესი ცენტრები იზიდავენ უმეტესად უკვე კვალიფიცირებულ, უმაღლესი ტექნოლოგიების სპეციალისტებს. ისევე, როგორც სავაჭრო ბარიერების შემოღებისას, იმიგრაციული შეზღუდვების შედეგად მსოფლიოს არაკვალიფიციური სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი ნაწილი სუსტი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ჩაკეტილი რჩება. გამგზავნი ქვეყანა კი კარგავს ყველაზე ენთუზიასტ და უნარიან ახალგაზრდობას, მათ პროფესიულ მომზადებასა და განათლებაზე გაწეულ დანახარჯებს.

**დემოგრაფიული ეფექტი** ისაა, რომ ემიგრაციამ გამგზავნ ქვეყანაში შეიძლება შეამციროს მოსახლეობის სიმჭიდროვე და ის პრობლემები, რომლებიც ზრდასრული მუშახელის დაკმაყოფილებას ესაჭიროება. მაგრამ ამ დროს იზრდება დამოკიდებული მოსახლეობის (ეკონომიკურად არააქტიური)-ბავშვთა და ხანდაზმულთა-ხვედრითი წილი. ზოგი ქვეყანა შეიძლება დეპოპულაციის საფრთხის წინაშეც კი დადგეს.

რეპროდუქციულ ასაკში მყოფი ახალგაზრდების იმიგრაცია კი მომგებიანია, როცა მიმღები ქვეყანა ხასიათდება დაბალი შობადობით, მაგრამ წინააღმდეგ შემთხვევაში დემოგრაფიული დატვირთვის წინაპირობას ქმნის.

**სოციალური ეფექტი**–სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტებს ახალ უფრო კულტურულ გარემოში შეძენილი ღირებულებები და ჩვევები თან ჩამოაქვთ.

როგორც ცნობილია, შრომითი მიგრანტების უმეტესობა მამაკაცებია, რაც ოჯახში ქალთა პასუხისმგებლობას და როლს ზრდის, ბავშვები მოკლებულნი არიან მამის მზრუნველობას, სუსტდება ოჯახური ურთიერთობები, წარმოიშობა თაობათა შორის კონფლიქტი. თუმცა კვლევებმა აჩვენა, რომ ოჯახი, რომელიც შრომითი მიგრაციიდან ღებულობს ეკონომიკურად მაღალ ეფექტს, უმეტესად არის სრული შემადგენლობის ოთხსულიანი ოჯახი ერთი ან ორი მცირეწლოვანი ბავშვითა და სათავეში მამაკაცით.

მართლაც, გაცილებით დიდი პრობლემაა საერთაშორისო მიგრაციები,რომელიც ძალიან გახშირდა და გამწვავდა. 2015 წლის ევროკავშირის სასაზღვრო უწყების „ფრონტექსის" მონაცემებით ევროპის სახელმწიფოებში 710 ათას მიგრანტზე მეტი ჩავიდა, რამაც უკიდურესად დაძაბა სასაზღვრო ქვეყნების მდგომარეობა. რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ იტალია, მალტა და საბერძნეთი, რის გამოც ისინი იძულებულები არიან დაარღვიონ დუბლინის რეგულაცია, რაც მთელ რიგ პრობლემებს იწვევს ევროპაში. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით საბერძნეთის საზღვრებს ყოველ კვირას ადგება 9 000 მიგრანტი,რაც მიმდინარე კრიზისულ პერიოდში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

ქვეყნებს შიგნით მიმდინარეობს მთელი რიგი დაძაბულობები ადგილობრივ მოსახლეობასა და მიგრანტებს შორის როგორებიცაა რასიზმი და სხვა ეთნიკური დაძაბულობები. დღესდღეობით რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ ევროპის ქვეყნები. ამ ქვეყნებში იმატა კრიმინალმა და ტერორიზმის სახეებმა. ევროკავშირმა დააწესა კვოტების სისტემა. კვოტების შემოღების წინააღმდეგნი იყვნენ უნგრეთი, რუმინეთი, ჩეხეთი, ფინეთი და სლოვაკეთი, თუმცა ხმათა უმრავლესობით ევროკავშირმა შემოიღო ეს სისტემა. ამჟამად,მიმდინარეობს ქვეყნებში აღრიცხვები და უახლოეს მომავალში დადგინდება თუ რომელ ქვეყანაში რამდენი მიგრანტი შევა.

**საერთაშორისო მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემებია:**

1. რასობრივი;
2. კულტურული;
3. რელიგიური;
4. ენობრივი ბარიერი;
5. განათლება;
6. კვალიფიკაციის დაბალი დონე და ცხოვრების განსხვავებული სტილი და ტრადიციები;
7. კონკურენტული სამუშაო ძალა;
8. ქსენოფობია;
9. რასიზმი;
10. მაწანწალები;
11. კრიმინალები;
12. უსახლკაროები;
13. დაავადებები;
14. ნოსტალგია.

**მიგრაცია პრობლემაა არა მარტო მიმღები, არამედ გამცემი ქვეყნებისთვის:**

1. ირღვევა ასაკობრივი სტრუქტურა (მიგრაციაში ახალგაზრდები მიდიან);
2. შობადობა იკლებს;
3. მუშახელის ნაკლებობა;
4. კვალიფიცირებული კადრების ნაკლებობა;
5. თანხები, რაც სახელმწიფომ დახარჯა თავის მოქალაქეზე (ანუ ინვესტიციები) იკარგება;
6. პიროვნული ოჯახის რღვევა, ნოსტალგია.

ამრიგად, საერთაშორისო მიგრაციას მოაქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები როგორც მიმღები, ისე გამცემი ქვეყნისათვის. ამიტომ ეს საკითხი საერთაშორისო ინსტიტუტების და მეცნიერ მკვლევარების მიერ სათანადო შესწავლას და ქვეყნებს შორის საკითხების დარეგულირებას მოითხოვს.

**როგორია საქართველოს მოსახლეობის გარემიგრაციული პროცესები გაღრმავებული ინტერნაციონალიზაციის და გლობალიზაციის პირობებში?**

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოდან მოსახლეობის ინტენსიური გასვლა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო. იმ პერიოდში საქართველოს მოსახლეობის მიგრაციული კლების ძირითადი მიზეზი გახლდათ ის, რომ ეროვნული შემოსავლის მოცულობა ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით საბჭოთა კავშირში 30,0%-ით აღემატებოდა საქართველოს შესაბამის მაჩვენებელს. პოსტსაბჭოთა პერიოდში განვითარებული მრავალმხრივი კრიზისის შედეგად ცხოვრების დონის კიდევ უფრო დაცემამ კი აიძულა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ფიზიკური გადარჩენისათვის გამოსავალი საზღვარგარეთ დასაქმებაში ეძებნა.

ასევე უნდა აღინიშნოს,რომ ეს პროცესები დღემდე ინტენსიურად მიმდინარეობს.

| წელი | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მიგრაციული სალდო (ათასი კაცი) | -27.8 | -27.5 | 5.5 | 76.3 | -12.1 | -20.7 | -10.2 | 34.2 |

| წელი | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მიგრაციული სალდო (ათასი კაცი) | 18.1 | 20.2 | -21.5 | -2.6 | -6.5 | -3.4 | -8.1 | -2.2 |









მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის განმარტებით, საქართველოდან წასულ ემიგრანტთა 92% მიმღებ ქვეყანაში არალეგალური სტატუსით იმყოფება, რის გამოც მიგრანტების უმეტესი ნაწილი ვერ ახერხებს საკუთარი კვალიფიკაციის გამოყენებას, მუშაობს არაპროფესიით, ასრულებს ჯანმრთელობისათვის საზიანო, დამამცირებელ და, ამასთან, დაბალანაზღაურებად სამუშაოს. თავისი პროფესიით შრომით მიგრანტთა მხოლოდ 5%-ია დასაქმებული. საერთოდ კი შრომით მიგრანტებში სჭარბობს ქალები. გამოკითხვის მიხედვით უკან დაბრუნებული მიგრანტების 91%-ს არა თუ ახალი უნარები აქვს შეძენილი, არამედ ძველიც დაკარგული აქვს და დისკვალიფიცირებულნი არიან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ბოლო პერიოდში შრომითი ემიგრაციის თემა ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო და უფრო აქტუალურია. საქართველოში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, თითქმის ყოველ მე-10 ოჯახში ერთი ან რამდენიმე წევრი იმყოფება ემიგრაციაში. სიღარიბემ და უმუშევრობის მაღალმა დონემ, დასაქმებულთა დაბალმა ანაზღაურებამ უბიძგა მოსახლეობის დიდ ნაწილს ეძებნა სამსახური საზღვარგარეთ და იქედან მიღებული შემოსავლით ერჩინათ საქართველოში დარჩენილი თავიანთი ოჯახის წევრები. ფინანსური დახმარება, რომელსაც ქართველი ემიგრანტები თავიანთ ოჯახებს უგზავნიან, საკმაოდ სერიოზულ როლს თამაშობს და მათი ოჯახების შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ეკონომიკის

ექსპერტთა შეფასებით **შრომითი მიგრაცია რომ არა, სიღარიბის მაჩვენებელი საქართველოში ბევრად უფრო მაღალი იქნებოდა.** შრომითი მიგრაციის ძირითადი მიზეზი უმეტესად უკეთეს სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში ცხოვრების სურვილია. შრომითი მიგრანტების დაახლოებით 80% სწორედ ამ მოტივით მიდის ქვეყნიდან.

მართალია, შრომითი მიგრაციის დადებითი მხარე ქვეყნის ეკონომიკის გადარჩენის სტრატეგიაა, რაზედაც მეტყველებს ის ფულადი გზავნილები, რომელსაც შრომითი მიგრანტები თავიანთ ოჯახის წევრებს უგზავნიან, მაგრამ, დადებით მხარესთან ერთად შრომითი მიგრაციას აქვს უამრავი უარყოფითი მხარე: მიგრაციის უარყოფითი სალდოს პირობებში იგი აუარესებს ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობას; ქვეყნის შრომის ბაზარს აკლდება მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა; შრომითი ემიგრაციის დროს თითქოს მცირდება შიგა ბაზარზე დაუსაქმებელი მოსახლეობის ხვედრითი წილი, მაგრამ მეორე მხრივ, უარესდება შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის ხარისხი.

პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში სტაბლური მიგრაციული კლების გამო დაირღვა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, შემცირდა რეპროდუქციული ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი, მოხდა მთლიანი მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება, რაც უარყოფითად აისახა როგორც შობადობის, ისე მოკვდაობის დონეზე (ეს გამოწვეულია იმით, რომ მიგრაციაში ძირითადად ჩართულია 16-49 წლის ასაკის მოსახლეობა, მათი ხვედრითი წილი მთლიან მოსახლეობაში 47.6%-ის ტოლია, ხოლო მიგრანტებში 74.7%-ს აღწევს).

2014 წლის მოსახლეობის აღწერამ აჩვენა,რომ ემიგრირებულთა ძირითად ნაწილს 20-54 ასაკობრივი ინტერვალის მოსახლეობა (ემიგრანტების 75,1 პროცენტი) შეადგენს. 39 წლამდე ასაკის ემიგრანტებში მამაკაცები ჭარბობენ ქალებს, ხოლო 40 წლის და უფროსი ასაკის ემიგრანტებში საპირისპირო სურათი გვაქვს და ქალების რაოდენობა აღემატება მამაკაცთა რაოდენობას. 50 წლისა და უფროსი ასაკის ემიგრანტი ქალები 2-ჯერ მეტია შესაბამისი ასაკის ემიგრანტ მამაკაცთა რაოდენობაზე.




როგორც აღწერის შედეგებმა აჩვენა, ემიგრანტთა ყველაზე დიდი ნაწილი ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში (21,7 %), საბერძნეთში (15,9%)და თურქეთში (11,2 %).




რუსეთის ფედერაციაში, საფრანგეთში, უკრაინაში და აზერბაიჯანში ემიგრირებულთა უმრავლესობას მამაკაცები შეადგენენ, ხოლო საბერძნეთში, თურქეთში, იტალიაში, გერმანიაში, აშშ-ში და ესპანეთში ემიგრანტი ქალები ჭარბობენ.




2017 წელს ემიგრანტების რიცხოვნობამ 85 451 კაცი, ხოლო იმიგრანტების რიცხოვნობამ 83 239 კაცი შეადგინა. იმავე პერიოდში მიგრაციული სალდოს (სხვაობა იმიგრანტებისა და ემიგრანტების რიცხოვნობას შორის) უარყოფითი მაჩვენებელი (-2 212) დაფიქსირდა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოებისა და შრომის გლობალიზაციამ მასიური ხასიათი მისცა მოსახლეობის მიგრაციის უპრეცედენტო მასშტაბებს. ეს პირველ რიგში ეხება მიგრაციულ ნაკადებს გლობალური სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ,ანუ განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებული სახელმწიფოებისაკენ. განსაკუთრებულ პრობლემას ის ქმნის, რომ მიგრანტთა მნიშვნელოვანი ნაწილი არალეგალურ მიგრანტებს მიეკუთვნება.

მიგრაცია თავისი გამომწვევი მიზეზების მიხედვით შეიძლება იყოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული, რელიგიური თუ ეკოლოგიური ხასიათის. განვითარებადი სამყაროდან განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარე მიგრაციული პროცესები, როგორც წესი, ეკონომიკური ხასიათისაა.

ყველას, ვინც ახალ ქვეყანაში ემიგრაციაში მიდის, იმედი აქვს,რომ იშოვის უკეთეს სამუშაოს, მატერიალურად უკეთ იქნება უზრუნველყოფილი და უკეთესი საცხოვრებელი პი-

რობები ექნება, ვიდრე სამშობლოში ჰქონდა. მაგრამ მიმღები ქვეყანაც არ არის ვალდებული უზრუნველყოს მიგრანტთა სულ უფრო და უფრო მზარდი რაოდენობა.მიგრანტები იაფი მუშა ხელია მასპინძელი ქვეყნისათვის და ამით ხელს უწყობენ მის ეკონომიკურ აღმავლობას და კეთილდღეობას, მაგრამ ხშირად უმუშევრად ტოვებენ ადგილობრივ მოსახლეობას, რაც ზოგჯერ მძაფრ დაპირისპირებას იწვევს.

კვლევამ აჩვენა, რომ შრომითი მიგრაციის პრობლემები, როგორც გლობალურად, ისე საქართველოს მასშტაბით მწვავედ დგას. შრომითი მიგრაცია მთელ რიგ პრობლემებს იწვევს, როგორც მიმღებ, ისე გამცემ ქვეყნებში. შრომითი მიგრაციის შედეგად გამცემი ქვეყნებიდან ძირითადად სამუშაო ასაკის მოსახლეობა გაედინება, ირღვევა ამ ქვეყნის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, იმატებს ასაკოვანი მოსახლეობის ხვედრითი წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში და ა. შ. შრომითი მიგრაციის შედეგად მიმღებ ქვეყნებში იზრდება კრიმინალი და ტერორიზმი, ტრეფიკინგი, გვხვდება რასიზმი და სხვა ეთნიკური დაძაბულობები, ვრცელდება დაავადებები, მცირდება სამუშაო ადგილები ადგილობრივი მოსახლეობისთვის და ა. შ.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. გაბიძაშვილი ბ. პოპულარული სტატიტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში, თბ., 2008.
2. ვირსალაძე ნ. ბაკურაძე ა. სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, ნაწ. II, ქუთაისი 2008.
3. ტუხაშვილი მ. საქართველოს შრომითი პოტენციალი: (ფორმირება და განაწილება). თბ., თსუ, 1998. გვ.113. 9
4. ხმალაძე მ. თბილისის მოსახლეობის შრომითი მიგრაცია. //აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები. 2002, №2. გვ.21. 12
5. ხმალაძე მ. დემოგრაფია, თბ. 2011.
6. ბიზნესი და კანონმდებლობა 2009 №, ლალიაშვილი ზურაბ "როგორ არეგულირებს ევროპა შრომით მიგრაციას''.
7. ზაზაძე ნ. საერთაშორისო შრომის ბაზრის ფორმირება გლობალიზაციის პირობებში, თსუ შრომების კრებული, თბ., 2014.
8. ფირცხალავა გ. საქართველოს მოსახლეობა: ეროვნული შემადგენლობა, ოჯახები, მიგრაცია. თბ., 1997 .
9. https://www.google.ge/search?q=მიგრაცია&rlz=1C1ASUM_enGE743GE743&oq=მიგრაცია
10. http://mastsavlebeli.ge/?p=1036
11. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/5895/1/Chelidze_Natia.pdf


## კონკურენციის პოლიტიკის პრობლემები რეგიონში და მისი სრულყოფის საკითხები


***მეგრელიშვილი ანი*** *– ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის II კურსის სტუდენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი* ***ხარაიშვილი ეთერი*** *– პროფესორი, მიკროეკონომიკის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო*


## Competition policy problems in the region and the issues of perfection


***Megrelishvili Ani*** *– Master's Student, Economics, II year, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia*

*Supervisor* ***Kharaishvili Eteri*** *– Professor, Department of Microeconomics, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia*

**Abstract**

The modern world faces significant challenges, taking into consideration the basic requirements of market economy. Self-regulated economy, in which coordination is achieved through the interaction of free private entrepreneurs and individuals, is based on the following principles: market price range, free entrepreneurship, contractual relations between market subjects etc. Consequently, providing competitiveness plays crucial role laying on the efficient functioning of the market.

The market has the ability to self-regulate. However, independent operation of market mechanisms in certain business sectors is ineffective and the market can not efficiently divide resources. Here we can find the need of regulation by the government.

The promotion and protection of competition is one of the most important part of the state economic policy. Most developed countries have extensive experience in fighting against market power. According to Paragraph 2 of Article 30 of the Constitution of Georgia, "the State is obliged to promote development of free entrepreneurship and competition".

It is interesting to study Georgian reality, since according to the main purposes and priorities of a country promotion and protection of competition is one of the main preconditions for Georgia's economic prosperity. As mentioned in the socio-economic development strategy of Georgia, promotion of a competitive market is still one of the main problems of county's economy. Despite the fact that the indicators of the competition have improved in comparison with the same indicators of previous years, the problems related to competition issues are still relevant.

Finally, the study of the competition policy and price behavior models is an attempt to find ways to analyze one of the world's most important economic problems and improve the country's main economic indicators. In addition, the most important prerequisite for a country's economic growth is competition policy.

**Keywords:** Competition Policy, legislative base.

**აბსტრაქტი**

თანამედროვე სამყარო მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას საბაზრო ეკონომიკის ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით. თვითრეგულირებული ეკონომიკა, რომელშიც კოორდინაცია მიიღწევა თავისუფალი კერძო მეწარმეებისა და კერძო პირების ურთიერთქმედების გზით, ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: საბაზრო ფასწარმოქმნა, თავისუფალი მეწარმეობა, საბაზრო სუბიექტებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობები და ა.შ. კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა გადამწყვეტ როლს ასრულებს ბაზრის ეფექტურ ფუნქციონირებაში.

ბაზარს აქვს თვითრეგულირების უნარი. თუმცა, გარკვეულ ბიზნეს სექტორებში საბაზრო მექანიზმების დამოუკიდებელი საქმიანობა არაეფექტურია და ბაზარი რესურსების ეფექტურად განაწილებას ვერ უზრუნველყოფს. აქ შეგვიძლია დავინახოთ მთავრობის მიერ რეგულირების საჭიროება.

კონკურენციის ხელშეწყობა და დაცვა სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ყველაზე განვითარებულ ქვეყნებში დიდი გამოცდილება აქვთ საბაზრო ძალაუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, "სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას".

საინტერესოა ქართული რეალობის შესწავლა, რადგან ქვეყნის ხელშეწყობისა და კონკურენციის დაცვის ძირითადი მიზნები და პრიორიტეტები საქართველოს ეკონომიკური კეთილდღეობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. როგორც აღინიშნა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, კონკურენტუნარიანი ბაზრის ხელშეწყობა ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. მიუხედავად იმისა, რომ კონკურენციის ინდიკატორები წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესდა, კონკურენციის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები ჯერ კიდევ აქტუალურია.

საბოლოო ჯამში, კონკურენციის პოლიტიკისა და ფასების ქცევის მოდელების შესწავლა არის მცდელობა, გავაანალიზოთ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრობლემა და მოვიძიოთ ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების გააუმჯობესების გზები. გარდა ამისა, ეს არის ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობა.

**საკვანძო სიტყვები**: კონკურენცია, პოლიტიკა, საკანონმდებლო ბაზა

თანამედროვე მსოფლიო, საბაზრო ეკონომიკის ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. თვითრეგულაციის საწყისებზე ორგანიზებული ეკონომიკა, რომელშიც კოორდინაციათავისუფალ კერძო მეწარმეთა და ინდივიდუალურ მომხმარებელთა ურთიერთქმედებით მიიღწევა, ემყარება შემდეგ პრინციპებს: საბაზრო ფასწარმოქმნას, თავისუფალ მეწარმეობას, ბაზრის სუბიექტებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობებს და ა.შ. შესაბამისად, ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს თავისუფალი კონკურენტული სივრცის უზრუნველყოფა.

ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებლის ადამ სმითის ცნობილი მეტაფორა „უხილავი ხელი“[7]გულისხმობს, რომ თითოეული ადამიანი მოქმედებს მხოლოდ პირადი ინტერესებით, საკუთარი კეთილდღეობისათვის, ხოლო ამ ქმედებებით „უხილავ ხელს“ იგი მიჰყავს ისეთი შედეგებისკენ, რომლებიც საერთოდ არ შედიოდა მის განზრახვაში და შესაბამისად, მისდაუნებურად განაპირობებს საზოგადოების კეთილდღეობას. აქედან გამომდინარე, ბაზარს აქვს თვითრეგულაციის უნარი. თუმცა, რეალურ ეკონომიკაში ხშირია საბაზრო ჩავარდნები.გარკვეულ ბიზნესსექტორებში საბაზრო მექანიზმების დამოუკიდებელი მოქმედება არაეფექტურია და ბაზარი რესურსებს ეფექტიანად ვერ ანაწილებს.

თემის აქტუალობას განაპირობებს მისი საკვლევი თემატიკა და მიზანი. წინამდებარე ნაშრომი არის მცდელობა წარმოაჩინოს ქართული ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის თავისებურებები და მახასიათებლები, მისი გავლენა მომხმარებელთა კეთილდღეობასა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე.

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა იბრძვის კონკურენციის დასაცავად და ბაზრის მონოპოლიური/ოლიგოპოლიური წარმონაქმნების წინააღმდეგ, თუმცა, ბრძოლა იშვიათად არის ეფექტიანი, რადგან ამ ძლევამოსილი წარმონაქმნების იდენტიფიცირება უამრავ სირთულესთან არის დაკავშირებული.

განსაკუთრებით საინტერესოა ქართული რეალობის შესწავლა და ბაზრების სტრუქტურული ანალიზი, რადგან ქვეყნის ძირითადი მიზნებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით, კონკურენციის ხელშეწყობა და დაცვა საქართველოს ეკონომიკური აღმავლობის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა. როგორც საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაშია აღნიშნული, დღეისათვის კვლავ პრობლემად რჩება ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა.აღნიშნულზე მეტყველებს საერთაშორისო შეფასებებიც. საერთაშორისო შეფასებებს თუ დავეყრდნობით, ცხადია, რომ კონკურენციის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები რეალურად აქტუალურია.

გლობალურიკონკურენტუნარიანობისინდექსში 2017-2018 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოსაქვს შემდეგი მაჩვენებლები: [8]

- ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობა - 112-ე;
- ადგილობრივი კონკურენციის ინტენსივობა - 94-ე;
- ბაზარზე დომინირების მასშტაბები - 67-ე.

განვითარებული ქვეყნების უმრავლესობას საბაზრო ძალაუფლების წინააღმდეგ ბრძოლის საკამაოდ ვრცელი გამოცდილება აქვს. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებს ანტიტრასტული კანონმდებლობა, რომელიც დასაბამს იღებს 1890 წლიდან შერმანის აქტის[9] მიღებით, რომლითაც ვაჭრობის შეზღუდვისა და ბაზარზე მონოპოლიის შექმნის მცდელო-

[7]A. Smith, The Theory of Moral Sentiments, Edinburgh, 1759
[8] The Global Competitiveness Report 2017–2018; Klaus Schwab, World Economic Forum
[9]An act to protect trade and commerce against unlawful restraints and monopolies, USA, July 2, 1890

ზისთვის დაწესდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.[10]საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას“.[11]

საქართველოში ანტიმონოპოლიური რეგულირება შემოღებულ იქნა 1992 წელს სახელმწიფო საბჭოს დეკრეტით „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ“. 1996 წელს მიღებულ იქნა „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც გაუქმებულ იქნა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით 2005 წელს. საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ მიღებულ იქნა კონკურენციის პოლიტიკის რეფორმის ფარგლებში. აღნიშნული კანონის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენდა კორუფციის საფრთხის შემცირება „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების პროცესში და შედეგად, ბაზრის მონაწილეთათვის თანაბარი პირობების შექმნა.

თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ  კონკურენციის დაცვა დახელშეწყობა ნებისმიერი საბაზრო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოს უმთავრესი ეკონომიკური ფუნქციაა, შესაბამისად, ამ მნიშვნელოვანი იარაღის შესუსტება და აღმასრულებელი ინსტიტუტის გაუქმება შეუძლებელია გამართლდეს, ეკონომიკის მეცნიერული საფუძვლების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, ზემოთ აღნიშნული რეფორმის შედეგად, ბაზარზე უკვე დამკვირებული სუბიექტების ანტიკონკურენტული ქმედებების და საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკები შეიქმნა.

საქართველოსევროკავშირშიინტეგრაციისფარგლებშიევროკავშირთანღრმადაყოვლისმომცველითავისუფალივაჭრობისშესახებშეთანხმებაზე (DCFTA) მრავალმხრივი მოლაპარაკებების წარმატებით დასრულებისათვის ერთ - ერთ პრიორიტეტულ სფეროდ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობი მოწესრიგება განისაზღვრა.[12]მოსამზადებელ ეტაპზე შემუშავებულ იქნა სტრატეგია, სადაც საქართველოს მთავრობა ხაზგასმით და ერთმნიშვნლოვნად აღიარებდა, რომ არსებული ჩარჩო კანონმდებლობა არ იყო საკმარისი და აღნიშნავდაახალი კანონის მიღების საჭიროებას. ამასთან, სტრატეგიაში კონკურენციის სააგენტოს დაკნინებულ როლსაც განიხილავდნენ. კერძოდ, სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მსგავს 4 ინსტიტუტებთან შედარებით, კანონის სიპ – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო სანიჭებს შეზღუდულ ინსტიტუციურ უფლებამოსილებას.

2012 წლის 25 მაისს საქართველოს პარლამენტმა “კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი მიიღო და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დაფუძნდა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ზემოთ აღნიშნული რეფორმის პირველ ეტაპზე გარკვეული ხარვეზები იკვეთებოდა. კერძოდ, არსებული ჩარჩო მთავრობას სააგენტოსთან მიმართებით დიდ უფლებამოსილებებს ანიჭებდა. მაგალითად, მთავრობა ამტკიცებდა სააგენტოს საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს და სააგენტო საჩივარს მხოლოდ მთავრობის მიერ დამტკიცებული პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად განიხილავდა. ხოლო,

---

[10] მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონური დია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 - 483გვ

[11]საქართველოს პარლამენტი,  1995 „საქართველოს კონსტიტუცია“, მუხლი 30, პუნქტ: 2

[12]საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 დეკემბრის  №1551 განკარგულება „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“.

ისეთ საჩივრებს, რომლებიც არაპრიორიტეტულ მიმართულებებს განეკუთვნებოდა განუხილველად ტოვებდა. სააგენტო მოკვლევას მხოლოდ ეკონომიკური აგენტის განცხადების / საჩივრის საფუძველზე იწყებდა.

2014 წელს რიგი ცვლილებები განხორციელდა ქართულ ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობაში. [13]კერძოდ:

- სააგენტოს მიენიჭა უფლებამოსილება, დამოუკიდებლად დაიწყოს ბაზრის ნებისმიერი სეგმენტის მოკვლევა იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ სეგმენტზე კონკურენციის შეზღუდვის სათანადო ნიშნები და შექმნილი მდგომარეობა კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოს ჩარევას საჭიროებს.
- დაზუსტდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების სფერო და კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობიდან გამონაკლისები
- ბაზარზე კომპანიის ანტიკონკურენტული ქცევის შემთხვევაში ჯარიმა მხოლოდ წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის მიხედვით განისაზღვრა. ჯარიმის განსაზღვრის აღნიშნული წესი თავსებადია მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკასთან, ვინაიდან კომპანიის წლიური ბრუნვაა სწორედ ის ეკონომიკური ინდიკატორი, რომელიც ყველაზე ზუსტად აჩვენებს კომპანიისათვის მიყენებული ზარალის ოდენობას.
- ეკონომიკურ აგენტს, სხვა დაინტერესებულ პირს უფლება მიენიჭა, პირდაპირ მიმართოს სასამართლოს, შესაბამის ორგანოს ან თანამდებობის პირს კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთისა და დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, აგრეთვე სასამართლოში გაასაჩივროს სააგენტოს გადაწყვეტილება. შესაბამისად, სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდ და ეკონომიკურ აგენტს ჯარიმის გადახდა არ დაეკისრება;
- საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, სექტორები, სადაც დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და კონცენტრაციის რისკი ძალიან მაღალია, წარმოადგენს არალიბერალურ სექტორებს, რომლებიც რეგულირდება შესაბამისი კანონებითა და სექტორული მარეგულირებლებით. აღნიშნული პრაქტიკა გამოიყენება საქართველოშიც. რეგულაციები მოქმედებს ისეთ არალიბერალურ სექტორებში, როგორიცაა: ენერგეტიკა, კომუნიკაციები, საფინანსო სექტორი. ზემოაღნიშნული არალიბერალური სექტორები მოქცეულია კონკურენციის სპეციალური რეგულირების ქვეშ. აღსანიშნავია, რომ საქართველოში არალიბერალური სექტორები ხასიათდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) მნიშვნელოვანი წილით ეკონომიკის სექტორებში და დიდი კომპანიების არსებობით.
- საქართველოს კანონმდებლობაში დაინერგა აშშ-სა და ევროპაში ბაზარზე ეკონომიკური აგენტის ანტიკონკურენტული ქცევის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტის − თანამშრომლობის პროგრამის (Leniency Program). ეს პროგრამა გულისხმობს ეკონომიკური აგენტის კანონით დადგენილი პასუხისმგებლობისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებას, თუ იგი ანტიკონკურენტული ქმედების მოკვლევის პროცესში ითანამშრომლებს სააგენტოსთან. თანამშრომლობის პროგრამის საშუალებით სააგენტო შეძლებს მიიღოს მოკვლევის მიზნებისთვის საჭირო ინფორმაცია ეკონომიკური აგენტის ანტიკონკურენტული ქმედების შესახებ;

[13] „კონკურენციის პოლიტიკა და კონკურენციის მარეგულირებელი ორგანო საქართველოში“ საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო 2013წ.

- მკვეთრად გაიმიჯნა სააგენტოს და მარეგულირებელი ორგანოების ფუნქციები – მარეგულირებელი ორგანოები სექტორის წინასწარი (ex-ante) რეგულირებისთვის არიან პასუხისმგებელი, ხოლო კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობის (ex-post) აღსრულების უფლებამოსილება სააგენტოს მიენიჭა;
- აიკრძალა სახელმწიფო ჩარევა ნებისმიერი ფორმით, რომელიც აფერხებს კონკურენციას ან ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას; გაიზრდა კონკურენციის პოლიტიკის ეფექ-ტიანობა და სააგენტოს ქმედითობა კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის ფაქტებთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარებების კონტროლის ნაწილშიც, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბაზრის ღიაობა და გამჭვირვალობა, ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში დაცულ იქნეს თანასწორუფლებიანობის პრინციპი და ხელისუფლების ორგანო არ აწესებდეს ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციულ, სამართლებრივ და დის-კრიმინაციულ ბარიერებს და არამართლზომიერად არ ზღუდავდეს კონკურენციას;
- დაზუსტდაეკონომიკურიაგენტისდომინირებულიმდგომარეობისგანმსაზღვრელიკრიტე რიუმები, მათშორის: შესაბამის ბაზარზე მისი საბაზრო წილი, კონკურენტი ეკონომიკუ-რი აგენტების ფინანსური მდგომარეობა, ბაზარზე შესვლის ან წარმოების გაფართოების ბარიერები, მყიდველის საბაზრო ძალაუფლება და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვ-რელი სხვა ფაქტორები. შესაბამის ბაზარზე ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილს გან-საზღვრავს სააგენტო ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების გამოყენებით. თუ სხვა მტკიცებულებები არა რსებობს, ეკონომიკური აგენტი არ ჩაითვლება დომინირე-ბული მდგომარეობის მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მისი წილი 40 პროცენტს არაღე-მატება.
- განისაზღვრა ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის შემთხვევები, რომელიც გუ-ლისხმობს ეკონომიკური აგენტების შერწყმას, ან ფასიანი ქაღალდების ან აქტივების წილის შეძენით ან სხვა საშუალებით ეკონომიკურ აგენტზე ან მისი ბიზნესის ნაწილზე პირდაპირი ან ირიბი კონტროლის მოპოვებას იმ პირის მიერ, რომელიც უკვე აკონტრო-ლებს სულ მცირე 1 ეკონომიკურ აგენტს. კონცენტრაციად ითვლება ერთი და იმავე პი-რის სხვადასხვა ეკონომიკური აგენტის მმართველ ორგანოებში მონაწილეობაც. გარდა ამისა, განისაზღვრა შემთხვევები, როდესაც აუცილებელია ეკონომიკური აგენტის მიერ სააგენტოსთვის კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების გაგზავნა, ასევე ამ ვალდებუ-ლებისაგან გათავისუფლების შემთხვევები;
- რეგლამენტირებულია არაკეთილსინდისიერი კონკურენცია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის. ამის შედეგად ეკონომიკურ აგენტებს წინასწარ ექნებათ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა ქმედება შეიძლება იქნეს მიჩნეული არა-კეთილსინდისიერ კონკურენციად, რათა მომავალში თავიდან იქნეს აცილებული აღნიშ-ნული ქმედება;

საქართველოში მოქმედი კონკურენციის სააგენტოსწავლობს და იკვლევს ქართულ სივრცეში ბაზრებზე კონკურენციის ხარისხს. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, საერთაშორისო ორგანიზაციების და სახელმწიფო სტრუქტურების აქტი-ური მონაწილეობის შედეგად, კონკურენციის სფეროს ძირითადი ნორმატიული აქტები (სა-ქართველოს მთავრობის 2 დადგენილება და სააგენტოს თავმჯდომარის 5 ნორმატიული აქტი) შემუშავდა და 2014 წლის პირველი ოქტომბრიდან სააგენტოს უფლებამოსილებები სრულად ამოქმედდა. ქართული კონკურენციის სამართალი, კონკურენციის თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ - ევროკავშირის კანონმდებლობას დაეფუძნა.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვითეკონომიკური აგენტის დომინირებული მდგომარეობა განისაზღვრება შესაბამის ბაზარზე მისი საბაზრო წილის, კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ფინანსური მდგომარეობის, ბაზარზე შესვლის ან წარმოების გაფართოების ბარიერების, მყიდველის საბაზრო ძალაუფლების, ნედლეულის წყაროების ხელმისაწვდომობის, ვერტიკალური ინტეგრაციის ხარისხის, ქსელური ეფექტებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.ეფექტიან კონკურენციად ითვლება საბაზრო სტრუქტურისა და ეკონომიკურ აგენტთა საბაზრო ქცევის ისეთი ოპტიმალური კომბინაცია, როდესაც ბაზრის შედეგიანობა შესაძლებლად მაღალ მაჩვენებლს უტოლდება.[14]

კონკურენციის სააგენტოს მეთოდოლოგიის თანახმად, ბაზრის ანალიზის დროს კვლევას ექვემდებარება შემდეგი პარამეტრები: სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები, სასაქონლო/მომსახურების ბაზრის ეკონომიკური აგენტების წილების ურთიერთთანაფარდობასა და მათი განაწილების სიმჭიდროვეს ბაზარზე. შესაბამისი სასაქონლო ბაზრის კონცენტრაციის დონის გამოსათვლელად გამოიყენება *ჰერფინდალ- ჰირშმანის ინდექსი.* სასაქონლო ბაზრის შეფასებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პრაქტიკაში ფართოდ გამოყენებადი სხვა ანალოგიური მაჩვენებლები. მნიშვნელოვანი ინდიკატორია შესაბამისი ბაზრის კონცეტრაციის დონე. სასაქონლო ბაზრის კონცენტრაციის დონე წარმოადგენს ბაზრის ხარიხობრივ მახასიათებელს და აფასებს და მაღალკონცენტრირებულ სასაქონლო ბაზრებად.

საქართველოს კანონმდებლობა საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“ კრძალავს კონკურენციის შემზღუდავ შემდეგი სახის შეთანხმებებს:

1. ჰორიზონტალური შეთანხმება – ფაქტობრივ ან პოტენციურ კონკურენტებს შორის შეთანხმება;
2. ვერტიკალური შეთანხმება – წარმოებისა და დისტრიბუციის სხვადასხვა საფეხურზე მოქმედ ორ ან მეტ ეკონომიკურ აგენტს შორის შეთანხმება, რომელიც ეხება იმ პირობებს, რომელთა მიხედვითაც, მხარეებს შეუძლიათ იყიდონ, გაყიდონ ან გადაყიდონ გარკვეული საქონელი ან მომსახურება

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის მოქმედი ჩარჩო ნამდვილად საჭიროებს დახვეწას.უნდა შეიქმნას გარე სამყაროსთან მეტად ჰარმონიზებული საკანომდებლო ბაზა.

ამ კუთხით, უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენების ფაქტების იდენტიფიცირების ინსტრუმენტები არ არის საკმარისი. საჭიროა ევროპული და ამერიკული პრაქტიკის და სამართლებრივი საფუძვლების გაზიარება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი საკანონმდებლო ბაზა ევროკავშირის კანონმდებლობასთანაა შესაბამისობაში, მაშინ, როდესაც მეთოდოლოგიური წიგნები ამერიკულ ანალოგებს ეფუძნება. მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, ანტიმონოპოლიური საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდისათვის მეტად მნიშვნელოვანია მეთოდოლოგიური წიგების ევროკავშირის ანალოგთან შესაბამისობაში მოყვანა.

ხაზგასმით აღსანიშნავია, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით საგენტოს აქვს დამოუკიდებლად, საკუთარი გადაწყვეტილებით ბაზრის კვლევის წამოწყების უფლებამოსილება, ჯამურად განხორცილებული ბაზრის კვლევების მხოლოდ 20 % განხორციელდა სააგენტოს ინიციტივით. საჭიროა, სააგენტოს მეტი აქტიურობა კონკურენტული გარემოს სრულყოფილი დაცვისათვის.

[14] კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №0/09-3, 2014 „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ თბილისი.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. „კონკურენციის სააგენტო". Competition.ge, 2017.
2. მენქიუ, გრეგორი. ეკონომიკისპრინციპები, თბილისი, 2008
3. საერთაშორისო გამჭვირვალობა. ფარმაცევტული ბაზარი საქართველოში 2016 წლის დეკემბერი. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 2016.
4. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური წესების“ დამტკიცების თაობაზე. 2017.
5. საქართველოს მთავრობა. დადგენილება №288 " ქ.თბილისი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კონკურენციის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ". თბილისი: 2014
6. საქართველოს პარლამენტი. საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ. 2012.
7. ფეტელავა, სლავა. "კონკურენციის ევოლუცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართვე-ლოში". სადისერტაციო კვლევა. გრ. რობაქიძისსახ. უნივერსიტეტი, 2008.
8. ფეტელავა, სლავა, შალვა გოგიაშვილი. "არაკეთილსინდისიერი კონკურენცია". თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრეული (2015):
9. ხარაიშვილი, ეთერ, გაგნიძეინეზა, ჩავლეიშვილიმარინა, ნაცვლიშვილი ია, ნაცვალაძემარინა მიკროეკონომიკა. თბილისი: გამომცემლობა "უნივერსალი", 2008.
10. "BFM.GE | ბანკებიდაფინანსები". *BFM.GE*.., 2017.
11. Arnold, Roger A. *Economics*. 1st ed. Australia: South-Western Cengage Learning, 2014.
12. Friedman, James W. "Oligopoly And The Theory Of Games". *North –Holland, Amsterdam* North –Holland, Amsterdam (1977):
13. Handlin, Oscar. "Capitalism And Freedom. By Milton Friedman With The Assistance Of Rose D. Friedman. Chicago, The University Of Chicago Press, 1962. Pp. Vi + 202. ". *Business History Review* 37.03 (1963): 315-316. Web.
14. Heune, Poul et al. "The Economic Way Of Thinking". *, 12th Edition Publisher: Prentice Hall* (2009): n. pag.
15. Hirshleifer, Jack, Amihai Glazer, and David Hirshleifer. *Price Theory And Applications*. 1st ed. Cambridge: Cambridge Univ. Press, 2009.
16. Krugman, Paul R, and Robin Wells. *Economics*. 1st ed. New York, NY: Worth Publishers, 2013.
17. Motta, Massimo. *Competition Policy, Theory And Practice,*. 1st ed. Cambridge university Press, 2004.
18. Nash, John. "Equilibrium Points In N-Person Games". *the National Academy of Sciences* (1950): n. pag.
19. Pindyck, Robert S, and Daniel L Rubinfeld. *Microeconomics*. 1st ed.
20. Smith, Adam. "The Theory Of Moral Sentiments". (1759): n. pag.
21. Vivas, Xavier. *Oligopoly Pricing – Old Tools and New Ideas" Cambridge*. 1st ed. London: Cambridge, 2001.
22. World Economic Forum. *The Global Competitiveness Report 2016–2017*. 2016.

# ევროკავშირი და კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში

***ნემსიწვერიძე მარიამი*** *– საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი* ***ხეცურიანი თამარი*** *– მოწვეული სპეციალისტი, დოქტორანტი, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

# EU and conflicts in the South Caucasus

***Nemsitsveridze Mariami***– *Bachelor's Student, Public Administration, III year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

*Supervisor* ***Khetsuriani Tamari*** *– Invited Specialist, Department of Social Sciences, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

## Abstract

As enlargement into the former communist world shifted the EU's boundaries eastward, and ultimately beyond the Black Sea, security and stability in the new neighborhood has become a priority over the past decade. Conflicts hitherto seen as relatively marginal to Europe's security needs were suddenly much closer to home. Given the potential for a regional escalation given Russia's role in all of them and Turkey's military alliance with Azerbaijan, Europe expanded its focus to take note of the Georgian-Abkhaz, Georgian-Ossetian and Nagorno-Karabakh hotspots. Frozen though they seemed at the time, they also posed a risk to the bloc's energy security. Any flare up would potentially threaten the only transit corridor for Caspian/Central Asian energy resources located between Russia and Iran. This shift in the EU's policy focus also broadly coincided with some conflict resolution resources freeing up in the Balkans as the situation there became more stable.

**Keywords:** Conflict, EU, South Caucasus, Peaceful solution, Compromise decision.

## აბსტრაქტი

2000 წლის შემდეგ სულ უფრო და უფრო გაძლიერდა ევროკავშირის მისწრაფება, გაზრდილიყო მისი როლი სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების პრევინციისა და მოგვარების საქმეში . სამხრეთ კავკასია ერთ- ერთი ურთულესი რეგიონია , სადაც კონფლიქტები მიმდინარეობდა ოდითგანვე და მიმდინარეობს დღესაც. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს უახლოესი წარსული - 2008 წლის რუსეთ- საქართველოს აგვისტოს ომი. საერთაშორისო ორგანიზციები ცდლილობდნენ და ცდილობენ სამხრეთ კავკასიაში არსე-ბული კონფლიქტების გადაჭრასა და მოგვარებას დიპლომატიური გზით. როგორც ყოფილი კომუნის-ტური სამყაროს გაფართოება ევროკავშირის საზღვრები აღმოსავლეთით გადავიდა, და ბოლოს შავი ზღვის მიღმა, ახალი სამეზობლოში უსაფრთხოების და სტაბილურობა ბოლო ათწლეულში პრიორიტე-ტად იქცა. კონფლიქტები ევროპაში უსაფრთხოების საჭიროებებზე შედარებით მერყეობდა, რაც უკიდუ-რესად ახლოს იყო სახლში. რეგიონალური ესკალაციის პოტენციალის გათვალისწინებით, მათ შორის რუ-სეთის როლი აზერბაიჯანთან და თურქეთის სამხედრო ალიანსთან, ევროპამ ყურადღება გაამახვილა ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური და მთიანი ყარაბაღის ცხელ წერტილებში. , მათ ასევე საფრთხე ბლოკის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ნებისმიერი საფრთხე შესაძლოა საფრთხეს უქმნიდეს მხოლოდ სატრანზიტო დერეფანს რუსეთსა და ირანს შორის მდებარე კასპიის / ცენტრალური აზიის ენერგორესურსებისთვის. ევროკავშირის პოლიტიკის ეს ცვლილება ასევე ფოკუსირებულია ასევე ბალკანეთში გათავისუფლების ზოგიერთი კონფლიქტის მოგვარების რესურსების ფართო მასშტაბით, რადგან სიტუაცია უფრო სტაბილური გახდა.

**საკვანძო სიტყვები:** ევროკავშირი, სამხრეთ კავკასია, კონფლიცტების პრევენცია, უშიშროების სამსახურები, შიდა პოლიტიტიკური ვითარება, ბიუროკრატიული ბარიერები.

2000 წლის შემდეგ სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა ევროკავშირის მისწრაფება, გაზრდილიყო მისი როლი სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების საქმეში. იგი ცდილობდა უფრო აქტიურად ჩართულიყო ქართულ-აფხაზური, ქართულ- ოსური და მთიანი ყარაბახის კონფლიქტების მოგვარებაში. აღნიშნულმა ჩართულობამ კულმინაციას მიაღწია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს. ევროკავშირის სწრაფი რეაგირება ამ კრი-ზისზე იყო შთამბეჭდავი, რის შემდეგაც ევროკავშირი აქტიურად არის ჩართული აღნიშნული კონფლიქტის მოგვარებაში.

თუმცა, მიუხედავად ასეთი ძლიერი ჩართულობისა, ევროკავშირის ძალისხმევის შედეგები კონფლიქტის მოგვარების საქმეში სადავოა. მისი განხორციელების შესაძლებლობები შეზღუდულია ისეთი საგარეო გამოწვევებით, როგორიც არის რუსეთის უშიშროების სამსახურების და პოლიტიკის გავლენა რეგიონში, რთულად მოსაგვარებელი ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური და მთიანი ყარაბახის კონფლიქტები და მხარეთა მაღალ ეშელონებში გამეფებული აზრი, რომ კომპრომისული გადაწყვეტილებები უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე კონფლიქტის გაგრძელება. მაგრამ ევროკავშირი ასევე გადააწყდა მთელ რიგ შიდა პოლიტიკურ და ბიუროკრატიულ ბარიერებს, რამაც სერიოზულად შეზღუდა მისი გავლენები.

გარდა ამისა, კონფლიქტის მოგვარებასთან ერთად მას ასევე უნდა გადაეწყვიტა სხვა საკითხები, მაგალითად, მისი წევრი ქვეყნების სამხედრო და ენერგო უსაფრთხოება და ორმხრივი ურთიერთობა რეგიონის ქვეყნებთან და რუსეთთან. ჯერ -ჯერობით, მან ვერ მოახერხა ეფექტური სტრატეგიული კავშირების დამყარება მის კონფლიქტის მოგვარების ძალისხმევასა და პროცესში მონაწილე თითოეულ ქვეყანასთან ცალ-ცალკე ორმხრივ ურთიერთობებს შორის. მედიატორის როლში, განსაკუთრეებით ქართულ-აფხაზურ/ოსურ კონტექსტში, მასზე მნიშვნელოვნად იმოქმედა მისმა სახელმწიფოებრივ-ცენტრისტულმა მიდგომამ. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის გადაწყვეტილება პატივი სცეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას შეიძლება პოლიტიკურად გასაგები იყოს, მისი ხისტი განცხადებები პრაქტიკულ პოლიტიკაში გავლენას ახდენს ევროკავშირის მისაღებობაზე, როგორც მედიატორისა აფხაზურ (ოსურ) კონფლიქტებში.

2008 წლამდე, ევროკავშირის ჩართულობა კონფლიქტის გადაწყვეტაში უმთავრესად იყო არაპირდაპირი და კონტექსტუალური, რაც გამოიხატებოდა ეუთოსა და გაეროს ეგიდით წარმართული ოფიციალური სამშვიდობო პროცესების მხარდაჭერაში, ფოკუსირებული იყო რეაბილიტაციაზე, კონფლიქტურის ზონების განვითარებასა და ნდობის აღდგენის პროგრამებზე, მათ შორის მშვიდობის აღდგენის პროცესის და კონფლიქტის ტრანსფორმაციის ინიციატივების მხარდაჭერაზე. 2003 წელს სამხრეთ კავკასიაში CFSP/ESDP ეგიდით დაინიშნა ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი, რომლის მოვალეობებში, სხვა მოვალობებთან ერთად, შედიოდა კონფლიქტების მოგვარების მხადრაჭერა. 2004-2005 წლებში ევროკავშირმა გააერთიანა საქართველო, აზერბაიჯანი და სასომხეთი ევროპის ახლო სამეზობლო პოლიტიკაში (EPN) და 2006 წელს ხელი მოაწერა ახლო სამეზობლო პოლიტიკის ((EPN) სამოქმედო გეგმას. კონფლიქტის მოგვარების საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საქართველოს სამოქმედო გეგმაში. მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით მოლაპარაკებები წარმოებდა თბილისთან, ხოლო აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი არ მონაწილეობდნენ ახლო სამეზობლო პოლიტიკის კავშირის დისკუსიებში, აღნიშნული მექანიზმის კონფლიქტის მოგვარებაზე ზემოქმედების შანსები შედარებით დაბალი იყო. კონფლიქტთან დაკავშირებული დღის წესრიგი სასომხეთთან და აზერბაიჯანთან მიმართებაში არსებულ სამოქმედო გეგმებში ძირითადად არ ფიქსირდებოდა. 2008 წლიდან ევროკავშირის პირდაპირი ჩართულობის ხარისხი კონფლიქტების მოგვარებაში გაცილებით უფრო მაღალი იყო. რუსეთ-საქართველოს ომის დაიწყებისთანავე 2008 წლის სექტემბერში საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ, ევროკავშირის საფრანგეთის პრეზიდენტობის სახელით მედიატორის როლი შეასრულა ცეცხლის შეწყვეტის გეგმების შემუშავების პროცესში. ამასთან ერთად, ევროკავშირმა მოახდინა მნიშვნელოვანი ფინასური რესურსების მობილიზიება საქართველოსათვის დახმარების პროგრამების განხორციელების და ომის შემდგომი რეკონსტრუქციის საქმეში. (2) მას შემდეგ, საქართველოში წარმოდგენილი რამდენიმე ევროპული ინსტიტუციის მხრიდან ადგილი ჰქონდა მცდელობას სხვადა-

სხვა გზით მოეგვარებინათ კონფლიქტები: ამჟამად, ევროკავშირის დელეგაცია ასრულებს საელჩოს ფუნქციას კავშირის სახელით, იმ უფრო ტექნიკურ ფუნქციასთან ერთად, რომელსაც იგი ასრულებდა კომისიის დელეგაციის სახით. ევროკავშირის წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში (2003 წლიდან) ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს კონფლიქტების მოგვარების და პრევენციის საქმეში. საქართველოს კრიზისთან დაკავშირებით ევროკავშირის წარმომადგენელი (დანიშნულია 2008 წლის სექტემბერში შემდეგ და ამავდროულად ასრულებს წარმომადგენლის ფუნქციას ცენტრალურ აზიაში) პასუხისმგებელია მიიღოს მონაწილეობა ჟენევის მრავალმხრივ მოლაპარაკებებში. აღნიშნული წარმოადგენს მექანიზმს, რომელიც თავს უყრის საქართველოს, რუსეთის, ოსეთის და აფხაზეთის მხარეებს ევროკავშირის, ეუთოს და გაეროს ერთობლივი თავჯდომარეობით. ევროკავშირის სამონიტორინგო მისია და ევროპის უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკის მისია 2008 წლის ოქტომბრიდან მონიტორინგს უწევენ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიებზე, მაგრამ მათ არ აქვთ წვდომა სამხრეთ ოსეთის ან აფხაზეთის ტერიტორიებზე. გარდა ამისა, ევროკავშირის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი, ევროკავშირის ექსპერტთა და ანალიტიკოსთა ცენტრი სწავლობს კონფლიქტურ სიტუაციებს, მაგრამ ასევე ასრულებს ფორუმის როლს მიმდინარე დიალოგში, უმთავრესად სახალხო დიპლომატიის ფორმატში. ევროკავშირმა ასევე დააფუძნა ფაქტების დამდგენი საერთაშორისო მისია 2008 წლის ომის გარემოებების გამოსაძიებლად. მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით სახეზეა მესამე მხარის აქტიური ჩართულობა, ევროკავშირის მიღწევები სადავოა. არსებობს მთელი რიგი ობიექტური ფაქტორებისა, რომლებიც ზღუდავენ ევროკავშირის წარმატებული საქმიანობის მცდელობებს კონფლიქტის მოგვარების საქმეში, როგორიცაა, რუსეთის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები რეგიონში, მათ შორის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში; ქართულ-რუსული და ქართულ-აფხაზური/ ოსური კონფლიქტების დონეების ურთიერთგადაკვეთა, მხარეებისათვის თანაბზრად მტკივნეული გამოუვალი მდგომარეობის არარსებობა, რომელსაც შეუძლია დააჩქაროს კონფლიქტების მოგვარება მოცემულ დონეებზე; ან ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მოუგვარებლობა და თანდაყოლილი სირთულე, რომელიც თან ახლავს პოლიტიკური სტატუსის საკითხის გადაწყვეტას თვითგამორკვევის და ტერიტორიული მთლიანობის ურთიერთწინააღმდეგობის შემთხვევაში. მაგრამ პრობლემები არ არის მხოლოდ გარეშე ფაქტორებით გამოწვეული - თვით ევროკავშირის შიგნით არსებული რიგი პოლიტიკური და ბიუროკრატიული ფაქტორები ძირს უთხრის ჩართულობის ეფექტურობას.

ევროკავშირი გაყოფილია საქართველოს საკითხში - უფრო მეტიც, ანალოგიურად რუსეთთან მიმართებაშიც. განსხვავებები ევროკავშირის სხვადასხვა წევრი სახელმწიფოების პოლიტიკურ პოზიციებს შორის მნიშვნელოვანია და მოტივირებულია სხვადასხვა ორმხრივი პრეფერენციებით რიგ საკითხებზე, დაწყებული ეროვნული თუ ენერგეტიკის უსაფრთხოებით, რაზედაც ევროკავშირის თითოეულ სახელმწიფოს საკუთარი ხედვა აქვს, და დამთავრებული ნატოს გაფართოებით და კოსოვოს აღიარებით. საკითხები, როგორიც არის დემოკრატიზაცია, ადამიანთა უფლებების დაცვა ან კონფლიქტების მოგვარება თავის დროზე განხილვის საგანი იყო პოლიტიკური და უსაფრთხოების კუთხით. რუსეთი კვლავ სერიოზული უთანხმოების საგანია წევრ ქვეყნებს შორის. ჯგუფი სახელმწიფოებისა, რომელშიც შედიან ბალტიისპირეთის სამი ქვეყანა, პოლონეთი და ჩეხეთი, რომელთაც მხარს უჭერს შვედეთი და გარკვეულ წილად აგრეთვე ფინეთი, და რომლებიც მოტივირებულები არიან უმთავრესად უსაფრთხოების შიშით და რუსეთის ძალისმიერი პოლიტიკით მის სამეზობლოში, არიან პრაგმატული პოლიტიკის მომხრენი. გერმანია, საფრანგეთი და ზოგიერთი სამხრეთელი წევრები - ძლიერი სავაჭრო კავ-

შირებით, ძლიერ დამოკიდებულები რუსეთის გაზზე, ან, საბერძნეთის შემთხვევაში, ერთმორწმუნე მართლმადიდებლები - მხარს უჭერენ მშვიდობიან თანამშრომლობას. აღნიშნული უთანხმოებანი გარკვეულწილად შერბილდა ევროკავშირის ახალი ინსტიტუციური შეთანხმებებით, ნატოს მიერ აღმოსავლეთით გაფართოების გეგმების დეფაქტო შეჩერებით, ობამას ადმინისტრაციის გადატვირთვის პოლიტიკით, რუსეთის მოდერნიზაციით დაინტერესებით, გლობალური ეკონომიკური კრიზისით და გაზისა და ნავთობის ფასების ვარდნით. აღნიშნულის შედეგად შესაძლოა გაიზარდოს რუსეთ-ევროკავშირის თანამშრომლობის პერსპექტივები, მაგრამ უსაფრთხოება და კონფლიქტების მოგვარება კვლავ დღის წესრიგის მნიშვნელოვან საკითხებად რჩება. წევრი ქვეყნები ასევე განსხვავდებიან თავიანთი მიდგომით საქართველოს მიმართ - როგორც კონფლიქტებთან, ასევე საშინაო პოლიტიკური რეფორმებთან მიმართებაში. ახალი და ჩრდილოელი სახელმწიფოები უფრო მეტად არიან ფოკუსირებულები საქართველოში კონფლიქტების გეოსტრატეგიული დონეებზე; რაც შეეხება ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტებს, ისინი ყურადღებას ამახვილებენ რუსეთის როლზე მათ მოგვარებაში. მხოლოდ რამდენიმე ევროკავშირის ყოფილი წევრი ქვეყანა ცდილობს გააკეთოს აქცენტი კონფლიქტების ლოკალურ ხასიათზე და განიხილავს ღრმად ფეხმოკიდებულ პრეტენზიებს, რომლებიც ახასიათებს ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტების სიტუაციას. რეცენზიები საქართველოს დემოკრატიზაციისა და კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკის თაობაზე შერბილებულია მათ მიერ, ვინც საქართველოს და დასავლეთს შორის ურთიერთობას რუსეთთან ურთიერთობის პრიზმაში უყურებს. უმთავრესად, მისი წევრი ქვეყნების განსხვავებული პოლიტიკური მიდგომების გამო, ევროკავშირის ძალისხმევა საქართველოს კონფლიქტების მოგვარების საქმეში შედარებით არაეფექტურია.

ევროკავშირმა მნიშვნელოვნად გააძლიერა მისი როლი კონფლიქტების მოგვარების საქმეში სამხრეთ კავკასიაში უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, მის ძალისხმევას კვლავაც აბრკოლებს სუბოპტიმალური პოლიტიკური ფაქტორი და ფინანსური რესურსები და ასევე შიდა დაბრკოლებები. თუმცა, ჯერჯერობით არცერთ სხვა საერთაშორისო მოთამაშეს არ ძალუძს ითამაშოს უფრო ეფექტური და ძლიერი როლი ოფიციალური მედიაციის პროცესში. ევროკავშირმა უნდა გააკეთოს დასკვნები მისი წარსული ჩართულობიდან, რათა გადალახოს ზოგიერთი ინსტიტუციონალური და პოლიტიკური წინაღობა, რომლებიც ზღუდავენ მის გავლენას. მან არ უნდა დაუშვას, რომ ტერიტორიული მთლიანობის ლეგიტიმურმა დაჟინებულმა მოთხოვნამ არ მისცეს მას უფრო მეტი ჩართულობის საშუალება სეპარატისტულ რეგიონებში. მან უფრო ეფექტურად უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ბერკეტები რუსეთთან და კავკასიის ქვეყნებთან ორმხრივ ურთიერთობაში, რათა მოახდინოს კონფლიქტების მოგვარებაზე ორიენტირებული მისი ძალისხმევის რეალიზაცია. ამასთან ერთად, მან მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ლისაბონის ხელშეკრულების ინსტიტუციონალური ნოვაციები მისი ძალისხმევის უნიფიცირების და მასზე ეფექტური ორიენტირების მიზნით. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს იგი სრულად გამოიყენოს მისი პოტენციალი, როგორც ძალა მშვიდობისა და სტაბილურობისათვის რეგიონში და მის პერიფერიებში.

კონფლიქტების ტრანსფორმაციისათვის მიღებული საერთაშორისო დახმარება კვლავ ითვლება კონფლიქტების მოგვარებისათვის აუცილებელ ინსტრუმენტად.ამ სფეროში მომუშავე აქტორები ცხადად ხედავენ იმ პრობლემებს, რომელთა გამოც მიღებული დახმარება არცთუ ისე ეფექტურია. მათი აზრით, პრობლემები არსებობს, როგორც თვით იმ ორგანიზაციებში , რომლებიც საერთაშორისო მხარდაჭერის აღმომჩენები არიან, ისე სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორში. ძირითადი წარმატება, რომელიც საერთაშორისო დახმარებით იქნა მიღწეული , სფე-

როში მომუშავე აქტორების აზრით, მეორე მხარესთან კონტაქტების დამყარება/შენარჩუნებაა. ამასთანავე , უნდა ვაღიაროთ, რომ მხარდაჭერის მიღების 23-წლიანი ისატორიის განმავლობაში ეს საკმაოდ მცირე მიღწევაა. მიღწევად აღიქმება შიდა ქართული კონტექსტის ცვლილებაც, რომელიც, ბუნებრივია, გავლენას ახდენს კონფლიქტების ტრანსფორმირებაზე. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად კვლევის მონაწილეები ახალი იდეების ნაკლებობას ასახელებენ და თვლიან, რომ კონფლიქტების ტრანსფორმაციაზე მომუშავე ორგანიზაციები ჩაიკეტნენ გარკვეულ „კომფორტის“ ზონაში, რომლის ბიოროკრატიული მექნიზმებიც ხელს უშლის ამ სფეროში ინოვაციების გაჩენას.

მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ფონზე ყურადღება და, შესაბამისად, გარკვეულწილად საერთაშორისო მხარდაჭერაც კლებულობას სამხრეთ კავკასიისა და მისი კონფლიქტების მიმართ. შესაბამისად, იკვეთება იმის საშიშროება, რომ ეს  დაინტერესებული მხრეების მიერ წარმოდგენილი იქნება სამხრეთ კავკასიის მიერ საერთაშორისო მხარდაჭერის დაკარგვად. თვითონ ამ საკითხებზე მომუშავე აქტორებშიც იგრძნობა იმდეგაცრუება პროცესების ნაკლებად ეფექტიანობის გამო. კონფლიქტებზე მუშაობა აღარ ითვლება (თუკი საერთოდ ოდესმე ითვლებოდა) პრესტიჟულ ან პროფესიონალურ საქმიანობად. ამ საკითხებზე მუშაობა გარკვეულწილად გადაიქცა რუტინულ სამუშაოდ, სადაც განახლებული სახით კარგად დაწერილი ძველი იდეებიც საკმარისია გარკვეული ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად. კვლავ მნიშვნელოვან ასპექტად რჩება ცალკეული პიროვნებების როლი. მათ მიერ გამოხატული პირადი სიმპათიები კონფლიქტის ამა თუ იმ მხარის მიმართ ხშირ შემთხვევაში უარყოფითად აისახება ზოგიერთი პროცესების სანდოობაზე. პირად ურთიერთობებზე დაფუძნებული საქმიანი კავშირები გარვეულწილად ხელს უშლის საერთაშორისო და ადგილობრივ აქტორებს შორის ურთიერთობის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერებას.კვლევის პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე რეკომენდაცია, რომლებიც, ჩვენის აზრით, გაზრდის საერთაშორისო მხარდაჭერით კონფლიქტების ტრანფორმირებაზე მუშაობის ეფქტიანობას.

- სახელმწიფომ თავად უნდა მოახდინოს ადგილზე არსებული საჭიროებების შესაწავლა და მათი საერთაშორისო საზოგადოებისათვის მიწოდება. ამის მთავარი წინაპირობა კი ოფიციალური სტრატეგიის არსებობაა. იმ პირობებში, როცა სახელწიფოს არ გააჩნია კონფლიქტების მოგვარების დაწერილი გეგმა, ის ერთგრვარად „გადის თამაშიდან“ და არასამთავრობო ორგანიზაციების საერთაშორისო ორგანიზაციების პირისპირ ტოვებს. შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან კონფლიქტების მოგვარების ოფიციალური სტრატეგიის შექმნა არის საერთაშორისო მხარდაჭერის მომავალში უფრო ეფექტიანად გამოყენების წინაპირობა.
- • საერთაშორისო ორგანიზაციებს ადგილზე მხარდაჭერის უფრო ეფექტიანად გამოყენებისათვის შეუძლიათ; გაზარდონ პროექტის დაფინანსების ხანგრძლივობა, რომ კონფლიქტებზე მომუშავე აქტორებს აღარ მოუწიოთ მარტივ და ადვილად მიღწევად, ხელშესახებ შედეგებზე ორიენტირება და ამით მისცენ მათ საშუალება ყურადღება მიაქციონ ახალბედა ორგანიზაციებს, ადგილზე მომუშავე ორგანიზაციებმა გააძლიერონ ერთმანეთთან კოორდინაცია, რათა არ მოხდეს ერთმანეთის საქმიანობის დუბლირება და რესურსის მხოლოდ ერთი მიმართულებით გამოყენება. კოორდინაციის გაძლერება თავისთავად შეუწყობს ხელს საკითხების გამრავალფეროვნებას და მხარდაჭერაც უფრო ეფექტიანი და ყოვლისმომცველი გახდება;
- • არასამთავრობო სექტორმა უნდა გააძლიეროს მუშაობა სახელმწიფოსთან კონფლიქტების მოგვარების ოფიციალური სტრატეგიის შემუშავების, ისევე როგორც საკუთარი და ად-

გილზე არსებული საჭიროებების საერთაშორისო ორგანიზაციებამდე მიტანის უზრუნველსაყოფად. არასამთავრობო სექტორმა უფრო ეფექტიანად უნდა შეძლოს სხვადასხვა ტიპის დონორი ორგანიზაციების განსხვავებული შემოთავაზებების გამოყენება და თავიდან აირიდოს, როგორც ერთასა და იმავე ორგანიზაციებთან, ისე ერთას და იმავე მიმართულებაზე მუშაობის კომფორტის ზონაში ჩაკეტვა.

- • კონფლიქტებზე მომუშავე სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაციის გაზრდით ნაცვლად ორი პარალელური ხაზისა (საერთაშორისო ორგანიზაციები -სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები-საერთაშორისო ორგანიზაციები), უნდა შეიქმნას სამივე ზემოთ ჩამოთვლილი აქტორის ურთიერთქმედების მექანიზმი ერთგვარი სამკუთხედის სახით.

**ლიტერატურა:**

1. Although strengthened in 2006, the main role of the EUSR vis-à-vis the peace processes was that of providing support. Additionally, as part of the EUSR's efforts, a small Border support team was set up in 2005 to monitor the Georgian-Russian border.
2. South Ossetia is much smaller, much less viable as an entity and since 2008 has been basically off limits to Westerners. Attempts to engage South Ossetia are much less developed than in case of Abkhazia.
3. Graham and P. Zelikow (1999). Essence of decision: Explaining the Cuban Missile Crisis. New York: Longman.
4. For six months in the case of EUSR for the South Caucasus, and for six and twelve months in case of the EUSR for the Georgia Crisis.

# სახელმწიფო როლის მოდიფიკაცია ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში

***ოყრეშიძე თამარი*** *– საერთაშორისო ურთიერთობათა საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი* ***ჭეიშვილი თამთა*** *– მოწვეული სპეციალისტი, დოქტორანტი, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

# Modification of state role in terms of Economic Globalization.

***Okreshidze Tamari*** *– Bachelor's International Relations, Student, III year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

*Supervisor* ***Tcheishvili Tamta*** *– Invited Specialist, PhD Student, Department of Social Sciences, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

## Abstract

The phenomenon of economic globalization was named by the European Council of Turin among one of the main challenges facing the European Union at the end of the 20th century.The term refers to a growing global economic integration process,thst is driven by:Liberalization of international trade and capital movement; Accelerated technological progress and information society formation; Deregulation.These three factors influence one another: technological progress stimulates international trade;The latter, in turn, facilitates more effective dissemination of technological progress.At the same time, deregulation develops new forms of technology and promotes trade barriers.

Two important processes affect the State's economic role in modern conditions:Globalization and the formation of the Post-Dissident Society (Economics).The first is expressed in the interdependence of the governments of different states in the development and implementation of national economic policies and

their dependence on the superior (superpower) institutions.The psychological, mental, historical and every aspect of the national state is important for the modern globalization process.Even in stronger integration, such as the EU and the free trade zone between the United States and Canada, the desire for a national identity in people is strong enough.However, the above-mentioned limits the degree of sovereignty of national governments, hampering their autonomy space and generating the need for unification and agreement of regulatory events in separate countries.

Global processes are distinguished by its objective nature, so it is logical that they are developing by self-esteem and do not report the possibilities of the country.This obligation applies not only to developed but also to developing countries.The effectiveness of the regulation of economic sphere from the state is particularly acute in post-communist countries (including Georgia), where state regulation of economic sphere is diverse in terms of its forms, implementation methods and their national economy development.This type of regulatory process gives different effects that are naturally accompanied by adequate social-economic outcomes.

Georgia's commitment to take into consideration the generality of globalization in the area of global process management and to establish itself in international integration processes.

Our goal is to determine the role of the state in terms of economy globalization and at the same time consider the challenges facing Georgia in this regard.

**Keywords:** Economic Globalization, Deregulation, technological progress, Post-Dissident,social-economic

## აბსტრაქტი

ეკონომიკური გლობალიზაციის ფენომენი ტურინის ევროპული საბჭოს მიერ მე-20 საუკუნის დასასრულს ევროპის კავშირის წინაშე მდგარ ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად დასახელდა. ტერმინი გულისხმობს მსოფლიოს მასშტაბით მზარდი ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესს, რომლის მამოძრავებელი ძალებია: საერთაშორისო ვაჭრობისა და კაპიტალის გადაადგილების ლიბერალიზაცია; დაჩქარებული ტექნოლოგიური პროგრესი და ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბება; დერეგულაცია. ეს სამი ფაქტორი გავლენას ახდენს ერთმანეთზე: ტექნოლოგიური პროგრესი ასტიმულირებს საერთაშორისო ვაჭრობას; ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ტექნოლოგიური პროგრესის უფრო ეფექტურ გავრცელებას. ამავე დროს, დერეგულაცია ავითარებს ტექნოლოგიების ახალ ფორმებს და ხელს უწყობს სავაჭრო ბარიერების მოხსნას.

სახელმწიფოს ეკონომიკურ როლზე თანამედროვე პირობებში ორი უმნიშვნელოვანესი პროცესი ზემოქმედებს: გლობალიზაცია და პოსტინდუსტრიული საზოგადოების (ეკონომიკის) ჩამოყალიბება. პირველი გამოიხატება იმაში, რომ საგრძნობლად იზრდება როგორც სხვადასხვა სახელმწიფოთა მთავრობების ურთიერთდამოკიდებულება ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, ისე მათი დამოკიდებულება ზეეროვნულ (ზესახელმწიფო) ინსტიტუტებზე. თანამედროვე გლობალიზაციის პროცესთან მიმართებაში მნიშვნელოვანია ეროვნული სახელმწიფოს ფსიქოლოგიური, მენტალური, ისტორიული და ყოფითი ასპექტები. ისეთ ძლიერ ინტეგრაციულ წარმონაქმნებშიაც კი, როგორიცაა ევროკავშირი და თავისუფალი ვაჭრობის ზონა აშშ–სა და კანადას შორის, ადამიანებში ეროვნული იდენტურობის შენარჩუნების სურვილი საკმაოდ ძლიერია. თუმცა ყოველივე ზემოაღნიშნული ზღუდავს ეროვნულ მთავრობათა სუვერენიტეტის ხარისხს, ავიწროებს მათი ავტონომიურობის სივრცეს და წარმოშობს ცალკეულ ქვეყნებში მარეგულირებელ ღონისძებათა უნიფიცირებისა და შეთანხმების აუცილებლობას.

გლობალური პროცესები გამოირჩევა თავიანთი ობიექტური ხასიათით, ამიტომ ლოგიკურია ის, რომ ისინი თვითდინებით ვითარდება და ანგარიშს არ უწევს ქვეყნის შესაძლებლობებს. ეს ვალდებულება ვრცელდება არა მარტო განვითარებულ, არამედ განვითარებად ქვეყნებზეც. სახელმწიფოსგან ეკონომიკური სფეროს რეგულირების ეფექტიანობის საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (მათ შორის საქართველოშიც), სადაც ეკონომიკის სფეროების სახელმწიფო რეგულირება მრავალფეროვანია თავისი ფორმების, განხორციელების მეთოდებისა და მათი ეროვნული ეკონომიკის განვითარების ამა თუ იმ პერიოდთან მისადაგების მიხედვით. რეგულირების პროცესთა ამგვარი სახესხვაობა

იძლევა ერთმანეთისაგან განსხვავებულ ეფექტებს, რომლებსაც ბუნებრივია, თან ახლავს ადეკვატური სოციალ–ეკონომიკური შედეგები.

საქართველოს ვალდებულებაა, გაითვალისწინოს გლობალიზაციის ზოგადი კანონზომიერებანი, ჩაერთოს გლობალური პროცესების მართვის არეალში და თავი დაიმკვიდროს მსოფლიო საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესებში.

ჩვენი მიზანია, განვსაზღვროთ სახელმწიფოს როლი ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში და ამავდროულად განვიხილოთ საქართველოს წინაშე მდგარი გამოწვევები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური გლობალიზაცია, დერეგულაცია, ტექნოლოგიური პროცესი, პოსტინდუსტრიული, სოციალურ-ეკონომიკური.

ეკონომიკის გლობალიზაცია დინამიური და შეუქცევადი მსოფლიო პროცესია. აღნიშნული ფენომენი ტურინის ევროპული საბჭოს მიერ, მე-20 საუკუნის დასასრულს, ევროპის კავშირის წინაშე მდგარ ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად დასახელდა და პირველ რიგში, გულისხმობს, მზარდი ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესს, საერთაშორისო ვაჭრობისა თუ კაპიტალის გადაადგილების ლიბერალიზაციას, დაჩქარებულ ტექნოლოგიურ პროგრესსა და ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბებას.

თანამედროვე პირობებში გლობალიზაციის პროცესი უმნიშვნელოვანეს ზემოქმედებას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკურ როლზე. იგი გამოიხატება იმაში, რომ საგრძნობლად იზრდება, როგორც სხვადასხვა სახელმწიფოთა მთავრობების ურთიერთდამოკიდებულება ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, ისე მათი დამოკიდებულება ზეეროვნულ (ზესახელმწიფო) ინსტიტუტებზე.

ზოგადად, სახელმწიფო და მისი ეკონომიკური როლის ევოლუცია (გენეზისი) ხანგრძლივი პროცესია, რაც გულისხმობს მათ განსხვავებულ ინტერპრეტაციას ცალკეულ ეპოქათა საზოგადოებრივ – პოლიტიკური და სოციალური რეალობის კონტექსტში.

სახელმწიფოს ეკონომიკურ როლზე თანამედროვე პირობებში ორი უმნიშვნელოვანესი პროცესი ზემოქმედებს: გლობალიზაცია და პოსტინდუსტრიული საზოგადოების (ეკონომიკის) ჩამოყალიბება. გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში მსოფლიოს განვითარების მაგისტრალური მიმართულება განსაზღვრა ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დაწყებამ. აღნიშნული ტიპის ტრანსფორმაციაში სახელმწიფოს როლი განსაკუთრებულია, ვინაიდან ამ პროცესის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი პირდაპირ თუ ირიბად სახელმწიფოსთანაა დაკავშირებული.

სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური რეგულირების ეფექტიანობის საკითხი, კი განსაკუთრებით მწვავედ დგას პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (მათ შორის საქართველოშიც), სადაც ეკონომიკის სფეროების სახელმწიფო რეგულირება მრავალფეროვანია თავისი ფორმების, განხორციელების მეთოდებისა და მათი ეროვნული ეკონომიკის განვითარების ამა თუ იმ პერიოდთან მისადაგების მიხედვით. რეგულირების პროცესთა ამგვარი სახესხვაობა იძლევა ერთმანეთისაგან განსხვავებულ ეფექტებს, რომლებსაც ბუნებრივია, თან ახლავს ადეკვატური სოციალ-ეკონომიკური შედეგები.

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში ბიზნესის განვითარების პროცესი რიგი თავისებურებებით და ტენდენციებით ხასიათდება. თუ განვითარებულ ქვეყნებშიბი ზნესის განვითარება მცირე საწარმოებით დაიწყო და შემდგომ, წარმოიქმნა მსხვილი სტრუქტურები, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მიმდინარეობდა და ზოგან ამჟამადაც

მიმდინარეობს, საბჭოთა პერიოდში არსებული მსხვილი მონოპოლიური, არაეფექტიანი სახელმწიფო საკუთრების, მსოფლიო სტანდარტებთან შეუსაბამო ტექნოლოგიების მქონე საწარმოების მცირე საწარმოებად რეორგანიზაციის და მათი კერძო საკუთრებაზე გადაცემის მრავალმხრივი პროცესი.

გარდამავალ პერიოდში, სახელმწიფოს ეკისრება უპირველესი როლი, შექმნას ის სოციალურ-პოლიტიკური პირობები, რომელიც უზრუნველყოფს ახალი საბაზრო სისტემის გამართულ ფუნქციონირებას ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესებთან შესაბამისობაში.

ეკონომიკური გლობალიზაციის ინტენსივობა მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში არათანაბარია და დაკავშირებულია ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონესთან. ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებში ის ბევრად უკეთეს შედეგებს იძლევა. გარდამავალი ქვეყნების ხელისუფლებას, როგორც წესი, უხდება ეროვნული ბაზრის დაცვა და პროტექციონისტულ პოლიტიკას მიმართვას. ეკონომიკური ინტეგრაცია ხელს უწყობს ქვეყნებს შეინარჩუნონ მშვიდობა და დემოკრატია, რადგან თავისუფალი ვაჭრობის ორმხრივი სარგებლიანობა სავაჭრო ურთიერთობებს სტაბილურს ხდის.

გლობალიზაციის და თავისუფალი ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროცესის კვალდაკვალ მდიდარ და ღარიბ ქვეყნების შემოსავლებს შორის სხვაობა უფრო და უფრო იზრდება – მდიდარმა ქვეყნებმა მთლიანი შიდა პროდუქტი 6-7-ჯერ გაზარდეს, ხოლო ღარიბმა ქვეყნებმა 3-ჯერ. იზრდება უმუშევართა რიცხვი და მე-20 საუკუნის ბოლო 2 ათწლეულის განმავლობაში თითქმის გაორმაგდა ღარიბი და უკიდურესად ღარიბი მოსახლეობის რაოდენობა.ეს ყოველივე კი იწყება უმუშევრად დარჩენილი სამუშაო ძალის მიგრაციით განვითარებადი ქვეყნებიდან. მიგრაციის პრობლემა შეიძლება სხვადასხვა მიზეზებით აიხსნას, თუმცა ეკონომიკური ფაქტორის წილი უდიდესია. იკვეთება უცხოელი გაღარიბებული მუშების ექსპლოატაციის ტენდენციები – ღარიბი ქვეყნების მოსახლეობის ექსპლოატაცია მსხვილი ინდუსტრიული ძალების მიერ. შემცირდა სრულ განაკვეთებზე მომუშავეთა რიცხვი.მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში ახალ-ახალი სახელმწიფოები ერთვებიან. დასავლეთის დემოკრატიულ სივრცესთან თანდათანობით დაახლოებით, საერთაშორისო პროექტების განხორციელებაში მონაწილეობით ამ პროცესში თავისთავად ებმება საქართველოც. ის განუხრელად შემოდის ჩვენს ცხოვრებაში და დიდ გავლენას ახდენს თითოეული ჩვენგანის აზროვნებასა და ქცევაზე.

საქართველოს ეკონომიკური სტრატეგიის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს მსოფლიოს ქვეყნებთან ყოველმხრივი თანამშრომლობა,მსოფლიო ორგანიზაციებთან ურთიერთკავშირების განმტკიცება, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში წარმატებები და მსოფლიო ბაზრებზე ადგილის დამკვიდრება. ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიის მიზანია ყოველმხრივ გააძლიეროს ეკონომიკური კავშირები საქართველოს სხვა მეგობარ ქვეყნებთან. XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოს მიეცა ისტორიული შანსი ევროპის და მსოფლიო სხვა სახელმწიფოებთან ყოველმხრივი ურთიერთობების განვითარებისა და ყველაზე რთული ამოცანების გადაწყვეტისათვის.

საქართველოს პრაქტიკული გამოცდილება ცენტრალიზებული ადმინისტრაციულ–მბრძანებლური ეკონომიკის ფუნქციონირებისმ იმართულებით ადასტურებს, რომ სახელმწიფოს ხელში ძალიან დიდი ეკონომიკური ძალაუფლების თავმოყრა გამოიყენება, როგორც საზოგადოების ისე ინდივიდის საზიანოდ. გარკვეული საფრთხეების შემცველია ეკონომიკური ძალაუფლების კონცენტრაცია არასახელმწიფო სუბიექტების ხელში, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს (და გამოიყენება კიდეც) ძლიერის მიერ სუსტზე საკუთარი ნების თავზე მოხვევის ინსტრუმენტად. უკონტროლო ეკონომიკური ძალაუფლება კიდევ უფრო მეტ ეკონომიკურ ძა-

ლაუფლებას წარმოშობს და ხშირ შემთხვევაში უკონტროლო პოლიტიკურ ძალაუფლებაში ტრანსფორმირება.

გლობალური პროცესები გამოირჩევა ობიექტური ხასიათით, ამიტომ ლოგიკურია ის, რომ თვითდინებით ვითარდება და ანგარიშს არ უწევს ქვეყნის შესაძლებლობებს. ეს ვალდე-ბულება ვრცელდება არა მარტო განვითარებულ, არამედ განვითარებად ქვეყნებზეც.

გლობალიზაცია არ ცნობს ეროვნულობას. ისმხოლოდ უნივერსალურ ღირებულებებს ავითარებს. მაგალითისათვის, შეგვიძლია მოვიხმოთ ევროკავშირის შემთხვევა, სადაც ადგილი აქვს ეროვნული სახელმწიფოს ზოგიერთი სუვერენული ფუნქციის გადაცემას, ამ უდიდესი რე-გიონული გაერთიანების დონეზე. თუნდაც, ისეთი უმნიშვნელოვანესი პარამეტრის, როგორი-ცაა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეგულაცია ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ.

თუმცა, მეორეს მხრივ, თანამედროვე გლობალიზაციის პროცესთან მიმართებაში იქმნება პრეცედენტი, ეროვნული სახელმწიფოს ფსიქოლოგიური, მენტალური, ისტორიული და ყო-ფითი ასპექტების უმნიშვნელოვანესი როლის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს სწორედ ისეთ ძლიერ ინტეგრაციულ წარმონაქმნებში, როგოიცაა აევროკავშირი და თავისუფალი ვაჭ-რობის ზონა აშშ-სა და კანადას შორის, ადამიანებში ეროვნული იდენტურობის შენარჩუნების საკმაოდ ძლიერი სურვილის არსებობას.

ზემოთაღნიშნულს არ ეთანხმება მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების ერთი ნაწი-ლი, რომელთა მოსაზრებით, თანამედროვე მსოფლიოში, ეკონომიკა შესამჩნევად კარგავს მხო-ლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას და იქმნება ტრანსნაციონალური კომ-პანიები, რომლებსაც ძირითადად საკუთარი მიზნები ამოძრავებთ, არათუ სახელმწიფო ინტე-რესები. ამ ფონზე, კი აქტიურად მიმდინარეობს კულტურათა ასიმილაციის პროცესი. ეს მო-საზრება ვრცელდება არა მხოლოდ განვითარებულ სახელმწიფოებზე, არამედ განვითარებაზეც - პოსტკომუნისტურ ქვეყნებთან მიმართებაში და მათშორის, საქართველოს შესახებ, მიუხე-დავად იმისა, რომ თავიანთი ეკონომიკური განუვითარებლობის გამო მათ არ შეუძლიათ თა-ნამედროვე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება და, შესაბამისად, გლობალიზებულ მსოფლიოში წარმატებული ინტეგრაცია.

ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობა უფრო ინტენსიური 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ გახდა, როდესაც ევროკავშირმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართვე-ლოში მიმდინარე ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური რეფორმების მხარდაჭერა.18 წლიანი ურთიერთობების პროცესში დაიდო რამდენიმე ხელშეკრულება, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა პარტნიორული ურთიერთობების შექმნას.

ჩვენი აზრით, ეკონომიკის გლობალიზაცია საქართველოს მსოფლიო მასშტაბით წარმოე-ბის ინტერნაციონალიზაციის, კაპიტალის თავისუფალი ბრუნვის, საერთაშორისო ბაზარზე გასვლის, ინფორმაციის, იდეების, თანამედროვე მენეჯმენტისა და მარკეტინგის გამოცდილე-ბის სწრაფი გაცვლის პროცესში დაეხმარა. ასევე მიგვაჩნია, რომ საქართველოს თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკა უნდა გამომდინარეობდეს საბაზრო ეკონომიკის განმტკიცებისა და ევროკავშირში ქვეყნის ინტეგრაციის ამოცანებიდან. ამიტომ, ქვეყანამ უდიდესი ყურადღება უნდა დაუთმოს ეკონომიკური კავშირების ყოველმხრივ განვითარებას, რადგან მას მონაწილე ქვეყნებისათვის დიდ ურთიერთ-ეკონომიკურ სარგებლობასთან ერთად, არანაკლები პოლიტი-კური მნიშვნელობაც აქვს. თუმცა, ამავდროულად სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გაძ-ლიერება გაგებული უნდა იქნეს არა როგორც ეკონომიკურ პროცესებში პირდაპირი ჩარევა, კერძო ბიზნესისა და ზოგადად კერძო ინიციატივის შეზღუდვა, არამედ როგორც მისი სტიმუ-

ღირება, სახელმწიფოს მიერ ხელსაყრელი მაკროეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბება შესაბამისი ფინანსურ-ეკონომიკური, ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული და სამართლებრივი ბერკეტების გამოყენების საშუალებით.

გარდა ამისა, მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ ქვეყნის ისტორიულ წარმატებებს განაპირობებს არა იმდენად ბუნებრივი რესურსები და ტექნოლოგიები, არამედ უპირველეს ყოვლისა მართვის ეფექტიანობა, რომლის უზრუნველყოფაში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს მაღალ პროფესიულმა კადრებმა, რომლებსაც შესწევთ უნარი არსებითად გაზარდონ ქვეყნის მმართველობითი პოტენციალის თვისებრივი დონე და კარდინალურად გააუმჯობესონ სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვის ხარისხი. აღნიშნულიდან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანია: მმართველთა როლის გაძლიერება, მათი პროფესიული ზრდა და სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელთა მენეჯერული ჩვევების განვითარება; სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობის ხელშეწყობისა და აუცილებელი პროფესიული სტანდარტების მიღწევისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება (კანონმდებლობა, მონაცემთა ბაზები, სასწავლო-მეთოდური ცენტრები და სხვ.); თანამედროვე ტიპის სახელმწიფო მოხელეთა მომზადება, მათი შემდგომი ფართო მასშტაბიანი და სისტემატური გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ეფექტიანი სისტემის შექმნა-განვითარება და ა.შ. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშეწყობას, რადგან სწორედ, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს აქვთ უშუალო და პირდაპირი კონტაქტი მცირე მეწარმეებთან და ამდენად მათი კეთილ სინდისიერი და კომპეტენტურობა დიდი დოზით განსაზღვრავს ამ სფეროს წარმატებას თუ წარუმატებლობას.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავება სახელმწიფოებს შესაძლებლობას აძლევს: მიაღწიონ მაღალ ეკონომიკურ შედეგებს, გაზარდონ წარმოების ეფექტიანობა, სრულად დააკმაყოფილონ მომხმარებელთა მოთხოვნა, მაშინ დავინახავთ, რომ ამ პროცესის გაღრმავებაში უდავოდ დიდი როლი უკავია ამა თუ იმ სახელმწიფოს მმართველ გუნდს. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ დღეს-დღეისობით საქართველოს მთავრობა აქტიურად ცდილობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესებში ჩართვას.

თვით, გლობალიზაცია საქართველოს დაეხმარება იმ დახურული სივრციდან გასვლაში, რომელიც ასწლეულების განმავლობაში აშორებდა პროგრესულ პროცესებს, უზრუნველყოფს მის უსაფრთხოებას და დემოკრატიული გზით განვითარებას.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. www.polity.ge
2. www.europa.eu
3. www.gfsis.org
4. www.parliament.ge
5. www.sakpatenti.org.ge
6. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელება საქართველოში ვაჭრობასა და მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ სფეროში (2011 წლის მოხსენება).
7. ვასილმ ჟავანაძე, „საქართველოს მსოფლიოს ქვეყნებთან ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავების თანამედროვე ამოცანები", ჟურნ. „ეკონომიკა დაბიზნესი", 2011.

# Socio-economic aspects of tourism development in Georgia

***Porokhnya Ekaterina*** *– Bachelor’s Student, Theory of Translation, II year, North-Caucasus Federal University, Stavropol, Russia*

***Sergeeva Ekaterina*** *– Bachelor’s Student, Theory of Translation, II year, North-Caucasus Federal University, Stavropol, Russia*

*Supervisor* ***Kulakovskaya Tatyana*** *– Doctor in Economics, Professor, Department of Tax Policy and Customs, North-Caucasus Federal University, Stavropol, Russia*

**Abstract**

The article considers tourism as a sphere of socio-economic complex on a global scale, analyzes the main trends in modern tourism and reveals its economic essence. The main purpose of the study is to identify problems, hindering the development of tourism in Georgia, and to develop proposals for the development of a tourism cluster in the region. The analysis of dynamics in January – March 2017 and 2018 was carried out and the rating of visitors by countries was drawn up. It allowed us to to assess the attendance of Georgia. The detailed examination of the resorts of Georgia, conducted in the article, allowed identifying climatic, climatological, balneological and other spa resorts. Their description and assessment of the impact of influence on the development of tourism are also given. The authors' statistical survey and questionnaire survey of Russians of different ages are of particular importance. The results are presented in visual charts and in tables. Directions for the development of the tourism industry in Georgia are also offered.

**Keywords:** tourism, tourist product, tourist import, tourist export, Russia, Georgia, tourism promotion.

Today tourism is a sphere of social and economic complex. In many countries, it has become a booming industry. Currently, tourist business accounts for every 7 workplace. The world trade organization forecasts that the number of international tourists will be tripled by 2020 in comparison with 2010. Daily expenses of tourists, excluding air transportation, will rise to $ 5 billion a day.

Currently, there are two trends in tourism – exposure to external economic and political factors and the ability to quickly recover under adverse conditions.

Tourism is a temporary departure of citizens, foreign citizens and stateless persons from their permanent place of residence for recreational, educational, professional, business, sports, religious and other purposes. Economic essence of tourism is expressed in:

1) Tourism as a product is realized in the form of services. A tourism service, like any other service, is an action of a certain consumer value, expressed in a certain consumer effect that satisfies a particular human need. Services are divided into two types: material and non-material. The basis of material service is goods. The production of non-material services is inseparable from their consumption.
2) Tourism can be exported and imported from country to country. Tourist export is the export of tourist impressions from the country, which is accompanied by the simultaneous import of money into the country. Tourist import is the importation of tourist impressions, which is accompanied by simultaneous export of money to another country

Schematically, tourist flows and cash flows are similar.

Tourist flow →

Country A  Cash flow →  Country B

3) Except services, tourists can buy goods for tourist purposes. The set of goods and services of tourists forms the concept of "tourist product". It includes:
   - Tours (educational, recreational)

- Tourist and excursion services of various types (accommodation, food, transport services…)
- Goods for tourists (maps, postcards, souvenirs…)

Tourism in Georgia is an important rapidly developing component of the country's economy.

Since January till March 2017, 1.26 million visitors crossed the border of Georgia; it is by 11.4% more than last year. During this period most of the visit was made from Azerbaijan (+4.2%), Armenia (+15.3%), Turkey (-13.7%), Russia (+28.2%) and Iran (+236.8%).

514,000 visitors stayed in Georgia for more than 24 hours of these 1.2 million people, it is by 25.7 percent more than in the previous year. According to the international classification, tourist is a person who stays in the country for more than 24 hours and uses the service sector of the country (restaurants, hotels, etc.).

In January – March, 2018 the number of international arrivals in Georgia amounted to 1.463.561, showing an increase to the same period of previous year. Out of the total number of visits, 659.338 lasted longer than 24 hours (+28.2%). The majority of foreign travelers were Azerbaijanian (-3.9%), Armenian (+15.8%), Turkish (+21.8%), Russian (+25.5%) and Iranian (+63.9%).

A positive trend in arrivals was also observed among citizens of the European Union countries. A notable increase was registered of Spanish (+79%), British (+53%), Dutch (+46%), German (+27%) and French (+24%) travelers. Exceptional growth in arrivals was recorded of citizens of the following countries: Kuwait (+127%), Saudi Arabia (+82%), Israel (+77%), Iran (+64%) and China (+56%).

| | Country | 2017 January -March | 2018 January – March | Change | Change % |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | Azerbaijan | 368,107 | 353,932 | -14,175 | -3.9% |
| 2 | Armenia | 264,070 | 305,789 | 41,719 | 15.8% |
| 3 | Turkey | 236,473 | 287,914 | 51,441 | 21.8% |
| 4 | Russia | 185,723 | 233,100 | 47,377 | 25.5% |
| 5 | Iran | 55,564 | 91,094 | 35,530 | 63.9% |
| 6 | Ukraine | 33,744 | 34,308 | 564 | 1.7% |
| 7 | India | 11,860 | 16,924 | 5,064 | 42.7% |
| 8 | Israel | 8,232 | 14,561 | 6,329 | 76.9% |
| 9 | Kazakhstan | 7,534 | 8,674 | 1,140 | 15.0% |
| 10 | Germany | 5,854 | 7,442 | 1,588 | 27.1% |

There are many unique natural resources in Georgia – mineral waters, mountains, forests and rivers. All these natural resources will potentially allow making serious economic progress in the shortest period.

The territory of Georgia is one of the richest in the world in mineral water resources. There are almost all types of mineral waters and over 2 thousand mineral springs, which create conditions for the treatment, prevention and rehabilitation of patients with diseases of the cardiovascular, nervous, endocrine and digestive systems, gynecology and musculoskeletal system. Mineral water has some health benefits and they are supported by scientific proofs to the levels of varying degrees. Bottled mineral water is the fastest growing section of overall non-alcoholic beverage market all over the world. The main reasons due to which consumers prefer mineral drinking water over tap water are health, taste and sight. There are more than 100 resorts in the country. All guests of the country can take the cure in climatic, balneoclimatic and

balneological resorts or just enjoy having spa therapy. They are located in Tskaltubo, Abastumani, Borjomi, Tsagveri, Tsemi, Libani.

There are about 300 mountain, seaside climatic, balneological and mud resorts in the Republic. Near Batumi there is a magnificent Botanical garden.

The graph below shows us how 500 visitors of Batumi Botanical garden estimated their visit.




There are more than 10 thousand monuments of archeology, history, architecture, art in Georgia. There are numerous historical natural monuments, ancient manuscripts. The oldest surviving architectural monuments in Georgia belong to the I Millennium BC.

Resort resources of Georgia Supplement natural mud deposits. At the moment, there are practically no analogues in the world to what is now offered in the Republic neither on the spectrum of indications, nor on prices.

This diagram shows the age of respondents.

- Blue color is people from 18 to 20 years.
- Green - from 21 to 24 years
- Yellow - from 25 to 30 years
- Pink - from 30 to 34
- Orange - from 35 to 40
- Purple - 40 years of age and older



The graph below shows us what types of transport tourists usually use to get to Georgia. We can see that the majority of the respondents have not visited Georgia yet. It can be caused by the absence of railway communication between Russia and Georgia. So we can conclude that there is a great need to create railway communication in Georgia to increase the flow of tourists from Russia.




The chart below depicts answers to the question: «What attracts you most in Georgia?» Our respondents consider that historical places, unique nature of Georgia and Georgian cuisine are the most attractive. Average popularity is enjoyed by hospitality of locals, mountain tourism, visa-free regime and resorts on Black Sea coast. Some people also suppose that prices in Georgia are quite low. Only a few people are attracted by mineral waters, curative muds and usage of Russian.




| | | |
|---|---|---|
| Mineral waters | 10 | 10% |
| Hospitality of locals | 32 | 32% |
| Unique nature of Georgia | 48 | 48% |
| Curative muds | 7 | 7% |
| Historical places | 54 | 54% |
| Low prices | 22 | 22% |
| Visa-free regime | 28 | 28% |
| Resorts on Black Sea coast | 25 | 25% |

| | | |
|---|---|---|
| Usage of Russian | 17 | 17% |
| Mountain tourism | 25 | 25% |
| Georgian cuisine | 49 | 49% |
| Nothing attractive | 1 | 1% |
| Other | 1 | 1% |

This graph below illustrates the answer to the question: « Do you want to come back in Georgia? » As we can notice, there is nobody who was in Georgia and does not want to come back.




This graph contains information about what respondents know about Georgia. The majority of respondents are interested in degustation of delicious Georgian cuisine. Also cheapness of traveling, hospitality of locals and unique nature cause a lot of interest. However, respondents do not have enough information about health resorts and recreational activities. Only a few people find Georgia dangerous for tourism.



| | | |
|---|---|---|
| Possibility to travel on a budget | 45 | 45% |
| I've heard that Georgian don't like Russian | 2 | 2% |
| I don't know a lot about tourism in Georgia | 8 | 8% |
| I've heard about hospitality of locals | 53 | 53% |
| Delicious Georgian cuisine | 59 | 59% |
| Marvelous Georgian sea coast | 21 | 21% |
| I've heard a lot about Georgian health resorts | 7 | 7% |
| I've heard a lot about unique nature in Georgia | 43 | 43% |
| I like recreational activities in Georgia | 13 | 13% |
| There is nothing interesting for me in Georgia | 1 | 1% |
| It is too dangerous for me to go to Georgia | 3 | 3% |

Summing up the results of the study, some conclusions can be made. People are attracted to monuments of archeology, history and art. Georgian cuisine, hospitality of locals and unique nature of Georgia are also very attractive for tourists. People also like the possibility to travel in Georgia on a budget and visa-free regime. Nevertheless, there are some reasons which hinder the development of tourism in Georgia. One of the most significant reasons is undeveloped railway communication between Russia and Georgia. Mud resorts and healing mineral waters are not advertised enough and therefore they are not in high demand. Active recreation in Georgia is not so popular among Russians. Recreational activities are extremely popular nowadays, especially among young generation. Georgian landscape has all it needs not only to be developed, but also advertised widely. It is worth noting that Georgian resorts on the coast are not so highly publicized too. In this case tourists prefer more popular sea resorts in Russia or in other nearby countries. We want to suggest some ideas how to popularize tourism in Georgia, especially among young generation. Organization of international student conferences, forums, summer schools, volunteer projects with the provision of housing and food can attract many students to visit Georgia, to take some tours here and to buy some souvenirs. Memories from youth make many people come back in adulthood; therefore, such activities can inject funds into economy in the long term. The establishment of railway communication will also have a positive impact on increasing the number of tourists in Georgia. Train is one of the most preferable type of transport among people of all ages because its comfort and accessibility. It should be recognized that many resorts in Georgia are very little advertised. Many people pay a lot of attention to advertising, and therefore it affects their choice.

**References**

1. https://gnta.ge/statistics/
2. https://moluch.ru/th/5/archive/44/1517/
3. http://great-travel.ru/strany/54-gruziya.html
4. https://studopedia.org/4-20585.html
5. https://utmagazine.ru/posts/9233-ekonomika-turizma

# გადასახადის გავლენა წონასწორულ ფასზე და ადამიანთა რაციონალურობა

***პატარიძე გიორგი*** *– ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

***აფხაძე გიორგი*** *– ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი* ***შონია ქეთო*** *– მოწვეული სპეციალისტი, ეკონომიკის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

# Tax effect on equilibrium prices and rationality of people

***Pataridze Giorgi*** *– Bachelor's Student, Economics, II year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

***Apkhadze Giorgi*** *– Bachelor's Student, Economics, II year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

*Supervisor* ***Shonia Keto*** *– Invited Specialist, Department of Economics, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

**Abstract**

Taxes are the basis of the existence of the state, taxes create financial basis for realization of state decisions. Wewill analyze an important issue of the economy,which is called the equilibrium of delivery and demand and judge howit affected by tax. We will analyze the demand and delivery functions, by mathematical methods we will calculate the equilibrium price. We will talk about the elasticity of demand and judge how elastic affects the total return, we consider the distribution of tax on the population and firms (with mathematical methods). Demand and delivery will be provided through linear function, we will discuss a private case and analyze the total returns through it. In the second part of the topic we will talk about rationality of people, consider the case when the irrationality gives an optimal result, we will use tables and mathematical calculations and finally we will introduce you our views aboutrationality.

**Keywords:** Demand, Supply, Equilibrium, State tax, Rationality.

**აბსტრაქტი**

გადასახადები სახელმწიფოს არსებობის ფინანსური საფუძველია, გადასახადები ქმნის სახელმწიფოს გადაწვეტილებების რეალიზაციის ფინანსურ საფუძველს. გავაანალიზებთ ეკონომიკის ერთი მეტად მნიშვნელოვან საკითხს, რომელსაც მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობა ეწოდება და ვიმსჯელებთ თუ რა გავლენა აქვს გადასახადს მასზე. გავაანალიზებთ მოტხოვნისა და მიწოდების ფუნქციებს. მათემატიკური მეთოდების გამოვიანგარიშებთ წონასწორულ ფასს. ვისაუბრებთ მოთხოვნის ელასტიურობაზე და ვიმსჯელებთ როგორ მოქმედებს ელასტიურობა მთლიანი ამონაგების ცვლილებაზე. განვიხილავთ გადასახადის განაწილებას მოსახლეობასა და ფირმებზე. მათემატიკური მეთოდები იქნება განმარტებული გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად. მოთხოვნა და მიწოდება წარმოდგენილი იქნება წრფივი ფუნქციების საშვალებით. განვიხილავთ კერძო შემთხვევას და მისი მიხედვით გავაანალიზებთ მთლიანი ამონაგების ცვლილებას. თემის მეორე ნაწილში საუბარი გვექნება ადამიანების რაციონალურობაზე განვიხილავთ შემთხვევებს, როდესაც ირაციონალურობა გვაძლევს ოპტიმალურ შედეგს გამოვიყენებთ ცხრილებს და ელემენტარულ მათემატიკურ გამოთვლებს და ბოლოს შემოგთავაზებთ ჩვენებურ ხედვას რაციონალურობაზე.

**საკვანძო სიტყვები**: მოთხოვნა, მიწოდება, წონასწორობა, გადასახადი, რაციონალურობა, ირაციონალურობა.

გადასახადები სახელმწიფოს არსებობის ფინანსური საფუძველია, გადასახადები ქმნის სახელმწიფოს გადაწვეტილებების რეალიზაციის ფინანსურ საფუძველს. გავაანალიზოთ ეკონომიკის ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი რომელსაც მოთხოვნისა და მიწოდების წონასწო-

როზა ეწოდება. მოთხოვნისა და მიწოდების ფუნქციის შემოღებამდე გავიხსენოთ თუ რა არის ფუნქციის ცნება. ვთქვათ, გვაქვს ორი ცვლადი სიდიდე x და y, რომლებიც ღებულობენ მნიშვნელობებს შესაბამისად X და Y რიცხვითი სიმრავლეებიდან. თუ მოცემულია რაიმე F წესი, რომელიც ყოველ x რიცხვს შეუსაბამებს ერთადერთ y რიცხვს მაშინ ვამბობთ რომ მოცემულია y=F(x) ფუნქცია. მოთხოვნის F ფუნქციის კონკრეტული სახე დგინდება ან ეკონომიკური თეორიიდან ან საბაზრო მონაცემებიდან. ზოგადად მოთხოვნის F ფუნქცია შეიძლება ძალიან რთული ფუნქცია იყოს. ახლა კი უბრალოდ შევნიშნოთ რომ მოთხოვნის F ფუნქცია დამოკიდებულია P ფასზე ანუ D=F(P). ჩვენ განვიხილავთ ისეთ შემთხვევას როდესაც ფასი და მოთხოვნა წრფივ დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან ანუ D=F(P) წრფივი ფუნქციაა D=F(P)=aP+d, (1) სადაც a და b პარამეტრებია. რეალურად რაიმე პროდუქციაზე ფასის ზრდა იწვევს ამ პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირებას ე.ი. ფუნქცია უნდა იყოს კლებადი. ეს კი ნიშნავს, რომ a<0 ხოლო b რაიმე დადებითი რიცხვია. ტრადიციულად ეკონომისტები მოთხოვნას წერენ არა (1) სახით, არამედ შემდეგნაირად:

$$P=g(D) \quad (2)$$

ე.ი. ფასს გამოსახავენ როგორც მოთხოვნის ფუნქციას. ეს ტოლფასია იმისა, რომ (1) განტოლებიდან ვიპოვოთ P ცვლადი Q ცვლადის საშვალებით. (2) ტიპის წრფივი დამოკიდებულებიდან მარტივად მივიღებთ P=g(Q)=kQ+b (3) სადაც k=1/a , b=-d/a გავარკვიოთ b პარამეტრის ეკონომიკური შინაარსი (3) ტოლობაში. ცხადია როდესაც P=b, მაშინ Q=0, ე.ი. b პარამეტრი დადებითია და პროდუქციის ფასი ბაზარზე შემოსაზღვრულია ამ b რიცხვით.




მოცემულ მოთხოვნის გრაფიკში ჩავსვით k და b პარამეტრების მნიშვნელობა, რომლებსაც ჩვენ გამოვიყენებთ შემდგომ ანალიზში. ახლა კი შევუდგეთ მიწოდების ფუნქციის განხილვას

P=g(S)=cS+r სადაც c და r მუდმივებია და ამავე დროს c>0 და r>0 აქედან გამომდინარე მიწოდების g(S) ფუნქცია ზრდადი ფუნქციაა. S მიწოდება და D მოთხოვნა აღვნიშნოთ Q სიმბოლოთი. აშკარაა, რომ გაწონასწორებული ბაზარი წარმოადგენს იდეალურ ვარიანტს. ამ იდეალური წონასწორობის ფასი და წონასწორობის სიდიდე განისაზღვრება შემდეგი სისტემის ამოხსნით:

$$\begin{cases} P=kQ+b \\ P=cQ+r \end{cases}$$

მოთხოვნისა და მიწოდების ფუნქციები მოცემულია შემდეგი ტოლობით:

$P=g(D)=-2Q+50$ , $P=g(S)=0.5Q+25$ სადაც Q არის მოთხოვნა, ხოლო მეორე განტოლებაში – მიწოდება.




მაშასადამე წონასწორული ფასი P=30 ლარს ხოლო წონასწორობის სიდიდეა Q=10. განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც მთავრობა ზრდის გადასახადს ერთეულ პროდუქციაზე 5 ლარით. ამ შემთხვევაში მოთხოვნის ფუნქცია უცვლელი დარჩება, მიწოდების ფუნქცია კი შეიცვლება. მართლაც, თუ პროდუქციის ერთეული P ლარად იყიდებოდა რასაც მომხმარებელი ფირმას უხდიდა, ახლა უკვე მომხმარებლის მიერ გადახდილი P ლარიდან 5 ლარი „მიაქვს“ სახელმწიფოს, ხოლო P-5 რჩება ფირმას. ამიტომ მიწოდების ფუნქციაში P–ს ნაცვლად უნდა ჩავსვათ P-5. ამის შედეგად მივიღებთ ახალ სიტუაციას, მიწოდების ახალ განტოლებას: $P-5=0.5Q+25$ აქედან გამომდინარე $P=0.5Q+30$.

წონასწორობის ახალი P ფასის და წონასწორობის ახალი Q სიდიდის მოსაძებნად უნდა ამოვხსნათ სისტემა:

$$\begin{cases} P=-2Q+50 \\ P=0.5Q+30 \end{cases}$$

ახლა გავაანალიზოთ მიღებული ეფექტი, რაც მთავრობის აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ გამოიწვია.




ჯერ ერთი, მოთხოვნის წირი უცვლელი დარჩა, ხოლო მიწოდების წირმა აიწია ზევით 5 ერთეულით. ამან გამოიწვია წონასწორობის ფასის გაზრდა P=30 დან P=34 მდე. ამრიგად მომხმარებლისთვის პროდუქცია 4 ლარით გაძვირდა. გარდა ამისა, ფირმამ ერთეული პროდუქციის გაყიდვით მიღებული 34 ლარიდან 5 ლარი მთავრობას უნდა გადაუხადოს, რის გამოც მას 29 ლარი ანუ 1 ლარით ნაკლები რჩება, ვიდრე მას მთავრობის მიერ გადასახადის შემოღებამდე რჩებოდა (ადრე ფირმას 30ლარი რჩებოდა). ამრიგად, ზევით მოტანილი მსჯელობა გვიჩვენებს, რომ მთავრობის მიერ 5 ლარიანი ფიქსირებული გადასახადის შემოღებამ შეცვალა ბაზრის წონასწორობის მდგომარეობა. ბაზრის ახალი წონასწორობის დამყარება იწვევს პროდუქციის გაძვირებას 4 ლარით და მიწოდებას 10 დან 8 ერთეულამდე ამცირებს გარდა ამისა მთავრობის დადგენილი 5 ლარი გადასახადი ასე ნაწილდება: 4 ლარს იხდის მომხმარებელი(რადგან მისთვის 4 ლარით გაძვირდა პროდუქცია), ხოლო 1 ლარს – ფირმა (რადგან ფირმის შემოსავალმა პროდუქციის ერთეულზე გაანგარიშებით დაიკლო 1 ლარით) შევნიშნოთ, რომ მთლიანი ამონაგები პირველ შემთხვევაში არის 30X10=300, ხოლო მეორე შემთხვევაში – 34X8=272, ე.ი. მთავრობის გადაწყვეტილებას მოჰყვა მთლიანი ამონაგების შემცირებაც.

ახლა მივმართოთ ინდუქციის პრინციპს.როგორც ზევით აღვნიშნეთ P ფასის შემცირებას მოსდევს Q მოთხოვნის ზრდა. მეორე მხრივ როგორც უკვე ვიცით, მთლიანი ამონაგების ფუნქციას აქვს შემდეგი სახე (TR)=PQ. რადგან ფასის ზრდას მოსდევს მოთხოვნის შემცირება, ზოგადად ძნელია დავასკვნათ რა დაემართება მთლიან ამონაგებს:იგი შეიძლება შემცირდეს, დარჩეს უცვლელი ან გაიზარდოს.

მოთხოვნის ზღვრული ელასტიკურობა გვიჩვენებს, თუ რამდენი პროცენტით იზრდება ან მცირდება მოთხოვნა ფასის 1% ით ცვლილებისას. ფუნქციის გამოკვლევა ზღვრულ ელასტიკურობაზე მოითხოვს ისეთი მათემატიკური საკითხების ცოდნას როგორიცაა ზღვარი და წარმოებული. საკითხის გართულების თავიდან ასაცილებლად უბრალოდ სიტყვიერად ჩამოვაყალიბოთ მთლიან ამონაგებსა და მოთხოვნის ელასტიკურობას შორის კავშირი მათემატიკური მოდელით ილუსტრაციის გარეშე. მოთხოვნის ელასტიკურობა აღვნიშნოთ E ასოთი. მაშასადამე, უნდა განვიხილოთ სამი შემთხვევა როდესაც E>1მოთხოვნა ელასტიკურია თუ E<1 მოთხოვნა არაელასტიკურია და E=1 მოთხოვნა არის ერთეულოვან ელასტიკური. გავაანალიზოთ მათი დამოკიდებულება მთლიან ამონაგებთან მიმართებაში.

ა) თუ E >1 მთლიანი ამონაგები მცირდება ფასის გაზრდით;

ბ) თუ E<1 მთლიანი ამონაგები იზრდება ფასის გაზრდით;

გ) თუ E=1 მთლიანი ამონაგები თითქმის უცვლელი რჩება ფასის ცვლილებისას.

აქედან შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა. თუ სახელმწიფო გაზრდის გადასახადს ელასტიკურ საქონელზე ამით შემცირდება მთლიანი ამონაგები (რადგან ფასი გაიზრდება) და დაზარალდება ფირმა. ხოლო თუ არაელასტიკურ საქონელზე გაზრდის გადასახადს, მაშინ ფირმას შეუძლია ფასი გაზარდოს ისე, რომ მას არ შეუმცირდე ამონაგები, მაგრამ გადასახადი მთლიანად მომხმარებლის კისერზე გადადის. უნდა შევნიშნოთ, რომ არ არსებობს აბსოლუტურად არაელასტიკური მოთხოვნა. ამიტომაც იარსებებს ისეთი $P_{max}$ ფასი რომლის დროსაც ამონაგები იქნება მაქსიმალური, ხოლო როდესაც ფასი გადააჭარბებს $P_{max}$ მთლიანი ამონაგები დაიწყებს შემცირებას.

როგორც ზევით აღვნიშნეთ P ფასის შემცირებას მოსდევს Q მოთხოვნის ზრდა. მეორე მხრივ როგორც უკვე ვიცით, მთლიანი ამონაგების ფუნქციას აქვს შემდეგი სახე (TR)=PQ. რადგან ფასის ზრდას მოსდევს მოთხოვნის შემცირება,ზოგადად ძნელია დავასკვნათ რა დაემართება მთლიან ამონაგებს: იგი შეიძლება შემცირდეს, დარჩეს უცვლელი ან გაიზარდოს.

მოთხოვნის ზღვრული ელასტიკურობა გვიჩვენებს თუ რამდენი პროცენტით იზრდება ან მცირდება მოთხოვნა ფასის 1% ით ცვლილებისას. ფუნქციის გამოკვლევა ზღვრულ ელასტიკურობაზე მოითხოვს ისეთი მათემატიკური საკითხების ცოდნას როგორიცაა ზღვარი და წარმოებული. საკითხის გართულების თავიდან ასაცილებლად უბრალოდ სიტყვიერად ჩამოვაყალიბოთ მთლიან ამონაგებსა და მოთხოვნის ელასტიკურობას შორის კავშირი მათემატიკური მოდელით ილუსტრაციის გარეშე. მოთხოვნის ელასტიკურობა აღვნიშნოთ E ასოთი. მაშასადამე, უნდა განვიხილოთ სამი შემთხვევა, როდესაც E>1 მოთხოვნა ელასტიკურია თუ E<1 მოთხოვნა არაელასტიკურია და E=1 მოთხოვნა არის ერთეულოვან ელასტიკური. გავაანალიზოთ მათი დამოკიდებულება მთლიან ამონაგებთან მიმართებაში.

ა) თუ E >1 მთლიანი ამონაგები მცირდება ფასის გაზრდით;

ბ) თუ E<1 მთლიანი ამონაგები იზრდება ფასის გაზრდით;

გ) თუ E=1 მთლიანი ამონაგები თითქმის უცვლელი რჩება ფასის ცვლილებისას.

აქედან შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა. თუ სახელმწიფო გაზრდის გადასახადს ელასტიკურ საქონელზე ამით შემცირდება მთლიანი ამონაგები (რადგან ფასი გაიზრდება) და დაზარალდება ფირმა. ხოლო თუ არაელასტიკურ საქონელზე გაზრდის გადასახადს, მაშინ ფირმას შეუძლია ფასი გაზარდოს ისე, რომ მას არ შეუმცირდე ამონაგები, მაგრამ გადასახადი მთლიანად მომხმარებლის კისერზე გადადის. უნდა შევნიშნოთ, რომ არ არსებობს აბსოლითურად არაელასტიკური მოთხოვნა ამიტომაც იარსებებს ისეთი $P_{max}$ ფასი, რომლის დროსაც ამონაგები იქნება მაქსიმალური, ხოლო, როდესაც ფასი გადააჭარბებს $P_{max}$ მთლიანი ამონაგები დაიწყებს შემცირებას. ახლა მინდა ვისაუბრო ერთ გადასახადზე, რომელსაც აქციზი ეწოდება. აქციზი ძირითადად დაწესებულია ისეთ საქონელზე, რომელზეც მოთხოვნა არის არაელასტიკური (მაგ.: თამბაქოს ნაწარმი, ნავთობპროდუქტები და ბუნებრივი აირები) ამიტომაც გდასახადი მთლიანად აწვება მომხმარებლებს. მაგალითისათვის განვიხილოთ სიგარეტი. სიგარეტზე გადასახადის დაწესება ლოგიკურად ზრდის მის ფასს. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფო გადასახადის გაზრდით მოსახლეობას აძლევს სტიმულს სიგარეტზე თავის დანებების, მაგრამ რეალურად სიგარეტზე მოთხოვნა არის არაელასტიკური და სახელმწიფო ამ ქმედებით მხოლოდ მწეველი ადამიანებიდან იღებს მეტ ფულს ამასთან უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ხშირად სიგარეტის გაძვირებისას მწეველები გადადიან უფრო იაფიან სიგარეტზე, რომელიც არის

უხარისხო და გაცილებით მავნებელი ორგანიზმისთვის. ამიტომაც გადასახადის გაზრდა სიგარეტზე მხოლოდ აუარესებს მწეველების მდგომარეობას.

**ადამიანთა რაციონალურობა**

ადამიანებს არ შეგვიძლია ერთმანეთის გარეშე ვიცხოვროთ. ადამიანის მიდრეკილება გაცვლისადმი არის ერთ-ერთი მიზეზი რატომაც გადარჩნენ ადამიანები და დღეს ჩვენ აქ ვართ. წარმოება და გაცვლა მოითხოვს ინდივიდებს შორის თანამშრომლობას, მაგრამ იგივე ურთიერთობამ შეიძლება გამოიწვიოს დამანგრეველი დაპირისპირება. კაცობრიობის ისტორია არის როგორც ბრძოლისა და ომის ასევე წარმატებული თანამშრომლობის ისტორია. ბევრი ადამიანის ურთიერთქმედება ატარებს როგორც თანამშრომლობისა და ჰარმონიის პოტენციალს ასევე კატასტროფის პოტენციალს.

ეკონომიკა, სოციოლოგია,ფსიქოლოგია და პოლიტიკური მეცნიერებები. ეძღვნება ადამიანის ქცევის შესწავლას სოციალური ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე. ჩვენ განვიხილავთ ისეთ სიტუაციებს როდესაც ინდივიდების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს შედეგზე რომელიც მნიშვნელოვანია სხვა ინდივიდებისათვის. მოდი ჯერ განვმარტოთ რას ნიშნავს სტრატეგიული ქმედება. ქმედება სტრატეგიულია, თუ ინდივიდმა იცის ეს ქმედება რა გავლენას მოახდენს საბოლოო შედეგზე. ფაქტი რომ ჩემი ქმედება გავლენას ახდენს საბოლოო შედეგზე არ გადააქცევს ჩემ ქმედებას სტრატეგიული ხასიათის ქმედებად, თუ არ ვიცი ამ ფაქტის შესახებ. ყველაზე მნიშვნელოვანი და ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე სადაო საკითხი, რომელიც წამოიჭრება არის ის, რომ ადამიანები რაციონალურები არიან. განვსაზღვროთ რაციონალურობა. ინდივიდი რაციონალურია, თუ მას აქვს კარგად განსაზღვრული მიზნები და პრიორიტეტები რომელსაც მოაქვს გარკვეული შედეგი და ის იყენებს საუკეთესო სტრატეგიას მიზნის მისაღწევად. რაციონალიზმი ნიშნავს იმას, რომ ინდივიდებმა იციან იმ სტრატეგიებზე, რომლებიც ხელმისაწვდომია მათთვის ასევე მათ შეუძლიათ განსაზღვრონ საუკეთესო სტრატეგია მიზნის მისაღწევად. განვიხილოთ მაგალითი.

დავუშვათ საბა არის ინვესტორი და მას აქვს ორი ვარიანტი თუ სად დააბანდოს თავისი 100$ მას შეუძლია ეს ფული დააბანდოს ობლიგაციებში,რაც მას აუცილებლად მოუტანს 10 % იან სარგებელს ან შეუძლია დააბანდოს სარისკო კომპანიაში. ამ კომპანიას რომ იყოს წარმატებული სჭირდება 200$. სარგებელი შეადგენს 20% და 100$ ის დაბანდებისაას მიიღებს 120$ თუ რა თქმა უნდა მთლიანი ინვესტიცია 200$ ზე ნაკლები არ არის, ხოლო როცა ნაკლებია, მაშინ ეს კომპანია არის წარუმატებელი და სარგებელი ნულის ტოლია. საბამ იცის რომ არსებობს კიდევ ერთი პიროვნება მაგ: კახა, რომელიც ზუსტად საბას სიტუაციაშია და სხვა პოტენციური ინვესტორი საწარმოს არ ჰყავს. საბას და კახას არ შეუძლია დაეკონტაქტნონ ერთმანეთს. აქედან გამომდინარე ორივე მათგანი გადაწყვეტილებას მიიღებს ერთმანეთის გადაწყვეტილებების ცოდნის გარეშე. გამოვსახოთ ეს სიტუაცია ცხრილის საშვალებით.

| | საბა | | |
|---|---|---|---|
| კახა | | ობლიგაცია | კომპანია |
| | ობლიგაცია | 110 ; 110 | 110;100 |
| | კომპანია | 100;110 | 120;120 |

მოდით ამ საკითხს საბას გადმოსახედიდან შევხედოთ. დავუშვათ საბა ფიქრობს, რომ იმის ალბათობა, რომ კახა კომპანიაში დააბანდებს ფულს არის P ს ტოლი შესაბამისად იმის ალბათობა, რომ ის ობლიგაციებში დააბანდებს ფულს არის (1 – P) ესე იგი.

$$120P+(1-P)100=100+20P$$

თუ p≤1/2, მაშინ საბა ფულს ობლიგაციებში დააბანდებს, ხოლო თუ P> 1/2 აქციებში. გავაანალიზოთ ეს სიტუაცია. დავუშვათ, რომ ისინი ორივე რაციონალურები არიან, ესე იგი ისინი ირჩევენ ისეთმოქმედებას,რომელიც მაქსიმალური დაბრუნების მოლოდინს ქმნის და მათ ორივემ კარგად იციან, რომ მეორე (სხვა) რაციონალურია.

ეს საკმარისია? საბამ იცის, რომ კახა რაციონალურია მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დავასკვნათ,თუ როგორ მოიქცევა კახა. ეს პირობა მაინც არ არის საკმარისი კითხვაზე პასუხის გასაცემად. საკმარისი პირობის ჩამოყალიბება უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს. თითოეულმა იცის, რომ სხვამ იცის, რომ თითოეული რაციონალური. სხვამ იცის, რომ თითოეულმა იცის, რომ სხვამ იცის, რომ თითოეული რაციონალურია და ა.შ გადაწყვეტილების მისაღებად საკმარის პირობას ვერ ჩამოვაყალიბებთ სრულყოფილად. მაშინ ისმის კითხვა შედეგი იქნება მაქსიმალური თუ ინდივიდები რაციონალურები არიან?

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი „პატიმრის დილემა“ წარმოვიდგინოთ სიტუაცი 2 ადამიანი, რომლებმაც ერთად ჩაიდინეს დანაშაული დაიჭირეს პროკურორმა ორივეს შესთავაზა ერთნაირი გარიგება. გარიგების პირობის თანახმად თუ ერთი ჩაუშვებს მეორეს და მეორე არ ჩაუშვებს, მაშინ ჩამშვები გათვისუფლდება, ხოლო მეორე ციხეში წავა 6 ლით. ხოლო თუ ორივე მათგანი ჩაუშვებს მეორეს, მაშინ ორივე წავა ციხეში 5 წლით. თუ არც ერთი არ ჩაუშვებს მეორეს, მაშინ ორივე წავა ციხეში 1 წლით. რეალურად მათ აქვთ ორი ვარიანტი ან ჩაუშვან მეორე ან არ ჩაუშვან. დაბეზღება აღვნიშნოთ C ასოთი, ხოლო არდაბეზღება N ასოთი და შევადგინოთ ცხრილი.

| | | მოთამაშე 1 | |
|---|---|---|---|
| | | C | N |
| მოთამაშე 2 | C | –5 ; –5 | 0; –6 |
| | N | –6;0 | –1;–1 |

სანამ მოცემულ მაგალითს განვიხილავთ ორი მეტად მნიშვნელოვანი რამ განვმარტოთ „სუსტად დომიანტური ქმედება“ და „მკაცრად დომინირებადი ქმედება“ ქმედებას ეწოდება მკაცრად დომინირებადი ქმედება, თუ არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რას მოიმოქმედებს სხვა შენი არჩეული ქმედება მაინც არ შეიცვლება. მოცემულ მაგალითში ასეთი ქმედება არის C ქმედება, მაშინ რაციონალური ადამიანი აირჩევს C ქმედებას და მოუწევს 5 წლის ციხეში გატარება. სად არის მაქსიმალური შედეგი? ამასთან რაციონალური ადამიანი ვერასოდეს ვერ მივა იმ დასკვნამდე, რომ არ ჩაუშვას მეორე(ამისათვის მას უნდა ჰქოდეს უსასრულოდ დიდი ინფორმაცია).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მე ვფიქრობ, რომ მაქსიმალური შედეგი, მაშინ კი არ მიიღწევა, როდესაც ადამიანები რაციონალურები არიან და მხოლოდ თავის თავზე ფიქრობენ არამედ, მაშინ როდესაც ისინი რაციონალურები არიან თავის თავზე ფიქრობენ და ითვალისწინებენ საზოგადოების ინტერესებსაც.

## გამოყენებული ლიტერატურა

1) დ. ნატროშვილი „მათემატიკა ეკონომისტებისათვის“ 2008 წ.;
2) ჯ. ნეში „თამაშის თეორია“;
3) ინტერნეტი.

# დაეშის რეკრუტირების სტრატეგიები საქართველოში

***საღინაძე თამარი*** *– საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

***კოხოძე ნუნუ*** *– საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი* ***ხეცურიანი თამარი*** *– მოწვეული სპეციალისტი, დოქტორანტი, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

# The recriutment strategies of Daesh in Georgia

***Saghinadze Tamari*** *– Bachelor's Student, Public Administration, III year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

***Kokhodze Nunu*** *– Bachelor's Student, Public Administration, III year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

*Supervisor* ***Khetsuriani Tamari*** *– Invited Specialist, PhD Student, Department of Social Sciences, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

## Abstract

The paper attempts to answer the question - what are the main causes of the radicalization of Georgian citizens to join Daesh. Under the research I investigated the challenges the Muslims living in the Georgian territory, specifically in Achara, Pankisi valley and Guria highlands, face and their importance for the recruitment process. In this paper I also analyze the steps Daesh follows to recruit Georgian citizens in its cause. According to our research the factors that have an influence on the radicalization of Georgian citizens and on their willingness to join Daesh can be: religion, difficult social background, lack of education and the problems of integration, though the main causes of the successful recruitment process is Daesh working through its local "agents of influence", its internet recruiting methods and proper tools to motivate young people. The paper attempts to prove that the main cause why Georgian citizens join Daesh is the recruitment strategy used by this radical group.

**Keywords:** Recriutment, Daesh, National Islam, Radical Islam, Fundementalism

## აბსტრაქტი

ეს ნაშრომი პასუხია კითხვაზე, რა არის საქართველოს მოქალაქეების რადიკალიზაციის მთავარი გამოწვევები, რომლებიც შეუერთდნენ დაეშს. კვლევის თანახმად დადგინდა მუსლიმების გამოწვევები ქართულ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით აჭარაში, პანკისსა და გურიის მაღალმთიანეთში და მათი მნიშვნელობა რეკრუტირების პროცესებზე. ის გამომწვევი მიზეზები, რის გამოც უერთდებიან საქართ-ველოს მოქალაქეები დაეშს შეიძლება იყოს: რელიგია, რთული სოციალური პირობები, განათლების ნაკ-ლებობა და ინტეგრაციის პრობლემები, წარმატებული რეკრუტირების მთავარი მიზეზები არის დაეშის ადგილობრივი „აგენტების ზეგავლენა" მისი ინტერნეტ რეკრუტირების მეთოდები და იარაღები მოტივი-რებული ახალგაზრდებისთვის. ამ ნაშრომით ვცდილობთ, რომ დავინახოთ რა არის მთავარი მიზეზი რა-ტომ შეუერთდნენ ქართველები დაეშს და რა არის რეკრუტირების მთავარი სტრატეგია, რომელიც გამოიყენება ამ რადიკალური ჯგუფის მიერ.

**მთავარი საკვანძო:**სიტყვები: რეკრუტირება, დაეში, ტრადიციული ისლამი, რადიკალური ისლამი, ფუნდამენტალიზმი.

თანამედროვე სამყაროში საერთაშორისო საზოგადოება უამრავი გამოწვევის წინაშე დგას, რომელთა შორის ტერორიზმი და რელიგიური ფუნდამენტალიზმი განსაკუთრებით მწვავე ფორმებით გამოვლინდება. საერთაშორისო თანამეგობრობის მცდელობა, აღმოეფხვრა ძალადობის ეს ფორმები და გაენადგურებინა ორგანიზაციები, რომლებიც მსგავს ქმედებებს

ანხორციელებენ წარუმატებელი აღმოჩნდა. ამის ნათელი მაგალითია, ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენები, დაეშის (იგივე "სირიისა და ერაყის ისლამური სახელმწიფო" ISIS და "სირიისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო" ISIL) ქმედებები და მის მიერ მნიშვნელოვანი ტერიტორიების კონტროლი. დაეშის გაძლიერება რამდენიმე მიზეზით შეიძლება აიხსნას: ორგანიზაციის ფინანსური სიძლიერე, საერთაშორისო კოალიციის არასაკმარისი ქმედებები, სირია-ერაყის შეიარაღებული ძალების სისუსტე, გავლენა ადგილობრივ მოსახლეობაში და ა.შ. ამ მიზეზთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარდამჭერთა სიმრავლე და მთელი მსოფლიოდან მეომართა დაეშის არმიაში გაწევრიანებაა. ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვის მონაცემებით დაეშის რიგებში ამჟამად 20-დან 31 ათასამდე მეომარი იბრძვის, ხოლო საჰაერო დაბომბვებს დაახლოებით 28 ათასი მეომარი შეეწირა. ეს მონაცემები ნათლად ასახავს დაეშის მხარდამჭერთა სიმრავლეს და მისი ადამიანური რესურსის მასშტაბს.

დაეში ახერხებს არა მარტო მოხალისეთა რეკრუტირებას მრავალი ქვეყნიდან არამედ ტერაქტების ადგილებზე განხორციელებას(საფრანგეთი, ბელგია, რუსეთი) და "ახალ" ტერიტორიებზე გავრცელებას, რასაც ხელი შეუწყო ევროპის ტერიტორიაზე დევნილთა ნაკადების გაჩენამ ახლო აღმოსავლეთიდან, ასევე ჩრდილოეთ აფრიკაში არსებულმა არასტაბილურმა მდგომარეობამ. აღსანიშნავია, რომ დაეში ყველა საშუალებას იყენებს მებრძოლთა მოსაზიდად. აქ იგულისხმება რეკრუტირება არა მარტო მეჩეთებში და ე.წ "ისლამურ კულტურულ ცენტრებში," არამედ ყველგან, სადაც მუსლიმი ახალგაზრდობის შეკრების ადგილებია.

დაეშის გაძლიერება საფრთხის შემცველია საქართველოსთვისაც, მით უმეტეს მაშინ, როცა ჩვენი ქვეყნის და კავკასიის რეგიონის მიმართ ამ ორგანიზაციას სრულიად კონკრეტული გეგმები გააჩნია, რაც კავკასიის რეგიონის კონტროლს და სახალიფოს შემადგენლობაში შეყვანას გულისხმობს. ამასთან საქართველო არც ისე შორსაა ახლო აღმოსავლეთისგან და იქ განვითარებული მოვლენები პირდაპირ თუ ირიბად ჩვენს ქვეყანაზეც ახდენს გავლენას, ეს იქნება მაკროეკონომიკური გარემო, თუ რეგიონული უსაფრთხოება. ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა კი საქართველოს მოქალაქე მუსლიმების ან სხვა რელიგიური თუ ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების დაეშის რიგებში საბრძოლველად წასვლაა.

რატომ მიდიან საქართველოს მოქალაქეები დაეშის რიგებში საბრძოლველად?! საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე ასებობს რამდენიმე ფაქტორი რომელიც მის ასახსნელად შესაძლოა გამოვიყენოთ, ესენია: განათლების ნაკლებობა, ეკონომიკური სიდუხჭირე, რელიგიური შეხედულებები, პირადი მიზეზი, ფინანსური დაინტერესება, ძალოვანი უწყებების მხრიდან შევიწროება. აღნიშნული ფაქტორების ანალიზის შედეგად დადგინდა რომ საქართველოში ბოლო 4 წლის განმავლობაში (მას შემდეგ რაც დაეში გააქტიურდა) სიტუაცია არ გაუარესებულა. ამის მიუხედავად გაიზარდა ტერორისტულ ორგანიზაციებში საბრძოლველად წასულთა რაოდენობა. ჩვენი აზრით ამის მიზეზი დაეშის რეკრუტირების სტრატეგიებში უნდა ვეძებოთ. სწორედ ამიტომ კვლევაში გავამახვილებთ ყურადღებას დაეშის რეკრუტირების სტრატეგიებიზე, რომელებიც მებრძოლთა მის რიგებში გაწევრიანების მთავარი ამხსნელი ფაქტორია.

საქართველოს მოქალაქეების დაეშის რიგებში საბრძოლველად წასვლის ძირითადი მიზეზი დაეშის რეკრუტირების სტრატეგიებია.

მოცემულ თეზისში **დამოკიდებული ცვლადი** არის საქართველოს მოქალაქეების დაეშის რიგებში საბრძოლველად წასვლა, ხოლო **დამოუკიდებელი ცვლადი** დაეშის რეკრუტირების სტრატეგიები."საბრძოლველად წასვლაში" იგულისხმება "საქართველოს კანონით ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ" განსაზღვრულ ქმედებებში მონაწილეობა, კერძოდ "აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, ადამიანზე თავდასხმა, იარაღის გამოყენება ან სხვა ქმედება, ჩადენილი მოსახ-

ლეობის დაშინების ან ხელისუფლების ორგანოს, უცხო ქვეყნის ხელისუფლების ორგანოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულების მიზნით, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის ქმედება.”

აღსანიშნავია, რომ ამ ამ კუთხით მნიშვნელოვანი იყო 2014 წელს კანონში გაკეთებული რამდენიმე ცვლილება. საქართველოს რეფორმების ასოციაციის კვლევის მიხედვით საქართველო სპრეზიდენტის ინიციატივით კოდექსს დაემატა საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობის მუხლი (323-ე მუხლი). მისი მიხედვით საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობა, ან/და უცხო ქვეყნის ან მისი ორგანოს, პირთა ჯგუფის ან სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის სამხედრო ხასიათის მხარდაჭერა, ჩადენილი ტერორიზმის მიზნით, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე. კოდექსს დაემატა ტერორისტულ ორგანიზაციაში წევრობისთვის გადაბირების მუხლი (327-ე მუხლი), რომლის მიხედვითაც აღნიშნული ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე. 328-ე მუხლის მიხედვით “უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანება ან ტერორისტულ საქმიანობაში მისი დახმარება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან ჩვიდმეტ წლამდე”. ასევე გამკაცრდა მიდგომა საქვეყნოდ ტერორიზმისკენ მოწოდების მიმართ (330-ე მუხლი), რომლის მიხედვითაც “საქვეყნოდ ინფორმაციის გავრცელება ან სხვაგვარი მოწოდება ტერორისტული საქმიანობის განხორციელებისკენ მოწოდების მიზნით, თუ ეს ქმედება, მიუხედავად იმისა, შეიცავს თუ არა იგი დანაშაულის ჩადენისკენ პირდაპირ მოწოდებას, წარმოშობს ერთი საქმიანობის განხორციელების საფრთხეს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე.”

აღნიშნული საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოს, როგორც სტაბილური ქვეყნის იმიჯის შენარჩუნებასთან და ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებასთან. სწორედ ამიტომ, ვფიქრობთ, რომ იგი აქტუალურია და მეტ კვლევას საჭიროებს. ამასთან ყურადრების მოდუნება იმ ფაქტის გამო რომ ბოლო პერიოდში შემცირდა დაეშში საბრძოლველად წამსვლელთა რაოდენობა სახიფათოდ მიგვაჩნია, რადგან ეს დაეშის სტრატეგიის ნაწილია. კერძოდ, განვითარების პირველ ეტაპზე იგი ცდილობდა ტერიტორიების მოპოვებას, რაც მებრძოლთა მაქსიმალურ კონცენტრაციას მოითხოვდა. დღეისთვის კი დაეში ემზადება იმ მომენტისთვის როცა მას აღარ ექნება ტერიტორიული კონტროლი, რის გამოც ორგანიზაციის დეცენტრალიზაციას ახდენს. მომხრეებს კი საკუთარ ქვეყნებში დარჩენას და ადგილებზე გააქტიურებას ურჩევს. ამის გამო ვფიქრობთ, ტერორიზმის რისკები საქართველოსთვის კვლავ მაღალ დონეზეა. იზრდება ულიდერო ე.წ. “ქსელური ჯიჰადის” საფრთხეც. საკითხის კვლევა და კონტრზომების მექანიზმების დამუშავება კი დაეხმარება შესაბამის უწყებებს ტერორიზმთან ბრძოლის ეფექტურად წარმოებაში.

ახლო აღმსავლეთში განვითარებული მოვლენები შესაძლოა განვიხილოთ, როგორც “ცივილიზაციათა შეჯახების” მაგალითი. დეკლარირებული მიზეზი კი რის გამოც ტერორისტული ორგანიზაციები იბრძვიან არის დასავლეთის ექსპანსია მუსლიმურ სამყაროში. დაეშის მხრიდან განხორციელებული ტერორისტული აქტები ზუსტად ჯდება სამუელ ჰანთინგტონის მოდელში, რომელიც დასავლეთის და ისლამის დაპირისპირებას წინასწარმეტყველებდა. იგი ცივილიზაციას განმარტავს, როგორც “უმაღლესი რანგის კულტურულ ერთიანობას, ყველაზე ფართო დონეს ადამიანების კულტურული იდენტობისა” და თვლის, რომ ჩვენს დროში სწორედ ცივილიზაციების კონფლიქტი ჩაანაცვლებს სახელმწიფოებისა და იდეოლოგიების კონფლიქტს.

აღსანიშნავია, რომ ჰანტინგტონის ნაშრომი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს რელიგიურ განსხვავებებს ცივილიზაციათა შორის და აღწერს მუსლიმურ ცივილიზაციას, როგორც ყველაზე რადიკალიზებულ და საფრთხილსშემცველ ნაწილს არსებული საერთაშორისო წესრიგისადმი. სწორედ ამ მიდგომის ილუსტრაციად შეგვიძლია განვიხილოთ ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარება, დაეშის ქმედებები და იდეოლოგია.

ჰანთინგტონის თეორიას ამყარებს ამერიკელი ისლამის მკვლევარის კარლ ერნესტის მოდელიც, რომელიც ისლამურ ფუნდამენტალიზმს განიხილავს როგორც "სტრატეგიულ თავდაცვით კონცეფციას" უცხოური (დასავლური) კულტურული, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ფასეულობებისგან. ამასთან, იგი მიიჩნევს რომ ისლამურ ფუნდამენტალიზმს გააჩნია უფრო მეტად სოციალური ბაზისი რის სფუძველზეც ხდება დაეშის მხრიდან მოხალისეების რეკრუტირება.

კიდევ ერთი საყურადღებო თეორია რომელიც ჩვენს ნაშრომთან კავშირშია "ისლამური ინტეგრიზმის" მოდელია, რომელიც პოლიტიკურ ლექსიკონში ისლამის და ტერორიზმთან ბრძოლის ექსპერტის ჯანგირ არასლიმის შემოტანილია. ამ თეორიის მიხედვით, "ყველა მუსლიმის მიზანია გაერთიანდნენ ერთიან პოლიტიკურ სივრცეში - ისლამური სახალიფოს ეგიდით ან "ერთიანი ისლამური იმპერიის" ფორმატში. შესაძლოა ისეთი სახის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის ან ინსტიტუტის ჩამოყალიბება, რომელიც დაეფუძნება ტრადიციონალისტურ ფასეულობებს და თვითორგანიზებულ სისტემას. აღნიშნული მოდელი ფართოდაა ადაპტირებული დაეშის მხრიდან და ემთხვევა მის დეკლარირებულ მიზნებს. სწორედ ამ მოდელის შესაბამისად ხდება დაეშის მხრიდან რეკრუტირების წარმოება, რაც მოხალისეების ორგანიზებას და პანისლამური საზოგადოების შექმნისკენ მოწოდებას გულისხმობს.

ისლამური ინტეგრიზმის იდეოლოგიურ საფუძველს ყურანი წარმოადგენს, სადაც მუსლიმები ერთ ხალხად და ძმებად არიან წარმოდგენილი. ურთიერთდახმარება კი მათი ვალდებულებაა მიუხედავად რელიგიური და ეთნიკური განსხვავებისა. სწორედ ამ ვალდებულების შეხსენების და მასზე აპელირების მეშვეობით დაეში ახერხებს იმ ადამიანების გადაბირებას, რომლებსაც არ გააჩნიათ შესაბამისი რელიგიური ცოდნა. შესაბამისად ასეთი ადამიანები მოწყვლადები არიან დაეშის რეკრუტირების სტრატეგიების შესახებ. ეს განსაკუთრებით პრობლემატურია საქართველოში, სადაც მუსლიმ მოსახლეობას არ გააჩნია შესაძლებლობა ისწავლოს ისლამი აკადემიურ გარემოში. უცხოეთიდან დაფინანსებული პანსიონები და მითუმეტეს ქართველი ახალგაზრდების უცხოურ სასწავლებლებში გაგზავნა კი დამატებით საფრთხეებს აჩენს რეკრუტირების კუთხით.

დღეითვის საერთაშორისო საზოგადოება უამრავი გამოწვევის წინაშე დგას. მათ შორისაა დესტაბილიზაცია ახლო აღმოსავლეთში, გაზრდილი ტერორიზმის საფრთხე და ადამიანების უფლებების მასობრივი შელახვა. ამასთან იზრდება რელიგიური რადიკალიზაციის დონე, რაც სასათბურე პირობებს ქმნის ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობისთვის.

ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებით გაიზარდა დაეშისგან ("ისლამური სახელმწიფო") მომდინარე საფრთხე. იგი სირიის და ერაყის ტერიტორიების მნიშვნელოვან ნაწილს აკონტროლებს. რის შედეგადაც მილიონობით ადამიანი ჯერ კიდევ ტერორის, მონობისა და იძულების ქვეშ ცხოვრობს.

დაეში ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული კვაზისახელმწიფოებრივი წარმონაქმნია, რომელიც სალაფისტურ იდეოლოგიას, შარიათის სამართალს და ისლამის უკიდურესად რადიკალურ გაგებას ეფუძნება. ამ ორგანიზაციის მდგრადობა მის მიერ მებრძო-

ლი სახელმწიფოების მიმართ, გადამჭრელი ზომების მიღების აუცილებლობას იწვევს საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან.

დაეშისგან მომდინარე საფრთხე ყოველდღიურად გვახსენებს თავს მთელი მსოფლიოს მასშტაბით განხორციელებული ტერორისტული აქტების მეშვეობით. რაც ამ ორგანიზაციის სტრუქტურული გამართულობის, ფინანსური სიძლიერის და ცოცხალი ძალის მობილიზების უნარის შედეგია. აღნიშნული უპირატესობების გარდა დაეში იყენებს რელიგიური რადიკალიზაციის ისეთ მეთოდებს, როგორებიც ჯიჰადისკენ მოწოდება, ვაჰაბიზმის იდეოლოგიის პროპაგანდა და ყურანის არასწორი ინტერპრეტაციაა.

მსგავსი ქმედებები კონვერტირდება დაეშის მიერ გამოყენებულ რეკრუტირების სტრატეგიებში, რომლებიც დაეშის რიგებში საქართველოს მოქალაქეების გადინების ძირითადი მიზეზია. აღნიშნული მოსაზრება დადასტურებულია შესაბამისი სფეროს ექსპერტების, საქართველოს მუსლიმური თემის წარმომადგენელთა გამოკითხვისა და ამ საკითხებზე ჩატარებული კვლევების შედეგებით. დამატებით მიზეზებად კი შეიძლება განვიხილოთ განათლების ნაკლებობა, რთული სოციალური ფონი, ფინანსური დაინტერესება, პირადი მოტივი, რელიგიური მიზეზი და ა.შ.

ამ ფაქტორებზე მორგებული რეკრუტირების სტრატეგიებში გადამწყვეტი როლი ინტერნეტ რეკრუტინგს და "გავლენის აგენტების" საშუალებით ახალგაზრდების გადაბირებას ეთმობა. ასევე მნიშვნელოვანია სირიაში უკვე წასული ქართველი მუსლიმების დაეშის რიგებში დაწინაურების ფაქტორი. ამ კუთხით დაეშის მიერ გამოყენებულია სოციალური ქსელები, პოლიგრაფიული ლიტერატურა და ინტერნეტ საიტები. მათი მეშვეობით კი ხდება მისი იდეოლოგიის, მუქარის შემცველი ვიდეოების და სიახლეების საზოგადოებისთვის გაცნობა.

ამგვარად, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, ძალადობა წარმოშობს ძალადობას. ტერორიზმი იწვევს ტერორიზმს და სწორედ ამიტომ ტერორი, ზოგადად, რომ ვთქვათ გარდაუვალია. აღნიშნული მოსაზრება შესაძლოა არაპოპულარული აღმოჩნდეს, განსაკუთრებით, ტერორიზმის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლისაკენ მუდმივი და საყოველთაო მოწოდებების ფონზე, თუმცა შეგვიძლია გავაკეთოთ უფრო მოულოდნელი განცხადებაც: ტერორიზმის წინააღმდეგ არ უნდა იბრძოლო, ეს უაზრო და უშედეგო საქმეა. როდესაც ქუჩებში აფეთქებებია, ხოლო ტერორისტული ორგანიზაციები თვალსა და ხელს შუა მრავლდება და ასობით წევრს ითვლის, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა უშედეგოა. ეს არ არის უბრალო ტერორიზმი, არამედ ომია, რომელიც უკვე მიმდინარეობს.

აქედან გამომდინარეობს არა მარტო ტერორიზმის წარმოქმნის მიზეზები, არამედ მისი განვითარების თავიდან აცილების ძირითადი გზებიც. ყოველთვის შენარჩუნებული უნდა იყოს ტერორიზმთან დიალოგის შესაძლებლობა, ანუ ასეთი ტიპის კონტაქტისთვის „კარი უნდა იყოს ღია". ტერორისტული აქტის ორგანიზებისა და განხორციელების გარდა, პოტენციურ ტერორისტებს აუცილებლად უნდა მიეცეთ საშუალება, განაცხადონ საკუთარი თავის შესახებ, შეატყობინონ თავიანთი მოთხოვნები. ეს შესაძლებელია, თუ ტერორიზმი ჯგუფური ხასიათისაა, მაგრამ გაცილებით რთულია თუ საქმე, ინდივიდუალურ ტერორიზმს ეხება.

უნდა გვახსოვდეს: ხალხი ქმნის სახელმწიფოს თავისი ურთიერთობების რეგულირებისათვის, მაგრამ ეს არ აძლევს სახელმწიფოს უფლებას, დაჩაგროს ხალხი. სახელმწიფოში რაც უფრო განვითარებულია სამოქალაქო საზოგადოება მით ნაკლებია ტერორიზმის აღმოცენების საფუძველი. განვითარებულ საზოგადოებას ძალუძს თვითშეზღუდვაც დაუწესოს საკუთარ თავს, რაც აუცილებელია ტერორიზმის ბრძოლის წინააღმდეგ. უაღრესად დემოკრატიულმა სახელმწიფომაც კი არ უნდა დაუშვას გადამეტებული დემოკრატია. ვერაფერს გახდები: დემოკ-

რატია ხშირად ტერორიზმის მეორე მხარედ იქცევა, აძლიერებს რა ყოველდღიურ ცხოვრებისეულ რისკს და ანიჭებს რა ტერორისტებს ზედმეტ თავისუფლებას, მათ საქმიანობაში. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, „მეტისმეტი დემოკრატია" შესაძლოა მოქალაქეთა კონტროლის ავტორიტარული მეთოდების შემოღების მიზეზი გახდეს. ასე რომ არ მოხდეს, საჭიროა დემოკრატიული პროცესების თანმიმდევრული განვითარება. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ქვეყნებს, რომლებიც ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიაში გარდამავალ სტადიაზე იმყოფებიან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში", ნ. ჩიქოვანი, CSS სოციალურ მეცნიერებათა სერია, თბილისი 2006
2. „ საერთაშორისო ისლამური ტერორიზმი და ალ-ქაიდა", თ. სიმაშვილი , გ. ღადალაშვილი, თბილისი 2007 წ.
3. "ისლამის რადიკალიზაციის თავისებურებები თანამედროვე ევროპასა და საქართველოში", თ. სიმაშვილი, 2015.
4. "ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი, პოლიტიკა", რევაზ გაჩეჩილაძე, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2011.
5. "რელიგიები საქართველოში", საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, ტოლერანტობის ცენტრი, თბილისი, 2008
6. "დაეში და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები", გიორგი გოგუაძე, სერგი კაპანაძე, საქართველოს რეფორმების ასოციაცია, თბილისი 2015.
7. "ისლამის პოლიტიკური ასპექტი საქართველოში", ი.მენაღარიშვილი, გ. ლობჟანიძე, გ.გვიმრაძე, სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტი, თბილისი, 2011.
8. "ჟღალი გენერლის აღსასრული", ზაზა წულაძე, ამერიკის ხმა, 18.07.2016 http://www.amerikiskhma.com/a/georgia-isis-number-two-tarkhan-batirashvili-killed/3422550.html

# საქართველოს აგრარული სექტორი და მისი განვითარების ძირითადი პრიორიტეტები

***სულამანიძე ეკა*** *– ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

***ენდელაძე ანა*** *– ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი* ***ვირსალაძე ნაირა*** *– ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

# Georgia's agricultural sector and its development Main Priorities

***Sulamanidze Eka*** *– Bachelor's Student, Economics, II year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

***Endeladze Ana*** *– Bachelor's Student, Economics, II year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

*Supervisor* ***Virsaladze Naira*** *– Doctor in Economics, Associate Professor, Department of Economics, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

## Abstract

**Purpose**: Georgia's agriculture is an important part of the national economy, the field of material production and the most important part of society required. Its purpose is to provide the population with food products, and the industry's various sectors with raw materials. The goal of the research is to discuss the

situation in the Georgian agricultural sector and discuss the possibilities of increasing the scale of agricultural production.

**Structure / Methodology / Approach:** In any field of economy, including agriculture, events and processes are considered in constant motion and variation. The article uses general economic and statistical methods of research, such as analyzes and synthesis, deduction and induction, statistical observations, collective-grouping, dynamic rows of analyzes and others.

**Conclusions:** The analysis presented in the article shows that despite the increase in production of Georgian agriculture, it is still low self-sustainable indicator of agricultural farming. The Georgian market is saturated with high quality foreign food products that impede development of our country's agriculture, increase employment and increase living standards. Agricultural reform should be developed in the country, the main goal of which is the country's food security and economic independence.

**Forestry restrictions (flaws) / impact:** The survey showed that important reforms are important throughout the country, but not enough. The Georgian village needs standing, assistance and more investments. Georgian farmers should concentrate on the production of products that will replace the imports of the imported products to ensure economic efficiency and the country's food security.

**News / Cost**: The survey showed that farmer farms in Georgia have not yet been able to carry out the perfect balance of market relations. The process of their development should be focused on emphasizing the co-laying of farming and the integration, intensification and advancement of scientific and technological progress. Hopefully, the situation in the aggressive sector of Georgia, the short-term economic-statistical analysis will give some participation to the conference participants and will help students interested in this sector to study the situation in the sector and develop the measures to be taken in this regard.

**Keywords:** Economic effects, Agro-industrial complex, Food safety, Privatization, Agricultural landscape.

## აბსტრაქტი

**მიზანი -** საქართველოს სოფლის მეურნეობა ეროვნული ეკონომიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, მატერიალური წარმოების სფერო და საზოგადოებისათვის საჭირო უმნიშვნელოვანესი დარგია. მისი დანიშნულებაა მოსახლეობის კვების პროდუქტებით, ხოლო მრეწველობის სხვადასხვა დარგის ნედლეულით უზრუნველყოფა. კვლევის მიზანია განიხილოს საქართველოს აგრარულ სექტორში არსებულ მდგომარეობაზე, ამ კუთხით გატარებული ღონისძიებები და იმსჯელოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მასშტაბების ზრდის პოტენციურ შესაძლებლობებზე.

**სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა -** ეკონომიკის ნებისმიერ დარგში, და მათ შორის სოფლის მეურნეობაში, მოვლენები და პროცესები განიხილება მუდმივ მოძრაობასა და ცვალებადობაში.ამდენად სტატიაში გამოყენებულია როგორც ზოგადდიალექტიკური, ასევე კვლევის კერძო ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდები, როგორიცაა ანალიზისა და სინთეზის, დედუქციის და ინდუქციის, სტატისტიკური დაკვირვების, თავმოყრა-დაჯგუფების, დინამიკური მწკრივების საანალიზო და ა. შ.

**დასკვნები -** სტატაში წარმოდგენილმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის ზრდის მიუხედავად, მაინც დაბალია მოსახლეობის სასოფლო -სამეურნეო პროდუქციით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი. საქართველოს ბაზარი გაჯერებულია მდარე ხარისხის უცხოური სასურსათო პროდუქციით, რაც ხელს უშლის ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებას, მოსახლეობის დასაქმების ზრდასა და ცხოვრების დონის ამაღლებას. საჭიროა ქვეყანაში შემუშავდეს აგრარული რეფორმა, რომლის ძირითადი მიზანი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება და ეკონომიკური დამოუკიდებლობა იქნება.

**კველვის შეზღუდვები(ხარვეზები)/გავლენა -** კვლევამ დაგვანახა, რომ ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული აგრარული რეფორმები მნიშვნელოვანი, მაგრამ არა საკმარისია. ქართულ სოფელს სახელმწიფოს გვერდით დგომა, დახმარება და მეტი ინვესტიციები სჭირდება. ქართველმა ფერმერებმა კი კონცენტრაცია უნდა მოახდინონ იმ პროდუქტების წარმოებაზე, რომელიც ჩაანაცვლებს მდარე ხარისხის იმპორტულ პროდუქციას, უზრუნველყოს ეკონომიკურ ეფექტიანობას და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას.

**სიახლე/ღირებულება -** კვლევამ დაგვანახა, რომ საქართველოში ფერმერული მეურნეობები ჯერ-ჯერობით არ არიან საბაზრო ურთიერთობების სრულყოფილი ნიშნების მატარებელნი. მათი განვითარების პროცესი ისე უნდა წარიმართოს, რომ აქცენტი გამახვილდეს ფერმერული მეურნეობების კოოპერირებაზე და გაერთიანება-გამსხვილებაზე, ინტენსიფიკაციაზე და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვაზე. იმედია, საქართველოს აგრაგულ სექტორში არსებული მდგომარეობის, მოკლე ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის კონფერენციის მონაწილეებს და დაეხმარება ამ კუთხით დაინტერესებულ სტუდენტებს სექტორში არსებული მდგომარეობის შესწავლაში და ამ კუთხით გასატარებელი ღონისძიებების შემუშავებაში.

**საკვანძო სიტყვები:** აგროსამრეწველო კომპლექსი, პრივატიზაცია, სამეურნეო სავარგული, სასურსათო უსაფრთხოება, ეკონომიკური ეფექტიანობა

## შესავალი

აგრარული სექტორის მდგრადი განვითარების თანამედროვე პირობებში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების თავისებურებების, ტენდენციების კანონზომიერებათა გამოკვლევას, სასურსათო და სამრეწველო პოტენციალის ამოქმედების რეალური ფაქტორების თეორიულ-მეთოდოლოგიურ შესწავლას, ეკონომიკური რესურსების ეფექტურობას.

საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების პირველ ეტაპზე აშკარა იყო პროცესების სტიქიურად განვითარების ტენდენცია.საქართველოს აგრარულ სექტორში შექმნილი რთული ვითარება მოითხოვს ქვეყანაში არსებული რესურსების რაციონალურ გამოყენებას, რომელიც მხოლოდ მისი ოპტიმალური შეფასების გზით მიიღწევა. მიმდინარე აგრარული რეფორმა, რომელიც მიმართულია საბაზრო ურთიერთობათა პრიციპების დამკვიდრებისაკენ, დღის წესრიგში აყენებს ეკონომიკური გაედაქმნების შემდგომ გაღრმავებისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკური რესურსების რაციონალურ გამოყენების აუცილებლობას ცალკეული რეგიონების მიხედვით. რამაც უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური აღმავლობა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, მოსახლეობის შემოსავლების გადიდება და მათი ცხოვრების დონის რეალური აღმავლობა.

საქართველოს აგრარულ სექტორში ეკონომიკური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შეფასებისას, პირველ რიგში, მხედველობაში მისაღებია მისი მთიანი, ვერტიკალური და რთული რელიეფი. ამიტომ, ჩვენთან წარმოდგენილი ისეთი სპეციფიკური კულტურები (ჩაი, ციტრუსები, თამბაქო, ვენახი, ხეხილი, ერთზეთოვანი და სხვა ტექნიკური კულტურები), რომლებიც ხასიათდება დიდი შრომატევადობით, მკვეთრად ლოკალიზებულია და განსაკუთრებულ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებს მოითხოვს.

ჩვენი მოკრძალებული სურვილია,ვისაუბროთ იმ ძირითად პრობლემებზე, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობის წინაშე დგას.საინტერესოა,როგორ პასუხობს საქართველოს სოფლის მეურნეობა გლობალურ პრობლემებს.

სოფლის მეურნეობა საქართველოში უძველესი დროიდან ვითარდებოდა. ეკონომიკის ეს დარგი მრავალმხრივი, უნიკალური თავისებურებებითა და ნიშან-თვისებებით ხასიათდება. დღეს სოფლის მეურნეობა საქართველოს ეროვნული ეკონომიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. იგი მატერიალური წარმოების სფერო და საზოგადოებისათვის საჭირო უმნიშვნელოვანესი დარგია. მისი დანიშნულებაა მოსახლეობის კვების პროდუქტებით, ხოლო მრეწველობის მრავალი დარგის ნედლეულით უზრუნველყოფა.

საქართველო ხორბლისა და ვაზის სამშობლოა. მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე გამოყვანილია ამ კულტურათა აბორიგენული ჯიშები, რომელთაც ბადალი მსოფლიოში არ მოეპოვება.

მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის, საქართველოში მიწათმოქმედების დარგებიდან განვითარებული იყო: მარცვლეულის წარმოება, მევენახეობა, მეხილეობა, საკვებწარმოება, მეკამეჩეობა, მეცხვარეობა, მეღორეობა, ლოკალურად- მეფრინველეობა. ასევე კარგად განვითარდა შემოტანილი სუბტროპიკული მიწათმოქმედება და კულტურები: ჩაი, ციტრუსრბი, სუბტროპიკული ხილი; სიმინდი, კარტოფილი, პომიდორი, თამბაქო, მეცხოველეობის დარგს დაემატა სხვადასხვა ჯიშის ფრინველი და პირუტყვი.

ქართული სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული დარგებია: მევენახეობა, მეხილეობა და საკონსერვო მრეწველობა, მეჩაიეობა და ჩაის მრეწველობა, მეციტრუსეობა და ციტრუსების პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობა; ასევე მეცხოველეობის დარგები: მესაქონლეობა, მეთღორეობა, მეცხვარეობა, მეფრინველეობა და ა. შ.

სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით საქართველო ძნელად ასათვისებელი ქვეყანაა. ზღვის დონიდან 500 მეტრამდე განლაგებულია მთელი ტერიტორიის 26,7 %, 500-დან 1000 მეტრამდე - 21,7 %, 100-დან 1555-მეტრამდე -19,9 %, 1500-დან 3000 მეტრამდე-31,0 % და 3000-ზე ზევით-1,5 %. ქვეყნის მთელი ტერიტორიის 54 % მთებს უკავია, 33 %-მთისწინეთს, ხოლო 13 %-დაბლობ ადგილებს. შავი ზღვა დიდ გავლენას ახდენს ბუნებრივი კომპლექსის განვითარებაზე. ის ხელს უწყობს თბილი და ტენიანი კლიმატის ფორმირებას, რაც ინტესიურ სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობას იძლევა.

2016 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მშპ-ს დარგობრივ სტრუქტურაში მრეწველობას უჭირავს 17.1%, ვაჭრობას -16,3%, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობას - 10.1% და მეოთხე ადგილზეა სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა - 9.3%-ით.

2017 წელს,საქართველოს სატატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა მრეწველობა 16,3% და ვაჭრობა 15,3%. შემდგომ პოზიციებს იკავებს ტრანსპორტი და კავსირგაბმულობა 11,4%; მშენებლობა 9,6%; სოფლის მეურნეობა, მეთავზეობა 9,0%.

| **სექცია** | **2013** | **2014** | **2015** | **2016** | **2017** |
|---|---|---|---|---|---|
| სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა | **2 195,0** | **2 313,0** | **2507.6** | **2703.2** | **2 671,6** |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა | 210.3 | 204,5 | 300.1 | 335.8 | 367,0 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 2468.5 | 2 674,3 | 2753.7 | 2908.2 | 3338,6 |
| ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება | 699.8 | 712,7 | 847.7 | 981.3 | 968,0 |
| პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ | 658.4 | 696,1 | 713.8 | 760.0 | 679,8 |
| მშენებლობა | 1568.2 | 1 836,2 | 2157.9 | 2430.7 | 3039,2 |
| ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი | 4026.8 | 4 381,3 | 4588.7 | 4770.4 | 5735,4 |
| სასტუმროები და რესტორნები | 526.2 | 579,3 | 693.9 | 813.3 | 965,8 |
| ტრანსპორტი | 1789.2 | 1 929,4 | 2181.7 | 2233.2 | 2545,9 |
| კავშირგაბმულობა | 662.0 | 717,6 | 714.8 | 716.0 | 762,3 |
| საფინანსო საქმიანობა | 706.1 | 831,9 | 1044.5 | 1164.2 | 1340,8 |
| ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა | 1351.9 | 1 519,2 | 1784.6 | 1914.3 | 2239,1 |
| საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა | 791.6 | 841,0 | 887.8 | 919.0 | 974,2 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სახელმწიფო მმართველობა | 2 365.4 | 2 478,9 | 2546.2 | 2660.9 | 2768,6 |
| განათლება | 1202.5 | 1 257,5 | 1338.6 | 1426.2 | 1544,8 |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება | 1338.5 | 1 435,2 | 1647.5 | 1699.9 | 1944,4 |
| კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა | 1069.6 | 1 084,5 | 1199.9 | 1270.5 | 1265,3 |
| შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის | 29.9 | 28,4 | 30.3 | 31.6 | 32,1 |
| ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება | -324.7 | -388,7 | -471.1 | -521.6 | -596,1 |
| მშპ საბაზისო ფასებში, მლნ. ლარი | 23 335,0 | 25 132.2 | 27468.4 | 29217.1 | 32587,1 |
| (+)გადასახადები პროდუქციაზე | 3659.5 | 4,203,6 | 4445.4 | 4873.2 | 5645,1 |
| (-) უბსიდიები პროდუქციაზე | 147.2 | 148,8 | 158.3 | 168.6 | 190,0 |
| მშპ საბაზრო ფასებში, მლნ. ლარი | **26 847.4** | **29 187,0** | **31 755.6** | **33 921.6** | **38042,2** |

საქართველოს სოფლის მეურნეობა ორ ძირითად დარგს მოიცავს:

- მიწათმოქმედებას(მემინდვრეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა, მევენახეობა, მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მეთამბაქოება, მეკარტოფილეობა და ტექნიკური კულტურები) და
- მეცხოველეობას (მესაქონლეობა, მეღორეობა, მეცხვარეობა, მეფრინველეობა).

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით საქართველოს მთელი ტერიტორიის დაახლოებით 43% ანუ 3025,8 ათ. ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უჭირავს. აქედან 26% ანუ 801.8 ათ. ჰა. სახნავი მიწებია, 9 % -მრავალწლიანი ნარგავები, 64% - სათიბები და საძოვრები, ხოლო 10% შენობები და ეზოებია.

აგრარული სექტორის ერთ-ერთი უმთავრესი და განმსაზღვრელი საკითხი არის მიწის ანუ ქვეყნის ძირითადი რესურსის საკითხი. მიწა ერის არსებობის და შემოქმედებისათვის აუცილებელი და გადამწყვეტი სივრცეა.

საქართველოში, ტრადიციულად, სულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 3 მილიონი ჰექტარი არსებობდა. აქედან 900000 ჰა სახნავ-სათესად გამოიყენება, მრავალწლოვანი ნარგავები 260000 ჰა-ს ითვლიდა, ხოლო 400000 ჰა საძოვრებისთვის გამოიყენებოდა. დიდი წილი ეჭირა ალპურ სათიბებსაც. საქართველოში,როგორც მცირემიწიან ქვეყანაში, ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნევა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სავარგულების დაცვა და მდგრადი გამოყენება, ნიადაგის დეგრადაციისა და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სავარგულების კარგვის ერთ-ერთი ფაქტორი მისი დანიშნულების შეცვლა და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით სარგებლობაა, რაც განპირობებულია ქვეყნის ინფრასტრუქტურის, კერძო ბიზნესის განვითარებით და სხვა ფაქტორებით.

რაც შეეხება მეცხოველეობას,2017 წლის IV კვარტალის ბოლოსათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ 900.4 ათასი სული შეადგინა და 2016 წლის IV კვარტალთან შედარებით 6.5 პროცენტით შემცირდა.

აქედან ფურისა და ფურკამეჩის ჯამურმა სულადობამ 462.8 ათასი სული შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 9.1 პროცენტით ნაკლებია. ცხვრისა და თხის ჯამური სულადობა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 3.2 პროცენტით გაიზარდა და 966.5 ათას სულს მიაღწია. ღორის სულადობა 164.5 ათასი სული იყო, რაც 20.8 პროცენტით

მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე. ფრინველის რაოდენობამ 8 046.4 ათასი ფრთა შეადგინა, რაც 2.3 პროცენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

### სასურსათო უსაფრთხოება

აგრარული რეფორმა განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტებს და მათი რეალიზაციის ძირითად მიმართულებებს ქვეყნის წინაშე მდგარი გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებით. აგრარული რეფორმის შემუშავების და რეალიზაციის ძირითადი მიზანია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების გადაწყვეტა, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების საფუძველთა საფუძველს, ამდენად სახელმწიფოს აგრარული რეფორმის შემუშავება და რეალიზაცია ობიექტურადაა აუცილებელი პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი ქვეყნისათვის. აქედან გამომდინარე მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ახორციელებს აგრარულ რეფორმას, რომელიც მრავალი შიდა თუ გარე ფაქტორების გავლენით ყალიბდება. აგრარული რეფორმის ობიექტებად შეიძლება მოიაზრებოდეს ცალკეული დარგები და საწარმოები, რეგიონები და ქვეყნის მხარეები და ა.შ.

აგრარული რეფორმის ძირითადი პრიორიტეტების ჩამონათვალში ერთ-ერთი ძირითადია აგრარული ბაზრის ეკონომიკური რეგულირება. ამ მიზნით სახელმწიფოს მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სურსათის რეზერვების შექმნის მექანიზმი, სურსათის მწარმოებლებისაგან პროდუქციის გარანტირებულ ფასებში შესყიდვის გზით, აგრეთვე შეიძლება გამოყენებულ იქნეს საგადასახადო, საკრედიტო, სადაზღვეო და ეკონომიკური მექანიზმის სხვა ბერკეტები.

**აგრარული სექტორის რეალური ზრდის ტემპი 2010-2017 წლებში**




როგორც გრაფიკიდან ჩანს, 2016 წელს სოფლის მეურეობის ზრდის ტემპმა 0.3% შეადგინა, 2015 წელს კი 1.5%.

რაც შეეხება 2017 წელს, მხოლოდ პირველი ორი კვარტლის შედეგებია ცნობილი, ამიტომ აღნიშნულ მონაცემს 2016 წლის ანალოგიურ მონაცემს შევადარებთ. როგორც ირკვევა,

2017 წლის პირველ ნახევარში (2 კვარტალში), სოფლის მეურნეობაში შექმნილი რეალური პროდუქცია 2.7%-ით შემცირდა.

აგრარულ სექტორზე საუბრისას, მნიშვნელოვანია იმ პროექტების აღნიშვნაც, რომლებიც დარგის განვითარების მიზნით სახელმწიფოს ხელშეწყობით მიმდინარეობს.

როგორც გრაფიკიდან ჩანს, სოფლის მეურნეობის რეალური ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი (11.30%) 2013 წელს დაფიქსირდა. სწორედ 2013 წლის მარტში ამოქმედდა „შეღავათიანი აგროკრედიტის" პროექტი, რომელიც ფერმერებისთვის გრძელვადიანი სესხების ხელმისაწვდომობას გულისხმობს.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა რამდენიმე პროგრამას ახორციელებს სოფლის მეურნეობის მიმართულებით, ეს დარგი მაინც ვერ იქცა ეკონომიკის ზრდის ხელშემწყობად და სუბსიდირებაზე დამოკიდებული რჩება.

## დასკვნა

ამრიგად, აგრარული სექტორი საქართველოს ეროვნული ეკონომიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. იგი საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანესი დარგია.

სოფლის მეურნეობის განვითარების მთავარი პირობა-ფაქტორი მიწა და სათანადო ბუნებრივი პირობების არსებობაა.სწორედ, მიწა და ბუნებრივი პირობები განსაზღვრავს ნებისმიერ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის დარგების ტერიტორიული განფენილობას, თავისებურებებს, აგრორესურსულ სიმდიდრეს, აგროწარმოების მასშტაბებს და საერთოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციას. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით საქართველოში სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის მოცულობამ იზრდება, მაინც დაბალია მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით უზრუნველყოფს მაჩვენებელი. საქართველოს ბაზარი გაჯერებულია მდარე ხარისხის უცხოური სასურსათო პროდუქციით, რაც ხელს უშლის ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებას, მოსახლეობის დასაქმების ზრდასა და ცხოვრების დონის ამაღლებას.

აუცილებელია, ქვეყანაში შემუშავდეს აგრარული რეფორმა, რომლის ძირითადი ამოცანა იქნება ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც თავის მხრივ ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის გარკვეული გარანტია და საფუძველია.

აგრარული სექტორი საჭიროებს პროფესიონალი კადრების, მცოდნე აგრონომების მომრავლებას, რომლებიც ფერმერებს დააკვალიანებენ და ასწავლიან.

ახალი ტექნოლოგიები, მოტივაციია, ცოდნა და სამუშაო ძალა – ეს ფაქტორები აუცილებელია, რომ აგრარული სექტორი საქართველოში ნორმალურად განვითარდეს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადეიშვილი გ. ასათიანი რ. -ეკონომიკური თეორია. გამომცემლობა "სიახლე", თბ, 1998.
2. ვირსალაძე ნ. ბაკურაძე ა. სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში. სახელმძღვანელო, ქუთაისი 2009.
3. www geostat.ge.
4. http://enpard.ge/ge/food-security-as-a-crosscutting-concept-for-policy-making-in-georgia

# მსოფლიო და ადგილობრივი რელიგიების ადაპტაცია და გავლენა საქართველოს სოციო-პოლიტიკურ სივრცეზე

***ქარცივაძე მარიამი*** *– საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

***ლომთაძე მონიკა*** *– საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი* ***კოსტავა თინათინი*** *– მოწვეული სპეციალისტი, დოქტორანტი, სოციალური მეცნიერებები, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

# Adaptation of world and local religion in Georgian social-political space

***Kartsivadze Mariami*** *– Bachelor’s Student, Public Administration, III year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

***Lomtadze Monika*** *– Bachelor’s Student, Public Administration, III year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

*Supervisor* ***Kostava Tinatini*** *– Invited Specialist, PhD Student, Department of Social Sciences, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

## Abstract

Religion holds central place in almost every society. Even in a relatively closed society, there are different religious groups in the globalization, affecting the socio-political processes of the country. In the parallel development of the society, religious influence is weakened as global trends reach even in traditional cultures, where the role of faith in political and social life is crucial.

The religious diversity of Georgia has been caused by the geopolitical situations around the country. In the context of cultural repercussions, we often face the problem of "double standards", resulting in minor confessions being under pressure.

Due to the abovementioned topic's actuality, we considered it appropriate to discuss this issue. We will talk about the relationship between the state and the church, as well as the disagreements between religious confessions. It is important the faith to be adapted in socio-political space, its influence on the daily routine and the development of society.

We hope despite the difference of ethnic origin, culture and belief, Georgia's inhabitants will continue to live in peace and prosperity forever. While the Church will act positively in accordance with the European course chosen by the country, to establish a significant democratic value.

**Keywords:** Religion, State, Globalization, Secularization, Adaptation.

## აბსტრაქტი

რელიგიას ცენტრალური ადგილი უჭირავს თითქმის ყველა სოციუმში. ნებისმიერ, შედარებით ჩაკეტილ საზოგადოებაშიც კი, გლობალიზაციის პირობებში სხვადასხვა რელიგიური ჯგუფები შეედინება, რაც გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე. საზოგადოების განვითარების პარალელურად რელიგიური გავლენა სუსტდება, რადგან გლობალური ტენდენციები ისეთ ტრადიციულ კულტურებშიც კი აღწევს, სადაც სარწმუნოების როლი პოლიტიკურ თუ სოციალურ ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანია.

სახელმწიფოს ირგვლივ შექმნილმა გეოპოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა საქართველოს რელიგიური მრავალფეროვნება. კულტურული გაორების პირობებში ხშირად ვაწყდებით "ორმაგი სტანდარტების" პრობლემას, რის შედეგადაც მცირემრევლიანი კონფესიები ზეწოლას განიცდიან.

აღნიშნული თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მოცემული საკითხის განხილვა. ვისაუბრებთ, როგორც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობებზე, ასევე რელიგიური კონფესიებს შორის არსებულ უთანხმოებაზე. მნიშვნელოვანია, სარწმუნოების ადაპტაცია სოციო-პოლიტიკურ სივრცეში, მისი გავლენა ყოველდღიურ დღი სწესრიგზე და საზოგადოების განვითარებაზე.

ვიმედოვნებთ, მიუხედავად, ეთნიკური წარმომავლობის, კულტურისა და მრწამსის განსხვავებულობისა საქართველოს მაცხოვრებლები მუდმივად გააგრძელებენ მშვიდობიან და წარმატებულ თანაცხოვრებას. ხოლო ეკლესია დადებითად იმოქმედებს ქვეყნის მიერ არჩეული ევროპული კურსის შესაბამისად, მნიშვნელოვანი დემოკრატიული ღირებულების დამკვიდრებაზე.

**საკვანძო სიტყვები:** რელიგია, სახელმწიფო, გლობალიზაცია, სეკულარიზაცია, ადაპტაცია.

რელიგიას ცენტრალური ადგილი უჭირავს თითქმის ყველა სოციუმში. ნებისმიერ, შედარებით ჩაკეტილ საზოგადოებაშიც კი, გლობალიზაციის პირობებში სხვადასხვა რელიგიური ჯგუფები შეედინება, რაც გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე. საზოგადოების განვითარების პარალელურად რელიგიური გავლენა სუსტდება, რადგან გლობალური ტენდენციები ისეთ ტრადიციულ კულტურებშიც კი აღწევს, სადაც სარწმუნოების როლი პოლიტიკურ თუ სოციალურ ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანია. სახელმწიფოს ირგვლივ შექმნილმა გეოპოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა საქართველოს რელიგიური მრავალფეროვნება. კულტურული გაორების პირობებში ხშირად ვაწყდებით "ორმაგი სტანდარტების" პრობლემას, რის შედეგადაც მცირემრევლიანი კონფესიები ზეწოლას განიცდიან. აღნიშნული თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მოცემული საკითხის განხილვა. ვისაუბრებთ, როგორც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობებზე, ასევე რელიგიური კონფესიებს შორის არსებულ უთანხმოებაზე. მნიშვნელოვანია, სარწმუნოების ადაპტაცია სოციალურ და პოლიტიკურ სივრცეში, მისი გავლენა ყოველდღიურ დღის წესრიგზე და საზოგადოების განვითარებაზე. ვიმედოვნებთ, მიუხედავად, ეთნიკური წარმომავლობის, კულტურისა და მრწამსის განსხვავებულობისა საქართველოს მაცხოვრებლები მუდმივად გააგრძელებენ მშვიდობიან და წარმატებულ თანაცხოვრებას. ხოლო ეკლესია დადებითად იმოქმედებს ქვეყნის მიერ არჩეული ევროპული კურსის შესაბამისად, მნიშვნელოვანი დემოკრატიული ღირებულების დამკვიდრებაზე.

რატომ აქვს რელიგიას ადამიანთა ცხოვრებაზე ისეთი გავლენა, რომ ისინი მზად არიან მისი იდეალებისთვის თავი გაწირონ? რატომ არის რელიგია საზოგადოების ისეთი მრავლისმომცველი ასპექტი? რა პირობები უწყობს ხელს რელიგიის მიერ საზოგადოებათა გაერთიანებას და რა პირობებში ხდება სზოგადოებებს შორის განხეთქილება რელიგიური მოტივით? ეს ის კითხვებია, რომლებსაც შვეცდებით ამ ნაშრომში გავცეთ პასუხი. ამ მიზნით კი უნდა გავარკვიოთ, თუ რა არის რეალურად რელიგია. გავაანალიზებთ რელიგიური ორგანიზაციის სხვადასხვა ტიპს და ვიმსჯელებთ თუ რა ბედი ეწია რელიგიას თანამედროვე სამყაროში, რადგან ბევრი მკვლევრის აზრით, მეცნიერების და თანამედროვე ინდუსტრიის აღზევების გამო რელიგიას, სოციალური ცხოვრებაში ისეთი ცენტრალური ადგილი აღარ უჭირავს, როგორიც თანამედროვე ეპოქამდე ჰქონდა განკუთვნილი.

ძალიან ბევრი განსხვავებული რელიგიური რწმენა და რელიგიური ორგანიზაცია არსებობს, ამიტომ მეცნიერებს უჭირთ რელიგიის ყველასთვის მისაღები დეფინიციის შემუშავება. დასავლეთში ადამიანთა უმრავლესობა რელიგიას ქრისტიანობასთან - უფლის რწმენასთან - აიგივებს, რომელიც ამ ქვეყნად მორალური ქცევისკენ მოგვიწოდებს და იმქვეყნიურ ცხოვრებას გვპირდება. რა თქმა უნდა, ზოგადად, რელიგიას ამ ტერმინებით ვერ დავახასიათებთ. ამგვარი რწმენა და ქრისტიანობის სხვა მრავალი ასპექტი მსოფლიო რელიგიათა უმრავლესობაში არ გვხვდება.

**რელიგია** არის იდეათა და ქმედებათა სისტემა, რომელიც დაფუძნებულია რწმენაზე, რომ არსებობენ ზებუნებრივი ძალები, რომლებიც ზემოქმედებენ სამყაროზე და ადამიანის ცხოვრებაზე. ეტიმოლოგიურად რელიგიის ყველაზე ცნობილი განსაზღვრებაა "ხელახლა და-კავშირება", თუმცა სხვები ვარაუდობენ, რომ იგი ნიშნავს "სამყაროს განმეორებით წაკითხვას". ეს იდეა ღირებულია ქრისტიანობისათვის, მაგრამ არა რომაული წარმართობისათვის, რომ-ლისგანაც მომდინარეობს ეს სიტყვა. მათთვის "რელიგია" არის ღმერთთან ვისიმე ხელახლა დაკავშირების იარაღი.

მსოფლიოში ორასზე მეტი რელიგიაა ცნობილი. მათ შორის მრავალი რამ საერთოა, მრა-ვალი - განსხვავებული. რელიგიები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სიძველით, ტრადიციე-ბით, შინაარსით, ფილოსოფიური სიღრმით. უდიდესი, დახვეწილი რელიგიების - ქრისტია-ნობის, იუდაიზმის, ისლამის, ბუდიზმის, ინდუიზმის გვერდით არსებობენ ჩამორჩენილ ტომ-თა პრიმიტიული რელიგიური წარმოდგენები, კერპთა თაყვანისცემა, უმარტივესი რიტუალები.

მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი რელიგიები (ფრჩხილებში მითითებულია მორწმუნეთა რიცხვი (მლნ. ადამიანი) და მსოფლიო მოსახლეობის პროცენტული წილი) :

- **ქრისტიანობა (1943, 32,8%)**
  - კათოლიციზმი (1027)
  - პროტესტანტიზმი (316)
  - მართლმადიდებლობა (214)
  - ანგლიკანიზმი (64)
  - სხვა მიმდინარეობები (322)
- **ისლამი (1165, 19,6%)**
  - სუნიზმი (1050)
  - შიიზმი (115)
- **ინდუიზმი (762, 12,8%)**
- **ჩინური რელიგიები (359, 6,1%)**
- **ბუდიზმი (354, 6,0%)**
- **ეთნიკური რელიგიები (249, 4,2%)**
- **ათეიზმი (150, 2,5%)**

**ქრისტიანობა** - ქრისტეს მოძღვრება, სამთაგან ერთ-ერთი მსოფლიო რელიგია ბუდიზმ-თან და ისლამთან ერთად. მას სამი ძირითადი მიმართულება აქვს: კათოლიციზმი, პროტეს-ტანტიზმი და მართლმადიდებლობა. საერთო ნიშანი, რომელიც აერთიანებს ქრისტიანობის სხვადასხვა დენომინაციებს, არის რწმენა იესო ქრისტესადმი, როგორც ღმერთკაცის, მსოფლიოს მხსნელის, სამების მეორე პირის განმასახიერებლისადმი. ქრისტიანული სწავლების მთავარი წყაროა ქრისტიანებისთვის წმინდა წიგნი - ბიბლია, განსაკუთრებით მისი მეორე ნაწილი - ახ-ალი აღთქმა. ქრისტიანობა ისლამთან და იუდაიზმთან ერთად მიეკუთვნება ე.წ. "აბრაამისეულ რელიგიებს". ამჟამად საქართველოში ყველაზე გავრცელებული რელიგია ქრისტიანობაა, ქრისტიანები შეადგენენ საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 85%.

2002 წლის საქართველოს საყოველთაო აღწერის შედგების მიხედვით საქართველოს რელიგიურ მრავალფეროვნებას ქმნიან შემდეგი ძირითადი რელიგიური ჯგუფები:

- მართლმადიდებელი – 3 666 233 (83,9%),
- მუსლიმი – 433 784 (9,9%),

- სომხური სამოციქულო ეკლესის წევრი – 171 139 (3,9%),
- კათოლიკე – 34 727 (0,8%),
- იუდეველი – 3 541 (0,1%),
- სხვა – 33 468 (0,8%),
- არც ერთი – 28 631 (0,6%).

**ისლამი** - დაახლოებით 1,3 მილიარდი მიმდევრით ქრისტიანობის შემდეგ მსოფლიოში მეორე უდიდესი რელიგიური აღმსარებლობაა. ისლამის მიმდევარს ჰქვია მუსლიმი ან მაჰმადიანი. წარმოიშვა მე–7 საუკუნეში არაბეთის ნახევარკუნძულზე. ფუძემდებელია მუჰამადი, რომელიც ისლამური სწავლების მიხედვით ღმერთის (არაბულად: ალ-ლაჰ الله) უკანასკნელი წინასწარმეტყველი იყო. დღეს ისლამი გავრცელებულია მთელს მსოფლიოში, ტრადიციულად, ისლამურად ითვლება შემდეგი რეგიონები: ახლო აღმოსავლეთი, ჩრდილოეთ აფრიკა, სამხრეთ აზია და სამხრეთ–აღმოსავლეთ აზია.

მუსლიმები შეადგენენ საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 10%. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელები და აჭარის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველები (აჭარლები).

**ბუდიზმი** - რელიგია, პრაქტიკული ფილოსოფია, ასევე ზოგიერთი წარმოდგენით ფსიქოლოგია, რომელიც ემყარება ბუდა შაკიამუნის სწავლებას. მომდინარეობს ძველი ინდოეთიდან, დაახ. ძვ. წ. VI - V საუკუნეებიდან. ბუდიზმი ინდოეთის სუბკონტინეტზე გავრცელდა ხუთი საუკუნის განმავლობაში ბუდას გარდაცვალებიდან, შემდგომ ორ ათასწლეულში კი დომინანტური რელიგია გახდა ცენტრალურ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ აზიაში. ამჟამად ბუდიზმი იყოფა სამ ძირითად ტრადიციად: თერავადა, მაჰაიანა და ვაჯრაიანა. მსოფლიოში დაახლოებით 708 მილიონი მიმდევარი ჰყავს და ერთ-ერთ მსოფლიო რელიგიად ითვლება. მიმდევართა რაოდენობით მეხუთეა მსოფლიოში ქრისტიანობის, ისლამის, ინდუიზმის და ტრადიციული ჩინური რელიგიის შემდეგ. დღეს საქართველოში, კერძოდ თბილისში, ბუდისტების მცირე ჯგუფი არსებობს.

ნებისმიერი მოძღვრების თუ ფილოსოფიის ინტერპრეტაცია სრულიად სხვადასხვაგვარად რომ არის შესაძლებელი, ვფიქრობთ, ეს ყველასთვის ცხადია. ამით სარგებლობდნენ და სარგებლობენ ყველა დროის მმართველები, განსაკუთრებით - იმპერიების. ისინი ყოველთვის ისე ირგებენ რელიგიურ ინსტიტუტებს, როგორც საკუთარ სამოსს. მათი ერთ-ერთი მთავარი მიზანი ხალხის დამორჩილებაა. თავისუფალ ქვეყნებში ეს დრო წარსულს ჩაბარდა. თუმცა, იქაც დარჩა დიდი პრობლემად – ტერორიზმი, რომელსაც, ჩვენი აზრით, მუსლიმანური რელიგიის არასწორი ინტერპრეტაცია განაპირობებს. ყველა მსოფლიო რელიგია თავისი არსით ჰუმანურია. თუმცა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მის ადეკვატურ აღქმას. ქვეყნის კულტურის დონეს და წარმატებას სწორედ მისი საზოგადოების უმრავლესობის მრწამსი განსაზღვრავს. მრწამსი არის ის, რისიც ადამიანს სჯერა. თუ ეს გაუაზრებელი, ბრმა რწმენაა, ის ფანატიზმს ჰგავს. განათლებული ადამიანის რწმენა ამ სფეროში მისი ცოდნის პროპორციული უნდა იყოს. და თუ ეს ასე არ არის, ან ფანატიზმთან გვაქვს საქმე, ან ფარისევლობასთან.

როდესაც ვსაუბრობთ რელიგიაზე და მის მნიშვნელობაზე, აუცილებელია შევეხოთ სეკულარიზმს, თუ რა როლს თამაშობს რელიგია სახელმწიფო ქმედებებში და პირიქით. **სეკულარიზმი** რწმენის თავისუფლებას გულისხმობს, სეკულარიზმში მოიაზრება ის, რომ საერო ცხოვრება, მოღვაწეობა, ემანსიპირებულია სასულიერო ცხოვრებისაგან. ამავდროულად, სეკულარიზმი გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფო ნეიტრალურია ყველა სარწმუნოების მიმართ და მეტიც, სახელმწიფო არ უწევს ფინანსურ დახმარებას არც ერთ რელიგიას. XXI საუკუნეში,

რომელსაც გლობალიზაციის ეპოქად მოიხსენიებენ და რომლის მთავარი ღირებულებაც დემოკრატია, ადამიანის უფლებები და რიგი სხვა ფასეულობებია, არც უნდა გვჭირდებოდეს საუბარი იმაზე არის თუ არა, მაგალითად საქართველო სეკულარული სახელმწიფო. მაგრამ, რეალობა განსხვავდება იმ მოცემულობისაგან რაც უნდა იყოს. კერძოდ, საქართველოში არის სეკულარიზმის კრიზისი, რაც გამოიხატება პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და ა.შ. თითქმის ყველა სფეროში. რთულია ისაუბრო სეკულარიზმზე საქართველოში, მაშინ, როდესაც მოსახლეობის ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ ქართველი იმთავითვე გულისხმობს, რომ ის უნდა იყოს მართლმადიდებელი. ამ აზრის ფორმირებას საზოგადოებაში, ჩვენი აზრით, იწვევს ის განწყობა, თუნდაც, პოლიტიკოსების მხრიდან, რომელსაც ისინი ღიად აფიქსირებენ და ამით მანიპულირებენ საზოგადოებაში. წინასაარჩევნოდ წირვა-ლოცვაზე დასწრება და შემდეგ ვიდეო მასალების გავრცელება სოციალურ მედიისა და ინტერნეტ ქსელების მეშვეობით, ამის თქმის საფუძველს გვაძლევს. ჩვენი აზრით, სახელმწიფო თავად უშლის ხელს, რომ საზოგადოება იყოს სეკულარული, ამაზე მიუთითებს თუნდაც ის, რომ მართლმადიდებლური ეკლესია ზევრად უფრო მეტ დაფინანსებას იღებს სახელმწიფოსგან, ვიდრე სხვა დანარჩენი. ჩვენი აზრით, ეკლესია ერევა სახელმწიფო მართვაში, ის ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობს სახელმწიფოს ინსტიტუტებზე და მათ ქმედებებზე, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის გარეთ.

როდესაც ვმსჯელობთ სეკულარიზმის კრიზისზე სახელმწიფოში, ნათელია რომ პრობლემა არის საზოგადოებაში, საზოგადოება ვერ შედგა სამოქალაქო საზოგადოებად, რომელსაც უნდა ახასიათებდეს ღიაობა, მიმღებლობა განსხვავებული რელიგიური და ა.შ. იდენტობის მქონე ადამიანებისა. ქართული საზოგადოება არის ჩაკეტილი და რელიგიურ ფუნდაენტალიზმზე ორიენტირებული. აქედან გამომდინარე, საზოგადოება გამოწვევის წინაშე დგას. ასეთი მდგომარეობა იქნება მანამ, სანამ არ მოხდება საზოგადოების ინფორმირება და გარკვეული განათლების მიწოდება, რაც გახდება საფუძველი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისა. საზოგადოება თვითონ უნდა მივიდეს გადაწყვეტილებამდე, რომ სეკულარიზმის იდეა და მიზანი გაიზიაროს, ამისათვის, საჭიროა განათლება, რომელიც უნდა დაიწყოს ჯერ კიდევ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში.

ვფიქრობთ, სახელმწიფოს, რომელიც მრავალეთნიკური და მრავალკონფესიურია, რომელიც განვითარებადი ქვეყანაა, ყველაზე მეტად სჭირდება სეკულარიზმი, როგორც მთავარი ღირებულება. რაც გარანტიაა იმისა, რომ სახლმწიფო იქნება სტაბილური, მასში მცხოვრები ნებისმიერი იდენტობის მქონე პიროვნება ხელშეუხებელი და დაცული. რასაც განამტკიცებს საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები:

1. „სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან ერთად აღიარებს საქართელოს სამოციქულო ავტოკეფალური მართმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.“

2. „საქართველოს სახელმწიფოსა და სამოციქულო ავტოკეფალური მართმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით. კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათ და ძირითდ თვისუფლებათ სფეროში.“

ისტორიას, რომ გადავავლოთ თვალი საქართველოს ოდითგანვე იპყრობდნენ სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის მქონე სახელმწიფოები, თუმცა მან შეძლო შეენარჩუნებინა

ეროვნული თვითმყოფადობა ეს ფაქტი მყარ საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ მომავალშიც შენარჩუნდება ქვეყნისთვის უპირატესი ფასეულობები.

როგორც მრავალგზის აღვნიშნეთ, მსოფლიო და ადგილობრივი რელიგიები ადაპტირდებიან პოლიტიკურ სისტემებთან, რაც თავისთავად გავლენას ახდენს სოციალურ გარემოზე. რიგ თეოკრატიულ სახელმწიფოებში ეკლესიის მძლავრი გავლენის მიუხედავად გლობალიზაციის პროცესი მაინც შეუქცევადია და ფეხს იკიდებს ნებისმიერ სოციუმში. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი საზოგადოების ნაწილი სკეპტიკურად არის განწყობილი გლობალიზაციის მიმდინარე პროცესების მიმართ, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ თუ არსებული აღმსარებლობა, ღირებულებები, ტრადიციები გაცნობიერებული ექნება საზოგადოებას და ეცოდინება თუ რა არის მისთვის პრიორიტეტული. ამ შემთხვევაში გლობალიზაციის უარყოფითი მხარეები გავლენას ვერ იქონიებს ზემოთ აღნიშნულ ფასეულობებზე.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. http://www.ttimes.ge/archives/41239
2. https://anzorakhvledini.blogspot.com/p/blog-page_6223.html
3. http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1281619775&kat=294,
4. აბზიანიძე, ა. 2006 საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობები, თბილისი, თსუ
5. ანდრიაშვილი, რ. 1998 ქართული მართლმადიდებლობა და ეროვნული თვითშეგნება, თბილისი, შპს „2000“
6. გურგენიძე, ვ. 2009 პოლიტიკურ სამართლებრივი აზროვნების ისტორია, ტომი პირველი, თბილისი, თსუ.
7. დავითაშვილი, ზ. 2003 ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, თბილისი
8. გიდენსი, ე. 2011 სოციოლოგია, თბილისი. მთარგმნელები: გოგიტაშვილი, თ. დონაძე, ნ. ხინთიბაძე, ც.
9. Casanova, J. 2001 Religion, the New Millennium, and Globalization//Sociology of Religion.


## ტერორიზმი-საფრთხე კავკასიის რეგიონული სტაბილურობისთვის


***ღამბაშიძე მერი*** *– საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის I კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი* ***გოგბერაშვილი თამაზი*** *– ასოცირებული პროფესორი, სოციალუ მეცნიერებათა დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*


## Terrorism-danger for stable condition of Caucasus


***Ghambashidze Meri*** *– Master's Student, Pubic Administration, I year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

*Supervisor* ***Gogberashvili Tamazi*** *– Associate Professor, Department of Social Sciences, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*


### Abstract


Terrorism, as one of the most important event of XIX century,is still at the forefront of discussed themes and its topicality develop day by day.It is extremely important to reviewing terrorsim,as hindering factor of hole Caucasus stability and business environment of concrete country,espacially such a small and strategicaly profitable country as Georgia.Before we discuss about it in a context of development of business environent,it is important to know: what is terrorism? How does it develop? Where and why does it happen?

We have to note, that during the last 10 years, terrositm became one of the major problems and main challenge for the contemporary society. Nowadays, the danger of terrorism is changable, unpredictable and increasing.''Islamic state'' is the most clear demonstration of global terrorism.However, it doesn't redundent the danger connected with other terroristic group (''Talibani", "Al-qaida" etc.). It's natural that these events in nearest east have an influence on caucasus region.Despite of the fact that Georgia isn't among the countries with high rate of terroriscit attack, still there are some challenges about the directions mentioned above. Prevention of any kind of terroristic business is extremely important for Georgia. The main aim of State security service of Georgia is redundency of terroristic risks and protecion of population. Hundreds of terroristic acts happen in every year in the world and lots of people die. Strong countries do their best in order to uproot terrorism,but in vain – terrorism is still a main problam of mankind , especially after the fact,that it became a weapon of the war and form of political violence.Today,terrorism is charachterised as a wide notion and it can be spread quite fast in universe. It covered the whole world and became dangerous not only for the government, but for the citizens as well,who are the victims of terrorism by chance. Terrorism is considered to be a cult of violence.Based on scientific and psychological achievement, terrorists try to use modern opportunities which are connected to broad integration.Apart from this, they use new economic and finantial connections.Recently, terrorism became more and more politicezed which increases the danger caused by its business. The aim of the theme mentioned above is to discuss about this global problem in the context of our region. Terrorism is a challenge of modern world which has an influence on the state's reputation, faith,business and financial environment and is also causes unprofitebility and makes the country politicaly and psichologicaly weak.On the oher hand,terrorism increases political risks, state's expenses. Undeveloped countries need to have an image of being protected. It's remarkable,that tourism and insurance is the weakest connected with terrorism as tourists takes into consideration the risks, what makes changes and influences on their plans. To sum it up, the economy of tourism becames smaller. According to researches, tourism made lose in Greece, Turkey, Israel. In the resault of terrorism, Europe lost 105 billion dollars. It's important to note that terroristic incidents effect business sector because: it reduce productivity,profit, business and consumers' actity, foreign investments; increases insurance expenses and the fair of imvestments.It has also effect on long-term projects , consumers' and business trust;causes the ruining of infrastructure and redundency of trading. According to global researches, global violence is eveluated with 14.3trillion dollars. In 1970-2007 36% of 586 terroristic groups is active. Last year economic damage in Iraq amounted 24% of GDP, in Afghanistan- 13% of GDP, as for the south Sudan- 9% , Syria- 6%, Libya-3%, yemen-2%, Turkey – 1%. (statistica.com)

According to the mentioned above, we can discuss about terrorism in many different aspect. In order to make prevention of terrorism in country, we need to take an important steps forward developing of stable business environment. Therefore, it's important to investigate the mentioned problem in detail and find the cause and solution.

**Keywords:** Terrorism, danger, business environment, development.

## აბსტრაქტი

ტერორიზმი, როგორც XXI საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, განსახილველ საკითხთა შორის კვლავ მოწინავე პოზიციაზე რჩება და მისი აქტუალურობა დღითიდღე იზრდება. ტერორიზმის, განხილვა, როგორც მთელი კავკასიის სტაბილურობისა და კონკრეტული ქვეყნის ბიზნეს გარემოს განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორისა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მით უფრო ისეთი პატარა და სტრატეგიულად ხელსაყრელ პოზიციაზე მყოფი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა. მანამ, სანამ კონკრეტულად ბიზნეს გარემოს განვითარების კონტექსტში განვიხილავთ, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა არის ტერორიზმი, როგორ ვითარდება, სად და რის საფუძველზე იჩენს ყველაზე ხშირად თავს. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში ტერორიზმი იქცა ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად და უმთავრეს გამოწვევად თანამედროვე საზოგადოებისათვის. დღესდღეობით, მსოფლიოში ტერორიზმის გლობალური საფრთხე ცვალებადი, არაპროგნოზირებადი და მზარდია. გლობალური ტერორისტული საფრთხის ყველაზე მკაფიო გამოვლინებაა ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“. თუმცა, ამით არ მცირდება სხვა ტერორისტულ დაჯგუფებებთან („ალ-ქაიდა“, „თალიბანი“ და სხვა) ასოცირებული საფრთხეები. ბუნებრივია,ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენები უარყოფითად აისახება კავკასიის რეგიონზეც. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ განეკუთვნება

ტერორისტული თავდასხმის მაღალი რისკის ქვეყანათა რიცხვს, აღნიშნული მიმართულებით არსებობს გარკვეული გამოწვევები. საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საკუთარ ტერიტორიაზე ნებისმიერი ტერორისტული საქმიანობის პრევენცია და აღკვეთა, რადგან აღნიშნული შესაძლებელია ცალკეული სახელმწიფოების მიერ საკუთარი სამხედრო და პოლიტიკური მიზნებისთვის იქნას გამოყენებული. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უმთავრესი ამოცანაა ქვეყნის მიმართ ტერორისტული რისკების შემცირება, სახელმწიფოს, მისი ინტერესებისა და მოქალაქეების ტერორისტული საქმიანობის ყველა ფორმისაგან დაცვა. მსოფლიოში ყოველწლიურად ასობით ტერორისტული აქტი ხდება, რომელთა წყალობითაც მრავალი ადამიანი იღუპება. უძლიერესე ქვეყნები ძალღონეს არ იშირებენ იმისთვის, რომ აღკვეთონ ტერორიზმი, მაგრამ ამაოდ, ტერორიზმი კვლავ რჩება კაცობრიობის ურთულეს პრობლემად, მითუმეტეს მას შემდეგ, რაც იგი სხვადასხვა ქვეყანაში პოლიტკური, ეთნიკური მიზნების მიწევის საშუალებად, ბრძოლის ერთ-ერთ იარაღად და თვით პოლიტიკური ძალადობის ფორმადაც კი იქცა.დღეს ტერორიზმმა შეიძინა გლობალური ხასიათი, არსებობს მისი სწრაფი გავრცელების რეალური საშიშროებაც. მან მოიცვა მთელი მსოფლიო და ააფორიაქა ცივილიზაცია. ის საშიში გახდა არა მარტო არსებული ხელისუფლებისათვის, არამედ უბრალო მოქალაქეებისათვისაც, რომლებიც ხშირად ტერორიზმის გაუთვალისწინებელი მსხვერპლი ხდებიან. ტერორიზმი აღიარეს როგორც რთული და მრავლმხრივი მოვლენა.მისი განხილვა ღრმა ანალიზსა და სხვა და სხვა ფსიქოლოგიური ასპექტის განხილვას მოითხოვს. თანამედროვე ტერორიზმი ასახიერებს ძალადობის კულტს. მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ მიღწევებზე დაყრდნობით, იგი სრულყოფს თავის დანაშაულებრივ ფორმებსა და ხერხებს, რაც ხელს უწყობს მის განვითარებას, ხოლო ნარკობიზნესსა და სხვა კრიმინალურ სტრუქტურებთან ალიანსი უფრო მყარს ხდის მის დღევანდელ მდგომარეობას. ტერორისტები ცდილობენ საერთაშორისო საზოგადოების ფართო ინტეგრაციასთან დაკავშირებით წარმოქმნილ ახალ საშუალებათა გამოყენებას, სარგებლობენ ახალი ეკონომიკური და ფინანსური კავშირებით, მიგრაციული ნაკადის გაფართოებითა და საზღვრების გადაკვეთის კონტროლის შესუსტებით. ტყერორიზმი ბოლო დროს უფრო პოლიტიზირებული ხდება, რაც განსაკუთრებით აძლიერებს მისი საქმიანობიდან გამოწვეულ საშიშროებას. აღნიშნული თემის მიზანი კი, სწორედ ამ გლობალური საფრთხის განხილვაა ჩვენი რეგიონის კონტექსტში. ტერორიზმი თანამედროვე მშვიდობიანი მსოფლიოს გამოწვევაა, რომლის ეკონომიკური გავლენა ძვირადღირებული შედეგებისაა. ტერორიზმი:

გავლენას ახდენს სახელმწიფოს რეპუტაციასა და ნდობაზე; გავლენას ახდენს ბიზნეს გარემოსა და საფინანსო ბაზრებზე; იწვევს სიცოცხლის ხელყოფას, ფსიქოლოგიური ტრამვებს; იწვევს დანაკარგებს, ზარალს, საკუთრების დაზიანებას; ქმნის სახელმწიფოს დასუსტების პირობას, ეკონომიკური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური გავლენით; ზრდის პოლიტიკურ რისკებსა და სკეპტიციზმს; ზრდის სახელმწიფო ხარჯებს (უსაფრთხოების, სამედიცინო, რეაბილიტაციის, ზიანის ანაზღაურების მიზნით). განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს უწევს უსაფრთხო ქვეყნის იმიჯის მტკიცება, ხოლო განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებს დამკიცებული აქვთ. შესაბამისად, განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვენების სპეციფიკური სექტორები უფრო მეტად რეაგირებს ტერორისტულ ინციდენტებზე. აღსანიშნია, რომ ტერორიზმის მიმართ ყველაზე მოწყვლადია სწორედ ტურიზმი და დაზღვევა. ტურისტულ ობიექტებზე თავდასხმის საშიშროების ფონზე (აეროპორტები, სასტუმრო, ღირშესანიშნაობები, ტურისტული ტრანსპორტი) ტურისტი ითვალისწინებს რისკებს, რაც ცვლის მის გეგმებს და გავლენას ახდენს მოკლევადიან თუ გრძელვადიან ტურისტულ გეგმებზე. ჯამში, მცირდება ტურიზმის ეკონომიკა. კვლევები ცხადყოფს, რომ ტრანსნაციონალური ტერორისტული თავდასხმების შედეგად ტურიზმის ბაზარმა მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადა საბერძნეთში, თურქეთში, ისრაელში. ტერორიზმის შედეგად ევროპის ბაზარმა მხოლოდ ამერიკელი ვიზიტორების ხარჯზე დაკარგა 105 მლრდ დოლარი (ვიზიტორების 60%-მა ჯავშანი გააუქმა). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ტერორისტული ინციდენტები გავლენას ახდენს ბიზნეს სექტორზე, რადგან: ამცირებს მწარმოებლურობას, მოგებას, საქმიან და სამომხმარებლო აქტივობას; ზრდის უსაფრთხოების ხარჯებს, ბიზნესის წარმოების ხარჯებს (უფრო მაღალი სადაზღვევო პრემიის თვალსაზრისით, რისკის ზონებში თანამშომელთა მაღალი ანაზღაურების კუთხით); ძვირადღირებულს ხდის უსაფრთხოების ზომებს; ამცირებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს და ზრდის ინვესტირების

შიშს. გავლენას ახდენს გრძელვადიან პროექტებსა და გარიგებებზე, სამომხმარებლო და საქმიან ნდობაზე; იწვევს ინფრასტრუქტურის განადგურებას, ამცირებს ვაჭრობას. სახელმწიფოს საინვესტიციო ფონდებიდან თანხების გადამისამართება უსაფრთხოებაზე; იწვევს კაპიტალის გადინებას; რეზონანს ახდენს მთელ რეგიონზე. გლობალური კვლევებით გლობალური ძალადობა ფასდება 14.3 ტრლნ დოლარით, რაც შეადგენს გლობალური მშპ-ის 12.6%-ს (visionofhumanity.org). სადაც, ტერორიზმის გლობალური ეკონომიკური დანაკარგები 84 მლრდ დოლარს აღწევს (2016 წელს, statista.com). არსებითია აღინიშნოს, რომ 1970-2007 წწ-ში მოქმედი 586 ტერორისტული ჯგუფიდან 36% კვლავ აქტიურია (აქტიური კონტრტერორისტული მიდგომების მიუხედავად, visionofhumanity.org). გასულ წელს ერაყში ტერორიზმის ეკონომიკურმა ზიანმა შეადგინა მშპ-ის 24%, ავღანეთში – მშპ-ის 13%. სამხრეთ სუდანი – 9%. სირია – 6%, ლიბია -3%, იემენი – 2%, თურქეთი- 1% (statista.com). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ ტერორზმის მრავალწახნაგოვანი ბუნება მისი მრავალ კონტექსტში განხილვის საშუალებას იძლევა. სწორედ იმისთვის, რომ გადაიდგას მკაფიო და მნიშვნელოვანი ნაბიჯები ჩვენს ქვეყანაში ტერორიზმის ნებისმიერი სახით გამოვლენი სპრევენციისა და სტაბილური ბიზნეს-გარემოს განვითრებისათვის, პირველ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული საკითხის სიღრმისეულ კვლევასა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დეტალურ შესწავლას.

**საკვანძო სიტყვები:**ტერორიზმი, საფრთხე, ბიზნეს გარემო, კავკასია.

ტერორიზმი, როგორც XXI საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, განსახილველ საკითხთა შორის კვლავ მოწინავე პოზიციაზე რჩება და მისი აქტუალურობა დღითიდღე იზრდება.

ტერორიზმის განხილვა, როგორც მთელი კავკასიის სტაბილურობისა და კონკრეტული ქვეყნის ბიზნეს-გარემოს განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორისა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მით უფრო ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა.

მანამ, სანამ კონკრეტულად ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობასა და ბიზნეს გარემოს განვითარებასთან დაკავშირებულ მისი ზემოქმედების ასპექტებს განვიხილავთ, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა არის ტერორიზმი, სად და რა ფორმით ჩამოყალიბდა, როგორ ვითარდებოდა, რა მდგომარეობაშია დღეს, სად და რა ფორმით იჩენს ყველაზე ხშირად თავს.

როგორც ცნობილია, ტერმინი „ტერორიზმი" ევროპულ ენებში საფრანგეთის დიდი რევოლუციის ეპოქიდან დამკვიდრდა, კერძოდ, მაქსიმილიან რობესპიერის მმართველობის ფორმიდან (1793-1794). რევოლუციის შემდგომ, 1798 წელს გამოცემულ ფრანგულ ლექსიკონში იგი განიმარტებოდა, როგორც პოლიტიკური მმართველობის ერთ-ერთი ფორმა, როდესაც ქვეყნის მმართველობა ხელისუფლების შესანარჩუნებლად ძალადობრივი მეთოდებით უპირისპირდება პოლიტიკურ ოპონენტებს.

ტერორიზმი, როგორც პოლიტიკური ბრძოლის ფორმა, საფრანგეთის რევოლუციამდე გაცილებით ადრე წარმოიშვა, რასაც ბიძგი 1648 წლის ვესფალიის ზავმა მისცა, რომელმაც ახალი წესრიგი და სახელმწიფოები წარმოშვა. პარალელურად გაჩნდნენ ძალები, რომლებიც დაუპირისპირდნენ არსებულ ევროპულ რეალობას. თუმცა ტერორისტულ საქმიანობას იმ ეპოქაში არ მისცემია ფართო გასაქანი, რაც ყველაზე მეტად კომუნიკაციის სუსტი საშუალებებით იყო გამოწვეული, ამასთან, ახალი სახელმწიფოები საკმაოდ კომპეტენტურნი გამოდგენენ საიმისოდ, რომ ჩაეხშოთ ტერორიზმის ჯერ კიდევ გაუბედავი აქტივობები.

XVIII-XIX საუკუნეებში ტერორიზმი უმეტესად ერთი ადამიანის ლიკვიდაციისაკენ მიმართული პოლიტიკური აქტი იყო.

რაც შეეხება ახალი პერიოდის მძლავრ ტერორისტულ ორგანიზაციებს, ისინი ძირითადად ანარქისტული მიმდინარეობის პოლიტიკურმა ძალებმა ჩამოაყალიბეს. მათ შეძლეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურების მკვლელობები რუსეთში, საფრანგეთში, იტალიასა და შეერთებულ შტატებში, თუმცა ანარქისტების არაორგანიზებული მოქმედებებისა და სხვა პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობაზე უარის თქმით, იგი არაეფექტურ პოლიტიკურ მიმდინარეობად იქცა, რომელიც მალევე გაქრა მსოფლიო პოლიტიკურინ ასპარეზიდან.

თნამედროვე ტერორიზმი, კი რომელიც ყოველდღიურად ვითარდება, ორი ძირითადი სახით ჩამოყალიბდა:

პირველი - ეს არის ლოკალური ტერორიზმი, რომელიც უმეტესად მომდინარეობს სხვა და სხვა სახის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობებიდან და პრაქტიკულად, ამ მოძრაობების არალეგალური, დემორალური ნაწილია, თუმცა ეს მოძრაობები ხშირად ლეგალიზებულია შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტებით.

მეორე - ტერორიზმის ის სახეობა, რომელიც მოიხსენიება, როგორც საერთაშორისო, ზოგჯერ, გლობალური ტერორიზმი და საზოგადოდ გლობალური საფრთხის მატარებლად აღიქმება.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მსოფლიოს გადაუჭრელ პრობლემათა შორის ტერორიზმით გამოწვეულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ადამიანურ დანაკარგებს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში ტერორიზმი ყველაზე მწვავე პრობლემად და უმთავრეს გამოწვევად იქცა თანამედროვე საზოგადოებისთვის. დღესდღეობით, მსოფლიოში ტერორიზმის გლობალური საფრთხე ცვალებადი, არაპროგნოზირებადი და მზარდია. გლობალური ტერორისტული საფრთხის ყველაზე მკაფიო გამოვლინებაა ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“, თუმცა ამით არ მცირდება სხვა ტერორისტულ დაჯგუფებებთან(ალ ქაიდა, თალიბანი და სხვ.) ასოცირებული საფრთხეები. ბუნებრივია, ახლო აღმოსავლეთში განვიტარებული მოვლენები უარყოფითად აისახება კავკასიის რეგიონზეც და მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ნაკლებად მიეკუთვნება ტერორისტულ თავდასხმათა მარალი რისკის ქვეყანათა რიცხვს, ამ მიმართულებით არსებობს გარკვეული გამოწვევები. 2000-იანი წლების დასაწყისში განხორციელებულ ტერორისტულ აქტთა სია კი ასე გამოიყურება:

2006 წლის 11 ივლისი, ინდოეთი: მუსლიმი ტერორისტები თავს ესხმიან რკინიგზას მუმბაიში - დაღუპულთა რაოდენობა - 182 ადამიანი, დაშავებულთა რაოდენობა- 770.

2005 წლის 9 ნოემბერი, იორდანია : სამი დასავლური სასტუმროს დაბომბვა ცენტრალურ ამანში - დაღუპულთა რაოდენობა - 67, დაშავებულთა რაოდენობა- 150.

2005 წლის ოქტომბერი, რუსეთი: თავდასხმა ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქ ნალჩიკში - დაღუპულთა რაოდენობა - 130

2005 წლის 1 ოქტომბერი, ინდონეზია: სამმა სუიციდმა აიფეთქა თავი ინდონეზიის დასასვენებელ კუნძულ ბალიზე. დაღუპულთა რაოდენობა - 22 ადამიანი.

2005 წლის 23 ივლისი, ეგვიპტე : ეგვიპტის დასასვენებელ კურორტზე შარმ ელ შეიხზე დაბომბვის შედეგად დაიღუპა 64 ადამიანი უცხოელი ტურისტების ჩათვლით.

2005 წლის 7 ივლისი, ბრიტანეთი: სამი მეტროს და ავტობუსის დაბომბვა, დაღუპულთა რაოდენობა - 56, დაშავებულთა რაოდენობა - 700.

2004 წლის 1 სექტემბერი, რუსეთი: 30 კაციანი ჯგუფი შეიჭრა ბესლანის სკოლაში, სადაც 1100 მძევალი აიყვანეს. დაღუპულთა რაოდენობა - 300.

2004 წლის 1 მარტი, ესპანეთი: 10 ბომბი აფეთქდა მატარებელში. დამნაშავეები მაროკოელი ისლამისტები არიან. დაღუპულთა რაოდენა - 191.

2003 წლის ნოემბერი, თურქეთი: სტამბოლში მოხდა აფეთქებები. დაღუპულთა რაოდენობა - 33.

2003 წლის მაისი, მაროკო: კასაბლანკას პორტში ისლამისტების 5 შეტაკების შემდეგ დაღუპულთა რაოდენობა შეადგენდა 45-ს.

როგორც წესი, განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების სპეციფიკური სექტორები უფრო მეტად რეაგირებს ტერორისტულ ინციდენტებზე. ტერორიზმის მიმართ კი ყველაზე მოწყვადი კატეგორია კი ტურიზმია. ტურისტულ ობიექტებზე თავდასხმის საშიშროების ფონზე, ტურისტი ითვალისწინებს რისკებს, რაც ცვლის მის გეგმებს და გავლენას ახდენს მოკლევადიან თუ გრძელვადიან ტურისტულ გეგმებზე. ჯამში, მცირდება ტურიზმის ეკონომიკა. კვლევები ცხადყოფს, რომ ტრანსნაციონალური ტერორისტული თავდასხმების შედეგად ტურიზმის ბაზარმა მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადა საბერძნეთში, თურქეთსა და ისრაელში. ტერორიზმის შედეგად, ევროპის ბაზარმა მხოლოდ ამერიკელი ვიზიტორების ხარჯზე დაკარგა 105 მლრდ დოლარი (ვიზიტორთა 60%-მა ჯავშანი გააუქმა).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ტერორისტული ინციდენტები გავლენას ახდენს ბიზნესსექტორზე, რადგან:

1. მცირდება მწარმოებლურობა;
2. მცირდება მოგება;
3. მცირდება საქმიანი და სამომხმარებლო აქტივობა;
4. იზრდება უსაფრთხოების ხარჯები;
5. იზრდება ბიზნესის წარმოების ხარჯები; (უფრო მაღალი სადზღვევო პრემიის თვალსაზრისით, რისკის ზონებში თანამშრომელთა მაღალი ანაზღაურების კუთხით)
6. მცირდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და იზრდება ინვესტიციების შიში;
7. ნადგურდება ინფრასტრუქტურას;
8. მცირდება ვაჭრობას;
9. გაედინება კაპიტალი და სხვ.

გლობალური კვლევებით, გლობალური ძალადობა ფასდება 14.3 ტრლნ დოლარით, რაც გლობალური მშპ-ს 12.6%-ია (visionofhumanity.org), სადაც ტერორიზმის გლობალური ეკონომიკური დანაკარგები 84 მლრდ დოლარს აღწევს (2016). არსებითია აღინიშნოს, რომ 1970-2007 წლებში მოქმედი 586 ტერორისტული ჯგუფიდან 36% კვლავ აქტიურია.

რაც შეეხება ტერორიზმის ეკონომიკურ საფრთხეებს, უნდა აღინიშნოს, რომ ტერორისტული შეტაკებების შედეგები ეკონომიკაზე პირდაპირ და არაპირდაპირ აისახება, - აღნიშნულის შესახებ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრები ჯერ კიდევ 2005 წელს აცხადებდნენ.

პირდაპირი ზარალი შენობების დაზიანებასა და ნგრევას, ინფრასტრუქტურის განადგურებას და უსაფრთხოების ხარჯების ზრდას მოიცავს. მოკლევადიანი ზარალი ძირითადად ადგილობრივ ბაზრებზე აისახება და ფრენების, სასტუმროებისა და რესტორნებისგან მიღებული შემოსავლების შემცირებით გამოიხატება. დანაკარგები ორ ინდუსტრიაში იქმნება: ტურიზმსა და დაზღვევაში, რომელთა დანაკარგების მოცულობაც ტერორისტული თავდასხმის მასშტაბებზეა დამოკიდებული. მაგალითად, 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარი ტერორისტული აქტის შედეგად სადაზღვევო კომპანიებს თითქმის 4 მილიარდი აშშ დოლარის გადახდა მოუწიათ.

ტერორისტული თავდასხმები, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს იმ ევროპულ კომპანიებზე, რომლებიც ტურიზმთან არის დაკავშირებული. მაგალითად, ესპანეთში მომხდარი ტერორისტული აქტის შემდეგ, 18 აგვისტოს დღის მეორე ნახევარში ავიაკომპანიების Air France- ს ფასიანი ქაღალდები 2.9%-ით, Ryanair -ის - 2.6%-ით, ხოლო Lufthansa-ის - 1.7% -ით დაეცა. ასევე 2%-ით გაუფასურდა ესპანური სასტუმროების ქსელის Melia Hotels ფასიანი ქაღალდები, ხოლო სუპერმარკეტების ქსელის Distribuidora Internacional de Alimentacion აქციები 2.5% -ით დაეცა.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ 2016 წლის მარტში ბრიუსელში მომხდარ ტერორისტული აქტის შედეგად ქალაქის ეკონომიკამ დაახლოებით ერთი მილიარდი ევრო დაკარგა.

ევროპაში განხორციელებული ტერორიზმიდან ყველაზე დიდი ზარალი საფრანგეთის ტურისტულმა ინდუსტრიამ მიიღო, რომელიც მანამდე ტურისტების მასშტაბით მსოფლიოში გამორჩეული იყო. საფრანგეთში 2015-2017 წლებში სამი დიდი ტერორისტული აქტი მოხდა, რომელმაც 233 ადამიანი იმსხვერპლა. თავდასხმები პარიზისა და ნიცის ტურისტულ ზონებში მოხდა.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ევროკავშირში ტერორიზმის ზრდა ფიქსირდება და თავდასხმებისგან თავის ასარიდებლად, მკვლევარები ხშირად იხსენებენ ისეთ არაპირდაპირ ეფექტს, როგორიც შენგენის ტერიტორიაზე სასაზღვრო კონტროლის შესაძლო გამკაცრებაა. ამ ღონისძიების შედეგები კი შეიძლება საკმაოდ სერიოზული იყოს. რამდენადაც ევროპის სასაქონლო ბრუნვის სამი მეოთხედი სატვირთო გადაზიდვებზეა დამოკიდებული, ასეთი ზომები ვაჭრობის მოცულობაზე აუცილებლად იმოქმედებს. სასაზღვრო კონტროლის გამკაცრების შემდეგ, რამდენიმე კვლევა გამოიცა, რომელშიც ეკონომისტები ცდილობდნენ შენგენის ზონის დაშლის შემთხვევაში დანაკარგები შეეფასებინათ.

კვლევითი ჯგუფი CESifo მიიჩნევს, რომ ევროკავშირის საზღვრებზე გამარტივებული ინსპექტირების სრული გაუქმება, საქონლის წლიურ ბრუნვას 220 მილიარდი აშშ დოლარით შეამცირებს.

საფრანგეთის მთავრობის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, საზღვართან კონტროლის აღგენა ევროკავშირის წლიური მშპ-ის მაჩვენებელს 0.8%-ით 100 მილიარდი ევროთი შემცირებს.

გერმანული ინსტიტუტის Bertelsmann Stiftung შეფასებით, შენგენის ზონის პოტენციური დაშლით გამოწვეული ზარალი 10 წლის განმავლობაში 470 მილიარდ ევრო იქნება.

გლობალური ტერორიზმის ინდექსის მიხედვით 2014 წელს ტერორიზმის შედეგად მიღებულმა ეკონომიკურმა ზარალმა 52.9 მილიადი დოლარი შეადგინა, რაც 2001 წლის 9/11-ის ტერაქტის შემდეგ დაფიქსირებული ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. აშკარაა, რომ მზარდი ეკონომიკური ტემპის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანია, ქვეყანა მუდმივად იყოს მიმზიდველი საინვესტიციო თვალსაზრისით. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ 2016 წლის 22 მარტს ბელგიაში აეროპორტსა და მეტროსადგურში მომხდარი ტერორისტული თავდასხმა, რომლის შედეგადაც 33 ადამიანი დაიღუპა, ხოლო ასამდე მძიმედ დაშავდა. ამ შემთხვევამ უდიდესი გავლენა იქონია ტურიზმის ინდუსტრიაზე. თავდასხმის შემდეგ, შაბათ-კვირის განმავლობაში, სასტუმროთა რეზერვაციების 40%-მდე გაუქმდა მას შემდეგ, რაც სახელმწიფო უსაფრთხოების ძალებმა ქვეყანა ჩაკეტეს. ტერორისტული აქტის შედეგად „ბრიუსელის ავიახაზებმა“ 190 ფრენა გააუქმა 20 000-ზე მეტი მგზავრისთვის მომსახურების შეზღუდვით. „ბრიუსელის ავიახაზების“ დღიურმაზარალმა, რომლის 45%-ს გერმანული Lufthansa ფლობს, 5 მლნ ევრო შეადგინა, აეროპორტის ფუნქციონირება კი 22 მარტიდან 3 აპრილის ჩათვლით

შეზღუდული იყო.მნიშვნელოვნად დაეცა ევროპული ავიაკომპანიების აქციებიც. FTSE650 ინდექსის მიხედვით, ტურიზმისა და დასვენების საერთო მაჩვენებელი1.1%-ით დაეცა, საერთაშორისო ავიახაზებისა (IAG) და იზი ჯეთზის (Easy Jet) აქციებმა კი 2.4% და 0.9%-იანი დაცემა განიცადა. ტერორისტულმა თავდასხმებმა გავლენა იქონია საფრანგეთის ტურიზმზეც. შარლი ებდოს ტერორისტული თავდასხმიდან 9 დღის შემდეგ საფრანგეთში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 25%-ით შემცირდა. ფრანგულ საფონდო ბაზარდე მნიშვნელოვანი ვარდნა განიცადა ავიაკომპანიებისა და სასტუმროთა ქსელების აქციებმა. ფრანგული ავიაკომპანიის ეარ ფრანსისა და სასტუმროთა ქსელის Accor-ის აქციები 5%-იტ დაეცა.

რაც შეეხება ტერორისტული თავდასხმების გრძელვადიან ეფექტს, იგი ნაკლებად შეინიშნება განვითარებულ სახელმწიფოებში. სტაბილური საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნები მარტივად ახერხებენ მოკლევადიანი დანაკარგების დაბალანსებას, რადგან მდგრადობა და მომხმარებლის სანდოობა შესაძლებლობას აძლევთ მალე მოახერხონ პოსტტერორისტული შოკების სტაბილიზაცია. განსხვავებული ეკონომიკური ეფექტი აქვს თავდასხმებს იმ სახელმწიფოებში, რომლებიც ხშირად ხდებიან ტერორიზმის ობიექტი. იქ ხშირ შემხვევაში ეროვნული ვალუტის გაუფასურება, შრომითი მიგრაცია და უმუშევრობის დონის ზრდა შეინიშნება. 2015 წელს თურქული ლირა 15%-ით გაუფასურდა. ქვეყანასს და რეგიონში სხვა ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებთან ერთად, რომელტაც გავლენა აქვთ ეროვნულ ვალუტაზე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთი 2015 წელს ტერორიზმის მსხვერპლი არაერთხელ გახდა.

რაც შეეხება ტერორიზმის გავლენას საქართველოში, უნდა აღინიშნოს, რომ ტერორისტული დანაშაულები ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროიდან ფიქსირდება. პასუხი კითხვაზე, თუ როგორია საერთაშორისო ტერორიზმის გავლენა საქართველოზე შეგვიძლია მრავალი მიმართულებით ვეძებოთ. იმაში, რომ საფრთხისაგან დაცული არც საქართველოა, ქართული საზოგადოება ისლამური სახელმწიფოს მიერ გავრცელებული მიმართვის შედეგადაც დარწმუნდა, თუმცა უფრო გაგვიჭირდება ვისაუბროთ ტერორისტული აქტების ეკონომიკურ ეფექტზე. ერთი რამ ცხადია: რეგიონალურ დონეზე მიმდინარე გეოპოლიტიკურ პროცესებს საქართველოზე გავლენა აუცილებლად ექნება, როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ კონტექსტში. არსებობს მეორე, ძალიან მნიშვნელოვანი კითხვა: როგორ დავაბალანსოთ ტერორიზმისაგან მომდინარე საფრთხე და შევინარჩუნოთ ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა? ამ კითხვაზე ცალსახა და მარტივი პასუხი არ არსებობს. კომპლექსური პრობლემიდან გაოსავლის ძიებას ართულებს ისიც, რომ ტერორიზმის ობიექტი არ არის კონკრეტული სახელმწიფო, მასობრივი საფრთხის წინაშე დგას სრულიად მსოფლიო. ამაში განსაკუთრებით მაშინ დარწმუნდა საერთაშორისო საზოგადოება, როდესაც აშშ-ის შემდგომ ტერორიზმის მსხვერპლი გახდა მსოფლიოს მეექვსე ეკონომიკის მქონე, ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო, საფრანგეთი.

Global Terrorism Index 2016-ის კვლევის მიხედვით საქართველო იმ ქვეყანათა რიცხვშია, სადაც ტერორიზმის ყველაზე დაბალი გავლენაა. ქვეყანა 257 ქულით მსოფლიოს 163 ქვეყანას შორის 87-ე ადგილზე განტავსდასაქართველოს უშაუალო მეზობელთა შორის ტერორიზმის ყველაზე დიდი გავლენაა თურქეთში. ის 6,738 ქულით მე-14 ადგილზეა. Global Terrorism Index–ის კომპლექსური კვლევა ავსტრალიის მშვიდობისა და ეკონომიკის ინსტიტუტმა წარმოადგინა. Global Terrorism Index იკვლევს სხვადასხვა ქვეყანაში ტერორისტული აქტიურობის დონეს და აჩვენებს, რომელი ქვეყნები აწყდებიან ტერორისტულ საფრთხეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ ტერორიზმის მრავალწახნაგოვანი ბუნება მის მრავალკონტექსტში განხილვის საშუალებას იძლევა. სწორედ იმისთვის, რომ გადაიდგას მკაფიო და მნიშვნელოვანი ნაბიჯები ჩვენს ქვეყანაში ტერორიზმის ნებისმიერი სახით გამოვლენის პრევენციისა და სტაბილური ბიზნეს-გარემოს განვითარებისათვისათვის, პირველ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული საკითხის კიდევ უფრო სიღრმისეულ კვლევასა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დეტალურ შესწავლას. ფაქტია, ტერორიზმი არის აბსოლუტურად რეალური საფრთხე, რომელმაც შესაძლოა პირდაპირ თუ ირიბად, ჩვენი ქვეყნის დღის წესრიგში დააყენოსმისი ეკონომიკური სტაბილურობის საკითხი და გააჩინოს ეჭვები, აქ არსებული საინვესტიციო გარემოს ხელსაყრელობასთან დაკავშირებით.

## ჩრდილოვანი ეკონომიკა მუხრუჭი, თუ ეკონომიკის განვითარების ლოკომოტივი

***ჩიქოვანი მიხეილი*** *– ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის I კურსის სტუდენტი,*
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*
*ხელმძღვანელი **ლომინაშვილი შოთა** – ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დეპარტამენტი,*
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

## Informal economy brake or economic development locomotive

***Chikovani Mikheil*** *– PhD Student, Business Administration, I year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*
*Supervisor **Lominashvili Shota** – Associate Professor, Department of Economics, Akaki Tsereteli State university, Kutaisi, Georgia*

### Abstract

On the world map, it is practically impossible to find a state, whose small part of the economy does not have a shadow economy. In the economic literature, the shadow economy is defined as the part of the economy that is outside of legal regulations. This can be considered as the sale of prohibited products by law, implementation of various financial transactions bypassing the law, etc. Examples of shadow economy are many in our everyday life.

The informal economy is mainly created for two reasons, the first is the regulations created by the state and the willingness of the people to escape these regulations, and the second is the financial interest. Players of the informal economy have high motivation to get rid of state regulations, taxes, and to earn income.

Georgia has a long history of shadow economy from the Soviet Union. The Soviet period was the period when the major part of the country's economy was transitioned to the informal sector. Informal economy has significantly evolved at the initial stage of independence, but its share has declined substantially since the 2003 reforms.

Informal economics in economic literature is characterized as a negative phenomenon in the economic life of the country and states are trying to limit this aspect of the economy as much as possible. People working in the shadow economy are often referred to as criminals, in which the state is trying to undertake appropriate sanctions.

The purpose of the work is to explain Georgia and international experience by explaining what is an informal economy, how it is created and what positive and negative qualities it has. Is it true that people who work in the informal sector of economics are incorporated into croiums, whether real benefits of this sector are for the country's economy. Now what market share does the non-formal economy and what are the trends in this field.

Our research has shown that the shadow economy has more advantages than negative, it contributes to the development of the economy, rapidly enriching the population, raising competition and increasing awareness of people, which is ultimately the source of progress. The shadow economy has played a major role in playing the economy of the country.

**Keywords**: informal economy, regulations, development, tax.

## აბსტრაქტი

მსოფლიოს რუკაზე დღეისათვის პრაქტიკულად შეუძლებელია მოიძებნოს სახელმწიფო, რომლის ეკონომიკის მცირე ნაწილს მაინც არ შეადგენს ჩრდილოვანი ეკონომიკა. ეკონომიკურ ლიტერატურაში ჩრდილოვანი ეკონომიკა განმარტებულია, როგორც ეკონომიკის ის ნაწილი რომელიც სამართლებრივი რეგლამენტაციების მიღმა არსებობს. ასეთად შეიძლება მოვიაზროთ, კანონით აკრძალური პროდუქციის გაყიდვა, სხვადასხვა ფინანსური ოპერაციების განხორციელება კანონის გვერდის ავლით და ა.შ. ჩრდილოვანი ეკონომიკის მაგალითები მრავლადაა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც.

არაფორმალური ეკონომიკა ძირითადად იქმნება ორი მიზეზის გამო, პირველი ეს არის სახელმწიფოს მიერ შექმნილი რეგულაციები და ადამიანების სურვილი თავი დააღწიონ ამ რეგულაციებს, ხოლო მეორე ეს არის ფინანსური ინტერესი. არაფორმალური ეკონომიკის მოთამაშეებს გააჩნიათ მაღალი მოტივაცია თავი დააღწიონ სახელმწიფო რეგულაციებს, გადასახადებს და ამის ხარჯზე მიიღონ შემოსავალი.

საქართველოს საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობის დიდი ისტორია გააჩნია. საბჭოთა დროს იყო პერიოდი როდესაც ქვეყნის ეკონომიკის ძირითადი ნაწილი არაფორმალურ სექტორში იყო გადასული, რასაც იმ პერიოდში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა უწყობდა ხელს. არაფორმალური ეკონომიკა მნიშვნელოვნად განვითარდა დამოუკიდებლობის მოპოვების საწყის ეტაპზეც, თუმცა მისი წილი არსებითად შემცირდა 2003 წლიდან დაწყებული რეფორმების შემდეგ.

ეკონომიკურ ლიტერატურაში არაფორმალური ეკონომიკა ძირითადად ხასიათდება როგორც უარყოფითი მოვლენა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში და სახელმწიფოები მაქსიმალურად ცდილობენ შეზღუდონ ეკონომიკის ეს ასპექტი. ჩრდილოვან ეკონომიკაში მოღვაწე ადამიანები კი ხშირად კრიმინალებად მოიხსენიებიან რომელთა მიმართაც სახელმწიფოებს სახელმწიფო ცდილობს შესაბამისი სანქციები გაატაროს.

ნაშრომის მიზანია საქართველოს და საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის საფუძველზე ახსნას, რა არის არაფორმალური ეკონომიკა, როგორ იქმნება იგი და რა დადებითი და უარყოფითი თვისებები ახასიათებს მას. რამდენად სწორია ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში მოღვაწე ადამიანების კრომინალებად შერაცხვა, მოაქვს თუ არა ამ სფეროს რეალური სარგებელი ქვეყნის ეკონომიკისთვის. დღეისთვის ბაზრის რა წილი უჭირავს არაფორმალურ ეკონომიკას და როგორია ამ სფეროს ტენდენციები.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ჩრდილოვან ეკონომიკას უფრო მეტი დადებითი მხარეები აქვს ვიდრე უარყოფითი, ის ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას, მოსახლეობის სწრაფად გამდიდრებას, კონკურენციის ამაღლებასა და ადამიანების ცნობიერების გაზრდას, რაც საბოლოოდ პროგრესის მნიშვნელოვანი წყაროა. ჩრდილოვანმა ეკონომიკამ უდიდესი როლი ითამაშა და თამაშობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

**საკვანძო სიტყვები**: ჩრდილოვანი ეკონომიკა, რეგულაციები, განვითარება, გადასახადები

მსოფლიოს რუკაზე დღეისათვის პრაქტიკულად შეუძლებელია მოიძებნოს სახელმწიფო, რომლის ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს მაინც არ შეადგენს ჩრდილოვანი ეკონომიკა. ეკონომიკურ ლიტერატურაში ჩრდილოვანი ეკონომიკა განმარტებულია, როგორც ეკონომიკის ის ნაწილი რომელიც სამართლებრივი რეგლამენტაციების მიღმა არსებობს. ასეთად შეიძლება მოვიაზროთ, კანონით აკრძალური პროდუქციის ყიდვა-გაყიდვა, სხვადასხვა ფინანსური ოპერაციების განხორციელება კანონის გვერდის ავლით და ა.შ. ჩრდილოვანი ეკონომიკის მაგალითები მრავლადაა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც.

არაფორმალური ეკონომიკა ძირითადად იქმნება ორი მიზეზის გამო, პირველი ეს არის სახელმწიფოს მიერ შექმნილი რეგულაციები და ადამიანების სურვილი თავი დააღწიონ ამ

რეგულაციებს, ხოლო მეორე ეს არის ფინანსური ინტერესი. არაფორმალური ეკონომიკის მოთამაშეებს გააჩნიათ მაღალი მოტივაცია თავი დააღწიონ სახელმწიფო რეგულაციებს, გადასახადებს და ამის ხარჯზე მიიღონ შემოსავალი.

არაფორმალური ეკონომიკის განვითარებამ საქართველოში პიკს საბჭოთა პერიოდში მიაღწია. საბჭოთა საქართველოსთვის დამახასიათებელმა ბიუროკრატიამ, არსებულმა რეგულაციებმა, არაეფექტურმა დაგეგმარებამ და სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევამ შექმნა ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარების ნოყიერი ნიადაგი. სახელმწიფოს ჩარევამ ეკონომიკაში გამოიწვია ის, რომ საბჭოთა მომხმარებელი გამუდმებით განიცდიდა უკმაყოფილებას წარმოებული პროდუქციის ხარისხით, ბაზარზე პროდუქციის დეფიციტით, მომსახურეობის სფეროში არსებული პრობლემებით და ა.შ. შექმნილმა მდგომარეობამ მომხმარებლებს ბუნებრივად შეუქმნა მოტივაცია საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზები სახელმწიფოს გვერდის ავლით მოეძებნა.

საბჭოთა საქართველოში შეიქმნა ვაჭრების ე.წ. „სპეკულიანტების“ ინსტიტუტი რომლებიც ახდენდნენ დეფიციტური საქონლის მოპოვებას და შემდგომ ახდენდენ მის რეალიზაციას. რა თქმა უნდა იმ დროინდელ საქართველოში „სპეკულაცია“ კანონდარღვევად ითვლებოდა, თუმცა ეკონომიკის ამ სფერომ იმ პერიოდში მნიშვნელოვანი განვითარება ჰპოვა.

ეკონომიკური ლიტერატურის მიხედვით, ერის ტრადიციებსა და მის წიაღში განვითარებულ ჩრდილოვან ეკონომიკას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. საქართველო, როგორც ძალიან ტრადიციული ქვეყანა, კარგი შემთხვევაა იმის გასაგებად, თუ როგორ მუშაობს ეს კავშირი. მარსმა და ალტმანმა (1983 წ.) ანთროპოლოგიური კუთხით შეისწავლეს საბჭოთა საქართველოს კულტურული საფუძვლისა და მისი მეორადი, არაფორმალური ეკონომიკის კავშირი და ძალიან საინტერესო შედეგები მიიღეს. საბჭოთა საქართველოს არაფორმალურობის მაღალი დონის გაგების მიზნით, ავტორებმა შეკრიბეს და გააანალიზეს ინფორმაცია 5000 ქართველი ებრაელისგან, რომელიც 1980-იან წლებში საბჭოთა საქართველოდან ისრაელში გადავიდა საცხოვრებლად. საბჭოთა საქართველოში მცხოვრები ებრაელებიც იგივე კულტურული ნორმებით ცხოვრობდნენ და იმავე სოციო-ეკონომიკურ ჩვევებს ინარჩუნებდნენ, რასაც ქართველები. ამ კვლევის შედეგები შეიძლება მოერგოს ნებისმიერ ქართველს. ავტორების აზრით, ქართველი საზოგადოების უმთავრესი ფასეულობები – ღირსება და ნდობა – წარმოადგენს მყარ საფუძველს არაფორმალური ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისთვის.

ღირსება საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ოჯახის/კლანის საქმეა. ღირსების ცნება არ არის მუდმივი, ადამიანმა შეიძლება დაკარგოს და ხელახლა მოიპოვოს იგი. ამიტომ ოჯახის ყველა წევრი ისე უნდა მოიქცეს, რომ ოჯახის ღირსება არ შეილახოს.

ღირსების საფუძველი არის ნდობა. კაცს, რომელსაც ვერ ენდობი, ღირსება არ გააჩნია. მაგრამ რატომ კეთდება ამხელა აქცენტი ნდობაზე? ნდობა უაღრესად მნიშვნელოვანი ხდება, როდესაც იცი, რომ ვერ დაეყრდნობი ფორმალურ წესებს საკუთარი ინტერესებისა და კეთილდღეობის დაცვისას. ნდობა ფუნდამენტური მოთხოვნაა ჩრდილოვან ეკონომიკის მუშაობისთვისაც: უნდა ენდობოდე ადამიანს, რომ მასთან ერთად აკრძალული საქმიანობა დაიწყო. უფრო მეტიც, ნდობა ქმნის კავშირებს – რაც მეტად გენდობიან, მით ფართოა შენი კავშირები. რაც უფრო ფართოა კავშირები, მით უფრო დიდია შენი რესურსების ბაზა.

ისტორიულად ეს ორი ფაქტორი განაპირობებდა საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარებას, რა თქმა უნდა იმ შექმნილი ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით, რომელიც საბჭოთა საქართველოში იყო შექმნილი.

არაფორმალური ეკონომიკის მოთამაშეების ქმედების მთავარი მოტივატორია ფინანსური სარგებლის მიღების შესაძლებლობა. დამალო გადასახადები და ამის შედეგად მიიღო მეტი შემოსავალი. შესაბამისად ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკა მნიშვნელოვნად განაპირობებს არაფორმალური ეკონომიკის განვითარებას. კავშირი ჩრდილოვან ეკონომიკასა და გადასახადებს შორის აღწერა ლაფერმა, რომელიც ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია ლაფერის მრუდის სახელით.

ლაფერის მრუდის თანახმად საგადასახადო განაკვეთების ზრდასთან ერთად გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები, გარკვეული დონის შემდეგ მცირდება. მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად შესაძლებელია განისაზღვროს დაბეგვრის დონე რომლის ფარგლებშიდაც საგადასახადო შემოსავლები ქვეყნისთვის იქნება მაქსიმალური დღეისათვის მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს დაბეგვრის რეჟიმი რომელიც გამორიცხავს გადასახადის გადამხდელის მოტივაციას თავი აარიდოს დაბეგვრას. სწორედ აღნიშნული ფაქტორი განაპირობებს ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობას მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბოლო კვლევების მიხედვით საქართველოს ეკონომიკის 53%-ი ჩრდილოვანია. კვლევის ფარგლებში შესწავლილია საქართველოს ეკონომიკა 1991-2015 წლებში. მონაცემების თანახმად 2003 წელს განხორციელებული რეფორმების შემდეგ ჩრდილოვანი ეკონომიკის წილმა ყველაზე მაღალ ნიშნულს 64%-ს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ ტრენდი დღეის მდგომარეობით დაღმავალია, საქართველოს ეკონომიკაში არაფორმალური ეკონომიკის წილი მაინც მაღალია. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს 158 ქვეყანაში საშუალო მაჩვენებელი 31.9%-ია. 2015 წლის მონაცემებით თურქეთის ანალოგიური მაჩვენებელი 31%-ს შეადგენს, სომხეთის - 42.59%-ს, ხოლო აზერბაიჯანის - 52.19%-ს.

რა განაპირობებს აღნიშნულ მდგომარეობას? და კარგია თუ ცუდი ქვეყანაში არაფორმალური ეკონომიკის წილის ზრდა? ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი არ არსებობს, თუმცა ჩვენ შევგიძლია ვიმსჯელოთ ლოგიკურად. ადამიანები, რომლებიც გადასახადების დამალვას ცდილობენ ყველა შემთხვევაში არ არიან კრიმინალები, უბრალოდ არსებული საგადასახადო სისტემა უქმნით მათ სტიმულს დამალონ გადასახადები რაც ჩემი აზრით საერთო ჯამში ქვეყნის განვითარებისთვის კარგია. ადამიანები რომლებიც ახერხებენ ფული დაუმალონ ბიუროკრატიას და იგი გამოიყენონ საუთარი კეთილდღეობის ასამაღლებლად მნიშვნელოვნად ასტიმულირებენ ქვეყნის ეკონომიკის ზრდას.

არაფორმალური ეკონომიკის დადებითი მხარეებია:

- დასაქმების დიდი შესაძლებლობები
- მაღალი სარგებელი როგორც დამსაქმებლისთვის ასევე დასაქმებულისთვის
- იაფი პროდუქციის შექმნა
- მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება

რაც შეეხება არაფორმალური ეკონომიკის უარყოფით მხარეს, მთავარი უარყოფითი შესაძლებელია იყოს მომხმარებლის დაუცველობა. რადგან ბიზნესი სახელმწიფოს მხრიდან არ კონტროლდება მომხმარებლები ხშირ შემთხვევაში დაუცველები არიან ამა თუ იმ პროდუქციის შესყიდვისას.

ერთადერთი გზა შეამცირო არაფორმალური ეკონომიკა, რომლის აგენტები სახელმწიფოს თვალში კრიმინალები ხდებიან და დაიცვა საკუთარი მოქალაქეები ლეგალიზაციაა. აკრძალვები თანამედროვე საზოგადოებაში არ მუშაობს და ადამიანები მაინც აგნებენ სხვადასხვა საშუალებებს დაიკმაყოფილონ საკუთარი მოთხოვნილებები. შესაბამისად სახელმწიფოს მიერ

გადადგმული მთავარი ნაბიჯი ამ მხრივ არის საგადასახადო კოდექსის „გადატრიალება“, მისი რადიკალური შეცვლა, რათა ჩრდილოვან ეკონომიკაში დასაქმებულ ადამიანებს გაუქრეთ სურვილი დარჩნენ კანონს მიღმა.

საბოლოო ჯამში შესაძლებელია ითქვას, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის გამდიდრებად და ეკონომიკურ ზრდას. არაფორმალური ეკონომიკის განვითარების მიზეზი ის კი არაა რომ ადამიანები კრიმინალები არიან, არამედ ის რომ სახელმწიფო ცდილობს ჩაერიოს მათი ცხოვრების იმ სფეროში სადაც მას არაფერი ესაქმება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. http://www.fieldus.org/publications/IE_AfrAm.pdf
2. https://commersant.ge/?view=post&id=139304&lang_id=en
3. http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download;jsessionid=7177711B0F32D6CD0FB0CFE48866A306?doi=10.1.1.682.2191&rep=rep1&type=pdf
4. http://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/2016-01-05-14-45-19

# ელექტრონული მთავრობის განვითარების ტენდენციები საქართველოში

***ცუცქირიძე ამანდა*** *– ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

***ბოჭორიშვილი თეა*** *– ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი* ***ძოწენიძე ციცინო*** *– ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი, ეკონომიკის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

# E-governance Development Tendencies in Georgia

***Tsutskiridze Amanda*** *– Bachelor's Student, Economics, III year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

***Botchorishvili Tea*** *– Bachelor's Student, Economics, III year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

*Supervisor* ***Dzotsenidze Tsitsino*** *– Invited Specialist, PH.D in Economics, Department of Economics, Akaki Tsereteli State Univeresiry, Kutaisi, Georgia*

### Abstract

E-government development measurement over the years and across the nations is important to analyze the relative and absolute development of e-government world-wide and also to measure the development against the 2030 Agenda for Sustainable Development and other major international commitments and goals. E-government development is at varying stages across countries. Developed economies are relatively advanced in usage of ICT for improving functioning of the public sector and service delivery. However, most developing countries are less advanced and a comparable measurement framework is important for their e-government improvements. Examples: Access to information on available services to complete on-line processing of requests related to permits, certificates or payments. Effective use of e-government can also improve the efficiency and effectiveness of the public sector and linkages among government agencies. Computers and networks are used to improve the personal productivity of government workers and help in building a more efficient business process which is transitioned to offer government services electronically. In this context, an emerging imperative is to reformulate e-government policies and programmes to exploit these capacities.

Georgia is a good example of how a Government in less than a decade can transform a former communist country on the brink of becoming a “failed state” image, with a broken economy, corruption, huge foreign debts, high crime rates, and an unstable and over-bureaucrative public sector into a modern, transparent democracy, corruption-free public administration, with a deregulated and attractive business environment and good economic growth. Georgia is today recognized internationally as a regional leader (South Caucasus and Eastern Partnership Countries) and ranked “best reformer” globally (World Bank Doing Business surveys).

The new e-Georgia would improve access to e-services for businesses and citizens, strengthen transparent and open governance, and define the role of information technologies in administration reform. Electronic governance or e-governance is the application of information and communication technology for delivering government services as well as back office processes and interactions within the entire government framework. Through e-governance, government services will be made available to citizens in a convenient, efficient and transparent manner. The EU Twinning project ‘Support to Strengthening of e-Governance in Georgia II’ is a two years project aimed at assisting implementation of Georgia's E-Government Strategy with a total budget of €1.3 million. Project activities included face to face consulting, training courses, workshops and study visits.

The presentation will look at role of IT and technologies played in the reform process. During the presentation Georgian e-Governance frameworks will be analysed from organisational, institutional, legal and strategic perspectives. Ongoing and future reform initiatives will be highlighted before summarising the key factors facilitating either the success or failure in Georgia and countries embarking on a similar path.

**Keywords:** e-governance, Georgia, development, EU.

## აბსტრაქტი

ელექტრონული მთავრობა, რომელიც საინფორმაციო საზოგადოების აუცილებელი ელემენტია, მიზნად ისახავს ისეთი სისტემის შექმნას და განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს ერთი მხრივ, სახელმწიფო მართვის ეფექტიანი გაზრდას, მეორე მხრივ კი მოქალაქეებზე ორიენტირებულ, მაღალი დონის სამთავრობო მომსახურებას.

ელექტრონული მთავრობის ფორმირების პროცესში მთავარი მამოძრავებელი ძალა თვითონ სახელმწიფოა. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ელექტრონული მთავრობის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა და გადაწყვიტოს მისი ძირითადი ამოცანები: პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება, პასუხისმგებელი ადმინისტრაციული სტრუქტურების ჩამოყალიბება, ეროვნული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურების განვითარება, საყოველთაოდ მისაწვდომი ინფორმაციული რესურსების შექმნა და მათი გაერთიანება ერთიან „ელექტრონული მთავრობის“ სისტემაში. ამავე დროს, მოქალაქეების აქტიური მონაწილეობა და მხარდაჭერა წარმატებული ელექტრონული მთავრობის აუცილებელი წინა პირობაა.

ერთი მხრივ, ინფორმაციაზე ორიენტირებული საზოგადოების შექმნამ და, მეორე მხრივ, ეფექტიანი ადმინისტრაციული მენეჯმენტის, რაციონალური სტრატეგიული გადაწყვეტილებისა და მაღალი დონის ადმინისტრაციული სერვისების საჭიროებამ განაპირობა ელექტრონული მთავრობის, ელექტრონული მართვის მექანიზმების დანერგვის აუცილებლობა. დღეისათვის მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მთავრობამ კარგად გააცნობიერა ელმთავრობის საჭიროება და კონკრეტულ ღონისძიებებს ატარებს ამ მიმართულების პრაქტიკაში რეალიზაციისათვის.

ელექტრონული მთავრობა არის სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს სამთავრობო ორგანიზაციის შიგნით, სამთავრობო ორგანიზაციებს (ცენტრალურ, ადგილობრივ) შორის და მთავრობასა და მოქალაქეებს/ბიზნესს შორის არსებული ურთიერთობების ეფექტიანობის, პროდუქტიულობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდას და მოქალაქის როლის გაძლიერებას სახელმწიფოს მართვის პროცესში, საინფორმაციო და საკომუნიკაციაო ტექნოლოგიების უტილიზაციის გზით.

შეგვიძლია ვთქვათ რომ ელექტრონული მთავრობის კიდევ უფრო განვითარება შექმნის ხელსაყრელ პირობებს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და ევროკავშირისაკენ მიმავალ გზაზე წარმატებისათვის. ამ პროგრამის დანერგვითა და საზოგადოების უფრო ფართო მასისათვის

გაცნობით მიიღწევა ციფრული ეკონომიკის განვითარება, ინტერნეტ-ბიზნეს აქტივობის გაზრდა და სოციალური კეთილდღეობის ამაღლება.

**საკვანძო სიტყვები:** მთავრობა, საქართველო, განვითარება, ევროკავშირი, ბიზნესი.

საინფორმაციო საზოგადოების გაჩენამ განსაზღვრა თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში თვისებრივად ახალი - ეფექტიანი, მოქნილი, გამჭვირვალე და საზოგადოებაზე ორიენტირებული მთავრობის შექმნის აუცილებლობა.

ელექტრონული მთავრობა ხშირად მოიხსენიება როგორც ელმთავრობა, ციფრული მთავრობა, მთავრობა ონლაინში და კიბერმთავრობა. ეს დეფინიციები ერთსა და იმავე აზრს გამოხატავენ. მას შემდეგ, რაც ეს ტერმინი პირველად გაჩნდა აშშ-ში, 1993 წელს, მისი კონცეფცია თანდათან მატერიალიზებულ იქნა საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და ადმინისტრირებას შორის ურთიერთკავშირში.

ელექტრონული მთავრობის არსის ნათლად წარმოსაჩენად, აუცილებელია განვიხილოთ მისი ურთიერთკავშირის სტრუქტურა. ამ სტრუქტურის ფორმულირება შემდეგნაირია :

მთავრობა - მოქალაქე (G2C2G)

**ა) მთავრობა - მოქალაქე**

სამთავრობო ადმინისტრაციული მაღალი დონის მომსახურების ფართო სპექტრი, მაგალითად:

ფინანსთა სამინისტროს ვებ-კვანძი, **www.mof.ge:**

- ბიუჯეტი, სახელმწიფო ვალები, პროგრამები და პროექტები და ა.შ. იმერეთის პორტალი **www.imereti.ge**
- სხვადასხვა სამთავრობო უწყების სტანდარტული ფორმებისა და ანკეტების კატალოგი;
- სამთავრობო პროექტები და პროგრამები;
- სამთავრობო ვაკანსიების განცხადებების დაფა და ა.შ.

**ბ) მოქალაქე - მთავრობა**

მოსახლეობის აქტიური მონაწილეობა სახელმწიფოს მართვის პროცესში:

- კომენტარები სხვადასხვა სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ ინიციატივაზე, პროგრამაზე, პროექტზე, ონლაინ-დისკუსიებში მონაწილეობა;
- საზოგადოებრივი აზრის შესწავლა - ონლაინ გამოკითხვების ჩატარება;
- საჩივრები სხვადასხვა სახის მომსახურებაზე (**www.bristol-city. gov.uk**);
- საარჩევნო ხმის რეგისტრირება, ელექტრონული არჩევნები (ბრაზილია, აშშ, გაერთიანებული სამეფო, იაპონია).

**მთავრობა - ბიზნესი (G2B2G)**

**ა) მთავრობა - ბიზნესი**

ონლაინ საინფორმაციო მომსახურება:

მარეგულირებელი პოლიტიკის აღსრულებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების და შეტყობინებების სისტემატური გამოქვეყნება და გავრცელება;

- ტენდერების ელექტრონული დაფა, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე სატენდერო განაცხადების მოძიებას, განთავსებას, შეტყობინების მიღებას;
- ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ვებ-კვანძი, www.tax.ge;

**ბ) ბიზნესი - მთავრობა**

- კომენტარები სამთავრობო დადგენილებებზე;
- სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია კომპანიებისა და მათ საქმიანობის შესახებ.

**მთავრობა - მთავრობა(G2G)**

**უწყებათაშორისი კავშირი**

გაზრდილი ადმინისტრაციული ეფექტურობა, პროდუქტიულობა და შემცირებული დანახარჯები:

- ცენტრალურ და ადგილობრივ მთავრობას შორის ზიარი საინფორმაციო სისტემა;
- ფინანსური ინფორმაციის ზიარი სისტემა (ბიუჯეტი, ფონდები, აქტივების გამოყენება, დანახარჯები და ა.შ.);
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ქაღალდების შემცირებასა და სწრაფ ანგარიშსწორებას ინტეგრირებული ქსელური სისტემის მეშ-ვეობით.

სხვადასხვა სოციალურ ფენა შორის ციფრული განხეთქილების შემცირება ელექტრო-ნული მთავრობისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამ მიმართულებით მთავრობას შეუძლია სხვადასხვა სახის პროექტებისა და პროგრამების განხორციელება, მაგალითად:

- უფასო კომპიუტერული სწავლება ახალგაზრდების და დაბალი შემოსავლის მქონე პირთათვის;
- საინფორმაციო და კულტურული ცენტრების შექმნა;
- სპეციალური საინფორმაცო მომსახურება ინვალიდებისა და შრომისუუნარო პირ-თათვის.

"ელექტრონული მთავრობა" ხელს უწყობს ინტერნეტბაზრის განვითარებას. ინტერნეტ-ბაზარი ქმნის სამუშაო ადგილების წინაპირობას ამცირებს უმუშევრობას, წარმოაჩენს ახალ ბიზნესელიტას, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას უწყობს ხელს,თუმცა ევროპაში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ "ელექტრონული მთავრობის" სისტემის ფორმირება თა-ნამშრომლების 25%-იან შემცირებას იწვევს, მაგრამ ეს არის გლობალიზაციის ნაწილი, სამაგიე-როდ ხდება კადრების ოპტიმიზაცია, მოქნილი მართვის სისტემის შექმნა, მათი რესურსის სხვა კუთხით მიმართვა.[15]

დღეს, გაეროს ყველა წვერ სახელმწიფოშია „ელექტრონული მთავრობის" სისტემა. მათ შორის წევრი ქვეყნების 13%-ში "ელექტრონული მთავრობის" განვითარება ძალიან მაღალ დონეზეა, რაც შეეხება საქართველოს "ელექტრონული მთავრობის" სისტემა კარგადაა განვითა-რებული, თუმცა მისაწვდომია მოსახლეობის მცირე ნაწილისთვის.[16] ასევე, აღმასრულებელი ორგანოების ძალისხმევით წარმოებს ელექტრონული მომსახურებების შექმნა და დანერგვა, იქმნება საქართველოს ციფრული განვითარების სტრატეგიები, თუმცა ელექტრონული მმართ-ველობის შესახებ კონცეფცია არ არის ჯერ რატიფიცირებული საქართველოს პარლამენტის მიერ, ეს ყველაფერი ჯერჯერობით მხოლოდ საჯარო განხილვის დონეზეა. ელექტრონული მთავრობის განვითარება არ გულისხმობს მხოლოდ ინფრასტრუქტურას, პლატფორმას, ინტერ-ნეტ-აპლიკაციებს, ვებგვერდებს, მომსახურების სახეებს. მოქალაქეებისთვის მნიშნელოვანია ისეთი სისტემა, რომელიც იქნება ინფორმაციულობის ამაღლების, დასაქმების ხელშეწყობის,

[15] http://kvira.ge/178930
[16] http://kvira.ge/178930

უსაფრთხოების, სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის, მომსახურების სწაფად მიღების და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალება.

საქართველოს საჯარო სამსახურში ელექტრონული მმართველობის დანერგვა-განვითარება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. 2009 წლიდან საჯარო სამსახურის ბიურო აქტიურად მუშაობს ამ კუთხით და საჯარო სამსახურის სფეროში ელექტრონული მმართველობის რამდენიმე წარმატებულ პროექტს ახორციელებს.

საჯარო სამსახურში კონკურსების ვებ–პლატფორმა www.hr.gov.ge – 2011 წლის ივნისში ამოქმედდა საჯარო სამსახურში დასაქმების ელექტრონული პორტალი. საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, ყველა სახაზინო–საბიუჯეტო დაწესებულებას დაეკისრა ვალდებულება ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსი გამოაცხადოს მხოლოდ ამ ვებ–გვერდის საშუალებით. ნებისმიერ დასაქმების მსურველს საშუალება აქვს, უფასოდ დარეგისტრირდეს საიტზე, შეავსოს რეზიუმე, მოიძიოს სასურველი ვაკანსია და ელექტონულად გააკეთოს მასზე განაცხადი.

თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების ელექტრონული პლატფორმა www.declaration.gov.ge – ონლაინ სისტემაზე გადასვლამ საგრძნობლად გააუმჯობესა და გაამარტივა დეკლარაციების შევსება და ჩაბარება თანამდებობის პირთათვის. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ეძლევა შესაძლებლობა ბიუროში მისვლის, განცხადების დაწერისა და მოსაკრებლის გადახდის გარეშე ოფისიდან გაუსვლელად გაეცნოს, ჩამოტვირთოს სასურველი თანამდებობის პირის დეკლარაცია.

ამასთანავე მოქმედებს www.rs.ge - რომლის მიზანია სამართლიანი და გამჭვირვალე საგადასახადო/საბაჟო ადმინისტრირება და მაღალი ხარისხის მომსახურების გაწევა, საბიუჯეტო შემოსულობების მობილიზება;

2017 წელს ამოქმედდა www.ichange.gov.ge - მოქალაქეთა ელექტრონული პეტიციების ოფიციალური სამთავრობო პლატფორმა. პეტიციების პლატფორმის მიზანია საჯარო პოლიტიკაში საზოგადოების ჩართულობის, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებებისა და საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.ელექტრონული პეტიციის განსახილველად და მასზე ოფიციალური პასუხის მისაღებად საჭიროა, ელექტრონულ პეტიციას მხარი დაუჭიროს არანაკლებ 10 000-მა (ათი ათასი) მომხმარებელმა.

მომხმარებლისათვის  ელ-სერვისებზე წვდომ მის გამარტივების მიზნით შეიქმნა ვებ-გვერდი www.e-government.ge - მოქალაქის პორტალი MY.GOV.GE წარმოადგენს სახელმწიფო სტრუქტურებში არსებული ელექტრონული სერვისების კრებულს. ამჟამად განთავსებულია 70-ზე მეტი ელექტრონული მომსახურება. პორტალის მეშვეობით საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვა შესაძლებელია ყველა იმ სახელმწიფო უწყებიდან, რომელიც ჩართულია საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში.

მიუხედავად ამ წარმატებული პროგრამებისა, გაეროს კვლევის "ქვეყნების მიერ ელექტრონული მმართველობის გამოყენების მზადყოფნის ინდექსის" ძირითადი ჯამური ქულების მიხედვით, საქართველოს მინიჭებული აქვს საკმაოდ დაბალი ქულა, შესაბამისად, საქართველო 192 ქვეყნიდან არცთუ ისე სახარბიელო 90-ე ადგილზეა, აზერბაიჯანი – 89-ე, სომხეთი – 103-ე, რუსეთის ფედერაცია – 60-ე.

## დასკვნა

ელექტრონულ მმართველობას შეუძლია სახელმწიფო სექტორის ყოველდღიური მუშაობა გახადოს გაცილებით უფრო: რაციონალური, ხალხთან დაახლოებული და, ამასთან, გაცილებით უფრო ეკონომიური; დაზოგოს ფინანსები, მატერიალური და ადამიანური რესურ-

სები; მისი მეშვეობით გაცილებით უფრო ეფექტიანი ხდება სახელმწიფოს ურთიერთობა საზოგადოებასთან, მოქალაქესთან, რეგიონებთან, ბიზნესთან, ასევე თვით სახელმწიფო სტრუქტურებს შორის ურთიერთობა.

შეიძლება ითქვას, რომ ელექტრონული მმართველობის განვითარების კუთხით საქართველოში დადებითი ტენდენციები შეიმჩნევა. პრაქტიკაში ინერგება თანამედროვე IT ტექნოლოგიები და იგეგმება მნიშვნელოვანი ელექტრონული პროექტები. 2007 წლიდან ფუნქციონირებს ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშემწყობი სამთავრობო კომისია.

საერთო დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველო, ინფორმატიზაციისა და ელექტრონული მმართველობის მხრივ, იმყოფება განვითარების დაბალ საფეხურზე. ჩვენს ქვეყანას ძლიერი პოზიციები გააჩნია ადამიანური რესურსის მხრივ, მაგრამ სერიოზული ხარვეზების წინაშე დგას უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის, გამოყენების, მოქალაქეთა მომსახურებისა და მათი მმართველობითი პროცესში ჩართვის მხრივ.

რესპუბლიკაში არსებული ვითარება ცხადყოფს, რომ საქართველოს კიდევ ძალიან რთული გზა აქვს გასავლელი და მნიშვნელოვანი ინტელექტუალური და ფინანსური ინვესტიციების განხორციელებაა საჭირო, რომ ქვეყანამ შესძლოს, ინფორმატიზაციისა და ელექტრონული მმართველობის მხრივ, დასავლეთის სტანდარტებთან მიახლოვება და, მით უმეტეს, მათი სრული დანერგვა.

ვფიქრობთ, ცალკეულად აღებული რომელიმე სამინისტრო ვერ შეძლებს ქვეყნის ელ-მმართველობის ყოვლისმომცველი და მულტიკომპონენტიანი (ცენტრალური, რეგიონული, ადგილობრივი დონეები) პროგრამის ეფექტურ დაგეგმვა და/ან განხორციელებას. სწორედ ცენტრალურმა მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ტექნიკურ -ტექნოლოგიური (ქვეყნის კომპიუტერებით აღჭურვა და ინტერნეტის გლობალურ ქსელში გაერთიანება/, სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა), ინსტიტუციური (საჯარო სამსახურების, კომპეტენციების და ურთიერთქმედების ლოგიკური სისტემა) და საინფორმაციო გარემოს (საზოგადოების ჩართულობა) შესაბამისი პირობების შექმნა. მთავრობამ დაგეგმილი პროგრამებითა და გამიზნული ინვესტირებით უნდა უზრუნველყოს რეგიონების ტექნიკურ/IT ჩამორჩენის აღმოფხვრა. შეიმუშაოს საზოგადოებრივი ელ-ჩართულობის პოლიტიკა, დაამკვიდროს ელექტრონული გამჭვირვალობის სტანდარტები, შექმნას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და ა.შ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. http://www.nplg.gov.ge - ინსარაძე ნ. - „ელექტრონული მთავრობა“.
2. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 04.05.18
3. http://inso.ge/ - აბულაძე რ. „ელექტრონული მთავრობა და სოციალური მედია“. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 04.05.18
4. http://www.csb.gov.ge/ - „ ელექტრონული მმართველობა“ - საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდი. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 04.05.18
5. http://kvira.ge/ - „რატომ სჭირდება ქვეყანას “ელექტრონული მთავრობა“ და რა სარგებელს მოუტანს სისტემა მოქალაქეებს“.
6. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 04.05.18
7. https://idfi.ge – „ელ-მმართველობა და ელ-გამჭვირვალობა - საერთაშორისო ტენდენციები და საქართველო“. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 04.05.18

# სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები

***ხიბლაშვილი გვანცა*** *– ბიზნესტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო*

*ხემძღვანელი* ***მოსიაშვილი ვალერი*** *– ასოცირებული პროფესორი, საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო*

# Social-economic situation of Samtskhe-Javakheti region and perspective for its development

***Khiblashvili Gvantsa*** *– Bachelor's Student, Business-adminstration, IV year, Georgian Technical University, Tbilisi, Georgia*

*Supervisor* ***Mosiashvili Valeri*** *– Associate Professor, Department of Finances and Banking Technologies, Georgian Technical University, Tbilisi, Georgia*

## Abstract

The main objective of the State Strategy for Regional Development of Georgia is to create a favorable environment for socio-economic development of the regions and to improve the living standards and conditions of the population, which is achieved through balanced socio-economic development of regions.

Regional development and effective regional management are important:

- Effective management of staff and provision of professional development of human resources.
- Introduction of electronic management system.
- Designing of electronic management information bases.

The region's teritoriaze gadis baqo-Tbilisi-jeihanis navTobsadeni, transitional gazsadeni, marabda-axalqalaqi-yarsis rkinigza. As of January 2014, the population of Samtskhe-Javakheti amounted to 160 504 thousand people.

Although the region is located in a medical rehabilitation institutions and hospitals with modern equipment, hardware behind the region's medical institutions in Tbilisi and several other medical facilities in the region, leaving patients with a complete medical examination and diagnosis for treatment they have often been at the medical institutions in the appeal, which in turn is related to additional costs.

In the last decade, the economic indicators of the region are characterized by positive dynamics, but the business sector indexes are significantly lower in the large urban centers (Tbilisi, Batumi), and the smallest share of the country's overall indicators.

According to the data of 2016, the number of employees in the industry is 2393 thousand and the number of employees is 2195 thousand.

Samtskhe-Javakheti is a sharp expression of agriculture, compared with other regions of Georgia, agriculture is the largest economy in the economy of Samtskhe-Javakheti. The largest portion of human resources is employed.

During the last 5-6 years, the infrastructure has been significantly improved. The main part of financing in infrastructure development is to rehabilitate roads and drinking water systems, bridges, sewage networks, schools, preschool centers, squares and gardens and also outdoor lighting.

Significantly strengthening migration processes from agricultural regions in cities One of the important factors is that living conditions and their pace improvement are worse than urban ones. In other parts of the country, in most of the villages of Samtskhe-Javakheti region it is problematic to access social and utility infrastructure of primary consumption, such as preschool education, outpatient medical assistance, gas supply, water and sewerage systems, etc. In addition, the reason for migrating from the village is the better way to get jobs in cities where there is a relatively high entrepreneurial activity.

Tasks for urgent development of regions:

- Rehabilitation of utility infrastructure or, in many cases, to build itself, especially in villages;
- Development of social infrastructure not only with the current needs but also the perspectives;
- Development of transport and communication infrastructure;

Samtskhe-Javakheti region is a large number of rural communities, with the potential for development of non-agricultural sector and further development of urban perspective.

The agricultural resource in the region gives an opportunity to identify the field of agricultural development in terms of soil-climatic and economic conditions at the village level.

**Keywords**: strategy,rehabilitation, Information resources.

### აბსტრაქტი

სამცხე-ჯავახეთი წარმოადგენს მკვეთრად გამოხატულ აგრარულ რეგიონს, საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, სოფლის მეურნეობის წილი ეკონომიკაში ყველაზე მაღალი სამცხე–ჯავახეთშია, დარგში დასაქმებულია ადამიანური რესურსების უდიდესი წილი. უკანასკნელი 5-6 წლის განმავლობაში რაიონში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ასევე ინფრასტრუქტრა. მისი განვითარების კუთხით გამოყოფილი დაფინანსების დიდი ნაწილი ხმარდება გზების, სასმელი და სარწყავი წყლის სისტემების, ხიდების, საკანალიზაციო არხების, ასევე გარე განათების მოწყობას. აღინიშნება სასოფლო-სამეურნეო რეგიონებიდან ქალაქებში მიგრაციული პროცესების გაძლიერება ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ისაა, რომ საცხოვრებელი პირობებისა და მათი გაუმჯობესების ტემპი სოფლად უარესია, ვიდრე ქალაქად. რეგიონების განვითარებისთვის გადაუდებლად გადასაჭრელი ამოცანები: კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ან, ხშირ შემთხვევაში, თავიდან აშენება, განსაკუთრებით, სოფლებში; სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება არა მხოლოდ მიმდინარე საჭიროებების, არამედ პერსპექტივების გათვალისწინებით; სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არის სოფლის კატეგორიის რამდენიმე მსხვილი დასახლება, რომელშიც არასასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარების პოტენციალი და, შემდგომში, ურბანული ტიპის დასახლებად განვითარების პერსპექტივა აქვს. რეგიონში არსებული სოფლის მეურნეობის რესურსი იძლევა საშუალებას გამოიკვეთოს სოფლის მეურნეობის განვითარების დარგობრივი მიმართულებები სოფლის დონეზე ნიადაგურ-კლიმატური და ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით.

**საკვანძო სიტყვები:** აგრარული, ბიუჯეტი, მოსახლეობა, მრეწველობა, ინფრასტრუქტურა.

საქართველოს რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის ძირითადი მიზანია, უზრუნველყოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტებისა და პირობების გაუმჯობესება, რაც მიიღწევა რეგიონების დაბალანსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით.

საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017წწ. სახელმწიფო სტრატეგია მიზნად ისახავს განსაზღვრულ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც კონცენტრირებული და კოორდინირებულია რეგიონულ დონეზე და ეფუძნება განვითარების პრიორიტეტებს და ამ პრიორიტეტების შესაბამისად ქვეყნის რეგიონულ განვითარებაზე მიმართული რესურსების შედეგზე ორიენტირებულ განაწილებას. 2016 წლის მდგომარეობით სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის უმუშევრობის დონის მაჩვენებელი გურიასა და მცხეთა-მთიანეთთან ერთად 4.1% შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად დაბალია ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელზე. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ რეგიონის მოსახლეობის დიდი ნაწილი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, ამასთან რეგიონში არსებულ სამუშაო ძალას, რომელიც დასაქმებულია ან სურს ეკონომიკის რომელიმე სექტორში დასაქმება ხშირ შემთხვევაში სჭირდება გადამზადება. რეგიონში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 2016 წელს 9750 ადამიანს

შეადგენდა მათ შორის ყველაზე მეტი დასაქმებული იყო მშენებლობაში, გადამამუშავებელ მრეწველობაში, ვაჭრობაში, ავტომობილებისა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საგნების შეკეთების სექტორში. 2015 წელს რეგიონში ოჯახების საშუალო თვიური შემოსავალი 987 ლარს შეადგენდა, რაც 130 ლარით მეტია 2011 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ამ მაჩვენებლით რეგიონი პირველ ადგილზეა საქართველოში, თუმცა სამცხე-ჯავახეთში დაქირავებულის შრომიდან მიღებული შემოსავლების ერთ-ერთი ყველაზე დაბალი წილია (13%). რეგიონში სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვით შინამეურნეობებიდან მიღებული შემოსავალი 22%-ს შეადგენს და სხვა რეგიონებთან შედარებით ყველაზე მაღალია. შემოსავლების ყველაზე დიდ წყაროს ფულადი გზავნილები და პენსიები წარმოადგენს.რეგიონის მოსახლეობის მთლიანი ხარჯები მუდმივად იზრდება და 2011 წელს მან 36,7 მლნ ლარი შეადგინა, რაც 11 მლნ ლარით მეტია 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებზე. ასევე იზრდება ოჯახის საშუალო თვიური ხარჯები 2011 წელს იგი 830,8 ლარს შეადგენდა რაც 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 251,5 ლარით მეტია.ოჯახების მთლიან ბიუჯეტში სურსათზე გაწეული ხარჯების წილი ყველაზე მაღალია და მთლიანი თვიური ხარჯების 26,1% შეადგენს.სამცხე-ჯავახეთში ოჯახების საშუალო თვიური ხარჯების ოდენობა საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით ყველაზე მაღალია.

მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში მიმდინარეობს სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაცია და საავადმყოფოების თანამედროვე აპარატურით აღიჭურვა, აპარატურული უზრუნველყოფით რეგიონის სამედიცინო დაწესებულებები ჩამორჩება თბილისსა და რამდენიმე სხვა რეგიონის სამედიცინო დაწესებულებებს, რის გამოც პაციენტებს სრულყოფილი, კომპეტენტური სამედიცინო გამოკვლევების დიაგნოსტირებისა და მკურნალობისათვის ხშირად უწევთ თბილისის სამედიცინო დაწესებულებებისათვის მიმართვა, რაც თავის მხრივ დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული.რეგიონში ყოველ 1000 მოსახლეზე 2,1 ექიმი მოდის, რაც საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით დაბალი მაჩვენებელია,თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე სამედიცინო აპარატურით უზრუნველყოფის მხრივ არსებულ პრობლემებსა და სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების შეზღუდულ შესაძლებლობებს ეს ფაქტორები უარყოფითად აისახება მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხარისხზე.

სასწრაფო სამედიცინო დახმარება რეგიონში ყველგან მისაწვდომია, მ.შ. სოფლებისთვის, სადაც კარგი მისაწვდომობაა 9 სოფელში, საშუალო - 169 სოფელში.

რეგიონში ყველა დონის საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებს მათ შორის – 205 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა (აქედან 2 კერძო სკოლაა) 2012 წელს ახალი სკოლები ადიგენის (3), ახალქალაქისა (5) და ახალციხის მუნიციპალიტეტებში (1) აშენდა. საერთო ჯამში სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია 89 სკოლას ჩაუტარდა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში რეგიონში შეინიშნება მოსწავლეთა რაოდენობის კლება,რაც განპირობებულია სხვადასხვა სოციალური და ეკონომიკური ფაქტორებით და შიდა და გარე მიგრაციით. სკოლა რეგიონის ყველას სოფელში არ ფუნქციონირებს ჩატარებული რეფორმის შესაბამისად ასეთი სოფლებიდან ბავშვების გადაყვანა-ტრანსპორტირება სკოლებში ორგანიზებული უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს მიერ, მაგრამ აღნიშნული მომსახურება არ ხორციელდება, რაც ამ სოფლების ბავშვებს განათლების ხელმისაწვდომობის მხრივ გარკვეულ შეზღუდვებს უქმნის.

2015 წელს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (31,755.6 მლნ.ლარი) შექმნაში სამცხე-ჯავახეთის რეგიონის წვლილი 2,4%-ს - 780.2 მლნ.ლარს შეადგენს. რეგიონის ეკონომიკა საკმარისად დივერსიფიცირებული არ არის და შექმნილი დამატებითი ღირებულებაში

ყველაზე დიდი წილი - 32% სოფლის მეურნეობას, ნადირობას და სატყეო მეურნეობას, თევზჭერასა და მეთევზეობას აქვს. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში რეგიონის ეკონომიკურ მაჩვენებლებს დადებითი დინამიკა ახასიათებს, ბიზნეს-სექტორის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ჩამორჩება მსხვილ ურბანულ ცენტრებში (თბილისი, ბათუმი) განვითარებადი ბიზნესის მაჩვენებლებს, ხოლო მთლიანი ქვეყნის მასშტაბის შესაბამის მაჩვენებლებში ძალზე მცირე წილი უკავია. მაღალმთიან დასახლებებში არსებულ საწარმოთა ბრუნვა და გამოშვება ქვეყნის მასშტაბით ანალოგიური მონაცემების 1,2-1,6 % არ აღემატება.

რეგიონი მდიდარია წიაღისეული რესურსებით. სამცხე-ჯავახეთში მოპოვებული რესურსების ძირითადი სახეობებია: მინერალური,თერმული და მტკნარი წყალი, მოსაპირკეთებელი მასალები, ტუფი, ბაზალტი, დიატომიტები, პერლიტი, თიხა, ქვიშა-ხრეში, ვულკანური წიდა, ოქრო და ანდეზიტი. წიაღისეული რესურსების მოპოვებაზე გაცემულია 136 ლიცენზია. რესურსების არსებულ მარაგებს გააჩნია მნიშვნელოვანი ეკონომიკური პოტენციალი.

რეგიონში არსებული წიაღისეულისა და სხვა ბუნებრივი რესურსების გათვალისწინებით სამცხე-ჯავახეთში შესაძლებელია მრეწველობის განვითარება შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: სამთომომპოვებლობა, მინერალური წყლების, ავეჯისა და ხის ნაკეთობების წარმოება. ბოლო 5 წლის განმავლობაში რეგიონში სასტუმროებისა და სხვა განვითარების ობიექტების რაოდენობა 40% გაიზარდა, ასევე გაიზარდა რეგიონში ვიზიტორთა რაოდენობა (დაახლოებით 40-45%-მდე) ამჟამად რეგიონში რეგისტრირებულია 138 სასტუმრო, რომელთაგანაც 78 საოჯახო ტიპისაა. ოფიციალური მონაცემებით, ახალციხის ციხე 2016 წლის პირველ ნახევარში 43 800-მდე ვიზიტორმა დაათვალიერა. აქედან უცხოელი ტურისტის რაოდენობა 10 554-ია. ციხის ადმინისტრაციაში ირწმუნებიან, რომ, გასულ წელთან შედარებით, ვიზიტორთა რაოდენობა, დაახლოებით, 8 000-ით არის გაზრდილი.

თუმცა ტურიზმის შემდგომი განვითარება მოითხოვს მრავალი სტანდარტების სასტუმროებისა და დამატებით მცირე ზომის სასტუმროების მშენებლობას, ასევე აუცილებელია მომხმარებლისთვის ტურისტული მომსახურების თანამედროვე პაკეტების შეთავაზება და მომსახურების დონის ამაღლება,მაღალი ხარისხის კვების ობიექტების გახსნა,რეგიონის ტბების, ტურისტული პოტენციალის გამოყენება, ეკოტურისტული შესაძლებლობების ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკისა და ჯავახეთის დაცული ტერიტორიების სრულად გამოყენება, ახალი ტურისტული გზამკვლევი შემუშავება და ტურიზმის განვითარების უპირატესობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლება.

სამცხე-ჯავახეთის აქვს დიდი პოტენციალი გახდეს ელექტროენერგიის მსხვილი მწარმოებელი და სატრანზიტო კვანძი სამხრეთ კავკასიის რეგიონში ენერგორესურსების გამოყენების მიმართულებით ისინი ინვესტიციების მოზიდვა რეგიონისა და ზოგადად ქვეყნის განვითარებისთვის ერთ-ერთი უმთავრესი შესაძლებლობა რეგიონის მოსაზღვრე თურქეთი რომლის მოთხოვნა ელექტროენერგიაზე სწრაფად იზრდება საქართველოსთვის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ ბაზარს წარმოადგენს.

სამცხე-ჯავახეთი წარმოადგენს მკვეთრად გამოხატულ აგრარულ რეგიონს, საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, სოფლის მეურნეობის წილი ეკონომიკაში ყველაზე მაღალი სამცხე-ჯავახეთშია, დარგში დასაქმებულია ადამიანური რესურსების უდიდესი წილი. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში რეგიონალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) აგრარული წილი მერყეობდა 30%–დან 40%–მდე. რეგიონის სოფლის მეურნეობა წარმოდგენილია შინამეურნეობებითა და კომერციული მეუნეობებით.

პროდუქციის წარმოების 90% -ზე მეტი მცირე ზომის შინამეურნეობებშია კონცენტრირებული. შინა მეურნეობების 70% სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ძირითადად საკუთარი მოხმარებისათვის აწარმოებს, ხოლო დანარჩენი 30 % - ისათვის სოფლის მეურნეობა შემოსავლის წყაროს წარმოადგენს.

საქართველოს კარტოფილის წარმოების ორი მესამედიც ამ რეგიონზე მოდის, რადგან კლიმატი ხელს უწყობს მოსავლიანობას და ქვეყნის სხვა რეგიონებისგან მკვეთრად გამოირჩევა. მეორე ისტორიულად ძლიერი აგრარული სექტორია ხორცის წარმოება, განსაკუთრებით რქოსანი ცხოველების: ქვეყნის მთლიანი ხორცის წარმოების 12% სამცხე-ჯავახეთზე მოდის. საქართველოს სტაფილოს წარმოების 70% და ნივრის, ვაშლისა და ქლიავის მოსავლის დაახლოებით 20% ამ რეგიონში მოჰყავთ. უკანასკნელი 5-6 წლის განმავლობაში რეგიონში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა. ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით გამოყოფილი დაფინანსების ძირითადი ნაწილი ხმარდება გზების, სასმელი და სარწყავი წყლის სისტემების, ხიდების, საკანალიზაციო ქსელის, სკოლების, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, სკვერებისა და ბაღების რეაბილიტაცია-გარე განათების მოწყობას. 2013 წლიდან ასევე დაწყებულია ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს ქალაქების ქუჩებისა და სასოფლო გზების წყალსადენისა და საკანალიზაციო ქსელების რეაბილიტაციას.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2000 წლიდან აღინიშნება სასოფლო-სამეურნეო რეგიონებიდან ქალაქებში მიგრაციული პროცესების გაძლიერება, ძირითადად, მეგაპოლისის - თბილისის მოსახლეობის მკვეთრად გამოხატული ზრდა, ხოლო სასოფლო რეგიონებში მოსახლეობის შემცირების მკვეთრი ტენდენცია . სოფლების დაცლისა და დიდ ქალაქებში მოსახლეობის მიგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ისაა, რომ საცხოვრებელი პირობებისა და მათი გაუმჯობესების ტემპი სოფლად უარესია, ვიდრე ქალაქად. როგორც ქვეყნის სხვა რეგიონებში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სოფლების ძალიან დიდ ნაწილშიც პრობლემურია ძირითადი მოხმარების სოციალურ და კომუნალურ ინფრასტრუქტურაზე მისაწვდომობა, მაგ.: სკოლამდელ განათლებაზე, ბიბლიოთეკაზე, ამბულატორიულ სამედიცინო დახმარებაზე, გაზმომარაგებაზე, წყლისა და წყალარინების სისტემებზე და ა.შ. გარდა ამისა, სოფლიდან მიგრაციის მიზეზია დასაქმების უკეთესი შესაძლებლობა ქალაქებში, სადაც შედარებით მაღალი სამეწარმეო აქტივობაა.

მთელი ქვეყნის მოსახლეობის 52% ამჟამად დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, რომელთაგან 98% თვითდასაქმებულია უკიდურესად დაბალი ეფექტურობის ოჯახურ მეურნეობებში. ჩვენი ფერმერული მეურნეობები არარენტაბელურია მათი სიმცირის გამო: საშუალოდ, მათ აქვთ 3,61 ჰა სავარგულები, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებში. ეს მაჩვენებელი 14,1ჰა-ს უდრის (2010). რენტაბელობის მიღწევის მიზნით მცირე მეურნეობების გამსხვილების და/ან კოოპერირების პროცესი რეგიონებში სპონტანურად მიმდინარეობს, მექანიზაციის განვითარებასთან ერთად მას თან სდევს სექტორში სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შემცირება და გამოთავისუფლებული მუშახელის შესვლა ქალაქის შრომის ბაზარზე.

რეგიონების განვითარებისთვის გადაუდებლად გადასაჭრელი ამოცანები:

- კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ან, ხშირ შემთხვევაში, თავიდ ანაშენება, განსაკუთრებით, სოფლებში;
- სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება არა მხოლოდ მიმდინარე საჭიროებების, არამედ პერსპექტივების გათვალისწინებით;
- სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება;

- არასასოფლო-სამეურნეო სექტორებში სამუშაო ადგილების შექმნა რურალურ მუნიციპალიტეტებში.
- სოფლის მეურნეობის ინფრასტუქტურის რეაბილიტაცია
- ახალი ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ასევე გადამამუშავებელი და სამაცივრე სასაწყობე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა მკვეთრად გამოხატულ დარგობრივ სოფლებში.

ამრიგად, ჩვენს მიერ დამუშავებული და ზემოთაღწერილი მოსაზრებების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არის სოფლის კატეგორიის რამდენიმე მსხვილი დასახლება, რომელშიც არასასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარების პოტენციალი და, შემდგომში, ურბანული ტიპის დასახლებად განვითარების პერსპექტივა აქვს. გარე მიგრაციის დადებითი სალდო მიანიშნებს იმაზე, რომ მეზობელ ქვეყნებთან (რუსეთი, სომხეთი) შედარებით ქვეყნის განვითარებამ რეგიონში ეკონომიკური აღმავლობის პერსპექტივის მოლოდინი გააჩინა, ხოლო ურბანული ტიპის დასახლებებთან შედარებით სოფლებიდან ემიგრირებულთა დიდი რაოდენობა არის სოფლად დასაქმებისა და საარსებო პირობების გაცილებით მწვავე პრობლემების მანიშნებელი. რეგიონში არსებული სოფლის მეურნეობის რესურსი იძლევა საშუალებას გამოიკვეთოს სოფლის მეურნეობის განვითარების დარგობრივი მიმართულებები სოფლის დონეზე ნიადაგურ-კლიმატური და ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით. ძალზე მნიშვნელოვანია ფერმერული მეურნეობების ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის და კონკურენტუნარიანების გაუმჯობესება და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის და მდგრადი მართვის ხელშეწყობა

რეგიონში არსებული რესურსები იძლევა მისი განვითარების საშუალებას, კერძოდ, შესაძლებელია, სოფლის მეურნეობასთან ერთად ხელი შეეწყოს მასთან დაკავშირებული გადამამუშავებელი მრეწველობისა და ტურიზმის განვითარებას. ცხადია, ყველა დასახლებაში ყველა სერვისის განვითარების ხელშეწყობა შეუძლებელია არსებული რესურსების შეზღუდულობის გამო, ამდენად, აქტუალურია იმ დასახლებების გამოკვეთა, რომლებშიც სერვისების განვითარება მათ სიახლოვეს არსებულ სხვა დასახლებების მცხოვრებთათვის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.

### გამოყენებული ლიტეტატურა

1. დათაშვილი, მ. (2017). ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე ტენდენციები და პერსპექტივები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. თბილისი: სტუ.
2. თათეშვილი, რ. (2012). სამცხე - ჯავახეთის რეგიონული საფინანსო - საბიუჯეტო განვითარების დიაგნოსტიკა. თბილისი: სტუ.
3. მუმლაძე, ქ. (2014). საქართველოს რეგიონების მდგრადი განვითარების სოციალურ-ეკოლოგიურ-ეკონომკური ასპექტები. თბილისი: სტუ.

## დასაქმების როლი მომხმარებელთა მსყიდველობითუნარიანობის გაზრდაში

***ჯოხაძე მირიანი*** – *ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის III კურსის სტუდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*ხელმძღვანელი **ქარქაშაძე ნარგიზა** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

# Employment Role in Boosting Capacity

***Jokhadze Miriani**– Bachelor's Student, Business Administration, III year, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

*Supervisor **Karkashadze Nargiza** – Doctor in Economics, Associate Professor, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

## Abstract

In our topic, "Employment Role in Boosting Capacity" is a problem for employment and unemployment in Imereti region, which is directly related to increased customer capacity. The results of the statistical survey showed that the Imereti region has potential in terms of employment, mainly related to finding new jobs. Which is directly related to the improvement of the terms of the customers.

Our survey showed that the number of self-employed people is high in the region, which is 63-65% of the economically active population. This is due to the high share of agricultural sectors in family farms.

The main recommendations are given in the topic, which will facilitate the improvement of the employment rate in the region.

**Keywords:** employment, unemployment, purchasing power, social problem.

## აბსტრაქტი

ჩვენს თემაში "დასაქმების როლი მომხმარებელთა მყიდვილთუნარიანობის გაზრდაში" გაინხილულია საქართველოს და კერძოთ იმერეთის რეგიონში დასაქმების და უმუშევრობის პრობლემები, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია მომხმარებელთა მყიდველითუნარიანობის გაზრდასთან. სტატისტიკური კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ იმერეთის რეგიონს აქვს პოტენციალი დასაქმების კუთხით, რაც ძირითადად დაკავშირებულია ახალი სამუშაო ადგილების მოძიებასთან. რაც პირდაპირ დაკავშირებულია მომხმარებელთა ყოფითი პირობების გაუმჯობესებასთან .

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა რომ რეგიონში მაღალია თვითდასაქმებულთა რიცხოვნობა, რაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 63-65%-ს შეადგენს. ეს განპირობებულია საოჯახო მეურნეობებში სასოფლო- სამეურნეო სექტორის მაღალი ხვედრითი წილით თემაში მოცემულია ის ძირითადი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს რეგიონში დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესებას.

**საკვანძო სიტყვები:** დასაქმება, უმუშევრობა, მსყიდველობითი უნარი, სოციალური პრობლემა

საქართველოში უმუშევრობა ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა და აქტუალური გამოწვევაა. იგი გვევლინება ქვეყანაში სიღარიბის განმაპირობებელ მთავარ ფაქტორად. უმუშევრობა მაღალია როგორც ქალაქად, ისე სოფლად. უმუშევარ მოსახლეობას შორის დომინანტია ახალგაზრდობა, რაც კიდევ უფრო ზრდის სოციალურ რისკებს და საფრთხეს უქმნის ქვეყნის მომავალს. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობას, როგორც ბიზნეს-გარემოს სრულყოფის, ისე შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების გზით. ეს უკანასკნელი სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია და მოვალეობაა.

შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების სახელმწიფო მხარდაჭერის აუცი- ლებლობა განპირობებულია შემდეგი ობიექტური გარემოებებით:

- შრომის ბაზარი არ არის თვითრეგულირებადი სისტემა და მას არ შესწევს უნარი, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მოთხოვნებიდან გამომდინარე, უზრუნველ-ყოს შრომითი პოტენციალის რაციონალური გამოყენება და განვითარება, მოსალოდნელ სტრუქტურულ ცვლილებებთან ადამიანური რესურსების დროულად მორგება, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის ოპტიმალური თანაფარდობის დაცვა, ეკონომიკური დაცემის პერიოდში დასაქმების სტაბილიზაცია, უმუშევრობის ზრდის შეჩერება და ა.შ.;
- სტიქიურად განვითარებადი შრომის ბაზარი ვერ უზრუნველყოფს დასაქმების სფეროში სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვას, სამუშაოს მაძიებელთათვის დასაქმე-ბის თანაბარი შესაძლებლობების შექმნას, განსაკუთრებით საზოგადოების იმ ჯგუფებისათვის, რომლებიც შრომის ბაზარზე დაბალ კონკურენტუნარიანები არიან და სახელმ-წიფოს მხრიდან განსაკუთრებულ მხარდაჭერას საჭიროებენ;
- შრომის ბაზარი თავისთავად ვერ არეგულირებს უმუშევრობის დონის შენარჩუნებას სოციალურად დასაშვებ დონემდე, არ გააჩნია მოქალაქეთა შრომის უფლებების თანაბარი რეალიზაციის მექანიზმი და ვერ უზრუნველყოფს უმუშევართა სოციალურ დაცვას.

აღნიშნულ ამოცანათა გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ შრომისა და დასაქმების სფერო-ში მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებითა და გატარებით. ამ პოლიტიკის საბოლოო მიზანია შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა. კვლევები ადასტურებს, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ადეკვატური შრომის ბაზარი ჯერ კიდევ ფორმირების სტადიაშია და ამ პროცესში ბევრი პრობლემა და გამოწვევა არსებობს.

როგორც ქვეყნის ისე რეგიონის ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და სიღარიბის დაძლევა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დასაქმების სფეროში აქტიური სახელმწიფო პოლიტიკის გატარებაზე, რაც გულისხმობს შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარების, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსების, უმუშევართა პროფესიული სწავლებისა და დაბალკონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის დასაქ-მების ხელშეწყობის მხარდაჭერას. შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის გან- ვითარება ბიზნე-სის ეფექტიანობის გაზრდის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია, რამდენადაც იგი ხელს უწყობს სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნების ოპერატიულად და ხარისხიანად დაკმაყოფი-ლებას.

კვლევები ადასტურებს, რომ საქართველოში, მასობრივი უმუშევრობის პირობებშიც, დამსაქმებელთა 1/3-ზე მეტს (ზოგიერთ რეგიონსა და სფეროში 70-80%-ს) პრობლემები აქვთ მათთვის საჭირო კადრების მოზიდვისას და ამის ერთ-ერთი მიზეზი შრომის ბაზრის ინფრა-სტრუქტურის განუვითარებლობაა.

მსოფლიოში უმუშევროის დონეს ასეთია (დიაგრამა 1.):




დასაქმების პრობლემა აქტუალურია ნებისმიერი ქვეყნისათვის, ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა, მაგრამ ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს იმერეთის რეგიონი, სადაც მიუხედავად მთელი რიგი დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებებისა, მდგომარეობა მაინც საგანგაშოა, რომელიც მკვეთრად აისახება მომხმარებელთა ხარჯვით ნაწილზე. ამას კიდევ ემატება არასტაბილური ეკონომიკური გარემოება, რაც ზრდის ფასებს პირველადი მოხმარების საქონელზე, სწორედ ყველა ამ ფაქტორების გათვალისწინებით საგრძნობლად იკლებს მომხმარებლების ხარჯები.

ჩვენი თემის კვლევის საგანს იმერეთის მოსახლეობის დასაქმების სტატისტიკური კვლევა წარმოადგენს, სადაც ყურადღება გამახვილებული იქნება, თუ როგორ იცვლებოდა ბოლო პერიოდში უმუშევრობის დონე, რომელი დარგები და სექტორები გამოირჩევა დასაქმების კუთხით და როგორია შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები როგორც თვიური, ისე ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. ასევე ის, თუ რამდენად შეიცვალა მათი მყიდველობითი პოტენციალი ბოლო წლების განმავლობაში.

საქართველოში 2016 წლის სტატისტკიკური მონაცემების თანახმად ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა შეადგენს 1998.3 (ათასი კაცი) აქედან დასაქმებულია 1763.3 ( ათასი კაცი) უმუშევარი 235.1 (ათასი კაცი) უმუშევრობა პროცენტულად შეადგენს 11.8 %. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უმუშევრობის დონე საქართველოს მაშტაბით შემცირებულია სხვა წლებთან შედარებით.

უმუშევრობის დონე 2016 წელს რეგიონალურ ჭრილში ასე გადანაწილდა




*რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ჩათვლით
** სამცხე-ჯავახეთი, გურია, მცხეთა-მთიანეთი

დიაგრამა 2.

უმუშევრობის განმაპირობებელ ძირითადი მიზეზებია:

- შეზღუდული მოთხოვნა სამუშაო ძალაზე;
- სპეციალობით სამუშაოს შოვნის სირთულე;
- შრომის დისკრიმინაციული პირობები;
- შრომის დაბალი ანაზღაურება;
- პროფესიული მომზადების დაბალი ხარისხი;
- სამუშაო ძალის დაბალი პროფესიული მობილურობა;
- სამუშაოს მოძიებისა და თვითპრეზენტაციის უნარ-ჩვევების ნაკლებობა;
- სამუშაოს მაძიებელთა პასიურობა (ე.წ. „იმედგაცრუებულები“);
- დასაქმების სფეროში საშუამავლო სერვისის განუვითარებლობა/ხელმიუწვდომლობა.

ქვეყანაში შექმნილი უმუშევრობის დონის კლების მიუხედავად იმერეთის რეგიონში უმუშევრობის დონე წინა წლებთან შედარებით 10,8 % გაიზარდა, მაგრამ ეს არ გვაძლევს საშუალებას კმაყოფილი ვიყოთ მიღწეულით, საჭიროა ამ პრობლემის გამოსასწორებლად აუცილებელია ჩატარდეს სხვადასხვა ღონისძიებები, როგორც სახელმწიფო, ასევე თვითმმართველი ორგანოების დონეზე.

წინა წელთან შედარებით უმუშევრობის დონე რეგიონულ ჭრილში გაზრდილია იმერეთის, თბილისისა და შიდა ქართლისა რეგიონებში. თბილისში, სადაც უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია, აღნიშნული მაჩვენებელი 0.6 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი, ხოლო იმერეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში შესაბამისად 2.0 და 0.2 პროცენტული პუნქტით. უმუშევრობის დონე ყველაზე მეტად შემცირებულია სამეგრელო- ზემო სვანეთის რეგიონსა და აჭარის ა.რ.-ში, შესაბამისად 2.5 და 2.1 პროცენტული პუნქტით.




დიაგრამა 3.

